FB.COM/GROUPS/ELLIB

ნუ მოლავ ჯაფარას

ჰარპერ ლი

ანოტაცია: "ნიუ იორკერმა" ეს წიგნი მარტივად, ორი სიტყვით დაახასიათა: "აბსოლიტურად გენიალური". სულ ერთია, საკუთარი ბავშვობა ბედნიერად გახსენდება თუ არა - ჰარპერ ლი ბედნიერ ბავშობაში დაგაბრუნებს. რომანი ცნობილია იუმორით და სითბოთი, მიუხედავად იმისა რომ საკმაოდ მძიმე თემებს ეხება - რასიზმს და სექსუალურ ძალადობას. "ნუ მოლავ ჯაფარას" გამოქვეყნებისთანავე პოპულარული გახდა და პულიცერის პრემიაც დაიმსახურა.

9 789941 000054

"ყველა ვექილი ოდესღაც ბავშვი იყო"

ჩარლზ ლემი

ნაწილი პირველი

1

ცამეტი წლის სრულდებოდა ჩემი ძმა ჯემი, მკლავი რომ მოსტეხეს იდაყვთან. როცა ჭრილობა შეუხორცდა და იმის შიშიც გაუქრა – ვაითუ, ფეხბურთის თამაში ვეღარ შევძლოო, ნაჭრილობევი დიდად აღარ ანაღვლებდა. თუმცა მარცხენა მკლავი მარჯვენასთან შედარებით ოდნავ დაუმოკლდა; როცა იდგა ან დადიოდა, ხელისგულიც უკულმა უტრიალდებოდა და ცერიც განზე მიუდიოდა, მაგრამ რაკიღა ბურთის ართმევა და გადაწოდება შეეძლო, სხვა აღარაფერს დაგიდევდათ.

გავიდა ხანი. ჩემმა ძმამ და მე წარსული სხვა თვალით დავინახეთ და არაერთხელ ვიმსჯელეთ, თუ რამ გამოიწვია ეს შემთხვევა. ჩემი აზრით, ყველაფერი იუველების ბრალი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ჯემმა, რომელიც ოთხი წლითაა ჩემზე უფროსი, მითხრა – ყველაფერი გაცილებით უფრო ადრე დაიწყო, იმ ზაფხულს, როცა დილი გვესტუმრა და აგვტეხა, რედლი-ბუა სახლიდან გამოვიტყუოთო; მე კი ვუპასუხე, თუ მაინცდამაინც გინდა, ეგ საკითხი მთელი სიღრმით განჭვრიტო, მაშინ ენდრიუ ჯეკსონიც არ უნდა დაივიწყო: გენერალ ჯეკსონს ხეობიდან ინდიელები რომ არ განედევნა, არც საიმონ ფინჩი გადმოლახავდა თავისი ნავით მდინარე ალაბამას და ჩვენი ასავალ-დასავალიც სრულიად გაურკვეველი გახდებოდა-მეთქი. ბავშვობაში ამგვარ დავას უთუოდ მუშტი-კრივით გადავწყვეტდით, მაგრამ ამჯერად რჩევისთვის მამაჩვენს – ატიკუსს მივმართეთ. მან კი გვითხრა, ორივენი მართლები ხართო.

როგორც ყველა სამხრეთელი, საგვარეულო წარსულს ფინჩებიც უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ. ჩვენი გვარის ზოგიერთ წარმომადგენელს ძალიან აკლია გულს, რომ ჰეისტინგზთან ბრძოლაში ფინჩების

არც ერთ ნინაპარს არ უსახელებია თავი. მეტი რაღა დაგვრჩენია, საიმონ ფინჩს უნდა დავჯერდეთ – კორნუელელ მეაფთიაქესა და საკუთარი ნანადირევის ბენვით მოვაჭრეს, რომლის ღვთისმოსაობას ვერაფერმა სძლია, სიხარბის გარდა. თურმე საიმონი ვერ შეჰგუებია იმას, რომ ინგლისში ეგრეთ წოდებულ მეთოდისტებს გასაქანს არ აძლევდნენ მათივე უფრო ლიბერალი თანამოძმენი და რაკი თავს მეთოდისტად თვლიდა, სამშობლო მიუტოვებია და ოკეანე გადმოულახავს. ჯერ ფილადელფიაში ჩავიდა, მერე გზა იამაიკისკენ გაიკვლია, მობილი უკან მოიტოვა და სენტ-სტივენსში ამოყო თავი. რაკილა კარგად ახსოვდა ჯონ უესლის მკაცრი გაფრთხილება ყიდვა-გაყიდვის დროს ზედმეტი ლაყბობის თაობაზე, ჯერ ბუასილის მალამოს კეთებას მიჰყო ხელი; მაგრამ ვერა და ვერ მოისვენა, შფოთავდა, ვაითუ, ამ საქმიანობისას სულმა წამძლიოს, ვცდუნდე და ღვთის საძრახისი სხვა რამ ჩავიდინოო, მაგალითად, ძვირფასი სამოსისა თუ ოქროს სამკაულების ტარება დავიწყოო. თუმცა მალე საიმონს სრულებით გადაავიწყდა, როგორ ილაშქრებდა მისი სულიერი მამა ადამიანების ყიდვა-გაყიდვის წინააღმდეგ – შეიძინა სამი მონა და მათი შემწეობით სენტ-სტივენსიდან ორმოციოდე კილომეტრის დაშორებით, მდინარე ალაბამას სანაპიროზე, საკუთარ კარ-მიდამოსა და მეურნეობას ჩაუყარა საფუძველი. მას მერე სენტ-სტივენსში მხოლოდ ერთხელღა მიბრუნდა და ისიც იმისთვის, ცოლი შეერთო. იქორწინა და მეუღლის შემწეობით ამჯერად საგვარეულო შტოს ჩაუყარა საფუძველი, შტოს, რომელშიც ქალების რიცხვი მუდამ აღემატებოდა მამაკაცებისას. საიმონმა ღრმა სიბერეს მიაღწია და ფუფუნებაში დალია სული.

ამ ოჯახის მამაკაცებისთვის წესად იქცა მამაპაპეულ მამულში, როგორც მას ეძახდნენ – "ფინჩების მამულში" ცხოვრება. შემოსავლის წყაროს უმთავრესად ბამბა შეადგენდა, საკარმიდამო ნაკვეთი კი დამოუკიდებელი არსებობის საშუალებას იძლეოდა. მართალია, თვალუწვდენელ სამფლობელოებთან შედარებით, მას რომ გარს ერტყა, ფინჩების მამული შეიძლება უბადრუკადაც მოგჩვენებოდათ, მაგრამ რაც არსებობისთვისაა აუცილებელი, იქ ყველაფერი მოიპოვებოდა; თუ არ ჩავთვლით ყინულს, ხორბალსა და მზა ტანსაცმელს, რაც მობილიდან ნავებით ჩამოჰქონდათ.

ნარმომიდგენია, სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის ჩამოვარდნილი განხეთქილება როგორ გააგულისებდა საიმონს, რაკი ამან მისი მემკვიდრეები ცარიელი სამოსახლოს ამარა დატოვა და მაინც, მამულში ცხოვრების ადათმა აგერ მეოცე საუკუნემდე მოატანა, ვიდრე მამაჩემმა, ატიკუს ფინჩმა არ დაარღვია ის და იურისპრუდენციის შესასწავლად მონტგომერიში არ გაემგზავრა, ხოლო მისი უმცროსი ძმა ბოსტონში დაეუფლა მედიცინას. ამგვარად, ერთადერთი ფინჩი, რომელიც საიმონისეულ მამულში დარჩა საცხოვრებლად, მამიდაჩემი, ალექსანდრა გახლდათ. იგი ცოლად გაჰყვა ერთ მეტად სიტყვაძუნწ კაცს, რომელიც ცხოვრების უმეტეს დროს მდინარის პირას ჰამაკში ნებიერად რნევასა და წყალში გადაგდებული ანკესების თვალთვალში ატარებდა.

როცა მამაჩემმა ვექილის წოდება მიიღო, სამოღვაწეოდ მეიკომში დაბრუნდა. მეიკომი საოლქო ცენტრია და ფინჩების მამულიდან ოცდაათიოდე მილითაა დაშორებული. ატიკუსს სასამართლოს შენობაში ერთი ოთახი გამოუყვეს, რომლის მთელ ავლადიდებას ქუდების საკიდი, საფურთხებელი, ჭადრაკის დაფა და ალაბამას შტატის თითქმის გადაუფურცლავი საკანონმდებლო წიგნი შეადგენდა. მამაჩემის პირველი ორი კლიენტი მკვლელობისთვის ჩამოახრჩვეს საოლქო ციხეში. მას შემდეგ მეიკომში სიკვდილით აღარავინ დაუსჯიათ. თურმე ატიკუსი მათ დაჟინებით ურჩევდა – აღიარეთ ჩადენილი დანაშაული, ამით სასჯელის ზომა შეგიმსუბუქდებათ და სიკვდილით დასჯას გადაურჩებითო, მაგრამ არაფერი გაუვიდა. საქმე ისაა, რომ მისი კლიენტები გვარად ჰეევერფორდები ყოფილან, ჰეევერფორდებს კი მეიკომში ხეპრე, უტეხი ხალხის სახელი ჰქონდათ. მკვლელობის მსხვერპლი მეიკომის საუკეთესო მჭედელი გამხდარა, რომელსაც თითქოსდა უსაფუძვლოდ დაეკავებინა ჰეევერფორდების ცხენი. ეს ორნი იმდენად გასულან თავს, რომ მჭედელს სამი კაცის თანდასწრებით გააფრთხობინეს სული. მერე კი არათუ აღიარეს ჩადენილი დანაშაული, პირიქით, საჯაროდ გაიძახოდნენ – ეგრე მოუხდება იმ ოხრის შვილსო, და თავის გასამართლებელი უკეთესი საბუთი თუ არსებობდა, ვერც წარმოედგინათ. ბოლომდე არ გამტყდარან და – წინასწარ განზრახულ მკვლელობაში დამნაშავენი არა ვართო, – გაიძახოდნენ. ასე მოეჭრეს ვექილს მათი ხსნის ერთადერთი გზა. ატიკუსს ისღა დარჩენოდა, თავნება

კლიენტები უკანასკნელ გზამდე მიეცილებინა; ალბათ ამიტომაც იყო, რომ მამა ვერ იტანდა სისხლის სამართლის საქმეებს.

მეიკომში გატარებული პირველი ხუთი წლის განმავლობაში ატიკუსი ყველაზე მეტად ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობაზე ზრუნავდა. გარკვეული თანხა დააგროვა და რამდენიმე წლის შემდეგ მთელი დანაზოგი ძმის განათლებას მოახმარა. ჯონ ჰეილ ფინჩი მამაზე ათი წლით იყო უმცროსი და სწორედ მაშინ მოუნდა მედიცინის შესწავლა, როცა ბამბის მრეწველობა არავითარ მოგებას აღარ იძლეოდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ბიძაჩემი – ჯეკი – ფეხზე დააყენა, ატიკუსმა თავისი საქმით რიგიანი შემოსავალი დაიმკვიდრა. მას უყვარდა მეიკომი, ის ხომ მეიკომის ოლქში დაიბადა და გაიზარდა; იცნობდა ხალხს, ხალხი კი მას იცნობდა, ხოლო საიმონ ფინჩის "უხვნარმოების" გამოისობით, ყოველი მეიკომელი მისი სისხლით ნათესავი თუ არა, მოყვარე მაინც იყო.

მეიკომი ძველი ქალაქია. ჩემს ადრეულ მოგონებებში იგი დაღლილ ძველ ქალაქად აღიბეჭდა: ნვიმიან ამინდში ქუჩები მონითალოდ იტბორებოდა, ტროტუარებზე ბალახი იზრდებოდა, მოედანზე საცოდავად ჩანოლილიყო სასამართლოს გადაბრეცილი შენობა; მაშინ თითქოს უფრო ცხელოდა კიდეც... მახსოვს, როგორ დაძრწოდა ქუჩებში ზაფხულის სიცხისგან აქასქასებული მურია; როგორ იგერიებდნენ ბუზებს ჰუვერის ურიკებში შებმული დასიცხული ჯორები, მუხებქვეშ რომ შეეფარებინათ თავი. ქალაქელ კაცებს გახამებული ტკიცინა საყელოები დილის ცხრა საათისთვის უკვე მოემჩვარებოდათ ხოლმე, მანდილოსნები კი, მართალია ჯერ დილაუთენია, მერე კი ნაშუადღევის ძილის შემდეგაც ბანაობდნენ, მიმნუხრისთვის მაინც ოფლითა და სურნელოვანი ტალკით იჟღინთებოდნენ და ჩაიში ჩაბუჟბუჟებულ შაქრით მომინაქრებულ ფუნთუშებს ემსგავსებოდნენ.

მაშინ ადამიანებიც თითქოს უფრო ნელა დადიოდნენ: დარონინებდნენ მოედანზე, ყველა მაღაზიას დაივლიდნენ, მშვიდად, გულდინჯად ირჯებოდნენ. და თუმც დღე-ღამე მაშინაც 24 საათს შეიცავდა, მაინც რატომღაც უფრო განელილი გვეჩვენებოდა. არავინ არსად მიიჩქაროდა – წასასვლელი არსად იყო; ვერც ყიდვით იყიდდი რამეს და არც ფული იყო საიმისო; სანახავიც მეიკომს გარეთ არაფერი გვეგულებოდა... მიუხედავად ამისა, ზოგ-ზოგებისთვის ეს ბუნდოვანი ოპტიმიზმის ხანა იყო; იმ წლებში მეიკომელებს ჩააგონეს – თუ არ თავად შიშისა, სხვა ნურაფრისა გეშინიათო.

ატიკუსი, ჯემი, მე და ჩვენი მზარეული ქალი – კელპურნია ქალაქის მთავარ ქუჩაზე ვცხოვრობდით. ჯემსა და მე მამისთვის სასაყვედურო არაფერი გვქონდა: ის არც ჩვენთან თამაშს თაკილობდა და არც წიგნის კითხვას დაგვზარდებოდა ხოლმე. გულთბილი და მოსიყვარულე იყო.

კელპურნია კი სულ სხვა ყაიდის ადამიანი გახლდათ: გეგონებოდათ, ძვალზე ტყავი აქვს გადაკრულიო, ბეცი იყო და თან ელამიც. საოცრად ფართო, გატყლაპული, მაგრამ ქვასავით მაგარი ხელის მტევნები ჰქონდა. სამზარეულოდან ნამდაუწუმ გარეთ მისტუმრებდა და მსაყვედურობდა – რატომ არ ხარ შენს ძმასავით დამჯერიო; ვითომ არ იცოდა, ჯემი ჩემზე უფროსი რომ იყო! ჩემი დაძახება კი მაინცადამაინც იმ დროს მოუნდებოდა, როცა მისთვის სულაც არ მეცალა. ვჩხუბობდით ხშირად და ცხარედ, მაგრამ ჩვენი შეტაკებების ბედი ყოველთვის წინასწარვე იყო გადაწყვეტილი. საქმე ისაა, რომ ატიკუსი მუდამ კელპურნიას ემხრობოდა და ამიტომაც დამარცხებული მუდამ მე გამოვდიოდი. რაც თავი მასხოვს, ამ ქალის სასტიკი მეთვალყურეობით ვიზრდებოდი: კელპურნია ჩვენს ოჯახში ჯემის გაჩენის დღიდან მსახურობდა.

როცა დედაჩემი გარდაიცვალა, ორი წლისა ვყოფილვარ, ამიტომ დაობლება არ განმიცდია. დედა მონტგომერელი ყოფილა, გვარად გრემი. ჩემს მშობლებს ერთმანეთი მაშინ გაუცნიათ, როცა ატიკუსი პირველად აირჩიეს შტატების საკანონმდებლო ორგანოში. მამა შუახნისა ყოფილა, დედა კი თხუთმეტი წლით მასზე ახალგაზრდა. ჯემი მათი ცოლქმრული ცხოვრების პირველი წლის ნაყოფია, ოთხი წლის შემდეგ კი მე დავიბადე. ორ წელინადში დედა ყველასთვის მოულოდნელად გარდაიცვალა – გული გაუსკდა. ამბობდნენ – გრემებს ეს გვარში აქვთო. დედის დაკარგვა მე არ განმიცდია, აი, ჯემს კი ძალიან აკლდა. დედა კარგად ახსოვდა და ზოგჯერ, გახურებული თამაშის დროს მწარედ ამოიოხრებდა, გავიდოდა განზე და გარაჟის უკან მარტოკა იწყებდა თამაშს. მაშინ ვიცოდი – ჯობდა, მისთვის ხელი არ შემეშალა.

იმ ზაფხულს, როცა მე ჯერ ექვსისაც არ ვიყავი, ხოლო ჯემი ათისა სრულდებოდა, შეგვეძლო გვესეირნა ყველგან, სადაც კი კელპურნიას ხმა მოგვწვდებოდა. ამ ფართობს ჩვენგან ჩრდილოეთით, ორი ეზოს გა-

დაღმა, მისიზ ჰენრი ლაფაიეტ დუბოუზის კარ-მიდამო საზღვრავდა; სამხრეთით კი, სამ სახლს იქით – რედლების ღობე. უფრო შორს ნასვლის სურვილი არც არასოდეს გაგვჩენია: რედლების სახლში ბინა დაედო უცხო ჯურის არსებას, რომლის უბრალო აღნერაც კი იმდენად გვაფრთხობდა, რომ კარგა ხნით გვიკარგავდა ყოველგვარი ცელქობის ხალისს; ხოლო რაც შეეხება მისიზ დუბოუზს, ის გამოცხადებული ჯოჯოხეთის მაშხალა გახლდათ.

დილი სწორედ იმ ზაფხულს გვეწვია.

ეს იყო დილაადრიან, როცა ჯემმა და მე, ჩვეულებისამებრ, სახლს უკან დავაპირეთ თამაშის გაჩაღება. უცებ მის რეიჩელის ბოსტანში რაღაც გაფაჩუნდა. მაშინვე წამოვცვივდით და ღობეს მივაწყდით: ქალბატონ რეიჩელის ფოქსტერიერს დღე-დღეზე ლეკვები უნდა დაეყარა. მაგრამ ლეკვის მაგივრად სულ სხვა რამ დავინახეთ: პაწია არსება კომბოსტოებში ჩაცუცქულიყო და მოგვჩერებოდა. ასე ჩამჯდარი კომბოსტოზე მაღალი არც ჩანდა. ჩვენც მივაშტერდით, ვიდრე მან პირველმა არ გაგვცა ხმა:

– გამარჯობა!

– გაგიმარჯოს, – მიაგება ჯემმა.

– მე ჩარლ ბეიკერ ჰარისი ვარ, – გვაცნობა მან, – კითხვა ვიცი.

– მერე რა? – გავიკვირვე მე.

– არა, ისე... ვიფიქრე, კარგი იქნება იცოდეთ, კითხვა რო ვიცი. რამის ნაკითხვა თუ დაგჭირდეთ, მე აქა ვარ.

– რამდენი ნლისა ბრძანდები, ოთხ-ნახევრის? – ჰკითხა ჯემმა.

– სადაცაა, შვიდის გავხდები.

– შენც იტყვი, რაღა! – უთხრა ჯემმა და ცერით ჩემკენ მიუთითა:

– აგერ, ჭყიტა, ჯერ არც სკოლაში დადის, არც არაფერი, მაგრამ დაბადებიდანვე იცის კითხვა. შვიდი ნლისთვის რო პატარა ჩანხარ?

– ეგ ტანადა ვარ პატარა, თორე ისე დიდი ვარ, – უპასუხა მან.

ჯემმა შუბლზე ჩამოყრილი თმა უკან გადაიყარა, უკეთ რომ დაენახა და უთხრა:

– ჩვენკენ ხომ არ გადმოხვიდოდით, ჩარლზ ბეიკერ ჰარის! უი-მეე, ეგ რა სახელი გქვია!

– ვითომ რითია შენსაზე სასაცილო? დეიდა რეიჩელმა მითხრა, რაც გქვია – ჯერემი ატიკუს ფინჩ!

ჯემმა კოპები შეიკრა და უპასუხა:

– სამაგიეროდ, ჩემს სახელს ნლოვანებით მე უფრო შევეფერები! შენი სახელი შენზე უფრო გრძელია. თავს დავდებ, ერთი ფუტით გრძელი მაინც იქნება.

– შინ დილს მეძახიან, – გვითხრა დილმა და ღობის ქვემოდან დააპირა გადმოძრომა.

– ჯობია, ზემოდან გადმოხვიდე, ქვემოდან გაგიძნელდება, – ვუთხარი მე, – აქ საიდან გაჩნდი?

დილი დეიდამისთან, მის რეიჩელთან ზაფხულის გასატარებლად ჩამოსულიყო. ისე კი, მდინარე მისისიპიზე მდებარე ქალაქ მერიდიანში ცხოვრობდა და ამიერიდან ყოველი ზაფხულის გატარებას მეიკომში აპირებდა. მისი მშობლებიც მეიკომელები ყოფილან, მაგრამ დედამისს მერიდიანში ფოტოგრაფად დაუნყია მუშაობა. ბავშვების სილამაზის კონკურსზე დილის ფოტოსურათი გაუგზავნია. ჯილდოდ ხუთი დოლარი მიულია და მთელი ფული შვილისთვის უჩუქებია. დილს ხუთ დოლარად ოცი კინოფილმი უნახავს.

– ჩვენთან ფილმებს არ უჩვენებენ. იშვიათად სასამართლოს შენობაში იესო ქრისტეზე თუ გაუშვებენ რამეს, – უთხრა ჯემმა, – რამე კარგი თუ გინახავს?

დილს "დრაკულა" ენახა. ამ ალმოჩენამ ჯემი დილისადმი პატივისცემით განმსჭვალა.

– მოგვიყევი, რაა! – შეეხვეწა ის დილს.

დილი ნამდვილი საოცრება გამოდგა. მას პერანგზე ღილებით მიბნეული ლურჯი ტილოს მოკლე შარვალი ეცვა; თოვლივით თეთრი ქოჩორი იხვის ღინღლივით ამოზრდოდა თავზე, ჩემზე ერთი ნლით იყო უფროსი და მაინც ზემოდან დავცქეროდი. სანამ ზღაპარს გვიყვებოდა, ლურჯი თვალები უციმციმებდა, ხან ჩაუმუქდებოდა, ხანაც გაუბაცდებოდა. დროდადრო მოულოდნელად და უდარდელად გადაიხარხარებდა. შუბლზე თმა ალოკილივით ჰქონდა და ნამდაუწუმ თითით იგრეხდა.

ბოლოს, როცა დილმა დრაკულას სძლია და მტვრად აქცია, ჯემმა უთხრა – ნაამბობი ნაკითხულზე უფრო მომეწონაო. მე კი დილს ვთხოვე, მამაშენზე მოგვიყევი რამე, არც ერთხელ არ გიხსენებია-მეთქი.

– მამა არა მყავს.

– მოგიკვდა?

– არა...

– თუ არ მომკვდარა, გამოდის, ცოცხალი ყოფილა, არა?

დილი განითლდა. ჯემმა კი ჩამდუდღუნა, მოკეტეო. ეს იმას ნიშნავდა, რომ დილი უკვე კარგად გაიცნო და თავისიანად იგულა.

იმ დღიდან მიყოლებული, მთელი ზაფხული ერთი და იმავე თამაშით ვიქცევდით თავს: სახლს უკან, ორ ვეებერთელა ჭადარს შორის, პატარა ქოხი გვქონდა აშენებული, რომელსაც ყოველ დილით ვანესრიგებდით. ვფუსფუსებდით და ვდგამდით ჩვენთვის ცნობილ წარმოდგენებს – ოლივერ ოპტიკის, ვიქტორ ეპლტონისა და ედგარ რაის ბეროუზის პიესებს. ამ მხრივ დილმა ძალიან გაგვიმართლა. სახასიათო როლებს, რომელთა შესრულება ადრე მე მიწევდა, ახლა ის ასრულებდა: მაიმუნს "ტარზანში", მისტერ კრებტრის – "ძმებ როუვერებში", მისტერ დეიმონს – "ტომ სვიფტში"... ასე მოგვევლინა დილი სასწაულთმოქმედ ქონდრისკაცუნად, რომელსაც მუდამ საოცარი გეგმები, უცნაური ზრახვები და უჩვეულო წარმოდგენები უტრიალებდა თავში.

მაგრამ აგვისტოს მიწურულისთვის ერთი და იმავე პიესების დაუსრულებლად გადათამაშება ყელში ამოგვივიდა და ის იყო, ყურები ჩამოვყარეთ, რომ დილს რედლი-ბუას სახლიდან გამოტყუების აზრი დაებადა.

რედლების სახლი დილზე ჯადოსავით მოქმედებდა. ჩვენს გაფრთხილებებსა და დარიგებას აინუნშიც არ აგდებდა. სახლი ისე იზიდავდა, როგორც მთვარე ოკეანეს, მაგრამ არც იმდენად, რედლების ღობიდან საკმაოდ უსაფრთხო მანძილზე – ქუჩის კუთხეში მდგომ განათების ბოძს რომ გასცილებოდა. შემოხვევდა მსხვილ ბოძს მკლავებს და ფიქრებში ჩაძირული გასცქეროდა სივრცეს.

ქუჩის გადაღმა რედლების ეზო მკვეთრ მოსახვევს ქმნიდა. ჩვენი სახლიდან სამხრეთით თუ ნახვიდოდი, რედლების აივნის წინ ამოყოფდი თავს. მორკალულ ღობეს გარედან ტროტუარი გასდევდა. თვითონ სახლი დაბალი იყო და შეღრმავებული სადარბაზო ჰქონდა. ოდესღაც ქათქათა კედლები და მწვანედ შეღებილი დარაბები გახუნებულიყო და რუხი, მოჟამული ბაღისგან, მას გარს რომ ერტყა, ფერით ახლა ვეღარც გამოარჩევდით. აივნის სახურავიდან ჩამპალი ყავარი ჩამოწოლილიყო; მუხის ტოტებში მზის სხივი ვერ ატანდა. მესრის უბადრუკი ნაშთი – მთვრალებივით აყანყალებული სარები – გარს ევლებოდა წინა ეზოს, რომელიც, ნესით, სუფთა უნდა ყოფილიყო, მაგრამ უხსოვარი დროიდან აღარავის გაეწმინდა და ერთიანად სარეველა ბალახს დაეფარა.

იმ სახლში უკეთური საფრთხობელა ბინადრობდა. ხალხს აეჩემებინა – იქ არისო, თორემ მე და ჯემს თვალითაც არ გვენახა. ასე ამბობდნენ – მთვარე რომ ჩავა, სასეირნოდ გამოდის და ფანჯრებში იჭყიტებაო. თუ ბაღებში ყინვა იელის ბუჩქებს დააზრობდა, მაშინვე იტყოდნენ – იმ უკეთურმა სული შეუბერა და გაყინაო. ყველა იდუმალ წვრილმან ბოროტმოქმედებას, რაც კი მეიკომში ხდებოდა, მას აბრალებდნენ. ერთი პიროობა, ქალაქს ამაზრზენი ღამეული შემთხვევები დასჩემდა: შინაურ ცხოველებსა და ქათმებს დილით დასახიჩრებულს პოულობდნენ. და თუმც დამნაშავე გიჟი ედი აღმოჩნდა, რომელმაც მოგვიანებით მორევში დაიხრჩო თავი, მაინც ყველას რედლებისკენ ეჭირა თვალი. ეჭვი იმდენად გასჯდომოდათ ძვალსა და რბილში, მზის ჩასვლის შემდეგ ვერც ერთი შავკანიანი ვერ ბედავდა მათ ღობესთან ჩავლას – აუცილებლად მოპირდაპირე ქუჩაზე გადავიდოდა და სტვენა-სტვენით გაუყვებოდა გზას. მეიკომის სკოლის ეზო რედლების ბოსტანსა და საქათმეს ემიჯნებოდა. იქ ჯიშიანი კაკლის ხეები იდგა, ნაყოფი სკოლის ეზოში ცვიოდა, მაგრამ ბავშვები ახლოსაც არ ეკარებოდნენ: ვაი იმას, ვინც რედლების კაკალს შეჭამდა! მათ ეზოში გადავარდნილ ბეისბოლის ბურთს ხომ არავინ მოიკითხავდა, ის უკვე თავისთავად დაკარგულად ითვლებოდა.

უბედურებამ იმ ოჯახში ბევრად ადრე მოიკიდა ფეხი, ვიდრე მე და ჯემი დავიბადებოდით. რედლებისთვის მეიკომში ყველა სახლის კარი ღია იყო, მაგრამ ისინი არსად დადიოდნენ; ეკლესია ქალაქელების უმთავრესი თავშესაქცევი იყო, მაგრამ რედლები შინ ლოცულობდნენ. ეს ორი თვისება სრულიად უცხო და მიუღებელია მეიკომელისთვის. მისიზ რედლი ათასში ერთხელ თუ გასცდებოდა თავის ეზოს და ნაშუადღევს ყავის დასალევად მეზობლისას გადავიდოდა; მისიონერთა შეკრებას კი ნამდვილად არასოდეს დასწრებია. ბატონი რედლი ყოველდღე თორმეტის ნახევარზე გადიოდა სახლიდან და ზუსტად თორმეტზე ბრუნდებოდა შინ. ზოგჯერ ხელში ქაღალდის პარკი ეჭირა; მეზობლები ფიქრობდნენ – ალბათ ოჯახში სურსათი თუ მიაქვსო. მისი საქმიანობის შესახებ

არაფერი მსმენია. მართალია, ჯემმა ამიხსნა, ბამბით ვაჭრობსო, მაგრამ
იმ დროს "ბამბით ვაჭრობა" არაფრის კეთებას ნიშნავდა. ასეა თუ ისე,
ბატონი რედლი და მისი მეუღლე ორ ვაჟიშვილთან ერთად უხსოვარი
დრიოდან მეიკომში ცხოვრობდნენ.

რედლებს კიდევ ერთი უცნაურობა სჭირდათ: კარ-ფანჯარას კვი-
რადღესაც არ გამოაღებდნენ. მეიკომელები მხოლოდ ყინვის ან ავად-
მყოფობის დროს თუ ჩაირაზებოდნენ ხოლმე. ქალაქში კვირადღის ნა-
შუადღევი ზრდილობიანი ვიზიტების დროდ ითვლებოდა: ქალები კორ-
სეტებში გამოიწკიპებოდნენ, კაცები საგარეო კოსტიუმებს იცვამდნენ,
ვერც ერთ ფეხშიშველა ბავშვს ვერ შეხვდებოდით. მაგრამ რედლები
არც ამ ადათს იცავდნენ. ერთხელ მამას ვკითხე – ოდესმე თუ ჰქონიათ-
მეთქი ბადიანი კარი, და მან მიპასუხა – ჰქონდათ, ოღონდ ეგ შენს დაბა-
დებამდე იყოო.

მეზობლებში გავრცელებული ლეგენდის მიხედვით, როცა რედლე-
ების უმცროსი ვაჟი 16-17 წლისა ყოფილა, კანინგემებს დაახლოებია. კა-
ნინგემები ოლქის ჩრდილოეთის მკვიდრი მრავალრიცხოვანი და მეტად
შფოთიანი ხალხია. მართალია, ბევრს არაფერს აშავებდნენ, მაგრამ ის
ცოტაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ სამ სხვადასხვა საეკლესიო კათედ-
რას საჯაროდ გაეფრთხილებინა და ქალაქი ალაპარაკებულიყო. ეს ბიჭ-
ბუჭები ჯგროდ დაყიალებდნენ სადალაქოსთან; კვირაობით ავტობუ-
სით ჩადიოდნენ ებოტსვილში ფილმების სანახავად; ესწრებოდნენ ცეკ-
ვებს სანაპიროზე გაშენებულ გასართობ სახლში, რომელსაც "ციური
ცვარი და მეთევზის თავშესაფარი" ერქვა და არც ვისკის ერიდებოდნენ.
მაინც ვერავინ იკისრა, ბატონი რედლისთვის შეეტყობინებინა მისი ვა-
ჟიშვილის საეჭვო ყოფაქცევის ამბავი.

ერთ მშვენიერ საღამოს ეს ავარა ბიჭები სულ მთლად გავიდნენ თავს:
ნაქირავები მანქანით მოედანზე რამდენჯერმე უკუსვლით დაარტყეს წრე
და როდესაც მეიკომის უხუცესმა ეკლესიის მეთვალყურემ, ბატონმა კო-
ნერმა მათი დაკავება განიზრახა, გაუძალიანდნენ, სასამართლოს შენო-
ბაში ჩაამწყვდიეს და გარედან კარი ჩაუკეტეს. მოქალაქეებმა იმსჯელეს
და გადაწყვიტეს, რომ ამჯერად გაჩუმება აღარ შეიძლებოდა. საქმის მი-
ფუჩეჩებას არც ბატონი კონერი აპირებდა. ირწმუნებოდა, სათითაოდ
ყველა მაგ ყალთაბანდის ვინაობა ვიცი და სათანადო ზომებსაც მივიღებ

მათ დასასჯელადო. ამგვარად, ბიჭები კანონიერი მოსამართლის წინაშე
წარდგნენ. მათ ბრალად ედებოდათ სიმშვიდის დარღვევა, სიტყვიერი შე-
ურაცხყოფა, პიროვნების ფიზიკური ხელყოფა და მანდილოსნების თან-
დასწრებით ბილწსიტყვაობა. როდესაც მოსამართლემ გაიკვირვა, ეს ბო-
ლო ბრალდება საიდანლა გაჩნდაო, ბატონმა კონერმა უპასუხა – ისე ხმა-
მაღლა იგინებოდნენ, შეუძლებელია, მთელ მეიკომში ერთ ქალს მაინც არ
გაეგონაო. სასამართლომ დაასკვნა, რომ ბიჭები სახელმწიფო პროფტექ-
ნიკურ სასწავლებელში უნდა მიებარებინათ, სადაც ზოგჯერ ახალგაზ-
რდებს მხოლოდ იმ მიზეზით გზავნიდნენ, რომ საკვებითა და ნორმალური
ცხოვრების პირობებით უზრუნველეყოთ. ასე რომ, ახალგაზრდები დაპა-
ტიმრებასა და სირცხვილს გადაურჩებოდნენ. მაგრამ ბატონმა რედლიმ
სხვაგვარად განსაჯა. მან მოსამართლეს სთხოვა, ოღონდ არტური გაა-
თავისუფლეთ, და თავდებად დავუდგები, რომ სიმშვიდეს აღარავის და-
ურღვევსო. მოსამართლე ენდო ბატონ რედლის სიტყვას და გულდამშვი-
დებულმა გაათავისუფლა არტური.

დანარჩენი ბიჭები პროფტექნიკურ სასწავლებელში ჩარიცხეს. უკე-
თეს საშუალო განათლებას მაშინ შტატებში ვერც მიიღებდით. ერთმა
მათგანმა შემდგომში ობერნის უმაღლესი საინჟინრო სასწავლებელიც
კი დაამთავრა. ხოლო რედლების კარი მას მერე არათუ სადაგ დღეებში,
უქმეებზეც აღარ გაღებულა; არტურიც მთელი იმ თხუთმეტი წლის გან-
მავლობაში თვალით აღარავის უნახავს.

მაგრამ დადგა დღე – ის დღე ბუნდოვნად ჯემსაც ახსოვდა – როცა
რამდენიმე კაცმა რედლი-ბუას ხმა გაიგონა და თვალიც კი მოჰკრა მას.
ჯემმა მითხრა, ატიკუსს რედლებზე ლაპარაკი მაინცადამაინც არ უყ-
ვარს, როცა რამეს ვკითხავ, მეტყვის – შენს საქმეს მიხედე, რედლებმა
კი თავისი საქმე თვითონ იციან და არავისა აქვს უფლება, ჩაერიოსო.
მაგრამ თურმე, როცა ის ამბავი მომხდარა, ატიკუსმა თავი გადააქნია
და თქვა: "მმ, მმ, მმ..."

ამგვარ ცნობებს ჯემს უმთავრესად მის სტეფანი კროუფორდი აწ-
ვდიდა, ერთი ავყია მეზობლის ქალი, რომელიც გვარწმუნებდა – მაგ
ხალხისა ყველაფერი დაწვრილებით ვიციო. მისი ნაამბობის მიხედვით,
იმ დღეს ბუა თურმე მისაღებ ოთახში იჯდა და "მეიკომ ტრიბუნიდან"
ამოჭრილ ცნობებს ალბომში აკრავდა; ამ დროს ოთახში მამამისი შე-

სულა. როცა შვილს მიუახლოვდა, ბუამ თურმე ფეხში მაკრატელი ჩაასო, მერე კი ამოაძრო, სისხლი შარვალზე შეიწმინდა და თავისი საქმიანობა განაგრძო.

მისიზ რედლი კივილით გამოვარდნილა გარეთ – არიქა, გვიშველეთ, თორემ არტური ყველას დაგვხოცავსო; მაგრამ როცა შერიფი მისულა, ბუა ისევ იმ მდგომარეობაში დახვედრია: იჯდა თავისთვის სასტუმრო ოთახში და ამონაჭრებს მშვიდად აკრავდა ალბომში. მაშინ ის ოცდაცამეტი ნლისა ყოფილა.

მის სტეფანიმ ისიც გვითხრა, რომ როდესაც რედლებს ურჩიეს, კარგი იქნება, ბუამ ერთი სეზონი ტასკალუზას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაატაროსო, ბატონმა რედლიმ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა – სად რედლი და სად საგიჟეთიო! ბუა კი არ გაგიჟდა, უბრალოდ, ხანდახან მეტისმეტად აღიგზნება ხოლმეო. მისი აზრით, ურიგო არ იქნებოდა, თუ ბუას დააპატიმრებდნენ, მაგრამ ყოველგვარი გამოძიების გარეშე – ის ხომ ბოროტმოქმედი არ იყო! შერიფსაც გულმა არ უქნა, ზანგების გვერდით საერთო ციხეში ჩაეგდო არტური. ასე ამოყო ბუამ თავი სასამართლოს შენობის სარდაფში.

ჯემს ისიც ახსოვდა ბუნდოვნად, თუ როგორ დააბრუნეს ბუა სარდაფიდან შინ. მის სტეფანიმ გვითხრა, ქალაქის თავკაცებმა ბატონ რედლის ურჩიეს – თქვენი ვაჟი იმ ორმოდან დროზე ამოიყვანეთ, თორემ ნესტისგან ობი მოედება და დაილუპებაო. თანაც, ხომ არ შეიძლება, ბუამ უსასრულოდ ოლქის ხარჯზე იცხოვროსო.

არავინ უწყის, დაშინების რა ხერხს მიმართა ბატონმა რედლიმ შვილის ოთხ კედელში გამოსამწყვდევად. ჯემის ვარაუდით, ბუა მამამისს საწოლზე ჰყავდა თოკით მიბმული. მაგრამ ატიკუსი არ დაეთანხმა და გვითხრა – ადამიანის აჩრდილად გადასაქცევად უამრავი სხვა საშუალებაც არსებობსო.

მეხსიერებაში ცოცხლად აღმებეჭდა მისიზ რედლის სახე, იშვიათად რომ გამოაღებდა სახლის კარს და ყვავილების მოსარწყავად აივანზე გამოვიდოდა. ბატონ რედლის კი ჯემი და მე ყოველდღე ვხედავდით – ქალაქისკენ მიმავალს, ან ქალაქიდან უკან მომავალს. ამ ტანხმელსა და მოუხეშავ მამაკაცს საოცრად უფერული, სხივჩამქრალი თვალები ჰქონდა, მისი სახე კი გამოკვეთილი ყვრიმალებითა და ფართო პირით გამო-

ირჩეოდა; ქვედა ტუჩი სქელი ჰქონდა, ზედა კი თხელი. მის სტეფანი გვარწმუნებდა, ეგ ისეთი მაღალი ზნეობის ადამიანია, მხოლოდ ღვთის სიტყვას ემორჩილებაო, და ჩვენც გვჯეროდა, რადგან ბატონი რედლი მუდამ ანძასავით გაჯგიმული დადიოდა.

თუმცა ეს კაცი დალაპარაკებული არასოდეს გვენახა: როცა ჩვენს ეზოსთან ჩავლილს მივესალმებოდით ხოლმე, პასუხად მხოლოდ ჩაახველებდა. მისი უფროსი ვაჟი პენსაკოლაში ცხოვრობდა და მშობლებთან საშობაოდ თუ ჩამოვიდოდა. იგი იმ იშვიათ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნებოდა, რომლებიც რედლების სახლში შესული გვინახავს. მაგრამ იმ დღიდან, როცა ბატონმა რედლიმ არტური შინ დააბრუნა, ამბობდნენ – რედლების სახლში სიცოცხლე ჩაკვდაო.

ერთ მშვენიერ დღეს ატიკუსმა დაგვიბარა, თქვენი ხმა-კრინტი რომ გავიგო, შავ დღეს დაგაყენებთო, მერე კელპურნიას სთხოვა, მის არყოფნაში ჩვენთვის კარგად მოეხედა – თურმე ბატონი რედლი კვდებოდა.

ეს ამბავი კარგა ხანს გაგრძელდა: ჯერ იყო და, რედლების კარ-მიდამოსკენ მიმავალი გზა თავსა და ბოლოში ხარიხებით გადაკეტეს, მერე ბილიკი ჩალით მოფინეს და მოძრაობა უკანა ქუჩაზე გადაიტანეს. ექიმი რეინოლდსი ყოველ გამოძახებაზე ჩვენს ჭიშკართან აყენებდა მანქანას და მომაკვდავთან ფეხით მიეშურებოდა. ჯემი და მე მთელი დღე გარს ვუტრიალებდით მათ ეზოს. ბოლოს და ბოლოს, ხარიხა მოხსნეს და დავინახეთ, უკანასკნელ გზაზე მიმავალი ბატონი რედლი როგორ ჩაატარეს ჩვენი ეზოს წინ.

– ჩვენი ჭირიც წაგიღია, შე უკეთურო, შენა, – ჩაიბუტბუტა კელპურნიამ და ფიქრმორეულმა ეზოში გადააფურთხა.

მე და ჯემმა გაოცებისგან თვალი ვჭყიტეთ – კელპურნიას თეთრკანიანებზე აუგის თქმა არ სჩვეოდა!

მეზობლები მოელოდნენ, რომ ბუა მამამისის გასაცილებლად მაინც გამოვიდოდა გარეთ, მაგრამ ნურას უკაცრავად: პენსაკოლადან არტურის უფროსი ძმა ჩამოვიდა და ოჯახში მამის ადგილი დაიმკვიდრა; ბატონი რედლისგან კი იგი მხოლოდ ასაკით განსხვავდებოდა. ჯემმა მაცნობა – ნათან რედლიც ბამბით ვაჭრობსო. ისე, ბატონი ნათანი სალამზე პასუხს გვაძლევდა და დროდადრო, ქალაქიდან მობრუნებულს ხელში ჟურნალიც კი ეჭირა ხოლმე.

რაც უფრო მეტს ვუამბობდით დილს რედლებზე, მით უფრო უცხოველდებოდა ინტერესი, მით უფრო დიდხანს ყურყუტებდა განათების ბოძთან და მით უფრო ცნობისმოყვარე თვალებით შეჰყურებდა რედლების სახლს.

– ნეტავი გამაგებინა, რას აკეთებს იქ! – იტყოდა ხოლმე, – ასე მგონია, სადაცაა, თავს გამოყოფს კარებიდან და გამოიხედავს!

ჯემმა უთხრა:

– შენ რა, გგონია, გარეთ საერთოდ არ გამოდის? გამოდის, ოღონდ უკუნ ღამეში! მის სტეფანი კროუფორდმა მითხრა, ერთხელ შუაღამისას გამომეღვიძა და დავინახე, ფანჯრიდან მომჩერებოდა, ადამიანის სახე არ ედო, ცარიელი თავის ქალაა! რა, ღამით არასოდეს გაგღვიძებია და არ გაგიგონია მისი ფეხის ხმა? – ჯემმა ხრეშზე გაახახუნა ფეხები:

– როგორ გგონია, რატომ იკეტება ღამლამობით მის რეიჩელი ეგრე საგულდაგულოდ? იცი, რამდენჯერ მინახავს ბუას ნაკვალევი ჩვენს ბოსტანში დილაობით? ერთხელ ღამით გავიგონე კიდევაც, ჩვენი ბაღიდან კარზე რომ აფხაჭუნებდა, მაგრამ ატიკუსის მისვლამდე დაიმალა...

– ნეტა, მაინც როგორია, ჰა?– ჰკითხა დილმა.

ჯემმა მეტად დამაჯერებლად აგვიწერა ბუა: ბოსტანში აღმოჩენილი ნაკვალევის მიხედვით, იგი ექვს-ნახევარი ფუტი სიმაღლისა უნდა იყოსო; იკვებება ნანადირევი ციყვისა და კატის უმი ხორცით. ამიტომ ხელები ყოველთვის სისხლში აქვს ამოთხვრილიო: ვინც ხორცს უმად ჭამს, ხელებიდან სისხლს ხომ ვერასოდეს განიბანს! ბუას სახეზე გარდიგარდმო გასდევს გრძელი, ნანიბურებიანი ნაჭრილობევი. ორიოდე კბილი შერჩენია და ისინიც ჩაყვითლებულ-ჩამპალი, დორბლიანია და თვალებგადმოკარკლულიო.

– მოდი, როგორმე გარეთ გამოვიტყუოთ, – თქვა დილმა, – ძალიან მინდა ვნახო, როგორია.

ჯემმა მიუგო – სიცოცხლე თუ მოგბეზრებია, მიდი და კარზე მიუკაკუნეო.

დილი რომ არა, რედლების ეზოში შესვლას ალბათ ვერასოდეს გავბედავდით. ჯემს სანაძლეო დაუდო – ერთ "რუხ აჩრდილში" ორ "ტომ სვიფტს" მოგცემ, თუ რედლების ეზოში შეხვალო. რაც მართალია, მართალია, ჯემს სიმხდალეს ვერ დასნამებდით. სამ დღეს იფიქრა. მე მგონი, მამაკაცური ღირსება თავსაც ერჩივნა, რადგან დილს მისი დაყოლიება არც ისე გასჭირვებია.

– გეშინიაო, – უთხრა პირველ დღეს. ჯემმა მიუგო – არაფრისაც არ მეშინია, უბრალოდ, თავხედი არა ვარო. – არა კი არა! ფეხის ცერსაც ვერ დააკარებ რედლების ეზოსო, – არ ცხრებოდა დილი. – რო მეშინოდეს, ყოველდღე რედლების ეზოს გავლით სკოლაში როგორღა წავიდოდიო?

– კი არ მიდიხარ, სულ თავქუდმოგლეჯილი გარბიხარ-მეთქი, – ჩაერია მე.

მესამე დღეს ჯემი საბოლოოდ გატყდა. დილმა უთხრა – მეიკომელები მერიდიანელებზე ბევრად მშიშრები ყოფილან, ასეთი მხდალი ხალხი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავსო!

მაშინ კი იკადრა ჯემმა და ქუჩის კუთხემდე ჩაბრძანდა. განათების ბოძს მიეყრდნო და მონჯღრეულ ანჯამებზე ჩამოკონწიალებულ ჭიშკარს მიაშტერდა.

– დილ ჰარის, იმედი მაქვს, შევიდა შენს თავში, რომ ბუა არც ერთს არ დაგვინდობს, – უთხრა ჯემმა, როცა ჩვენც მივუახლოვდით, – ჰოდა, თვალებს რო დაგთხრის, შენს თავს დააბრალე!

– ახლაც გეშინია, – აუღელვებლად მიუგო დილმა.

ჯემმა გადაწყვიტა, დილისთვის ერთხელ და სამუდამოდ დაემტკიცებინა, რომ არაფრისაც არ ეშინოდა – ისე როგორ გამოვიტყუო გარეთ, რო ჩვენ თითონ არ ჩავუვარდეთ ხელშიო? – გარდა ამისა, ჯემს თურმე უმცროს დაიკოზეც უნდა ეზრუნა...

ეს თქვა თუ არა, მივხვდი, რომ ძალიან ეშინოდა: ერთხელ, კარგა ხნის წინათ, წავაქეზე, აბა, სახურავიდან თუ გადმოხტები-მეთქი, და მაშინ მითხრა – მე რო მოვკვდე, შენ რაღა გეშველებაო? მერე ისკუპა, მშვიდობიანად დახტა მიწაზე და უმცროსი დის მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობაც მანამ აღარ გაპლვიძებია, ვიდრე ახლა რედლების ჭიშკარს არ გაუსწორდა.

– ჰა, გაურბიხარ სანაძლეოს? – ჰკითხა დილმა, – თუ გაურბიხარ, მაშინ...

– დამაცადე, მოვიფიქრო, დილ, – არ თმობდა ჯემი, – ეს იგივეა, კუს გამოტყუება რო სცადო ჯავშნიდან.

– ეგ როგორ? – ჰკითხა დილმა.

– როგორ და, ასანთს შეუნთებ ქვემოდან.

მე მაშინვე გავაფრთხილე ჯემი, რედლების სახლის გადაწვას თუ აპირებ, იცოდე, ატიკუსთან დაგაბეზღებ-მეთქი.

დილმა კი თქვა, კუსთვის ცეცხლის შენთება საზიზღარი საქციელიაო.

– საზიზღარი რატომაა, – აღშფოთდა ჯემი, – უბრალოდ, გარეთ გამოიტყუებ, კი არ დაწვავ!

– მერე ვინ მოგახსენა, რომ არ ეტკინება?

– ჩერჩეტო, კუ ვერაფერსაც ვერ გრძნობს, – უპასუხა ჯემმა.

– რაო, რაო? შენ, ბატონო, ოდესმე კუ ხომ არ იყავი?

– კარგი რა, დილ, გეყოფა! მაცალე, იქნება, რამე უკეთესიც მოვიფიქრო...

ჯემმა იმდენ ხანს იფიქრა, რომ დილი მცირე დათმობაზეც წავიდა – ლაჩარს აღარ დაგვიძახებ, და რასაც დაგპირდი, იმასაც მოგცემ, ოღონდ სახლის კედელს მიადე ხელიო.

ჯემს სახე გაუნათდა.

– სახლს შევეხო, სულ ეგაა?

დილმა თავი დაუქნია.

– არა, მართლა, სულ ეგაა? რო მოვბრუნდები, მერე რო სხვანაირად აჭიკჭიკდე?

– ხო გითხარი, სულ ეგაა-მეთქი, – არწმუნებდა დილი, – ეზოში შესულს რო დაგინახავს, ალბათ გამოვარდება. მაშინ მე და ჭყიტა ვეცემით და დავაკავებთ. სანამ არ შეიგნებს, რო არაფერს დავუშავებთ.

ჩვენ ქუჩა გადავჭერით და რედლების ჭიშკარს მივადექით.

– ჰე, მიდი რაღა, – წააქეზა დილმა, – მე და ჭყიტა აქ არა ვართ?

– მივდივარ, ნუ მაჩქარებ, – უთხრა ჯემმა.

მან ღობის გასწვრივ ჩაისეირნა და უკან გამობრუნდა. ეზოს აკვირდებოდა: ალბათ უნდოდა, სახლამდე უმოკლესი გზა შეერჩია, თან შუბლშეკრული კეფას იქექავდა.

უცებ მე დავეჭყანე.

ჯემმა მაშინვე მოშვლიპა ჭიშკარი და შურდულივით გავარდა რედლების სახლისკენ. ხელისგული კედელს მიარტყა და სირბილითვე გამობრუნდა. იმის გასაგებად, ვაჟკაცობა ჩაეთვალა თუ არა, ჩვენთან არც კი შეჩერებულა; დილმა და მე ფეხდაფეხ მივდიეთ, სანამ ჩვენ სახლს არ მივაღწიეთ. მხოლოდ იქ გავბედეთ შეჩერება და აქოშინებულებმა უკან მივიხედეთ.

ძველი სახლი კვლავინდებურად მოჟამული და უსიცოცხლო ჩანდა. მაგრამ აქედან მოგვეჩვენა, თითქოს ერთ ფანჯარაში შიდა დარაბა ოდნავ შეირხა. ნამიერი და თითქმის შეუმჩნეველი იყო ეს მოძრაობა, მერე კი ყველაფერი ძველებურად გაირინდა.

2

ზაფხული მიინურა და დადგა დღე, როცა დილი მერიდიანში უნდა დაბრუნებულიყო. მისი ავტობუსი მეიკომიდან ხუთ საათზე გადიოდა. მე და ჯემმა სადგურამდე მივაცილეთ. არ ვიცი, დილთან განშორებას რა გადამატანინებდა, ბედზე სკოლა რომ არ გამხსენებოდა! ერთი კვირაც და, მოსწავლე გავხდებოდი, ეს კი ჩემი ცხოვრების სანუკვარი ოცნება იყო. ვინ მოთვლის, ზამთრობით რამდენჯერ მოვკალათებულვარ ჩვენს ხის ქოხში, სკოლის ეზოსთვის რომ მეთვალთვალა: მოვიმარჯვებდი ჯემის ნაჩუქარ ჭოგრიტს და საათობით ვუჭვრეტდი ჭიანჭველებივით აფუსფუსებულ მოსწავლეებს, ვეცნობოდი მათ გასართობებს; დახუჭობანას თამაშით გართული გოგო-ბიჭების მწკრივებში გაფაციცებული ვადევნებდი თვალს ჯემის წითელ ქურთუკს... ასე უჩინრად ვიზიარებდი ჩემი ძმისა და მისი მეგობრების მარცხსა თუ პატარ-პატარა გამარჯვებებს. ერთი სული მქონდა, მათთან ერთად მეთამაშა!

ჩემი სკოლაში წაყვანა პირველ დღეს დიდსულოვნად იკისრა ჯემმა. მართალია, საერთოდ ეს მშობლების საქმეა, მაგრამ ატიკუსმა ამიხსნა – ჯემი სიხარულით მიგაცილებს საკლასო ოთახამდეო. ისე კი, არა მგონია, ჯემს მთლად უანგაროდ ეკისრა ეს მოვალეობა: როცა სკოლისკენ გავეშურეთ და რედლების სახლთან ნაბიჯს ჩვეულებისამებრ ავუჩქარეთ, ჩემი ძამიკოს ჯიბეებიდან უჩვეულო ჩხრიალი მომესმა... როცა სკოლის ეზოსთან ნაბიჯს ისევ ვუკელით, ჯემმა წინდახედულად გამაფრთხილა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი შესვენებებზე – იცოდე, ჭყიტა,

გაკვეთილი რო დაგიმთავრდება, შენებურად არ მომვარდე, "ტარზანი და ჭიანჭველა-კაცუნებიდან" ნაწყვეტი დავდგათო, ჩემ პირად საქმეებშიც ნუ ჩაყოფ ცხვირს და საერთოდ, დასვენებებზე ფეხებში ნუ გამებლანდები. შენ პირველკლასელებთან უნდა დარჩე, მე კი მეხუთეკლასელებთანო. მოკლედ, ჯემის სიტყვებიდან ისე გამოდიოდა, რომ შესვენებებზე ახლოსაც არ უნდა გავკარებოდი.

– მაშ, მორჩა, აღარასოდეს მეთამაშები, არა? – ვკითხე მე.

– როგორ არა, შინ ძველებურად ვითამაშებთ, ოღონდ შენ თითონაც ნახავ, ჭყვიტა, სკოლა სულ სხვა რამეა, – მიპასუხა მან.

მალე დავრწმუნდი, რომ სკოლა მართლა სულ სხვა რამ ყოფილა: ჩემმა მასწავლებელმა, მის კეროლაინ ფიშერმა სასწავლო წლის პირველსავე დღეს მთელი კლასის წინაშე ფეხზე დამაყენა და ხელისგულზე სახაზავი დამკრა, მერე კი დიდ შესვენებამდე კუთხეში მაყურყუტა.

მის კეროლაინი ოცდაერთ წელზე მეტისა არ იქნებოდა. მუქი წითელი თმა და ღაუღაჟა ლოყები ჰქონდა, ფრჩხილები ალისფრად შეეღება. მაღალქუსლიანი ვიწრო ფეხსაცმელი და თეთრი წითელზოლიანი კაბა ეცვა. საერთო იერით კოწახურის კანფეტს მოგაგონებდათ. იგი ოთახს ქირაობდა მის მოდი ეტკინსონის სახლში, მეორე სართულზე. ერთხელ მის მოდიმ თავისი მდგმური მე და ჯემს გაგვაცნო. ამ ნაცნობობამ ჯემზე ისე ძლიერ იმოქმედა, რომ მერე კარგა ხანს რეტდასხმული დადიოდა.

მის კეროლაინმა თავისი სახელი და გვარი დაფაზე დაგვინერა და აგვიხსნა – აქ წერია, რომ მე მის კეროლაინ ფიშერი მქვია. წარმოშობით ჩრდილო ალაბამადან ვარ, უინსტონის ოლქიდანო. ბავშვები შეჩოჩქოლდნენ – ნეტა ხასიათიც ისეთი ხომ არა აქვს, როგორიც მის მშობლიურ კუთხეს შეეფერებაო. საქმე ისაა, რომ 1861 წელს 11 იანვარს, როცა ალაბამა სამხრეთის შტატებს გამოეყო, უინსტონის ოლქიც, თავის მხრივ, გამოეყო ალაბამას და ყველამ ვიცოდით, რომ ეს მხარე ალკოჰოლურ სასმელთა ქარხნის, საქსოვი ფაბრიკის, ფოლადსასხმელი კომპანიის, პროფესორებისა და, საერთოდ, საეჭვო ხალხის სამშობლო იყო.

ამის შემდეგ მის კეროლაინმა აიღო წიგნი და ნაგვიკითხა ზღაპარი კატებზე: კატებს მეტად უცნაური ტანსაცმელი ეცვათ და დაუსრულებლად რაღაცას ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს; ცხოვრობდნენ მყუდრო, თბილი სახლის ღუმელქვეშ. იმ დროისთვის, როცა ქალბატონმა კატამ

შოკოლადში ამოვლებული წრუწუნების საყიდლად აფთიაქში შეიარა, პირველკლასელები აწრიალებულ ჭიაღუებს უფრო ვგავდით, ვიდრე მოსწავლეებს. მის კეროლაინს, ეტყობა, არ ესმოდა, რომ ჩითის პერანგებსა და ჯვალოს შარვლებში გამოწყობილი ბავშვები, რომელთა უმრავლესობა, რაც თავი ახსოვდათ, უფროსებს ბამბის შეგროვებაში, ან კიდევ საქონლის მოვლაში ეხმარებოდნენ, მხატვრულ კითხვას ჩვეული არ იყვნენ. როცა მოთხრობა ბოლომდე ჩაიკითხა, მასწავლებელმა ამოგვხედა და გვითხრა:

– რა მშვენიერი იყო, ბავშვებო, არა?

შემდეგ დაფისკენ გაემართა, ზედ უზარმაზარი ბეჭდური ასოებით ჩამოგვიწერა ანბანი, მოგვიტრიალდა და გვკითხა – აბა, მითხარით, ვინ იცის, რაც დავწერეო?

ყველამ იცოდა: მოსწავლეთა უმეტესობა მეორედ იჯდა პირველ კლასში.

ალბათ იმიტომ, რომ ჩემი სახელი ახსოვდა, მის კეროლაინმა მე ამირჩია. მეც შევუდექი ანბანის კითხვას. შუამდე რომ ჩავედი, შევნიშნე, მასწავლებელს შუბლი ოდნავ შეეჭმუხნა. ხოლო როცა "ჩემი პირველი წიგნი" და ნაწყვეტები "მობაილ რეჯისტერიდან" თითქმის თავიდან ბოლომდე წამაკითხა, დაასკვნა, რომ წიგნიერი ვიყავი და – არც მეტი, არც ნაკლები – ზიზღით აღსავსე მზერა მომაპყრო. შემდეგ მითხრა – გადაეცი მამაშენს, ნულარ გასწავლის, თორემ კითხვაში ეგ ძალიან შეგიშლის ხელსო.

– მამა? – გავიკვირვე მე, – მამას ჩემთვის არაფერი უსწავლებია, პატივცემულო. ატიკუსს სულ არა აქვს დრო, – დავძინე მე, როცა მის კეროლაინმა გამიღიმა და თავი გადააქნია, – სამსახურიდან ისეთი დაღლილი ბრუნდება, რომ ჩემთვის აღარ სცალია. დაჯდება ხოლმე მისაღებ ოთახში და გაზეთებს კითხულობს.

– მაშ, ვინ გასწავლა? – ამჯერად გულთბილად მკითხა მის კეროლაინმა, – ცხადია, ვილაცამ გასწავლა, აბა, გაზეთების კითხვის უნარი დაბადებით ხომ არ დაგყვებოდა?

– ჯემი ეგრე ამბობს. იცით, სადღაც წაიკითხა, რომ მე ფინჩი კი არა, ბულფინჩი ვარ და რო ჩემი ნამდვილი სახელი ჯინ ლუიზა ბულფინჩია. თურმე, როცა დავიბადე, გამომცვალეს, სინამდვილეში კი..

ეტყობა, მის კეროლაინმა იფიქრა, რომ ვატყუებდი და მითხრა:

– კმარა, გენაცვალე, ეგ ზღაპრები სად წაგიყვანს! მაშ, გადაეცი მამას, რომ აჯობებს, შინ აღარ გასწავლოს. უთხარი, რომ შენს სწავლა-განათლებას ამიერიდან მე ვკისრულობ. ვეცდები, როგორმე გამოვასწორო უკვე გაფუჭებული საქმე.

– ბატონო?

– რა და, მამაშენმა არ იცის, როგორ უნდა გასწავლოს. ახლა კი შეგიძლია შენი ადგილი დაიკავო.

ძალიან ვწუხვარ-მეთქი, – ჩავიდუდუნე, მერხისკენ მიმავალი კი ჩადენილ დანაშაულს ჩავუფიქრდი. კითხვა შეგნებულად არ მისწავლია. რაც მართალია, მართალია, დროდადრო ვცოდავდი და გაზეთებში ვიქექებოდი; მაგრამ იქნება ეკლესიაში საათობით ჯდომისას ვისწავლე ანბანი? ან კი იყო ისეთი დრო, "ლოცვანის" კითხვა რომ არ შემეძლო? ახლა, როცა მაიძულეს, ამაზე მეფიქრა, მეგონა, რომ კითხვა უნებლიეთ ავითვისე, ისევე თავისთავად, როგორც კაბის ზურგზე ღილების შებნევის, ან კიდევ ფეხსაცმელზე ჩახვეული ზონრის ორად გამონასკვის ხელოვნება. ვერაფრით ვერ მოვიგონე, თუ როდიდან გადაიქცნენ მამაჩემის საჩვენებელ თითს ზემოთ გავლებული საგაზეთო სტრიქონები ცალკეულ სიტყვებად. თუმცა, ერთი რამ დანამდვილებით მახსოვდა: არ ყოფილა საღამო, მამასთან ერთად გაზეთში ცხვირჩარგულს ახალი ამბებისთვის რომ არ მესმინა, იქნებოდა ეს "ახალი კანონპროექტის" გამოცხადება, თუ "ლორენცო დოს დღიურები". ყოველღამ, ძილის წინ, ატიკუსს მუხლებზე ავაცოცდებოდი და ყურს ვუგდებდი ყველაფერს, რასაც მამაჩემი კითხულობდა. კითხვა რომ მყვარებია, მხოლოდ ახლაღა მივხვდი, როცა მისი აკრძალვა დამიპირეს – განა ფიქრობ იმაზე, გიყვარს თუ არა სუნთქვა?

ვგრძნობდი, მის კეროლაინი გავაღიზიანე და ამიტომ წყნარად ჯდომა და ფანჯრიდან ეზოში ყურება ვარჩიე. ამ მდგომარეობიდან საბოლოოდ ჯემმა გამომიყვანა, როცა შესვენებაზე პირველკლასელების "ფარას" მომწყვიტა და მკითხა, როგორ შეეგუე სკოლასო. მეც ყველაფერი ვუამბე:

– აუცილებელი რომ არ იყოს, ნუთსაც აღარ დავრჩებოდი აქ. ჯემ, იცი, იმ საძაგელმა ქალმა მითხრა, ატიკუსს გადაეცი, კითხვას ნუ გასწავლისო!

– დანყნარდი, ჭყიტა, – დამამშვიდა ჯემმა, – ჩვენმა მასწავლებელმა მითხრა, მის კეროლაინი წერა-კითხვას ახალი მეთოდით ასწავლისო.

მისთვის თურმე ეგ კოლეჯში უსწავლებიათ. მალე ყველა კლასში ასე იქნება. ეს მეთოდი როგორია, იცი... აი, მაგალითად, ძროხებზე რომ მოგინდეს რაღაცის გაგება, უნდა წახვიდე და თითონ მოწველო, წიგნში კი არ წაიკითხო, გესმის?

– კი მაგრამ, ძროხებზე არაფრის გაგება რომ არ მინდა?

– როგორ თუ არ გინდა?! ძროხებზე სწორედ რო ყველაფერი კარგად უნდა იცოდე! მეიკომის ოლქი უძროხებოდ რა იქნებოდა?!

მე ისღა ვაკმარე, რომ ვკითხე – შენ რა, ჭკუიდან ხომ არ შეიშალე-მეთქი, მან კი მიპასუხა:

– შე ჯიუტო, მინდა გაგაგებინო, რომ პირველკლასელებს ახლებურად ასწავლიან და მეტი არაფერი. ამ მეთოდს "დიუის ათწილადი სისტემა" პქვია.

ჯემის განცხადებებში ეჭვი არასოდეს შემიტანია. არც ახლა მქონდა რაიმე საფუძველი, მისთვის არ დამეჯერებინა.

ალბათ ისიც "დიუის ათწილადი სისტემის" გამოძახილი იყო, რომ მის კეროლაინი ნამდაუწუმ გვიფრიალებდა თვალწინ რაღაც ბარათებს, რომლებზეც ბეჭდური ასოებით გამოეყვანათ: "ია", "თათი", "თითი" და "შენ". როგორც ჩანს, ამ პროცესში მონაწილეობის მიღება ჩვენთვის სრულებით არ იყო სავალდებულო. თვალსაჩინოების ამგვარ გამოვლინებას კლასი სრული სიჩუმით ეგებებოდა. მალე მოვინყინე და ვიფიქრე – მოდი, დილს წერილს მივწერ-მეთქი. სწორედ ამ საქმიანობისას შემნიშნა მის კეროლაინმა და ამჯერად დამაბარა:

– გადაეცი მამას, წერას ნუ გასწავლის. სხვათა შორის, პირველ კლასში საერთოდ არ ვწერთ, ვბეჭდავთ. წერას მესამე კლასში დაინყებთო.

რაც შეეხება წერას, ამაში კი ვიცოდი, ვისაც ედო ბრალი: რა თქმა უნდა, კელპურნიას! წვიმიან ამინდში, იმის შიშით, რომ ჩემი გადამკიდე, ჭკუიდან არ შემცდარიყო, ასე მიშორებდა თავიდან: მომცემდა საწერ ქაღალდს და დამავალებდა – ჯერ ანბანი ჩამოწერე, მერე კი ბიბლიიდან ერთი თავი გადაწერეო. თუ ჩემი "სუფთა წერა" დააკმაყოფილებდა, შაქარმოყრილი კარაქიანი პურით დამაჯილდოებდა. ისე კი, ამგვარი "გაკეეთილების" დროს კელპურნია ხასიათის სიმტკიცეს იჩენდა: ჩემი ნამუშევარი იშვიათად მოსწონდა და იშვიათადაც მაჯილდოებდა.

ვინ იცის, რამდენ ხანს ვიქნებოდი კელპურნიაზე გულმოსული, მის კეროლაინს რომ არ გამოეცხადებინა – ვინც სასაუზმოდ შინ მიდიხართ, ხელი ასწიეთო.

სად იყო და სად არა, მერხებზე ბადაგიანი პაწია თუნუქები გაჩნდა და ჭერზე ათინათები აციმციმდა. მის კეროლაინმა რიგებს შორის ჩამოიარა და ყველას საუზმე შეათვალიერა. დროდადრო კმაყოფილების ნიშნად თავს დააქნევდა, ხან კი სახე მოელუშებოდა. ხოლო უოლტერ კანინგემის მერხთან შედგა და ჰკითხა:

– შენი საუზმე სადღაა?

უოლტერ კანინგემს სახეზე ეტყობოდა, რომ მუცლის ჭიები ჰყავდა. ეს ყველა პირველკლასელისთვის ცხადზე ცხადი იყო: უოლტერი ფეხსაცმელს არ იცვამდა, მუცლის ჭიები კი სნორედ ბოსელსა და ღორების წუმპეში ფეხშიშველა ტანტალმა იცის. მას რომ ფეხსაცმელი ჰქონოდა, შეიძლება სასწავლო წლის პირველ დღეს ჩაეცვა კიდეც, მაგრამ დღის ბოლოს უეჭველად გაიხდიდა და დაზამთრებამდე აღარ იხმარდა. სამაგიეროდ, გაქათქათებული პერანგი და საგულდაგულოდ დაკემსილი შარვალი ეცვა.

– ამ დილით საუზმის წამოღება დაგავიწყდა? – ჰკითხა მის კეროლაინმა.

უოლტერი თვალგაშტერებული იჯდა. გაძვალტყავებულ ლოყაზე კუნთი შეუტოკდა.

– საუზმე შინ დაგრჩა? – ჰკითხა მის კეროლაინმა და უოლტერს ისევ შეუტოკდა ლოყა.

– დიახ, – ამოილულლულა ბოლოს.

მის კეროლაინი მაგიდისკენ გაემართა და საფულე გახსნა. გამომართვი ეს ოცდახუთცენტიანი, – უთხრა უოლტერს, – წადი და დღეს ქალაქში ისაუზმე. ფულს ხვალ დამიბრუნებ.

უოლტერმა უარის ნიშნად თავი გაიქნია:

– არ მინდა, მაასწ, გმადლობთ, – ჩაიდუდუნა მან.

მის კეროლაინს ხმაში მოუთმენლობა შეეპარა:

– უოლტერ, მოდი აქ და გამომართვი ფული, გესმის?

უოლტერმა ისევ გააქნია თავი.

როცა მან მესამედაც გააქნია თავი, ვიღაცის ჩურჩული მომესმა – ჭყიტა, მიდი, უთხარიო.

უკან მივიხედე და დავინახე – ქალაქელი ბავშვების უმეტესობა და უკლებლივ ყველა გარეუბნელი ბავშვი მე მომჩერებოდა. ამგვარი არჩევანი ალბათ იმან განაპირობა, რომ მის კეროლაინს უკვე ორჯერ გავესაუბრე, ჩემს თანაკლასელებს კი გულუბრყვილოდ მიაჩნდათ, რომ ნაცნობობა ურთიერთგაგების საწინდარია.

მეც აღარ დავაყოვნე და დიდსულოვნად გამოვიდე თავი უოლტერის დასაცავად:

– ისაა... მის კეროლაინ!

– რა იყო, ჯინ ლუიზა?

– მის კეროლაინ, ეგ ხომ კანინგემია, – ვთქვი და დავჯექი.

– რაო, რა თქვი?

ჩემი აზრით, ყველაფერი გასაგებად ავუხსენი. მასწავლებლის გარდა, ყველას გვესმოდა, რომ უოლტერ კანინგემი ტყუილს ჩმახავდა: მას საუზმე შინ კი არ დარჩენია, საერთოდაც არ გააჩნდა, არც დღეისთვის ჰქონდა, არც ხვალ და არც ზეგ არ ექნებოდა; არც ოცდახუთი ცენტი ექნებოდა ოდესმე თვალით ნანახი. მე კიდევ ერთხელ გავუმეორე:

– მის კეროლაინ, უოლტერი გვარად ხომ კანინგემია.

– მერე, ჯინ ლუიზა, მაგით რის თქმა გსურს, არ მესმის?

– არა უშავს, პატივცემულო, მალე ოლქში ყველას კარგად გაიცნობთ. იცით, კანინგემები ისეთს არაფერს გამოგართმევენ, რასაც უკანვერ დაგიბრუნებენ. არც ეკლესიისგან და არც მთავრობისგან არ იღებენ მოწყალებას. არავის არაფერს არ ართმევენ. ისე, მდიდრები კი არ არიან, მაგრამ ცდილობენ, რაცა აქვთ, ის იმყოფინონ.

კანინგემების საგვარეულოს, უფრო სწორად, მათ ერთ შტოს, ასე კარგად შარშანდელი ზამთრიდან ვიცნობდი. უოლტერის მამა ატიკუსის კლიენტი იყო. ერთ საღამოს იგი მამას ეწვია და დიდხანს ესაუბრა ჩვენს მისაღებ ოთახში. საქმე სამემკვიდრეო მინა-ნყალზე დაწესებულ გადასახადებს ეხებოდა, რასაც თურმე კანინგემების ხელმოკლეობა გამოუწვევია. უსიამოვნო საუბრის შემდეგ, ბატონი უოლტერი მამას ამ სიტყვებით დაემშვიდობა – არ ვიცი, მისტერ ფინჩ, ოდესმე თუ შევძლებ თქვენი პატივისცემის გადახდასო. მამამ კი უპასუხა: სხვა სადარდელი ნუ მოგცათ ღმერთმა, ჩემო უოლტერ.

მე ჯემს ვკითხე, თუ რას ნიშნავდა ხელმოკლეობა, და მანაც ამიხსნა – აი, როცა ხელი დაგიმოკლდებაო. მერე კი ატიკუსს ვკითხე, მისტერ

კანინგემი ვალს თუ გადაგიხდის-მეთქი, და მანაც მომიგო – რა თქმა უნდა, გადამიხდის, ოღონდ ფულით არა. დააკვირდი და თვითონ დაინახავ, ერთი წელიც არ იქნება გასული, რომ ვალს გაისტუმრებსო.

მე და ჯემიც ვაკვირდებოდით: ჯერ იყო და, ერთ დილას სახლსუკანა ეზოში შეშის გროვა გაჩნდა. მერე უკანა კიბეზე კაკლით სავსე ტომარა ვიპოვეთ, საშობაოდ კი ბაძგის კალათა; ხოლო, როცა გაზაფხულზე ნორჩი თალგამით სავსე ტომარაც აღმოვაჩინეთ, ატიკუსმა გვითხრა – ბატონმა კანინგემმა ვალი გადაჭარბებით გადაიხადაო.

– მამა, ასე რატომ გიხდის? – დავინტერესდი მე.

– იმიტომ, რომ სხვაგვარად არ შეუძლია, ფული არა აქვს.

– ატიკუს, ჩვენ გვიჭირს?

ატიკუსმა თავი დამიქნია:

– მართლაც რომ გვიჭირს.

ჯემმა ცხვირი დამანჭა. კანინგემებივით გვიჭირსო? – იკითხა.

– არც იმდენად. კანინგემები სოფლელი ხალხია, კრიზისს კი ფერმერები ყველაზე მწვავედ განიცდიანო, – გვითხრა ატიკუსმა.

მან აგვიხსნა – პროფესიის მქონე ხალხს სწორედ იმიტომ უჭირს, რომ სოფელი გაღატაკდა. ექიმებისა და ვექილების გაჭირვებაც იმით აიხსნება, რომ მეიკომი სასოფლო-სამეურნეო ოლქია. სამემკვიდრეო მინა-წყალზე დაწესებული ბეგარა კანინგემების გასაჭირის მხოლოდ ნახევარია: იმ მინებში, რომლებიც ბატონ უილიამს პირადად არ ეკუთვნის, სახელმწიფოს უამრავი გადასახადი და პროცენტი უნდა უხადოს, ხელზე კი თითქმის აღარაფერი რჩება; მერე კიდევ, მისტერ კანინგემი პირში ენას ვერ აჩერებს, თორემ მაშინ ქალაქში რაიმე სამსახურს გამოუძებნიდნენ; მაგრამ მინა უმისოდ დაილუპება, ამიტომ მას ურჩევნია, მშიერ კუჭზე მინა-წყალს მიხედოს, სამაგიეროდ, არჩევნებში ხმა ვისაც მოესურვება, იმას მისცეს. ბატონი კანინგემი უტეხი და ქედუხრელი კაციაო, – გვითხრა ატიკუსმა.

რადგან ვექილისთვის გადასახდელი ფული არ ჰქონდათ, კანინგემები იმას გვაძლევდნენ, რაც მოეპოვებოდათ. იცით, თუ არა, – გვკითხა ატიკუსმა, – რომ ექიმ რეინოლდსაც ამგვარად უხდიან? ქალის მშობიარობაში ზოგიერთი ოჯახი მოზრდილ ტომარა კარტოფილს უხდის. მის ჭყიტა, გულისყურს თუ მომაპყრობთ, აგიხსნით, რასაც ნიშნავს ხელმოკლეობა. ჯემი ზოგჯერ მეტისმეტად მიახლოებით განმარტებებს იძლევა.

ყოველივე ეს მის კეროლაინისთვის გასაგებად რომ ამეხსნა, თავს უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავიგდებდი, და არც ახალგაზრდა მასწავლებელს ჩავაგდებდი ასეთ უხერხულ მდგომარეობაში. მაგრამ, აბა, სად შემეძლო, ატიკუსივით კარგად განმემარტა ყველაფერი... ბოდა, ვუთხარი:

– მის კეროლაინ, თქვენ უოლტერი შეარცხვინეთ, მას თხუთმეტცენტიანიც არ ექნება სახლში და თქვენ როგორღა დაგიბრუნებთ? თქვენ კი შეშა არაფერში გამოგადგებათ...

მის კეროლაინი ერთხანს გახევებული იდგა, მერე საყელოში ჩამავლო ხელი და თავის მაგიდასთან მიმათრია: ჯინ ლუიზა, მთელი დილაა, შენგან მოსვენება არა მაქვს, ძალიან ცუდად იწყებ, გენაცვალე. აბა, გაშალე ხელი!

ვიფიქრე, ალბათ ხელისგულზე უნდა დამაფურთხოს-მეთქი, მეიკომში ხელს მხოლოდ ამისათვის თუ გაუშვერდნენ ერთმანეთს; ეს სიტყვიერი მოლაპარაკებების დამადასტურებელი ჟამნაცადი ადათია, ოღონდ ის კი აღარ ვიცოდი, თუ რა პირობას ვკრავდით და პასუხის მოლოდინში თანაკლასელებს გადავხედე. მაგრამ ბავშვები გაოგნებული სახეებით აქეთ შემომცქეროდნენ. მის კეროლაინი კი სახაზავს დასნვდა და რამდენჯერმე მსუბუქად დამკრა ხელზე, შემდეგ კუთხეში დამაყენა. როცა ბავშვები ბოლოს და ბოლოს მიხვდნენ, რომ მის კეროლაინმა ფიზიკურად დამსაჯა, თავშეუკავებლად ახარხარდნენ.

ხოლო როცა მის კეროლაინი დაემუქრა – თქვენც იგივე მოგელითო, პირველკლასელები ხელმეორედ ახარხარდნენ. არ ვიცი, ამჯერად რაღა დააწყნარებდათ, უცებ მის ბლაუნტი რომ არ დაგვტყდომოდა თავს. მის ბლაუნტი მკვიდრი მეიკომელი იყო და ეტყობა, ჯერ ვერ მოესწრო "დიუის ათწილად სისტემაში" გარკვევა; იგი კარის ზღრუბლზე შემოდგა, დოინჯი შემოირტყა და განაცხადა:

– ამ ოთახიდან ხმა-კრინტი რომ გავიგონო, იცოდეთ, ერთიანად ამოგბუგავთ! მის კეროლაინ, აქედან ისეთი გნიასი გამოდის, რომ მეექვსეკლასელებს ვერ იქნა და ვერ ავუხსენი პირამიდები!

კუთხეში დგომამ დიდხანს არ მომიწია. ზარმა მის კეროლაინსაც სულზე მიუსწრო: ოთახიდან სულ ბოლო მე გავედი და დავინახე, მასწავლებელმა როგორ გააყოლა თვალი კლასიდან გამავალ ორ-ორად

დაწყობილ ბავშვების მნკრივს, შემდეგ კი უღონოდ დაეშვა სკამზე და თავი მკლავებში ჩარგო. ცოტა უფრო გულთბილად რომ მომპყრობოდა, უსათუოდ შემეცოდებოდა; რა რა და, მომხიბვლელობას მის კეროლაინს ვერ წაართმევდით...

3

შესვენების დროს ეზოში უოლტერ კანინგემს ჩავაფრინდი. ვიფიქრე, ცოტას მაინც მოვიფხან გულს-მეთქი, მაგრამ ვინ გაცალა! ის იყო, ცხვირი მიწაზე გავახახუნებინე, რომ ჯემმა მომისწრო და შემაჩერა:

– შენ ხომ უფროსი ხარ, – მითხრა მან.

– უფროსი არა! თითქმის შენხელაა, – ვუპასუხე მე, – სულ ამის ბრალია, სწავლა რო ცუდ ფეხზე დავიწყე!

– თავი გაანებე, ჭყიტა. რა დაგიშავა ასეთი?

– რა და, საუზმე არ ჰქონდა, – ვუთხარი ჯემს და ავუხსენი, თუ რა მესაქმებოდა უოლტერის კვების რეჟიმთან.

ამასობაში უოლტერი ნელში გაიმართა და უხმოდ გვიგდებდა ყურს. მუშტები ისე შეეკუმშა, თითქოს ეშინოდა – ახლა ორთავენი არ დამესხან თავსო; მე ფეხი დავუბაკუნე, აქაოდა, თავიდან მომწყდი-მეთქი, მაგრამ ჯემმა ისევ დამაკავა, მერე უოლტერი ყურადღებით შეათვალიერა და ჰკითხა:

– უოლტერ კანინგემი ძველი სარუმიდან, მამაშენია? – უოლტერმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

უოლტერის შემხედვარე იფიქრებდით, ეს ბავშვი ჩიტის საკენკით იკვებებაო: თვალები დილ ჰარისივით ლურჯი, მაგრამ წყლიანი და ჩანითლებული ჰქონდა, სახეზე ადამიანის ფერი არ ედო; მხოლოდ ცხვირის ნამიანი წვერი შევარდისფრებოდა ოდნავ, თითებით მოუსვენრად ანვალებდა შარვლის შესაკრავებს.

უცებ ჯემმა გაუღიმა და უთხრა – უოლტერ, ძალიან გვასიამოვნებ, სადილზე თუ დაგვეწვევიო.

უოლტერს სახე ჯერ გაებადრა, მერე მოელუშა.

ჯემმა უთხრა:

– მამაშენი მამაჩემის მეგობარია. ჭყიტა ნამდვილი ალქაჯია, ნუ გეშინია, ხელს აღარ დაგაკარებს.

– მაგაში შენსავით დარწმუნებული არა ვარ, ბატონო, – ვუთხარი მესულ არ მეპიტნავა, რომ ჯემმა ჩემ მაგივრად მისცა პირობა. მაგრამ "სამხრობისთვის" განკუთვნილი უძვირფასესი წუთები ილეოდა, ამიტომ ვუთხარი:

– კაი, უოლტერ, აღარ დაგახტები ხოლმე. ლობიო ხო გიყვარს? იცი, ჩვენი კელი რა მაგარი მზარეულია!

უოლტერმა ფეხი არ მოიცვალა ადგილიდან, იდგა და ტუჩს იკვნეტდა. მაშინ მე და ჯემმა თავი გავანებეთ და გზას გავუდექით. ის იყო, რედლების ეზოს გავუსწორდით, რომ უოლტერის ხმა მოგვესმა – ჰეი, მეც მოვდივარო, – მოგვაძახა.

როცა წამოგვეწია, ჯემმა დარბაისლური საუბარი გაუბა:

– იქ რომ მოჩვენება ცხოვრობს, გაგიგონია? – ჰკითხა მეგობრულად და რედლების სახლისკენ მიუთითა.

– გამიგონია – რომელია! – უპასუხა უოლტერმა, – პირველ წელს რომ მივედი სკოლაში, მაგათი კაკალი შევჭამე და კინაღამ ფეხები გავფშიკე! ბიჭებმა მითხრეს – კაკალს წამლავს და ღობის იქით, სკოლის ეზოში ყრისო!

რადგან უოლტერი და მე იქვე ვეგულებოდით, ჯემს, როგორც შევატყვე, რედლი-ბუას შიში, ცოტა არ იყოს, განელებოდა. ის კი არა, დაიტრაბახა კიდეც:

– იცი, ერთხელ რა ვქენი? მაგ ეზოში შევედი!

– ვინც ერთხელ იმ სახლთან მისულა, ის მერე ღობესთან თავქუდმოგლეჯილი აღარ უნდა გარბოდეს-მეთქი, – ვთქვი ღრუბლების მისამართით.

– მერედა, ვინ გარბის ხოლმე, ანჩხლო ქალბატონო?

– შენ გარბიხარ, როცა არავინ არ გახლავს თან.

ჩვენი სახლის კარს რომ მივადექით, უოლტერს აღარც ახსოვდა, კანინგემი რომ იყო. ჯემი მაშინვე სამზარეულოში შექანდა და კელპურნიას აცნობა – სტუმარი მოვიყვანეთ და სუფრაზე ერთი თეფშით მეტი დადეო. ატიკუსი უოლტერს მიესალმა და ჩემთვის და ჯემისთვის სრულიად გაუგებარ თემაზე გაუბა საუბარი. საქმე ხორბლის მოსავალს ეხებოდა.

– მისტერ ფინჩ, შარშან სკოლაში იმიტო ვერ ვიარე, რომ ჯერ იყო და, თიბვაში ვეხმარებოდი მამას, მერე კიდე ბამბის შეგროვებაში. ნელს ჩემი უმცროსი ძმა შეძლებს მიხმარებას.

– ის რო გაჩნდა, ექიმს ტომარა კარტოფილი მიუტანეთ? – ვკითხე მე. მაგრამ ატიკუსმა შემხედა და თავი უკმაყოფილოდ გადააქნია.

ვიდრე უოლტერი თეფშზე საჭმელს იხვავებდა, ჩემი და ჯემის გასაკვირად, მან და ატიკუსმა ორი მოზრდილი მამაკაცის შესაფერი სჯა-ბაასი გამართეს. ატიკუსი სოფლის მეურნეობის საჭირბოროტო საკითხებს განიხილავდა, როცა უოლტერმა სიტყვა გააწყვეტინა და ჰკითხა, სახლში ბადაგი ხომ არა გაქვთო. ატიკუსმა კელპურნიას უხმო. მალე კელპურნია ბადაგიანი დოქით შემობრუნდა და ადროვა, ვიდრე სტუმარი გადაიღებდა. უოლტერმა კი არც აცია, არც აცხელა და, ტკბილი ნვენი ბოსტნეულითა და ხორცით სავსე თეფშზე უხვად მოისხურა. მე რომ არ მეკითხა – ეს რა დომხალი გააკეთე-მეთქი, ეჭვიც არ მეპარება, რძიან ჭიქასაც ბადაგით აივსებდა.

ჩემი შენიშვნის მერე უოლტერმა დოქი ჭახანით დადგა ვერცხლის ლანგარზე, ხელები მუხლებზე დაიწყო და თავი ჩაქინდრა.

ატიკუსმა ისევ უკმაყოფილოდ გადააქნია თავი და შემომხედა.

– კი მაგრამ, მთელი სადილი ტკბილ ნვენში ჩაილბო და, – აღვშფოთდი მე, – მთლად ჩაძირა ბადაგში!

აი, მაშინ კი კელპურნიამ დამიძახა – სამზარეულოში მჭირდებიო.

კელპურნია გაცეცხლებული დამიხვდა. როცა გაცეცხლდებოდა ხოლმე, მისი ლაპარაკი გრამატიკულად გაუმართავი ხდებოდა, თუ მშვიდად იყო, მეტყველებაში ნუნს ვერ უპოვიდით. ატიკუსმა ერთხელ გვითხრა, კელპურნია ადგილობრივი ზანგებიდან ერთ-ერთი ყველაზე წიგნიერიაო.

თვალებმონკურული დამაცქერდა ზემოდან, როცა თვალებს ჭუტავდა, ქუთუთოებთან წვრილი ნაოჭები ულრმავდებოდა.

– შენ რა, არ იცი, რომ ყველა კაცი ერთნაირად არა ჭამს? მერე, კი არ უნდა გამოდგე და სუფრასთან კი არ უნდა ასნავლო ჭკუა! – მომახალა ჩურჩულით განრისხებულმა, – ეგ ბიჭი შენი სტუმარია და ახლა სუფრაც რო დაგიღეჭოს, ხმა არ უნდა გასცე, გასაგებია?!

– სტუმარი კი არა, კელ, ეგ კანინგემია...

– ხმა ჩაიკმინდე! რა მნიშვნელობა აქვს, ვინაა? ხო შემოდგა შენ სახლში ფეხი, ხოდა, შენი სტუმარია და მეტი აღარ გავიგონო, შენიშვნას რო აძლევდე, თან ისეთი ამბით, გეგონება, დიდი ვინმე ბრძანდებოდე! შენიანები კანინგემებზე უკეთესები თუ არიან, ეს იმის უფლებას კი არ გაძლევს – შეარცხვინო! ჰოდა, რახან არ გცოდნია, სუფრასთან როგორ მოიქცე, დაბრძანდი აგერ და სამზარეულოში ისადილე!

კელპურნიამ ერთი მნარედ წამითაქა და სასადილო ოთახის კარისკენ მიბიძგა. მეტი რა გზა მქონდა, წამოვიღე ჩემი თეფში და სადილი სამზარეულოში მოვამთავრე... კიდევ კარგი, ასე რომ მოხდა, თორემ არ ვიცი, ამგვარი დამცირების მერე სუფრის დანარჩენ წევრებს თვალს როგორლა გავუსწორებდი. კელპურნიას კი დავემუქრე – დამაცა, მე შენ ჭკუას გასწავლი-მეთქი: ამ დღეებში გაგექცევი და მორევში დავიხრჩობ თავს, მაშინ კი იტაცებ თავში ხელს, მაგრამ გვიანღა იქნება-მეთქი.

– თანაც, – არ ვცხრებოდი მე, – დღეს უკვე მეორედ ჩამაგდე შავ დღეში. ის არ გეყოფოდა, წერა რო მასწავლე და მაგისთვისაც რო დამსაჯეს?

– კარგი ეხლა, გეყო ბუზღუნი, – მომაძახა კელპურნიამ.

ჯემი და უოლტერი სკოლისკენ ჩემზე ადრე წავიდნენ. მე მათ განზრახ ჩამოვრჩი: მინდოდა კელპურნიას უმსგავსო საქციელის ამბავი მამაჩემსაც სცოდნოდა. ეს იმადაც კი ღირდა, რედლების ეზოსთან მარტოს რომ ჩამევლო!

– სხვას რომ თავი გავანებოთ, ჯემი ჩემზე მეტად უყვარს, – დავასკვენი მე და იმედი გამოვთქვი, რომ მამა დაუყოვნებლივ დაითხოვდა კელპურნიას.

– ოდესმე თუ დაფიქრებულხარ, რომ ჯემი იმის ნახევარსაც არ აშავებს, რასაც შენ? – ატიკუსს ხმაში სუსხი შეეპარა, – კელპურნიას არც ახლა და არც არასოდეს არ დავითხოვ. კელის გარეშე ერთ დღესაც ვერ გავძლებდით. დაფიქრდი და შეეცადე, მისი ამაგი დააფასო. იცოდე, კელს უნდა დაუჯერო, გესმის ჩემი?

სკოლაში მიბრუნებულს კელპურნიასადმი სიძულვილის გრძნობა მანამ მილრღნიდა გულს, სანამ უცებ კივილმა არ გამომაფხიზლა: თავი ავწიე და დავინახე, რომ ოთახის შუაგულში მდგომ მის კეროლაინს შიშისგან ერთიანად მოლრეცოდა სახე. როგორც ჩანს, დრო უქმად არ და-

ეკარგა და პედაგოგიური საქმიანობის განსაახლებლად შესვენებაზე ძალების მოკრება მოესწრო.

– ცოცხალია! – შეჰკივლა მან.

მთელი კლასის ბიჭები უმალ მასთან გაჩნდნენ.

– ღმერთო ჩემო, – გავიფიქრე, – თაგვისა შეეშინდა! ერთ-ერთმა ბიჭუნამ, მეტსახელად წრიპამ, რომელიც გასაოცარი სულგრძელობითა და მოთმინებით გამოირჩეოდა, ჰკითხა: საით გაიქცა, მის კეროლაინ? გვითხარით, ჩქარა, საით გაიქცა! ჰეი, შენ, – და ზურგს უკან მდგომ ბიჭუნას მიუბრუნდა:

– ჩაკეტე კარი და დავიჭიროთ. აბა, ჩქარა, მასწ, გვითხარით, საით ნავიდა?

მის კეროლაინმა აკანკალებული თითი გაიშვირა – არც იატაკისკენ, არც დაფისკენ, არამედ ერთი ზორბა ბიჭისკენ, რომელსაც ჯერ არ ვიცნობდი. წრიპას სახე დაემანჭა და ხმადაბლა იკითხა:

– ამაზე ამბობდით, პატივცემულო? ჰოო, ეს კია ცოცხალი. ამან როგორ შეგაშინათ?

სასონარკვეთილმა მის კეროლაინმა თქვა:

– გვერდით რომ ჩავუარე, დავინახე, როგორ ამოაცოცდა თმაზე... ზედ თმაზე ამოაცოცდა!

წრიპას სახე გაებადრა და უთხრა:

– ნუ გეშინიათ, მასწ, ეგ ხო ტილია. არასოდეს გინახავთ? დამშვიდდით, პატივცემულო, მიდით თქვენ მაგიდასთან და განაგრძეთ გაკვეთილი.

წრიპაც მოსახლეობის იმ ფენას ეკუთვნოდა, რომელსაც ლუკმაპური საძებნელი გახდომოდა, მაგრამ ბუნებით ნამდვილი ჯენტლმენი გახლდათ: მის კეროლაინს მკლავში ხელი გამოსდო და მაგიდამდე მიაცილა.

– ნუ გეშინიათ, მასწ, დამშვიდდით, – უთხრა წრიპამ, – ტილი საშიში არაა. ახლავე მოგართმევთ წყალს.

ტილის "მფლობელმა" მის გამო დატრიალებული აურზაურის დროს ყურიც არ შეიბერტყა: თავი მოიქექა, დაუპატიჟებელი სტუმარი მოიძია და საჩვენებელ თითსა და ცერს შორის მოიქცია.

მის კეროლაინი ამ საქმიანობას შიშნარევი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა. წრიპამ მასწავლებელს ქაღალდის ჭიქით წყალი მიართვა და მადლიერმა ქალმაც ერთბაშად გადაპკრა. როგორც იქნა, ენა ამოიდგა და იკითხა:

– შვილო, რა გქვია?

ბიჭმა თვალები დაახამხამა და თქვა:

– ვისა, მეე?

მის კეროლაინმა თავი დაუქნია.

– ბარის იუველი.

მის კეროლაინმა ბლოკნოტში ჩაიხედა.

– იუველი კი მიწერია, მაგრამ სახელი აღნიშნული არ მქონია. ხომ ვერ მეტყვი, როგორ იწერება შენი სახელი?

– არ ვიცი, მასწ. სახლში ბარისს მეძახიან.

– კარგი, ბარის, – უთხრა მის კეროლაინმა, – მე მგონია, უკეთესი იქნება, თუ დღეს შინ წახვალ. თავი უნდა დაიბანო.

მის კეროლაინმა თავისი მერხიდან სქელტანიანი წიგნი ამოაძვრინა და ფურცვლას მოჰყვა, ბოლოს რაღაცა ამოიკითხა და ხმამაღლა გვითხრა:

"კარგი შინაური ნამალი"... ბარის, გთხოვ, შინ წადი და თავი კუპრიანი საპნით დაიბანე. მერე თმის ძირებში ნავთი შეიზილე.

– ეგ რისთვის, ქალბატონო?

– იმისთვის, რომ... მმმ... ტილები რომ მოიშორო, გენაცვალე, ხომ შეიძლება, სხვა ბავშვებს გადასდო, განა ეს კარგი იქნება?

ბიჭი ადგა. მასავით გაზინტლული ჩემს სიცოცხლეში არაფერი მენახა: კისერი – გამურული, ხელის კანი – გახევებული და აქერცლილი, ფრჩხილებში ჩამჯდარი ჭუჭყი ხორცამდე ჩაზრდოდა. მის კეროლაინს თვალებთან შერჩენილი მუშტისოდენა სუფთა ნაწილიდან უჭვრეტდა. მისთვის ყურადღება აქამდე არავის მიუქცევია, რადგან მის კეროლაინი და მე მთელი დილა წარმატებით ვართობდით კლასს.

– გარდა ამისა, ბარის, ხვალ, სკოლაში მოსვლამდე, ტანიც უნდა დაიბანო.

ბიჭმა უტიფრად ჩაიქირქილა.

– ხომ არ გგონიათ, რახან თქვენ მითხარით, იმიტომ მივდივარ შინ. ეეჰ, სწორედ ახლა თვითონ ვაპირებდი წასვლას. წელს რაღაც ძალიან გამიგრძელდა სკოლაში ყოფნა.

მის კეროლაინი აფორიაქდა.

– მაგით რისი თქმა გინდა?

ბიჭმა პასუხი არ გასცა. გამქირდავად გამოსცრა კბილებში ჰაერი.

მის ნაცვლად უფროს ბავშვთაგან ერთ-ერთი ადგა და მასწავლებელს უთხრა:

– ეგ იუველია, მასწ. – და მე ვიფიქრე, ნუთუ ამასაც, ჩემი არ იყოს, ვერ გაუგებენ-მეთქი, მაგრამ მის კეროლაინი ყურადღებით უსმენდა:

– სკოლაში მაგათგან მოსვენება არაა. მარტო პირველ დღეს მოდიან, მერე კი აღარ დადიან. ზედამხედველი შერიფით ემუქრება და აიძულებს გამოცხადდნენ, თორემ სულაც არ მოვიდოდნენ. რახან პირველ დღეს მოდიან და სიაში ეწერებიან, ვითომ კანონიც აღარ ირღვევაო. უფრო დიდხანს მაგათ გაჩერებას უკვე აღარ ცდილობენ. აი, ნახავთ, მასწ, თქვენც "არას" ჩაუნერთ მთელი წლის განმავლობაში.

– კი მაგრამ, მათი მშობლები რაღას შვრებიან? – იკითხა გულწრფელად შეწუხებულმა მის კეროლაინმა.

– დედა არა ჰყავთ, მამა კი ერთი ახირებული ვინმეა.

ამგვარი დახასიათებით ბარის იუველი აშკარად ნასიამოვნები ჩანდა.

– ნელს უკვე მესამედ ვესწრები პირველი კლასის პირველ გაკვეთილს, – აღიარა მან, – თუ ასე ვიყოჩაღებ, შეიძლება, მეორე კლასშიც გადამიყვანონ!

მის კეროლაინმა უთხრა:

– კარგი, ბარის, დაჯექი ახლა, – როგორც კი ეს თქვა, მივხვდი, დიდი შეცდომა დაუშვა: ბიჭის მოწყალეობითი კილო ზიზღით შეიცვალა:

– აბა, ერთი სცადე და დამსვი, ქალბატონო!

ნრიპა წამოხტა და მასწავლებელს მიმართა:

– გაუშვით შინ, პატივცემულო, ეგ ისეთი უზნეო და თავზეხელაღებული ვინმეა, რას არ ჩაიდენს! ჩვენ კი აქ პატარა ბავშვებიცა გვყავს.

ნრიპა კლასში ყველაზე პატარა იყო ტანად, მაგრამ, როცა იუველი მიუტრიალდა, ბიჭმა ჯიბეში ჩაიცურა ხელი და უთხრა:

– ჰა, ფრთხილად, ბარის! ფეხი არ მოიცვალო, თორემ თვალსაც არ დავახამხამებ, ისე გაგაფრთხობინებ სულს!

ბარისს, მგონი, შეეშინდა მასზე ორჯერ პატარა ბიჭისა, ხოლო მის კეროლაინმა ამ შეფერხებით ისარგებლა და უთხრა:

– წადი შინ, ბარის, თორემ ახლავე დავუძახებ დირექტორს. ასეა თუ ისე, მაინც უნდა შევატყობინო.

ბიჭმა ჩაიქირქილა და ზლაზვნით გაემართა კარებისკენ.

რაკიღა თავი უსაფრთხო ადგილას იგულა, მასწავლებელს მოუტრიალდა და შეუყვირა:

– მიდი, მიდი, მოახსენე! ფეხებიც არ მომჭამო! შენნაირმა ცხვირმოუხოცავმა ნეტა რა უნდა მასწავლოს! კარქა დაიხსომე: ეგ შენ კი არ გამაგდე, ეგეთი ხოში მაქ და იმიტო მივდივარ. გაიგეე!? ხოში მაქ და მივდივარ!

ერთხანს იდგა და მხოლოდ მაშინღა გაფრატუნდა, როცა დარწმუნდა, მასწავლებელი ქვითინებდა.

მალე მთელი პირველი კლასი მის კეროლაინის მერხს გარს შემოეხვია. ყველა თავისებურად ცდილობდა, ნუგეში ეცა მასწავლებლისთვის:

– მართლა უზნეო ყოფილა... ეგ თავხედი, ეგა... ეგეთებს არც უნდა ასწავლოთ... მეიკომელები მაგას კი არ გვანან, მასწ, მართლა გეუბნებით... ნუ ღელავთ, დაწყნარდით... მის კეროლაინ, მოდი, ზღაპარი წაგვიკითხეთ, ჰა?... დილით კატაზე რო გვიამბეთ, რა კარგი იყო...

მის კეროლაინს გაეღიმა, ცხვირი მოიხოცა და გვითხრა:

– გმადლობთ, ჩემო კარგებო, – ადგილებზე დაგვსხა, გადაშალა წიგნი და თავბრუ დაგვახვია გრძელზე გრძელი ზღაპრით ერთ გომბეშოზე, რომელიც რატომღაც სასახლეში ცხოვრობდა.

როცა იმ დღეს რედლების ეზოს მეოთხედ ჩავუარე (უფრო სწორად, აქედან ორჯერ კი არ ჩავუარე, ჩავუქროლე), ჩემს გულდამძიმებულ გუნებას ყველაზე უკეთ იმ მოჟამული სახლის იერი ესადაგებოდა. რა, მეშველება, თუ სასწავლო წლის დარჩენილი დღეები დღევანდელივით მძიმე იქნება-მეთქი, გავიფიქრე, შეიძლება ცოტათი კი გავერთო... მაგრამ როგორი საქმეა – ცხრა თვე არც ვწერო და არც ვიკითხო?! ამას ვერ გავუძლებ! ავდგები და გავიქცევი მეთქი, გადავწყვიტე.

დღის ბოლომდე გაპარვის მრავალი ხერხი მომივიდა თავში და როცა ატიკუსის შესაგებებლად ტროტუარისკენ გავიქეცით, არც კი მიცდია, ჯემისთვის ჩვეულებისამებრ გადამესწრო: საერთოდ, ფოსტის კუთხესთან ამომავალ ატიკუსს თვალს რომ მოვკრავდით, მე და ჯემი მის შესახვედ-

რად გავრბოდით ხოლმე. ატიკუსს თავი ისე ეჭირა, თითქოს ალარც ახსოვდა, როგორც შევირცხვინე სადილზე თავი და უამრავი შეკითხვა მომაყარა. მე ერთმარცვლიან პასუხებს ვაძლევდი და ისიც ალარ ჩამციებია.

კელპურნიამ, ეტყობა, იგრძნო, მძიმე დღე რომ გადავიტანე და ნება დამრთო მეცქირა, როგორ ამზადებდა ვახშამს. აბა, თვალები დახუჭე, პირი გააღე და ნახე, რას მოგცემო, – მითხრა.

ხრაშუნა კვერებს იშვიათად აცხობდა. სულ იმას ჩიოდა – დრო არა მაქვსო, მაგრამ როგორც ჩანს, იმ დღეს შინ მარტო დარჩენილს მეტი თავისუფალი დრო ალმოაჩნდა, თანაც იცოდა, როგორ მიყვარდა ხრაშუნა კვერები.

– მთელი დღე მაკლდი, – მითხრა კელპურნიამ, – სახლმაც ისე მოიწყინა, რომ ორი საათისთვის რადიო ჩავრთე.

– რატომ? მე და ჯემი ხო მაინც არასოდეს არა ვართ სახლში, როცა კარგი ამინდია?

– მართალია, – მიპასუხა მან, – მაგრამ ყოველ წუთს შემიძლია დაგიძახოთ. ნეტა გამაგებინა, რამდენი დრო მეკარგება ხოლმე თქვენს დაძახებაზე? ყოველ შემთხვევაში, იმდენი კია, ხრაშუნა კვერების დაცხობა რომ მოასწროს კაცმა. მიდი ახლა, გაცუნცულდი, სუფრის გაშლაში მომეხმარე.

კელპურნია დაიხარა და მაკოცა. მეც გავიქეცი, თან ვფიქრობდი: ნეტა, ამ ქალს რა დაემართა? ალბათ უნდა, რომ შემირიგდეს. ჰო, ნამდვილად ასე იქნება: ყოველთვის მეტისმეტად მკაცრად მექცეოდა, ახლა კი როგორც იქნა, მიხვდა და ნანობს. მაგრამ ჯიუტია და არ სურს, რომ გამოტყდეს-მეთქი... ერთი დღისთვის ნამეტანი მომივიდა, ძალიან გადავიტვირთე, მეტის ატანა ალარ შემეძლო...

ნავახშმევს ატიკუსმა გაზეთით ხელში სავარძელში მოიკალათა და დამიძახა:

– ჭყიტა, საკითხავად მზადა ხარ?

მაშინ კი საბოლოოდ ამევსო მოთმინების ფიალა და ოთახიდან გასვლა დავაპირე.

– რა მოხდა, ჭყიტა?

მე ვუპასუხე, რალაც ვერა ვარ კარგად და თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვს, სკოლაში ალარ ვივლი-მეთქი.

მაშინ ატიკუსი სარწეველა სკამში მოკალათდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და თითებით ჯიბის საათს წაეპოტინა; ერთხელ გვითხრა – ასე ჯდომა ფიქრში მეხმარებაო. მოსასმენად მოემზადა და მეც შევეცადე, ჩემი ნათქვამისთვის დამაჯერებლობა შემემატებინა:

– შენ სკოლაში ხომ არ გივლია? მაგრამ მაგით არაფერი დაგაკლდა. ჰოდა, მეც შინ დავრჩები. როგორც პაპა გასწავლიდათ შენ და ძია ჯეკს, შენც ისე მასწავლე მე.

– არ შემიძლია, – მიპასუხა მან, – მე შემოსავალზე უნდა ვიზრუნო. გარდა ამისა, სკოლაში თუ არ მიგაბარებ, ციხეში ჩამსვამენ. ამალამ დასამშვიდებელ წვეთებს დაგალევინებ, ხვალ კი სკოლაში წახვალ.

– რად მინდა წვეთები, კარქათა ვარ.

– მეც ასე მგონია. აბა, ახლა მითხარი, რა მოხდა.

ჰოდა, მეც თავიდან ბოლომდე დაწვრილებით ვუამბე, რაც იმ დღეს გადამხდა თავს – ...და მითხრა, ყველაფერი არასწორად გასწავლაო. ასე რო, ველარასოდეს ვერ წავიკითხავთ მე და შენ, გესმის, ველარასოდეს! მამა, ძალიან გთხოვ, ნუ გამიშვებ სკოლაში! – ამ სიტყვებით დავამთავრე ჩემი ამბავი.

ატიკუსი წამოდგა და ბოლთის ცემას მოჰყვა. დერეფნის ბოლოში შედგა, დაკვირვებით დააცქერდა გლიცინიის შტოს, მერე ისევ ჩემკენ გამოემართა და მითხრა:

– იცი რა, გენაცვალე, შენ ერთი პატარა ოინი უნდა ისწავლო, მაშინ ბევრად უფრო გაგიადვილდება ხალხთან ურთიერთობა. ადამიანს ვერასოდეს ვერ გაუგებ, თუ არ შეეცდები, მისი თვალით შეხედო გარემოს.

– ბატონო?

– ესე იგი, უნდა შეეცადო, რომ მის ტყავში ჩაძვრე, მერე კი ასე ცოტა გაიარ-გამოიარო.

ატიკუსმა განაგრძო:

– დღეს შენც ბევრი რამ ისწავლე და დარწმუნებული იყავი, რაღაცრაღაცებს მის კეროლაინიც მიხვდებოდა. პირველყოვლისა, მან გაიგო, რომ კანინგემს მოწყალება არ უნდა შესთავაზოს, მაგრამ შენ და უოლტერს მის ტყავში ჩაძვრომა რომ გეცადათ, მიხვდებოდით, რომ ეს მასწავლებლის ბრალი არ იყო. აბა, მითხარი, ერთ დღეში ყველა მეიკომე-

ლის გაცნობას ხომ ვერ მოასწრებდა, მაშ, როგორლა უნდა მოსთხოვო ადამიანს ის, რაც მან არ იცის?!

– ფუ, რა შტერი ვარ! – წამოვიძახე მე, – ნეტა რა ძალა მადგა, რო ვუკითხავდი! რა ტყუილად შემარცხვინა! დამიჯერე, ატიკუს, სკოლაში არ უნდა ვიარო! – უცებ თავში ბრწყინვალე აზრმა გამიელვა: ბარის იუველი ხომ გახსოვს? ის სკოლაში სასწავლო წლის პირველ დღეს გამოცხადდება ხოლმე. ზედამხედველი ქალიც კმაყოფილია – სიაში წერია და კანონიც არ ირღვევაო, მერე კი ის ვაჟბატონი მთელი წელი არხეინად ზის სახლში.

– ეგ კი ასეა, ჭყიტა, მაგრამ შენ მასავით ვერ მოიქცევი, – მითხრა ატიკუსმა, – ზოგ შემთხვევაში, კანონს ოდნავ თუ არ გადაუხვიე, არაფერი გამოვა, მაგრამ შენ სხვა ხარ. აქ კანონის ყოველგვარ დარღვევაზე ლაპარაკი ზედმეტია. ასე რომ, სკოლაში წასვლა მაინც მოგიწევს.

– არ მესმის, რატომ უნდა ვიარო მე, როცა ის არ დადის?

– მაშინ მომისმინე.

ატიკუსმა მიამბო, რომ იუველების საგვარეულო თაობიდან თაობამდე სახელს უტეხს ქალაქს. მამას არ ახსოვდა ისეთი დღე, რომელიც იუველებს პატიოსან შრომაში გაეტარებინოთ. ატიკუსი შემპირდა, ნაახალწლევს, როცა ნაძვის ხეს მოვხსნით, წაგიყვან და იუველების კარ-მიდამოს გაჩვენებო. ადამიანის სახელს კი ატარებენ, მაგრამ პირუტყვებივით ცხოვრობენ. სკოლაშიც მაშინ წავლენ, როცა მოეპრიანებათ, ოღონდაც კი მოინდომონო, – განაგრძობდა მამა, – რა თქმა უნდა, შეიძლება, იძულების წესითაც ატარო სკოლაში, მაგრამ, სამწუხაროდ, იუველებისთანა ხალხს გარემოს შეცვლა ვერ გამოასწორებსო.

– მე რომ ხვალ სკოლაში არ წავიდე, ძალით წამიყვან?

– მოდი, მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს, – მშრალად მითხრა ატიკუსმა, – თქვენ, ქალბატონო ჭყიტა, ჩვეულებრივი ადამიანი ბრძანდებით და ამიტომ კანონს უნდა დაემორჩილოთ.

მან განმიმარტა, რომ იუველები საზოგადოების რიგით წევრებად არ ითვლებიან; რომ ზოგჯერ მოქალაქეები განსაკუთრებულ გამონაკლისებს უშვებენ, ანუ, ხანდახან თვალს ხუჭავენ იუველების ზოგიერთ საქციელზე. "ამ გამონაკლისთაგან პირველი ისაა, რომ ბარისის მამას წელიწადის ოთხივე დროს დაუბრკოლებლად შეუძლია ინადიროს", – მითხრა მამამ.

– ატიკუს, ეგ ხომ ძალიან ცუდია!

მეიკომის ოლქში აკრძალულ სეზონში ნადირობა კანონით ისჯებოდა და ხალხის თვალში სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლებოდა.

– რა თქმა უნდა, ეს უკანონობაა და ძალიანაც ცუდია, – დამიდასტურა მამამ, – მაგრამ როცა ადამიანი მთელ თავის ფულს სასმელებში ხარჯავს და შვილებს შიმშილით უხმობს კუჭს, აქ ველარაფერს გააწყობ: მე არ მეგულება ჩვენს ოლქში თუნდაც ერთი ისეთი მიწათმფლობელი, რომელიც იმ უბედურ ბავშვებს ნანადირევს დაამადლიდა.

– ბატონი იუველი ასე არ უნდა იქცეოდეს...

– მართალი ხარ, ჩემო კარგო, მაგრამ მას ველარ შეცვლი. აბა, ახლა მითხარი, რაღა უნდა მოსთხოვო ასეთი კაცის შვილებს?

– არაფერი, ბატონო, – ჩავიდუდღუნე და უკანასკნელად ვცადე ბედი, – მაგრამ თუ სკოლაში ვივლი, მაშინ ერთად ვერ წავიკითხავთ...

– მაშ, ეგაა, რაც გაწუხებს, ხომ?

– დიახ.

როცა ატიკუსს ავხედე, მივხვდი, რაღაც საინტერესოს მეტყოდა და მომლოდინედ მივაცქერდი.

– შენ თუ იცი, კომპრომისი რა არის? – მკითხა მან.

– კანონიდან გადახვევა?

– არა, ესაა ორმხრივი დათმობის შედეგად მიღებული შეთანხმება. ახლავე აგიხსნი, როგორ უნდა ვიმოქმედოთ, – მითხრა მან, – თუ შენ დათმობაზე წახვალ და სკოლაში ივლი, ჩვენ ყოველ საღამოს ჩვეულებისამებრ დავსხდებით და ვიკითხავთ, რამდენსაც გვინდა. მოვრიგდით, თუ არა?

– მოვრიგდით, აბა რა!

– მოდი, ოღონდ ამ ერთხელ მაგ ფორმალობის გარეშე დავამტკიცოთ გარიგება, – მითხრა ატიკუსმა, როცა დაინახა, რომ დასაფურთხებლად მოვემზადე.

ნინა ბადიან კარს რომ ვაღებდი, ატიკუსმა მითხრა:

– ისე, ჭყიტა, იცოდე, აჯობებს, თუ ჩვენს პირობას სკოლაში არ გაამხელ.

– ვითომ რატომ?

– იცი რა... შეიძლება, ჩვენი გადაწყვეტილება ვინმე მეტად გათვითცნობიერებულმა პირმა მიზანშეწონილად არ მიიჩნიოს.

ჯემსა და მე ანდერძებისა და სასამართლო პროცესების ენას ყური შეჩვეული გვქონდა და ნებისმიერ დროს შეგვეძლო ატიკუსისთვის გვეთხოვა, გაუგებარი ადგილი განემარტა:

– რაო, რა თქვი?

– მართალია, მე სკოლაში არ მივლია, – მითხრა მან, – მაგრამ გული მიგრძნობს – თუ მის კეროლაინი გაიგებს, რომ მე და შენ ღამღამობით ვკითხულობთ, აუცილებლად გადამემტერება. მე კი სულაც არ მინდა, რომ გადამემტეროს.

ატიკუსმა იმ საღამოს სიცილით დაგვხოცა: გულგრილი სახით გვიკითხავდა ამბავს ვილაც კაცზე, რომელიც სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო საალმე ანძაზე ამძვრალიყო და აღარ ჩამოდიოდა. ჯემსაც მეტი კი არ უნდოდა – მთელი მეორე დღე, შაბათი, ჩვენს ხის ქოხში გაატარა. იჯდა იქ დილის საუზმიდან შეღამებამდე და ალბათ ღამითაც არ ჩამოვიდოდა, ატიკუსს რომ არ შეეწყვიტა მისი მომარაგება: მე მთელი დღე ალმა-დალმა დავრბოდი და ჯემის ყველა დავალებას ვასრულებდი – ვამარაგებდი ლიტერატურით, სანოვაგით, მაგრამ როცა ძილის წინ მისთვის საბნის მიტანაც დავაპირე, მამამ მითხრა, ყურადღებას თუ არ მიაქცევ, ჩამოვაო.

ატიკუსი მართალი გამოდგა.

4

ისევე, როგორც პირველ დღეს, არც სასწავლო წლის დანარჩენ დღეებს უჩანდა სასიკეთო პირი. სინამდვილეში, ეს იყო ერთი უკიდეგანო პროექტი, რომელიც ნელ-ნელა აკადემიური საათების კონკრეტული რაოდენობის სახეს იღებდა სკოლაში ახალი სასწავლო პროგრამის დანერგვის მიზნით, და რაზეც კეთილი ზრახვებით ამოძრავებული ალაბამას მთავრობა გულუხვად ხარჯავდა მუყაოსა და ცვილის პასტელებს. მაგრამ მათი მცდელობა, როგორმე ეგრეთ ნოდებული "ჯგუფური დინამიკა" დაენერგათ, ჩემს შემთხვევაში ფუჭი გამოდგა. ის, რასაც ჯემი "დიუის ათწილად სისტემად" იხსენიებდა, წლის ბოლოსთვის მთელ სკოლაზე გავრცელდა. ასე რომ, სწავლების სხვა მეთოდებთან მისი შედარების საშუალება არც მომცემია. ისღა დამრჩენოდა, ჩემსავე ოჯახის წევრებს დავკვირვებოდი: მამაჩემმა და ბიძაჩემმა სკოლა საკუთარ სახლში გაიარეს და ყველაფერი მშვენიერად იცოდნენ. ყოველ შემთხვევაში, თუ იყო ისეთი რამ, რაც ერთმა არ იცოდა, მეორეს უსათუოდ ეცოდინებოდა. ამას გარდა, მამაჩემი, უკვე კარგა ხანია, შტატების საკანონმდებლო ორგანოში მუშაობდა და ყოველ მორიგ არჩევნებს სრული უმრავლესობით, ერთი უარყოფითი ხმის გარეშე იგებდა, მას კი, როგორც მოგახსენეთ, არაფერი სმენოდა იმ ახალ სასკოლო რეფორმაზე, რომელსაც ჩვენი მასწავლებლები ყოველი ჭეშმარიტი მოქალაქის აღზრდისთვის სავალდებულოდ მიიჩნევდნენ. ჯემი კი, მართალია "ათწილადი სისტემითაც" მოუწია სწავლება და ჩვეულებრივითაც, მაინც ერთნაირ ნარმატებას აღწევდა, როგორც ჯგუფში, ისე მარტო. თუმცა, ჯემის მაგალითი ამ შემთხვევაში არ გამოგვადგება: კაცობრიობას არ შეუქმნია ისეთი აღმზრდელობითი სისტემა, რომელიც ჩემს ძმას წიგნის კითხვაზე ხელს ააღებინებდა. რაც შემეხება მე, ჩემი განათლება იმ გაზეთებისა და ლიტერატურის კითხვით შემოიფარგლა, რომლებიც სახლში მოგვეძევებოდა. მოსაწყენი სასკოლო ცხოვრების უღელში შებმულს კი დღითი დღე მიღრმავდებოდა ეჭვი, რომ მაბრიყვებდნენ, როგორ და რატომ – არ ვიცოდი, მაგრამ ძალიან არ მინდოდა მერწმუნა, რომ ხელისუფლებამ თორმეტ ასეთივე მოსაწყენ სასწავლო წელიწადზე უკეთესი ჩემთვის ვერაფერი გაიმეტა.

დღე დღეს მისდევდა. გაკვეთილები მე ჯემზე ნახევარი საათით ადრე მიმთავრდებოდა (ჯემი სამ საათზე ამთავრებდა სწავლას), ამიტომ რედლების ღობიდან მოყოლებული ჩვენი სახლის კარამდე სულ თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი ხოლმე. ერთ შუადღეს, როცა ჩვეულებისამებრ გავაჩაღე სრბოლა, გზად რაღაცამ მომტაცა თვალი. სუნთქვა შემეკრა, ჯერ მიმოვიხედე, მერე კი უკან მივბრუნდი.

რედლების კარ-მიდამოს განაპირას ორი მუხა იდგა. მათი ფესვები გზაზე გამოდიოდა და პატარა ბორცვებს წარმოქმნიდა. ერთ-ერთმა ხემ რაღაცით მიიპყრო ჩემი ყურადღება. ფულუროდან დაახლოე-

ბით ჩემი თვალის სიმაღლეზე, ვერცხლისფერ ქაღალდს დავწვდი. ხელში ორი საღეჭი რეზინი შემრჩა. პირველი, რაც დავაპირე, მათი დაღეჭვა იყო, მაგრამ მაშინვე მომაგონდა, სადაც ვიმყოფებოდი და სახლისკენ მოვკურცხლე. ნადავლი ჩვენს აივანზე უკეთ შევათვალიერე. კევი ახალი ჩანდა. დავყნოსე – სუნსაც არა უშავდა: გავლოკე და ერთხანს შევიცადე. როცა დავრწმუნდი, რომ არაფერი დამემართა, პირში ვიტაკე. "ვრიგლის ორმაგი პიტნა" გამოდგა.

მალე ჯემიც დაბრუნდა სკოლიდან და მკითხა, ამხელა კევი საიდანა გაქვსო. მეც ვუთხარი, რომ ვიპოვე.

– ჭყიტა, რასაც იპოვი, ყველაფერი პირში კი არ უნდა იტაკო.

– მიწაზე კი არ ეგდო, ხეზე ვიპოვე!

ჯემმა უნდობლად შემომიბღვირა.

– იცი, სად ვიპოვე? – ვუთხარი მე, – აი, ისაა... სკოლიდან რომ მოვდივართ და ქვემოთ გზაზე ხე რო დგას, ხო გახსოვს? აი, იმაზე ვიპოვე.

– ახლავე გადმოაფურთხე!

მეც გადმოვაფურთხე. გემო მაინც გასული ჰქონდა...

– რამდენი ხანია, ეღეჭავ, მაგრამ როგორც ხედავ, ცოცხალი ვარ, გულიც კი არ ამრევია!

ჯემმა ფეხი დამიბაკუნა და მითხრა:

– არ იცი, რომ იმ ხეებს თითი არ უნდა დააკარო? მოკვდები, შე უბედურო!

– აბა, შენ რო სახლს მიადე ხელი?

– სად ის, და სად – ეს, ახლავე წადი და პირი გამოირეცხე, გესმის?!

– აბა კი! გინდა, პირიდან გემო სულ გამივიდეს, არა?

– ახ, არაა?! ახლავე დაგაბეზღებ კელპურნიასთან!

კელპურნიასთან საქმის დაჭერას ვამჯობინე, ისევ ჯემისთვის დამეჯერებინა. მას შემდეგ, რაც სკოლაში დავიწყე სიარული, კელპურნიას ველარ იცნობდით: თუ ადრე სასტიკად და უსამართლოდ მეპყრობოდა და ნამდაუწუმ ჩემს საქმეში ყოფდა ცხვირს, ახლა უკმაყოფილებას ალერსიანი ბუზღუნითღა გამოხატავდა. რაც შემეხება მე, მეც საკმაოდ ხშირად ვატანდი თავს ძალას, რომ ტყუილუბრალოდ არ გამეღიზიანებინა.

ზაფხული ახლოვდებოდა. მის დადგომას მე და ჯემი მოუთმენლად ველოდით. ზაფხული წელიწადის ყველა დროს გვერჩივნა: ეს იყო მწერებისგან დასაცავი ბადით შემოღობილ ღია აივანზე ძილი, ჩვენი ხის ქოხში თამაში, ათასგვარი გემრიელი სასუსნავი თუ სიცხისგან ალაპლაპებული, ნაირფერებად მორთული ბუნება; მაგრამ ყველაზე მეტად ზაფხულში მაინც დილთან შეხვედრა გვახარებდა.

სკოლის ხელმძღვანელობამ სასწავლო წლის ბოლო დღეს ადრე დაგვითხოვა და მე და ჯემი სახლისკენ ერთად გავეშურეთ.

– მე მგონი, დილი ხვალ ჩამოვა, – ვუთხარი გზად.

– ანდა ზეგ, – მიპასუხა ჯემმა, – მისისიპიზე არდადეგები ერთი დღით გვიან ეწყებათ.

როცა რედლების ეზოსთან მუხებს მივუახლოვდით, ალბათ მე მეასეჯერ მაინც მივუთითე ჯემს ფუღუროსკენ იმ იმედით, იქნებ ბოლოს და ბოლოს დავარწმუნო – კევი მართლა აქ ვიპოვე-მეთქი, და რას ვხედავ, ისევ არ ბრჭყვიალებს ვერცხლისფერი ქაღალდი!

– დავინახე, ჭყიტა, დავინახე!

ჯემმა მიმოიხედა, ხელი ასწია და ფრთხილად ჩაიჯიბა პანანინა ბრჭყვიალა შეკვრა. მერე სახლისკენ მოვკურცხლეთ და აივანზე დავიწყეთ თვალიერება. ეს იყო პატარა კოლოფი, რომელიც ვილაცას შესაფუთი ვერცხლისფერი ქაღალდის ნაკუწებით შეეკონიწებინა. საქორწინო ბეჭდებს რომ აწყობენ, იმგვარი კოლოფი იყო, წითელი ხაევრდით ამოფენილი. პანანინა საკეტიც კი ჰქონდა. ჯემმა ციცქნა საკეტი გახსნა. შიგ ერთმანეთზე შემოდებული გაცრეცილ-გაპრიალებული ორი პენიანი ეწყო. ჯემი მათ კარგად დააკვირდა და მითხრა:

– ვაა, ინდიელის თავია! ცხრაას ექვსი წლისაა, ჭყიტა, მეორე კი ათასცხრაასიანია! რა ძველებია!

– ათას ცხრაასი, – გავიმეორე მე, – იქნებ...

– მაცალე ერთ წამს. ვფიქრობ.

– იქნებ, ეს ვილაცის სამალავი ადგილია, ჰა, ჯემ?

– არა... იქ ჩვენ გარდა, ბევრი არავინ დადის, ვინმე უფროსი ადამიანის თუ არაა...

– უფროსებს სადა აქვთ სამალავი ადგილები! როგორ გგონია, ჯემ, რა მოხდება, რო შევინახოთ?

– არ ვიცი, როგორ უნდა მოვიქცეთ... რომ დავუბრუნოთ, ვის დავუბრუნოთ? ნამდვილად ვიცი – მაგ გზით არავინ დადის. სესილი სახლში უკანა ქუჩით მიდის ხოლმე და შორიდან უვლის, რომ ქალაქში წავიდეს.

სესილ ჯეიკობსი, ჩვენი ქუჩის ბოლოს, ფოსტის მეზობლად ცხოვრობდა და იმისთვის, რომ რედლებისა და მისიზ ჰენრი ლაფაიეტ დუბოუზის სახლთან არ ჩაევლო, დღეში ერთ ზედმეტ მილს გადიოდა სკოლიდან შინ და უკან მიმავალი. მისიზ დუბოუზი ჩვენს ქუჩაზე, ჩვენგან ორი სახლის გადაღმა ცხოვრობდა. მეზობლები ერთხმად აღიარებდნენ, მისიზ დუბოუზისთანა საძაგელი მოხუცი ქვეყნიერებას არ მოსწრებიაო. ჯემი მის ეზოსთან არასდიდებით არ ჩაივლიდა, თუ თან ატიკუსი არ ახლდა.

– ჯემ, მითხარი, აბა, რა უნდა ვუყოთ?

მართალია, ხანდახან მეზობლის ბაღში კამელია მოგვიწყვეტია, გაგანია ზაფხულში მის მოდი ეტკინსონის ძროხასაც დავსესხებივართ ყლუპ რძეს, ზოგჯერ მეზობლის ვენახში ყურძნის მტევნითაც ჩაგვიტკბარუნებია პირი, მაგრამ ამის გამო სინდისის ქენჯნას სულაც არ განვიცდიდით, რადგან ეს ჩვენი "ეთიკური კულტურის" ნაწილად მიგვაჩნდა. აი, ფული კი სულ სხვა რამ იყო.

– იცი, რას გეტყვი, – მითხრა ჯემმა, – სანამ სწავლა დაიწყება, შევინახოთ, მერე კი ყველა სათითაოდ დავიაროთ და გავიგოთ, ვისია. იქნებ რომელიმე გარეუბნელი ბავშვისაა და დღეს რო ადრე დაგვითხოვეს, იმ ფაციფუცში წაღება დაავიწყდა? ვიღაცის რომაა, ნამდვილად ვიცი. ხედავ, როგორ გაუპრიალებიათ? ვიღაცა ძალიან უფრთხილდებოდა!

– კი მაგრამ, აბა, კევს ვიღა გადაინახავდა ასეთნაირად? ხო იცი, კევი დიდხანს ვერ ძლებს...

– ეგ არ ვიცი, ჭყიტა. მაგრამ ის კი ვიცი, რომ ამას ვიღაცა ძალიან უფრთხილდებოდა.

– რა იცი?

– რა ვიცი და, ინდიელის თავი ახატია, ესე იგი, ინდიელებისგან მოდის. ამათ ნამდვილი ჯადო აქვთ, ბედნიერების მოტანა შეუძლიათ! ოღონდ ისე კი არა, თვალს რო დახუჭავ, ინატრებ და შემწვარი ქათამი გაჩნდება. არა, აი, ვთქვათ, ...ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს... ჰო, კიდევ, საკონტროლოების კარგად ჩაბარებას და ეგეთ რამეებს

აგისრულებს. ვიცი, ამას ვიღაცა ძალიან უფრთხილდებოდა... მოდი, ჩემს სკივრში შევინახავ.

ვიდრე თავის ოთახში შევიდოდა, ჯემი კარგა ხანს გასცქეროდა რედლების ეზოს და ეტყობოდა, ისევ დაძაბულად ფიქრობდა.

ორ დღეში დილიც ჩამოვიდა. ძალიან დიდ გულზე იყო და გაბრნყინებული სახით გვიამბობდა თავისი მგზავრობის ამბავს: თურმე ნუ იტყვით – მარტომ იმგზავრა მერიდიანიდან მეიკომის გზაჯვარედინამდე (ასე იმ ადგილს მეზობელი ოლქის საპატივცემულოდ დაარქვეს, თორემ გზაჯვარედინი, სინამდვილეში, ებოტის ოლქში მდებარეობს, სადაც მას მის რეიჩელი დახვედრია მეიკომის ერთადერთი ტაქსით. მერე თურმე ნამდვილ სასადილოში ისადილა, ბეი სენტ-ლუისის სადგურზე სიამის ტყუპები ნახა! რამდენს არ ვემუქრებოდით, მაინც ვერ გადავათქმევინეთ – გინდა თუ არა, სიმართლეს ვამბობო! დილს აღარ ეცვა ის საშინელი, პერანგზე ღილებით მიბნეული ლურჯი შორტები, ახლა რკინისბალთიან ნამდვილ შარვალს ატარებდა. თითქოს ცოტა მოსუქებულიყო კიდეც, მაგრამ სიმაღლეში მაინც არ გაზრდილიყო. ბოლოს ისიც კი გვითხრა – მამაჩემი ვნახეო. თურმე მამამისი მამაჩემზე მაღალი ყოფილა, შავი წაწვეტებული წვერი ჰქონდა და ერთ-ერთი სარკინიგზო კომპანიის პრეზიდენტი ბრძანდებოდა.

– ცოტა ხანს მემანქანეს ვეხმარებოდი, – მთქნარებ-მთქნარებით მოგვახსენა მან.

– კი, როგორ არა, ნუხელ სიზმარში, – მიაძახა ჯემმა.

– დღეს რა ვითამაშოთ?

– ტომი, სემი და დიკი, – თქვა დილმა, – წამო, წინა ეზოში გავიდეთ.

დილმა "ძმები როუვერები" იმიტომ შეარჩია, რომ იქ სამივე გმირი სერიოზული იყო, აშკარად ყელში ამოუვიდა ამდენი სახასიათო როლების შესრულება.

მე კი ტომ როუვერის თამაში მომბეზრდა: ის შუაგულ პიესაში მეხსიერებას კარგავდა და მხოლოდ ბოლოსღა გამოჩნდებოდა, როცა ალასკაზე იპოვიდნენ, ამიტომ ვუთხარი:

– ო, ეგ მომბეზრდა, რამე ახალი მოიგონე, რა, ჯემ!

– ამდენი გამოგონება აღარ შემიძლია...

თავისუფლების ორიოდ დღე და – უკვე ყურები ჩამოუყარეთ; ნეტა ეს ზაფხული რას გვიქადის-მეთქი, გავიფიქრე.

ნინა ეზოში რომ გავედით, დილი შედგა და ქუჩის გადაღმა, რედლების ეზოსკენ გააპარა თვალი.

– სიკვდილის სუნი მომდის! – თქვა მან. როცა ვუთხარი, მოკეტე-მეთქი, მიპასუხა – მართლა გეუბნებიო.

– ესე იგი, როცა ვინმე კვდება, შენ სუნი გცემს, არა?

– არა, მე მარტო იმას ვამბობ, რო ვინმეს თუ ვუყნოსავ, შემიძლია ვუთხრა, როდის მოკვდება. ერთმა მოხუცმა ქალმა მასწავლა.

დილი ჩემკენ გადმოიხარა და ცხვირი გააცმაცუნა:

– ჯინ ლუიზ ფინჩ, თქვენ სამ დღეში მოკვდებით!

– თუ არ გაჩუმდები, დილ, ყურებს დაგანინკნი!

– ჰა, გეყოფა, – შემომიბღვირა ჯემმა, – ისე იქცევი, ვინმეს ეგონება, მაჯლაჯუნებისა სჯერაო.

– ვითომ შენ არა გჯერა, აი! – ვუთხარი მე.

– მაჯლაჯუნა რაღაა? – იკითხა დილმა.

– შუაღამისას უკაცრიელ ქუჩაზე მარტოს არასოდეს გაგივლია? იქ დაძრწიან მაჯლაჯუნები. მაჯლაჯუნა ისეთი ვინმეა, ვინც სამოთხეში ვერ მოხვდა, დახეტიალებს უკაცრიელ გზაზე და თუ გვერდით ჩაუვლი, სიკვდილის მერე შენც ისეთი გახდები – იბოდიალებ ღამღამობით, ხალხს გულზე დააწვები და სულს შეუხუთავ.

– კი მაგრამ, გვერდს ვერ აუვლი?

– ვერა, – უთხრა ჯემმა, – ხანდახან მთელ გზაზე ჩამწკრივდებიან ხოლმე. ხოდა, როცა ჩაუვლი, პირჯვარი უნდა გადაიწერო და სამჯერ თქვა: "ანგელოზო უფლისავ, სახიერო, პირმნათეო, შემინყალე, ნუ გამწირავ, ბნელ ღამეში მინათეო!" ამას თუ იტყვი, სულს აღარ შეგიხუთავენ.

– არ დაუჯერო, დილ! კელპურნია ამბობს, ეგ სულ ზანგების მონაჩმახიაო, – ვუთხარი მე. ჯემმა გამანადგურებელი მზერა მომაპყრო, თქმით კი ესღა თქვა:

– ჰა, ვითამაშოთ რამე, თუ გადაიფიქრეთ?

– მოდი, საბურავით ვიგორაოთ! – შევთავაზე მე.

ჯემმა ამოიოხრა:

– მე რო ძალიან დიდი ვარ...

– მაშინ შენ მოგვანექი, – ვუთხარი მე.

მერე უკანა ეზოსკენ გავიქეცი, სახლს ქვემოდან ძველი საბურავი გამოვაძვრინე და წინა ეზოში გამოვათრიე. პირველი მე ვარ-მეთქი, გამოვაცხადე.

დილმა თქვა, პირველი მე უნდა ვიყო, რადგან ახალი ჩამოსული ვარო.

ჯემმა განსაჯა – პირველი ჭყიტა დაგორდება, სამაგიეროდ, დილი მეტხანს იგორავებსო. მეც აღარ დავაყოვნე და საბურავში ჩავეჭეჭყე.

მოგვიანებით მივხვდი – ჯემმა ეს განზრახ მომიწყო: სამაგიეროს მიხდიდა იმისთვის, რომ მისი მონაჩმახი მაჯლაჯუნებზე დილთან აბუჩად ავიგდე. მოთმინებით იცდიდა, ვიდრე სამაგიეროს გადახდისთვის ხელსაყრელი შემთხვევა მიეცემოდა და აი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ხელი ჰკრა საბურავს. სახლები, ცა და დედამიწა გამაოგნებელი სისწრაფით დამიტრიალდა თვალწინ. ყურები მინიოდა, ვიგუდებოდი. მკლავები მკერდსა და ფეხებს შორის მქონდა ჩაჭეჭყილი, ამიტომ შესაჩერებლად ხელს ვერ გამოვყოფდი, ერთადერთ იმედს ჯემზე ვამყარებდი – იქნებ, გადამასწროს და საბურავს წინ დაუხვდეს, ან იქნებ, ტროტუარის კიდესთან შეჯახებამ შემაჩეროს-მეთქი. ჯემი უკან მომდევდა და რაღაცას მომყვიროდა.

საბურავი ხრეშზე დაცურდა, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს გადაგორდა, მოაჯირს მიეხეთქა და საცობივით მომისროლა ტროტუარზე.

ცემენტზე გაშოტილს გული მერეოდა და თავბრუ მესხმოდა. გამოსაფხიზლებლად თავს ვიქნევდი და ყურებზე ვირტყამდი ხელებს, ამ დროს ჯემის ყვირილი მომესმა.

– ჩქარა, ჭყიტა, ჩქარა, გამოდი მაქედან!

თავი ავწიე და ჩემ ცხვირწინ რედლების სახლის აივანი არ დავინახე! ტანში გამცრა.

– ჭყიტა, გამოდი, რაღას უყურებ! – ღრიალებდა ჯემი, – ადექი, არ შეგიძლია?!

როგორც იქნა, ავდექი: მთელი ტანით ვცახცახებდი, მაკრჭოლებდა.

– საბურავი წამოიღე! – ღრიალებდა ჯემი, – რას შვრები, ხომ არ გაგიჟდი! მანდ არ დატოვო, თან წამოიღე!

როცა ცოტა აზრზე მოვედი, რის ვაი-ვაგლახით დავიმორჩილე ფეხები და სახლისკენ მოვკურცხლე. გზადაგზა მუხლები მეკვეთებოდა.

– თან რატო არ წამოიღე, ჰა? – შემომიღრინა ჯემმა.

– მიდი და შენ წამოიღე! – დავჭყივლე მე.

ჯემმა არაფერი მიპასუხა.

– ჰე, მიდი, მიდი, ჭიშკრიდან არც ისე შორს გდია. რა დაგემართა? აღარ გახსოვს, სახლის კედელს რო მიადე ერთხელ ხელი?

ჯემმა ერთი კი შემომიბღვირა, მაგრამ ვერაფერი მიპასუხა და ტროტუარისკენ გაიქცა. გზად ტლაპოში ჩატოპა, მერე ერთბაშად შევარდა ეზოში და საბურავი გამოათრია.

– დაინახე? – მითხრა გამარჯვებული ღიმილით, – დიდი რამეც ეგ იყო! ხანდახან ნამდვილ გოგოსავით იქცევი ხოლმე, ჭყიტა, აუტანელი ხარ პირდაპირ!

საქმე არც ისე მარტივად იყო, როგორც მას ეგონა, მაგრამ გადავწყვიტე, არაფერი მეთქვა.

ამ დროს კელპურნია კარის ზღურბლზე გამოდგა და გამოგვძახა:

– ლიმონათი მომაქვს! რას უდგახართ მაგ მზეში, ხომ არ გინდათ, ცოცხლად დაიხრუკოთ?!

ლიმონათი შუადღეზე – ჩვენი საზაფხულო რიტუალი იყო. კელპურნიამ აივანზე დოქი და სამი ჭიქა გამოდგა და თვითონ შინ შებრუნდა. უკან აღარ მენაღვლებოდა, ჯემი რომ ჩემზე გაბრაზებული იყო – ლიმონათი მოიყვანდა გუნებაზე.

ჯემმა მეორე ჭიქაც რომ გადაყლურწა, მკერდზე მჯილი მიირტყა და გამოგვიცხადა:

– ახლა კი ვიცი, რასაც ვითამაშებთ. სულ ახალ, სულ სხვანაირ რაღაცას!

– რასა? – შეეკითხა დილი.

– "რედლი-ბუას"!

იყო წუთები, როცა ზუსტად ვიცოდი, ჯემს გულში რა ედო. ეს თამაში საიმისოდ მოიფიქრა, რომ ჩემთვის დაემტკიცებინა – რედლებისა სულაც არ მეშინიაო, და ამით საკუთარ გულადობას ჩემს სიმხდალეს დაუპირისპირებდა.

– რედლი-ბუა? ეგ როგორ? – ჰკითხა დილმა.

ჯემმა მითხრა:

– ჭყიტა, შენ მისიზ რედლი იქნები...

– არაფერი შეგეშალოს! არა მგონია...

– შენ რა, ისევ გეშინია?! – მკითხა დილმა.

– ხომ შეიძლება, ღამე გამოვიდეს გარეთ, როცა ყველას გვძინავს... – ვთქვი მე.

ჯემმა სისინით მითხრა:

– ეჰეე, ჭყიტა! საიდან გაიგებს, ჩვენ აქ რას ვაკეთებთ? მერე კიდე, მე მგონი, უკვე ცოცხალიც აღარაა. ალბათ დიდი ხანია, მოკვდა და ღუმელში შეჩურთეს.

დილმა თქვა:

– ჯემ, მაშინ მე და შენ ვითამაშოთ, ჭყიტამ კი გვიყუროს, რახან ეშინია.

დანამდვილებით ვიცოდი: რედლი-ბუა არ მომკვდარა და ახლაც იმ სახლში იყო; მაგრამ საბუთი არ გამაჩნდა და ვგრძნობდი, ჯობდა, ხმა არ ამომეღო, თორემ კიდევ დამაბრალებდნენ, მაჯლაჯუნებისა გეშინიაო, რაც დღისით-მზისით სრულებითაც არ მაღელვებდა!

ჯემმა როლები გაგვინაწილა: მე მისიზ რედლი გახლდით და ერთადერთი, რაც მევალებოდა, აივანზე ჯდომა და ტირილი იყო; დილი მოხუცი ბატონი რედლი იყო: დააბოტებდა ტროტუარზე და თუ ჯემი ხმას გასცემდა, ჩაახველებდა ხოლმე; ჯემი კი, რა თქმა უნდა, თვით ბუას განასახიერებდა: კიბის ქვეშ შეძვრებოდა და ხან ყმუოდა, ხანაც კიოდა.

გაზაფხულთან ერთად ჩვენი თამაშიც ეშხში შედიოდა: დღითი დღე ეხვეწდით, ვაუმჯობესებდით, ვამდიდრებდით დიალოგებითა და შინაარსით, ისე, რომ ბოლოს და ბოლოს ერთი პატარა პიესა გამოგვივიდა, რომელსაც ყოველდღე ჩვენს ნებაზე ვცვლიდით.

დილი ნამდვილი ოინბაზი იყო: საოცარი ოსტატობით მოირგებდა ხოლმე ნებისმიერ სახასიათო როლს. თუ საჭირო გახდებოდა, უფრო მაღალსაც კი მოგაჩვენებდა თავს. ბრწყინვალედ ასრულებდა ყველაზე უარყოფით გმირებსაც; ისინი მართლაც რომ შემაძრწუნებელი გამოსდიოდა. მე კი საკმაოდ უხალისოდ ვთამაშობდი ყველა იმ ქალის როლს, რომელიც ნარმოდგენაში უნდა გამოჩენილიყო. ამ დადგმას "ტარზანი" გაცილებით მერჩივნა. რამდენს არ ჩამჩიჩინებდა ჯემი – რედლი-ბუა მკვდარია და საშიში არაფერიაო, თანაც, დღისით კელპურნიაა სახლში, ღამე კი ატიკუსიო, მაინც არ მაძლევდა მოსვენებას ავი წინათგრძნობა.

ჯემი გმირად იყო დაბადებული!

ასე შეიქმნა პატარა სევდიანი დრამა, რომელიც მეზობლებში გავრცელებული ლეგენდის ყურმოკრული ნაწყვეტებისგან შევაკონინეთ: მისიზ რედლი, რომელიც გათხოვებამდე ლამაზი ქალი იყო, გათხოვების შემდეგ ყველაფერს კარგავდა: ქონებას, კბილებს, თმას და საჩვენებელ თითსაც კი (ეს დილის გამოგონება იყო; ერთ ღამეს ბუამ თურმე ციყვები და კატები ვერ დაიჭირა და დედამისს მოაკვნიტა თითი); ქალი დილიდან დაღამებამდე მისაღებ ოთახში იჯდა და გაბმით მოთქვამდა, ამასობაში ბუა მოსდგებოდა და დანით გულმოდგინედ ჩორკნიდა ხის ავეჯს.

შემდეგ სამი ავარა ბიჭის როლს ვასრულებდით; ხანდახან მოსამართლესაც მე ვთამაშობდი. დილი ჯემს გაათრევდა, კიბის ქვეშ შეაგდებდა და იატაკის სანმენდ ჯოხს უჩხიკინებდა. საჭიროების შემთხვევაში ჯემი გარდაიქმნებოდა ან შერიფად, ან რომელიმე მოქალაქედ, ან კიდევ მის სტეფანი კროუფორდად, რომელსაც რედლების ავანჩავანი მეიკომში ყველაზე უკეთ მოეხსენებოდა.

როცა საკვანძო სცენის გათამაშების დრო მოახლოვდებოდა, ჯემი სახლში შეიძურწებოდა ხოლმე: კელპურნიას რომ არ დაენახა, ისე მოიტაცებდა საკერავი მანქანის უჯრიდან მაკრატელს, საქანელაზე მოიკალათებდა და გაზეთების ჭრას შეუდგებოდა. მაშინ დილი ხველებ-ხველებით მიუახლოვდებოდა და ჯემი თეძოში ჩაასობდა მაკრატელს... ყოველ შემთხვევაში, იქიდან, საიდანაც მე ვუცქერდი, მართლაც ასე გეგონებოდათ!

როცა ქალაქისკენ მიმავალი ბატონი ნათან რედლი ყოველდღიური მარშრუტით ჩვენს ეზოსთან ჩამოივლიდა, ერთ ადგილზე გავქვავდებოდით ხოლმე და სანამ თვალს არ მიეფარებოდა, გარინდულები ვიდექით. მერე კი ვფიქრობდით – რომ მიხვდეს, რასაც ვთამაშობთ, ნეტავი, რას გვიზამსო. თამაშს მაშინაც შევწყვეტდით ხოლმე, როცა რომელიმე მეზობელს მოვკრავდით თვალს. ერთხელ დავინახე, მის მოდი ეტკინსონს როგორ შეაშრა ხელში ბუჩქის გასაკრეჭად განვდილი მაკრატელი და მონუსხულივით როგორ მოგვაჩერდა ქუჩის მეორე მხრიდან.

ერთ მშვენიერ დღეს ისე ჩაგვითრია "ერთი კაცის ოჯახის" II ტომის XXV თავის გათამაშებამ, რომ ატიკუსის მოსვლაც კი ვერ შევამჩნიეთ. ის ტროტუარზე იდგა, დაგრაგნილ ჟურნალს მუხლზე იცემდა და გვიყურებდა. ჩრდილის მიხედვით შუადღის თორმეტი საათი იქნებოდა.

– ეგ რა თამაში მოიგონეთ? – გვკითხა მან.

– არაფერი, – მიუგო ჯემმა.

რადგან ჯემმა არ გაუმხილა, მივხვდი – ჩვენი დადგმა საიდუმლოდ უნდა შეგვენახა და ხმა აღარ ამომიღია.

– მაშ, მაკრატელი რაღად გინდა, ჯემ? გაზეთს რისთვის ჭრი? იცოდე, დღევანდელი თუა, ვერ გადამირჩები.

– არაფერი, ისე...

– რა – არაფერი? – ჰკითხა ატიკუსმა.

– არაფერი, ბატონო.

– მომეცი აქ ეგ მაკრატელი, – უთხრა ატიკუსმა, – ეს სათამაშო არაა. მითხარი, თქვენ თამაშს რედლებთან ხომ არა აქვს რამე საერთო?

– არა, სერ, – უპასუხა ჯემმა და გაწითლდა.

– იმედი მაქვს, მართლა ასეა, – ცივად მოუჭრა მამამ და სახლში შევიდა.

– ჯეემ...

– მოკეტე! სასტუმრო ოთახში შევიდა, იქიდან კი ყველაფრის გაგონება შეუძლია.

როცა ეზოში გავედით, დილმა მხოლოდ მაშინ გაბედა ხმის ამოღება და ჰკითხა, ჯემ, ამის მერე შეიძლება ჩვენი პიესა დავდგათ, თუ არაო.

– რა ვიცი... ატიკუსს არ უთქვამს, ნუ ითამაშებთო, და...

– ჯემ, – ვუთხარი მე, – მე მგონი, ატიკუსი ისედაც ყველაფერს მიხვდა.

– ვერაფერსაც ვერ მიხვდა. მაშინ კიდევაც გვეტყოდა.

მე სხვა აზრისა გახლდით, მაგრამ ჯემმა მითხრა – ნამდვილი გოგოსავით ლაპარაკობ, გოგოები კი სნორედ იმიტომ ეჯავრება ყველას, რაღაცებს რომ მიედ-მოედებიანო, და გამაფრთხილა – იცოდე, თუ ასე გაგრძელებ, მიბრძანდი და ვისაც გინდა, იმას ეთამაშეო.

– ეგრე იყოს, ოღონდ კარგად დაიხსომე, რაც გითხარი, – მივუგე მე, – მალე მიხვდები, რომ მართალი ვარ.

ატიკუსის მოსვლა მეორე მიზეზი იყო, რომელიც თამაშის შეწყვეტისკენ მიბიძგებდა. პირველი კი ის იყო, რომ როცა რედლების წინა ეზოში მოვადინე ზღართანი, მართალია, გულიც მერეოდა, ყურებიც მიბჟუოდა და ჯემიც მომყვიროდა, მაგრამ მაინც გავარჩიე ყრუ ხმა, რომელსაც ტროტუარიდან ვერასდიდებით ვერ გავიგონებდი: იმ სახლში ვილაცა იცინოდა.

5

ბოლოს სწორედ ისე მოხდა, როგორც მე მინდოდა და შვებით ამოვისუნთქე: ჯემმა ველარ გაუძლო ჩემს გაუთავებელ ღრიტინს და პიესის დადგმა შენყვიტა. ისე, იხტიბარს მაინც არ იტეხდა, გვარწმუნებდა – ატიკუსს არ უთქვამს, ნუ ითამაშებთო, მაშასადამე, შეგვიძლია ვითამაშოთო. და თურმე, მამას რომც აეკრძალა, ჯემს უკვე გამონახული ჰქონდა გზა: მოქმედ პირებს სახელებს შეუცვლიდა და მაშინ შარს ველარავინ მოგვდებდა.

დილმა გულითა და სულით მოიწონა მისი სამოქმედო გეგმა. ისე კი, დილის ატანა დღითი დღე მიძნელდებოდა: სულ კუდში დასდევდა ჯემს! მართალია, ზაფხულის დამდეგს ხელი მთხოვა, მაგრამ ორიოდ დღეში გადაავიწყდა. ჯერ იყო და, ფეხდაფეხ დამყვებოდა, როგორც საკუთრებას, ისე მექცეოდა და – შენს მეტს ვერავის შევიყვარებო, მეფიცებოდა, ახლა კი ზედაც ალარ მიყურებდა! ერთი-ორჯერ კარგა მაგრად შემომელახა, მაგრამ ამანაც არ გაჭრა, პირიქით, კიდევ უფრო მიეკედლა ჯემს. შეთქმულებივით შეიყუჟებოდნენ ხოლმე ჩვენს ხის ქოხში და მთელ დღეებს ერთად ატარებდნენ. მე მხოლოდ მაშინ თუ მიმიხმობდნენ, როცა მესამე პირი დასჭირდებოდათ. ისე, მართალი გითხრათ, მერჩივნა კიდეც, მათი თავზეხელაღებული გეგმებისგან განზე ვმდგარიყავი; და თუმცა შიშისგან გული მეკუმშებოდა, "გოგო, გოგო" არ მომაძახონმეთქი, მაინც, თითქმის მთელი საღამოები იმ ზაფხულს მის მოდი ეტკინსონის აივანზე გავატარე.

საერთოდ, მის მოდი ეტკინსონის ეზოში მე და ჯემს თავისუფლად შეგვეძლო გვენავარდა, ოლონდ იელებს არ უნდა გავკარებოდით. თვითონ დიასახლისთან თითქმის არავითარი ურთიერთობა არ გვქონია. ვიდრე ჯემისა და დილის გეგმებს განზე არ გავუდექი, მის მოდი ჩემთვის ისეთივე მეზობლის ქალი იყო, როგორც ყველა დანარჩენი; მხოლოდ სხვებზე უფრო კეთილგანწყობილი ჩანდა.

უსიტყვოდ შეკრული პირობის თანახმად, შეგვეძლო ჩვენს ნებაზე გვეთამაშა მისი ეზოს კოინდარზე, გვეჭამა ხილი, თუკი ხეებზე ძრომიალს არ მოვყვებოდით; სახლსუკანა ვრცელი ფართობი ხომ მთლიანად ჩვენს განკარგულებაში აღმოჩნდა... ეს ნარმოუდგენელი სულგრძელობა იყო და იმის შიშით, ჩვენს ურთიერთობაში დამკვიდრებული ფაქიზი წონასწორობა არ დარღვეულიყო, მის მოდისთან დალაპარაკებასაც კი ვერიდებოდი. მაგრამ ჯემისა და დილის საქციელმა მასთან ძალაუნებურად დამაახლოვა.

მის მოდის თავისი სახლი სძულდა, შინ გატარებულ დროს დაკარგულად თვლიდა. იგი ქვრივი იყო, ქალი – ქამელეონი: ყვავილების კვლებს გაცრეცილ ჩალის ქუდსა და მამაკაცის შარვალ-ხალათში გამონყობილი ამუშავებდა; მაგრამ დღის მეორე ნახევარში აბაზანას რომ მიიღებდა და დედოფალივით გამობრძანდებოდა თავის აივანზე, მისი დანახვა ერთ რამედ ღირდა!

მის მოდის უყვარდა ყველაფერი, რაც კი მიწაზე ხარობს, თვით სარეველა ბალახიც. ოლონდ რატომღაც მრავალძარღვა ჰქონდა ამოჩემებული. ეზოში ამოსულს თუ წააწყდებოდა, ისეთ ამბავს დააწევდა, გეგონებოდათ – მოსისხლე მტერს შებმია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაშიო. თუნუქის ჯამით ხელში დააცხრებოდა მცენარეს და შხამიან სითხეს შეასხურებდა ძირში. თან გვაფრთხილებდა – ეს ისეთი ძლიერი შხამია, ყველას დაგვხოცავს, თუ არ გაინევითო.

– არ ჯობია, ამოგლიჯოთ? – ვკითხე ერთხელ, როცა შევესწარი, რამდენ ხანს ებრძოდა მის მოდი მრავალძარღვას ახლად ამონვერილ ღეროს, რომელიც სიმაღლეში ორ დუიმზე მეტისა არც იქნებოდა.

– ამოვგლიჯო, გენაცვალე, ამოვგლიჯო? – მან ნორჩი ღერო მოწყვიტა და ყუნწი ცერით მოუსრისა. ყუნწიდან თვალით ძლივს შესამჩნევი ნვრილი თესლები გადმოიყარა.

– წარმოიდგინე, მრავალძარღვას ერთმა ასეთმა ღერომ შეიძლება მთელი ბაღი დაღუპოს! იცი, როგორ? აი, როცა თესლები გადმოიყრება და გახმება, ქარი მათ მთელ ჩვენს ოლქზე მიმოაბნევს, – მითხრა მის მოდიმ ისეთი გამომეტყველებით, თითქოს ბიბლიური შავი ჭირის ამბავს მიყვებოდა.

მეიკომელის პირობაზე ამ ქალმა უჩვეულოდ სხარტი, პირდაპირი სიტყვა-პასუხი იცოდა. ჩვენ სამს სახელითა და გვარით მოგვმართავდა. გაღიმებულს ორი ოქროს კბილი გამოუკრთებოდა ხოლმე. ერთხელ აღტაცებულმა ვუთხარი – რომ გავიზრდები, ალბათ მეც ექნება-მეთქი ეგეთი კბილები; მან კი მიპასუხა – აბა, შემომხედეო, ენა გაანკლაპუნა

და კბილების "ხიდი" გამოიღო. ასეთმა უშუალობამ საბოლოოდ შეადუღაბა ჩვენი მეგობრობა.

ზაფხულობით ჩვენში გრძელი, წყნარი საღამოები იცის. ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი საღამო გაგვიტარებია მე და მის მოდის მისი სახლის აივანზე. დავსხდებოდით ხოლმე და ვტკბებოდით ბუნების ჭვრეტით. ჩამავალი მზის სხივებში ცა ჯერ გაყვითლდებოდა, მერე ვარდისფრად შეიფაკლებოდა, მეზობელ სახლებს გუნდ-გუნდად გადაუფრენდნენ მერცხლები, მერე კი კამარას კრავდნენ და სკოლის შენობის სახურავს უკან მიეფარებოდნენ თვალს.

– მის მოდი, – ვუთხარი ერთ ასეთ საღამოს, – როგორ ფიქრობთ, რედლი-ბუა ცოცხალია?

– მას არტური ჰქვია და ცოცხალია, – მომიგო მან და განაგრძო ნელა რწევა თავის ვეება მუხის სკამში, – მითხარი, ჩემი მიმოზების სუნი არ გცემს? რა ღვთაებრივი ჰაერია ამ საღამოს!

– დიახ. და საიდან იცით?

– რა საიდან ვიცი, გენაცვალე?

– რა და, რედლი-ბუ... არტური რო ცოცხალია?

– რა შემაძრწუნებელი კითხვაა! თუმცა რა, თვითონ ამბავია შემაძრწუნებელი... ცოცხალი რომაა, იქიდან ვიცი, ჯინ ლუიზა, რომ სახლიდან გამოსვენებული ჯერ არ დამინახავს.

– იქნება, მოკვდა და ბუხრის საკვამურში შეჩურთეს?

– ასეთი აზრი თავში როგორ მოგივიდა?

– ჯემმა მითხრა, მე მგონი, ასე ქნესო.

– სს-სს-სს! დღითი დღე ჯეკ ფინჩს ემსგავსება!

მის მოდი ჯეკ ფინჩს, ანუ ბიძაჩემს ბავშვობიდან იცნობდა. ისინი თითქმის ტოლები იყვნენ და ფინჩების მამულში ერთად იზრდებოდნენ: მის მოდი მეზობელი მემამულის – ფრენკ ბუფორდის ქალიშვილი იყო. ბუფორდს სამედიცინო განათლება ჰქონდა მიღებული, მაგრამ მიწათმოქმედების გარდა არაფერი იტაცებდა; იმიტომაც გაღატაკდა. ბიძაჩემის, ჯეკ ფინჩის შემთხვევაში კი პირიქით მოხდა – მიწათმოქმედებით მისი გატაცება ნეშვილში საკუთარი სახლის ფანჯრებიდან გადმოკიდებული ყვავილების ყუთების მოვლით შემოიფარგლა და აკი გამდიდრდა კიდეც. ძია ჯეკს ყოველ შობადღეს ვხედავდით და ყოველ შობადღეს გვესმოდა, როგორ უყვიროდა ქუჩის გადაღმა მცხოვრებ მის მოდის – ცოლად გამომყევიო. მის მოდი კი ღრილითვე უპასუხებდა ხოლმე – ცოტა უფრო ხმამაღლა თქვი, ჯეკ ფინჩ, და ბარემ შენს ხმას საფოსტო განყოფილებაში გაიგონებენ, თორემ მე ხომ შენი ხმა ჯერ არც გამიგონიაო! მე და ჯემს, ცოტა არ იყოს, გვიკვირდა – ხელის თხოვნის რა თავისებური ხერხი მოუგონია ბიძაჩვენსო. ისე, ვერაფერს იტყვი, ძია ჯეკი საერთოდაც თავისებური კაცი გახლდათ. მან აგვიხსნა – ამას იმიტომ ვშვრები, რომ ძალიან მინდა, მის მოდი როგორმე მოთმინებიდან გამოვიყვანო, მაგრამ ორმოცი წელია, ვცდილობ და არაფერი გამომდის: ვის-ვის და, ჩემს ცოლობას აზრადაც არასოდეს გაივლებს. სამაგიეროდ, ყველაზე მეტად ჩემი წვალება უყვარს. იმისთვის, რომ ამ ქალს გაუმკლავდე, წინასწარ უნდა დაიზღვიო თავი და პირველი უნდა გადახვიდე შეტევაზე. მეც ასე ვიქცევიო. აი, ეს კი მე და ჯემმა შესანიშნავად გავიგეთ.

– არტურ რედლი სახლიდან არ გამოდის, ეგაა და ეგ, – მითხრა მის მოდიმ, – აბა, წარმოიდგინე, რატომ უნდა გახვიდე გარეთ, თუკი შინ ჯდომა გირჩევნია?

– დიახ, მემ, მაგრამ, აბა, სახლში რა გამაჩერებს! ანდა ის როგორღა ჩერდება შინ?..

მის მოდიმ თვალები მოჭუტა:

– ეგ ამბავი შენც კარგად მოგეხსენება.

– კი მაგრამ, ჩემთვის რო არავის მოუყოლია... წარმოდგენა არა მაქვს, რატომაა ასე.

მის მოდიმ ოქროს "ხიდი" ენით გაისწორა და მითხრა:

– ხომ იცი, მოხუცი რედლი ბაპტისტი იყო, ოღონდ ისეთი, ვინც საბანელში ფეხის განბანვის რიტუალს აღიარებს.

– თქვენც ხომ ბაპტისტი ხართ?

– კი, მაგრამ არც ისეთი მტკიცე. მე ჩვეულებრივი ბაპტისტი ვარ.

– თქვენ ფეხის განბანვა არა გწამთ?

– მწამს, ოღონდ შინ, ჩვეულებრივ აბაზანაში.

– ესე იგი, ჩვენი და თქვენი რწმენა სხვადასხვანაირია, არა?..

ეტყობა, მის მოდიმ განიზრახა, ბაპტიზმი გასაგები ენით განემარტა ჩემთვის, გვერდი აუარა რელიგიური აღმსარებლობის ჩაკეტილობის თემას და ზიარების წესით კი არ დაიწყო, მითხრა:

– მათ ყოველგვარი სიამოვნება ცოდვად მიაჩნიათ. იცი, ერთ შაბათ დღეს ბაპტისტები ტყიდან გამოვიდნენ, ჩემს სახლთან ჩამოიარეს და მომაყვირეს – შენ და შენი ყვავილები ჯოჯოხეთში ერთად წახვალთო.

– თქვენი ყვავილებიც?

– დიახ, ბატონო! თურმე ნუ იტყვით, ისინიც ჩემთან ერთად ამოიბუგებიან. მათი აზრით, ღმერთს ვცოდავ, რომ მთელ დროს ღია ცის ქვეშ ვატარებ და არა სახლში – ბიბლიის კითხვაში!

როგორც კი წარმოვიდგინე, რა საშინელი წამება ელოდა მის მოდის სხვადასხვაგვარ პროტესტანტულ ჯოჯოხეთებში, საერთოდ შემერყა რწმენა ეკლესიის ამბიონიდან ნაქადაგები სახარების მიმართ: მართალია, მის მოდის საკმაოდ მწარე ენა ჰქონდა და მის კროუფორდივით კარდაკარ საქველმოქმედოდაც არ დადიოდა, სამაგიეროდ, თუ მის კროუფორდის ლაპარაკში ტყუილს და მართალს ვერ გაარჩევდით, მის მოდის ჯემი და მე სავსებით ვენდობოდით: მას არც არასოდეს დავუბეზღებივართ, არც კატათაგვობანას გვეთამაშებოდა ხოლმე და არც ჩვენს ოჯახურ საქმეებში უყვარდა ჩხრეკა. იგი ჩვენი მეგობარი იყო. ამიტომაც არ მესმოდა, რანაირად შეიძლებოდა, ასეთ გონიერ არსებას დღენიადაგ სამარადისო წამების შიშით ეცხოვრა...

– ეგ სწორი არაა, მის მოდი, თქვენზე უკეთეს ქალს მე არ შევხვედრივარ.

მის მოდიმ გამიღიმა.

– გმადლობთ, ქალბატონო, მაგრამ საქმე ისაა, რომ "ფეხის განმბანელები" ყოველგვარი ცოდვის სათავედ ქალს მიიჩნევენ. მათ ბიბლიის ყოველი სიტყვა პირდაპირი მნიშვნელობით ესმით, გამიგე?

– მაშ, არტურიც იმის შიშით არ გამოდის გარეთ – ვინმე ქალს არ გადავეყაროო?

– წარმოდგენა არა მაქვს.

– ვერაფერი გავიგე... მე მგონი, თუ არტური სამოთხეში მოხვედრას ნატრობს, სწორედ რომ გარეთ უნდა გამოვიდეს, თუნდაც აივანზე, ატიკუსმა გვითხრა – ღმერთი ადამიანის სიყვარულს გვასწავლისო.

მის მოდიმ რწევა შეწყვიტა და პირქუშად მითხრა:

– ამის გასაგებად ჯერ ძალიან პატარა ხარ, მაგრამ იცოდე, ზოგი ადამიანის ხელში ბიბლიას მეტი ზიანის მოტანა შეუძლია, ვიდრე ვისკით სავსე ბოთლს... აი, თუნდაც მამაშენისთანა კაცის ხელში.

თავზარი დამეცა.

– ატიკუსი ვისკის არ სვამს, – ვუთხარი მაშინვე, – თავის სიცოცხლეში ერთი წვეთი არ დაულევია!... თუმცა კი... ერთ დროს თურმე ცოტ-ცოტას სვამდა, მაგრამ სულაც არ მოსწონდა!

მის მოდის გაეცინა.

– მამაშენზე კი არ ვამბობ, – მითხრა მან, – მე იმას ვამბობდი, ატიკუს ფინჩმა მთელი ბოთლიც რომ გამოცალოს და კარგა მაგრადაც გამოთვრეს, ისეთი აუტანელი მაინც არ გახდება, როგორიც ზოგიერთი კაცი სიფხიზლეში შეიძლება იყოს. იცი, არიან ადამიანები, რომლებიც იმდენს ფიქრობენ საიქიოზე, რომ ნამდვილი ცხოვრებისა არაფერი გაეგებათ. ამის საუკეთესო მაგალითს შენ თვითონაც დაინახავ, თუ ჩვენს ქუჩას გადაავლებ თვალს.

– როგორ ფიქრობთ, მართალია, რასაც არტურზე ჰყვებიან?

– რას ჰყვებიან?

მეც, რაც ვიცოდი, ვუამბე.

– შენ რაც მითხარი, იქიდან სამი მეოთხედი ზანგების მონაჩმახია, ერთი მეოთხედი კი სტეფანი კროუფორდისა იქნება, – მითხრა სახემოღუშულმა მის მოდიმ, – სტეფანი კროუფორდმა ისიც კი მითხრა, ერთხელ შუალამისას გამომეღვიძა და დავინახე, არტური როგორ მომჩერებოდა ფანჯრიდანო. მე ვუპასუხე, მერე, სტეფანი, შენ რაღა ჰქენი-მეთქი? ალბათ ჩაიწიე და შენს საწოლში ადგილი დაუთმე-მეთქი, არა? მაშინ კი ჩაიკმინდა ცოტა ხნით ხმა...

ეჭვი არ მეპარება, ასეც იქნებოდა: ოლონდ მის მოდის მოენდომებინა და, ვის არ ჩააკმენდინებდა ხმას!

– ეგ ასე არაა, ჩემო პატარავ, – მითხრა მან, – ეგ ძალიან სევდიანი სახლია... არტური სულ პატარა ბიჭი მახოვს. ყოველთვის ისე თავაზიანად მესაუბრებოდა, ხალხის ლაყბობას ყურს ნუ დაუგდებ. საოცრად თავაზიანი ბავშვი იყო.

– როგორ გგონიათ, გიჟი ხომ არაა?

მის მოდიმ თავი გააქნია.

– რომც არ ყოფილიყო, აქამდე ნამდვილად გაგიჟდებოდა. კაცმა არ იცის, რა ემართებათ ადამიანებს – რა ემართებათ ჩარაზულ კარებს მიღმა, ოთხ კედელშუა გამომწყვდეულებს. ვინ იცის, რა საიდუმლოება...

– ატიკუსი სახლში ისეთს არაფერს გვიშვებდა მე და ჯემს, რასაც გარეთ არ გვიზამდა, – ვთქვი მე: თავი მოვალედ ჩავთვალე, ჩემი მშობელი დამეცვა.

– რას ამბობ, ბავშვო, მე განა მამაშენზე ვამბობდი, უბრალოდ, კვანძის გახსნა მინდოდა! მაგრამ რადგან მომაგონე, იცი, ახლა რას გეტყვი? ატიკუს ფინჩი შინ ისეთს არაფერს ჩაიდენს, რასაც საჯაროდ ვერ იზამდა. გინდა, ახალი გამომცხვარი ტორტი სახლში გაგატანო?

მინდოდა, აბა, არ მინდოდა!

მეორე დილით გამოღვიძებულს დილი და ჯემი უკვე სახლს უკან ეზოში გასულები დამიხვდნენ. გაცხარებული საუბარი გაებათ. როცა მივუახლოვდი, როგორც ყოველთვის, მითხრეს, აქედან წადიო.

– არსადაც არ წავალ. ჯემ ფინჩ, ეს ბაღი ისევეა შენი, როგორც ჩემი და მეც ზუსტად ისევე შემიძლია აქ თამაში, როგორც შენ.

ხანმოკლე მოლაპარაკების შემდეგ დილმა გამაფრთხილა:

– თუ დარჩები, მაშინ ის უნდა გააკეთო, რასაც ჩვენ გეტყვით.

– ოჰო, ერთი ამას დამიხედეთ, როგორ გადიდგულებულა!

– თუ პირობას არ მოგვცემ, რო რასაც დაგავალებთ, იმას შეასრულებ, არაფერსაც არ გეტყვით.

– ისე იქცევი, კაცი იფიქრებს, ერთ ღამეში ერთი-ორი გოჯით სიმაღლეში გაიზარდაო!

ჯემმა აუღელვებლად მომიგო:

– გადავწყვიტეთ, რედლი-ბუას ბარათი გადავცეთ.

– ეგ როგორ? – ვკითხე და შევეცადე, უნებლიე შიშს მოვრეოდი. მის მოდის რა ენაღვლება, რასაც უნდა, იმას იტყვის! ჯერ ერთი, ბავშვი აღარაა, მერე კიდევ – ვისი შიში უნდა ჰქონდეს საკუთარი სახლის აივანზე მყუდროდ მოკალათებულს! ჩვენი ამბავი იკითხეთ, თორემ იმას რა უჭირს...

თურმე ჯემს ანკესის წვერზე ნამოცმული ბარათი რედლების დარაბებს შორის ღრიჭოში უნდა შეეგდო, და თუ იმ დროს ვინმე ჩამოივლიდა, დილი ზარს დარეკავდა.

დილმა მარჯვენა ხელი ასწია და დედაჩემის ნაქონი ვერცხლის ზანზალაკი დამანახა, რომელსაც ადრე ოჯახის წევრების სადილზე მოსახმობად იყენებდნენ.

– მე სახლს გვერდიდან შემოვუვლი, – მითხრა ჯემმა, – გუშინ ქუჩიდან დავაკვირდით და ერთი ღრიჭოდ დარჩენილი დარაბა შევნიშნეთ. იქნებ როგორმე მოვახერხო და ფანჯრის რაფაზე მაინც შევჩხირო.

– ჯემ...

– ახლა გვიანაა, კაპასო ქალბატონო! პირობა ხომ არ დაგავიწყდა?

– ხო, კაი, კაი, მაგრამ რო არ გიყუროთ, არ შეიძლება? ჯემ, იცი, მაშინ ვიღაც...

– დიახაც რომ არ შეიძლება. შენ ეზოს უკან დადგები, დილი კი სახლის წინ დადგება და ქუჩას უთვალთვალებს. ვინმე თუ გამოჩნდება, ზარს დარეკავს. გაიგე?

– ეგრე იყოს... რა მისნერეთ?

დილმა მითხრა:

– ძალიან თავაზიანად ვთხოვთ, ხანდახან გამოვიდეს და გვითხრას, რას აკეთებს თავის სახლში, თანაც ვეუბნებით – ჩვენი ნუ გეშინია-თქო; თუ გინდა, ნაყინსაც გაჭმევთ-თქო.

– თქვენ ორივენი გაგიჟებულხართ! გინდათ, დაგვხოცოს, არა?!

– ეს მე მოვიგონე – მითხრა დილმა, – მე ასე ვფიქრობ, ცოტა ხნით ჩვენთან თუ გამოვა, თავს უკეთესად იგრძნობს.

– მერედა, ვინ მოგახსენა, რომ თავს ცუდად გრძნობს?

– კარგი რა! ნეტა, როგორ იგრძნობდი თავს, ვინმემ ასი წლით რო ჩაგკეტოს სახლში და კატების მეტი საჭმელი არაფერი გქონდეს? თავს დავდებ, წვერი კოჭებამდე ექნება ჩაზრდილი.

– მოკეტეთ, ეხლა, – გვითხრა ჯემმა, მერე სახლის ქვეშ შეძვრა და ყვითელი ბამბუკის ანკესი გამოაძვრინა, – როგორ გგონია, ამით ტროტუარიდან სახლს მივწვდები?

– რაში სჭირდება ანკესი ადამიანს, რომელმაც ერთხელ ხელი მიადო სახლს? – ვუთხარი მე, – არ ჯობია, მიხვიდე და კარზე მიაკაკუნო?

– სად ეს, და სად – ის?! რამდენჯერ უნდა აგიხსნა?

დილმა ჯიბიდან ქაღალდის ნაგლეჯი ამოიღო და ჯემს გაუწოდა. სამივენი ფეხაკრეფით გავემართეთ ძველი სახლისკენ. დილი რედლების კარ-მიდამოს წინ კუთხეში აღმართულ განათების ბოძთან დადგა, ჯემი და მე ღობის გასწვრივ ტროტუარს გავუყევით, მერე იქ დავდექი, საიდანაც იმასაც დავინახავდი, რა ხდებოდა მოსახვევს იქით.

– მიდი, ჯემ, არავინ არ მოჩანს, – ვუთხარი მე.

ჯემმა დილს გახედა, იმანაც კვერი დაუკრა.

მაშინ ჯემმა ბარათი ანკესის წვერს წამოაცვა, ეზოში გადაყო და შერჩეული ფანჯრისკენ მიმართა. ანკესს სიგრძეში რამდენიმე გოჯი დააკლდა. ჯემი მთელი ტანით გადაეყუდა ღობეზე. იმდენ ხანს ვუყურე, როგორ უჩხიკინებდა ანკესით ფანჯარას, რომ გულმა ველარ მომითმინა, სათვალთვალო პოსტი მივატოვე და მივუახლოვდი.

– ანკესს ბარათი ვერაფრით ვერ მოვაშორე, – ჩაიბურტყუნა მან, – და თუ გამოვაძრობ, ერთ ადგილზე ველარ გავაჩერებ. შენ ადგილზე დაბრუნდი, ჭყიტა.

მეც დავბრუნდი და მოსახვევს იქით უკაცრიელ გზას მივაშტერდი. დროდადრო ჯემს გავხედავდი, რომელიც მოთმინებით ცდილობდა, ბარათი ფანჯრის რაფაზე მოეთავსებინა. წამდაუწუმ მიწაზე უვარდებოდა და დაუზარებლად იღებდა ანკესის წვერით. ეს იმდენჯერ განმეორდა, რომ გავიფიქრე – ბუამ ეს წერილი რომც მიიღოს, ვერაფერს გაარჩევსმეთქი. ისევ გავხედე ქუჩას და უცებ "სადილის" ზარმა დაიწკრიალა.

ერთბაშად მოვიკუნტე და წავბარბაცდი, მეგონა, სადაცაა, რედლიბუას სისხლიანი კლანჭები ჩამესობა-მეთქი, მაგრამ თვალი რომ გავახილე, დილი დავინახე, რომელიც გამალებით აწკრიალებდა ზარს ატიკუსის ცხვირწინ.

ჯემი ისეთი საცოდავი შესახედავი იყო, ველარც ვუთხარი – ხომ გაფრთხილებდი-მეთქი. ძლივს მოითრევდა ფეხებს, ზურგს უკან კი ანკესს მოახოხიალებდა.

ატიკუსმა თქვა:

– შეწყვიტე მაგ ზარის რეკვა.

დილმა ზანზალაკი ხელით ჩაბღუჯა. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, ვინატრე, ნეტა კიდევ დარეკოს-მეთქი ზარმა. ატიკუსმა ქუდი კეფაზე გადაიწია და დოინჯი შემოირტყა.

– ჯემ, – თქვა მან, – რას აკეთებდი?

– არაფერს, სერ.

– ეგეთები აღარ გამაგონო. სიმართლე მითხარი.

– მე... ჩვენ გვინდოდა, ერთი რაღაცა მიგვეცა ბატონი რედლისთვის.

– რის მიცემა გინდოდათ?

– ერთი წერილის.

– აბა, მიჩვენე.

ჯემმა გაზუზნული ქაღალდის ნაფლეთი გაუწოდა. ატიკუსმა გამოართვა და წაკითხვა სცადა.

– რად გინდათ, რომ ბატონი რედლი გარეთ გამოვიდეს?

დილმა უპასუხა – ვიფიქრეთ, ჩვენთან გაერთობოდა... – მაგრამ როცა დაინახა, როგორ უყურებდა ატიკუსი, ხმა ჩაუწყდა.

– შვილო, – ატიკუსმა დილს მიმართა, – ახლა რაღაცას გეტყვი და ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვრე: შეწყვიტეთ იმ ადამიანის წვალება. ეს თქვენ ორსაც გეხებათ.

მერე გვითხრა: მისტერ რედლი თავისი თავის ბატონ-პატრონია და როგორც უნდა, ისე მოიქცევა; თუ მოისურვებს – გარეთ გამოვა, თუ არა და, სახლში დარჩება, რაც, ძალიან რბილად თუ ვიტყვით, თქვენისთანა ცნობისმოყვარე ბავშვებთან ურთიერთობისგან იხსნის.

– ხომ არ მოგეწონებათ, რომ ავდგე და ღამით ოთახში დაუკაკუნებლად შემოგივარდეთ? ჰოდა, თქვენ ზუსტად ამას უკეთებთ ბატონ რედლის. თუ თქვენ ბატონი რედლის ცხოვრების ნირი რაღაცით გაკვირვებთ, თქვენ წარმოიდგინეთ, მე ვერაფერს ვხედავ ამაში გასაკვირს. და ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, განა არ იცით, რომ ადამიანები ურთიერთობის დასამყარებლად ფანჯარაში კი არ მიძვრებიან, კარზე უკაკუნებენ?! – განაგრძობდა ატიკუსი.

ბოლოს კი გვითხრა:

– ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვრეთ – ვიდრე თვითონ მასპინძელი არ მიგიპატიჟებთ, მის სახლთან არაფერი გესაქმებათ, მეტი აღარ დაგინახოთ, იმ ბრიყვულ თამაშს თამაშობდეთ, ან აბუჩად იგდებდეთ ვინმეს ან ამ ქუჩაზე, ან ამ ქალაქში!

– ჩვენ აბუჩად კი არ ვიგდებდით, – უთხრა ჯემმა, – კი არ დავცინოდით, უბრალოდ...

– აა, ესე იგი, მაშინ სწორედ ამას აკეთებდით, ხომ?

– აბუჩად ვიგდებდით?

– არა, მთელი მეზობლების დასანახად დგამდით სცენებს მისი ცხოვრებიდან.

ჯემი გაიფხორა:

– კი მაგრამ, მე რომ არ მითქვამს, მაგას რო ვაკეთებდით, არაფერიც არ მითქვამს!

ატიკუსს მკაცრად გაეღიმა და უთხრა:

– აი, ახლა მითხარი. ახლავე შენყვიტეთ ეს სისულელე, გესმით თუ არა ჩემი?

ჯემი პირდალებული მიჩერებოდა მამას.

– შენ გინდა, ვექილი გამოხვიდე, ასე არაა? – მამამ აქ ისე მაგრად მოკუმა პირი, თითქოს უნდოდა ტუჩები სწორ ხაზად ქცეოდა.

ჯემი მიხვდა – თავს მაინც ველარ დაიძვრენდა და აღარაფერი უპასუხა. ატიკუსს საქალალდის სამსახურში წაღება დავიწყებოდა და ოთახში შევიდა გამოსატანად. ჯემმა იგრძნო, გამოცდილი ვექილის ოსტატურად დაგებულ მახეში გავებიო, და როცა სამსახურისკენ მიმავალი ატიკუსი იმდენად გაგვშორდა, რომ ველარაფერს გაიგონებდა, მხოლოდ მაშინღა გასძახა:

– აქამდე მეგონა, ვექილი გამოვიდოდი, მაგრამ შეიძლება, გადავიფიქროოო!

6

როცა ჯემმა ატიკუსს სთხოვა, დილი ხვალ მიემგზავრება და თუ შეიძლება, ამ საღამოს მასთან ერთად მის რეიჩელის გუბურასთან გავატარებთო, მამამ მიუგო – კი ბატონო. ჩემ მაგივრადაც დაემშვიდობეთ და უთხარით, მომავალ ზაფხულს გელოდებით-თქო.

მე და ჯემი ჩვენს სამანქანო გზასა და მის რეიჩელის ეზოს შორის გამავალ დაბალ მესერს გადავახტით. ჯემმა დილს სტვენით ანიშნა – მოვედითო. ისიც მაშინვე გამოეხმაურა სიბნელიდან.

– რა დახუთული ჰაერია! ერთი იმას შეხედეთ! – გვითხრა ჯემმა და აღმოსავლეთისკენ მიგვითითა.

მის მოდის კაკლის ხეების თავზე უზარმაზარი მთვარე ამოსულიყო.

– მაგას რო ვუყურებ, კიდევ უფრო მცხელა, – თქვა ჯემმა.

დილს თავი არც აუწევია, ისე იკითხა:

– აბა, მოჩანს ჯვარი მთვარეზე? – თან გაზეთითა და კანაფით სიგარეტის გაკეთებას ცდილობდა.

– არა, მარტო ქალია. მაგას ნუ დაანთებ, დილ, თორე მთელ უბანს აახრჩოლებ.

მთვარეს მეიკომში ეხატა ქალი, რომელიც სარკის წინ თმას ივარცხნიდა.

– როგორ მოგვენატრები, ბიჭო! – ვუთხარი დილს, – რას ფიქრობთ, მისტერ ეივერის ხომ არ შევხედოთ, ჰა?

ბატონი ეივერი მისიზ ჰენრი ლაფაიეტ დუბოუზის სახლის პირდაპირ ქირაობდა ბინას. რაც თავი მახსოვს, კვირაობით ეკლესიაში შესანირ ხურდა ფულს აგროვებდა, საღამოობით კი იჯდა თავის აივანზე ცხრა საათამდე და აცემინებდა. ერთ საღამოს მე, ჯემსა და დილს ბედმა გაგვიღიმა და ისეთ სანახაობას შევესწარით, რომელიც, მგონი, მეტჯერ არც აღარასოდეს განმეორებულა; ყოველ შემთხვევაში, იმ დროს, როცა ჩვენ ვუთვალთვალებდით: მე და ჯემი მისიზ რეიჩელის აივანზე დილს ელმშვიდობებოდით. უცებ დილმა გვითხრა – აუუ, აბა, ერთი იქით გაიხედეთო! ჩვენც მაშინვე მის თითს გავაყოლეთ თვალი. თავდაპირველად ქუჩის გადაღმა, ყვავილებში ჩაფლული სახლის წინა აივნის გარდა, ღირსშესანიშნავი ვერაფერი დავინახეთ. მაგრამ როცა უკეთ დავაკვირდით, შევნიშნეთ, რომ აივნის ყვავილებიდან ყვითელ რკალად იღვრებოდა ქუჩის განათების შუქზე მბზინავი სითხე, ასე, ათი ფუტის სიმაღლიდან ქვემოთ, მიწაზე. ჯემმა თქვა – მისტერ ეივერიმ მიზანში ვერ გაარტყაო, დილმა კი განაცხადა – ეგ, ეტყობა, დღეში სულ ცოტა ერთ ბოცას მაინც სვამსო. ამას ჯემისა და დილის ხანგრძლივი პაექრობა მოჰყვა. გადანყვიტეს, მისტერ ეივერის მიბაძვით, თვითონაც მოესინჯათ ძალები: გაიმართა შეჯიბრი – "ვინ უფრო შორს და ვინ უფრო მარჯვედ", რომელმაც კიდევ ერთხელ გამომთიშა ბიჭური გართობებიდან და ისევ მიტოვებულად მაგრძნობინა თავი, რადგან ამ სფეროში დახელოვნებული არ გახლდით...

დილი ნელში გაიმართა, გაიზმორა, და ვითომც აქ არაფერიაო, არხეინად განაცხადა:

– მე ვიცი, რა უნდა ვქნათ, ახლა გავისეირნოთ.

არ მომეწონა მისი ნათქვამი: მეიკომში ტყუილუბრალოდ არავინ დასეირნობდა.

– საით, დილ? – ვკითხე მე.

დილმა თავი სამხრეთისკენ გაიქნია.

ჯემმა თქვა, კარგიო. როცა მე უარი ვუთხარი, ტკბილი ხმით მომიგო:

– თქვენი წამოსვლა სრულებითაც არაა სავალდებულო, ჩემო უმწიკვლო ქალწულო!

– არც თქვენი წასვლაა აუცილებელი. აღარ გახსოვს...

წარსულში განცდილი მარცხი ჯემს ვერ დააბრკოლებდა: ატიკუსთან ამასწინანდელი საუბრისას, როგორ ჩანს, მასზე მხოლოდ ვექილის გამჭრიახმა გონებამ და ჯვარედინი დაკითხვის უტყუარმა ალღომ მოახდინა შთაბეჭდილება.

– ჭყიტა, ჩვენ არაფრის გაკეთებას არ ვაპირებთ. განათების ბოძამდე ჩავისეირნებთ და უკან გამოვბრუნდებით.

უხმოდ ჩავუყევით ტროტუარს. დროდადრო მეზობლის აივანზე გაჭრიალებული საქანელას ხმას ან უფროსების წყნარ საუბარს თუ მოვკრავდით ყურს. რამდენჯერმე მის სტეფანი კროუფორდის კისკისიც გავიგონეთ.

– აბა, მიდი, – უთხრა დილმა ჯემს.

– ახლავე, – უპასუხა ჯემმა, – ჭყიტა, სახლში რატომ არ წახვედი?

– რას აპირებთ, ჰა?

დილი და ჯემი თურმე რედლების გამოღებული დარაბიდან ფანჯარაში შეჭვრეტას აპირებდნენ – იქნებ, ბუას მოვკრათ თვალიო, ხოლო თუ მე გაყოლას არ მოვისურვებდი, თურმე შემეძლო, მშვიდად წავსულიყავი შინ, ოღონდ ჩემი მოუსვენარი მსუქანი პირი მაგრად უნდა დამემუნა, ეგ იყო და ეგ.

– კი მაგრამ, აქამდე მაინც რა ჯანდაბას უცდიდით, რაღა მაინცდამაინც ამაღამ მოგინდათ ამის გაკეთება?

თურმე ღამეს იმიტომ უცდიდნენ, რომ სიბნელეში მათ ვერავინ დაინახავდა: ატიკუსიც ისე იქნებოდა კითხვით გართული, ქვეყანა რომ დაქცეულიყო, ვერაფერს შეიტყობდა; და თანაც, თუ რედლი-ბუა მათ მოკლავდა, მხოლოდ სკოლის გაცდენა მოუნევდათ და არა არდადეგებისა და გარდა ამისა, თურმე ბნელ ბინაში ღამით უფრო ადვილია რამის გარჩევა, ვიდრე დღისით.

– შეიგნე? – მკითხა ჯემმა ბოლოს.

– ჯემ, ძალიან გთხოვ...

– ჭყიტა, იცოდე, უკანასკნელად გაფრთხილებ: რას დაგიღია ხახა! დამუნე პირი და წადი სახლში! ღმერთო ჩემო, გეფიცები, ყოველდღე სულ უფრო და უფრო ემსგავსები გოგოს!

მეტი რა ჩარა იყო, უნდა გავყოლოდი...

რედლების კარ-მიდამოზე გადასვლა უკანა მხრიდან გადავწყვიტეთ: მავთულხლართის ღობის ქვეშ გავძვრებოდით, იქიდან ისე ადვილად ვერავინ დაგვინახავდა. ღობე წაგრძელებულ ხის მინაშენსა და უზარმაზარ ბაღს ევლებოდა გარს.

ჯემმა ღობის ქვედა მავთული წამოსწია და ჯერ დილი შეაძვრინა, მერე კი მეც მივყევი და ახლა ჯემს დავუჭირე მავთული. ძალიან კი გაუჭირდა შეძრომა, ვერ ეტეოდა.

– ხმა-კრინტი არ ამოიღოთ! იცოდეთ, კომბოსტოს კვლებში არ შეტოპოთ, თორემ ისეთი შარიშური ატყდება, მკვდარსაც კი გააღვიძებს, – გაგვაფრთხილა ჯემმა.

ამით დამფრთხალი, მგონი, თითო ნაბიჯის გადადგმას თითო წუთს ანდომებდი. ნაბიჯს ავუჩქარე, როცა მთვარის შუქზე დავინახე, როგორ დანინაურებულიყო ჯემი. ბოლოს ჭიშკარს მივადექით, რომელიც ბაღს უკანა ეზოსგან ყოფდა. ჩაავლო თუ არა ჯემმა ხელი, ჭიშკარმა დაიჭრიალა.

– ჯემ, შენ აქ ნამდვილ კუბოში შემოგვიტყუე, – ვუთხარი ჩურჩულით.

– ჩუ! დააფურთხე, ჭყიტა! – ჩურჩულითვე მითხრა დილმა

იმდენი ვაფურთხეთ, სანამ პირი არ გაგვიშრა. მერე ჯემმა ჭიშკარი ფრთხილად გამოაღო, წამოსწია, განზე გასწია და ღობეზე მიაყუდა. ასე აღმოვჩნდით უკანა ეზოში.

რედლების სახლი უკანა მხრიდან უფრო ამაზრზენი იყო, ვიდრე წინიდან. მას მთელ სიგრძეზე გასდევდა ძველი, დანჯღრეული აივანი. აივანზე ორი კარი და მათ შორის ორი ჩაბნელებული ფანჯარა გამოდიოდა. სვეტების მაგივრად, სახურავს ერთგან გაურანდავი წვრილი ბოძი იჭერდა. კუთხეში ძველისძველი ღუმელი იდგა. მის თავზე, ქუდების საკიდთან, სარკე ეკიდა; ავად ელავდა სარკეში არეკლილი მთვარის შუქი.

– ვაი, – ჩუმად თქვა ჯემმა და ფეხი ასწია.

– ჰა, რა არი?

– წიწილები! – ძლივს ამოილუღლუღა ჯემმა.

როცა დილმა ჩურჩულით წარმოთქვა – ღმერთო! – მივხვდით, რომ იმ სიბნელეში ყოველი მხრიდან უხილავი მტრებით ვიყავით გარშემორტყმული. ფოფხვა-ფოფხვით მივადექით სახლს გვერდიდან. იმ ფანჯარასთან შევდექით, რომლის დარაბა ოდნავ იყო გამოღებული. რაფა ჯემზე რამდენიმე გოჯით მაღალი აღმოჩნდა.

– მე და ჭყიტა ხელით აგწევთ, ოღონდ ერთ წუთს მაცალე, – უთხრა ჯემმა დილს.

ჯემი მარცხენა ხელით თავის მარჯვენა მაჯას ჩააფრინდა, მერე მე ჩამავლო მარჯვენა მაჯაში ხელი. ჩავიცუცქეთ და დილი "უნაგირზე" შევისვით. ავწიეთ. დილი ფანჯრის რაფას ჩააფრინდა.

– ჩქარა, თორე დიდხანს ვერ გაგიძლებთ, – ჩურჩულით უთხრა ჯემმა.

დილმა მუშტი დამკრა მხარზე. ჩამოვსვით.

– რა დაინახე?

– ვერაფერი. ფარდებია. სადღაც შორს კი ბჟუტავს სინათლე...

– წავედით აქედან, – გვიჩურჩულა ჯემმა, – ისევ უკნიდან მივადგეთ. ჩჩ-ჩჩ! – გამაფრთხილა, როცა შედავება დავაპირე.

– უკანა ფანჯარა მოვსინჯოთ.

– დილ, არ გვინდა, – ვუთხარი მე.

დილი შეჩერდა და წინ ჯემი გაუშვა. როცა ჯემმა ფეხი კიბის ქვედა საფეხურზე შედგა, საფეხური გაჭრაჭუნდა. ჯემი ჯერ გაირინდა, მერე თანდათანობით გადაიტანა სიმძიმე ფეხზე. კიბე მეტი აღარ გაჭრიალებულა. მაშინ ჯემმა ორი საფეხური გამოტოვა და ცალი ფეხი პირდაპირ აივანზე შედგა. მეორე ფეხი რომ წამოსწია, წაბარბაცდა. ძლივს აღიდგინა წონასწორობა და მუხლი მოიყარა. ხოხვით მივიდა ფანჯარასთან, თავი ასწია და შიგ შეიხედა.

სწორედ იმ წამს ჩრდილი დავლანდე: ქუდიანი კაცის ჩრდილი იყო. ჯერ ვიფიქრე – ხე ხომ არ არის-მეთქი, მაგრამ ჰაერი ოდნავაც არ იძვროდა, ხე კი ფეხს ვერ აიდგამდა; აივანზე მთვარის შუქი დაღვრილიყო. მოჩვენებასავით წაგრძელებული ჩრდილი სწრაფად დაიძრა ჯემის მიმართულებით. ახლა ის დილმაც შენიშნა და ხელები სახეზე აიფარა. ჯემმა მხოლოდ მაშინღა დაინახა, როცა ჩრდილი უშუალოდ მას დაეცა, თავი მკლავებში ჩარგო და ადგილზე გაქვავდა.

ჩრდილი ჯემისგან ასე, ერთი ფუტის მანძილზე შედგა: ხელი ასწია, მერე დაუშვა და გაირინდა. შემდეგ შეტრიალდა, ჯემს ჩაუარა, აივანი გადაკვეთა და სახლს უკან იმავე გზით გაუჩინარდა, რომლითაც მოვიდა.

ჯემმა აივნიდან ისკუპა და ჩვენკენ გამოვარდა. ჭიშკარი გაგვიღო, მე და დილი წინ გაგვიშვა და კომბოსტოს კვლებისკენ გვიბიძგა. ცოტა რომ გავიარე, კომბოსტოებში წავიბორძიკე. სწორედ მაშინ იგრიალა ოოფმა. მთელი უბანი შეზანზარდა.

ჯემი და დილი ჩემ უკან მიწაზე გაიშოტნენ.

– სკოლის ღობისკენ! ჩქარა, ჭყიტა! – გვიჩურჩულა გულამომჯდარმა ჯემმა.

მან მავთულის ღობე ქვემოდან წამოსწია და დაგვიჭირა. მე და დილი გავძვერით და მოვკურცხლეთ. განცალკევებით მდგარ მუხამდე სავალი გზა სანახევროდ გავლილი გვქონდა, როცა მივხვდით, რომ ჯემი ჩამოგვრჩა. მაშინვე უკან გავქანდით. ჯემი მავთულის ღობესთან დაგვიხვდა. ამაოდ ცდილობდა ხლართებში გაბმული შარვლის გამოთავისუფლებას. საცვლების ამარა გამოიქცა მუხისკენ. ხეს რომ გამოვცდით და თავი სამშვიდობოს ვიგულეთ, არც ერთს აღარ გექონდა ხმის ამოღების თავი. ჯემი კი ვერ ისვენებდა:

– სახლში უნდა მივიდეთ, თორე გაუკვირდებათ, სად არიანო.

სკოლის ეზო გადავჭერით, ღობის ქვეშ გავფოფხდით, გადავლახეთ ჩვენი სახლის უკან მდებარე "ირმის საბალახო" და ღობეზე გადავძვერით. სანამ კიბეს არ მივადექით, ჯემმა ამოსუნთქვის საშუალება არ მოგვცა.

ბოლოს, როგორც იქნა, სული მოვითქვით და რამდენადაც შეგვეძლო, მშვიდად შევაბიჯეთ წინა ეზოში. ქუჩას რომ გავხედეთ, რედლების ჭიშკართან შეჯგუფებული მეზობლები დავინახეთ.

– ჩვენც უნდა მივიდეთ, – გვითხრა ჯემმა, – რომ არ გამოვჩნდეთ, გაუკვირდებათ.

ბატონი ნათან რედლი ჭიშკარის პირას თავის ეზოში იდგა. გადახსნილი თოფი მკლავზე გადაედო. ატიკუსი, მის მოდი და მის სტეფანი კროუფორდი გვერდიგვერდ იდგნენ. ცოტა მოშორებით მის რეიჩელი და მისტერ ეიმერი შევნიშნეთ. ისე მივუახლოვდით, ვერც ერთმა ვერ შეგვნიშნა.

მის მოდის ამოვუდექით გვერდში. მან გამოგვხედა და გვკითხა:

– სად იყავით? ვერ გაიგეთ, რა ამბავი დატრიალდა?

– რა მოხდა? – ჰკითხა ჯემმა.

– ბატონმა რედლიმ თავის ბოსტანში თოფი ესროლა ვილაც ზანგს.

– მართლა? მერე, მოარტყა?

– არა, ჰაერში უსროლია, – უპასუხა მის სტეფანიმ, – მაგრად კი დაიფრთხო, და... ასე ამბობს, შიშისგან მთლად გათეთრდა, და თუ სადმე თეთრ ზანგს გადაეყაროთ, იცოდეთ, ნამდვილად ის იქნებაო! ამბობს, მეორე საფანტიანი თოფიცა მაქვს დატენილი და თუ ბოსტანში კიდევ ერთხელ გაფაჩუნდება რამე, ჰაერში კი აღარ ვისვრი, მიზანში ამოვიღებო. სულ ერთია, ვინ იქნება – ძაღლი, ზანგი თუ ჯემ ფინჩი, სულ ერთიაო!

– ბატონო? – ჰკითხა ჯემმა.

ამ დროს ატიკუსმა ჰკითხა:

– შენი შარვალი სადაა, შვილო?

– შარვალი, ბატონო?

– შარვალი.

რაღა უნდა ექნა? საცვლების ამარას, ცა და დედამიწა მას შეჰყურებდა! ამოვიოხრე.

– ისაა... მისტერ ფინჩ!

დილს გავხედე, სახეზე შუქი ეცემოდა და შევატყვე – მორიგი ტყუილი გამოეცხო! თვალები გაფართოებოდა, პუტკუნა სახე კიდევ უფრო საყვარლად ჩამრგვალებოდა.

– აბა, რა ხდება, დილ? – ჰკითხა ატიკუსმა.

– ისა... შარვალი მე მოვუგე, – გაისმა გაუგებარი პასუხი.

– მოუგე?! ეგ როგორ?

დილმა ხელი კეფისკენ წაიღო, მერე შუბლზე ჩამოისვა და თქვა:

– იცით, პოკერს ვთამაშობდით გახდაზე, ზემოთ, ჩვენ გუბურასთან.

ჯემსა და მე გულზე მოგვეშვა. ეტყობა, მისმა პასუხმა მეზობლებიც დააკმაყოფილა: ყველა გაისუსა, მაგრამ ეს "პოკერი გახდაზე" რაღაა?

ამის გარკვევა აღარ დაგვცალდა: მის რეიჩელი საქალაქო საყვირივით ჩაერთო:

– რაო-რაო?! ეს რა მესმის, დილ ჰარის! აზარტული თამაშები ჩემს გუბურასთან?! ერთი ამას დამიხედეთ! მე შენ გაგაპოკერებ!

ატიკუსი რომ არ ჩარეულიყო, დილი ცოცხალი ვერ გადაურჩებოდა:

– მომისმინეთ, ქალბატონო. ასეთი რამ პირველად მესმის, ყველანი თამაშობდით ბანქოს?

დილის შეთხზული ტყუილი ჯემმა კოხტად მოარგო შექმნილ ვითარებას და ისე, რომ თვალიც არ დაუხამხამებია, განაცხადა:

– არა, სერ, ასანთის ღერებით ვთამაშობდით.

იმ ნუთს ჩემს ძმას ვაღმერთებდი: ასანთი სახიფათოა, მაგრამ პოკერი – საბედისწერო!

– ჯემ, ჭყიტა, მეორედ არ გავიგონო თქვენგან სიტყვა – პოკერი! ახლა წადი, ჯემ, და დილს შენი შარვალი გამოართვი. თვითონ მოაგვარეთ ეს საქმე!

– ნუ გეშინია, დილ, – უთხრა ჯემმა, როცა ტროტუარს გავუყევით, – ატარაფერს არ გიზამს. მამაჩემი მალე მოიყვანს ჭკუაზე. ისე, ეგ რა ხიანად მოიფიქრე, ბიჭო! აბა, ყური მიუგდე... გესმის?

გავჩერდით და ატიკუსის ხმა მოგვესმა:

"... არაფერია სერიოზული... ეს პერიოდი ყველა ბავშვმა უნდა გაიაროს, მის რეიჩელ...

დილი კი დამშვიდდა, მაგრამ მე და ჯემს რა დაგვაწყნარებდა. მაინც, რა შარვალს ვუჩვენებდით ატიკუსს დილით?

– ჩემ რამეს მოგცემო, – უთხრა ჯემს დილმა, როცა მის რეიჩელის სახლს მივადექით. ჯემმა უპასუხა – გმადლობთ, მაგრამ ვერ ჩავეტევიო. დილს დავემშვიდობეთ. ის სახლში შევიდა, მაგრამ როგორც ჩანს, უცებ გაახსენდა, დანიშნულები რომ ვიყავით: სახლიდან გამოვარდა, ჩემკენ გამოიქცა, ჯემის თვალწინ ნაჩქარევად მაკოცა და მომაძახა: იცოდე, აუცილებლად მომწერე, გესმის ჩემი?

ჯემს შარვალი რომც არ დაეკარგა, მშვიდად მაინც ვერ დავიძინებდით. აივანზე, გასაშლელ საწოლზე მოკალათებულს ყოველი ჩქამი გრუხუნად მეჩვენებოდა, ყოველი გაფაჩუნება – შურის საძიებლად გამოვარდნილ რედლი-ბუას ფეხის ხმად; ყოველი ზანგი, სიცილით რომ მიუყვებოდა ქუჩას, ჩვენ კვალდაკვალ დადევნებულ რედლი-ბუად მესახებოდა, ბადიან კარზე მომწყდარი მწერების შარიშური – რედლი-ბუას სისხლიანი, შეშლილი თითების ფხაჭუნად, მავთულხლართის ნაკუწებად ქცევას

რომ ლამობდნენ; ჭადრებს ცოცხალ არსებებად აღვიქვამდი... ასე ვიტანჯებოდი ძილ-ღვიძილში, სანამ ჯემის ჩურჩული არ ჩამესმა:

– გძინავს, პატარა ცხრათვალავ?

– შენ რა, გაგიჟდი?

– შ-შ. ატიკუსმა სინათლე ჩააქრო.

მთვარის მკრთალ შუქზე დავინახე, როგორ გამოყო ჯემმა საბნიდან ფეხები.

– იმის მოსატანად მივდივარ, – მითხრა მან.

მაშინვე წამოვსკუპდი სანოლზე.

– არ შეიძლება, არ გაგიშვებ!

ჯემი უკვე პერანგს იცვამდა:

– უნდა წავიდე.

– არ გაბედო, თორემ ატიკუსს გავაღვიძებ.

– აბა, ერთი გაბედე, მოგკლავ.

სანოლზე მოვისვი და ვცადე, გონზე მომეყვანა:

– მისმინე, ჯემ. მისტერ ნათანი დილით იპოვის, ჰოდა, რა თქმა უნდა, მიხვდება, ვისიცაა. მერე ატიკუსს აჩვენებს. აქ სასიამოვნო არაფერია, მაგრამ რა უნდა ქნა. ჩაწექი საწოლში!

– ახალი არაფერი გითქვამს, – მითხრა ჯემმა, – სწორედ მაგიტომ ვაპირებ წასვლას.

გულის რევა დამეწყო: იმ ადგილზე მარტო როგორ უნდა მივიდეს! მის სტეფანის ნათქვამიც მომაგონდა – მისტერ ნათანს მეორე დატენილი თოფი აქვს გამზადებული და რაც არ უნდა გაფაჩუნდეს მის ბოსტანში – ზანგი, ძაღლი, თუ... მაგრამ ჯემმა ეს ჩემზე უკეთ იცოდა.

სასოწარკვეთილება დამეუფლა.

– მისმინე, ჯემ. მაგის გულისთვის არ ღირს იქ წასვლა. დიდი ამბავი, ერთხელ თუ გაგტყეპენ, გეტკინება და გაგივლის! იქ კი მოგკლავენ, როგორ არ გესმის?! ჯემ, გე-ხვე-ნე-ბი!

ჯემმა მოთმინებით ამოიხვნეშა:

– იცი რა, ჭყიტა... ატიკუსს ჩემ სიცოცხლეში არ ვუცემივარ და სულაც არ მინდა, რამე შეიცვალოს.

ამაზე მართლაც ღირდა დაფიქრება: ისე გამოდიოდა, რომ ატიკუსი დღემდე მხოლოდ და მხოლოდ მუქარას სჯერდებოდა.

– ესე იგი, არც არაფერი დაგიშავებია განსაკუთრებული!

– შეიძლება, მაგრამ მინდა ისე დარჩეს, როგორც აქამდე იყო, ჭყიტა. ამაღამ კი მაგრად მივქარეთ.

მე მგონი, ჩვენს ურთიერთობას პირველად მაშინ გაუჩნდა ბზარი; რა თქმა უნდა, ხანდახან ადრეც ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა ჯემის არ მესმოდა, მაგრამ გაუგებრობა მალევე გაფანტულა. ახლა კი თავს ვერ ვერეოდი.

– ჯემ, გეხვენები, რა! ნუთუ შენ თითონ ვერ ხვდები, წარმოიდგინე ერთ წუთს შენი თავი იმ ადგილას...

– მოკეტე ახლა!

– ნუ გეშინია, მამა არც გაგებუტება და არც არაფერი... ახლავე გაგაღვიძებ. შენ თავს გეფიცები, გავაღვიძებ!

ჯემმა ღამის პერანგის საყელოში ხელი ჩამავლო და მაგრად წამიჭირა.

– მაშინ მეც წამოგყვები, – ესღა ამოვღერღე.

– შენ არა. ზედმეტი ხმაური სულ არაა საჭიროა.

არაფერი გამომივიდა. უკანა კარი გავუღე და დაველოდე, ვიდრე კიბეს ჩაეღლიდა. ღამის ორი საათი იქნებოდა. მთვარე ჩადიოდა და ჩრდილები ფანდათან კარგავდნენ სიმკვეთრეს. ჯემის პერანგის თეთრი კალთები ხან იბერებოდა, ხან იჩუტებოდა. გეგონებოდათ, განთიადის მოახლოებით დამფრთხალი ჯუჯა აჩრდილი მიფარფატებსო. უცებ ნაზმა სიომ დაუბერა და ეიგრძენი, როგორ ჩამეღვარა ტანზე გაგრილებული ოფლი.

ჯემი უკანა გზით ნავიდა. იმედია, სკოლის ეზოდან მოუვლიდა და ისე მიადგებოდა ღობეს... ამას კარგა ხანი დასჭირდება-მეთქი, ვფიქრობდი, – ასე რომ, ასაღელვებელი ჯერ არაფერი მაქვს. ველოდი იმ წუთს, როცა ბატონი რედლის თოფი უნდა გავარდნილიყო. მერე მომეჩვენა, თითქოს ჩვენი უკანა ღობე გაჭრიალდა, მაგრამ მოვტყუვდი.

მერე გავიგონე, როგორ ჩაახველა ატიკუსმა, გავიტრუნე: ზოგჯერ, როცა შუალამისას სააბაზანოში გასვლა დამჭირვებია, შემინიშნავს, რომ მამა ისევ კითხულობდა. ერთხელ გვითხრა: ღამღამობით ხშირად მეღვიძება, დაგხედავთ ხოლმე და მერე კითხვას ვიწყებ, რომ ჩამეძინოსო. მეც ვუთვალთვალებდი – აბა, შუქს თუ აანთებს-მეთქი. თვალი ვეჭიტე, მაგრამ სადარბაზოში სინათლე არ გამომკრთალა, მშვიდად ამოვისუნთქე.

ღამეული მწერები მიწყნარდნენ, მაგრამ როგორც კი სიო დაუბერავდა, ჭადრის ხეები მძიმედ უბაგუნებდნენ დახუნძლულ ტოტებს სახლის სახურავს. ძაღლების შორეული ყეფა კი შიშის მომგვრელად გაისმოდა სიბნელეში.

და აი, როგორც იქნა, დამიბრუნდა! თეთრმა პერანგმა ღობეზე ისკუპა და თანდათანობით მომიახლოვდა. უკანა კიბიდან ამოვიდა, ზურგს უკან კარი გაიხურა და რკინის საწოლზე ჩამოჯდა. უსიტყვოდ დამანახვა შარვალი. მერე დაწვა. ერთხანს მესმოდა, როგორ ცახცახებდა მისი საწოლი: ცოტა ხანში კი დამშვიდდა და გათენებამდე აღარ განძრეულა.

7

მთელი ერთი კვირა ჯემი უგუნებოდ იყო, ხმას არავის სცემდა. ატიკუსის რჩევისამებრ, შევეცადე, ცოტა ხნით ჩემი ძამიკოს ტყავში ჩავმძვრალიყავი: მე რომ მასავით ღამის ორ საათზე რედლების ეზოში მებორიალა, გათენებამდე ნამდვილად საპანაშვიდოდ გამიხდებოდა საქმე. ამიტომ ჯემს თავი გავანებე და ვცდილობდი, არ შემეწუხებინა.

დაიწყო სასწავლო წელი. პირველი კლასი ხომ მოსაწყენი იყო, მეორე იმაზე უარესი გამოდგა: ცხვირწინ ისევ ბარათებს გვიფრიალებდნენ და ისევ გვიკრძალავდნენ წერა-კითხვას. რაც შეეხება მის კეროლაინს, მეზობელი ოთახიდან გამომავალი სიცილ-ხარხარი ნათელ წარმოდგენას გვიქმნიდა მის წარმატებებზე. თუმცა ჩარჩენილი პირველკლასელები წელსაც ეშველებოდნენ წესრიგის დამყარებაში. ერთადერთი, რაც მეორე კლასში მომწონდა, ის იყო, რომ გაკვეთილები ჯემივით სამ საათზე მიმთავრდებოდა და შინ მარტო დაბრუნება აღარ მიწევდა.

ერთ ნაშუადღევს, როცა სკოლიდან სახლში წამოსასვლელად გავემზადეთ, ჯემმა მოულოდნელად მითხრა:

– იცი, ერთი რამე არ მითქვამს შენთვის.

ბოლო დღეების განმავლობაში ეს იყო პირველი დასრულებული წინადადება, რომელიც ჯემმა წარმოთქვა, ამიტომ გავამხნევე:

– რის შესახებ?

– იმ ღამის შესახებ.

– იმ ღამეზე შენ ჩემთვის საერთოდ არ გითქვამს არაფერი, – ვუთხარი მე. ჯემმა ჩემი ნათქვამი ერთ ყურში შეუშვა და მეორედან გამოუშვა, ერთხანს დუმდა, მერე კი მითხრა:

– როცა ბრიჯებისთვის მივბრუნდი... ხო გახსოვს, მავთულებში ავიბურდა და ვერაფრით ვერ გამოვაძრე... ხოდა, როცა მივბრუნდი...

– ჯემმა ღრმად ჩაისუნთქა, – რო მივბრუნდი, ღობეზე გადაკიდებული დამიხვდა, გადაფენილი... ისე, თითქოს ვილაცამ წინასწარ გამიმზადა...

– ღობეზე გადა...

– და კიდევ რაღაცას... – ჯემმა მშვიდი ხმით განაგრძო:

– რაღაცას გიჩვენებ, სახლში რო მივალთ. ვილაცამ დამიკემსა, ოღონდ ქალის ნახელავს არა ჰგავს. როგორია, იცი, აი, მე რომ დამეკერებინა – ოკრობოკროთ... გეგონება...

– ვილაცამ იცოდა, რომ მიაკითხავდი.

ჯემი შეკრთა.

– თითქოს ვილაცამ ჩემ ფიქრებში ჩაიხედა, თითქოს ვილაცამ წინასწარ იცოდა, როგორ მოვიქცეოდი! რანაირად შეიძლება, კაცმა გამოიცნოს, რას ვიზამ, კარგად თუ არ მიცნობს, ჰა, ჭყიტა?

ჯემის კითხვაში მუდარა ისმოდა, მეც დავამშვიდე:

– არაფრით არ შეიძლება, ადამიანმა, რომელიც შენთან ერთად არ ცხოვრობს, იცოდეს, რის გაკეთებას აპირებ. ის კი არა, ხანდახან მეც ვერ ვხვდები ხოლმე!

ამასობაში ჩვენს ხეს მივადექით. ფუღუროში რუხი ბაწრის გორგალი იდო.

– არ აიღო, ჯემ, – ვუთხარი მე, – ეს ვილაცის სამალავი ადგილია.

– არა მგონია, ჭყიტა.

– დიახაც რომ არის! ვილაცა ბავშვი, ვინ იცის, უოლტერ კანინგემიცით გაჭირვებული, ყოველ შესვენებაზე მოდის აქ და რაღაცებს ინახავს, ჩვენ კი მიგვაქვს! იცი, რა გითხრა, მოდი, დავტოვოთ და ერთ-ორ დღეს ვაცალოთ. თუ მანამდე არ წაიღებენ, ჩვენ ავიღოთ, მოსულა?

– მოსულა. შეიძლება ეგრეც იყოს... – მითხრა ჯემმა, – უფროსებმა რო არ წაართვან, აქ ინახავს. ხედავ, მარტო მაშინ ვპოულობთ რაღაცებს, როცა სკოლა იწყება.

– ხო, მაგრამ ზაფხულში ამ გზით საერთოდ არც დავდივართ, და... – ვუთხარი მე.

შინ წავედით. მეორე დილით კი ბაწარი იქვე დაგვიხვდა, სადაც დავტოვეთ. როცა მესამე დღესაც ადგილზე დაგვხვდა, ჯემმა ამოიღო და ჯიბეში ჩაიდო. იმ დღიდან მოყოლებული, ყველაფერს, რასაც ფუღურაში ვიპოვიდით, ჩვენს საკუთრებად მივიჩნევდით.

მეორე კლასი უზომოდ მოსაწყენი გამოდგა, თუმცა ჯემი მარწმუნებდა, გაიზრდები და სკოლა უფრო მოგეწონება; თავიდან მეც შენსავით ვიყავი, მაგრამ მეექვსე კლასიდან ყველაფერი შეიცვალა, მეექვსე კლასში მართლა რაღაცას ისწავლიო. როგორც შევატყვე, მეექვსე კლასი ჯემს პირველი დღიდანვე მოეწონა. სულ მოკლე ხანში ძველი ეგვიპტის ისტორია გაიარა (რაშიც მე სრულებით ვერ ვერკვეოდი): ცალ ხელს წინ გაიშვერდა, მეორეს – უკან და ცდილობდა, ტერფის ტერფზე მიდგმით გაშეშებულს ევლო სწორ ხაზზე. მარწმუნებდა, ეგვიპტელები ასე დადიოდნენო; მე მიკვირდა, ასე როგორ ახერხებდნენ რამის გაკეთებას-მეთქი, მან კი მითხრა – მათ ბევრად მეტს მიაღწიეს, ვიდრე ამერიკელებმა; ტუალეტის ქაღალდი გინდა, თუ მარადიული ბალზამირება, ყველაფერი ეგვიპტელებმა მოიგონეს. ისინი რომ არა, ვინ იცის, რანი ვიქნებოდით ახლაო. ატიკუსმა მირჩია, ზედსართავები ჩამოაცილე და მაშინ ჯემის ნათქვამი სიმართლეს დაემსგავსებაო.

სამხრეთ ალაბამაში წელიწადის დროებს შორის მკვეთრი განსხვავება არ იგრძნობა. ზაფხული შემოდგომას ერწყმის, შემოდგომა ზოგჯერ ზამთრის დაუდგომლად ხანმოკლე გაზაფხულში გადაიზრდება, რომელსაც მალე ზაფხული ენაცვლება ხოლმე. იმ წლის შემოდგომამ დიდხანს გასტანა, მაგრამ იმდენად თბილოდა, თხელი ქურთუკების ჩაცმაც კი არ დაგვჭირვებია.

ოქტომბრის ერთ თბილ დღეს მე და ჯემი სახლისკენ ჩვეული გზით მივდიოდით. ჩვენი ყურადღება ისევ ნაცნობმა ფუღურომ მიიპყრო. ამჯერად შიგ რაღაც თეთრი დავინახეთ.

ჯემმა პატივი მომაგო – ფუღუროდან ორი პაწია საპნის ქანდაკება მე ამომაღებინა. ერთი ბიჭი იყო, მეორეს კი უხეში ჯვალოს კაბა ეცვა.

სანამ იმას გავიაზრებდი, რომ ჯადო და ავი თვალი არ არსებობს, შევკივლე და საპნის ბავშვები ხელიდან გავაგდე.

ჯემმა მაშინვე დასტაცა ხელი და შემომიყვირა:

– რა დაგემართა? – მერე თოჯინებს მტვერი შემოაცალა და მითხრა, – ძალიან კარგებია, ასეთი კარგი არასოდეს არ მინახავს! – და ფიგურები ისევ მე მომაწოდა. ეს იყო ორი ბავშვის თითქმის უნაკლო მინიატურა: ბიჭს შორტები ეცვა და შუბლზე ბლუჯად ეყარა თმა. ჯემს შევხედე: იმ ადგილიდან, სადაც თმა ორად ეყოფოდა, შავი თმის ბლუჯა შუბლზე სცემდა. ადრე ეს არასოდეს შემინიშნავს.

ჯემმა გოგო თოჯინას შეხედა და მერე მე დამაკვირდა. გოგო თოჯინას ჩემსავით ჩამოჰყროდა ქოჩორი.

– ეს ჩვენა ვართ, – მითხრა ჯემმა.

– როგორ გგონია, ვინ გააკეთა?

– ჩვენს ნაცნობებში ვის უყვარს რაღაცეების გამოთლა?

– მისტერ ეიეერის.

– არა, ეგეთ თლაზე კი არ ვამბობ, ვის ეხერხება ქანდაკებების კეთება?

მისტერ ეიეერი კვირაში საშუალოდ ერთ შეშის ნაჭერს ხარჯავდა: თლიდა და თლიდა, სანამ კბილის საჩიჩქნი არ გამოუვიდოდა, მერე კი ღეჭავდა.

– მის სტეფანის შეყვარებულს, – ვუთხარი მე.

– ჰოო, ის კი აქანდაკებს, მაგრამ აქედან შორს ცხოვრობს, როფელში. ჩვენ როგორღა შეგვამჩნევდა?

– ალბათ აივანზე რომ ზის ხოლმე, მის სტეფანის კი არ უყურებს, ჩვენ გვითვალთვალებს. მის ადგილზე მე სწორედ ასე მოვიქცეოდი.

ჯემი იმდენ ხანს მიყურებდა გაშტერებული, რომ ბოლოს ვკითხე, რა დაგემართა-მეთქი, მაგრამ მხოლოდ – არაფერი, ჭყიტაო, მიპასუხა. შინ რომ მივედით, თოჯინები სკივრში შეინახა.

ამ ამბიდან ორი კვირაც არ იყო გასული, რომ ფუღუროში მთელი მეკვრა კევი ვიპოვეთ, რამაც ძალიან გაგვახარა. რედლების ეზოში ყველაფერი რომ მოწამლულია, ჯემს, როგორც ჩანს, საბოლოოდ ამოუფრინდა თავიდან.

ერთი კვირის მერე ხვრელში გაცრეცილი სამკერდე ნიშანი დაგეხედა. ჯემმა ატიკუსს უჩვენა. მამამ გვითხრა:

– ეს მართლწერაში მიღებული სამკერდე ნიშანია. თქვენს დაბადებამდე მეიკომის ოლქში მართლწერაში შეჯიბრებები იმართებოდა და გამარჯვებულებს სწორედ ასეთი მედლებით აჯილდოებდნენ.

ატიკუსმა თქვა – ალბათ ვილაცას დაეკარგა, გაიკითხეთ და გაიგეთო. მე დავაპირე მეთქვა, სადაც ვიპოვეთ, მაგრამ ჯემმა, ატიკუსს რომ არ შეენიშნა ისე, ფეხზე ფეხი მაგრად დამაბიჯა და თვითონ ჰკითხა, ხომ არ გახსოვს, ვის მიუღია ასეთი მედალიო? ატიკუსს არ ახსოვდა.

საუკეთესო საჩუქარი ოთხი დღის შემდეგ მივიღეთ. ეს იყო ძენკვზე დაკიდებული საათი, რომელიც არ მუშაობდა და ერთი პატარა ალუმინის დანა.

– როგორ გგონია, თეთრი ოქროსი იქნება, ჯემ?

– არ ვიცი. ატიკუსს უნდა ვაჩვენოთ.

ატიკუსმა გვითხრა, ეს საათი, ძენკვი და ჯაყვა ახალი რომ იყოს, ასე, ათი დოლარი მაინც ეღირებოდაო.

– ვინმეს ხომ არ გაუცვალე სკოლაში? – ჰკითხა ჯემს.

– აჰ, არა, ბატონო! – იუარა ჯემმა და ბაბუამისის ნაქონი საათი წაიძრო: ატიკუსმა ჯემს ნება დართო, თუ ფრთხილად მოეპყრობოდა, კვირაში ერთხელ ბაბუას ნაქონი საათი ეხმარა. როცა ჯემს საათი ეკეთა, მთელი დღე თითის წვერებზე დადიოდა.

– ატიკუს, სანინააღმდეგო თუ არაფერი გექნება, დღეიდან ამ საათს ვიხმარ. იქნებ, შევაკეთო კიდეც.

როცა ახალმა საათმა ძველის ადგილი დაიკავა და მისი ტარება ყოველდღიურობად იქცა, ჯემი აღარ ცდილობდა ყოველ ხუთ წუთში დროის დადგენას.

ჯემმა დიდი ამბით დაშალა საათი, ყველა ნანილი გამოიღო და ხელახლა ააწყო; მხოლოდ ერთი პატარა ზამბარა და ციცქნა ნანილი დარჩა გარეთ, მაგრამ სამწუხაროდ, არაფერი გამოუვიდა: საათი არ ამუშავდა!

– ოოხ, ამის ამუშავებას საშველი არ დაადგება, – მითხრა მან, – ჭყიტა...

– ჰა?

– როგორ გგონია, იმას, ვინც ფულუროში საჩუქრებს გვიწყობს, წერილი ხომ არ მივწეროთ?

– ნამდვილად კარგი იქნება, ხო იცი, ჯემ. მადლობას გადავუხდით, ვინც არ უნდა იყოს – რა არის აქ ცუდი?

ჯემმა ყურებზე წაივლო ხელები და თავი გაიქნ-გამოიქნია.

– არ მესმის, არ მესმის... არ ვიცი, რატომ, ჭყიტა, არ ვიცი, რატომ მგონია, რო... – ჯემმა მისალები ოთახისკენ გააპარა თვალი, – კარგი იქნებოდა, ატიკუსისთვის მეთქვა.... არა, მე მგონი, არ ღირს.

– თუ გინდა, მე ვეტყვი.

– არა, არ მინდა, ჭყიტა. ჭყიტა!

– რაა?

მთელი საღამო ჩემთვის რაღაცის თქმას აპირებდა. რამდენჯერმე სახე გაებადრა და ჩემკენ გადმოიხარა, მაგრამ ისევ გადაიფიქრა – არაფერი, არაფერიო... – მეუბნებოდა.

– აპა, მივწეროთ წერილი, – ვუთხარი და სუფთა ფურცელი და ფანქარი ცხვირნინ დავუდე.

– ეგრე იყოს. მისტერ...

– რა იცი, რო კაცია? დაგენიძლავები, მის მოდი იქნება, დიდი ხანია, ასე მგონია...

– ეე... მის მოდი კევს რომ არ ღეჭავს, – ჯემს უცებ სიცილი წასკდა, – იცი, ხანდახან ისეთ მაგარ რამეს იტყვის ხოლმე... ერთხელ შევთავაზე – კევი ხომ არ გნებავთ-მეთქი, მის მოდიმ კი მიპასუხა, არა, კევი სასაზე მეკრობა და ენას ველარ ვიბრუნებ ხოლმეო, – დამარცვლით წარმოთქვა ჯემმა, – კარგად თქვა, არა?

– ხო. ზოგჯერ კარგი რამეების თქმა იცის, თანაც, საათი და ის ძენკვი საიდან ექნებოდა...

– "ძვირფასო ბატონო", – დაწერა ჯემმა, – "ჩვენ ძალიან მოგვწონს ის..." არა, "ჩვენ ყველაფერი მოგვწონს, რასაც თქვენ ფულუროში გვიწყობთ. ღრმა პატივისცემით – ჯერემი ატიკუს ფინჩი".

– ჯემ, საიდან მიხვდება, ვინ ხარ, ასე თუ მოაწერ ხელს?

ჯემმა თავისი სახელი ამოშალა და ჩაწერა: "ჯემ ფინჩი". ქვეშ მეც მივანერე "ჯინ ლუიზა ფინჩი (ჭყიტა)". ჯემმა ბარათი კონვერტში ჩადო.

მეორე დილით სკოლაში რომ წავედით, ჯემმა გამისწრო და ჩვენს ხესთან შედგა. როცა გამომხედა, სახეზე მკვდრისფერი ედო.

– ჭყიტა!

მაშინვე მისკენ მოვკურცხლე.

ჩვენი ფულურო ვილაცას თაბაშირით ამოევსო.

– ნუ ტირი ახლა... გეყოფა, მორჩი ახლა, არა უშავს, ჭყიტა... – მამშვიდებდა მთელი გზა სკოლამდე.

როცა სადილად შინ წავედით, ჯემმა თავისი წილი საჭმელი ერთბაშად შესანსლა, მერე აივანზე გავარდა და კიბესთან შედგა. მეც მივყევი.

– ჯერ არ ჩაუვლია, – მითხრა მან.

მეორე დღეს ჯემი ისევ გავიდა სათვალთვალოდ და იმედიც გაუმართლდა:

– გამარჯობა, ბატონო ნათან, – თქვა მან.

– დილა მშვიდობისა, ჯემ, ჭყიტა, – გვითხრა ბატონმა რედლიმ და გზა განაგრძო.

– ბატონო რედლი! – დაუძახა ჯემმა.

ბატონმა რედლიმ უკან მოიხედა.

– ბატონო რედლი, ჰმ... აი, იქ, ქვემოთ რომ ხე დგას, იმას ფუღურო თქვენ ამოულესეთ თაბაშირით?

– დიახ, – გვითხრა მან, – მე ამოვავსე.

– რატომ გააკეთეთ ეს, სერ?

– ხე კვდება. როცა ხე ავადაა, თაბაშირით უნდა ამოულესო ხვრელები. მე მეგონა, შენ ეს იცოდი, ჯემ.

ჯემს ამის თაობაზე შუადღემდე კრინტი აღარ დაუძრავს. როცა ჩვენს ხეს ჩავუარეთ, მან ხელი მოუთათუნა ამოლესილ ფუღუროს და ფიქრებში ჩაიძირა. შევატყვე – გუნებაზე ვერ იყო და აღარ შემიწუხებია.

როგორც ყოველთვის, სამსახურიდან მომავალი ატიკუსის შესაგებებლად იმ საღამოსაც ქუჩაში გავედით. კარის ზღურბლთან ჯემმა მამას ჰკითხა:

– თუ შეიძლება, ატიკუს, აი, იქ, ქვემოთ რომ ხე დგას, იმას შეხედე, რა!

– რომელ ხეს, შვილო?

– აი, იმას, რედლების კარ-მიდამოს განაპირას, კუთხეში რომ დგას.

– მერე?

– ის ხე კვდება?

– რატომ? არა, შვილო, არა მგონია. ხედავ, ფოთლები მწვანე და ჯანსაღი აქვს, არც ერთი არ დამჭკნარა.

– ავადაც არაა?

– ეგ ხე ისეთივე ჯანსაღია, როგორც შენ, ჯემ, რატომ მეკითხები?

– ბატონმა ნათანმა გვითხრა, კვდებაო.

– რადგან ასე თქვა, ალბათ, მართალია. ბატონ ნათანს თავისი ხეების ამბავი ჩვენზე უკეთ მოეხსენება.

ატიკუსი სახლში შევიდა, ჩვენ აივანზე დავრჩით. ჯემი მოაჯირს მიეყრდნო და ზურგით გაეხახუნა.

– რა იყო, გეფხანება, ჯემ? – ვკითხე, რაც შეიძლება რბილად. პასუხი არ მიმიღია.

– წამო, შევიდეთ, ჯემ, – ვუთხარი მე.

– ცოტა ხნის მერე, – მიპასუხა მან.

დაღამებამდე აივანზე დარჩა, მეც იქვე ველოდებოდი. როცა შინ შევედით, ისეთნაირად ჰქონდა სახე მოთხუპნული, შევატყვე, ნამტირალები იყო; მაგრამ ძალიან გამიკვირდა – ხმა როგორ ვერ გავიგე?!

8

მეიკომის ყველაზე სარწმუნო წინასწარმეტყველებიც კი საგონებელში ჩააგდო იმ წლის შემოდგომამ: იგი ზამთარში გადაიზარდა! ორი ისეთი სუსხიანი კვირა დაგვიდგა, რომლის მსგავსი, ატიკუსის სიტყვებით რომ ვთქვა, მეიკომს 1885 წლის შემდეგ აღარ უნახავს. მისტერ ეიგერიმ კი გვითხრა, როზეტის ქვაზე ამოვიკითხე – როცა ბავშვები მშობლებს არ უჯერებენ, ჩხუბობენ და სიგარეტს ეწევიან, ამინდი მაშინ ფუჭდებაო. ასე რომ, ამინდის მოულოდნელ ახირებაში, მოსახლეობას ამდენი თავსატეხი რომ გაუჩინა და ჩვენც უსიამოვნება მოგვაყენა, თურმე მე და ჯემს გვედებოდა ბრალი.

იმ ზამთარს მოხუცი მისიზ რედლი გარდაიცვალა, მაგრამ ამ ამბავმა ისე უხმაუროდ ჩაიარა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს; მეზობლები მისიზ რედლის ისედაც ხომ იშვიათად ხედავდნენ, მხოლოდ მაშინ, როცა ყვავილების მოსარწყავად აივანზე გამოვიდოდა. მე და ჯემმა მაშინვე გადავწყვიტეთ, რომ ეს ბუამ მოულო დედამისს ბოლო, მაგრამ იმედი მალევე გაგვიცრუვდა: რედლებისგან შინ მობრუნებულმა ატიკუსმა გვამცნო – ქალბატონი რედლი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალაო.

– ჰკითხე, რა, – ჩამჩურჩულა ჯემმა.

– შენ თვითონ ჰკითხე, უფროსი შენა ხარ.

– სწორედ მაგიტომ უნდა ჰკითხო შენ!

– ატიკუს, – ვუთხარი მამას, – მისტერ არტური ნახე?

ატიკუსმა გაზეთი განზე გასწია, პირქუშად გამომხედა და მითხრა:

– არა, არ მინახავს.

ჯემმა ალარ მაცალა კიდევ რამის კითხვა და მითხრა, ჩვენი და რედლიბუას ამბავი ატიკუსს ჯერაც ვერ მოუნელებია და ტყუილად ნუ შეუჩიჩხინებო. მისი აზრით, ატიკუსი თურმე მშვენივრად ხვდებოდა, რა პოკერსაც ვთამაშობდით გასულ ზაფხულს. მართალია, არავითარი საფუძველი არა მაქვს, – მითხრა ჯემმა, – მაგრამ გული მიგრძნობს, ასე უნდა იყოსო.

მეორე დილით გამომეღვიძა თუ არა, ფანჯარაში გავიხედე და შიშისგან კინაღამ გული გამისკდა. ჩემს კივილზე სააბაზანო ოთახიდან ნახევრად გაპარსული ატიკუსი გამოვარდა.

– ატიკუს, სამყაროს აღსასრული დგება! უშველე რამე, რა! – მამა ფანჯარასთან მივათრიე და გავახედე.

– არა, ჭყიტა, სამყაროს აღსასრული კი არა, თოვლი მოვიდა, – მითხრა მან.

ჯემმა ჰკითხა, თუ დადებსო. თოვლი მასაც არ ენახა, მაგრამ ჩემგან განსხვავებით იცოდა მაინც, თოვლი რა იყო. ატიკუსმა უპასუხა – შენზე უკეთ თოვლისა არც მე გამეგება რამე, მაგრამ ისეთი სველი ჩანს, მე მგონი, წვიმაში გადაიზრდებაო.

ამ დროს ტელეფონმა დარეკა. ატიკუსმა საუზმე მიატოვა და ყურმილი აიღო. მერე სუფრასთან მობრუნდა და გვითხრა – იულა მეი მელაპარაკა. სიტყვასიტყვით გიმეორებთ მის ნათქვამს: ვინაიდან მეიკომის ოლქში 1885 წლის შემდეგ თოვლი ალარ მოსულა, ბავშვებს სწავლა დღეს არ ექნებათო.

იულა მეის, მეიკომის მთავარ ტელეფონისტ ქალს, მოსახლეობისთვის ყოველგვარი ცნობების, განცხადებებისა და მიპატიჟებების შეტყობინება ევალებოდა. ხანძრის დროს განგაში უნდა აეტეხა, ექიმ რეინოლდსის არყოფნისას კი პირველად სამედიცინო დარიგებებს იძლეოდა.

ბოლოს ატიკუსი იძულებული შეიქნა, ნესრიგისკენ მოეწოდებინა და გვთხოვა – ფანჯარაში ყურების მაგივრად თქვენს თეფშებს ჩახედეთო. ჯემმა ჰკითხა – თოვლის კაცი როგორ კეთდებაო?

– წარმოდგენა არა მაქვს, – მიუგო ატიკუსმა, – სულ არ მინდა გული გაგიტეხოთ, მაგრამ მე მგონია, ეს თოვლი თოვლის კაცის კი არა, ერთი გუნდის გასაკეთებლადაც არ გეყოფათ.

ამ დროს კელპურნია შემოვიდა და გვითხრა – მგონი თოვლმა დება იწყოო.

როცა ბოსტანში გავედით, მიწაზე უკვე სველი თოვლის თხელი ფენა იდო.

– იცოდე, ზედ არ უნდა დავაბიჯოთ, – მითხრა ჯემმა, – ხედავ, ფეხის დადებაზე დნება.

უკან მივიხედე და ატალახებული ნაფეხურები შევამჩნიე. ჯემმა მითხრა, ცოტასაც თუ დადებს, მოვფხეკთ, შევაქუჩებთ და თოვლის კაცს გავაკეთებთო. მე პირი დავაღე და ენის წვერით მომსხო ფანტელი დავიჭირე. დამწვა!

– ჯემ, ცხელია!

– ცხელი კი არაა, იმდენად ცივია, რომ გწვავს. ოღონდ არ შეჭამო, ტყუილად გააფუჭებ. გაუშვი, დაეცეს.

– ძალიან რო მინდა თოვლში სეირნობა?

– მოვიფიქრე! მის მოდის ეზოში ვისეირნოთ.

ჯემმა ხტუნვა-ხტუნვით გადაჭრა ეზო. მე მის ნაკვალევში ვადგამდი ფეხს. მის მოდის სახლთან, ტროტუარზე მისტერ ეიერი შემოგვხვდა. სახე ულაჟლაჟებდა, ქამარს ქვემოდან უზარმაზარი ღიპი გამოჰბერვოდა.

– ხედავთ, რა ჩაიდინეთ? – გვითხრა მან, – მეიკომში თოვლი ათადან-ბაბადან არავის ახსოვს. სულ თქვენსავით საძაგელი ბავშვების ბრალია, ამინდი რომ შეიცვალა!

მე გავიფიქრე: "ნეტა მისტერ ეიერიმ თუ იცის, გასულ ზაფხულს როგორ გვინდოდა, ერთხელ კიდევ მოგვეკრა თვალი იმ სანახაობისთვის მის ბაღში?" და დავასკვენი, თუ განგებამ თოვლი სასჯელად მოგვივლინა, მაშინ ცოდვის ჩადენაც ღირს-მეთქი. ის კი კარგად ვიცოდი, საიდან იღებდა მეტეოროლოგიურ ცნობებს მისტერ ეიერი – უშუალოდ როზეტის ქვიდან!

– ჯემ ფინჩ! ჰეი, ჯემ ფინჩ!

– ჯემ, მის მოდი გეძახის.

– ეზოს შუაგულში იარეთ, აივანთან ყვავილები მაქვს დარგული და არ გათელოთ!

– გავიგე! – დაუძახა ჯემმა, – რა ლამაზია, არა, მის მოდი?

– ლამაზი არა, ისა! ამაღამ თუ მოყინავს, მთელი იელები დამელუპება!

მის მოდის ჩალის ქუდზე თოვლის ფიფქებს ციმციმი გაჰქონდა. წელში მოხრილიყო და პატარა ბუჩქებს ჯუთის ტომრებში ფუთავდა. ჯემმა ჰკითხა – ამას რისთვის აკეთებთო.

– თბილად რომ იყვნენ, – უპასუხა მის მოდიმ.

– როგორ შეიძლება, ყვავილები თბილად იყვნენ? მათ ხომ სისხლის მიმოქცევა არა აქვთ? – ჰკითხა ჯემმა.

– მაგ კითხვაზე პასუხს ვერ გაგცემ, ჯემ ფინჩ. მე მარტო ის ვიცი, რომ თუ ამაღამ ყინვა იქნა, ნერგები გამეყინება, ამიტომ უნდა შევფუთო, გაიგე?

– დიახ. მის მოდი!

– ბატონო?

– შეიძლება, მე და ჭყიტამ თქვენი ეზოდან ცოტა თოვლი გავიტანოთ?

– ღმერთო დიდებულო! სულ ნაიღეთ! სახლის ქვეშ ძველი კალათა აგდია, იმით გადაზიდეთ, – მის მოდიმ თვალები მოჭუტა, – ჯემ ფინჩ, რა უნდა გააკეთო ჩემი თოვლით, ჰა?

– მალე ნახავთ, – უპასუხა ჯემმა და ჩვენც მაშინვე საქმეს შევუდექით. მის მოდის ეზოდან ჩვენს ეზოში იმდენი თოვლი გადავზიდეთ, რამდენიც შესაძლებელი იყო. ბინძური და საწვალებელი საქმე კი გამოდგა...

– ჯემ, რა უნდა გავაკეთოთ? – ვკითხე მე.

– მალე გაიგებ, – მიპასუხა მან, – ახლა აიღე კალათა, მოხვეტე თოვლი და რამდენსაც შეიძლებ, უკანა ეზოდან წინა ეზოში გადმოიტანე. ოღონდ იცოდე, ფეხი ძველ ნაკვალევებში ჩადგი ხოლმე! – გამაფრთხილა ჯემმა.

– თოვლის ბავშვი უნდა გავაკეთოთ, ჯემ?

– არა, ნამდვილი თოვლის კაცი. რაღას უდგახარ, უამრავი საქმე გვაქვს.

ჯემმა ბოსტნისკენ მოკურცხლა, საიდანღაც თოხი გააჩინა და ცოცხლად შეუდგა მინის თხრას შეშის დგმულის უკან. მიწის ჭიებს განზე ყრიდა. მერე სახლში შევარდა, საკუჭნაოდან სარეცხის დიდი კალათა გამოიტანა, მინით აავსო და წინა ეზოში გაიტანა.

როცა ხუთი კალათა მინა და ორი კალათა თოვლი დაგვიგროვდა, ჯემმა მითხრა – დროა, დავიწყოთო.

– ჯემ, ამ ტალახით რა უნდა გამოვიდეს?

– ეს ახლაა ტალახი, თორე ცოტა ხანში დაინახავ, რაც იქნებაო, – მომიგო მან.

ჯემმა ტალახი ააგუნდავა, ზემოდან კიდევ ტალახის გორა დააყენა. ამატებდა და ამატებდა, ვიდრე ტორსს არ დაამსგავსა.

– ჯემ, ზანგი თოვლის კაციც თუ არსებობდა, აღარ მეგონა-მეთქი, – ვუთხარი.

– ცოტა მაცალე და გათეთრდებაო, – ბუზღუნით მომიგო მან.

მერე ბოსტნიდან ატმის ხის ფიჩხები მოიტანა, გაღუნა და გადაგრიხა. ეს კიდურები იყო, რომლებიც ტალახით უნდა შეელესა.

– სტეფანი კროუფორდს არა ჰგავს, დოინჯით რომ იცის ხოლმე დგომა? – ვუთხარი მე, – შუაში მსუქანია, ხელი კი გაჩხინკული აქვს.

– ცოტას გავუსქელებთ, – ჯემმა ტალახის კაცს წყალი დაასხა და მინა დაუმატა. ცოტა ხანს ჩაფიქრებული უცქეროდა, მერე კაცუნას წელს ქვემოთ მოზრდილი ღიპი დაადო. აციმციმებული თვალები შემომანათა და მითხრა: მისტერ ეივერი, ცოტა არ იყოს, თოვლის კაცს წააგავს, არა?

მერე ცოტაოდენი თოვლი მოფხიკა და კაცუნას შეაგლისა. მე მარტო უკანა ნაწილის "შელესვა" მომანდო, თვალსაჩინო ნაწილები კი თავისთვის მოიტოვა. მისტერ ეივერი თანდათანობით გათეთრდა.

თვალების, ცხვირის, პირისა და თმის გასაკეთებლად ჯემმა შეშის ნაფოტები გამოიყენა და იმდენი ქნა, რომ მისტერ ეივერის მკაცრი გამომეტყველებაც კი მიაღებინა. ქანდაკება ჯოხმა დაასრულა. ჯემმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და თავისი ნახელავი შეათვალიერა.

– ძალიან კარგია, ჯემ, – ვუთხარი მე, – გეგონება, პირი უნდა დააღოს და დაგელაპარაკოსო.

– მართლა, ხო? – მითხრა მან მორცხვად.

სადილობამდე გულმა ვეღარ მოგვითმინა, ატიკუსს სამსახურში დავურეკეთ და ვახარეთ – სახლში სიურპრიზი გელოდება-თქო. როცა მამა ეზოში შემოვიდა და დაინახა, რომ სახლსუკნიდან მთელი თოვლი წინა ეზოში გადმოგვეტანა, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა და გვითხრა, ეს რამდენი გიმუშავიათო! მერე ჯემს მიუბრუნდა:

– ვერაფრით ვერ მოვიფიქრე, თოვლის კაცი როგორ უნდა გაგეკეთებინა, მაგრამ დღეიდან იმაზე აღარ ვიდარდებ, ჩემი შვილისგან რა კაცი დადგება-მეთქი; შენ გამოსავალს ყოველთვის მონახავ!

ატიკუსის შექებამ ჯემს ყურები წამოუწითლა, მაგრამ როცა მამამ უკან დაიხია, მაშინ კი შეცბა; ატიკუსმა ერთხანს ცერად უყურა თოვლის კაცს, მერე გაეღიმა, ბოლოს კი გადაიხარხარა.

– ბიჭოს! აღარ ვიცი, რა უნდა გამოხვიდე – ინჟინერი, ვექილი თუ პორტრეტისტი! საჯაროდ ბოძზე გამოგიკრავს ერთი კაცი და ეგაა! სხვა გზა არა გვაქვს, ამ ჯეელს როგორმე იერი უნდა შევუცვალოთ.

ატიკუსმა ჯემს ურჩია, წინა ნაწილს ცოტა მოათალე, ხელში ჯოხის ნაცვლად ცოცხი დააჭერინე და წინსაფარიც გაუკეთეო.

ჯემმა აუხსნა – მაგას თუ ვიზამ, თოვლის კაცი ტალახად იქცევა და რაღა თოვლის კაცი იქნებაო?!

– ჩემთვის სულ ერთია, რას უზამ, ოღონდ როგორმე შეცვალე, – უთხრა მამამ, – მეზობლების კარიკატურების კეთებას ხომ ვერ დაიწყებ!

– ეს რა კარიკატურაა, – შეედავა ჯემი, – უბრალოდ, ჰგავს და მეტი არაფერი.

– რაღაც არა მგონია, მისტერ ეივერიც მაგ აზრისა იყოს.

– მოვიფიქრე! – თქვა ჯემმა, სირბილით გადაჭრა ქუჩა, მის მოდის სახლს უკან გაუჩინარდა და გამარჯვებული სახით მობრუნდა უკან. თოვლის კაცს თავზე მის მოდის მზის ქუდი ჩამოაფხატა და მოღუნულ მკლავზე მებაღის მაკრატელი ჩამოაცვა. ატიკუსმა უთხრა – აი, ახლა მშვენიერიაო.

მის მოდიმ თავისი სახლის კარი გამოაღო, აივანზე გამოვიდა და ქუჩის იქითა მხრიდან გამოგვხედა, მერე ჩაეცინა და დაიძახა:

– ჯემ ფინჩ, შე ეშმაკის ფეხო, ახლავე აქ მომიტანე ჩემი ქუდი!

ჯემმა ატიკუსს ახედა, მამამ კი თავი გააქნია და უთხრა – გეხუმრება, სინამდვილეში მართლა აღფრთოვანებულია შენი ნახელავითო.

ამის შემდეგ ატიკუსი მის მოდის სახლისკენ გაემართა. იქ გაცხარებული საუბარი გაჩაღდა, თან ხელებსაც იშველიებდნენ. ერთადერთი, რასაც ყური მოვკარი, იყო: "...ნამდვილი კაც-ქალა დაუდგამთ ეზოში. ატიკუს, ასე ბავშვებს ვერასოდეს ვერ აღზრდი".

შუადღისას თოვა შეწყდა და ტემპერატურა დაეცა, ხოლო ღამით მისტერ ეივერის წინასწარმეტყველებაც აგვიხდა: მიუხედავად იმისა, რომ კელპურნიამ ყველა ღუმელი ააგიზგიზა, მაინც ვიყინებოდით. საღამოს შინ მობრუნებულმა ატიკუსმა თქვა – ეს რა დღეში ვართო! მერე

კელპურნიამ თვალი შეავლო მაღალ ჭერს, განიერ ფანჯრებს და უთხრა – მე მგონი, ჩემს სახლში უფრო თბილად ვიქნებიო. მაშინ ატიკუსმა კელპურნია მანქანით წაიყვანა შინ.

სანამ დავიძინებდი, მამამ ჩემს ოთახში ღუმელს ნახშირი შეუკეთა და მითხრა – თერმომეტრი თექვსმეტ გრადუსს უჩვენებს, ასეთ ცივ ღამეს ჩემს სიცოცხლეში არ მოვსწრებივარ, თოვლის კაციც მაგრად გაყინულაო.

სულ რამდენიმე წუთის ჩაძინებული მეგონა თავი, როცა ვიღაცამ შემანჯღრია. ატიკუსის ხალათის კალთა ჩემს საბანზე დაფენილიყო.

– უკვე გათენდა? ვკითხე მე.

– ადექი, ჩემო პატარავ, – ჩემი საბანაო ხალათი და პალტო ეჭირა ხელში, – ჯერ ხალათი გადაიცვი, – მითხრა მამამ.

მამას ზურგს უკან ჯემი ედგა, ნამძინარევი და თმაგაბურძგნული. ცალი ხელით ხალათის საყელო ჩაებღუჯა, მეორე კი ჯიბეში ედო. უჩვეულოდ დამძიმებული მეჩვენა.

– იჩქარე, საყვარელო, – მითხრა ატიკუსმა, – აი, შენი ფეხსაცმელები, აი, წინდები.

უაზროდ შევუდექი ჩაცმას.

– გათენდა?

– არა, ღამის ორი საათია დაწყებული. იჩქარე, გესმის?

როგორც იქნა მივხვდი, რომ რაღაც უბედურება ხდებოდა.

– რა მოხდა?

თუმცა, თქმა აღარც მჭირდებოდა: როგორც ჩიტუნებმა იციან, სად შეაფარონ წვიმის დროს თავი, მეც უმალ ვგრძნობდი უბედურებას ჩვენს ქუჩაზე. ყრუ შარიშურისა და მოგუდული ფაციფუცის ხმამ შიშის ზარი დამცა.

– ვისი სახლია?

– მის მოდის, გენაცვალე, – ალერსიანად მითხრა ატიკუსმა.

გასასვლელი კარიდან დავინახეთ, როგორ ავარდნილიყო ცეცხლის ალი მის მოდის სასადილო ოთახის ფანჯრებიდან. თითქოს იმის დასტურად, რაც დავინახეთ, ქალაქის სახანძრო საყვირიც ჩაერთო, ხმას აუწია და ცივი ხმით აკივლდა.

– უკვე წამოვიდა, არა? – ამოიგმინა ჯემმა.

– იმედია, – გვითხრა ატიკუსმა, – ახლა ორთავემ კარგად დამიგდეთ ყური. ჩადით ქვემოთ და რედლების ეზოს წინ დადექით. ხალხს გზიდან ჩამოეცალეთ, გესმით ჩემი? ხედავთ, საიდან უბერავს ქარი?

– ვაი! – ნამოიძახა ჯემმა, – ატიკუს, ჩვენი ავეჯის გატანა ხომ არ დავიწყოთ?

– ჯერ არა, შვილო, ისე მოიქეცით, როგორც გითხარით. აბა, მოუსვით. ჭყიტას მოუარე, გესმის, თვალი არ მოაშორო!

ატიკუსმა რედლების ჭიშკრისკენ გვიბიძგა ხელით. ვიდექით და ვუყურებდით, როგორ ივსებოდა ქუჩა მანქანებითა და მამაკაცებით, მის მოდის სახლს კი ამასობაში უხმაუროდ შთანთქავდა ცეცხლი.

– რატომ არ ჩქარობენ, რატომ არ ჩქარობენ... – ბუტბუტებდა ჯემი.

მალე დავინახეთ, რატომაც: ძველისძველი სახანძრო მანქანა გაყინულიყო და მამაკაცების ჯგუფი ძლივს მოათრევდა ჩვენი ქუჩისკენ. ხოლო როცა სახანძრო ონკანს შლანგი მიამაგრეს, ის გასკდა და წყალმა პირდაპირ ტროტუარზე გადმოხეთქა.

– ვაი-მე, ჯემ!...

ჯემმა მხარზე მომხვია ხელი.

– გაჩუმდი, ჭყიტა. საშიში ჯერ არაფერია, როცა იქნება, გაგაფრთხილებ, ნუ გეშინია.

მეიკომელი მამაკაცები – ღმერთმა უწყის, ვინ როგორ ჩაცმული – მის მოდის სახლიდან ავეჯს ეზოში ეზიდებოდნენ, ეზოდან კი ქუჩაში გამოჰქონდათ. დავინახე, როგორ გამოიტანა ატიკუსმა მის მოდის მძიმე ხის სარნეველა სავარძელი და ვიფიქრე – რა ჭკვიანურად იქცევა, რომ ყველაზე ძვირფასი ნივთი გამოაქვს-მეთქი.

დროდადრო ყვირილიც გვესმოდა. მერე მეორე სართულის ფანჯარაში მისტერ ეიერი გამოჩნდა. მან ფანჯრიდან ლეიბი გადმოაგდო, მერე ავეჯის გადმოყრას შეუდგა და მხოლოდ მაშინ შეჩერდა, როცა ქვემოდან დაუყვირეს – ჩამოძვერი, დიუ, კიბე ინგრევა! ჩამოდით მაქედან, მისტერ ეიერი!

მისტერ ეიერიმ ფანჯრიდან გადმოძრომა დააპირა.

– ჭყიტა, გაეჩხირა... – ამოიგმინა ჯემმა, – ვაიმე, ღმერთო!

მისტერ ეიერი გაიჭედა, ადგილიდან ვერ იძვროდა. თავი ჯემის მკლავში ჩავრგე და აღარც ამინევია, სანამ ჯემმა არ შეჰყვირა: გამოძვრა, ჭყიტა! ყველაფერი რიგზეა!

როცა თავი ავწიე, მისტერ ეიერის უკვე ზედა სართულის აივანი გადმოეჭრა და ფეხები მოაჯირზე გადმოეკიდა. მერე ჩამოცოცება სცადა, მაგრამ ფეხი დაუცდა, გადმოვარდა და ღრიალით დაეხეთქა მის მოდის ნარგავებზე.

ცოტა ხნის შემდეგ დავინახე, რომ მამაკაცებმა მის მოდის სახლიდან უკან ინყეს დახევა და ქუჩას ჩვენკენ გამოუყვნენ. აღარავინ აღარ ეზიდებოდა ავეჯს. ხანძარი ზედა სართულზე გავრცელდა, სახურავსაც მოედო და გზად ყველაფერი შთანთქა. ზაფრანისფრად გაღვივებული სახლის ფონზე შავად მოჩანდა ფანჯრის ღრმულები.

– ჯემ, კვახივით არაა...

– ნახე, ჭყიტა!

ჩვენი სახლისა და მის რეიჩელის სახლის სახურავზე ისე დამდგარიყო კვამლი, როგორც ნისლი მდინარეზე. წყალს ახლა ამ სახლებს ასხამდნენ. მალე მოსახვევში ებოსტველის მხრიდან კივილით შემოგრიალდა სახანძრო მანქანა და ჩვენს სახლთან შეჩერდა.

– ის წიგნი... – დავიწყე მე.

– რაა? – მკითხა ჯემმა.

– ის "ტომ სვიფტი", ჩემი კი არაა, დილისაა...

– ნუ ღელავ, ჭყიტა, ასაღელვებელი ჯერ არაფერი გვაქვს, – მითხრა ჯემმა და თითით მანიშნა, – აგე, უყურე!

ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ატიკუსი ისე არხეინად იდგა სტადიონზე, გეგონებოდათ, ფეხბურთის მატჩს უყურებსო. გვერდით მის მოდი ედგა.

– ხო ხედავ, ჯერ არ ღელავს, – მითხრა ჯემმა.

– რატომ არ აძვრა რომელიმე სახლის სახურავზე?

– მოხუცია, კისერს მოიტეხს.

– როგორ ფიქრობ, ჩვენი ბარგი-ბარხანა ხომ არ გამოვატანინოთ გარეთ?

– მოდი, ნუ შევაწუხებთ. მამამ უკეთ იცის, რა როდის უნდა გავაკეთოთ, – მითხრა ჯემმა.

ებოსტველის სახანძრო მანქანამ წყლის ნაკადი ჩვენს სახლს მიასხა. სახურავზე კაცი იდგა და ანიშნებდა, სად იყო უფრო საჭირო. დავინახე, როგორ გაშავდა და ჩაიშალა ჩვენი თოვლის კაცი, მის მოდის ქუდი თოვლის კაცის ნაშალზე მოექცა, მაკრატელს კი ველარ ვხედავდი. მის რეი-

ჩელის, მის მოდისა და ჩვენს სახლს შორის სიცხისგან სუნთქვა ჭირდა; მამაკაცები კარგა ხანია, ღამის პერანგებისა და ქვედა საცვლების ამარა მუშაობდნენ, ხალათები და პალტოები იქვე მინაზე მიეყარათ. მათი არ ვიცი და, მე კი საცაა გავიყინებოდი. ჯემი ცდილობდა გავეთბე, მაგრამ მისი მკლავები რას მეყოფოდა. ხელი გავაშვებინე და მხრებზე ხელები შემოვიჭდე. ადგილზე ცეკვით, როგორც იქნა, ოდნავ მოვითბე გათოშილი ფეხები.

მალე კიდევ ერთი სახანძრო მანქანა შემოემატა და მის სტეფანი კროუფორდის სახლთან შედგა. მაგრამ მეტი სახანძრო ონკანი აღარ ჰქონდათ და მამაკაცები ხანძარს ხელის ცეცხლსაქრობებით შეებრძოლნენ.

მის მოდის სახლის თუნუქის სახურავმა წამით შეანელა ხანძარი, მერე კი შენობა ერთბაშად გრიალით ჩაიქცა. ცეცხლის ალები ყველა მიმართულებით ავარდა. ამას საბნების წვიმა მოჰყვა – მათ მეზობელი სახლების სახურავებზე ამძვრალი მამაკაცები აყრიდნენ ნაპერწკლებსა და ალმოკიდებულ ნაფოტებს.

უკვე თენდებოდა, როცა კაცები თავ-თავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდნენ. ჯერ თითო-თითოდ მიდიოდნენ, მერე ჯგუფ-ჯგუფად. მეიკომის სახანძრო მანქანას მიაწვნენ და ქალაქში ისე დააბრუნეს. ებოტსვილის სახანძროც წავიდა, მხოლოდ მესამე მანქანა დარჩა ადგილზე. მეორე დილით შევიტყვეთ: ეს მანქანა კლარკ ფერიდან წამოსულიყო და მეიკომამდე სამოცი მილი გამოეევლო.

მე და ჯემი ქუჩაზე ჩავსრიალდით. მის მოდი თავის ეზოში ნარმოქმნილ მხრჩოლავ ორმოს მიშტერებოდა და ატიკუსმა უსიტყვოდ გვანიშნა – ლაპარაკის გუნებაზე ვერაარ. მამა სახლისკენ გაგვიძღვა. მოყინულ ქუჩაზე მე და ჯემს მხრებზე გვეყრდნობოდა. მან გვითხრა: მის მოდი დროებით მის სტეფანისთან გადასახლდებაო.

– ვის უნდა ცხელი შოკოლადი? – გვკითხა ატიკუსმა. შევკრთი, როცა მამამ სამზარეულოს ღუმელი დაანთო.

კაკაოს რომ შეევექცეოდით, შევამჩნიე, ატიკუსი უცნაურად მაკვირდებოდა, ჯერ ცნობისმოყვარეობით, მერე მკაცრად.

– განა არ გაგაფრთხილეთ შენ და ჯემი, ადგილიდან არ დაიძრათ-მეთქი? – მითხრა მან.

– მერედა რა, არ დაგიჯერეთ?

– მაშ, ეგ ვისი საბანი მოგიხურავს?

– საბანი?

– დიახ, დიახ, საბანი, ეგ არაა ჩვენი საბანი.

ტანზე დავიხედე და რას ვხედავ: ყავისფერი შალის საბანი ჩამიბღუჯავს, ინდიელების საბნების მსგავსი, რომელიც თურმე მხრებზე მქონია მოხურული!

პასუხის მოლოდინში ჯემს გავხედე, მაგრამ ის ჩემზე უფრო დაბნეული ჩანდა და თქვა: "წარმოდგენა არა მაქვს, ეგ საბანი ჩვენთან როგორ მოხვდა... ზუსტად ისე მოვიქეცით, როგორც შენ დაგვიბარე, ქვემოთ, რედლების ჭიშკართან ვიდექით ყველასგან განცალკევებით, ფეხი არ მოგვიცვლია ადგილიდან..." – ჯემი დადუმდა.

– მისტერ ნათანი ხანძართან ტრიალებდა, – აბუტბუტდა ისევ, – ჩემი თვალით დავინახე, როგორ მიათრევდა რაღაც ლეიბს... ატიკუს, გეფიცები...

– არა უშავს, შვილო, – ატიკუსმა დინჯად გაიღიმა.

– რა ვიცი, თითქოს ყველა, ვისაც გარეთ გამოსვლა შეეძლო, იქ ტრიალებდა... ჯემ, მე მგონი, საკუჭნაოში შესაფუთი ქაღალდი უნდა გექონდეს, წადი, მოიტანე, და...

– ატიკუს! არა, სერ!

ჯემი, მგონი, ჭკუიდან შეცდა: უკანმოუხედავად მოჰყვა მთელი ჩვენი საიდუმლოებების გაცემას. მის თავს ვილა ჩივის, მეც გამწირა! არაფერი არ გამორჩენია – არც ფულურო, არც თავისი შარვალი, არც არაფერი.

– ...მისტერ ნათანმა ფულურო ცემენტით ამოავსო. ეს იმიტომ გააკეთა, რომ შიგ აღარაფერი აღარ გვეპოვა. მისი ძმა, როგორც ამბობენ, ალბათ მართლა გიჟია, მაგრამ, ატიკუს, გეფიცები, ჩვენთვის არასოდეს არაფერი არ დაუშავებია, სულ არაფერი! ვინ უშლიდა, იმ ღამეს ჩემთვის ყელი გამოეჭრა, მაგრამ ხო ნახე, ამის მაგივრად შარვალი დამიკემსა... ჩვენთვის არაფერი დაუშავებია, ატიკუს...

– ჰოო, შვილო, – უთხრა ატიკუსმა ისე ალერსიანად, რომ გული მოეცა: აშკარა იყო, ჯემის ნალაპარაკევიდან ერთი სიტყვაც ვერ გაეგო, თორემ მარტო ამას როგორ აკმარებდა?! – მართალი ხარ. ნივთები და საბანიც ჩვენ უნდა შევინახოთ. იქნებ, ის დღეც დადგეს, როცა ჭყიტა ამ საბნისთვის მადლობას გადაუხდის.

– ვის გადავუხდი მადლობას? – ვკითხე მე.

– რედლი-ბუას. შენ ისეთი გაფაციცებით უყურებდი ხანძარს, რომ ვერც კი იგრძენი, როდის მოგახურა საბანი.

როცა ჯემმა საბანი აიღო და ჩემკენ ფეხაკრეფით გამოემართა, მუცელმა ყურყური დამიწყო და კინალამ გული ამერია – ის სახლიდან გამოიძურწა, მერე შებრუნდა და აი, ასე შეიძურწა უკან!

ატიკუსმა მშრალად უთხრა – ამის გამო ახლა ძალიან კი ნუ გადიდგულდები, ჯერემი.

ჯემი მოილუშა, არაფერს არ დავუშავებთო, – უთხრა, მაგრამ მე კი შევამჩნიე, როგორ უმალ ჩაუქრა თვალებში ახალი თავგადასავლის მოლოდინში გამკრთალი სხივი...

კელპურნიამ შუადღისას გამოგვალვიძა. ატიკუსმა გვითხრა, დღეს თქვენს სკოლაში წასვლას აზრი არა აქვს, მაინც ვერაფერს ისწავლითო. კელპურნიამ კი გვთხოვა – კარგს იზამთ, წინა ეზოს თუ დაასუფთავებთო.

მის მოდის მზის ქუდი ისე გაჩხერილიყო ყინულის თხელ ფენაში, როგორც ბუზი სქელ აბლაბუდაში. მაკრატლის მოსაძებნად ტალახის თხრას შევუდექით. მის მოდი თავის ბაღჩაში ვიპოვეთ, გადაბუგულ, მოყინულ იელებს ჩაშტერებოდა.

– მის მოდი, თქვენი ნივთები უნდა დაგიბრუნოთ, – უთხრა ჯემმა, – ძალიან ვწუხვართ...

– ყოველთვის ვნატრობდი, უფრო პატარა სახლი მქონოდა, ჯემ ფინჩ. მაშინ ეზოსთვის მეტი ადგილი დამრჩებოდა. აბა, შეხედე, რამდენად მეტი ფართობი მაქვს ახლა იელებისთვის!

– მის მოდი, ესე იგი, არ განიცდით? – ვკითხე გაოცებულმა, – ატიკუსმა გვითხრა, მის მოდის სახლის მეტი თითქმის არაფერი ებადაო.

– განვიცდი, გენაცვალე? ის დანჯღრეული ბოსელი ჭირივით მძულდა! ვინ მოთვლის, რამდენჯერ მიფიქრია, ცეცხლი წამეკიდებინა, მაგრამ მეშინოდა, საგიჟეთში არ ამომაყოფინონ-მეთქი თავი.

– კი მაგრამ...

– ჩემზე ნუ წუხხარ, ჯინ ლუიზა ფინჩ. ქვეყანაზე ბევრი ისეთი რამ ხდება, რის შესახებ ჯერ წარმოდგენაც არა გაქვს. აი, ავიშენებ ერთ კოხტა სახლუკას, ერთი-ორ მობინადრესაც ავიყვან და რა გინდა უკეთესი! ალაბამაში ჩემნაირი ბაღი არავის ექნება. თუ მოვინდომებ, ისეთ ბაღს გავაშენებ, ბელინგრათებსაც კი თვალი დაუდგებათ!

მე და ჯემმა ერთმანეთს გადავხედეთ.

– ცეცხლი როგორ მოეკიდა, მის მოდი? – ჰკითხა ჯემმა.

– არ ვიცი, ჯემ. ალბათ სამზარეულოს საკვამურის ბრალი თუ იყო. ქოთნებში ყვავილები რომ არ გამყინვოდა, მთელი ღამე ღუმელი მენთია... გავიგე, უჩვეულო ნაცნობები შეგიძენიათ, მის ჯინ ლუიზა.

– საიდან იცით?

– ატიკუსმა მითხრა ამ დილით, სამსახურში რომ მიდიოდა. მართალი გითხრა, ვნანობ, გვერდით რომ არ გედექი. გეფიცები, ასეთ შემთხვევას მესსავით ხელიდან არ გავუშვებდი და დროზე მოვიხედავდი უკან.

მის მოდის საქციელმა დამაფიქრა: თითქმის მთელი ქონება გაუჩანაგდა, მისი უსაყვარლესი ბაღი სასაკლაოდ იქცა... მაინც, საიდანა აქვს იმის თავი, ჩემი და ჯემის თავგადასავლის მიმართ ასეთ ცხოველ ინტერესს რომ იჩენს?

ეტყობა, დაბნეულობა შემატყო და მითხრა:

– გუშინ ღამით მარტო იმან შემაწუხა, რომ ამდენი ხალხი შევაშფოთე და დავაწიოკე. შეიძლება მთელი უბანი დამწვარიყო. მისტერ ეივერი ერთ კვირას საავადმყოფოში უნდა იწვეს, ძლიერი დამწვრობა მიიღო გუშინ. ასეთი რამეებისთვის ძალიან ბებერია, ასეც ვუთხარი პირში. ცოტა ხანში ვიბანავებ და "ლეინ ქეიქს" გამოვუცხობ, ოღონდ ისე, რომ სტეფანი კროუფორდმა ვერ დამინახოს: ოცდაათი წელია, ჩემს რეცეპტებზე ნადირობს, მაგრამ თუ ჰგონია, აქაოდა, ჩემთან ცხოვრობს, მასწავლისო, ძალიანაც შემცდარა.

მე გავიფიქრე, მის მოდი რომც მოლბეს და რეცეპტი გაუმხილოს, მის სტეფანის მაინც არაფერი გამოუვა-მეთქი. მის მოდიმ ერთხელ მაჩვენა, როგორც კეთდება ეს ნამცხვარი: სხვათა შორის, ამ რეცეპტის მიხედვით, ცომს ერთი მოზრდილი ჭიქა შაქარი უნდა უქნა.

წყნარი დღე იდგა. ჰაერი ისეთი ცივი და კრიალა იყო, რომ გავიგონეთ, როგორ გაჟღრიალდა საათი სასამართლოს შენობის თავზე, მერე ზამბარის დაჭიმვის ხმაც მოგვესმა და საათმა ოთხჯერ ჩამოჰკრა.

მის მოდის ცხვირზე ისეთი ფერი ედო, ადრე არასოდეს რომ არ შემინიშნავს და ჩემი გაოცება ხმამაღლა გამოვთქვი.

– დილის ექვსი საათიდან აქა ვარ, – მიპასუხა მან, – წესით, უკვე გაყინული უნდა ვიყო.

მის მოდიმ ხელები ასწია: შემხმარი სისხლის და ტალახის წვრილ ზოლებს აბლაბუდასავით დაეღარა მისი ხელისგულები.

– როგორ დაგიზიანებიათ ხელები! რატომ არ იქირავეთ ვინმე შავკანიანი? – ჰკითხა ჯემმა, – ან მე და ჭყიტა, განა ჩვენ ვერ დაგეხმარებოდით? – ჯემმა ეს ყოველგვარი პათოსის გარეშე წარმოთქვა.

მის მოდიმ უპასუხა:

– გმადლობთ, ბატონო, მაგრამ საქმე არც თქვენ გაკლიათ, – და ჩვენი ეზოსკენ მიგვითითა.

– თოვლის კაცს გულისხმობთ, არა? – ვკითხე მე, – მაგას რა უნდა! ერთ წამში მოვფხეკთ.

მის მოდიმ ერთი ამხედ-დამხედა, ტუჩები ოდნავ აუთრთოლდა, მერე ხელები თავზე შემოიწყო და გულამომჯდარი ახარხარდა. ჩვენ კი წამოვედით. მისი ხითხითი გზაშიც გვესმოდა.

ჯემმა მითხრა – ვერ გამიგია, რა სჭირს, მაინც რა უცნაური ქალია ეს მის მოდიო!

9

– სანამ დროა, ეგ სიტყვები უკან ნაიღე, ბიჭო! – ვუბრძანე სესილ ჯეიკობსს და იმ დღიდან ნავიდა ჩემი და ჯემის საქმე ცუდად. ცოტაც და, მომუჭულ მუშტებს გასაქანს მივცემდი. რამდენიმე დღის წინ ატიკუსი დამემუქრა – იცოდე, ვინმესთან ჩხუბი რომ გაბედო, გაგტყიპავ! რაღა დროს შენი ეგეთებია, ასაკითაც დიდი ხარ და ტანადაც, რაც უფრო მალე ისწავლი თავის შეკავებას, მით უკეთესი იქნება ყველასთვისო. მაგრამ ვილას ახსოვდა ეს გაფრთხილება, როცა სესილ ჯეიკობსმა სკოლის ეზოში საჯაროდ გამოაცხადა: ჭყიტა ფინჩის მამა მურიანებს იცავსო. შედავებით კი შევედავე, მაგრამ შინ რომ მივედი, ჯემს ვკითხე, ხომ არ იცი, ამით რისი თქმა უნდოდა-მეთქი. – არაფრის. ატიკუსს ჰკითხე და გეტყვისო, – მიპასუხა მან.

– ატიკუს, შენ მურიანებს იცავ? – ვკითხე მამას იმ საღამოსვე.

– რა თქმა უნდა ვიცავ, ოღონდ მურიანებს ნუ ეძახი, შვილო, ეგ ცუდსიტყვაობაა.

– სხვათა შორის, სკოლაში ყველა ასე ლაპარაკობს.

– პოდა, დღეიდან იმ ყველას ერთი ვიღაც გამოაკლდება.

– თუ ასე არ მოგწონს, როგორ ვლაპარაკობ, სკოლაში რატომ მიშვებ?

მამამ გაკვირვებით შემომხედა. იმ "ორმხრივი კომპრომისის" მიუხედავად, სკოლაში სიარულისგან თავის დასაძვრენად ისევ ათასგვარ ხრიკებს მივმართავდი. სექტემბრის პირველი რიცხვებიდან მოყოლებული, ხან თავბრუს ხვევა შემომიტევდა, ხანაც კუჭის ტკივილი. ისე ღრმად შევტოპე, რომ მის რეიჩელის მზარეულის ვაჟიშვილს, რომელსაც თავზე სირსველი ჰქონდა მოდებული, ათცენტიანი ვაჩუქე, ოღონდ კი ნება დაერთო, მის თავზე თავი მეხახუნებინა. ამანაც არ გაჭრა!

მაგრამ ახლა ამისთვის აღარ მცხელოდა.

– ატიკუს, მურ... შავკანიანებს ყველა ვექილი იცავს?

– რა თქმა უნდა, ჭყიტა.

– მაშინ რატომ განაცხადა სესილმა, მამაშენი მურიანებს იცავსო, ისეთი ამბით, გეგონება, კონტრაბანდით ვაჭრობდე?

ატიკუსმა ამოიხვნეშა.

– უბრალოდ, ერთ შავკანიან კაცს ვიცავ, ტომ რობინსონს, მეტი არაფერი. ეს კაცი ქალაქის გადაღმა, სანაგვის უკან, ზანგების დასახლებაში ცხოვრობს. კელპურნია და ტომი ერთ ეკლესიაში დადიან, კელი მის ოჯახს კარგად იცნობს და ამბობს – ძალიან წესიერი ხალხიაო. ჭყიტა, შენ ჯერ პატარა ხარ და ბევრი რამ არ გესმის, მაგრამ ზოგ-ზოგები ჩვენი ოლქიდან გაჰყვირიან – მაგ კაცის დასაცავად თავი არ უნდა შეინუხოო! ეს საქმე სრულიად განსაკუთრებულია, მის განხილვას სასამართლო საგაზაფხულო სესიამდე არ შეუდგება. ამას ჯონ ტეილორს უნდა ვუმადლოდეთ – მისი დახმარების გარეშე საქმეს ვერ გადავდებდით...

– თუ არ უნდა შეინუხო თავი, მაშინ რატომ ინუხებ?

– რამდენიმე მიზეზის გამო, – მომიგო ატიკუსმა, – პირველი ისაა, რომ თუ არ დავიცავ, მაშინ ქალაქში თავი აღარ მექნება გამოსაყოფი; მერე კიდევ, უარი უნდა ვთქვა ჩვენი ოლქის წარმომადგენლობაზე შტა-

ტების საკანონმდებლო ორგანოში. ამას გარდა, შენ და ჯემსაც ველარ დაგარიგებთ ჭკუას.

– გამოდის, იმ კაცს თუ არ დაიცავ, მე და ჯემს შეგვიძლია, აღარაფერი არ დაგიჯეროთ?

– დაახლოებით ეგრე გამოვა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ არავითარი უფლება არ მექნება, მოგთხოვოთ – დამიჯერეთ-მეთქი. ჩვენი პროფესია ასეთია, ჭყიტა: ყოველ ვექილს ცხოვრებაში ერთხელ მაინც უწევს იმ საქმის წარმოება, რომელიც უშუალოდ მას პიროვნულად ეხება. სწორედ ტომ რობინსონის საქმე უნდა იყოს ჩემთვის ასეთი. სკოლაში ალბათ ბევრ საძაგლობას გაიგონებ ამასთან დაკავშირებით, მაგრამ თუ ჩემი ხათრი გაქვს, ერთი თხოვნა შემისრულე: თავი მაღლა გეჭიროს, მუშტები კი ძირს დაუშვი. რაც არ უნდა გაიგონო, მოთმინებას ნუ დაკარგავ. მუშტების ნაცვლად თავი გაანძრიე. მართალია, სწავლა არ უნდა, მაგრამ ეგ თავი მაინც კარგად მუშაობს.

– ატიკუს, პროცესს მოვიგებთ?

– ვერა, გენაცვალე.

– მაშინ რატომ...

– აბა, მითხარი, ასი წლის წინათ რომ გაგვანადგურეს, განა ამიტომ გამარჯვება აღარასოდეს არ უნდა გვეცადა? – მითხრა მამამ.

ახლა ზუსტად ძია აიკ ფინჩივით ლაპარაკობ-მეთქი, ვუთხარი. აიკ ფინჩი მეიკომის ოლქში სამხრეთის არმიის ვეტერანთა უკანასკნელი წარმომადგენელი გახლდათ. ის გენერალ ჰუდის ყაიდაზე ატარებდა წვერს და უზომოდ ამაყობდა ამით. ატიკუსი, ჯემი და მე სულ ცოტა, წელინადში ორჯერ მაინც დავდიოდით მის მოსანახულებლად. შეხვედრისას იძულებული ვიყავი, მოხუცისთვის ლოყაზე მეკოცნა. ეს საშინელება იყო. გარდა ამისა, მე და ჯემს მონინებით უნდა გვეგდო ყური ყოველ ჯერზე ახლებურად გაშუქებული ომის ამბებისთვის.

– რა გითხრა, იცი, ატიკუს, – ეტყოდა ხოლმე ძია აიკი მამას, – მართალია, ჩვენი დამარცხება მისურის კომპრომისმა განაპირობა, მაგრამ ახლა ყველაფერი თავიდან რომ დამაწყებინა, მაინც არ მოვიცვლიდი ფეხს, ზუსტად იმავე გზას დავადგებოდი და მერე მოგეცა ლხენა – კუდით ქვას ვასროლინებდით მაგათ!.. 1864 წელს, როცა სტოუნვოლ ჯეკსონი გამოჩნდა... თუმცა, მომიტევეთ, ყმაწვილებო... ის ხომ უკვე ცოცხალი აღარ იყო, ღმერთმა აცხონოს მისი ნათელი სული...

– მოდი აქ, ჭყიტა, – მითხრა ატიკუსმა. მეც მაშინვე მუხლებზე ავაცოცდი და თავი მის ნიკაპს მივაბჯინე. მამამ ხელები მომხვია და ოდნავ დამარნია, – დღეს სულ სხვა რამ ხდება, დღეს იანკებს კი არ ვეომებით, ჩვენს მეგობრებს ვებრძვით. ოღონდ არ დაივიწყო – რაგინდ დიდი სიმწარე განგვაცდევინონ, ისინი ჩვენი მეგობრები არიან, მეიკომი კი ჩვენი მშობლიური ქალაქია.

მამასთან საუბარი დავიწყებული არ მქონდა, როცა მეორე დღეს სკოლის ეზოში პირისპირ შევეფეთე სესილ ჯეიკობსს.

– მიგაქვს თუ არა შენი სიტყვები უკან?

– მეტი საქმე არა მაქვს! – შემომიტია მან, – ჩვენები ამბობენ, ატიკუს ფინჩი გვარცხვენსო, ის ვილაც მურიანი კი საჯაროდ უნდა ჩამოახრჩონო!

ის იყო, დავაპირე მუშტი-კრივზე გადასვლა, რომ ატიკუსის ნათქვამი მომაგონდა, ხელები ძირს დავუშვი და ზურგი შევაქციე.

– ჭყიტა – ლაჩარი, ჭყიტა – ლაჩარი! – ჩამესმა გზად. ეს პირველი მემთხვევა იყო, როცა მე ჩხუბს ავარიდე თავი.

ასეა თუ ისე, სესილთან შეტაკება ატიკუსის ღალატს ნიშნავდა. ატიკუსი კი ძალიან იშვიათად გვთხოვდა რამეს მე და ჯემს, ამიტომ მისი გულისთვის ასეთ დამცირებასაც გადავყლაპავდი. დიდსულოვნებისა და სიამაყის გრძნობით განვიმსჭვალე, რაკი სიტყვა არ გავტეხე. ეს გრძნობა კიდევ სამ დღეს გამყვა. მერე კი შობადღე დადგა და ყველაფერი აირ-დაირია.

შობის დადგომას მე და ჯემი შერეული გრძნობით მოველოდით: ერთი მხრივ, სიხარულს გვგვრიდა ფიქრი ნაძვის ხესა და ბიძაჩვენზე – ჯეკ ფინჩზე; მას ყოველი შობის წინა დღეს ვხვდებოდით "მეიკომის გზაჯვარედინზე" და დღესასწაულის მთელ კვირას ერთად ვატარებდით.

მაგრამ ყველაფერს ელფერს უცვლიდა მამიდაჩემის – ალექსანდრას შეუწყნარებელი სახის ნაკვეთები და... ფრენსისი.

ალბათ აქ ბიძაჩემი ჯიმი – მამიდაჩემის ქმარიც უნდა მოვიხსენიო, მაგრამ ის შეიძლება სათვალავში არც მივიღოთ (სხვათა შორის, მამიდაჩემიც ამავე აზრისა გახლდათ), რადგან მისი ნათქვამი სიტყვაც არ

მსმენია, გარდა ერთადერთი შემთხვევისა, როცა ჩემდა გასაოცრად მომმართა, ჩამოდი ღობიდანო. დიდი ხნის წინათ გულთბილი გრძნობებით აღტკინებულმა ძია ჯიმიმ და მამიდაჩემმა გააჩინეს ვაჟიშვილი, სახელად ჰენრი. როგორც კი ჰენრი ნამოიჩიტა, დაჰკრა ფეხი და სახლიდან გაიქცა. შეირთო ცოლი და ეყოლა ვაჟიშვილი, ფრენსისი. ჰენრი და მისი მეუღლე ფრენსისს საშობაოდ ბებია-ბაბუას მიაბარებდნენ ხოლმე, თვითონ კი თავიანთ გემოზე ატარებდნენ დროს.

ვერავითარი ოხვრა-მუდარა ვერ გადაათქმევინებდა ატიკუსს თავისას: საშობაოდ შინ არასდიდებით არ დაგვტოვებდა. რაც თავი მახსოვს, შობადღეს ყოველთვის მამიდაჩემთან ვატარებდით. მამიდაჩემის სანაქებო მზარეულობა რომ არა, ამ მშვენიერი დღესასწაულის ფრენსისის საზოგადოებაში გატარებას არავითარი გამართლება არ ექნებოდა. ერთი ნლით იყო ჩემზე უფროსი. მე მას შეგნებულად ვარიდებდი თავს: რაც ფრენსისს მოსწონდა, მე არ მომწონდა, ჩემს გამოგონილ გულუბრყვილო გასართობებში კი ის ვერ ხედავდა ვერაფერს მოსაწონს.

მართალია, მამიდა ალექსანდრა მამაჩემის და იყო, მაგრამ როცა ჯემისგან გავიგე, რომ მიგდებული და აყვანილი ბავშვებიც არსებობდნენ, ასეთი დასკვნა გამოვიტანე – უეჭველია, მამიდაჩემი დაბადებისას სხვა ბავშვში აერეოდათ და სავსებით შესაძლებელია, ფინჩის ნაცვლად, მის მშობლებს კროუფორდი შერჩათ-მეთქი ხელში. ზოგიერთი ცრუმორწმუნესავით რომ მეწამა, თითქოს ვექილები და მოსამართლეები მოჯადოებულ მთებთან არიან დაკავშირებული, მაშინ მამიდა ალექსანდრას ანალოგია მწვერვალი ევერესტი უნდა ყოფილიყო; სწორედ ასეთი ცივი და მიუნვდომელი მახსოვს მამიდა ჩემს ბავშვობაში.

ძია ჯეკი, ჩვეულებისამებრ, შობის წინა დღეს ჩამოვიდა. მატარებლიდან ძირს ისკუპა და ერთხანს გვალოდინა, ვიდრე ვაგონის გამყოლი ორ გრძელ ფუთას მიანოდებდა. მე და ჯემი ძალიან ვერთობოდით იმით, რომ ძია ჯეკი შეხვედრისას ატიკუსს ლოყაზე კოცნიდა: ამ ორი მამაკაცის გარდა, არავინ გვენახა, ერთმანეთისთვის რომ ეკოცნათ! ძია ჯეკმა ჯემს ხელი ჩამოართვა, მე კი ხელში ამიტაცა, თუმცა არც ისე მაღლა: ძია ჯეკი ატიკუსზე ერთი თავით დაბალი გახლდათ. ის ხომ ნაბოლარა იყო, მამიდა ალექსანდრაზე უმცროსი, მამიდაჩემი და ბიძაჩემი ერთმანეთს ჰგავდნენ, მაგრამ ძია ჯეკმა თავის ნაკვთებს რაღაც

ისეთი მოუხერხა, რომ მის ნაწვეტებულ ცხვირსა და ნიკაპს არასოდეს დეეუფრთხივართ.

ბიძაჩემი ნასწავლ ადამიანთა იმ მცირე რიცხვს მიეკუთვნებოდა, ვის წინაშე არასოდეს ვძრწოდი. ალბათ ეს იმით აიხსნება, რომ ძია ჯეკი არასოდეს გვექცეოდა ექიმივით. როცა ჩემთვის და ჯემისთვის მცირე სამსახურის გაწევა მოუხდებოდა ხოლმე – ვთქვათ, ქუსლიდან ხიწვს ამოგვაძრობდა, – ზედმიწევნით აგვიხსნიდა, რის გაკეთებას აპირებდა, გვაფრთხილებდა, რამდენად მტკივნეული იქნებოდა ეს პროცედურა და დაგვიხასიათებდა ყოველ ხელსაწყოს, რომლის გამოყენებაც დასჭირდებოდა. ერთ შობადღეს ფეხში გაღუნული ხიწვი შემესო. კუთხეში მეგიყუჟე და არავინ გავიკარე სიახლოვეს. ძია ჯეკმა ბოლოს მაინც ჩამაელო და კინაღამ მომკლა სიცილით: მიყვებოდა ამბავს ვიღაც მღვდელზე, რომელსაც ისე სძაგდა ეკლესიაში სიარული, რომ ყოველდღე ხალათში გამღწყობილი გამოდიოდა თავისი ჭიშკრის წინ, საკმეველს აკმევდა და ყველას, ვისაც სულიერი საზრდოს მიღება სურდა, იქვე უკითხავდა ხუთწუთიან ქადაგებას. მე შევანყვეტინე და ის იყო, ეუთხარი – ძია ჯეკ, ამოძრობას როცა დააპირებ, გამაფრთხილე მეთქი, რომ დავინახე – სისხლიანი ხიწვი პინცეტით ეჭირა! როცა იცინოდი, მაგის ამოგაძრე და ყველაფერი ამქვეყნად შედარებითიაო, – მითხრა მან.

– იმ ფუთებში რა არის? – ვკითხე ბიძაჩემს და მოგრძო, ვიწრო შეკერებისკენ მივუთითე, რომლებიც მატარებლის გამყოლმა გადასცა.

– შენი საქმე არ არის, – მომიგო მან.

ჯემმა კი ჰკითხა – როუზ ეილმერი როგორ ბრძანდებაო.

როუზ ეილმერი – ბიძაჩემის კატა – უმშვენიერესი ნითური მანდილოსანი, ძია ჯეკის სიტყვებით, იმ იშვიათ ქალთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელთა საზოგადოებაც მომაბეზრებელი სულაც არ იყო. ძია ჯეკმა ჯიბეში ჩაიყო ხელი და რამდენიმე ფოტოსურათი ამოიღო. ამან ჩვენი აღტაცება გამოიწვია.

– გასუქებულა, არა? – ვთქვი მე.

– რაც მე მაგისთვის მოჭრილი ყური და თითი მიმაქვს საავადმყოფოდან, აბა, რა მოუვიდოდა, ყველას მიირთმევს.

– უი, ჯანდაბა მაგის თავს! – შევძახე მე.

– რაო, რა ბრძანე?

ატიკუსმა უთხრა – ნუ მიაქცევ ყურადღებას, ჯეკ, შენი გამოცდა უნდა. კელმა მითხრა, ერთი კვირაა, განუწყვეტლივ ილანძღებაო.

ძია ჯეკმა წარბები აზიდა, თქმით კი არაფერი უთქვამს. უწმანური სიტყვები თავისთავად ხომ მხიბლავდა, მაგრამ თან ერთი ბუნდოვანი მოსაზრებითაც ვხელმძღვანელობდი – როცა ატიკუსი მიხვდება, რომ ამგვარ სიტყვებს სკოლაში ვითვისებ, იქ აღარ გამიშვებს-მეთქი.

მაგრამ როცა იმავე საღამოს ვახშამზე მამას ვუთხარი – აეგ შაშხია თუ რალაც ოხრობა, მომანოდე-მეთქი, ძია ჯეკმა თითი მომიშვირა და მითხრა – მოგვიანებით მნახეთ, ქალბატონოო.

ვახშმობის მერე ძია ჯეკი მისაღებ ოთახში გავიდა და სავარძელში მოკალათდა. ხელებით მანიშნა – კალთაში ჩამიჯექიო. ძალიან მიყვარდა მისი სუნი: სპირტიანი ბოთლის და კიდევ რალაც სასიამოვნო სურნელი ასდიოდა.

შუბლიდან თმა გადამიწია, შემომხედა და მითხრა – ატიკუსს უფრო ჰგავხარ, ვიდრე დედაშენს. ეგ შარვალი, ცოტა არ იყოს, დაგპატარავებიაო.

– მე მგონი, ძალიანაც კარგად მაქვს.

– მითხარი, მოგწონს ასეთი სიტყვები – "ჯანდაბა, ოხრობა, ეშმაკს ნაუღია", ჰა?

მე ვუპასუხე – მგონი, კი*მეთქი.

– მე კი არ მომწონს, – მითხრა მან, – ასეთი სიტყვები მხოლოდ და მხოლოდ უკიდურესი გაღიზიანების შემთხვევაში თუ შეიძლება წამოსცდეს კაცს. მე თქვენთან ერთ კვირას დავრჩები და სანამ აქა ვარ, სულაც არ ვაპირებ მსგავსი სიტყვა-პასუხის მოსმენას. ჭყიტა, ასეთ ლაპარაკს თუ არ გადაეჩვევი, უსიამოვნებას გადაეყრები. შენ რა, არ გინდა, ნამდვილი ლედი გაიზარდო?

მე ვუთხარი – არც ისე-მეთქი.

– რა თქმა უნდა, გინდა, – მიპასუხა მან, – ახლა კი მოდი, ნაძვის ხე მოვრთოთო.

სანამ ძილის დრო არ მოახლოვდა, ნაძვის ხეს ვრთავდით, ღამით კი ძილში ჩემთვის და ჯემისთვის განკუთვნილი ყუთები მესიზმრა. დილით თვალი გავახილეთ თუ არა, იმ ფუთებს ვეტაკეთ: ატიკუსმა ისინი ჩვენთვის დააბარა ძია ჯეკს. ყუთებში სწორედ ის აღმოჩნდა, რაც მამას ვთხოვეთ.

– სახლში სროლა არ გაბედოთ, – გაგვაფრთხილა ატიკუსმა, როცა ჯემმა კედელზე სურათს დაუმიზნა.

– სხვა გზა არა გაქვს: სროლა უნდა ასნავლო, – უთხრა ჯეკმა.

– ეგ შენ უფრო შეგეფერება, – მიუგო ატიკუსმა, – რას იზამ, ბედისწერას ვერ გაექცევი.

მამას რომ არ მოემართა ჩვენთვის სასამართლო დარბაზისთვის შესაფერი კილოთი, ნაძვის ხეს ალბათ ვერასდიდებით ვერ მოგვწყვეტდნენ. მან არ დაგვრთო ნება, საჰაერო თოფები ფინჩების მამულში ნაგველო (მე უკვე კარგად მქონდა მოფიქრებული, როგორ მოვკლავდი ფრენსისს) და გვითხრა – თუ არ დამიჯერებთ და ეშმაკობას დაიწყებთ, მაგ თოფებს თვალით ველარ ნახავთო.

ფინჩების სამოსახლო ციცაბო კლდეზე მდებარეობდა, საიდანაც ქვემოთ, ნავსაყუდლისკენ, სამას სამოცდაექვსი საფეხური ეშვებოდა. მდინარის დინებას თავდალმა თუ ჩავუყვებოდით, კლდის გალმა ძველი ნავსაყუდლის კვალს შენიშნავდით. აქ ფინჩების ზანგები ოდესღაც ბამბით სავსე ტომრებითა და სანოვაგით ტვირთავდნენ ნავებს, ნაპირზე კი ყინულის ლოდები, ფქვილი, შაქარი, სამინათმოქმედო იარაღი და ტანსაცმელი გადმოჰქონდათ ქალებისთვის. მდინარის ნაპირთან სათავეს იღებდა შარაგზა, რომელიც დაბურულ ტყეში უჩინარდებოდა. გზის მეორე კიდეში ორსართულიანი სახლი იდგა, ყოველი მხრიდან აივნებით გარშემოვლებული. ჩვენს წინაპარს, საიმონ ფინჩს ეს სახლი უხასიათო მეუღლის საამებლად აეშენებინა. შენობას იმ ეპოქის არქიტექტურისთვის დამახასიათებელი მხოლოდ აივნები ჰქონდა. ოთახების განლაგება კი იმ გულუბრყვილობასა და სრულ "ნდობაზე" მეტყველებდა, რომლითაც საიმონი თავის შვილებს ეკიდებოდა.

მეორე სართულზე ექვსი საწოლი ოთახი იყო, აქედან ოთხი – მდედრობითი სქესის რვა წარმომადგენლისთვის, ხოლო მეხუთე – გელოდი ფინჩისთვის, ერთადერთი და დიდი ხნის ნანატრი ვაჟიშვილისთვის; მეექვსე ოთახში სტუმრად ჩამოსულ ნათესავებს იღებდნენ. თითქოს ყველაფერი რიგზეა; მაგრამ გოგონების ოთახში თუ ერთი კიბე ადიოდა, გელოდი ფინჩისა და სტუმრების ოთახში სხვა კიბით უნდა ასულიყავით. გოგონების ოთახის კიბე პირველ სართულზე, მშობლების საძინებელი ოთახიდან იღებდა სათავეს და ისე ადიოდა ზემოთ, ასე რომ, იქ შესაღწევად ჯერ მშობლების საძინებელში უნდა გაგევლოთ, ამიტომ ბუნებრივია, საიმონ ფინჩმა ყოველთვის ზუსტად იცოდა თავისი ქალიშვილების ღამეული მისვლა-მოსვლის ზუსტი დრო და საათი.

განცალკევებით მდგომ სამზარეულოს სახლთან გადახურული ფიცარნაგი აკავშირებდა. სახლის უკან, ბოძზე, დაჟანგული ზარი ეკიდა, მას ადრე საველე მუშახელის მოსახმობად ან განგაშის ასატეხად იყენებდნენ. სახლის ბანს "ქვრივების სასეირნო" ადგილს უწოდებდნენ, თუმცა იქ არც ერთ ქვრივს არ უსეირნია: საიმონი ბანიდან თავის ზედამხედველს უთვალთვალებდა, გასცქეროდა სამდინარო ხომალდებს და ნავებს, ან მეზობელ მიწათმფლობელთა ყოფას აკვირდებოდა.

როგორც ყველა ძველ სახლს, ამ სახლსაც ჰქონდა იანკებთან დაკავშირებული ლეგენდა: თურმე ფინჩების ერთ-ერთმა ქალიშვილმა, რომელიც ცოტა ხნის დანიშნული ყოფილა, შეიტყო, რომ იმ მხარეში ყაჩაღები დაძრწოდნენ; შეშინებულს მთელი თავისი მზითევი ტანზე ჩამოუცვია, მაგრამ კარში გაჩხერილა და სანამ თავიდან ფეხამდე წყლით არ გაჟღინთეს, ადგილიდან ვეღარ დაძრულა.

ფინჩების მამულში ჩასულებს მამიდა ალექსანდრა შემოგვეგება და ძია ჯეკს აკოცა. ძია ჯეკს ფრენსისმაც აკოცა, ძია ჯიმიმ კი უსიტყვოდ ჩამოართვა ხელი. მე და ჯემმა ჩვენ-ჩვენი საჩუქარი გადავეცით ფრენსისს, მანაც, თავის მხრივ, რაღაც გვაჩუქა. რვა წლის ფრენსისს თმა შუბლიდან უკან ჰქონდა გადაგლესილი.

– საშობაოდ რა მიიღე? – ვკითხე თავაზიანად.

– რაც მოვითხოვე, ის, – მიპასუხა მან. ფრენსისმა თურმე ერთი წყვილი ბრიჯები, წიგნის წითელი ტყავის ყდა, ხუთი ხელი პერანგი და ერთი ჰალსტუხი „პეპელა" მოითხოვა; ეს უკანასკნელი რატომღაც არ ეკეთა.

– ძალიან კარგია-მეთქი, – ვიცრუე, – ჯემმა და მე საჰაერო თოფები მივიღეთ, ჯემმა კიდევ ქიმიური ხელსაწყოების ყუთი.

– რა თქმა უნდა, სათამაშო.

– არა, ნამდვილი, იცი, უჩინარი მელანი უნდა გამიკეთოს და დილს იმ მელნით წერილს მივწერ!

– ეგ რაღა საჭიროა, – მკითხა ფრენსისმა.

– როგორ თუ "რაღა საჭიროა"! აბა, წარმოიდგინე, რა სახე ექნება დილს, როცა მიიღებს წერილს, რომელშიც არაფერი არ ეწერება! რა თავსატეხს გავუჩენ!

ფრენსისთან საუბრისას ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს თანდათანობით ოკეანის ფსკერზე ვეშვებოდი. მასზე უფრო მოსაწყენი

ბავშვი არასოდეს შემხვედრია. კიდევ კარგი, მობილში ცხოვრობდა, თორემ წარამარა სკოლის მასწავლებლებთან დამაბეზღებდა: ყველაფერს, რასაც ჩემგან შეიტყობდა, მაშინვე მამიდა ალექსანდრას უკაკლავდა, მამიდა, თავის მხრივ, ატიკუსს უშლიდა გულს, ხოლო ატიკუსს ეს ამბავი ან ავიწყდებოდა, ან კარგა მაგრა გამომლანძღავდა ხოლმე: გააჩნია, როდის რა გუნებაზე ბრძანდებოდა. ისე კი, მისგან ხმამაღალი სიტყვა არასოდეს მსმენია, მხოლოდ ერთხელ აუწია ხმას, როცა მამიდაჩემს მიმართავდა: გაიგე, მაგათი აღზრდისთვის არაფერს ვიშურებ! ამ სიტყვებს რაღაც კავშირი ჰქონდა ჩემს ჩაცმულობასთან – იმხანად სულ მარვალში გამონყობილი დავდიოდი.

მამიდა ალექსანდრა ჭკუას კარგავდა ჩემი ჩაცმა-დახურვის გამო: თუ ბრიჯებს არ გავიხდიდი, ჩემგან თურმე ლედი არასდიდებით არ დადგებოდა. როცა ვუთხარი – კაბაში არაფრის კეთება არ შემიძლია-მეთქი, მიპასუხა: ისეთ რამეს არც უნდა აკეთებდე, რისთვისაც შარვლის ჩაცმაა აუცილებელიო. აი, როგორ უნდა დამეჭირა თავი მამიდა ალექსანდრას აზრით: უნდა მეთამაშა პანანინა ქურებით, სათამაშო ჩაის სერვიზებით; უნდა მეტარებინა ის მარგალიტის ყელსაბამი, რომელიც მან დაბადებისას მაჩუქა, უფრო მეტიც: "მამაჩემის მარტოხელა ცხოვრებაში მზის სხივივით უნდა მეკიაფა". მე კი ვთვლიდი, რომ მზის სხივი თავისუფლად შეიძლება ვყოფილიყავი ბრიჯებში გამონყობილიც. მაგრამ მამიდაჩემს დაეჟინებინა – გინდა თუ არა, მზის სხივივით უნდა მოიქცეო. როცა დაიბადე, კარგი გოგონა იყავი, მაგრამ წლიდან წლამდე სულ უფრო უარესი ხდებიო. მამიდაჩემმა ძალიან მატკინა გული და კიდევაც მოთმინება დამაკარგვინა, მაგრამ როცა ამის თაობაზე ატიკუსს ვკითხე აზრი, მან მითხრა – ამ ოჯახში უშენოდაც საკმარისად მოინახება მზის სხივები, ასე რომ ჯობია, შენს საქმეს მიხედო, მე კი სნორედ ისეთი მომწონხარ, როგორიცა ხარო.

საშობაო სუფრა მე ცალკე, პატარა მაგიდაზე გამიწყვეს, ხოლო ჯემი და ფრენსისი უფროსებთან ერთად მიუსხდნენ დიდ სასადილო მაგიდას. რახანია, ჯემმა და ფრენსისმა დიდ მაგიდაზე გადაინაცვლეს, ჩემს იზოლაციას კი მამიდაჩემი რატომღაც ისევ განაგრძობდა. ხშირად მიფიქრია: "ნეტა რა ჰგონია, მაინც რას ვიზამ? ავდგები და რამეს მოვისერი?" რამდენჯერმე ისიც კი გავიფიქრე: "მოდი, ვთხოვ, დიდ მაგიდას-

თან ერთხელ მაინც დამსვას და ვანახებ, რა კარგად შემიძლია მოქცევა! განა შინ ყოველდღე მშვიდობიანად არ შევექცევი სადილს?!" ერთხელ ატიკუსსაც შევეხვეწე – იქნებ, შენი ხათრით დამსვას-მეთქი დიდ მაგიდასთან, მაგრამ ატიკუსმა მიპასუხა – არავითარი "ჩემი ხათრით" არ გამოვა. ჩვენ სტუმრები ვართ და სადაც დაგვსხამენ, იქ უნდა ვისხდეთო. ამას გარდა, მამამ მითხრა – მამიდა ალექსანდრას გოგონების კარგად არ ესმის, რადგან თვითონ ქალიშვილი არ ჰყოლიაო.

მაგრამ ვერაფერს იტყვი, მისი მომზადებული კერძები კი ერთ რამედ ღირდა: სამნაირად შეკაზმული ხორცი, საკუჭნაოში გადანახული ზაფხულის საღი მწვანილი და ბოსტნეული, ატმის კომპოტი, ორნაირი ღვეზელი და ამბროზია მოკრძალებულ საშობაო სადილს შეადგენდა. ამას რომ შეექცნენ, დაბანგული უფროსები სასტუმრო ოთახში გავიდნენ. ჯემი იატაკზე ნამონვა, მე კი სახლის უკან, ეზოში გავედი. პალტო ჩაიცვიო, – მომაძახა ატიკუსმა ძილნარევი ხმით, ასე რომ, შემეძლო მომეყრუებინა.

კიბის თავზე ფრენსისი გვერდით მომიჯდა. ასე გემრიელად ჯერ არასდროს არ მიჭამია-მეთქი, ვუთხარი.

– ბებიაჩემი ბრწყინვალე მზარეულია, – მომიგო ფრენსისმა, – მეც მასწავლის მზადებას.

– ბიჭები რომ არ ამზადებენ საჭმელს? – ვუთხარი მე და გუნებაში ჩამეცინა: როგორია, ჰა, ჯემი წინსაფარში?..

– ბებია მეუბნება, ყველა მამაკაცმა უნდა იცოდეს საჭმლის მზადება. კაცები თავის ცოლებს უნდა უფრთხილდებოდნენ და როცა ისინი თავს ცუდად გრძნობენ, უნდა უვლიდნენ კიდევაც.

– მე სულაც არ მინდა, რომ დილმა მომიაროს-მეთქი, – ვუთხარი, – მირჩევნია, იქით მოვუარო.

– დილმაო?

– ჰოო, ჯერ ამას ნურავის ნუ ეტყვი, მაგრამ როგორც კი გავიზრდებით, ჯვარი უნდა დავიწეროთ. წინა ზაფხულს დილმა ხელი მთხოვა.

ფრენსისმა დამცინავად დაუსტვინა.

– რაო, ვითომ რითი არ მოგწონს? – ვკითხე მე, – რა სჭირს შენი დასაცინი.

– შენ იმ პატარა ჯუჯაზე ლაპარაკობ, ბებიამ რო მითხრა – ყოველ ზაფხულს მის რეიჩელთან ატარებსო?

– სწორედ იმაზე გეუბნები.

– მაგაზე ყველაფერი ვიცი, – მითხრა ფრენსისმა.

– მაინც რა იცი?

– ბებიამ მითხრა – უსახლკაროაო.

– არაფერიც, მერიდიანში ცხოვრობს.

– ხან ერთ ნათესავთან ცხოვრობს, ხან მეორესთან, მის რეიჩელთან კი ზაფხულობით ჩამოდისო.

– ფრენსის, ეგ არ არის მართალი.

ფრენსისი დამეჭყანა.

– ზოგჯერ კაცი ვერაფერს ვერ შეგაგნებინებს, ჯინ ლუიზა, თუმცა ეგ რა შენი ბრალია?

– რას გულისხმობ?

– რასა და იმას, რომ თუ ძია ატიკუსი ნებას გაძლევს, მანანწალა ძაღლივით, საცა გინდა იხეტიალო, ეგ შენი ბრალი სულაც არაა, ასე იქცა ბებიამ, ან ის რაღა შენი ბრალია, თუ ატიკუსი მურიანებს დაუძმაკაცდა... ისე, რო იცოდე, ამ ამბავმა ჩვენი ოჯახის წევრებს ლამის გულები დაუხეთქოს.

– ჯანდაბა და დოზანა! გამაგებინე, ფრენსის, რას მიედ-მოედები?

– რაც გითხარი, იმას. ბებია ამბობს – ესღა გვაკლდა! ჯერ იყო და, ველურებივით გაზარდა ბავშვები, ახლა კიდევ, ვილაც მურიანებს დაუმეგობრდაო. საქმე ისე მიდის, მგონი, მალე მეიკომის ქუჩებშიც აღარ გაგვესვლებაო. ოჯახს ღუპავს, აი, რას შვრება მამაშენი.

ფრენსისმა ისკუპა და ძველი სამზარეულოს მიმართულებით გაექანა. როცა საკმაოდ გამშორდა, დამიყვირა – დიახაც, მურიანების მოყვარულია!

– ტყუილია! – ვულრიალე მე, – არ ვიცი, რას როშავ, მაგრამ თუ მაგ სიტყვებს ამ წამშივე უკან არ წაიღებ, ცუდი დღე დაგადგება!

კიბიდან ძირს ვისკუპე და დავედევნე. ფრენსისის ჩავლება არ გამჭირვებია. აბა, ახლავე უკან წაიღე-მეთქი შენი სიტყვები, – ვუთხარი.

ფრენსისი დამისხლტა და ახლა ძველ სამზარეულოში შევარდა. მურიანების მოყვარული! – ღრიალებდა ის.

სანამ მსხვერპლს ჩაავლებდე, ჯობია, არ იჩქარო: ნურაფერს ეტყვი – დღესავით ნათელია, ცნობისმოყვარეობა წასძლევს და თვითონვე გამოყოფს თავს. ფრენსისი სამზარეულოს კარში გამოჩნდა.

– ჯერ ვერ მოხვედი აზრზე, ჯინ ლუიზა? – მკითხა გამომცდელად.

სალაპარაკოდ არც ღირს-მეთქი, – ვუპასუხე.

ფრენსისი გარეთ გამოვიდა.

– მიგაქვს თუ არა უუ-კან შენი სიტყვები! – ვუთხარი და მაშინვე მივხვდი, ვიჩქარე; ცოტაც უნდა მეცლია, ფრენსისი ტყვიასავით შევარდა სამზარეულოში. მე კი ისევ კიბეზე დავბრუნდი. არაფერია, მოგიცდი-მეთქი, გავიფიქრე გუნებაში. ხუთიოდე წუთი ასე ვიჯექი, მერე კი მამიდა ალექსანდრას ხმა მომესმა:

– ფრენსისი სადაა?

– გარეთაა, აგერ, სამზარეულოში.

– კი მაგრამ, ხომ იცის, რომ იქ თამაში არ შეიძლება.

ფრენსისი კარში გამოდგა და იყვირა:

– ბებია, მაგან ჩამამწყვდია და გარეთ აღარ მიშვებს!

– რას ნიშნავს ეს, ჯინ ლუიზა?

მამიდაჩემს ავხედე:

– მე არ დამიმწყვდევია, მამიდა!

– დიახაც რომ დამამწყვდია! – იღრიალა ფრენსისმა, – გარეთ არ მიშვებს!

– იჩხუბეთ, თუ რა?

– ჯინ ლუიზა გავაბრაზე, – დაიძახა ფრენსისმა.

– ფრენსის, გამოდი მაქედან! ჯინ ლუიზა, კიდევ ერთი სიტყვა და, მამაშენს ვეტყვი! ამას ნინათ შენ თქვი, ხომ – ჯანდაბა და დოზანაო?

– არა.

– მე მეგონა, შენ თქვი, მეორედ არ გავიგონო ასეთი რამ!

მამიდა ალექსანდრას კარს უკნიდან უყვარდა ყურის გდება. როგორც კი თვალს მიეფარა, ფრენსისმა თავი გარეთ გამოყო და გაიკრიჭა.

– იცოდე, ჩემთან მაიმუნობა არ გაგივა!

ფრენსისი ეზოში ჩახტა. ცდილობდა, ახლოს არ გამკარებოდა, შორიახლო დასეირნობდა, ბალახს ნიხლს სცემდა და დროდადრო გაღიმებული გამომხედავდა. სახლიდან ჯემი გამოვიდა, თვალი შეგვავლო და წავიდა. ფრენსისი მიმოზის ხეზე აძვრა, მერე ჩამოძვრა, ხელები ჯიბეებში ჩაინყო და ეზოში ბოლთის ცემას მოჰყვა.

– ჰა! – თქვა მან.

მე ვუთხარი – მაინც ვინა გგონია შენი თავი, ძია ჯეკი ხომ არა-მეთქი? ფრენსისმა კი მომიგო – თუ არ ვცდები, გაგაფრთხილეს, წყნარად იჯდე და მე თავი გამანებოო.

არაფერს არ დაგიშავებ-მეთქი, – ვუპასუხე.

ფრენსისმა გამომცდელად შემხედა, დაასკვნა, რომ ბედს დავმორჩილდი და ხმადაბლა წაიღიღინა: მუ-რი-ანე-ბის მოყ-ვა-რუ-ლიი!

ამჯერად კი მივაფშვნიტე ჩემი თითის სახსარი მის წინა კბილს და მარცხენა ხელი მწყობრიდან გამომივიდა. მარჯვენათი შევუტიე, მაგრამ დიდხანს არ დამცალდა: ძია ჯეკმა მკლავები ტანზე მიმილურსმა და მითხრა: არ გაინძრე!

მამიდა ალექსანდრა ფრენსისის მოსავლელად გაექანა: თავისი ცხვირსახოცით ცრემლები შეუმშრალა, თმა დაუვარცხნა, ლოყაზე ხელი მოუთათუნა... როცა აივანზე ატიკუსი, ჯემი და ძია ჯიმიც გამოვიდნენ, ფრენსისმა მაშინღა ამოუშვა ღრიალი.

– ვინ დაიწყო ყველაფერი? – იკითხა ძია ჯეკმა.

მე და ფრენსისმა ერთმანეთისკენ ვანიშნეთ.

– ბებია, – დაიკნავლა მან, – მაგან მითხრა, "შე ბოზოო", და მომახტა!

– მართალს ამბობს? – მკითხა ძია ჯეკმა.

– ჰო, მართალია.

როცა ძია ჯეკმა შემომხედა, ნაკვთებით ძალიან ჰგავდა მამიდა ალექსანდრას.

– ხომ გაგაფრთხილე, ცუდ დღეში ჩაიგდებ თავს, თუ ასეთი სიტყვების თქმას არ გადაეჩვევი-მეთქი?

– დიახ, სერ, მაგრამ...

– ჰოდა, ახლა ცუდ დღეში ხარ. ფეხი არ მოიცვალო ადგილიდან.

გავიფიქრე – გაქცევა ხომ არ ვცადო-მეთქი, მაგრამ დროზე ვერ მიეღე გადაწყვეტილება: გასხლტომა რომ დავაპირე, ბიძაჩემმა დამასწრო. უცებ ვიგრძენი – პაწია ჭიანჭველას დასცქეროდა, რომელიც იქვე ბალახში პურის ნამცეცს შესჭიდებოდა.

– ჩემ სიცოცხლეში ხმას აღარ გაგცემ! მძულხარ, მეზიზღები, რო მოკვდე, მაინც არ შემეცოდები! – ამ განცხადებამ ძია ჯეკი საბოლოოდ გაათამამა. ატიკუსის იმედიღა მქონდა, მან კი მითხრა – ყველაფერი შენს თავს დააბრალე, ახლა დროა, სახლში წავიდეთო.

არავის არ დავემშვიდობე, ისე დავჯექი მანქანის უკანა სკამზე. სახლში კი ჩემს ოთახში შევედი და კარი გავიჯახუნე. ჯემს უნდოდა, რაღაცით ვენუგეშებინე, მაგრამ საშუალება არ მივეცი.

როცა თავის მოვლას შევუდექი, მკლავებზე მხოლოდ შვიდი თუ რვა წითელი იარა აღმოვაჩინე. ყველაფერი შედარებითია-მეთქი, გავიფიქრე, და სწორედ იმ დროს კარზე მომიკაკუნეს. ვინ არის-მეთქი, ვიკითხე და პასუხი ძია ჯეკმა გამცა.

– წადი აქედან!

ძია ჯეკმა მითხრა – ასე თუ განაგრძობ, ისევ გაიტყიპებიო, და მეც გავჩუმდი. როცა ოთახში შემოვიდა, კუთხეში შევიყუჟე და ზურგი შევაქციე; – ჭყიტა, – მომმართა მან, – ახლაც გძულვარ?

– თუ გნებავთ, ისევ მცემეთ, სერ.

– რას ვიფიქრებდი, ასე თუ გადამემტერებოდი, – მითხრა მან, – ძალიან გამიტეხე გული, მშვენივრად იცი, რაც დაიმსახურე, ის მიიღე.

– არაფერიც.

– გენაცვალე, არაფრით არ შეიძლება, როცა მოგესურვება, ასეთი სიტყვები...

– შენ უსამართლო ხარ, უსამართლო, – ვუთხარი მე.

ძია ჯეკმა ნარბები აზიდა:

– უსამართლო?! ვითომ რატომ?

– ძია ჯეკ, შენ მართლა ძალიან კარგი კაცი ხარ და მიუხედავად იმისა, რაც ჩაიდინე, მაინც მიყვარხარ, -ოღონდ ბავშვების სულ არ გესმის.

ძია ჯეკმა დოინჯი შეიმოირტყა და ამხედ-დამხედა: მერედა, რატომ არ მესმის ბავშვების, მის ჯინ ლუიზა? შენს დღევანდელ საქციელს დიდი გაგება რომ არა სჭირდება? ეს რა ალიაქოთი ატეხე, ცოფიანივით ილრინებოდი და უწმაწურად ილანძღებოდი.

– მერედა, დამაცადე, მეთქვა? შენთან უზრდელობას კი არ ვაპირებ, უბრალოდ, ვცდილობ, აგიხსნა.

ძია ჯეკი საწოლზე ჩამოჯდა. ახლა ქვემოდან შემომცქეროდა კოპებშეკრული. აბა, დაიწყე, გისმენო, – მითხრა მან.

მეც ერთი ღრმად ჩავისუნთქე და ვუთხარი:

– მაშ ასე, დავიწყოთ იქიდან, რომ შენ საშუალება არ მომეცი, მეც მეთქვა რამე, პირდაპირ მომვარდი. როცა მე და ჯემი ვკინკლაობთ

ხოლმე, ატიკუსი მარტო ჯემს კი არ ეკითხება – რა მოხდაო, მეც მიგდებს ყურს; მერე კიდევ, შენ თვითონ არ მითხარი – ასეთ სიტყვებს მხოლოდ უკიდურესი გაღიზიანების შემთხვევაში ხმარობენო? ჰოდა, ფრენსისმა ისე გამაბრაზა, ეგ კი არა, გოგრაც უნდა გამეხეთქა მისთვის!

ძია ჯეკმა თავი მოიქექა.

– აბა, მითხარი, როგორ იყო საქმე!

– ფრენსისმა ატიკუსზე ისეთი რამე მითხრა, ვერაფრით ვერ მოვუთმენდი.

– რა თქვა ასეთი?

– რა და – მურიანების მოყვარულიაო. კარგად არც ვიცი, ეგ რას ნიშნავს, მაგრამ ფრენსისი ისეთნაირად ამბობდა!.. ერთ რამეს პირდაპირ გეტყვი, ძია ჯეკ, ატიკუსის ლანძღვას ვერაფრით ვერ შევარჩენდი.

– ასე მოიხსენია ატიკუსი?

– დიახ, სერ, და უფრო უარესადაც. მითხრა – ატიკუსი ოჯახის დამაქცევარიაო, შენ და ჯემი ველურებად გაგზარდათო!

ძია ჯეკს რომ შევხედე, შევკრთი: ზუსტად ისევე მიყურებდა, როგორც მაშინ, როცა ხელი ჩამავლო. მაგრამ როცა თქვა – მე ამას ასე არ დაეტოვებო, მიეხვდი, საფრთხე ამჯერად ფრენსისს ელოდა.

– ავდგები და ამ საღამოსვე მივალ ალექსანდრასთან.

– ძალიან გთხოვთ, სერ, დარჩეს ისე, როგორც არის! ძალიან გთხოვ!

– რას ჰქვია, ასე დარჩეს! – მითხრა მან, – ალექსანდრამ უნდა იცოდეს ეს. დახეთ ერთი, დამაცადოს მაგ ბიჭმა, ჩემი ხელი ჯერ არ მოხვედრია.

– ძია ჯეკ, შეგიძლია, ერთ რამეს დამპირდე? ძალიან გთხოვ, სერ, პირობა მომეცი, რომ ამ ამბავს ატიკუსს არ მოუყვები, იცი, ერთხელ მითხოვა – ჩემზე რაც არ უნდა გითხრან, მოთმინებიდან ნუ გამოხვალო, ჰოდა, მირჩევნია, ეგონოს, რომ სხვა რამეზე ვიჩხუბეთ. გეხვეწები, მომეცი პირობა!

– კი მაგრამ, რატომ უნდა შერჩეს ფრენსისს ასეთი რამ?

– არც შერჩენია. მითხარი, ხელს ვერ შემიხვევ? მგონი, ზოგან კიდევ მდის სისხლი.

– რა თქმა უნდა, შეგიხვევ, ჩემო პატარავ. დედამიწის ზურგზე არ მეგულება ხელი, რომელსაც მეტი სიამოვნებით მოვუვლიდი. აქეთ ხომ არ წამობრძანდებოდით, მის? – ძია ჯეკმა თავაზიანად დაშიკრა თავი და

სააბაზანოსკენ გამიძღვა. თითებს რომ მიწმენდდა და მიხვევდა, თან ზღაპარს მიყვებოდა ძალიან სასაცილო ახლომხედველ მოხუც კაცზე, რომლის კატას ჰოჯი ერქვა და რომელიც სეირნობისას ქვაფენილის ყოველ ბზარს ითვლიდა, – ესეც ასე. არათითზე, სწორედ იქ, სადაც მანდილოსნები ნიშნობის ბეჭედს ატარებენ, მანდილოსნისთვის სრულიად შეუფერებელი პატარა ნაჭრილობევი გექნება.

– გმადლობთ, სერ. ძია ჯეკ!

– გისმენთ, ქალბატონო?

– "ბოზი" რას ნიშნავს?

ძია ჯეკი შეუდგა ახალი, გრძელი ზღაპრის მოყოლას ერთ ხანდაზმულ პრემიერ-მინისტრზე, რომელიც თემთა პალატაში ყოფნისას იჯდა და სულს უბერავდა ბუმბულს, ცდილობდა, ჰაერში ერთ მდგომარეობაში გაეჩერებინა მაშინ, როცა მის გარშემო მოკამათენი ლამის ჭკუიდან გადასულიყვნენ. როგორც ჩანს, ბიძაჩემს უნდოდა, ჩემს კითხვაზე პასუხი გაეცა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა.

მოგვიანებით, როცა როგორც წესი, უკვე უნდა მძინებოდა, წყლის დასალევად დერეფანში გავედი და სასტუმრო ოთახიდან ატიკუსისა და ძია ჯეკის ლაპარაკი მომესმა.

– ატიკუს, მე ცოლს არასოდეს არ შევირთავ.

– რატომ?

– იმიტომ, რომ შეიძლება შვილები გამიჩნდეს.

– ბევრი რამე გაქვს სასწავლი, ჯეკ, – უთხრა ატიკუსმა.

– ვიცი. შენმა ქალიშვილმა დღეს პირველი გაკვეთილი მომცა. განმიცხადა – ბავშვების ცუდად გესმისო და ამიხსნა კიდევაც რატომ. საკუთარებით სწორი იყო! ატიკუს, ჭყიტამ ამიხსნა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი, ვენაცვალე! ისე ვწუხვარ, რომ დავსაჯე!

ატიკუსს ჩაეცინა: მაინცადამაინც ნუ განიცდი, იმიტომ, რომ დამსახურებულად დაისაჯა.

მე გავინაბე – ვაითუ, ძია ჯეკმა ჩემი ნათქვამი გაუმხილა-მეთქი, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. მან მხოლოდ ჩაიბუტბუტა – არა, ქუჩური ლანძღვა-გინება, რაც მართალი მართალია, სრულყოფილად კი აუთვისებია... მაგრამ რომ იცოდე, იმის ნახევარიც არ ესმის, რასაც რომ შავს. სხვათა შორის, მკითხა – "ბოზი" რას ნიშნავსო.

– მერე, უთხარი?

– არა, ლორდ მელბურნზე ვუამბე.

– ჯეკ! როცა ბავშვი კითხვას დაგისვამს, ღვთის გულისთვის, ბოდიშს ნუ მოიყვები, პირდაპირ გაეცი პასუხი. ბავშვი ბავშვია, მაგრამ ნუ გგონია, რომ უფროსებზე ადვილად გააცურებ, სიტყვის ბანზე აგდება მხოლოდ ტვინს აუბნევს. არა, – თქვა მამამ და ჩაფიქრდა, – დღეს უნდა დაგესაჯა, მაგრამ მაგისთვის არა. ცუდი სიტყვებით გატაცების ხანა ყველა ბავშვმა უნდა გაიაროს. როგორც კი მიხვდება, რომ ამით ყურადღებას ვერ მიიქცევს, მაშინვე გადაეჩვევა. აი, სიფიცხის დაძლევა კი გაცილებით ძნელია. ჭყიტამ რაც შეიძლება, მალე უნდა ისწავლოს თავის შეკავება, მით უმეტეს, რომ ასეთი განსაცდელი ელის ახლო მომავალში. ისე, თანდათანობით კი მოდის გონს. ჯემიც წამოიზარდა და მისგან ახლა ჭყიტა ბევრ რამეს სწავლობს. მხოლოდ ხანდახან სჭირდება ჭკუის დარიგება.

– ატიკუს, შენ ხომ ჭყიტასთვის ხელი არასოდეს დაგიკარებია?

– მართალი ხარ, არასოდეს. აქამდე ჩემი მუქარა ჭრიდა. შეძლებისდაგვარად მიჯერებს, ჯეკ. რას იზამ, ყოველთვის ისე ვერ იქცევა, როგორც თვითონ უნდა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ნამდვილად ცდილობს.

– ეგ ვერაფერი გამოსავალია.

– გამოსავალი ისაა, რომ ჭყიტამ იცის – მე ვიცი, რომ ის მონდომებულია. აი, ესაა მნიშვნელოვანი, მაგრამ ერთი რამ არ მაძლევს მოსვენებას: სულ მალე ჭყიტას და ჯემს უამრავი საძაგლობის მოსმენა მოუწევთ. ჯემის თავშეკავება ნაკლებად მაეჭვებს, მაგრამ ჭყიტა რომ ვერაფერი დამცირებას ვერ აიტანს და თვალის დაუხამხამებლად მუშტიკრივზე გადავა, ეს კი დანამდვილებით ვიცი.

აქ კიდევ ერთხელ შემეშინდა, ძია ჯეკს პირობა არ გაეტეხა და კიდევ ერთხელ შევცდი.

– ატიკუს, რაღაც ვერ მოახერხე, წესიერად აგეხსნა ჩემთვის, ნუთუ მართლა ასე ცუდადაა საქმე?

– უარესის წარმოდგენაც შეუძლებელია, ჯეკ. ერთი შავკანიანის ჩვენების გარდა, იუველების წინააღმდეგ ჩვენ არავითარი საბუთი არ მოგვეპოვება. მთელი ჩვენება სულ ეგაა: არა, შენ ქენი – არა, მე არ მიქნია. აბა, რომელი სასამართლო მსაჯული იწამებს ვიღაც ტომ რობინსონის ჩვენებას იუველის წინააღმდეგ? მართლა, იუველებს ხომ იცნობ?

ძია ჯეკმა უთხრა – კი, მახსოვსო, და აუწერა კიდეც ატიკუსს ისინი. მაგრამ ატიკუსმა უთხრა – შენ წინა თაობის კაცი ხარ, თუმცა დღესაც თითქმის ეგეთები არიანო.

– მერედა, რა უნდა ქნა?

– სანამ წავაგებდე, მინდა მსაჯულები ცოტა ხნით მაინც შეევიფუცხუნო და უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენო. ისე, რა თქმა უნდა, გასაჩივრების უფლებაც გვექნება... დღესდღეობით დანამდვილებით ვერაფერს გეტყვი, ჯეკ. იცი, ბოლო დრომდე იმედი მქონდა, ამ გვარ საქმეს თავიდან ავირიდებდი, მაგრამ რაღა უნდა მექნა, როცა ჯონ ტეილორმა ჩემკენ გამოიშვირა თითი და მითხრა – ეს სწორედ საშენო საქმეაო.

– შენ კი ნატრობდი – თუ შესაძლებელია, ამაცდინე ეს სასმისიო, ხომ?

– მართალი ხარ, მაგრამ როგორ გგონია, უარი რომ მეთქვა, მერე შევძლებდი ჩემი შვილებისთვის თვალის გასწორებას? შენ უჩემოდაც კარგად მოგეხსენება, რასაც უნდა ველოდეთ. ღმერთმა ინებოს, რომ ამან ჯემს და ჭყიტას მაინც ჩაუაროს იოლად. რაც მთავარია, მეიკომის ჩვეული სენი არ შეჰყროდეთ! დღემდე ვერ გამიგია, რატომ გადადიან ხოლმე ჭკუიდან საღად მოაზროვნე ადამიანები, როცა საქმე შავკანიანებს ეხება... იმის იმედიღა შემრჩა, რომ ჯემი და ჭყიტა ქუჩურ ლაყბობას კი არ აჰყვებიან, მოვლენ და მე მომთხოვენ პასუხს. მე მგონი, იმდენად კი სჯერათ ჩემი... ჯინ ლუიზა?

თმები ყალყზე დამიდგა, კუთხიდან თავი გამოვყავი და ამოვღერღე:

– სერ?

– წადი, დაიძინე.

მაშინვე ჩემი ოთახისკენ მოვკურცხლე და საწოლში ჩავწექი. მაინც, რა კარგი ვინმე ეს ძია ჯეკი, რომ არ გამცა! მაგრამ ის კი ამოუხსნელი დარჩა ჩემთვის, თუ საიდან მიხვდა ატიკუსი, ყურს რომ ვუგდებდი. მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ მივხვდი ერთ რამეს: მამა განზრახ ლაპარაკობდა ასე და ყოველი მისი სიტყვა ჩემ გასაგონად იყო გამიზნული.

10

ატიკუსი დაძაბუნებული იყო: სადაცაა, ორმოცდაათი წლის შესრულდებოდა! როცა მე და ჯემმა ვკითხეთ, ასეთი მოხუცი რატომ ხარ, მოგვიგო – იმიტომ, რომ გვიან დავიწყეო, და ჩვენც მივხვდით, რატომ არ მოსდევდა მუხლი მამაჩვენს. ატიკუსი გაცილებით უფროსი იყო ყველა ჩვენი თანაკლასელის მამაზე, და აბა, რაღა გასაკვირია, თუ არაფერი გვქონდა სათქმელი, როცა ამხანაგები იტყოდნენ ხოლმე: "აი მამაჩემი კი!.."

ჯემი ფეხბურთის გიჟი იყო. ატიკუსი ცდილობდა, ამ საკითხისთვის თავი აერიდებინა, მაგრამ როცა ჯემი ჩააცივდებოდა, ეტყოდა ხოლმე – ბეიზლო, მაგისთვის ძალიან ბებერი ვარო.

ასე რომ, მამაჩვენი არაფრის მაქნისი გამოდიოდა. მესმის კიდევ – ხოლქო ნაგვის მანქანა ეტარებინა, ან შერიფი ყოფილიყო, ან ფერმერი, ან თუნდაც გარაჟში ემუშავა! არა, ატიკუსი ისეთს არაფერს აკეთებდა, რამაც ადამიანი შეიძლება აღაფრთოვანოს.

ყველა სიკეთესთან ერთად, მამა სათვალეს ატარებდა. მარცხენა თვალით თითქმის ვერაფერს ხედავდა. მარცხენა თვალის სისუსტე ფინჩების საგვარეულო სენიაო, – გვეტყოდა ხოლმე. როცა უნდოდა, რამე კარგად დაენახა, თავს გადახრიდა და მარჯვენა თვალით აკვირდებოდა.

ატიკუსი ისეთს არაფერს აკეთებდა, რასაც ჩვენი თანასკოლელების მამები აკეთებდნენ – არც სანადიროდ დადიოდა, არც პოკერს თამაშობდა, არც თევზაობდა, არც ეწეოდა და არც სვამდა. იჯდა სასტუმრო ოთახში და კითხულობდა.

თუმცა, ამ თვისებებით მაინც ვერ აღმოჩნდა ისე შეუმჩნეველი, როგორც ნატრობდა: იმ წელიწადს მთელ ჩვენს სკოლას პირზე ეკერა ტომ რობინსონისა და მისი ვექილის სახელი, რაშიც სახარბიელო არაფერი იყო. სესილ ჯეიკობსთან უკანასკნელი შეტაკების მერე, როცა ლაჩარიცით განზე გადგომა მომიხდა, ხმა გავარდა – ჭყიტა ფინჩი ჩხუბს ერიდება, რადგან მამამისმა აუკრძალაო. ვერ ვიტყვი, ეს მთლად სწორი ყოფილიყო; ატიკუსის ხათრით, რაც მართალია – მართალია, საჯაროდ ჩხუბს არ აეტეხდი, მაგრამ ოჯახი სულ სხვა საქმე იყო – გინდა, ღვიძლი ბიძაშვილი ყოფილიყო, გინდ მესამე მუხლის მამიდაშვილი, არავის დავინ-

დობდი და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებდი. ფრესნის ჰენკოკმა, სხვათა შორის, ეს ამბავი კარგად იცოდა.

მამამ თოფები ჩუქებით კი გვაჩუქა, მაგრამ სროლის სწავლება აღარ მოისურვა. ამიტომ ამ საკითხში ძია ჯეკმა მოგვცა ელემენტარული ცოდნა და თქვა – მამათქვენს სულ არ აინტერესებს იარაღიო. ხოლო ატიკუსმა ერთ მშვენიერ დღეს ასეთი რამ უთხრა ჯემს: ყველაფერს აჯობებდა, სამიზნეებად თუნუქის კოლოფები გეხმარა, მაგრამ ვიცი, ჩიტებს ესვრი. ამიტომ ერთ რჩევას მოგცემ. ჩხიკვები კიდევ ჯანდაბას, მაგრამ ნურასდროს ნუ მოკლავ ჯაფარას. ეს ცოდვაა.

ეს იყო პირველი და უკანასკნელი შემთხვევა, როცა მამაჩემმა რაღაცას ცოდვა უწოდა, ამიტომ ამის თაობაზე მის მოდის მივმართე შეკითხვით.

– მამაშენი მართლია, – მითხრა მან, – ერთადერთი, რასაც ჯაფარა შვრება, ისაა, რომ მღერის და გვართობს. ის არც ბაღ-ბოსტნებს გეიჩანაგებს, არც კალოსთან იბუდებს, ცუდს არაფერს სჩადის და ადამიანს არაფერს უშავებს, მხოლოდ გალობს და გალობს და გალობით გეატკბობს, აი, რატომაა ცოდვა ჯაფარას მოკვლა.

– მის მოდი, ჩვენი უბანი ძალიან დიდი ხნისაა, არა?

– ჰო, თვითონ ქალაქზე ძველიცაა.

– მაგას კი არ ვამბობ, ხალხია ხანში შესული. ჩემსა და ჯემს გარდა, ერთი ბავშვიც არაა ახლომახლო. მის დუბოუზი მალე ასი წლის გახდება, მის რეიჩელიც მოხუცია, ისევე როგორც თქვენ და ატიკუსი.

– ორმოცდაათი წელი არც ისე ბევრია, – მკვახედ მომიგო მან, – თანაც, მე მგონი, ჯერჯერობით არც მე გავმხდარვარ ეტლით სატარებელი და არც მამაშენი, ხომ ასეა? ერთი კია, ბედმა გამიღიმა, ის ძველისძველი მავზოლეუმი რომ დაიწვა. მის მოსავლელად მართლაც რომ ბებერი ვარ. შენ ალბათ სწორი ხარ, ძალიან ჩამკვდარი უბანი გვაქვს. ახალგაზრდებში ყოფნა თითქმის საერთოდ არ გიწევს, არა?

– როგორ არა, სკოლაში.

– მე ახალგაზრდა უფროსებზე გეუბნები. ისე კი, ჩემო კარგო, ნამდვილად ბედს უნდა უმადლოდეთ, მამათქვენი რომ ხანდაზმულია. აბა, წარმოიდგინე, როგორ შეიძლება წარმართულიყო თქვენი ცხოვრება, ის რომ ოცდაათი წლის იყოს!

– მშვენივრად წარმომიდგენია! ატიკუსს ხომ არაფრის კეთება არ შეუძლია...

– უნდა გაგაოცო: მამაშენი ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსეა, – მითხრა მის მოდიმ.

– მერედა, რის მაქნისია?

– რისა და... აი, მაგალითად, ისე კარგად შეადგენს ანდერძს, რომ ხელი არ გაუვა!

– დიდი რამე...

– მერე კიდევ... არ გაგიგონია, რომ ამ ქალაქში ყველაზე უკეთ თამაშობს შაშს? ფინჩების მამულში, როცა ჯერ კიდევ პატარები ვიყავით, მამის თამაშში ბადალი არ ჰყავდა მდინარის გაღმა-გამოღმა.

– რას ამბობთ, მის მოდი, ჯემი და მე სულ ვამარცხებთ!

– უკვე დროა, იცოდე, რომ გხათრობთ. შენ ისიც არ გეცოდინება, რომ შესანიშნავად უკრავს ბაგის არფას.

ეს იმდენად უმნიშვნელო ღირსებად მეჩვენა, რომ კიდევ უფრო შემცბარი მამაჩემის მაგივრად.

– კეთილი, და... – დაიწყო მის მოდიმ.

– მაინც რა?

– არა, არაფერი, არაფერი... უბრალოდ, გამოდის, რომ წესით, უნდა ამაყობდე მამაშენით. ყველას კი არ შეუძლია ბაგის არფაზე დაკვრა! აბა, ახლა გაეცალე ხელოსნებს, ფეხებში ნუ გაებლანდები. აჯობებს, ბებერ წახვიდე, მე იელებს უნდა მივხედო და ყურადღებას ველარ მოგაქცევ. შეიძლება, ფიცარიც დაგეცეს თავზე.

მე ჩვენი უკანა ეზოსკენ წავედი და დავინახე, რომ ჯემს თუნუქის კოლოფები ამოელო მიზანში. რა სისულელეა, ესროლო თუნუქის კოლოფს, როცა ირგვლივ ამდენი ჩიტია-მეთქი, გავიფიქრე. ისევ წინა ეზოსკენ გავწიე და აივნის გვერდით ორი საათის განმავლობაში ვაშენებდი სიმაგრეს, რისთვისაც გამოვიყენე საბურავი, ფორთოხლის შესანახი ყუთი, თეთრეულის კალათა, სკამები აივნიდან და შეერთებული შტატების პატარა დროშა. ეს დროშა ჯემმა ბატიბუტის კოლოფში იპოვა და მე მაჩუქა.

საღილად შინ მობრუნებულმა ატიკუსმა სიმაგრესთან ჩაცუცქულს მიმესალმა. ჩემი სამიზნე ქუჩის გადაღმა იდგა.

– მითხარი ერთი, რას ესვრი?

– მის მოდის ვესვრი უკანა ნაწილში.

ატიკუსი შეტრიალდა და ჩემი კარგა მოზრდილი სამიზნე დაინახა. ნელში მოხრილი მის მოდი თავის ბუჩქებთან ჩახრილი ფუსფუსებდა. მა- მამ ქუდი კეფაზე გადაიწია და ქუჩა გადაკვეთა.

– მოდი! – გასძახა მან – მე მგონი, ჯობს, დროზე გაგაფრთხილო, დიდი საფრთხე გემუქრება!

მის მოდი ნელში გაიმართა და ჩემკენ მოიხედა შემდეგ კი თქვა:

– ატიკუს, შენ ნამდვილი ჯოჯოხეთის მაშხალა ხარ!

ატიკუსი მობრუნდა და მითხრა – სიმაგრე დაშალეო. მეორედ არ და- გინახო, ვინმეს უმიზნებდე მაგ თოფსო, – გამაფრთხილა მან.

მე ვინატრე, რა კარგი იქნება, მამაჩემი ჯოჯოხეთის მაშხალა მაინც იყოს-მეთქი, და ეს ჩემი მოსაზრება მაშინვე კელპურნიას გავუზიარე.

– მისტერ ფინჩი? რატომ, მას უამრავი რამის კეთება შეუძლია.

– მაინც რისი?

კელპურნიამ თავი მოიქექა. – როგორ გითხრა, არც ვიცი... – მიპასუ- ხა მან.

ჩემი მოსაზრება კიდევ უფრო დამაჯერებელი მეჩვენა, როცა ჯემის კითხვაზე – მამა, მეთოდისტების გუნდში ითამაშებ თუ არაო, ატიკუსმა ასეთი პასუხი გასცა – რომ ვითამაშო, კისერსაც მოვიტეხო. ეგეთი რა- მეებისთვის ძალიან დავბერდიო.

მეთოდისტებს განზრახული ჰქონდათ, თავიანთი საეკლესიო მიწის ნაკვეთი გამოესყიდათ და ნიძლავზე ბაპტისტებს იწვევდნენ ფეხბურ- თის სათამაშოდ. მე მგონი, ატიკუსის გარდა, ქალაქში ყველას მამა მო- ნაწილეობდა იმ თამაშში. ჯემმა თქვა – არც კი მინდა წასვლაო, მაგრამ

კელპურნია რედლების ეზომდე ჩამოგვყვა და საითაც ჯემმა ანიშნა, იქით გაიხედა. ტიმ ჯონსონი პაწაწინა ლაქასავით მოჩანდა შორიდან, მაგრამ თანდათან ახლოვდებოდა. ცალ მხარეს გადაქანებული მოცურავდა, ისე, თითქოს მარჯვენა ფეხები მარცხენაზე მოკლე ჰქონდა. სილაში გვერდულად დაფერდებული მანქანა მომაგონა.

– რამ მოღრიცა, ნეტა, – თქვა ჯემმა.

კელპურნიამ ერთხანს უცქირა, მერე მხრებში ჩაგვავლო ხელები და სახლისკენ გაგვაქცუნა. ზურგს უკან კარი გაიჯახუნა, ტელეფონს მივვარდა და ჩაყვირა: მისტერ ფინჩთან დამაკავშირეთ სამსახურში!

– მისტერ ფინჩ! კელი ვარ. ყველაფერს გეფიცებით, ქუჩის ბოლოში ცოფიანი ძაღლია, აქეთ მოდის, დიახ, სერ. – მისტერ ფინჩ, ნამდვილად ტიმ ჯონსონია. – დიახ, დიახ, სერ. – დიახ.

კელმა ყურმილი დადო და ჩვენს კითხვაზე, მამამ რა გითხრა, მხოლოდ თავი გააქნია, ისევ ტელეფონის ბერკეტი ააჟღრიალა და ჩასძახა: მის იულა მეი, არა, ქალბატონო, მისტერ ფინჩთან ლაპარაკს უკვე მოვრჩი. – არა, ქალბატონო, მასთან ნუღა დამაკავშირებთ. – მისმინეთ, მის იულა მეი, თუ შეიძლება, დაურეკეთ მის რეიჩელს, მის სტეფანი კროუფორდს და ყველას, ვისაც კი ტელეფონი აქვს ჩვენს ქუჩაზე და შეატყობინეთ, რომ ცოფიანი ძაღლი მოდის. ძალიან გთხოვთ, ქალბატონო!

კელპურნია ყურს უგდებდა: – ვიცი, რომ თებერვალია, მის იულა მეი, მაგრამ ცოფიანი ძაღლის ცნობა ნამდვილად არ შემეშლება. გთხოვთ, იჩქაროთ, ქალბატონო!

კელპურნიამ ჯემს ჰკითხა, რედლებს თუ აქვთ ტელეფონიო. ჯემმა ნიგნში ჩაიხედა და უთხრა – არაო.

– გარეთ მაინც არ გამოვლენ, კელ!

– სულ ერთია, უნდა შევატყობინო!

კელი აივანზე გავარდა, ჯემი და მე ფეხდაფეხ მივყევით. თქვენ სახლში დარჩითო, – შემოგვიბღვირა მან.

ეტყობა, მეზობლებმა შეიტყვეს კელპურნიას გაფრთხილება: ჩვენი მხედველობის არეში მყოფი ყველა ხის კარი მაგრად ჩაიკეტა. ტიმ ჯონსონს ჯერ ვერ ვხედავდით. ახლა კელპურნიას ვადევნებდით თვალს. მან კაბის და წინსაფრის კალთა მუხლებამდე აეკეცა და რედლების სახლის

კენ გარბოდა. სახლის წინა კიბეზე ავიდა, კარზე დააბრახუნა. პასუხი ერთეულ გასცა. მაშინ დაიყვირა:

– მისტერ ნათან! ბატონო არტურ! ცოფიანი ძაღლი მოდის, ცოფიანი ძაღლი მოდის!

– ალბათ უკნიდან უნდა მოუაროს-მეთქი, – ვთქვი მე.

ჯემმა თავი გააქნია და – მაგას არავითარი აზრი არა აქვსო, – მითხრა.

კელპურნია ამაოდ უშენდა კარს მუშტებს – მისი გაფრთხილება ამასუხოდ დარჩა. თითქოს არც კი გაუგიათ მისი ხმა.

როცა კელპურნიამ სახლს უკნიდან მოუარა, შარაგზაზე შავი "ფორდი" გამოსჩრიალდა. მანქანიდან ატიკუსი და მისტერ ჰეკ ტეიტი გადმოვიდნენ.

ბატონი ჰეკ ტეიტი – მეიკომის ოლქის შერიფი – ატიკუსივით მაღალი, მაგრამ უფრო ტანხმელი და გრძელცხვირა კაცი იყო. მაღალყელიანი ფეხსაცმელები ეცვა, ზონრის ბრჭყვიალა ლითონის გასაყრელებით. ჩექმებში ჩატანებულ შარვალსა და სანადირო ხალათში იყო გამოწყობილი. ქამარში ტყიების რიგი ჰქონდა ჩაწყობილი. ხელში მძიმე თოფი ეკავა. როცა ის და ატიკუსი ჩვენი სახლის აივანს მოუახლოვდნენ, ჯემმა კარი გააღო.

– გარეთ ნუ გამოხვალ, შვილო, – უთხრა ატიკუსმა, – აბა, სადაა, კელ?

– უკვე ახლოს უნდა იყოს, – თქვა კელმა და დალმართისკენ მიუთითა.

– ხომ არ მორბის? – ჰკითხა მისტერ ტეიტმა.

– არა, სერ, მისტერ ჰეკ, ჯერ მოკრუნჩხული მოდის.

– ხომ არ შევეგებოთ, ჰეკ? – ჰკითხა ატიკუსმა.

– ჯობია, აქ დაველოდოთ, მისტერ ფინჩ, ეგენი, ჩვეულებრივ, სწორხაზოვნად მოძრაობენ, თუმცა დანამდვილებით ვერაფერს იტყვი. შეიძლება, მოსახვევს ამოჰყვეს. კარგი იქნება, თუ ამოჰყვება, სხვაგვარად, რედლების ეზოში ამოყოფს თავს. ერთი წუთიც მოვიცადოთ.

– მე მგონი, რედლების ეზოში არ გადავა, – თქვა ატიკუსმა, – ღობე ეჩერებს, ალბათ, გზას გამოჰყვება.

ჩემს წარმოდგენაში ცოფიან ძაღლს დრუნჩზე დუჟი უნდა მოსდგომოდა, უნდა ერბინა, ყალყზე უნდა მდგარიყო, ყოველ შემხვდურს ყელში ენდა სწვდომოდა და თანაც, ეს ყველაფერი აგვისტოში უნდა მომხდარიყო. ტიმ ჯონსონი რომ ასე მოქცეულიყო, უფრო ნაკლებად შემეშინებოდა.

უკაცრიელ, მომლოდინე ქუჩაზე საზარელი სანახავი არაფერია: ხეები გარინდულიყვნენ, ჩიტები დადუმებულიყვნენ, ხელოსნებიც გამქრალიყვნენ მის მოდის ეზოდან. გავიგონე, როგორ დააცემინა მისტერ ტეიტმა და ცხვირი მოიხოცა. მერე თოფი მკლავზე ჩამოიცურა, მის სტეფანი კროუფორდი დავინახე – თავისი სახლის წინ კარის მინას მიბჯენოდა სახით. მერე მის მოდიმაც დაუმშვენა გვერდი. ატიკუსმა ტერფი სკამის კადონს ჩამოაყრდნო და ნელა დაისვა ხელი ბარძაყზე.

– აგერ ისიც, – თქვა ხმადაბლა.

ტიმ ჯონსონი გამოჩნდა. გონებაარეული მოუყვებოდა მოსახვევს რედლების ეზოს გასნვრივ.

– შეხედე ერთი, – ჩამჩურჩულა ჯემმა, – მისტერ ჰეკმა თქვა, სნორ ხაზს მოჰყვებიანო, ქუჩის შუაგულშიც ვერ გამოდის.

– ავადმყოფს უფრო ჰგავს, – ვთქვი მე.

– რამე რო დაუდო წინ, დაეტაკება.

მისტერ ტეიტმა შუბლზე მიიდო ხელი და წინ გაიწია:

– ნამდვილად ცოფი შეჰყრია, მისტერ ფინჩ.

ტიმ ჯონსონი კუს ნაბიჯით მოიწევდა წინ. მაგრამ გზადაგზა ძირს დაყრილ ფოთლებს როდი ყნოსავდა და ეთამაშებოდა: თითქოს მთელი ყურადღება იქით მიემართა – არჩეული გზიდან არ გადავუხვიოო. უხილავი ძალა ნელ-ნელა ჩვენკენ ეწეოდა. დროდადრო აიბურძგლებოდა, როგორც ცხენი შვრება ხოლმე ბუზების მოსაგერიებლად. წარამარა აფუჩენდა და მუწავდა პირს. ცალ მხარეს გადაბრეცილიყო, მაგრამ რაღაც ძალა თანდათან მაინც ჩვენკენ ეწეოდა.

– ადგილს ეძებს, რომ მოკვდეს, – თქვა ჯემმა.

მისტერ ტეიტი შემობრუნდა და უთხრა: სიკვდილს სულაც არ აპირებს, ჯერ მაგაზე არც უფიქრია, ჯემ.

ტიმ ჯონსონი რედლების სახლის წინ მოსახვევამდე მივიდა. გადაგვარებული ჭკუის უბადრუკმა ნარჩენმა ღობესთან შეაჩერა, თითქოს იმას ფიქრობდა – რომელ გზას დავადგეო. რამდენიმე გაუბედავი ნაბიჯიც გადადგა და რედლების ჭიშკართან შედგა. მერე შემოტრიალება სცადა, მაგრამ გაუჭირდა.

ატიკუსმა თქვა:

– აქედან უკვე შეიძლება დამიზნება, ჰეკ. ჯობია, მოასწრო და ესროლო, სანამ ქვემოთ ჩაუყვება. ღმერთმა იცის, ვინ ამოვა მოსახვევში. შეიი სახლში, კელ.

კელპურნიამ ბადიანი კარი გამოაღო, მერე გასაღებით გადაკეტა. მერე ხელახლა გააღო და ამჯერად კაუჭით გადარაზა. მე და ჯემს ტანით გვეფარებოდა, მაგრამ ჩვენ მაინც ვიჭყიტებოდით მის მკლავებს ქვემოდან.

– ესროლეთ, მისტერ ფინჩ, – მისტერ ტეიტმა თოფი ატიკუსს მიაწოდა.

მე და ჯემს კინაღამ გულები წაგვივიდა.

– დროს ნუ კარგავ, ჰეკ, – უთხრა ატიკუსმა, – მიდი.

– მისტერ ფინჩ, ეს ერთი გასროლის საქმეა.

ატიკუსმა ენერგიულად გააქნია თავი:

– რას უდგახარ, ჰეკ! მთელ დღეს იქ ხომ არ დაგელოდება!

– ღვთის გულისთვის, მისტერ ფინჩ, შეხედე, სადაა! თუ დავაყოვნებთ, პირდაპირ რედლების სახლში შევა! მე კი ისე კარგად ვერ ვისვრი და თქვენ ეს მშვენივრად იცით!

– ოცდაათი ნელია, აღარ მისვრია.

მისტერ ტეიტმა თოფი ატიკუსს შეაჩეჩა.

– ახლა თუ ისვრით, ძალიან დამავალებთ, – უთხრა მან.

მე და ჯემი გაოგნებულები ვუყურებდით, როგორ აიღო მამაჩვენმა თოფი ხელში და შუაგულ ქუჩაში გავიდა, სწრაფად მიაბიჯებდა, მაგრამ მე ყველაფერი შენელებულად მეჩვენებოდა, თითქოს წყლის ქვეშ მიცურავსო: დრო გულის ამრევად ნელა მიიზლაზნებოდა.

როცა ატიკუსმა სათვალე გაისწორა, კელპურნიამ წაიბუტბუტა – ღმერთო მოწყალეო, ხელი მოუმართეო, – და თითები ლოყებზე მიიდო.

ატიკუსმა სათვალე შუბლზე აიწია, მაგრამ ჩამოუცურდა და ქვაფენილზე დაუვარდა. სიჩუმეში მინის ჭახანი გაისმა. ატიკუსმა თვალები და სიკაპი მოისრისა, დავინახეთ, როგორ მოუხშირა თვალის ხამხამს.

რედლების ჭიშკრის წინ ტიმ ჯონსონმა გონების უბადრუკი ნაშთი მოიკრიბა: როგორც იქნა, შემოტრიალდა, რათა თავდაპირველად არჩეულ გზას დასდგომოდა – ქუჩას ალმა ამოჰყოლოდა; ორი ნაბიჯი გადადგა წინ, მერე შედგა და თავი ასწია. დავინახეთ, ერთბაშად როგორ გახეულა ადგილზე.

ატიკუსმა თოფი ისე სწრაფად მიიდო მხარზე და ჩახმახის მომრგვალებულ ფეხს თითი გამოჰკრა, რომ დანამდვილებით ვერც იტყოდით, პირველად რა მოძრაობა გააკეთა.

თოფმა დაიჭექა, ტიმ ჯონსონი შეხტა, მოიკრუნჩხა, ძირს დაეცა, ცხა და ტროტუარზე მონითალო-მოთეთრო ბორცვი წარმოიქმნა. მან ვერც გაიგო, რამ მოკლა.

მისტერ ტეიტი აივნიდან ძირს ჩახტა და რედლების ეზოსკენ გაიქცა. ძაღლის წინ შედგა, ჩაიცუცქა, შემობრუნდა და მარცხენა თვალს ზემოთ შუბლი მოისრისა.

– ცოტა მარჯვნივ მოგვიდათ, მისტერ ფინჩ, – გამოსძახა მან.

– ეგ ზნე ყოველთვის მჭირდა, – უპასუხა ატიკუსმა, – ჩემი ნება რომ ყოფილიყო, ფილთა თოფს ავირჩევდი.

ატიკუსი შეჩერდა, სათვალეს დასწვდა, გატეხილი მინები ქუსლით დაფშვნა და მისტერ ტეიტისკენ გაემართა, რომელიც ამ დროს ტიმ ჯონსონს დასცქეროდა.

თანდათანობით ყველა სახლის კარი გაიღო და უბანი ისევ გამოცოცხლდა. მის მოდი მის სტეფანი კროუფორდის თანხლებით კიბეზე ჩამოვიდა.

ჯემი ჯერაც ვერ მოსულიყო გონს. იქნებ გამოფხიზლდეს მეთქი და ვუჩქმიტე, მაგრამ როცა ატიკუსმა გარეთ გამოსულები დაგვინახა, მოგვაძახა – ახლოს ნუ მოხვალთო.

მალე ატიკუსი და მისტერ ტეიტი ეზოში შემოვიდნენ. შერიფს ელოდებოდა.

– ზიბოს გამოვიძახებ, წაიღოს, – თქვა მან, – არაფერიც არ დაგვინყებიათ, მისტერ ფინჩ. ამბობენ, ამან დავინყება არ იცისო.

ატიკუსი დუმდა.

– ატიკუს! – უთხრა ჯემმა.

– ბატონო?

– არა, არაფერი.

– ყველაფერი დავინახე, ნაცადო ჩუბინო!

ატიკუსი მის მოდისკენ შებრუნდა. წამით თვალი გაუსწორეს ერთმანეთს, მერე ატიკუსი შერიფის მანქანაში ჩაჯდა.

– მოდი აქ, – დაუძახა ჯემს.

– იმ ძაღლს ახლოს არ გაეკაროთ, გესმით ჩემი? არ მიეკაროთ. ჭკვიანიც ისევე საშიშია, როგორც ცოცხალი.

– დიახ, სერ, – უთხრა ჯემმა, – ატიკუს!

– რა იყო, შვილო?

– არაფერი.

– რა დაგემართა, ბიჭო, ლაპარაკი დაგავინყდა? – ღიმილით უთხრა მისტერ ტეიტმა ჯემს, – შენ რა, არ იცოდი, რომ მამაშენი...

– გაჩუმდი, ჰეკ, – უთხრა ატიკუსმა, – წამო, ქალაქში დავბრუნდეთ.

როცა მანქანა დაიძრა, მე და ჯემმა მის სტეფანის სახლს მივაშურეთ და ზიბოს სანაგვე მანქანის მოლოდინში კიბეზე ჩამოვსხედით.

ჯემს აღელვებისგან ხმა წაერთვა, მის სტეფანი კი აქოთქოთდა: აჰ, აჰ, აჰ! გაგონილა – ცოფიანი ძაღლი თებერვალში?! იქნებ, არც იყო ცოფიანი, იქნებ, უბრალოდ გამოჩერჩეტდა? წარმომიდგენია, როგორ მოეფრიცება სახე ჰარი ჯონსონს, როცა მობილიდან დაბრუნდება და შეატყობს, რომ ატიკუს ფინჩმა მისი ძაღლი მოკლა! სანაძლეოს დავდებ, მაგ ძაღლს რნყილები ჰყავდა შესეული და მეტი არაფერი.

მის მოდიმ უთხრა: ტიმ ჯონსონი ახლა ცოცხალი რომ იყოს და ისევ მოდიოდეს ჩვენს ქუჩაზე, მაშინ ხომ სულ სხვა ხმაზე ამღერდებოდი, მაგ ამბავსაც მალე გაარკვევენ – ძაღლის თავს მონტგომერიში გაგზავნიან გასაკვლევაზე.

ჯემმა ძლივს გასაგონად თქვა:

– დაინახე, ჭყიტა, დაინახე, როგორ იდგა იქ? ...და მერე უცებ, ერთბაშად მოეშვა, მოწყდა, გეგონებოდა, თვითონვე იყო თოფის ნაწილი... მაშინ ისე ჩქარა გააკეთა ყველაფერი... მე კი, სანამ რამეს ვესვრი, ათ წელს მაინც ვუმიზნებ ხოლმე...

მის მოდიმ იქედნურად გაიღიმა და მითხრა:

– რაო, ჯინ ლუიზა, ახლაც ფიქრობ, რომ მამაშენს არაფერი ეხერხება? კიდევ გრცხვენია მის გამო?

– არა, – მორჩილად მივუგე მე.

– იმ დღეს სულ გადამავიწყდა, შენთვის მეთქვა, რომ დაკვრის გარდა, ატიკუს ფინჩს თავის დროზე მთელ მეიკომის ოლქში ბადალი არ ყოფილა სროლაში... ტყვიას ტყვიაში აჯენდა.

– ტყვიას ტყვიაში აჯენდა... – ექოსავით გაიმეორა ჯემმა.

– სწორედ რომ, ჯერემი ფინჩ, ახლა კი, მგონი, შენც სხვა ხმაზე ამ ღერდები. წარმოგიდგენია, არც კი იცოდი, ზედმეტსახელად ნაცად ჩუ ბინს რომ ეძახდნენ... ჯერ კიდევ იქ, ფინჩების მამულში რომ ცხოვრობ და, თხუთმეტი გასროლიდან მიზანში თოთხმეტს თუ მოარტყამდა, მა შინვე წუწუნს მოჰყვებოდა – ტყვია-წამალი ტყუილად გავაფუჭეო!

– არასოდეს არაფერი უთქვამს ამის შესახებ, – წაიბუტბუტა ჯემმა.

– არაფერი უთქვამს, ხომ?

– არა...

– ნეტა ახლა რატომ აღარ დადის სანადიროდ? – ვთქვი მე.

– შევეცდები, აგიხსნათ, – გვითხრა მის მოდიმ, – მამათქვენი უპირველეს ყოვლისა, ჭეშმარიტად ცივილიზებული ადამიანია, ასეთ ნიჭი ღვთის წყალობაა, ღვთის მადლია. რა თქმა უნდა, ამ ნიჭის სრულყოფისთვის ვარჯიშიც საჭიროა, მაგრამ მიზანში სროლა პიანი ნოს დაკვრა ან რამე მსგავსი ხომ არაა. მე ასე მგონია: როგორც კი მა მათქვენი მიხვდა, რომ ღმერთმა განსაკუთრებული ძალა უწყალობ და ამით იგი ყველა სხვა სულიერზე მაღლა დააყენა, მაშინვე უარ თქვა თოფზე. ალბათ გადაწყვიტა, თუ აუცილებლობა არ მოითხოვ იარაღს ხელში არასდიდებით აღარ ავიღებო. დღეს კი სწორედ ასეთ აუცილებლობა იყო.

– ესე იგი, უნდა ამაყობდეს ამით, – ვთქვი მე.

– ჭკუათმყოფელი ადამიანი თავის ნიჭით არასოდეს არ იამაყებს, მომიგო მის მოდიმ.

მალე დავინახეთ, როგორ ამოვიდა ზიბოს სატვირთო მანქანა ჩვენ ქუჩაზე. ზიბომ მანქანის ძარიდან ფიწალი გამოიღო და ფრთხილად ა ნია ტიმ ჯონსონი. ძაღლი ძარაში შეაგდო, მერე იმ ადგილს, სადაც ტიმ დაეცა, კასრიდან რაღაცა მოასხურა და – ცოტა ხანს აქეთ ნუ გამოე ლითო, – გაგვაფრთხილა.

სახლში რომ შევბრუნდით, ჯემს ვუთხარი – აი, ახლა კი ვიცი, რასაც მოვყვები ორშაბათს სკოლაში-მეთქი.

– ეს ამბავი არავის არ უამბო, ჭყიტა, – მითხრა მან.

– რაო?! როგორ თუ არ ვუამბო! ერთი მითხარი, რომელ მეიკომელს ჰყავს მამა, ატიკუსივით "ნაცადი ჩუბინი", ჰა?

ჯემმა მითხრა:

– მამას ეტყობა, არ უნდოდა, ჩვენ რომ ეს გვცოდნოდა, თორემ თვი- თონვე გვეტყოდა. ამით რომ ამაყობდეს, მოგვიყვებოდა კიდეც.

– იქნებ, უბრალოდ, თავიდან ამოუვარდა? – ვუთხარი მე.

– არა, ჭყიტა. შენ ამას ვერ მიხვდები. ატიკუსი მართლა მოხუცია, მაგრამ საერთოდ რომ არ შეეძლოს არაფრის გაკეთება, ჩემთვის სულ ერთი იქნებოდა, თითის განძრევაც რომ არ შეეძლოს, მაინც სულ არ ვი �ნდელებდი.

ჯემი ქვას დასწვდა და გამარჯვებული სახით მანქანის ფარეხს სტყორცნა. მერე გაედევნა და გამომძახა:

– ატიკუსი ისეთივე ჯენტლმენია, როგორც მე!

11

სანამ პატარები ვიყავით, მე და ჯემს სათამაშოდ სავსებით გვყოფ ნიდა ჩვენი ეზო და სამხრეთით მცხოვრები მეზობლების ეზოები, მაგ რამ როცა მეორე კლასში გადავედი და რედლი-ბუას წვალება წარსულს ჩაბარდა, სულ უფრო ხშირად გვიწევდა გული ქალაქის სამრეწველო ცენტრისკენ. გზად მისიზ ჰენრი ლაფაიეტ დუბოუზის სახლთან უნდა ჩავეელო. თუ ამას არ მოვისურვებდით, მაშინ სულ ცოტა, ერთმილიანი ბრის შემოვლა გვიწევდა, რადგან სხვაგვარად ქალაქში მოხვედრა შეუძ ებელი იყო. მისიზ დუბოუზს რამდენჯერმე ადრეც შევხვედრივარ და ერაფითარი სურვილი არ გამჩენია, ეს ნაცნობობა ოდნავ მაინც გამელ რმავებინა, მაგრამ ჯემმა მითხრა – ოდესმე ხომ უნდა გაიზარდოო!

მისიზ დუბოუზი – ღრმად მოხუცებული ქალი – სრულიად მარტო ცხოვრობდა, თუ არ ჩავთვლით ზანგ მოახლე გოგონას, რომელიც მას ფლე და ღამე უვლიდა. ის ჩვენგან ორი ეზოს გადაღმა ცხოვრობდა. მისი სახლის ღია აივანი და შვეული კიბე ქუჩის მხარეს გამოდიოდა. ფანჯარი ლოგინად იყო ჩავარდნილი და დღის უმეტეს დროს სა ნელში ატარებდა, ხანაც ბორბლებიან სავარძელში იჯდა. ხმა დადი ოდა – მისიზ დუბოუზს სახლში ძველისძველი კანადური დამბაჩა ქონდა გადანახული, რომელსაც თავის უამრავ თავსაფარსა და ჭინჭში ჩაფუთულს მალავსო.

მე და ჯემი ამ ქალს დასანახად ვერ ვიტანდით. თუ აივანზე მოსასვლ ნებლად წამოწოლილი, თავის სახლთან ჩავლილებს თვალს მოგვკრავდ ისეთი რისხვით მოგვაშტერდებოდა, უნებურად ფეხი გვერეოდა. მერ იწყებდა გაუთავებელ ლაპარაკს ჩვენს ყოფაქცევაზე და ბოლოს აუცილ ლებლად დაასკვნიდა – თქვენგან ხეირიანი ნამდვილად არაფერი გამ ვაო. დიდი ხანია, ხელი ჩავიქნიეთ და მის სახლთან ქუჩის მოპირისპირ მხარეს აღარ გადავდიოდით, ან კი რა აზრი ჰქონდა – მაშინ კიდევ უფრ აიმაღლებდა ხოლმე ხმას და მთელი უბნის გასაგონად გაჰყვიროდა.

ამ ქალის გული ვერაფრით ვერ მოვიგეთ. თუ გაბადრული სახ ვეტყოდი – გამარჯობა, მისიზ დუბოუზ-მეთქი, პასუხად მომახლიდ რა "გამარჯობა", შე უშნო შენა, უნდა მითხრა – შუადღე მშვიდობის მისიზ დუბოუზო!

ყველა სიკეთესთან ერთად, ავყია და ბოროტიც იყო. ერთხელ გ გონა, როგორ მიმართა ჯემმა მამაჩვენს სახელით და კინაღამ სისხ ჩაექცა ტვინში. თურმე ჩვენზე ბილწი და უტიფარი ყეყეჩები ცხოვრ ში არ ენახა და ძალიან წყდებოდა გული, რომ ატიკუსმა დედაჩვენ გარდაცვალების შემდეგ ცოლი აღარ შეირთო. დედათქვენზე უფ მომხიბვლელი ქალი ქვეყანას არ მოსწრებია და როგორ არ უნდა გაგ კდეს გული, როცა ხედავ, რა გაუთლელ ველურებად გზრდით ატიკ სიო. ჩემი ძმისგან განსხვავებით, რომელიც ხანდახან მიყვებოდა დედ ზე, მე დედაჩვენი არ მახსოვდა; როცა მისიზ დუბოუზმა ეს სიტყვ მოგვახალა, ჯემს მკვდრისფერი დაედო.

იმით გათამამებულმა, რომ ბუა რედლის, ცოფიან ძაღლს და სხ ფათერაკებს უვნებელი გადაურჩა, ჯემმა ასეთი გადაწყვეტილება მ ღო – ლაჩრობაა, იდგე მის რეიჩელის სახლის წინ და ელოდო მამას, რ ცა მის შესახვედრად შეიძლება, ფოსტის შენობის კუთხემდე ჩაეირ ნოთო. ამის შემდეგ ყოველ საღამოს იქ ვეგებებოდით ატიკუსს და ეკ კი მოვთვლი, რამდენჯერ დახვედრია მამას ჯემი მისიზ დუბოუზის მ რიგი ავყია გამონათქვამით გაშმაგებული.

– ნუ აჰყვები, ჯემ, – ეტყოდა ხოლმე ატიკუსი, – ხომ იცი, მოხ ქალია, სნეულია. თავი მაღლა ასწიე და ჯენტლმენივით მოიქეცი, რ არ უნდა გითხრას, პირველ რიგში, იმაზე იფიქრე, რომ წონასწორ დან არ უნდა გამოხვიდე.

ჯემი ამაზე უპასუხებდა – ძალიან ავად რომ იყოს, ასე ვერ იღრიან ებდაო. როცა მისიზ დუბოუზის სახლს გავუსწორდებოდით ხოლმე, ატიკუსი თავიდან ქუდს მოიშვლეპდა, მისალმების ნიშნად ჰაერში ააფ ფიანებდა და ეტყოდა – საღამო მშვიდობისა, მისიზ დუბოუზ! დღეს ისე გამოიყურებით, პირდაპირ დახატული მგონიხართო.

ოლონდ ატიკუსს არასოდეს უთქვამს, თუ როგორი ნახატი ეგონა მ სიზ დუბოუზი. მერე მოუყვებოდა სასამართლოს ჭორებს და ბოლოს ეტ ყოდა – გულითა და სულით გისურვებთ, ხვალ თავი უკეთ იგრძნოთო. ამის შემდეგ მამა ისევ დაიხურავდა ქუდს, თვით იმ ქალბატონის დასა ნახად შემისვამდა მხრებზე და საღამოს ბინდში სახლისკენ მივეშურე ბოდით. სწორედ ასეთმა შემთხვევებმა განმიმტკიცეს აზრი, რომ მამა ჩემი, კაცი, რომელსაც სძაგდა იარაღი და არც ერთ ომში არ მიუღია მო ნაწილეობა, ამქვეყნად ყველაზე გულადი მამაკაცი იყო.

ჯემმა თავისი მეთორმეტე დაბადების დღე იზეიმა. მეორე დღეს ველარ ფეხზე ვერ ადგა – ფულმა ჯიბეები აუწვა და ადრე შუადღისას ქალაქისკენ ავი ყო გეზი: ჯემს პატარა ორთქლმავლის ძრავა უნდოდა ეყიდა, მე კი დაწ �ილ კვერთხს დამპირდა; მისი აზრით, ფული ორივეს უნდა გვყოფნოდა.

რახანია, თვალი დავადგი იმ კვერთხს: ელმორის ფარდულში იყიდე ბოდა, ბრჭყვიალა ნინნკლებითა და თითბრით იყო მოვარაყებული, ბ ოლომეტი ცენტი ღირდა. მოსვენებას არ მაძლევდა ერთი სურვილი – ბ ინდოდა ჩქარა გავზრდილიყავი და მეიკომის საოლქო სკოლების გუნ დისეის მედირიჟორა. ჯერჯერობით ასე ვვარჯიშობდი: ვცდილობდი, ბ ალღა ასროლილი ჯოხი ხელით დამეჭირა, რაც ყოველთვის არ გამომ დიოდა. ამიტომ, როცა კი კელპურნია ჯოხით ხელში დამინახავდა, სახ ლში აღარ მიშვებდა, აი, მიყიდის ჯემი კვერთხს, და მაშინ ყველაფერი კარგად გამომივა-მეთქი, ვფიქრობდი და ძალიან მადლიერი ვიყავი ჩემი ძმის, ასეთ საჩუქარს რომ შემპირდა.

მისიზ დუბოუზი აივანზე ბრძანდებოდა, როცა მის სახლს გავუს წორდით.

– საით გაგიწევიათ თქვენ ორს ამ დილაუთენია, ჰა? – დაგვჩხავლა ბ ან, – "შატალოზე" მიდიხართ? ახლავე დავურეკავ თქვენს დირექტორს და მეეატყობინებ! – ხელები სავარძლის ბორბლებზე ჩამოაწყო და გა მიმეტყველებაც შესაბამისი მიიღო.

– ოო, დღეს ხომ შაბათია, მისიზ დუბოუზ! – უთხრა ჯემმა.

– მაგას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს! – გაისმა გაუგებარი პასუხი, – ნეტავი გამაგებინა, მამათქვენმა თუ იცის, სადა ბრძანდებით!

– მისიზ დუბოუზ, ქალაქში მარტოკები ჯერ კიდევ მაშინ დავდიოდით, როცა აი, ამხელები ვიყავით, – უთხრა ჯემმა და ტროტუარიდან ასე ორი ფუტის სიმაღლეზე აჩვენა ხელით.

– ნუ მატყუებ! – დაიწივლა დედაბერმა, – ჯერემი ფინჩ! მოდი ეტ' კინსონმა მითხრა, რომ ამ დილით ბაღში ნერგი დაუმტვრიე, დაიცა, უთხრას მამაშენს, მაშინ კი დასწყევლი შენი გაჩენის დღეს. დუბოუზი არ ვიყო, თუ მომავალი კვირისთვის შენი თავი გამოსასწორებელ კოლონიაში არ გავაგზავნინო!

ჯემმა, რომელიც მის მოდის ხეხილს გასული ზაფხულიდან აღარ გაჰკარებია და რომელმაც იცოდა – ასე რომც არ ყოფილიყო, მის მოდი მამასთან მაინც არ დააბეზღებდა, მისიზ დუბოუზის ბრალდებაზე ციყვუარი განაცხადა.

– სიტყვას ნუ მიბრუნებ! – შეუტია მის დუბოუზმა, – შენ კი, – მან დაკოჟრილი თითი ჩემკენ გამოიშვირა, – რას ჩაგიცვამს ეგ შარვალი, ჰა? ახალგაზრდა ლედის კაბა და კორსეტი უნდა ეცვას! თუ ეინმეს დროზე არ მოგხედა, შენგან დიდი-დიდი მოახლე დადგეს, უკეთესი არაფერი. როგორია, ჰა – ფინჩის ქალი სამიკიტნოში მიმტანად მუშაობდეს!

თავზარი დამეცა: სამიკიტნო მოედნის ჩრდილოეთით მდებარეობდა და მეტად საეჭვო რეპუტაციით სარგებლობდა. ჯემს ხელი ჩავავლე, მაგრამ მან თავი გაითავისუფლა და ჩამჩურჩულა – წამო, ჭყიტა, ყურადღებას ნუ მიაქცევ მაგას; თავი მაღლა ასწიე და ჯენტლმენივით მოიქეცი.

მაგრამ მისიზ დუბოუზმა ისევ შეგვაყოვნა – როგორია, ჰა, – ერთი ფინჩი სამიკიტნოში მაგიდებს ემსახუროს, მეორემ კი ცინგლიანი ზანგები დაიცვას, ჰმ!

ჯემი ადგილზე გახევდა. ეს სიტყვები, ეტყობა, ეკალივით მოხვდა გულზე. მისიზ დუბოუზის შხამიანი ისარი მიზანს მოხვდა და დედაბერმა კარგად უწყოდა ეს.

– არა, მაინც როგორ გადაგვარდა მთელი ქვეყანა: ფინჩიც კი გადაუდგა თავისიანებს! რაღა უნდა გაგიკვირდეს ამის მერე! – მან ხელი მიიდო პირზე, როცა მოიშორა, ტუჩის კიდეებიდან მბზინავი დორბლი ჩამოელვარა.

– ისე, ნუ გეშინია, არც მამაშენია იმ მურიანებზე და ნაძირლებზე უკეთესი, რომლებსაც ემსახურება!

ჯემი ჭარხალივით გაწითლდა. მე სახელოში მოვწიე და ტროტუარს გავუყევით. კვალდაკვალ მოგვდევდა მამხილებელი სიტყვა ჩვენი ოჯახის მორალური გადაგვარების თაობაზე, რისი თვალსაჩინო საბუთი ბოლომე ის ყოფილა, რომ ფინჩების ნახევარზე მეტი საგიჟეთში იყო გამოწყვდეული! მაგრამ დედაჩვენი რომ ყოფილიყო ცოცხალი, მაშინ ამდენად არ გადავგვარდებოდით.

დანამდვილებით ვერც ვიტყვი, ყველაზე მწარედ ჯემს რა მოხვდა გულზე, აი, მე კი ის მეწყინა, რომ მისიზ დუბოუზმა ჩვენი ოჯახის ნახევარზე მეტი გიჟებად შერაცხა. რაც შეეხება ატიკუსს, მისი ლანძღვა-გინება არაერთხელ მსმენია, მაგრამ ჩვენი თანდასწრებით მოზრდილი ადამიანი ამას პირველად სჩადიოდა. მხოლოდ ის გამიკვირდა, ატიკუსს რომ შეეხო, თორემ სხვა დანარჩენი მისგან ათასჯერ მსმენოდა.

ჰაერში უკვე იგრძნობოდა ზაფხულის მოახლოება: ჩრდილში გრილოდა, მზეში ცხელოდა, ეს კი კარგ დროსტარებას გვიქადდა: არდადეგებს და დილს!

ჯემმა იყიდა თავისი ორთქლმავლის ძრავა და ჩემი კვერთხის საყიდლად ელმორის მაღაზიისკენ გავწიეთ. ახალმა შენაძენმა ჯემი სულ არ გაახალისა; ჩაიდო ჯიბეში და უხმოდ გამომყვა სახლისკენ. გზაში კინაღამ მისტერ ლინკ დიზს დავეტაკე – ჰაერში ასროლილ კვერთხს ვიჭერდი და მან მომაძახა – ცოტა ფრთხილად, ჭყიტაო! მისიზ დუბოუზის სახლს რომ მივუახლოვდით, ჩემი კვერთხი ამდენი დაცემისგან უკვე ბზეერში იყო ამოგანგლული.

მისიზ დუბოუზი აივანზე არ იჯდა.

მოგვიანებით ხშირად მიფიქრია, თუ რამ აიძულა ჯემი, დაერღვია ბანის ჩანერგილი "მოიქეცი ჯენტლმენივით", რამ დააკარგვინა ასე საფიციად გამოწრთობილი მოთმინება და რამ გადაადგმევინა ის საბედისწერო ნაბიჯი... ჩემი არ იყოს, ჯემს ბევრი სიბინძურის მოსმენა უწევდა "მურიანებზე", მაგრამ წონასწორობას არ კარგავდა ხოლმე, რაც სულ არ მიკვირდა: ბუნებით ფიცხი არ იყო და ადვილად ვერ ააღელვებდით, მაგრამ რაც ამჯერად დაემართა, მხოლოდ ასე თუ შეიძლება აიხსნას: რამდენიმე წუთის განმავლობაში ჯემი გონზე ვერ იყო!

ატიკუსის აკრძალვა რომ არა, მეც აუცილებლად გავაკეთებდი იმას, რაც ჯემმა ჩაიდინა, მაგრამ ვგრძნობდი, ის აკრძალვა საშინელ დედაბრებსაც გულისხმობდა. ის იყო, მისიზ დუბოუზის ჭიშკარს მივადექით, რომ ჯემმა კვერთხი ხელიდან გამომგლიჯა და ცოფიანივით შევარდა ეზოში. მას ყველაფერი გადაავიწყდა – ატიკუსის გაფრთხილებაც, ისიც, რომ დიასახლისი ჭინჭებში გახვეულ დამბაჩას ინახავდა და ისიც, რომ თვით მისიზ დუბოუზს თუ არა, მის მოახლე ჯესის მაინც არ გამორჩებოდა მხედველობიდან ეს ამბავი.

მხოლოდ მაშინ გაჩერდა, როცა უკლებლივ ყველა კამელიას ბუჩქს სათითაოდ დააგლიჯა ღეროები; მიწა მწვანე ფოთლებით და კვირტებით მოიფინა. მერე ჩემი კვერთხი მუხლზე გადაიდო, ორად გადატეხა და ხელიდან გააგდო.

ამ დროისთვის მე უკვე ცივი ხმით გავკიოდი. ჯემმა თმით დამითრია, მაგრამ არაფერი გაუვიდა. მითხრა – სულ არ მენაღვლება, თუ გინდა, კიდევ მოგქაჩავ და თუ არ მოკეტავ, ხომ სულ ღერა-ღერა დაგანიწკნი მაგ თმებსო! მე მაინც არ ჩავიკმინდე ხმა და მაშინ პანღური ამომკრა. თავი ველარ შევიმაგრე და ცხვირ-პირით დავენარცხე მიწაზე. ჯემმა უხეშად წამომაყენა, მაგრამ სახეზე სინანული ეწერა. თქმით კი რაღა ეთქმოდა.

იმ საღამოს ატიკუსის დასახვედრად აღარ წავსულვართ – შინ დარჩენა ვამჯობინეთ. სამზარეულოში შევიყუჟეთ და ვისხედით იქ, სანამ კელპურნიამ ძალით არ გამოგვყარა გარეთ; როგორც ჩანს, კელი კუდიანივით ყველაფერს მიხვდა. საერთოდ, კელპურნია რომ ვერაფერიშვილი ნუგეშისმცემელი იყო, კიდევ რბილი ნათქვამია, მაგრამ ამჯერად რატომღაც კარაქწასმული ცხელი ბისკვიტის ნაჭერი მისცა ჯემს. ჯემმა ნახევარი მე მომიტანა – ჩალასავით უგემურად დავღეჭე.

მერე სასტუმრო ოთახში გავედით. საფეხბურთო ჟურნალი ავიღე, დიქსი ჰაუელის ფოტოს წავაწყდი, ჯემს ვუჩვენე და ვუთხარი – შენ გგავს-მეთქი. უკეთესი რაღა უნდა მეთქვა, მაგრამ ამანაც არ იმოქმედა. მოკალათდა სარწეველა სკამში ფანჯრის წინ მხრებმობუზული, მოღუშული და მომლოდინე. დღე ინურებოდა.

ორი გეოლოგიური ხანაც გავიდა და, სადარბაზოში ატიკუსის ფეხსაცმლის ლანჩა გაჭრაჭუნდა. ბადიანი კარი ბრახუნით გაიხურა. ერთ-

ოთახს სიჩუმე ჩამოვარდა. ატიკუსი ქუდების საკიდთან მივიდა. მერე კი გავიგონეთ, როგორ დაიძრა ადგილიდან.

– ჯემ! – ხმაში ზამთრის სუსხი შეეპარვოდა.

ატიკუსმა სასტუმრო ოთახის ჭაღი დაანთო და ადგილზე გაშეშებული დაგვინახა. ცალ ხელში ჩემი კვერთხის ნატეხი ეკავა. მტვრიანი ყვითელი ფოჩი ხალიჩაზე დასთრევდა. მეორე ხელი ჩვენკენ გამოიშვირა – კამელიას მსხვილი კვირტები ეჭირა.

– ჯემ, – თქვა მან, – ეს შენი ნახელავია?

– დიახ, სერ.

– რატომ?

ჯემმა ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

– იმიტომ, რომ შენზე მითხრა, მურიანებს და ნაძირალებს იცავსო.

– მერე, მაგისთვის ჩაიდინე ეს?

ჯემი ტუჩების ცმაცუნს მოჰყვა, უნდოდა ეთქვა – დიახ, სერო.

– შვილო, მე კარგად ვიცი, შენი ტოლები მოსვენებას არ გაძლევენ და სულ ის აკერიათ პირზე, რომ მე – როგორც შენ ამბობ – მურიანების დამცველი ვარ, მაგრამ იმის პატიება, რაც ამ მოხუც დავრდომილ ქალს დაუშავე, დაუშვებელია. დაბეჯითებით გთხოვ, ჩადი და მისიზ დუბოუზს ესაუბრე, – უთხრა ატიკუსმა, – მერე კი პირდაპირ სახლში დაბრუნდი.

ჯემი არ განძრეულა.

– მიდი, მიდი, – ვუთხარი მე.

სასტუმრო ოთახიდან მე ჯემთან ერთად გავედი, მაგრამ ატიკუსმა დამიძახა – მობრძანდი აქო, და მეც მივბრუნდი.

ატიკუსმა გაზეთი აიღო და იმ სარწეველა სავარძელში ჩაჯდა, რომელშიც ცოტა ხნის წინ ჯემი იჯდა. ვერ გამეგო, ამ კაცს რანაირად შეეძლო, არხეინად მჯდარიყო და გაზეთი ეკითხა, როცა მისი ერთადერთი ვაჟიშვილი, ვინ იცის, იმწუთას იქნებ სიკვდილს უყურებდა თვალებში?! ანა გასაკვირი იქნებოდა, მისიზ დუბოუზს ის ძველისძველი დამბაჩა რომ აემოქმედებინა? იცოცხლე, ჯემი ხანდახან ისე მაბრაზებდა, მზად ვიყავი მომეკლა, მაგრამ საქმე საქმეზე თუ მიდგებოდა – ვინ მყავდა მის მეტი? როგორც ვატყობდი, ატიკუსი ამას ვერ ხვდებოდა, თორემ რა გული მოუთმენდა!

იმწუთას მამა მძულდა, მაგრამ როცა გიჭირს, ადვილად იღლები და სულ მალე მყუდროდ მოვკალათდი მის კალთაში, მხრებზე კი მისი მკლავები მქონდა მოხვეული.

– უკვე კარგა დიდი ხარ იმისთვის, რომ დაგარწიო, – მითხრა მან.

– სულ არ გენაღვლება არა, რა მოუვა? – ვუთხარი მე, – გაგზავნე ხო, ტყვია რო მოხვდეს შუბლში! თან იმის გულისთვის, რო შენ გამოგექომაგა!

ატიკუსმა თავზე ნიკაპი ჩამომადო.

– ასაღელვებელი ჯერ არაფერია, – მითხრა მან, – რას ვიფიქრებდი, თუ ჯემს ასეთი რამე ჭკუას დააკარგვინებდა... მე შენი ამბავი უფრო მაწუხებდა...

მე ვუთხარი, მთელ სკოლაში მარტო მე და ჯემმა რატომ უნდა შევიკავოთ თავი, როცა არც ერთ სხვა ბავშვს ეს არ მოეთხოვება-მეთქი.

– ჭყიტა, მალე ზაფხული დადგება და ბევრად მეტის მოთმენა მოგიწევთ. ვიცი, უსამართლობაა, შენ და ჯემს ამდენის მოთმენა რომ გიხდებათ, მაგრამ ადამიანმა ზოგჯერ მთელი თავისი ძალ-ღონის მოკრება უნდა შეძლოს. რის მაქნისები ვართ, მაშინ გამოჩნდება, როცა ყველაზე მეტად გვიჭირს... სხვა რა გითხრა – როცა გაიზრდებით, შენ და ჯემი ალბათ გულისტკივილით მოიგონებთ ამ ამბავს და მიხვდებით, რომ მე თქვენ არ გილალატეთ... ტომ რობინსონის საქმე – სინდის-ნამუსის საქმეა... იცი, ჭყიტა, მე თუ იმ კაცს საშველად ხელს არ გავუწვდი, ეკლესიაში სიარულისა და ლოცვის უფლებაც აღარ მექნება.

– ატიკუს, იქნებ სცდები.

– ეგ როგორ?

– აბა, რატომ ჰგონია თითქმის ყველა ჩვენიანს, რომ ისინი არიან მართლები და შენ მტყუანი...

– ყოველ ადამიანს უფლება აქვს, საკუთარი აზრი იქონიოს, და მათი აზრი პატივისცემასაც იმსახურებს, – მითხრა ატიკუსმა, – მაგრამ სანამ ადამიანებთან მორიგებაზე ვიზრუნებდე, ჯერ საკუთარ თავს უნდა მოვურიგდე. არის ერთი რამ, რაც უმრავლესობის დაკანონებულ შეხედულებებს არ ექვემდებარება, ესაა ადამიანის სინდისი.

როცა ჯემი დაბრუნდა, მე ჯერ ისევ ატიკუსს ვეჯექი კალთაში.

– როგორაა საქმე, შვილო? – ჰკითხა მამამ და ძირს ჩამომსვა. ჩემი ძამიკო ისე შევათვალიერე, რომ არ შეენიშნა: თითქოს ისეთი არაფერი

სჭირდა, მაგრამ უცნაური გამომეტყველება მიეღო. სანამლავი ხომ დაეღევინა-მეთქი, გამიელვა.

– ბაღი გავუსუფთავე და ვუთხარი, ძალიან ვნანობ-მეთქი, მაგრამ სულაც არ ვნანობ. ყოველ შაბათ დღეს ის ბაღს უნდა მოვუარო, სანამ ახლად არ აყვავდება.

– თუკი არ ნანობ, რაღას ეუბნებოდი ვნანობო, – უთხრა ატიკუსმა, – ჯემ, მისიზ დუბოუზი მოხუცი და დავრდომილია. ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანი თავის საქციელზე და ნალაპარაკევზე პასუხს ვერ აგებს. რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა, ყველაფერი ეს ჩემთვის ეთქვა და არა რომელიმე თქვენგანისთვის, მაგრამ ყველაფერი ისე ხომ არ ხდება, როგორც ჩვენ გვინდა...

ჯემი მონუსხულივით მიაჩერდა ხალიჩაზე დავარდნილ ვარდს.

– ატიკუს, წიგნები უნდა ნამიკითხო, მითხრა.

– წაუკითხო?

– დიახ, სერ. უნდა, რომ ყოველდღე - შაბათის ჩათვლით! – სკოლის მერე მასთან სახლში ვიარო და ხმამაღლა ვუკითხო ორი საათის განმავლობაში. ატიკუს, ესეც უნდა გავაკეთო?

– აუცილებლად.

– კი მაგრამ, ერთ თვეს უნდა იაროო.

– ესე იგი, ერთ თვეს ივლი.

ჯემმა ფეხსაცმლის წვერი ფრთხილად დაადო ვარდის შუაგულს და ..გაქყლიტა. ბოლოს თქვა:

– ატიკუს, ტროტუარზე კიდევ არა უშავს, მაგრამ შიგ რო შეხვალ, ისე ბნელა, ტანში გაყრუოლებს. ყველგან ჩრდილებია, ჭერზეც...

ატიკუსს კუშტად გაეღიმა:

– ეგ შენ უნდა გართობდეს კიდეც. წარმოიდგინე, ვითომ რედლების სახლში მოხვდი.

მომდევნო ორშაბათს, ნაშუადღევს, მე და ჯემი მისიზ დუბოუზის ციცაბო კიბეს ავუყევით და ღია აივანზე ავედით. ჯემს "აივენჰო" წამოელო თან და იმით გაამაყებულმა, რომ აქ მისთვის ყველაფერი უკვე ნაცნობი იყო, ხელმარცხნივ მეორე კარზე მიაკაკუნა.

– მისიზ დუბოუზ! – დაიძახა მან.

ჯესიმ ჯერ ხის კარი გამოაღო, შემდეგ ბადიანიც გახსნა.

– შენა ხარ, ჯემ ფინჩ? – თქვა მან, – დასთან ერთადა ხარ? – არ ვიცი, თუ...

– ორივე შემოუშვი, ჯესი, – გაისმა მისიზ დუბოუზის ხმა. ჯესიმ შეგვიშვა, თვითონ კი სამზარეულოში გავიდა.

შევდექით თუ არა კარის ზღურბლზე, სულის შემხუთავი სუნი ვიგრძენით, ისეთი, ნესტისგან ჩამპალ სახლებში რომ დგას ხოლმე, სადაც როგორც წესი, პატრუქიანი ლამპა ხრჩოლავს, წყალი კასრებში აქვთ დაგროვილი და გაუხამებელ თეთრეულს ხმარობენ. ეს სუნი ყოველთვის იდუმალ შიშსა და ავ ნინათგრძნობას მიჩენდა.

ოთახის კუთხეში სპილენძის საწოლი იდგა, საწოლში მისიზ დუბოუზი იწვა. ნეტა ჯემის ნამოქმედარმა ხომ არ ჩააგდო-მეთქი ლოგინად, გავიფიქრე და ერთი წამით შემეცოდა. დედაბერს ზემოდან საბნების გროვა ეყარა და, შეიძლება ითქვას, გულთბილად შემოგვცქეროდა.

მის საწოლთან მარმარილოს პირსაბანი იდგა; პირსაბანზე კბილის ჯაგრისიანი ჭიქა, წითელი რეზინის პიპეტი, ბამბის კოლოფი და რკინის სამფეხა მაღვიძარა იდო.

– მაშ, შენი ტურტლიანი დაიკოც თან წამოიყვანე, ხომ? – შემოგვეგება დედაბერი.

ჯემმა დინჯად მიუგო – ჩემი და ტურტლიანი არაა და მე სულაც არ მეშინია თქვენიო, თუმცა კი შევატყვე, როგორ უკანკალებდა მუხლები.

არაფრით არ მეგონა, თუ მისიზ დუბოუზი ჯემის სიტყვებს უპასუხოდ დატოვებდა, მაგრამ მხოლოდ ეს უთხრა: შეგიძლია შეუდგე კითხვას, ჯერემი.

ჯემი წნელის სკამზე ჩამოჯდა და "აივენჰო" გადაშალა, მე მეორე სკამი გამოვწიე და გვერდით მივუჯექი.

– უფრო ახლოს დამიჯექი, – უთხრა მისიზ დუბოუზმა, – საწოლის კიდესთან ჩამოჯექი.

ჩვენც წინ მივაჩოჩეთ სკამები. ეს ქალი ასე ახლოდან ჯერ არ მენახა. ძალიან მომინდა, სკამი ისევ უკან გადამედგა.

საზარელი სანახავი იყო: სახე ჭუჭყიანი ბალიშისპირის ფერი ჰქონდა, ტუჩის კუთხეებზე აელვარებული დორბლი მყინვარივით ნელა მიჩოჩავდა ქვევით და ნიკაპის ღრმა ღარებში იკარგებოდა. ლოყებზე ასაკისგან მოყავისფრო ლაქები დასდებოდა, წყალწყალა თვალებში ქინძისთავივით პაწია, შავი გუგები უელავდა. თითებზე ისე მოსდებოდა კოჟრები, რომ ფრჩხილები არც მოუჩანდა. ქვედა ყბის პროთეზი ჩასმული არ ჰქონდა და ამიტომ ზედა ტუჩი წინ წამოსწეოდა; დროდადრო ქვედა ტუჩს ხელოვნური ყბისკენ წაიღებდა, მაშინ ნიკაპიც ზემოთ აიწევდა და დორბლი უფრო სწრაფად მოსდიოდა.

გადავწყვიტე, მისთვის მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში შემეხედა. ჯემმა ისევ გადაშალა "აივენჰო" და კითხვას შეუდგა. თავიდან შეეცადე, მეც მედევნებინა თვალი, მაგრამ ძალიან ჩქარა კითხულობდა. როცა უცნობ სიტყვას ნააწყდებოდა, გამოტოვებდა ხოლმე, მაგრამ მისიზ დუბოუზი მაშინვე ჩაავლებდა და აიძულებდა, ასო-ასო ამოეკითხა. ასე ალბათ ოციოდე წუთი გაგრძელდა; მე ხან ფანჯარაში ვიყურებოდი, თვალებს ხან საით ვაცეცებდი და ხან საით, ოღონდ კი ეს ქალი აღარ დამენახა. ჯემი განაგრძობდა კითხვას და შევატყვე, მისიზ დუბოუზის შენიშვნებმა თანდათანობით იკლო, გაიშვიათდა, იმდენად, რომ ჯემმა ერთი მთლიანი წინადადების ჰაერში გამოკიდებაც კი მოახერხა; მისიზ დუბოუზი აღარ უსმენდა.

მაშინ კი გავაპარე საწოლისკენ თვალი.

დედაბერს რაღაც დამართნოდა: გულაღმა იწვა, ნიკაპამდე საბნებში ჩაფლული, მარტო თავი და მხრები მოუჩანდა; თავს ნელა არწევდა აქეთ-იქით. ხანგამოშვებით ფართოდ დააღებდა პირს და სუსტად ამოძრავებული ენა გამოუჩნდებოდა. ტუჩებზე დუჟი ადგებოდა, შეისრუტავდა და ისევ დააღებდა პირს. მისი ხახა სხეულის დანარჩენი ნაწილებისგან თითქოს დამოუკიდებლად არსებობდა; ხან გაიღებოდა და გამოჩნდებოდა, ხანაც დაიხურებოდა და მიიმალებოდა, როგორც ნიჟარის ღრუ წყლის მიქცევისას, დროდადრო ისმოდა ყრუ "ფ-თ, ფ-თ", ბლანტმა სითხემ რომ იცის დუღილის დროს, ისე.

ჯემს სახელოში მოვქაჩე.

მან ჯერ მე შემხედა, მერე საწოლს გახედა. მისიზ დუბოუზს თავი ამჯერად ჩვენკენ ჰქონდა გადმოქანებული და ჯემმა ჰკითხა – მისიზ დუბოუზ, ცუდად ხომ არა ხართო, მაგრამ ქალმა ვერ გაიგონა.

უცებ მაღვიძარამ დარეკა და შიშისგან თავზარი დაგვეცა. ერთი წუთის შემდეგ ჯერ ისევ აფორიაქებული ჯემი და მე სახლისკენ გზას ვადექით. კი არ გავქცეულვართ, ჯესიმ დაგვითხოვა: მაღვიძარა ჯერ კიდევ რეკდა, როცა ოთახში გაჩნდა და მე და ჯემი გარეთ გამოგვყარა.

– ჩუუ, – მოგვაძახა მან, – ნადით ახლა სახლში.

ჯემი კარის ზღურბლთან შეყოვნდა.

– წამლის დრო მოუვიდა, – გვითხრა ჯესიმ, კარი გაიხურა და სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა ავადმყოფის საწოლს.

როცა სახლში მივედით, ჯერ მხოლოდ ოთხის ოცი წუთი იყო. ატიკუსის მოსვლამდე მე და ჯემმა ეზოში ფეხბურთი ვითამაშეთ. მერე კი ჩვეულებისამებრ შევეგებეთ მამას. მან ორი ყვითელი ფანქარი მაჩუქა, ჯემს კი საფეხბურთო ჟურნალი მოუტანა. როგორც მივხვდი, ეს უსიტყვო ჯილდო იყო მისიზ დუბოუზთან გატარებული პირველი დღისთვის. ჯემმა ატიკუსს ჩვენი თავგადასავალი უამბო.

– შეგეშინდათ? – ჰკითხა მამამ.

– არა, სერ, მაგრამ ისე, დიდი გულის ამრევი ქალი კია. გულყრა ემართება, თუ რაღაცა ეგეთი... სულ იდორბლება.

– ეგ მისი ბრალი არაა. ლოგინად ჩავარდნილი ადამიანი ზოგჯერ ძალიან უსიამო სანახავი ხდება.

– მე კი შემაშინა და, – ვთქვი მე.

ატიკუსმა სათვალის ზემოდან შემომხედა:

– ხომ იცი, აუცილებელი არაა, ჯემს გაჰყვე ხოლმე.

მეორე დღეს მისიზ დუბოუზთან იგივე განმეორდა, რაც პირველ დღეს. იგივე მოხდა მომდევნო დღესაც და ასე, თანდათანობით ჩამოყალიბდა ერთგვარი დღის განრიგი. ყველაფერი ძალიან ჩვეულებრივად იწყებოდა: მისიზ დუბოუზი ერთი-ორს უკბენდა ჯემს თავის საყვარელ თემებზე – იმ კამელიებზე და მამაჩვენის და მურიანების საეჭვო კავშირზე; მერე თანდათანობით უკლებდა ლაპარაკს, ბოლოს კი საერთოდ გამოითიშებოდა ხოლმე. მაღვიძარა დარეკავდა თუ არა, ჯესი უხმოდ გაგვისტუმრებდა გარეთ და დღის დარჩენილ ნაწილს ჩვენს გემოზე ვატარებდით.

– ატიკუს, – ვუთხარი ერთ საღამოს, – მაინც, რას ნიშნავს "მურიანების მოყვარული"?

ატიკუსს შუბლი შეეჭმუხნა. – ვინმე გეძახის ასე?

– არა, სერ, მისიზ დუბოუზი ასე შენ გეძახის ყოველ მისვლაზე. მაგით იწყებს და ბრაზობს. ფრენსისმაც ეგ მითხრა შენზე შობადღეს. ეს სიტყვები პირველად ფრენსისისგან გავიგონე.

– და მაგიტომ მიახტი? – მკითხა ატიკუსმა.

– დიახ, სერ.

– მაშინ რატომ მეკითხები, რას ნიშნავს?

მეც შევეცადე ამეხსნა ატიკუსისთვის, რომ მოთმინებიდან ფრენსისის დამცინავმა, აგდებულმა კილომ გამომიყვანა და არა თვითონ სიტყვებმა – გეგონებოდა, ცხვირმოუხოცავს თუ რაღაც ეგეთს გეძახის-თქო, – ვუთხარი მამას.

– ჭყიტა, მითხრა ატიკუსმა, – "მურიანების მოყვარული" ერთი იმ გამოთქმათაგანია, რომლებიც თავისთავად არაფერს ნიშნავს, ისევე როგორც "ცხვირმოუხოცავი". არ ვიცი, როგორ გითხრა... ამ გამოთქმას ეიგინდარა ნაძირალები ხმარობენ, როცა ვინმე, მათი აზრით, ზანგებს კარგად, ან თეთრებზე უკეთ ექცევა. ეს გამოთქმა შეიძლება ვინმე ჩვენისთანასაც მიაკრან დამცირების მიზნით.

– მაშ, შენ ნამდვილი მურიანების მოყვარული არ ყოფილხარ, ხო?

– როგორ არა. მე ვცდილობ, ყველა მიყვარდეს. ზოგჯერ ძალიან ცუდად მიხსენიებენ... ჩემო პატარავ, არ შეიძლება შეურაცხყოფად ჩათვალო ის, რასაც ვიღაცა ცუდ სიტყვად მიიჩნევს, ამით ის პიროვნება მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ უმეცრებას და უსუსურობას ავლენს, ასე რომ, გულთან ახლოსაც არ უნდა მიიკარო. ამიტომ არც მისიზ დუბოუზს უნდა აჰყვეთ. იმას თავისი გასაჭირი ეყოფა.

ერთი თვეც გავიდა და ერთხელ, როცა ჯემი ჩვეულებისამებრ მიიკელევდა გზას სერ უოლტერ სკოტის თხზულებებში და მისიზ დუბოუზი ნარამარა აძლევდა შენიშვნებს, კარზე კაკუნი გაისმა. მობრძანდით! – დასჩხავლა დიასახლისმა.

ოთახში ატიკუსი შემოვიდა. საწოლს მიუახლოვდა და მისიზ დუბოუზს უთხრა: ბავშვები რომ ვერ დავინახე, მივხვდი, ისევ თქვენთან იქნებოდნენ.

მისიზ დუბოუზმა გაუღიმა. ნეტავი გამაგებინა, ეს ქალი როგორ სცემს ხმას ატიკუსს, როცა ასე ეჯავრება-მეთქი, გავიფიქრე. იცით, რო-

მელი საათია ატიკუს? – ჰკითხა მან, – ზუსტად ექვსის თოთხმეტი წუთია. მაღვიძარა კი ექვსის ნახევარზე დარეკავს, კარგად დაიმახსოვრეთ.

უცებ მივხვდი: მისიზ დუბოუზისას ყოველდღიურად ცოტა უფრო დიდხანს ვრჩებით, მაღვიძარა ყოველ მეორე დღეს რამდენიმე წუთით გვიან რეკავს და მისიზ დუბოუზს გულყრა სწორედ მაშინ ეწყება, როცა საათმა უნდა დარეკოს-მეთქი. ხოლო იმ დღეს ჯემს სრული ორი საათის განმავლობაში სტანჯავდა, თვითონ კი გულყრისა არაფერი ეტყობოდა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მახეში გავებით. მაღვიძარას ზარი ჩვენი განთავისუფლების მომასწავებელი იყო, ერთ მშვენიერ დღეს საერთოდ რომ აღარ დაერეკა, მაშინ რაღა უნდა გვექნა?

– რამდენადაც მახსოვს, ჯემის საკითხავი დღეები დათვლილი იყო, – თქვა ატიკუსმა.

– მე მგონი, მარტო ერთი კვირაღა დარჩა, – უთხრა მისიზ დუბოუზმა, – ხომ უნდა დავრწმუნდე, რომ...

ჯემი წამოხტა:

– კი მაგრამ...

ატიკუსმა ხელი ასწია და ჯემი გაჩუმდა. სახლისკენ მიმავალმა ჯემმა თქვა: ერთ თვეზე მეტი რატომ უნდა ვუკითხო, დღეს ხომ ერთი თვე შესრულდა, ეს უსამართლობაა.

– ერთი კვირაც, შვილო, – უთხრა ატიკუსმა.

– არა, – თქვა ჯემმა.

– კი, – უთხრა ატიკუსმა.

შემდეგი კვირაც მისიზ დუბოუზთან გავატარეთ. მაღვიძარა აღარ რეკდა, მაგრამ მისიზ დუბოუზი თვითონ დაგვითხოვდა ხოლმე – საკმარისიაო, გვეტყოდა. იმ დროისთვის ატიკუსი უკვე შინ გვხვდებოდა – იჯდა და გაზეთს კითხულობდა. მართალია, მისიზ დუბოუზს გულყრა აღარ ემართებოდა, მაგრამ სხვა მხრივ სულ არ შეცვლილა. როცა კი სერ უოლტერ სკოტი ციხე-კოშკებისა და გალავნების გაუთავებელ აღწერას მოპყვებოდა, მისიზ დუბოუზს ბეზრდებოდა და შეტევით გადმოდიოდა ჩვენზე:

– ჯერემი ფინჩ, გითხარი თუ არა – ის დღეც დადგება, როცა ინანებ, კამელიები რომ დამიმტვრიე-მეთქი? მგონი, უკვე ნანობ, არა?

ჯერემი კი უპასუხებდა, – რა თქმა უნდა, ვნანობო.

– გეგონა, ჩემს "მთის ფიფქსაც" მოულებდი ბოლოს, არა? ხოდა, იცოდე, ჯესიმ მითხრა – კენწერომ უკვე იხარაო. სხვა დროს გაითვალისწინებ და უკეთ მოგლეჯ, არა? ძირიანად ამოთხრი, ხო?

– რა თქმა უნდა, – უპასუხა ჯემიმ.

– ნუ ბუტბუტებ, ბიჭო! თავი მაღლა ასწიე და ისე მითხარი – დიახ, ქალბატონო-თქო, თუმცა, მამაშენის შვილს მაღლა ასაწევი თავისი საადა გაქვს!

ჯემი თავს მაღლა ასწევდა და მისიზ დუბოუზს თვალებში შეხედავდა, მაგრამ სახეზე სიძულვილი არ ეწერა. ამ კვირების განმავლობაში მან თავაზიანი და გულგრილი სახის გამომეტყველება გამოიმუშავა და მისიზ დუბოუზის შემზარავ გამოხდომებზე მშვიდად რეაგირებდა.

ბოლოს და ბოლოს, ნანატრი დღეც დადგა. მისიზ დუბოუზმა გვითხრა, კმარაო, და დასძინა – და საერთოდ, მორჩა. მშვიდობით!

როგორც იქნა! გახარებულები, რომ საბოლოოდ დავიხსენით თავი, კუნტრუშ-კუნტრუშით ჩავუყევით ტროტუარს; სიხარულისგან ვხტოდით და ვყმუოდით.

გაზაფხულიც კარგი დაგვიდგა: დღემ იმატა და სათამაშოდ მეტი დრო გვრჩებოდა. ჯემს გონება მეტწილად გამოთვლით ჰქონდა დაკავებული, რომელი კოლეჯის რომელ ფეხბურთელს რამდენი ბურთი ჰქონდა გატანილი. ატიკუსი კი ყოველ საღამოს გვაცნობდა სპორტულ სიახლეებს. თუ ალბამას გუნდში შემავალი ფეხბურთელებით ვიმსჯელებთ (რომელთაგან ვერც ერთის გვარს გარკვევით ვერ გამოვთქვამდით), ამ გუნდს წელსაც შეეძლო ვარდის თასის მოპოვება. ერთ საღამოს, როცა ატიკუსი "უინდი სიტონის" საგაზეთო მიმოხილვას გვიკითხავდა, ტელეფონმა დარეკა.

ატიკუსმა ყურმილი აიღო, ვიღაცას გაესაუბრა და სადარბაზოში ქუდების საკიდისკენ გაემართა.

– მე ცოტა ხნით მისიზ დუბოუზთან უნდა ჩავიდე, – გვითხრა მან, – მალე მოვალ.

მაგრამ ატიკუსი ისე გვიან დაბრუნდა, რომ წესით, საწოლში უნდა დაეხვედროდი. ხელში შოკოლადის კოლოფი ეკავა. ატიკუსი სასტუმრო ოთახში სკამზე ჩამოჯდა და კოლოფი სკამის გვერდით იატაკზე დადო.

– რა უნდოდა? – ჰკითხა ჯემმა.

მისიზ დუბოუზი ერთი თვის უნახავი გვყავდა. კარგა ხანია, მის სახლთან ჩავლილებს აივანზე გამოსული აღარ შეგვინიშნავს.

– გარდაიცვალა, შვილო, – უთხრა ატიკუსმა, – რამდენიმე წუთის წინ გარდაიცვალა.

– უი, – თქვა ჯემმა, – კარგია.

– სწორედ რომ კარგია, – თქვა ატიკუსმა, – მეტს აღარ დაიტანჯება. ძალიან დიდხანს იავადმყოფა, შვილო, თუ იცი, რატომ ემართებოდა გულყრა?

ჯემმა თავი გააქნია.

– მისიზ დუბოუზი ნარკომანი იყო, – გვითხრა ატიკუსმა, – წლების მანძილზე ტკივილგამაყუჩებლებს უკეთებდნენ, ექიმმა დაუნიშნა. თავისუფლად შეეძლო, მთელი ცხოვრება ეკეთებინა და ტანჯვით სული არ ამოხდებოდა, მაგრამ ძალიან წინააღმდეგი იყო.

– ეგ როგორ? – ჰკითხა ჯემმა.

ატიკუსმა უპასუხა – სწორედ სანამ იმ თავდასხმას მოუწყობდი, და მიძახა და მთხოვა, ანდერძი შემიდგინეო. ექიმმა რეინოლდსმა უთხრა, რამდენიმე თვეა დაგრჩენიაო. საქმიანი ქაღალდები მოწესრიგებული ჰქონდა, მაგრამ მითხრა, ერთი საკითხი დამრჩა მოსაგვარებელიო.

– მაინც რა დარჩა ასეთი? – ჯემი დაბნეული ჩანდა.

– მითხრა, ამ ქვეყნიდან ისე მინდა წავიდე, რომ არაფრის და არავისი ვალი არ გამყვესო. ჯემ, როცა ადამიანი ისეთი მძიმე ავადმყოფია, როგორც ეს ქალი იყო, საძრახისი არაა, თუ ტკივილის გასაყუჩებლად ნარკოტიკულ საშუალებას მიმართავს, მაგრამ მისიზ დუბოუზს ეს არ მოსწონდა. იცი, რა მითხრა – გადავწყვიტე, სანამ მოვკვდები, ამას გადავეჩვიოო, და მართლაც გადაეჩვია.

ჯემმა ჰკითხა:

– მაშ, მაგიტომ ემართებოდა გულყრა?

– დიახ, მაგიტომ, ძალიან მეეჭვება, შენი წაკითხულის ნახევარი მაინც გაეგო, მთელი არსებით მაღვიძარისკენ იყო მიმართული. თქვენ თვითონ რომ არ ჩავარდნოდით ხელში, სულ ერთია, მე გაიძულებდით მასთან სიარულს. ამით ნაწილობრივ მაინც ეფანტებოდა ყურადღება. მაგრამ იყო კიდევ ერთი მიზეზიც...

– სიკვდილის წინ უკვე გაითავისუფლა თავი?

– როგორც მთის ნიავმა, – უპასუხა ატიკუსმა, – თითქმის უკანასკნელ წუთამდე გონზე იყო, და... – ატიკუსს აქ გაეღიმა, – ანჩხლობდა. დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდა ჩემი საქმიანობის თაობაზე. მითხრა, ალბათ მთელი ცხოვრება ჯემის ციხიდან დახსნაზე იზრუნებო... ჯესის კი აი, ეს კოლოფი მოამზადებინა შენთვის.

ატიკუსი დაიხარა, კანფეტების კოლოფი აიღო და ჯემს გაუნოდა.

ჯემმა კოლოფი გახსნა. შიგ სველი ბამბის ფოთლებში ჩაფლული ნახი, თეთრი და ცინცხალი კამელია იდო, სწორედ ის, "მთის ფიფქი".

ჯემს თვალები კინაღამ ბუდეებიდან გადმოუცვივდა.

– ბებერი ჭინკა, ბებერი ჭინკა! – იყვირა და ყვავილი იატაკზე მოისროლა, – მაინც, რას გადამეკიდა, ჰა?

თვალის დახამხამებაში ატიკუსი ჯემს თავზე წამოადგა. ჯემი ატიკუსის მკერდს მიეყრდნო.

– ჩუ, ჩუ, – უთხრა მამამ, – მე მგონი, ამით შენთვის იმის თქმა უნდოდა, რომ ახლა ყველაფერი რიგზეა, ყველაფერი რიგზეა, ჯემ! იცოდე, ის ნამდვილი ლედი იყო!

– ლედი? – თქვა ჯემმა და თავი ასწია. სახე წამონთებოდა: – იმის მერე, რის ლაპარაკსაც კადრულობდა, ნამდვილი "ლედი?!"

– დიახ, იყო. მას ყველაფერზე საკუთარი თვალსაზრისი ჰქონდა. რა თქმა უნდა, ჩემგან ალბათ სრულიად განსხვავებული... შვილო, ხომ ჯითხარი, შენ რომ იმ დღეს თავი არ გაგეგიჟებინა, მე მაინც გაიძულებდი, მასთან გევლო და კითხვით გაგერთო. მინდოდა, ამ ქალის მაგალითზე შენი თვალით გენახა, რას ნიშნავს ჭეშმარიტი სიმამაცე, მხნეობა, რომ არ გეფიქრა, თითქოს სიმამაცე – ესაა კაცი თოფით ხელში. ნამდვილი სიმამაცე ისაა, როცა წინასწარ დარწმუნებული ხარ შენი ნამოწყების წარუმატებლობაში და მაინც, ყველაფრის მიუხედავად იღვწი, იღვწი და ბოლომდე მიგყავს შენი წამოწყება. იშვიათად თუ მოიპოვებ სრულ გამარჯვებას, მაგრამ ხანდახან მაინც მიაღწევ საწადელს... მისიზ დუბოუზმა თავისას მიაღწია და სრული გამარჯვება მოიპოვა. მისი თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, ამქვეყნიდან ისე წავიდა, არავისი და არაფრის ვალი არ გაჰყოლია. ასეთი გულადი ქალი ჩემს სიცოცხლეში არ შემხვედრია.

ჯემი შოკოლადის კოლოფს დასნვდა და ღუმელში შეაგდო. მერე კა
მელია აიღო ხელში. როცა დასაძინებლად მივდიოდი, დავინახე, როგორ
უსვამდა თითებს ყვავილის ფართოდ გაშლილ ბილილებს. ატიკუსი კი
გაზეთს კითხულობდა.

ნაწილი მეორე

12

ჯემი 12 წლის შესრულდა. მისი ატანა დღითი დღე მიძნელდებოდა. კაცი ვერ გაუგებდა – როდის რა გუნებაზე იყო და რა მოეპრიანებოდა; ჭამით ხომ ვეღარ ძღებოდა – გასაოცარი მადა ჰქონდა, მაგრამ ერთი გამებედა და ხმა ამომეღო – მაშინვე სიტყვას პირში ჩამჩრიდა და – გული ნუ გამინყალეო, მომაძახებდა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ გადავწყვიტე, ჩემი შეშფოთება ატიკუსისთვის გამეზიარებინა. სოლიტერი ხომ არა ჰყავს-მეთქი, ვკითხე. მამამ კი მომიგო – არა, უბრალოდ ჯემი იზრდება და უნდა ეცადო, რაც შეიძლება ნაკლებად შეანუხოო.

ეს საოცარი ცვლილება ჯემმა სულ რამდენიმე კვირაში განიცადა – მისიზ დუბოუზი ჯერ გაციებულიც არ იქნებოდა საფლავში. იცოცხლე, როცა იმ დედაბერთან დავყვებოდი, მაშინ კი მიფასებდა თანადგომას! მაგრამ ერთ მშვენიერ ღამეს, როგორც ჩანს, ტვინი გადაუბრუნდა; გაუთავებლად თავს მახვევდა თავის ახალშეძენილ მოსაზრებებს და ისე გათავხედდა, რამდენჯერმე ჭკუაც კი დამარიგა! ერთ-ერთი ასეთი ნაკინკლავების მერე, როცა ჯემმა მიღრიალა – ბოლოს და ბოლოს, დროა, გოგოს დაემსგავსო და წესიერად მოიქცეო, – ცრემლები წამსკდა და კელპურნიას მივაშურე.

– ასე ნუ განიცდი მისტერ ჯემის ამბავს, – დაიწყო კელპურნიამ.

– მის-ტერ ჯემიო?!

– აბა? რაღა უკლია – თითქმის ნამდვილი მისტერ ჯემია!

– ჯერ იმხელა არაა, – ვუთხარი მე, – ერთი კაი მიტყეპვა ჭკუაზე მოიყვანდა, მაგრამ მე პატარა ვარ, ვერ მოვერევი...

– გენაცვალე, რას იზამ – მისტერ ჯემი გაიზარდა. ახლა სულ უფრო ხშირად მოუნდება თავის თავთან მარტო დარჩენა. ბიჭებმა ეგრე იციან მაგის ასაკში. ასე რომ, თუ მოიწყენ, მაშინვე სამზარეულოში გამოქანდი: აქ მე და შენ ბლომად თავშესაქცევი გველოდება.

იმ ზაფხულს კარგი პირი უჩანდა – ჯემმა რაც უნდა ის ქნას, დილის ჩამოსვლამდე კელპურნიაც მეყოფა-მეთქი, გავიფიქრე. სამზარეულოში შესულს გაბადრული მეგებება; ვუთვალთვალებდი კელპურნიას და თანდათან ვრწმუნდებოდი – არც ისე იოლი საქმეა, იყო გოგო.

მაგრამ აი, მოვიდა ზაფხული, დილი კი არ ჩანდა. მისგან მხოლოდ წერილი და ფოტოსურათი მივიღე. წერდა – ახლა მამა მყავს და მის სურათს გიგზავნი, მერიდიანში უნდა დავრჩე, იმიტომ რომ სათევზაო ნავის გაკეთებას ვაპირებთო. ატიკუსისა არ იყოს, მამამისიც ვექილი ყოფილა, ოღონდ გაცილებით უფრო ახალგაზრდა. სახე სანდომიანი ჰქონდა და გამეხარდა, დილმა ასეთი კარგი მამა რომ ჩაიგდო ხელში. თუმცა სხვა მხრივ, განადგურებული ვიყავი. წერილი ამ სიტყვებით მთავრდებოდა: ყოველთვის მეყვარები, ასე რომ, ნუ იღელვებ. როგორც კი ფულს დავაგროვებ, ჩამოვალ და ცოლად შეგირთავ, ამიტომაც გთხოვ, წერილი მომწეროო.

ვერაფერი ნუგეშია, იცოდე, რომ გყავს ერთგული საქმრო, თუ იგი შენ გვერდით არაა. მხოლოდ ახლა მივხვდი, რა იყო ჩემთვის ზაფხული: ეს იყო დილი – ეშმაკურად აციმციმებული თვალებით რომ ახრჩოლებდა ბაწრის სიგარეტს და ბუა რედლის სახლიდან გამოსატყუებელ გეგმებს ხლართავდა; დილი – ჯემის უჩუმრად ნაუცბათევად რომ მაკოცებდა ხოლმე, ზოგჯერ კი ისე გვენატრებოდა ერთმანეთი, ნუთსაც ვერ ვძლებდით მარტოები! დილის სიახლოვეს ისე შევეჩვიე – ზაფხული უმისოდ ველარ წარმომედგინა. ასე ვიტანჯებოდი ორ დღეს.

თითქოს ჯიბრზე, ატიკუსიც მაინცადამაინც მაშინ გაინვიეს ორი კვირით შტატების რიგგარეშე საკანონმდებლო სხდომაზე. გუბერნატორს განზრახული ჰქონდა, სახელმწიფო ხომალდის ფსკერი ხავსისა და ლოკოკინებისგან გაეწმინდა; ბირმინგემში გაფიცვები დაიწყო; ქალაქების საფუნთუშეებთან სულ უფრო გრძელი რიგები იდგა; სოფლის მოსახლეობა დღითი დღე ღატაკდებოდა, მაგრამ ეს ამბები სადღაც შორს, ჩემი და ჯემის სამყაროს მიღმა ხდებოდა.

ერთ მშვენიერ დილას "მონტგომერი ედვერტაიზერში" უცნაურ კარიკატურას ნავანყდით ასეთი ნარნერით: "მეიკომელი ფინჩი". კარიკატურაზე გამოსახული იყო მოკლე შარვალში გამონყობილი ატიკუსი, რომელიც მერხთან ჯაჭვით მიებათ: იგი გრიფელის დაფაზე ბეჯითად ნერდა რაღაცას, ვიღაც ქარაფშუტა იერის ქალიშვილები კი გვერდით ედგნენ და მისი ყურადღების მიქცევას ცდილობდნენ შეძახილით: ჩვენთვის არ გცალიაო?

– ეს კომპლიმენტია, – ამიხსნა ჯემმა, – ატიკუსი ისეთი საქმეების მოგვარებას კისრულობს, რისი გაკეთებაც სხვებს არ უნდათ.

– ჰა? – თურმე ნუ იტყვით: ზემოთ ჩამოთვლილი ახალი ზნე-ჩვეულებების გარდა, ჯემი ყოვლისმცოდნე ბრძენთა-ბრძენიც გამხდარა!

– კაი რა, ჭყიტა, ეგ დაახლოებით იგივეა, რაც საოლქო ბეგარის სისტემის შეცვლა ან რამე მაგდაგვარი. ადამიანების უმეტესობას ასეთი რამეები არ აღელვებს.

– შენ რა იცი?

– ოო, ეხლა! გამანებე რა, თავი! ვერ ხედავ – გაზეთს ვკითხულობ! – ჯემმა საწადელს მიაღწია: მე სამზარეულოში გავედი.

კელპურნია მწვანე ბარდას არჩევდა. უცებ თავი აიღო და ჩაილაპარაკა:

– რა უნდა გიყოთ ახლა, როგორ ნახვალთ კვირას ეკლესიაში?

– არც არაფერი – ატიკუსმა შესანირი ფული დაგვიტოვა.

კელპურნიამ თვალები მოჭუტა და მივხვდი, რა ფიქრმაც გაუელვა.

– კელ, – ვუთხარი მე, – ხომ იცი, კარგად მოვიქცევით. რამდენი ნელია, ეკლესიაში აღარაფერი დაგვიშავებია.

როგორც ჩანს, კელპურნიას ის წვიმიანი კვირადღე მოაგონდა, როცა მე და ჯემმა სკოლაში უმამოდ და უმასწავლებლოდ ამოვყავით თავი: თავის ნებაზე მიშვებულმა მოსწავლეებმა იუნის ენ სიმპსონი სკამზე მიაბეს და საქვაბეში მარტო დატოვეს. მერე მისი არსებობა ყველას გადაგვავიწყდა, ავუყევით ეკლესიის კიბეებს და არხეინად დავსხედით ნირვის მოსასმენად. მაგრამ უეცრად რადიატორის მილებიდან საშინელი რახარუხი მოისმა, ხმაური მანამ არ შეწყდა, სანამ ვიღაცამ მიზეზს არ მიაკვლია და იუნის ენი ეკლესიაში არ შემოიყვანა. გოგონამ განაცხადა – "შადრაქობანას" აღარასოდეს არ ვითამაშებ. ჯემ ფინჩმა მითხრა – თუ ირწმუნებ, არ დაინვებიო, მაგრამ ქვემოთ ძალიან ცხელოდაო.

– მერე კიდევ, ატიკუსმა მარტო პირველად ხომ არ დაგვტოვა-მეთ
ქი, – შევეკამათე კელს.

– არა, მაგრამ მამათქვენი მარტოკებს მაშინ გიშვებთ ხოლმე, თუ
დარწმუნებულია, რომ მასწავლებელი იქ დაგხვდებათ. ისე, ამ ჯერზე
მგონი, არაფერი არ უთქვამს... ეტყობა, გადაავიწყდა, – კელპურნიამ
თავი მოიქექა. უცებ გამილიმა, – რას იტყვი, იქნებ, შენ და მისტერ ჯემ
ხვალ ჩემთან ერთად წამოხვიდეთ ეკლესიაში, ჰა?

– მართლა?

– ჰო, რას იტყვი? – გაიკრიჭა კელპურნია.

მართალია, კელპურნია ყოველთვის საგულდაგულოდ მაბანავებდ
ხოლმე, მაგრამ არასოდეს გამოუჩენია ისეთი გულისყური და მონდომე
ბა, როგორც იმ შაბათ საღამოს. თმის ძირებიდან ფეხის ფრჩხილებამდ
ორჯერ მაგრად დამსაპნა, ორჯერვე გამოცვალა გასავლები წყალი აბა
ზანაში; მერე თავი ნიჟარაში ჩამაყოფინა და დიდხანს მხეხა საპნითა დ
შამპუნით. რახანია, ჯემი მის დაუხმარებლად ბანაობდა, მაგრამ იმ სა
ღამოს კელმა ველარ მოითმინა და მარტოობა დაურღვევია.

– ნუთუ ამ სახლში არ შეიძლება, ისე იბანაო, რომ მთელი ოჯახი ა
გითვალთვალებდეს?! – აღშფოთდა ჯემი.

მეორე დილით კელმა ჩვეულებრივზე ადრე დაიწყო ჩვენს ჩაცმუ
ლობაზე ზრუნვა და – აბა, ტანსაცმელს მიხედეთო, – მოგვიწოდა. როც
კელპურნია ღამის გასათევად ჩვენთან რჩებოდა, სამზარეულოში, გა
საშლელ საწოლზე იძინებდა ხოლმე. იმ დღეს კი ეს საწოლი ჩვენი საკვი
რაო ტანსაცმლით იყო მოფენილი. ჩემი კაბა ისე გაეხამებინა, როც
დავჯექი, ამოიფუყა. მერე მაიძულა, კაბის ქვეშ ქვედატანიც ჩამეცვა დ
წელზე მჭიდროდ შემომარტყა ვარდისფერი სარტყელი, გამოიტანა ჩემ
ახალი ტყავის ფეხსაცმელები და მანამ აპრიალა ცომით, სანამ შიგ თა
ვისი გამოსახულება არ დაინახა.

– ჰა, კელ, რა ამბავია, ყველიერის კარნავალზე ხო არ მიგყავართ?
ჰკითხა ჯემმა.

– არ მინდა ვინმეს ვათქმევინო, ბავშვებს კარგად ვერ უვლისო, – ჩა
იბუტბუტა კელმა, – მისტერ ჯემ, აბა, როგორ შეიძლება მაგ კოსტიუმზ
ამ ჰალსტუხის გაკეთება? ეგ ხომ მწვანეა!

– მერედა, რა?

[illegible] ფურჯია, ნუთუ თვითონ ვერ ხვდებით?

[illegible] – დავეჭექე მე, – ჯემი ხომ დალტონიკია!

[illegible] სიბრაზისგან განითლდა, მაგრამ კელპურნიამ გვითხრა – აბა,
[illegible] ვინც "პირველ შენაძენში" აპირებს ნასვლას, სახეზე ღიმილი
[illegible]

[illegible] "პირველი შენაძენი" – აფრიკული მეთოდისტური საყდარი – შავკა-
[illegible] ბის გადაღმა, ხე-ტყის საჭრელი ქარხნისკენ მიმავალ გზაზე
[illegible] ძველთაძველი, საღებავაქერცლილი ხის ნაგებობა, ერთა-
[illegible] ეკლესია მეიკომში, რომელსაც თავისი სამრეკლო აქვს. ხოლო
[illegible] "პირველი შენაძენი" იმიტომ დაურქმევიათ, რომ იგი განთავისუფლებუ-
[illegible] ბის პირველი ჯამაგირითაა აშენებული. კვირაობით აქ ზანგები
[illegible], სადაგ დღეებში კი თეთრკანიანები აგორებენ კოჭს.

[illegible] სასაფლაოს და ეზოს ქვასავით მაგარი თიხის ნიადაგი
[illegible] თუ ვინმე ზაფხულის გვალვაში გარდაიცვლებოდა, ნეშტს ყი-
[illegible] ნატეხებში დებდნენ და მანამ არ მარხავდნენ, ვიდრე ხმელ მინას
[illegible] არ დაალბობდა. მთელ სასაფლაოზე თითო-ოროლა დაბზარულ
[illegible] ქვას თუ შენიშნავდით. უფრო ახალი საფლავები მჭახე,
[illegible] ფრედი მინის და კოკა-კოლას ბოთლების ნამსხვრევებით შემო-
[illegible] ზოგ საფლავზე მეხამრიდი დაედგათ, იმის ნიშნად, რომ მიც-
[illegible] ხიფათიანი, მოუსვენარი ბუნებისა ყოფილა. მცირენლოვან-
[illegible] ზე ჩაღვენთილ სანთლებს შენიშნავდით. ეს სასაფლაო სუ-
[illegible] ქმნიდა სამგლოვიარო განწყობას.

[illegible] შესულებმა ახალნაბანავები ზანგების მომწარო-მოტკბო,
[illegible] ბერნელება შევიგრძენით. ერთმანეთს შერეოდა თმის ლაკისა
[illegible] რეზინის, ბურნუთისა და ოდეკოლონის, პიტნის კანფეტისა
[illegible] ბუდრის სუნი.

[illegible] მენიშნეს, რომ კელპურნიას მე და ჯემი ვახლდით, მამაკაცებ-
[illegible] ეს ადგილი დაიხიეს და ქუდები მოიხადეს; ქალებმა ხელები მუცელზე დაიკ-
[illegible] ეს პატივისცემის გამომხატველი ჟესტია; აქეთ-იქით მიიწ-მოი-
[illegible] ერ რიგად მოეწყვნენ და ეკლესიისკენ მიმავალი ვიწრო ბილიკი
[illegible] კელპურნია ჩემსა და ჯემს შორის მოაბიჯებდა და საზეი-
[illegible] ბილ მეზობლებს სალამს აძლევდა.

[illegible] – რას აპირებ, მის კელ? – მოგვესმა ზურგს უკნიდან.

კელპურნიამ ხელები მხრებზე დაგვადო, შევდექით და უკან მივიხედეთ: ჩვენ უკან, გზაზე, ახმახი ზანგი დედაკაცი იდგა. მთელი ტანით ცალ ფეხს ეყრდნობოდა, მარცხენა იდაყვი გამოზნექილ თეძოზე დაედო და ხელისგული ჩვენკენ გამოეშვირა, მას გოგრასავით თავი, უცნაური, ნუშისებრი ფორმის თვალები, სწორი ცხვირი და ინდიელისთვის დამახასიათებელი პირის ჭრილი ჰქონდა. იმწუთას ათი ფუტი სიმაღლისა მეჩვენა.

კელპუნიამ მაგრად ჩამავლო მხარში ხელი.

– რა გინდა, ლულა? – ჰკითხა ისეთი კილოთი, როგორიც მისგან არასოდეს მსმენია: ლაპარაკობდა ჩუმად და მის ხმაში დაუფარავი ზიზღი გამოსჭვიოდა.

– გამაგებიე ერთი, რა უნდა თეთრ ბავშვებს შავების ეკლესიაში?

– ეს ბავშვები ჩემი სტუმრები არიან, – ისევ მეუცხოვა კელპურნიას კილო: ისიც სხვა ზანგებივით უქცევდა.

– ხოო, შენ კი ფინჩების სტუმარი ბრძანდები ამ კვირას, ხომ?

ბრბოში ჩურჩული გაისმა.

– ნუ გეშინია, – ჩუმად მითხრა კელპურნიამ, მაგრამ შევატყვე, თვითონ როგორ აუცახცახდა განიერი ქუდის ფარფლები.

როცა ლულა ჩვენკენ გამოემართა, კელპურნიამ უთხრა:

– შავკანიანო, ნაბიჯი აღარ გადმოდგა წინ!

ლულა შედგა, მაგრამ თქვა: რას მოგიყვანია აქ თეთრი ბავშვები, მაგათ თავიანთი ეკლესია აქვთ, ჩვენ – ჩვენი. ხო არ მეშლება, მგონი, ეს ეკლესია ჩვენია, ჰა, რას იტყვი, მის კელ?

კელპურნიამ მიუგო: კი მაგრამ, ღმერთი ხომ საერთო გვყავს?

ჯემმა უთხრა – კელ, წავიდეთ სახლში, ხომ ხედავ, აქ არავის არ ვუნდივართო.

მე დავეთანხმე:

– ჩვენი აქ ყოფნა არავის არ სიამოვნებს...

უცებ, თვალით კი არა, გუმანით ვიგრძენი, რომ ჩვენ ირგვლივ ხალხის ჯგუფი შემჭიდროვდა: თანდათანობით სულ უფრო გვიახლოვდებოდნენ, მაგრამ როცა კელპურნიას ავხედე, სახეზე გაოცება ეწერა, მერე ისევ ეკლესიისკენ მიმავალ ბილიკს გავხედე: ლულა აღარსად ჩანდა, მის ადგილზე კი მჭიდროდ შეჯგუფებულიყვნენ შავკანიანები.

ამ ჯგუფს ერთი კაცი გამოეყო. ეს ზიბო იყო, ჩვენი მენაგვე.

– მისტერ ჯემ, – თქვა მან, – ჩვენ ძალიან გვიხარია, რომ აქ მობრძანდით. ყურადღებას ნუ მიაქცევთ ლულას, მაგას მამა საიკსი დაემუქრა – ეკლესიაში საჯაროდ შეგარცხვენო, და ახლა გაბოროტებულია. ლულა ერთი ჭინჭყლი ვინმეა, დიდი ნარმოდგენა აქვს თავის თავზე და თავხედურად იქცევა. ჩვენ ძალიან გვიხარია, რომ აქ მობრძანდით.

ამის შემდეგ კელპურნია ეკლესიის კარისკენ გაგვიძღვა. იქ მამა საიკსი შემოგვეგება და პირველ რიგამდე მიგვაცილა.

"პირველი შენაძენი" შიგნიდან შეულესავი და შეუღებავი იყო. კედლების გაყოლებაზე თუთიის საკიდრებზე ჩამოკონწიალებული ჩამქრალი ჭრაქები ეკიდა, გაურანდავი მუხის კათედრის უკან გახუნებულ ვარდისფერ აბრეშუმის ნაჭერზე დიდი ასოებით გამოეყვანათ: "უფალში პოვებ სიყვარულს". ეს ეკლესიის ერთ-ერთი სამშვენისი იყო, თუ არ ჩავთვლით ფოტოგრავიურას ჰანტის "სამყაროს მანათობლიდან". არსად ჩანდა არც პიანინო, არც ორღანი, არც საეკლესიო წიგნები ან პროგრამები – ის, რაც ჩვენთვის ეკლესიის აუცილებელ ყოველკვირეულ აღჭურვილობას შეადგენდა. აქ ბნელოდა, ნესტი და სიგრილე კი ხალხის შემოსვლასთან ერთად გაიფანტა. ყოველი მომსვლელისთვის მერხებზე იაფფასიანი მუყაოს მარაოები დაენყოთ. მარაოებზე ჭყეტელა საღებავებით დაეთხაპნათ "გეთსემანიის ბაღი", ფირმა "ტინდალის" ნაწყალობევი ("თქვენ – ოღონდ – თქვით – ჩვენ – გავყიდით"...).

კელპურნიამ მე და ჯემი მერხის კიდისკენ წაგვიყვანა და შუაში ჩაგვიჯდა. ჩანთა მოიძია, იქიდან ცხვირსახოცი ამოაძვრინა და მაგრად თავმოკრული ნაჭრის ქისა შეხსნა. მე და ჯემს თითო ათცენტიანი მოგვცა. ჩვენ ჩვენი გვაქვსო, – ჩასჩურჩულა ჯემმა.

– შეინახე, – უთხრა კელპურნიამ, – დღეს ჩემი სტუმრები ხართ. ჯემს სახეზე შევატყვე – მერყეობდა; არ იცოდა, რამდენად მართებული იქნებოდა ახლა ფულზე დავა. ბოლოს შინაგანმა თავაზიანობამ თავისი გაიტანა – ჯემმა ფული ჯიბეში ჩაიდო და მეც უყოყმანოდ მივბაძე.

– კელ, – ვუთხარი ჩურჩულით, – საგალობლების ნიგნი სადაა?

– არა გვაქვს. – მომიგო მან.

– ეგ როგორ?..

– ჩუ, – მითხრა კელპურნიამ.

მამა საიკსი კათედრაზე იდგა და მრევლს მზერით სიჩუმისკენ მოუწოდებდა. ტანდაბალი, ჩაფსკვნილი კაცი იყო, შავ კოსტიუმზე შავი ჰალსტუხი ეკეთა და თეთრი პერანგი ეცვა. ფანჯრებიდან შემომავალი შუქი ჯიბის საათის ოქროს ძეწკვს უციმციმებდა.

მამა საიკსმა თქვა:

– ჩემო ძმებო და დებო, განსაკუთრებით მოხარულები ვართ, რომ ამ დილით მის და მისტერ ფინჩები გვეწვივნენ. მათ მამას თქვენ ყველანი კარგად იცნობთ. ვიდრე წირვას შევუდგებოდე, რამდენიმე განცხადებას გაგაცნობთ.

მამა საიკსმა რაღაც ქაღალდები ააშრიალა, გამოარჩია ერთი, ხელში აიღო, მკლავი წინ გაიშვირა და კითხვას ისე შეუდგა.

– მისიონერთა საზოგადოების შეკრება ისევ დედა ანეტა რივზის სახლში შედგება მომდევნო სამშაბათს. თან საკერავი წამოიღეთ.

ახლა სხვა ფურცლიდან შეუდგა კითხვას.

– ყველამ იცით, რა უბედურება დაატყდა თავს ტომ რობინსონს. ის ბავშვობიდან ჩვენი ეკლესიის ერთგული წევრია. დღეს და მომდევნო სამ კვირა დღეს შევაგროვებთ ფულს, რომელიც მის მეუღლეს, ელენს გადაეცემა, ოჯახის რჩენაში რომ მივეშველოთ.

ჯემს ხელი გავკარი: ეს ის ტომია, ატიკუსი რომ...

– ჩუ!

ახლა კელპურნიას მივუბრუნდი, მაგრამ ხმის ამოღება არც იმან მაცალა. ბედს დავემორჩილე და მთელი გულისყური ახლა მამა საიკსს მივაპყარი, რომელიც მგონი, სწორედ ჩემს დაშოშმინებას უცდიდა.

– ვთხოვთ ჩვენს რეგენტს, პირველი ჰიმნის შესრულებაში მოგვეშველოს.

დარბაზიდან ზიბო გამოვიდა, სწორედ ჩვენ წინ დადგა და პირი ხალხისკენ იბრუნა. ხელში გაცვეთილი საგალობელთა ნიგნი ეჭირა. გადაშალა და თქვა: ვიმღერებთ მეორე ნომერს, სამოცდამეცამეტედან.

აქ კი ველარ მოვითმინე: როგორ ვიმღერებთ, როცა საგალობლების ნიგნი არა გვაქვს?

კელპურნიამ გამიღიმა:

– გაჩუმდი, პატარავ, – მითხრა ჩურჩულით, – ახლავე დაინახავ, როგორც ვიმღერებთ.

ზიბომ ყელი ჩაიწმინდა და ისეთი ხმით დასჭექა, შორეული ზარბაზნების გრუხუნს მოგაგონებდათ.

– მდინარის გაღმა არის მიწა...

სასწაულებრივად ხმაშეწყობილმა ასობით მოგალობემ ერთად გაიმეორა ზიბოს სიტყვები. ბოლო მარცვალი ხრინწიან ზუზუნად გაიწელა და ზიბომ განაგრძო.

– მიწა – ყველასთვის ნანატრი...

დარბაზმა ისევ დააგუგუნა ჰანგი; ბოლო ბგერა გაიჭიმა და ზიბომ მომდევნო სტრიქონიც მიაყოლა.

– და იმ ნაპირზე მარტოდენ ძლიერი რწმენა მიგვიყვანს...

მრევლი შეყოვნდა, ზიბომ სტრიქონი გარკვევით გაიმეორა და ხალხიც აჰყვა. გუნდი ამღერდა, ზიბომ კი ნიგნი დახურა, იმის ნიშნად, რომ მრევლს მის დაუხმარებლად განეგრძო გალობა.

როცა საზეიმო საგალობლის უკანასკნელი ბგერებიც აჟღერდა, ზიბომ თქვა: იმ შორეულ, აღთქმულ მიწაზე, გაცისკროვნებული მდინარის გაღმა...

სტრიქონს სტრიქონი მოსდევდა და ხმები მწყობრად იმეორებდნენ მარტივ მელოდიას. ბოლოს ჰიმნი სევდიან ლუღლუღში გადაიზარდა და დასრულდა.

ჯემს გადავხედე. ის ალმაცერად გასცქეროდა ზიბოს. როგორც ჩანს, ჩემი არ იყოს, ჯემიც არ უჯერებდა თვალებს.

მერე მამა საიკსმა უფალს სნეულთა და დავრდომილთა განკურნება შესთხოვა. ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც ჩვენს ეკლესიაში, ერთი უმნიშვნელო განსხვავებით: მამა საიკსმა ღმერთს რამდენიმე განსაკუთრებულ შემთხვევაზე გაამახვილებინა ყურადღება.

მან გულახდილად ამხილა ცოდვა და პირქუშ ფორმებში განგვიმარტა ამბიონის უკან გაკრული წარწერის არსი. მსმენელებს მოუწოდა, თაეი შორს დაეჭირათ ალკოჰოლური სასმელების, აზარტული თამაშებისა და საეჭვო ყოფაქცევის ქალებისგან. აკრძალული სასმელებით მოვაჭრეებს უდიდესი ზიანი მოაქვთ შავკანიანთა დასახლებისთვის, მაგრამ ქალები კიდევ უფრო სახიფათონი არიანო, – ბრძანა მან. ისევე, როგორც ჩვენს ეკლესიაში, მამაკაცებს აქაც მოუწოდებდნენ – მოერიდეთ მრუშ დედაკაცებსო; ეს საკითხი, ეტყობა, ყველა ეკლესიის მსახურს ერთნაირად აღელვებს.

ჯემს და მე ყოველ კვირადღეს ერთფეროვანი ნირვის მოსმენა გვიწევდა, მხოლოდ ერთი განსხვავებით: მამა საიკსი თავის კათედრას უფრო თამამად იყენებდა ეკლესიის ზოგიერთი უღირსი ნევრის გასაკიცხად: ჯიმ ჰარდი უკვე ხუთი კვირადღეა, ნირვას აცდენს, ჩვენ კი ვიცით, რომ ის ავად არაა; შავკანიანთა დასახლებისთვის გაუგონარი ამბავია, რასაც კონსტენს ჯეკსონი სჩადის: მან მოსისხლე მტრებად მოიკიდა მეზობლები და მათ ჯიბრზე ღობე ააგო. კარგი იქნება, თუ კონსტენს ჯეკსონი დაუფიქრდება დაშვებულ შეცდომასო.

მამა საიკსმა ქადაგება დაამთავრა, გამოვიდა კათედრის წინ და ხალხს მოუწოდა – კვირა დილის შესაწირი შევაგროვოთო.

ჩემთვის და ჯემისთვის ეს კიდევ ერთი სიახლე იყო: შავკანიანები სათითაოდ გამოდიოდნენ და შავ, მომინანქრებულ ყავის კოლოფში ხურდა ფულს ყრიდნენ. მათ მე და ჯემმაც მივბაძეთ, და როგორც კი ჩვენი ათცენტიანები კოლოფში გაჟღარუნდა, ხმადაბალი "გმადლობთ, გმადლობთ", დავიმსახურეთ.

ძალიან გაგვიკვირდა, როცა ბოლოს მამა საიკსმა ხურდით სავსე ჭურჭელი მაგიდაზე გადმოაპირქვავა და ფული ხელით გადათვალა; შემდეგ წელში გაიმართა და წარმოთქვა:

– ეს არ გვეყოფა, ათი დოლარი უნდა შეგროვდეს.

მრევლი აღელდა.

– თქვენ იცით, რისთვისაც ვაგროვებთ ფულს. სანამ ტომი ციხეშია, ელენი ბავშვებს შინ ვერ დატოვებს. თუ ყოველი თქვენგანი კიდევ თითო ათცენტიანს გაიღებს, საკმარისი თანხა შეგროვდება.

მამა საიკსმა ხელი აიქნია და ეკლესიის უკანა გასასვლელთან ვიღაცას გასძახა:

– ალეკ, ჩაკეტე კარები! ვერავინ ვერ გავა აქედან, სანამ ათი დოლარი არ შეგროვდება.

კელპურნიამ თავისი ჩანთა მოჩხრიკა და გაცვეთილი ტყავის საფულე ამოაძვრინა.

– არა, კელ, – უთხრა ჯემმა ჩურჩულით, როცა კელპურნიამ ბრჭყვიალა ფული გაუნოდა, – ახლა ჩვენს ფულს დავდებთ. ჭყიტა, მოიტა შენი!

ეკლესიაში სუნთქვა ჭირდა და გავიფიქრე, ეტყობა, მამა საიკსს თავისი მრევლის ოფლით უნდა საჭირო თანხის მოპოვება-მეთქი. ისმოდა მარაოების შარიშური, ფეხის ხმა, მნეველებს მოთმინება გამოელიათ...

უცებ მამა საიკსმა ისე დასჭექა – კარლო რიჩარდსონ, ამ მაგიდასთან ამოსული ჯერ არ დამინახიხარო, რომ შევკრთი.

ხაკისფერ შარვალში გამოწყობილი გამხდარი კაცი წინ გამოვიდა და ფული მაგიდაზე დადო. ხალხში კმაყოფილი ბუტბუტი გაისმა.

ამის შემდეგ მამა საიკსმა თქვა:

– ყველამ, ვისაც შვილი არა გყავთ, ცოტაოდენი ფული კიდევ გაიღეთ. მაშინ ალბათ საკმარისი შეგროვდებაო.

ძლივძლივობით, გაჭირვებით შეგროვდა ათი დოლარი. კარი გაიღო და თბილი ჰაერის მაცოცხლებელი ტალღა შემოიჭრა. ზიბომ სტრიქონ-სტრიქონ წაიკითხა: "იორდანიის მღელვარე ნაპირებთან"... და საკვირაო ნირვა დასრულდა.

მინდოდა ცოტა ხანს კიდევ დავრჩენილიყავი და ხალხისთვის თვალი მედევნებინა, მაგრამ კელპურნიამ ხელით მიბიძგა რიგებს შორის დერეფნისკენ და წინ გამიმძღვარა. ეკლესიის ზღურბლთან შედგა და ზიბოს გამოელაპარაკა. მე და ჯემი კი მამა საიკსს ვესაუბრეთ. უამრავი კითხვა დამებადა, მაგრამ ვამჯობინე, კელპურნიას დავლოდებოდი და მისგან მიმეღო პასუხი.

განსაკუთრებით გვესიამოვნა, თქვენ რომ დაგვესწარითო, – გვითხრა მამა საიკსმა, – ამ ეკლესიას მამათქვენზე უკეთესი მეგობარი არა ჰყავსო.

აქ კი ცნობისმოყვარეობამ მძლია და ვკითხე:

– რატომ აგროვებდით ფულს ტომ რობინსონის ცოლისთვის?

– ვერ გაიგონეთ, რატომ? – მითხრა მამა საიკსმა, – ელენს სამი პატარა ბავშვი ჰყავს და სამუშაოდ ვერ გადის.

– ბავშვები თან რატომ არ მიჰყავს, მამაო? – ვკითხე მე.

მიწათმოქმედი ზანგებისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო ბავშვებით მინდორში გასვლა. სანამ თვითონ მუშაობდნენ, ბავშვებს ხეების ჩრდილში ტოვებდნენ ხოლმე. ჩვილი ბავშვები, ჩვეულებრივ, ბამბის ორ რიგს შუა ისხდნენ. ვისაც ჯერ ჯდომა არ შეეძლო, მათ დედები ზურგზე ისვამდნენ, ან ბამბის ტომრებში აწვენდნენ.

მამა საიკსი ყოყმანობდა.

– თუ სიმართლე გნებავთ, მის ჯინ ლეიზა, ელენს ძალიან უჭირს ახლა სამუშაოს პოვნა... ბამბის შეგროვების დრო რომ მოვა, მისტერ ლინკ დიზი ალბათ კი მისცემს სამუშაოს...

– რატომ უჭირს, მამაო?

სანამ პასუხს გამცემდა, მხარზე კელპურნიას ხელი ვიგრძენი და მაშინ ვუთხარი – დიდი მადლობა, წირვაზე დასწრების ნება რომ დაგვრთეთ-მეთქი. ჯემმაც ზუსტად გაიმეორა ჩემი სიტყვები და სახლის გზას დავადექით.

– კელ, მე კი ვიცი, რომ ტომ რობინსონი ციხეშია, და რომ რაღაცა საშინელება ჩაიდინა, ოღონდ იცი, რა ვერ გამიგია, ელენს რატომღა არ აძლევენ სამუშაოს?

მუქლურჯ მუსლინის კაბასა და გაპაშპაშებულ ქუდში გამოპრანჭული კელპურნია ჩემსა და ჯემს შორის მოაბიჯებდა. – ხალხი ტომზე ისეთ რამეებს ჰყვება, რომ ელენს სამუშაოდ აღარავინ აღარ იყვანს, – მითხრა მან, – ყველა ერიდება მისი ოჯახის წევრებთან საქმის დაჭერას.

– კელ, მაინც რა ჩაიდინა იმ კაცმა ასეთი?

კელპურნიამ ამოიოხრა:

– მოხუცმა მისტერ ბობ იუველმა თავისი ქალიშვილის გაუპატიურება დააბრალა, დააჭერინა და ციხეში ჩაასმევინა.

– მისტერ იუველმა? – მოგონებები ამეშალა, – ეგ იმ იუველებიდან ხომ არაა, სასწავლო წლის პირველ დღეს რომ ცხადდებიან სკოლაში და მერე სახლში ბრუნდებიან? მერე, ატიკუსმა ხომ თქვა – ნაძირალები არიანო, ატიკუსი ასე არავის არ იხსენიებს იუველების გარდა, მამამ მითხრა...

– ჰო, სწორედ ეგენი არიან.

– მერედა, მეიკომში ხომ ყველამ იცის, როგორი ხალხია იუველები, ელენს რატო არ ამუშავებენ... გაუპატიურება რაღაა, კელ?

– მაგის შესახებ მისტერ ფინჩთან მოგიწევს ლაპარაკი, – მითხრა მან, – ის ჩემზე უკეთ აგიხსნის. ალბათ მოგშივდათ, არა, ბავშვებო? დღეს ჩვენს მღვდელს, ცოტა არ იყოს, გაუგრძელდა ქადაგება, საერთოდ, ასეთი მოსაწყენი არ არის ხოლმე.

– ზუსტად ჩვენი მქადაგებელივითაა, – უთხრა ჯემმა, – ოღონდ ასე რატომ მღერით ჰიმნებს?

– პნკარობით? – ჰკითხა კელპურნიამ.

– ასე ეძახით?

– ჰო, პნკარობით, ასე ვეძახით. რაც თავი მახსოვს, სულ ასე ვგალობთ.

ჯემმა უთხრა – მე მგონი, ერთი წლის მანძილზე კი შეაგროვებდით იმდენ ფულს, ჰიმნების წიგნი რომ გეყიდათო.

კელპურნიამ გადაიხარხარა.

– რაში სჭირდებათ, – უთხრა მან, – კითხვა არ იციან.

– კითხვა არ იციან? – ვკითხე მე, – არც ერთმა?

– დიახაც, არც ერთმა, – კვერი დამიკრა კელპურნიამ, – ოთხიოდე კაცის გარდა, "პირველი შენაძენიდან" კითხვა არავინ არ იცის. იმ ოთხიდან ერთი მე ვარ.

– რომელ სკოლაში დადიოდი, კელ? – ჰკითხა ჯემმა.

– არც რომელში. ალბათ გაინტერესებთ, ვინ მასწავლა ასოები. ვინა და, მის მოდი ეტკინსონის დეიდამ, მოხუცმა მის ბუფორდმა.

– მაშ, შენ ამდენი წლისა ხარ, კელ?!

– მე მისტერ ფინჩზე უფროსი ვარ, – ღიმილით გვითხრა კელპურნიამ, – ოღონდ ზუსტად არც ვიცი, რამდენით. ერთხელ ვცადეთ დაგვედგინა, რამდენი წლისა ვარ, მე სულ ერთი-ორი წლით ადრინდელი ამბები მახსოვს, ვიდრე მისტერ ფინჩს, გამოდის, ბევრად უფროსი არ უნდა ვიყო. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქალებს კაცებზე უკეთესი მეხსიერება აქვთ.

– როდისაა შენი დაბადების დღე, კელ?

– შობადღეს ვიხდი ხოლმე, ასე უფრო ადვილი დასამახსოვრებელია. ნამდვილი დაბადების დღე არცა მაქვს.

– კი მაგრამ, კელ, – შეედავა ჯემი, – ატიკუსზე ახალგაზრდად რომ გამოიყურები?

– შავკანიანებს ასაკი უფრო გვიან ეტყობათ, – უთხრა მან.

– შეიძლება იმიტომ, რომ კითხვა არ იციან, კელ, ზიბოს შენ ასწავლე კითხვა?

– კი, მისტერ ჯემ. სკოლა მაშინაც არ გვქონდა, როცა ზიბო პატარა ბიჭი იყო. მე მაინც ვასწავლე.

ზიბო კელპურნიას უფროსი ვაჟი იყო. ამაზე ადრე რომ დავფიქრებულიყავი, მივხვდებოდი, რომ კელპურნია კარგა ხნისა უნდა ყოფილიყო. ზიბოს შვილები უკვე მოზრდილები იყვნენ.

– ანბანით დაუნყე სნავლება, როგორც ჩვენ? – ვკითხე მე.

– არა, ბიბლიიდან ყოველდღე თითო გვერდს ვაკითხებდი. გარდა ამისა, წიგნი მქონდა, რომლითაც მის ბუფორდმა მასწავლა კითხვა. თავს დავდებ, ვერაფრით ვერ მიხვდებით, საიდან მქონდა ის წიგნი, – გვითხრა მან.

– არა, არ ვიცით.

კელპურნიამ გვითხრა: თქვენი პაპის მამამ, ბატონმა ფინჩმა მომცა.

– შენც ფინჩების მამულიდანა ხარ? – ჰკითხა ჯემმა, – ჩვენთვის ეგ არასოდეს არ გითქვამს.

– აბა, საიდან ვიქნები, მისტერ ჯემ. ქვემოთ, ბუფორდებისა და ფინჩების მამულს შორის ვიზრდებოდი. მთელი ცხოვრება ხან ბუფორდებს ვემსახურებოდი და ხანაც ფინჩებს. მეიკომში მაშინ გადმოვსახლდი, როცა მამათქვენმა დედათქვენზე იქორწინა.

– რა წიგნი იყო, კელ? – ვკითხე მე.

– ბლეკსტოუნის "კომენტარები".

ჯემს თავზარი დაეცა:

– შენ რა, ზიბოს მაგ წიგნით ასნავლიდი კითხვას?!

– რატომაც არა სერ, მისტერ ფინჩ, – კელპურნიამ მორცხვად აიფარა პირზე თითები, – ამ წიგნის გარდა, სხვა არც მქონია. თქვენი დიდი პაპა ამბობდა – ბლეკსტოუნს დახვეწილი ენა აქვსო.

– მაგიტომაა, დანარჩენებივით რომ არ ლაპარაკობ, – უთხრა ჯემმა.

– ვინ დანარჩენებივით?

– აი, სხვა ზანგებივით, კელ, მაგრამ ეკლესიაში რომ მათსავით ლაპარაკობდი?

რას ვიფიქრებდი, თუ კელპურნია ორმაგ ცხოვრებას ეწეოდა! ესეც ახალი ამბავი: კელპურნია ჩვენი ოჯახისგან დამოუკიდებელ ცხოვრებასაც ენევა; გარდა ამისა, იგი ორ ენას ფლობს!

– კელ, რატომ ელაპარაკები ზანგურ ენაზე იმ... შენიანებს მაშინ, როცა სწორად შეგიძლია ელაპარაკო? – ვკითხე მე.

– რატომ და... ჯერ ერთი იმიტომ, რომ მეც ზანგი ვარ...

– ეგ სულაც არ ნიშნავს, რო იმათსავით უნდა ილაპარაკო, თუ სწორად ლაპარაკი შეგიძლია, – უთხრა ჯემმა.

კელპურნიამ ქუდი უკან გადაიწია, თავი მოიქექა, მერე ქუდი ისევ ფრთხილად ჩამოიფხატა ყურებზე და უთხრა: მართალი გითხრა, ძნელია მაგ კითხვაზე პასუხის გაცემა. აბა, წარმოიდგინე, შენ და ჭყიტა თქვენს სახლში ზანგებივით რომ ლაპარაკობდეთ – ეს ხომ სრულებით უადგილო იქნებოდა, არა? მაშ, ახლა მე რომ ავლაპარაკდე ეკლესიაში, ან ჩემს მეზობლებთან – თეთრკანიანივით, რა გამოვა? არ იფიქრებენ – ცხვირს გვინევსო?

– მაგრამ შენ ხო მათზე მეტი იცი, კელ, – ვუთხარი მე.

– ჯერ ერთი, სულაც არაა აუცილებელი, ყოველთვის გამოაჩინო, რაც იცი, ნამდვილი ლედი ასე არ იქცევა; მეორეც, ხალხს არ უყვარს საქმის დაჭერა ისეთ ადამიანებთან, ვინც მათზე მეტი იცის, ეს ყველას აღიზიანებს. მიდი და ელაპარაკე სწორად – ვერაფერს გახდები, ამით მაგათ მაინც ვერ გამოასწორებ. ყველამ თვითონ უნდა მოინადინოს სწავლა და თუ არ მოინდომებენ, მაშინ სხვა რა დაგრჩენია – ან უნდა დამუნჯდე, ან მათ ენაზე უნდა ელაპარაკო.

– კელ, შეიძლება, ხანდახან მოგინახულო?

კელპურნია ზემოდან დამცქეროდა:

– მომინახულო, გენაცვალე? განა ყოველდღე არ მხედავ?

– არა, შენთან სახლში რომ მოვიდე, – ვუთხარი მე, – ზოგჯერ, სამუშაოს მერე. ატიკუსი მომიყვანდა...

– როცა მოგესურვება, – მითხრა მან, – შენი მოსვლა ყველას ძალიან გაგვიხარდება.

უკვე რედლების ეზოს გასწვრივ მიმავალ ტროტუარს ვადექით.

– გაიხედე აივნისკენ, – მითხრა ჯემმა.

რედლების კარ-მიდამოს თვალი მოვავლე იმ იმედით, რომ მის აჩრდილ-ბინადარს დავინახავდი – მზეზე გასათბობად საქანელაში მოკალათებულს, მაგრამ საქანელა ცარიელი იყო...

– ჩვენს აივანზე გეუბნები, – მითხრა ჯემმა.

ახლა ქუჩის მეორე მხარეს გავიხედე. სარწეველა სკამზე მამიდაჩემი ჩამომჯდარიყო – უკომპრომისო და საბრძოლველად შემართული, ისე იჯდა, გეგონებოდათ, მთელი ცხოვრება ამ აივანზე გაუტარებიაო.

13

პირველი, რაც მამიდა ალექსანდრამ ჩვენი დანახვისას წარმოთქვა, იყო: "კელპურნია, ჩემი ჩანთა სანოლ ოთახში შეიტანე!" მეორე კი: "ჯინ ლუიზა, შეწყვიტე თავის ქექვა!"

კელპურნიამ ასწია მამიდაჩემის მძიმე სკივრი და კარი გაალო.

– მე შევიტან, – უთხრა ჯემმა და ბარგი გამოართვა. ცოტა ხანში გავიგონეთ, როგორ გაადინა სკივრმა ბრაგვანი სანოლი ოთახის იატაკზე. ყრუ გუგუნი კიდევ კარგა ხანს გვესმოდა.

– სტუმრად შემოგვიარე, მამიდ? – ვკითხე მე. მამიდა ალექსანდრა ფინჩების მამულს იშვიათად თუ მიატოვებდა და ყოველთვის დიდი ზარზეიმით მოგზაურობდა: მისი ხასხასა მწვანე "ბიუიკი" და შავკანიანი მძღოლი მუდამ ავადმყოფური სისუფთავით გამოირჩეოდნენ, მაგრამ ამჯერად ვერც ერთს ვერ მოვკარი თვალი.

– მამათქვენმა არ გაგაფრთხილათ? – გვკითხა მამიდამ.

მე და ჯემმა თავები გავაქნიეთ.

– ეტყობა, დაავიწყდა. ჯერ არ ჩამოსულა, ხომ?

– არა. საერთოდ, ნაშუადღევზე ადრე არ ჩამოდის ხოლმე, – მიუგო ჯემმა.

– მე და მამათქვენმა გადავწყვიტეთ, რომ დრო მოვიდა, ცოტა ხანი თქვენთან ვიცხოვრო.

მოდი და გაიგე – "ცოტა ხანი" მეიკომში სამ კვირასაც ნიშნავს და სამ წელსაც! მე და ჯემმა ერთმანეთს გადავხედეთ.

– ჯემი უკვე დიდი ბიჭია, შენც იზრდები, – მითხრა მამიდამ, – ქალის ხელი არც ერთს არ გაწყენთ. სულ რამდენიმე წელიწადში, ჯინ ლუიზა, შენ კოხტაობას დაიწყებ და ბიჭებსაც გაეპრანჭები.

ამაზე რამდენიმე პასუხის გაცემა შემეძლო: ჯერ ერთი, კელი ქალია; რაც შეეხება ბიჭებს, მათ კიდევ დიდხანს არ გავეპრანჭები; კოხტაობას კი საერთოდაც არ ვაპირებ, მაგრამ მამიდაჩემისთვის არაფერი მითქვამს.

– და ძია ჯიმი? ისიც ჩამოვა? – ჰკითხა ჯემმა.

– აჰ, არა. ის მამულში დარჩა. იქაურობას მიხედვა უნდა.

მე კი ვკითხე, არ მოგენატრებათ-მეთქი? და მაშინვე ენაზე ვიკბინე: უტაქტო კითხვა დავუსვი – განა სულ ერთი არაა, სად იქნება ძია ჯიმი?

ის ხომ მაინც არასდროს არაფერს ამბობს... მამიდა ალექსანდრამ ჩემს შეკითხვას მოუყრუა.

სათქმელი ველარაფერი მოვიფიქრე – მამიდაჩემთან ლაპარაკი საერთოდ ძალიან მიჭირდა. არ ვიცოდი, რაზე ჩამომეგდო სიტყვა. ვიჯექი და ვიგონებდი მამიდაჩემსა და ჩემ შორის გაბმულ ნაძალადევ საუბრებს:

"- როგორა ხარ, ჯინ ლუიზა? – კარგად, გმადლობთ, და თქვენ როგორ ბრძანდებით? – ძალიან კარგად, გმადლობთ... რითი ერთობი ხოლმე? – არაფრით... – როგორ, არაფერს არ აკეთებ? – არა. – მეგობრები ხომ გყავს? – დიახ. – მერე, რას აკეთებთ ხოლმე ყველანი ერთად? – არაფერს..."

თქმა არ უნდა – მამიდაჩემს ჩერჩეტი ვეგონე; ერთხელ ყური მოვკარი, როგორ უთხრა ჩემზე ატიკუსს – განუვითარებელიაო.

ყოველივე ამის უკან რაღაცა იმალებოდა, მაგრამ იმ დღეს ვამჯობინე, მამიდაჩემისთვის ზედმეტი კითხვები აღარ დამესვა. კვირადღე იყო, მამიდაჩემი კი კვირაობით აშკარად ვერ იყო გუნებაზე. ვფიქრობ, მისი უგუნებობა კორსეტის ბრალი უნდა ყოფილიყო. მართალია, მსუქანიაო, მასზე ვერ იტყოდით, ტანსრული ქალი იყო, მაგრამ საოცრად შემოჭერილ საცვლებს ატარებდა და მკერდი თავბრუდამხვევად მაღალი მოუჩანდა, წელში კი ისე იყო გამოსკვანჩული, რომ უკანა ნაწილი არაბუნებრივად გამობზეკვოდა; ასე რომ, უნებურად გაგიელვებდათ აზრი – ამ ქალის წინაპარი ქვიშის საათი უნდა ყოფილიყო. რომელი მხრიდანაც არ უნდა შეგეხედათ, ერთობ შთამბეჭდავი გახლდათ.

როგორც ნათესავების სტუმრობამ იცის ხოლმე, მონყენილობა დაგეეუფლა და საღამომდე ყურებჩამოყრილები ვისხედით. მაგრამ როცა მანქანის ხმა მოგვესმა, ერთბაშად გავხალისდით: ეს ატიკუსი ბრუნდებოდა შინ მონტგომერიდან! ჩემმა ძამიკომ მამლაყინწობა დაივიწყა და ჩემთან ერთად გამოიქცა მამის შესაგებებლად. ჯემმა ატიკუსს პორტფელი ჩამოართვა, მე კი ყელზე ჩამოვეკიდე, ლოყაზე მშრალი კოცნა ვიგრძენი და ვკითხე: ნიგნი ჩამომიტანე? იცი, მამიდა რომ ჩამოვიდა?

ატიკუსმა ორივე შეკითხვაზე დადებითი პასუხი გამცა და მკითხა:

– მითხარი, რას იტყვი, ხომ კარგი იქნება, მამიდამ ჩვენთან რომ იცხოვროს?

მე ვუპასუხე, ძალიანაც კარგი იქნება-მეთქი, რაც მტკნარი სიცრუე იყო. მაგრამ რას იზამ, ზოგჯერ იძულებული ხარ იცრუო, ან იქნებ ყოველთვის ასეა, როცა იცი, რომ მაინც ვერაფერს გააწყობ.

– ჰოო... იცი რა, ვიფიქრეთ, ურიგო არ იქნება, თუ თქვენ, პატარებს... მოკლედ, იცი, როგორაა საქმე, ჭყიტა, – მითხრა ატიკუსმა, – მამიდათქვენი დიდ სიკეთეს მიკეთებს მეც და თქვენც. ხომ იცი, მე მთელი დღე შინ არა ვარ, ამ ზაფხულს კი განსაკუთრებით ცხელი პირი უჩანს.

– დიახ, სერ, – მივუგე მე, თუმცა მისი ნათქვამიდან ვერაფერი გავიგე. და მაინც, რატომღაც მჯეროდა, რომ მამიდაჩემი ჩვენთან არა იმდენად ატიკუსის თხოვნით გაჩნდა, რამდენადაც საკუთარი თავგამოდების წყალობით. საერთოდ, მამიდა თავად წყვეტდა ხოლმე – "რა ჯობია ჩვენი ოჯახისთვის", და მისი ჩამობრძანებაც, ჩემი აზრით, სწორედ ამით იყო განპირობებული.

მეიკომმა თბილად მიიღო მამიდაჩვენი. მის მოდი ეტკინსონმა თავისი სანაქებო ტორტი მიართვა (ისე გაეჟღინთა ლიქიორით, თავბრუ დამესხა); მის სტეფანი კროუფორდი ხანგრძლივი ვიზიტით გვეწვია (წარამარა გვესმოდა ჩვენი სტუმრის შეძახილები: "აჰ, აჰ, აჰ!"); მის რეიჩელი, უახლოესი მეზობელი, შუადღის ყავაზე ინვევდა ხოლმე მამიდას; ხოლო მისტერ ნათან რედლიმ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: ჩვენს ეზოში შემოაბიჯა და უთხრა – მოხარული ვარ თქვენი ნახვისო!

როცა მამიდამ ჩვენთან საბოლოოდ მოიკიდა ფეხი და ცხოვრება ჩვეული დინებით წარიმართა, კაცი ვერ დაიჯერებდა, თუ ამ ქალს მეიკომს გარეთ ერთი დღე მაინც ჰქონდა გატარებული. მისიონერთა საზოგადოების შეკრებებზე ისეთ მასპინძლობას მართავდა, ყველამ ერთხმად აღიარა საუკეთესო დიასახლისად; ამ შეკრებებისას გრძელ მოხსენებებს კითხულობდნენ აღმოსავლეთში ქრისტიანობის გავრცელების თაობაზე და შესვენებების დროს მამიდა საკუთარი ხელით დამზადებულ ტკბილეულობას სთავაზობდა ქანცმილეულ მანდილოსნებს (აბა, ასეთ საპასუხისმგებლო საქმეს კელპურნიას ხომ ვერ ანდობდა?!); იგი მეიკომის ქალთა კლუბის რიგითი წევრი კი არა, უკვე მისი მდივანიც გახლდათ. ჩვენი ოლქის ნებისმიერ საზოგადოებაში მამიდა ალექსანდრა გარდასული თაობის დიდგვაროვან ოჯახთა უკანასკნელ წარმომადგენლად ითვლებოდა. ქალთა პანსიონში აღზრდილს დახვეწილი მანერები და მოსაზრებები ჰქონდა, ზნეობრივ საკითხებშიც მტკიცე და ურყევი გახლდათ – ამავე დროს, ისეთი გამოუსწორებელი ჭორიკანა იყო, ნათესაობით ბრუნვაში გაჩენილი გეგონებოდათ. ქალთა პანსიონებისდროინდელი სასწავლო პროგრამა, ეტყობა, არ ითვალისწინებდა ისეთი ცნებების განმარტებას, როგორიცაა ორჭოფობა ან თვითკრიტიკა და ალბათ იმიტომ იყო, რომ მამიდას მათზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდა. ეს ქალი ხელიდან არ უშვებდა ნებისმიერ უმნიშვნელო საბაბს, რათა თავისი მდგომარეობის სიმაღლიდან განეკითხა, რჩევა მიეცა, წესრიგი დაემყარებინა ან გაეფრთხილებინა.

ჩვენი გვარის დიდების კიდევ უფრო განსამტკიცებლად, მამიდა არასოდეს ერიდებოდა სხვათა ოჯახების დაკნინებას. ეს ჩვეულება ძალიან აღიზიანებდა ჯემს, მაგრამ ხშირად, მგონი, ართობდა კიდეც.

– მამიდას ურჩევნია, გამოთქმები შეარჩიოს, თორე ლამისაა, ყველა მოთხაროს მეიკომში, იმ ხალხის უმეტესობა კი ჩვენი ნათესავები არიანო, – ამბობდა ჯემი.

ერთხელ მამიდამ ახალგაზრდა სემ მერივეზერის თვითმკვლელობის ამბავი შეიტყო და მაშინვე განაცხადა – ეგ სენი მერივეზერებს გვარში აქვთო. საკმარისია, საეკლესიო გუნდში რომელიმე თექვსმეტიოდე წლის გოგონას სიცილი წასკდომოდა, მამიდა ალექსანდრა მაშინვე გამოუტანდა განაჩენს:

– აი, ხომ ხედავ, ყველა პენფილდის ქალი ქარაფშუტაა!

მისი მსჯელობიდან გამოდიოდა, რომ მეიკომში ნებისმიერი ადამიანი რაღაც საგვარეულო სენით იყო შეპყრობილი; იქნებოდა ეს ლოთობა, აზარტული თამაშები, სიძუნწე, თუ რამე სხვა უცნაური მიდრეკილება.

ერთხელაც მამიდა ალექსანდრამ განაცხადა – გასაკვირი არაა, რომ მის სტეფანი კროუფორდს სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა უყვარს, მაგის გვარში ყველა ეგეთი იყოო.

ატიკუსმა მიუგო:

– დაო, თუ დაუკვირდები, დაინახავ, რომ ფინჩებიდან მე და შენ ვართ პირველები, რომლებმაც ბიძაშვილ-მამიდაშვილებზე არ ვიქორწინეთ. მაშასადამე, გამოდის – ფინჩებს სისხლის აღრევა გვქონია გვარში.

– არა, გვარში არა, – უპასუხა მამიდამ, – მაგრამ აი, ცოტა მოკლე ხელ-ფეხი რომ გვაქვს, ეგ კი მაგის ბრალია.

"მაინც, რას ჩააცივდა მამიდაჩემი ამ მემკვიდრეობითობას?" – მიკვირდა მე, – "კეთილშობილი ადამიანი ხომ ისაა, ვინც თავის ნიჭსა და უნარს დაუზარებლად იყენებს კეთილშობილური მიზნების განსახორციელებლად?" მაგრამ მამიდა ალექსანდრა, თუმც მიკიბულ-მოკიბულად, მაინც იმ აზრს ავითარებდა, რომ ადამიანის კეთილშობილებას მისი ოჯახის სიძველე განსაზღვრავს, ანუ ის, თუ ოჯახის რამდენ თაობას უცხოვრია მიწის ერთსა და იმავე ნაკვეთზე.

– აბა, გამოდის, რომ იუველები კეთილშობილი ხალხია, – მითხრა ჯემმა. საგვარეულო, ბარის იუველისა და მისი და-ძმებისგან რომ შედგებოდა, ქალაქის სანაგვე წერტს უკან ბინადრობდა. ეს იყო იუველთა მესამე თაობა, რომელიც ოლქის საქველმოქმედო საზოგადოების ხარჯზე ცხოვრობდა.

და მაინც, მამიდა ალექსანდრას თეორია მთლად საფუძველს მოკლებულიც არ იყო. მეიკომი ძველისძველი ქალაქია. იგი ფინჩების მამულიდან აღმოსავლეთით, ოციოდე კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ძველი ქალაქისთვის მას მეტად უცნაური და მოუხერხებელი მდებარეობა აქვს – მოწყვეტილია მდინარეს. ამას ქალაქი ერთ გაქექილ გაიძვერას – სინკფილდს უნდა უმადლოდეს, რომელსაც შორეულ წარსულში ზედ გზაჯვარედინზე აუგია სასტუმრო. მაშინ ის სასტუმრო ამ მიდამოში ერთადერთი თავშესაფარი ყოფილა და რაკიღა სინკფილდი მოკლებული იყო პატრიოტიზმის გრძნობას, იგი ერთნაირი გულმოდგინებით ამარაგებდა იარაღით როგორც ინდიელებს, ისე ახალმოსახლეებს. სრულებით არ დაგიდევდათ, თუ ვის მფლობელობაში შევიდოდა მისი სასტუმრო – ალაბამას შტატისა თუ ადგილობრივი ინდიელების, ოღონდ კი საქმეს მისთვის მოგება მოეტანა. საქმე კი სწორედ რომ შესანიშნავად აეწყო. გუბერნატორმა უილიამ უაიატმა ახალდაარსებული ოლქის დედაქალაქისთვის შესაფერისი ადგილის შერჩევა განიზრახა. ამ მიზნით მან მიწის მზომავთა ჯგუფს დაავალა, ოლქის ცენტრისთვის მიეკვლიათ და მისი ზუსტი ადგილმდებარეობა რუკაზე განესაზღვრათ. მიწის მზომავები სინკფილდის სასტუმროს ეწვივნენ, შეატყობინეს მფლობელს, რომ მისი სასტუმრო მეიკომის ოლქის საზღვრებში შედიოდა და მიუთითეს მიახლოებითი ადგილი, სადაც საოლქო დედაქალაქის დაარსებას ვარაუდობდნენ. ოღონდ კი სასტუმროს მომგებიანი მდებარეობა არ დაეკარგა და, სინკფილდი ყველაფერზე თანახმა იყო. ეს გაბედული ნაბიჯი რომ არა, მეიკომი უინსტონის ჭაობთან განლაგდებოდა, უაღრესად უფერულსა და უღიმღამო მიდამოებში, მაგრამ მეიკომმა საოთავე სწორედ სინკფილდის სასტუმროდან აიღო და მის გარშემო იწყო გაფართოება. აი, როგორ მოხდა ყველაფერი: ერთ საღამოს სინკფილდმა უგონობამდე გამოათრო თავისი სტუმრები, გამოატანინა რუკები და ნახაზები, ერთგან ცოტა ჩამოაჭრევინა, მეორეგან წაამატებინა და ოლქის ცენტრი ზუსტად იქ მოაქცია, სადაც აწყობდა. მეორე დილით, სანამ მიწის მზომავებს გაისტუმრებდა, სინკფილდმა სტუმრებს, ნახაზებთან ერთად, ხუთი კვარტი მაგარი სასმელიც ჩაუწყო: თითოსთვის ორ-ორი ბოთლი და ერთიც – გუბერნატორისთვის.

თუ მეიკომი ალაბამას შტატის დანარჩენი, მისივე ზომის ქალაქებისგან განსხვავებით, სუფთა და მოვლილია, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ოდითგანვე ადმინისტრაციულ ცენტრად იყო ნაგულისხმევი. სახლებს აქ საფუძვლიანად აგებდნენ, სასამართლოს შენობა ზვიადად გამოიყურებოდა, ქუჩები მადლიანად ფართო გაჰყავდათ. ქალაქს შეეძლო კარგი სპეციალისტებითაც ეამაყა: აქეთ მოისწრაფოდნენ კბილის ამოსაღებად თუ ეტლის შესაკეთებლად, გულის სამკურნალოდ თუ ფულის დასაბანდებლად, სულის განსანმენდად თუ ვეტერინართან ვირების სამკურნალოდ... და მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც საეჭვოა – რამდენად ხელსაყრელი გამოდგა ქალაქისთვის სინკფილდის ბრძნული და ფხიანი ნაბიჯი: მეიკომი იმდენად მოწყვეტილი აღმოჩნდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის იმდროინდელ სახეობას – სამდინარო ნაოსნობას, რომ ოლქის ჩრდილოეთით მცხოვრებ ხალხს მეიკომში უბრალო საყიდლების შესაძენად ორი დღე-ღამის სავალი გზა უნდა გადაელახა. ამის შედეგია, რომ ქალაქი ოდნავადაც არ გაზრდილა მთელი საუკუნის განმავლობაში და ეული კუნძულივითაა გამოხირული თვალუწვდენელ ბამბის პლანტაციებსა და ულრან ტყეებს შორის.

მართალია, შტატებს შორის ატეხილ ომში მეიკომს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, რეკონსტრუქციის კანონისა და ეკონომიკური კრიზისის ზემოქმედებით მან მაინც განიცადა გარკვეული ცვლილება. ამ ცვლილებას ადგილობრივი ხასიათი ჰქონდა. ქალაქში ახალი ბინადრების გამოჩენა დიდი იშვიათობა იყო და ამიტომ ქორწინებები ძირითა-

დად ერთსა და იმავე ოჯახებს შორის იმართებოდა. ბუნებრივია, მეიკომელები თანდათანობით დაემსგავსებოდნენ ერთმანეთს. იშვიათად, მონტგომერიდან ან მობილიდან თუ დაბრუნდებოდა ვინმე, იქაურ ქალზე დაქორწინებული, მაგრამ ეს იყო წვეთი ზღვაში ოჯახურ მსგავსებათა ერთფეროვანი დინებისთვის. ამ მხრივ, ჩემს ადრეულ ბავშვობაშიც ბევრი არაფერი შეცვლილა.

შეიძლება ითქვას, მეიკომი კასტებად იყო დაყოფილი. ჩემს ბავშვურ წარმოდგენაში ეს ამბავი თავისებურად აისახა: "ხანდაზმული მეიკომელები, ანუ ჩემი თანამედროვე თაობა", – ვფიქრობდი მე, – "უკვე იმდენი ხანია, გვერდიგვერდ ცხოვრობენ, რომ ზედმიწევნით შეისწავლეს ერთმანეთი. მათ სავსებით ბუნებრივად მიაჩნიათ, თუ ხასიათი, შეხედულებები და ჟესტებიც კი, მემკვიდრეობით გადაეცემა თაობიდან თაობას (მხოლოდ ოდნავ თუ იხვენება დროთა განმავლობაში); აქედან გამომდინარე, ყოველდღიურ ცხოვრებაში თავისუფლად შეიძლება ვიხელმძღვანელოთ დამკვიდრებული გამოთქმებით: "ოღონდ კროუფორდს სხვის საქმეში ჩააყოფინე ცხვირი, და...", "ყველა მესამე მერივეზერი ხომ სულით დაავადებულია...", "ნურასოდეს ნუ ენდობი დელაფილდის სიტყვას!", "ყველა ბუფორდმა ეგეთი სიარული იცოდა"... და წინასწარვე იცი: სანამ დელაფილდს ჩეკს გამოართმევ, ჩუმად უნდა შეიარო ბანკში და მისი ფინანსური მდგომარეობა შეამოწმო; მის მოდი ეტკინსონი მხრებში მოხრილია, რადგანაც ბუფორდია; მისიზ გრეის მერივეზერი თუ ლიმონათის ბოთლიდან ჩუმ-ჩუმად ჯინს წრუპავს – "ეგ იმიტომ, რომ დედამისიც ასე იქცეოდა..."

მამიდა ალექსანდრა და მეიკომი ისე მოერგნენ ერთიმეორეს, როგორც ხელი თათმანს. მაგრამ ჩემი და ჯემის სამყარო მამიდასთვის უცხო დარჩა. სულ მიკვირდა – მაინც რანაირადაა ეს ქალი ატიკუსის და ძია ჯეკის და-მეთქი? ამასთან დაკავშირებით ის ზღაპრებიც მომაგონდა მიგდებული ბავშვებისა და მანდრაგორას ძირების შესახებ, რითაც ჯემი ოდესღაც ჩემს დაშინებას ცდილობდა.

რადგან ჩემთვის და ჯემისთვის სათქმელი არაფერი ჰქონდა, ჩამოსვლიდან პირველი თვის მანძილზე მამიდა ალექსანდრა განყენებული მსჯელობით შემოიფარგლა. მას ძირითადად ჭამის დროს ან ძილის წინ ვხედავდით ხოლმე. ზაფხული იდგა და თითქმის მთელ დღეს ეზოში ვატარებდით. რა თქმა უნდა, ზოგჯერ მიწევდა ხოლმე წყლის დასალევად სახლში შერბენა; მისაღები ოთახი ყოველთვის მეიკომელი მანდილოსნებით სავსე მხვდებოდა. ჩურჩულებდნენ, ყავას წრუპავდნენ, მარაოებს აფრიალებდნენ. ასეთ დროს მამიდაჩემი აუცილებლად დამიძახებდა – ჯინ ლუიზა, მოდი, ერთი-ორი სიტყვა უთხარი ამ ქალბატონებსო.

მაგრამ შევდგებოდი თუ არა კარის ზღურბლზე, ვიცოდი, მამიდა ალექსანდრა უკვე ნანობდა თავის გადაწყვეტილებას: როგორც ნესი, ტალახში ამოთხუპნილი და ქვიშაში ამოგანგლული გახლდით.

– მიდი, ჭყიტა, დაელაპარაკე ლილის, შენს ბიძაშვილს, – მითხრა ერთ ასეთ შუადღეს მამიდაჩემმა, როცა ჰოლში შესულს ჩამავლო.

– ვისა? – ვკითხე მე.

– შენს ბიძაშვილს, ლილი ბრუკს, – მომიგო მამიდა ალექსანდრამ.

– განა ეგ ჩვენი ბიძაშვილია? მე რომ არ ვიცოდი...

მამიდა ალექსანდრამ ისე გაიღიმა, აშკარა იყო – თან ჩემ მაგიერ ლილი ბრუკს ებოდიშებოდა, თან სასტიკ უკმაყოფილებას გამოხატავდა ჩემი მისამართით. ლილი ბრუკის წასვლის შემდეგ კი, ვიცოდი – აუცილებლად მომხვდებოდა.

მალე შევიტყვე – თურმე დიდად სამწუხარო ამბავია, რომ მამაჩემმა თავი არ შეიწუხა ჩემთვის ფინჩების საგვარეულო ისტორიის მოყოლით და საერთოდ, სათანადო სიამაყე არ ჩაუნერგა შვილებს. მამიდამ ჯემიც გამოიძახა – ჯემი ახლა დაძაბული იჯდა ჩემ გვერდით, ტახტზე. მამიდა ოთახიდან გავიდა და წითელყდიანი წიგნით ხელდამშვენებული შემობრუნდა. წიგნის ყდას ოქროთი ამოტვიფრული ასოები ამშვენებდა: "ჯოშუა სენტ-კლერის მედიტაციები".

– ეს თქვენმა ბიძაშვილმა დაწერა, – გვამცნო მამიდამ, – შესანიშნავი ადამიანი იყო...

ჯემმა შეათვალიერა თხელტანიანი წიგნი და იკითხა:

– ეს ის ჯოშუაა, ძალიან დიდხანს რომ იჯდა ციხეში?

– შენ ეგ საიდან იცი? – დაინტერესდა მამიდა.

– როგორ, ატიკუსმა მითხრა – ჯოშუამ, უნივერსიტეტში რომ სწავლობდა, აურიაო, რექტორის მოკვლა სცადაო. მამამ მითხრა – ჯოშუა ამტკიცებდა, ეგ რექტორი კი არა, ნამდვილი სანტექნიკოსიაო, და რექტორს ძველისძველი კაჟის დამბაჩა ესროლაო, მაგრამ თურმე დამბაჩა

ხელში აუფეთქდა. ატიკუსმა თქვა – ოჯახს ჯოშუას იმ ამბიდან დახსნა ხუთასი დოლარი დაუჯდაო.

მამიდა ალექსანდრა ყანჩასავით აიწონა:

– კმარა, – ბრძანა მან, – მე ამას ასე არ დავტოვებ!

ძილის წინ ჯემის ოთახში შევიარე წიგნის ასაღებად. ამ დროს კარზე ატიკუსმა დააკაკუნა და შემოვიდა. ჯემის საწოლზე ჩამოჯდა. ჯერ დაღვრემილმა შემოგვხედა, მერე კი გაგვიღიმა.

– ეე... მმ... – დაიწყო მან. ბოლო დროს, სანამ რამეს იტყოდა, ხრინწიან ბგერებს გამოსცემდა და მე დავასკვენი: ბერდება და ეგაა-მეთქი; თუმცა გარეგნულად ვერავითარ ცვლილებას ვერ ვატყობდი...

– კარგად არც ვიცი, როგორ გითხრათ... – თქვა მან.

– პირდაპირ გვითხარი, – უთხრა ჯემმა, – რამე დავაშავეთ?

მამაჩვენს მოუსვენრობა დაეტყო.

– არა, უბრალოდ, მინდა აგიხსნათ, რომ... მამიდა ალექსანდრამ მთხოვა... შვილო, იცი თუ არა, რომ შენ – ფინჩი ხარ?

– სწორედ ახლახან შემატყობინეს... – ჯემმა ცერად გახედა მამას და უცებ უნებლიეთ აუწია ხმას:

– ატიკუს, რა მოხდა?

ატიკუსმა ფეხი ფეხზე გადაიდო და გულხელი დაიკრიფა.

– მინდა ცოტა რამ გიამბოთ ოჯახის ნარსულიდან.

ჯემი კიდევ უფრო გაღიზიანდა და უთხრა:

– ძალიან კარგად ვიცი მთელი ეგ სისულელე.

ატიკუსი ხუმრობის გუნებაზე ვერ იყო. მან ვექილის მშვიდი, აღუშფოთველი კილოთი დაიწყო:

– მამიდათქვენმა მთხოვა, როგორმე შეგაგნებინოთ, რომ ვინმე უჯიშოები კი არა ხართ, არამედ ისეთი ოჯახიდან ნარმოდგებით, რომლის რამდენიმე თაობამ თქვენამდე საუკეთესო აღზრდა-განათლება მიიღო, – ატიკუსი დადუმდა და მადროვა, სანამ ფეხზე აცოცებულ მწერს ჩავავლებდი. – საუკეთესო აღზრდა-განათლება, – გაიმეორა და ისევ მადროვა, სანამ მწერს საბოლოოდ არ მოვუღებდი ბოლოს. ამის შემდეგ კი განაგრძო:

– ასე რომ, თქვენ მოვალენი ხართ, ჩვენი სახელი არ შეარცხვინოთ, – ჩვენდა გასაკვირად, დაჟინებით განაგრძობდა ატიკუსი, – დიახ, და

მამიდათქვენმა მთხოვა, რომ გითხრათ: თქვენ უნდა ეცადოთ, ისე მოიქცეთ, როგორც პატარა ლედისა და ჯენტლმენს შეეფერება. მამიდა კი მოგიყვებათ, თუ რას ნარმოადგენდნენ ფინჩები ჩვენი ოლქის თვალში მთელი ამ წლების განმავლობაში, რათა უკეთ გაიაზროთ, ვინა ხართ, და იქნებ ამან უკეთ მოქცევის სურვილიც აღგიძრათ, – სხაპასხუპით ჩაამთავრა თავისი სათქმელი ატიკუსმა.

მე და ჯემმა გაოგნებული მზერა მივაპყარით ერთმანეთს, მერე ატიკუსს შევხედეთ: მომეჩვენა, თითქოს მამას პერანგის საყელო უჭერდა. მე და ჯემს ხმა აღარ ამოგვიღია.

ცოტა ხნის შემდეგ ჯემის ტუმბოდან სავარცხელი ავიღე და კბილებით კარადის კიდეს დავუსვი.

– შეწყვიტე ხმაური! – მითხრა მამამ.

ატიკუსის უხეშობამ გული მატკინა. სავარცხელი იატაკზე მოვისროლე. არ ვიცი, რატომ, მაგრამ თავი ვერ შევიმაგრე და ავტირდი. მამაჩემს ვერ ვცნობდი – მამაჩემი ასე არ აზროვნებს, მამაჩემი ასე არ მსჯელობს! ეს მამიდაჩემის ნახელავს უფრო ჰგავს... – ცრემლმორეული თვალებით შევნიშნე, რომ ჯემიც ჩემსავით განიცდიდა მარტოობას – საწყლად ჩაექინდრა თავი.

სად უნდა წავსულიყავი? მაინც ავდექი და გასასვლელად მოვემზადე, მაგრამ ატიკუსის განიერ მკერდს შევეჯახე. ჩავეხუტე და გავიგონე, როგორ გაუდიოდა ნიკნიკი საათს, როგორ შრიალებდა გახამებული პერანგი, როგორ სუნთქავდა ატიკუსი...

– მუცელი გიბუყბუყებს, – ვუთხარი მამას.

– ვიცი, – მომიგო მან.

– ცოტა სოდა დაგელია...

– დავლევ.

– ატიკუს, მაშ, ახლა ყველაფერი უნდა შეიცვალოს, ყოფაქცევა... შენც...

ატიკუსმა თავზე დამადო ხელი.

– ნურაფერზე ნუ ღელავ. ასაღელვებელი ჯერ არაფერი გვაქვს.

ამ სიტყვებმა მაგრძნობინეს, რომ მამა ისევ ჩვენკენ მობრუნდა. გაყინულ ძარღვებში სისხლი ამიჩქეფდა და თავი ავნიე.

– მართლა გინდა, რომ ეგრე მოვიქცეთ? კარგად რო არც მახსოვს ყველაფერი, რასაც ფინჩი უნდა აკეთებდეს?

– ნურც გაიხსენებ. შეგიძლია დაივიწყო.

ატიკუსი ადგა და ოთახიდან გავიდა. კარი კინაღამ გაიჯახუნა, მაგრამ ბენვზე მიუსწრო და ხელი შეაშველა – კარი უხმაუროდ გაიხურა. მე და ჯემი ჯერ კიდევ კარს მივშტერებოდით, როცა ატიკუსმა ისევ შემოიჭყიტა. წარბები აეზიდა, სათვალე ცხვირზე დაკოსებოდა.

– დღითი დღე ჩვენს ბიძაშვილ ჯოშუას ვემსგავსები, არა? როგორ ფიქრობთ, მალე მეც ხუთასი დოლარი ხომ არ დავუჯდები ოჯახს, ჰა?

ახლა ვიცი, რის გაკეთებასაც ცდილობდა ატიკუსი, მაგრამ ის ხომ კაცი იყო, ასეთ საქმეებს კი ქალის ხელი სჭირდება.

14

მამიდა ალექსანდრას ფინჩების ოჯახზე საუბარი აღარ განუახლებია. სამაგიეროდ, ახლა ქალაქელები აღარ გვაძლევდნენ მოსვენებას. შაბათობით, თუ ჯემი დიდსულოვნად დამრთავდა ნებას, გავყოლოდი (ის ხომ ახლა ჩემთან ერთად ხალხში გამოჩენას ველარ იტანდა), ხურდა ფულს მოვიმარჯვებდით და ხალხით გაჭედილ ქუჩას დავუყვებოდით. აი, როდის ველარ ავუდიოდით ჩვენი გვარის ხსენებას: ხან ერთი იტყოდა – აგერ, მისი ბავშვებიო, ხანაც მეორე – აი, ფინჩები! მივიხედავდით და გლეხების წყვილი შეგვრჩებოდა ხელში, აფთიაქის ვიტრინას რომ ათვალიერებდნენ, ან კიდევ ჰუვერის ურიკებში მოკალათებული ჩალისქუდიანი სოფლელი დედაკაცები.

– ამ ოლქის მმართველებს ხომ ფეხებზე ჰკიდიათ – მიდი და გააუპატიურე, ვინც გინდა, არავინ გიშლის! – ასეთი საეჭვო მოსაზრება გამოთქვა ჩვენი დანახვისას ერთმა გაძვალტყავებულმა მამაკაცმა. ამან გამახსენა, რომ კარგა ხანია, ატიკუსისთვის ერთი შეკითხვის დასმა მინდოდა.

– მამა, გაუპატიურება რას ნიშნავს? – ვკითხე იმავე საღამოს.

ატიკუსმა გაზეთი გასწია და შემომხედა. ფანჯარასთან იჯდა, თავის სავარძელში. კარგა ხანია, მე და ჯემმა მამაჩვენს სულგრძელად დავრთეთ ნება, ნავახშმევს ოცდაათი წუთი თავის გემოზე გაეტარებინა.

ატიკუსმა ამოიოხრა და მითხრა, რომ გაუპატიურება – ესაა ხორციელი სიახლოვე ქალთან ძალდატანებით, ქალის თანხმობის გარეშე.

– და მეტი არაფერი? მაშინ რატომ არ ამიხსნა კელპურნიამ, როცა ეკითხე, გაუპატიურება რა არის-მეთქი?

ატიკუსმა ჩაფიქრებული ჩანდა.

– აბა, კიდევ ერთხელ უკეთ ამიხსენი, რა გინდა?

– რა და, იმ დღეს ეკლესიიდან რომ ვბრუნდებოდით, კელპურნიას ვკითხე – რას ნიშნავს-მეთქი, და კელმა მითხრა – მამაშენი აგვიხსნისო, მაგრამ მერე დამავიწყდა და ახლა გეკითხები.

ატიკუსმა გაზეთი მუხლებზე დაიდო და მითხრა: აბა, წესიერად მომიყევი, როგორ იყო ყველაფერი.

მეც წვრილად ვუამბე მამას, როგორ წავყევი კელპურნიას ეკლესიაში. მე მგონი, ატიკუსი ცნობისმოყვარეობით მისმენდა, მაგრამ მამიდა ალექსანდრას უკმაყოფილება დაეტყო. თუ აქამდე ოთახის კუთხეში უხმოდ იჯდა და ქარგავდა, ახლა დაძაბული მოგვაჩერდა და მკითხა:

– როგორ, იმ კვირადღეს თქვენ, ყველანი ერთად, ეკლესიიდან ბრუნდებოდით?

– დიახ, კელმა წაგვიყვანა, – მიუგო ჯემმა.

მე კიდევ რაღაც მომაგონდა და ვუთხარი:

– დიახ, და შემპირდა, ერთხელ ჩემთან სახლშიაც წაგიყვან სტუმრადო. ატიკუს, რა იქნება, ამ კვირას კელთან რომ წამიყვანო სტუმრად? კელმა მითხრა – თუ მამაშენი შინ არ იქნება, მე თვითონ მოგაკითხავ და წაგიყვანო.

– არავითარ შემთხვევაში!

ეს მამიდა ალექსანდრას ხმა იყო. შემცბარმა ჯერ მამიდაჩემს გავხედე, მერე ისევ მამაჩემს მივუბრუნდი და შევამჩნიე, როგორ ესროლა ატიკუსმა დას ნაჩქარევი მზერა; მაგრამ გვიან იყო.

– თქვენ არ გეკითხებით! – ვუთხარი მამიდას.

ატიკუსმა ბრგე კაცისთვის უჩვეულოდ სწრაფი ნამოდგომა იცოდა სკამიდან. ახლაც – თვალის დახამხამება ვერ მოვასწარი, რომ უკვე ფეხზე იდგა.

– ახლავე ბოდიში მოუხადე მამიდაშენს, – მითხრა მან.

– მე მამიდასთვის არ მიკითხავს, შენ გეკითხებოდი...

ატიკუსმა თავი განზე გასწია, ჯანსაღი თვალით გამგმირავი მზერა მომაპყრო და ულმობლად მითხრა:

– ჯერ ბოდიში მოუხადე მამიდაშენს.

– მაპატიეთ, მამიდა... – ამოვილულღლუღე მე.

– ახლა კი ერთი რამ კარგად დაიხსომე: შენ ვალდებული ხარ, დაუჯერო კელპურნიას, დამიჯერო მე, და ვიდრე მამიდაშენი ამ სახლში იმყოფება, მასაც უნდა დაუჯერო. გაიგე, თუ არა?

გავიგე და წამით შევყოვნდი, გავიფიქრე – ერთადერთი გზა, მდგომარეობიდან შედარებით ღირსეულად რომ გამოვძვრე, ოთახიდან გასვლა იქნება-მეთქი და სააბაზანოში შევედი. ერთხანს იქ ვიყურყუტე – დაე, ეგონოთ, რომ ტყუილად არ წავსულვარ. როცა გამოვედი, დერეფნიდან გაცხარებულ დავას მოვკარი ყური. სასტუმრო ოთახის კარის ღრიჭოდან ჯემს ვხედავდი: გაზეთით ხელში ტახტზე იჯდა და თვალებს აცეცებდა ხან აქეთ, ხან იქით, გეგონებოდათ, გაზეთის ფურცლებზე გაცოცხლებულ ტენისის მატჩს უთვალთვალებსო.

– რამე უნდა მოუხერხო, – ამბობდა მამიდა ალექსანდრა, – დიდი ხანია, ყველაფერი თავის ნებაზე გაქვს მიშვებული, ატიკუს, ძალიან დიდი ხანია.

– არ მესმის, რა დაშავდება იმით, თუ გავუშვებ. კელი იქ ისევე კარგად მიხედავს, როგორც აქ.

მაინც ვისზე ლაპარაკობენ? გული შემეკუმშა: რა თქმა უნდა, ჩემზე! წამით წარმოვიდგინე, როგორ მაცმევენ ვარდისფერ გახამებულ ფორმის კაბას გამოსასწორებელ კოლონიაში და ცხოვრებაში მეორედ დამებადა სახლიდან გაქცევის სურვილი: უნდა გავიქცე და რაც შეიძლება, ჩქარა!

– მაგას რა სჯობია, ატიკუს, როცა ადამიანს ლმობიერი ხასიათი აქვს, შენ რბილი ბუნების კაცი ხარ, მაგრამ ქალიშვილზეც ხომ უნდა იფიქრო? ქალიშვილზე, რომელიც იზრდება.

– სწორედ მაგაზე ვფიქრობ.

– მაშინ ნუ ცდილობ თავის დაძვრენას. ადრე თუ გვიან, ეს მაინც უნდა გააკეთო, გადადება რაღა საჭიროა – ადექი და დღესვე, ამაღამვე მიიღე გადაწყვეტილება. ჩვენ ის აღარ გვჭირდება.

ატიკუსმა აუღელვებულად მიუგო:

– ალექსანდრა, კელპურნია ამ სახლს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიატოვებს, თუ თვითონ მოუნდება. შენ იქნებ სხვაგვარად ფიქრობ, მაგრამ

მე ამ ქალის გარეშე ვერაფერს გავხდებოდი. რამდენი წელია, კელპურნია ჩვენი ოჯახის ერთგული ნევრია, შენც უნდა შეეგუო ამას. გარდა ამისა, დაო, სულაც არ მინდა, ჩვენი გულისთვის წელებზე ფეხი დაიდგა – სამაგისო არაფერი გვჭირს. კელი დღეს ისევე გვჭირდება, როგორც აქამდე გვჭირდებოდა.

– კი მაგრამ, ატიკუს...

– თან მინდა გითხრა, რომ მე მგონი, ჩემს შვილებს არაფერი წაუგიათ იმით, რომ კელპურნიას აღზრდილები არიან. ის კი არა, დედაზე უფრო მომთხოვნიც იყო. ყველა საქციელზე პასუხს აგებინებდა, არ ანებივრებდა, ზანგმა ძიძებმა რომ იციან ისე, ზრდიდა, როგორც შეეძლო, კელპურნია კი, უნდა გითხრა, საკმაოდ უნარიანი და გონიერი ქალია... ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბავშვებს უყვართ კელი.

ძლივს არ მოვითქვი სული! თურმე ჩემზე კი არა, კელპურნიაზე ლაპარაკობდნენ!

გამოცოცხლებული შევედი სასტუმრო ოთახში. ატიკუსი უკვე გაზეთის უკან შეყუჟულიყო, მამიდა ალექსანდრა გამალებით ქარგავდა: "ტკაპ, ტკაპ, ტკაპ", – ესობოდა ნემსი რგოლზე მჭიდროდ გადაკრულ ქსოვილს. მერე შეფერხდა – ქსოვილი უფრო მჭიდროდ გადაჭიმა: "ტკაპ-ტკაპ-ტკაპ!" – მამიდა ალექსანდრა გააფთრებული იყო.

ჯემი ადგა და ხალიჩაზე გაიარა. მანიშნა – მომყევიო. თავისი ოთახისკენ გამიძღვა და კარი გაიხურა. ჩაფიქრებული ჩანდა.

– იჩხუბეს, ჭყიტა.

იცოცხლე, ბოლო დროს მე და ჯემი ხშირად ვჩხუბობდით, მაგრამ პირველად ვნახე, რომ ვილაცა ატიკუსს ეჩხუბა. უნდა გითხრათ, ძალიან არასასიამოვნო სანახაობა იყო...

– ჭყიტა, ეცადე, მამიდა არ გააღიზიანო, გესმის?

ატიკუსის დატუქსვისგან ჯერ კიდევ ლოდი მედო გულზე და ვერ შევატყვე, რომ ჯემმა თხოვნით მომმართა; მეგონა ისიც ჭკუას მარიგებდა.

– შენ რა, მასნავლი, როგორ მოვიქცე?! – ვუთხარი მე.

– არა, უბრალოდ, ხომ იცი, ატიკუსს უჩვენოდაც იმდენი საფიქრალი აქვს ახლა, ჩვენ მაინც ნულა შევაწუხებთ.

– მაინც რა საფიქრალი აქვს? – რაღაც ვერ ვატყობდი, ატიკუსს რაიმე განსაკუთრებული სადარდელი თუ ჰქონდა.

– რა და, იმ ტომ რობინსონის საქმემ ლამისაა გადაიყოლოს...

მე ვუთხარი – ატიკუსს არაფერიც არ აწუხებს-მეთქი; ბოლოს და ბოლოს, ის საქმე კვირაში ერთხელ თუ გაგვახსენებს თავს და ისიც ცოტა ხნით...

– ეგ იმიტომ, რომ შენ არ შეგიძლია დიდხანს ერთ რამეზე ფიქრი, – მითხრა ჯემმა, – უფროსები კი სხვანაირად ვართ მოწყობილი, ჩვენ...

არა, ასეთი ქედმაღლების ატანა აღარ შემეძლო! კითხვის და განმარტოების მეტი ჯემს არაფერი აღარ აინტერესებდა. მართალია, რასაც ნაიკითხავდა, ისევ მე მიყვებოდა ხოლმე, მაგრამ თუ ადრე ამას ჩემი გართობის მიზნით აკეთებდა, ახლა მხოლოდ ჭკუის დასარიგებლად!

– რამე ხომ არ გეშლება, ვაჟბატონო? მაინც ვინ გგონია თავი, ჰა?

– მოკლედ, იცოდე, ჭყიტა, ერთი გაგიბრაზებია მამიდა და... და – მიგტყეპავ!

არა, ეს კი მეტისმეტია!

– უუ, შე დებილო, შენა, მოგკლავ, იცოდე!

ჯემი საწოლზე იჯდა, არაფრად მიღირდა, ცალი ხელით თმაში ჩავფრენოდი და ყბაში მუშტი მეთავაზებინა, ჰოდა, ასეც მოვიქეცი. ჯემმა სილა გამანნა, საპასუხოდ მარცხენა ხელი მოვუქნიე, მაგრამ მუცელში მუშტი მატაკა და იატაკზე გავიშხლართე. თუ არ გავიგუდებოდი, არ მეგონა, ახლა ამას დავეძებდი? მთავარია, რომ ჯემი ამ დარტყმით მხოლოდ ხურდას მიბრუნებდა; მაშასადამე – ბარიბარსა ვართ-მეთქი, გავიფიქრე.

– ხო ხედავ, არც ისეთი დიდი და ღონიერი ბრძანდები, – დავჭყივლე და ხელახლა დავეძგერე.

ჯემი ისევ საწოლზე იჯდა, მე კი დასაყრდენი არ მქონდა. ამიტომ შორიდან გავექანე და მთელი ძალით დავეტაკე. ყველა ხერხს მივმართე: ვურტყამდი მუშტებს, ვჩქმეტდი, ვანჯღრევდი... ასე გადაიზარდა მუშტი-კრივი ნამდვილ აყალმაყალში. როცა ჩვენს გასაშველებლად ატიკუსი მოვიდა, თავ-პირს ვამტვრევდით ერთმანეთს.

– კმარა! აბა, ახლავე დაწექით და დაიძინეთ ორივემ, – გვითხრა მამამ.

– ეჰე-ჰეე! – ნიშნის მოგებით ვუთხარი ჯემს: მასაც ჩემსავით ადრე მოუწევდა დაძინება.

– ვინ დაინყო? – დაღლილი ხმით გვკითხა ატიკუსმა.

– წარმოგიდგენია, ჯემი ჭკუას მარიგებდა! ეგლა მაკლია, ახლა მაგასაც დავუჯერო. სწორი არა ვარ?

ატიკუსს გაეღიმა.

– მოდი, ასე შევთანხმდეთ. თუ ჯემი საკუთარ სიმართლეში დაგარწმუნებს, მაშინ ჯემსაც დაუჯერე, ხომ სამართლიანია?

მამიდაჩემიც იქვე იყო, მაგრამ ჩუმად იდგა. მხოლოდ მაშინ ამოიღო ხმა, როცა ის და ატიკუსი დერეფანში გავიდნენ. ყური მოვკარით, როგორ ეუბნებოდა მამას – სწორედ ამაზე არ გელაპარაკებოდიო... ამ ფრაზამ მე და ჯემი ისევ დაგვაახლოვა.

ჩვენს ოთახებს საერთო კედელი ჰქონდა. როცა კარი გავიხურე, ჯემმა მითხრა:

– ღამე მშვიდობისა, ჭყიტა.

ღამე მშვიდობისა-მეთქი, – ამოვილუღლუღე და ხელების ფათურით გავნიე ბნელ ოთახში სინათლის ასანთებად. საწოლს რომ ჩავუარე, რაღაც რბილს, თბილსა და მეტისმეტად გლუვს დავაბიჯე ფეხი. ცოტათი მაგარ საშლელს კი ნააგავდა, მაგრამ ისეთი გრძნობა მქონდა, ცოცხალი უნდა ყოფილიყო. ეს ეჭვი მით უფრო განმიმტკიცდა, როცა გავიგონე, როგორ გახოხდა იატაკზე.

სინათლე დავანათე და საწოლის წინ იატაკი შევათვალიერე, ის, რასაც ფეხი დავაბიჯე, გამქრალიყო. მაშინ ჯემს კარზე მივუკაკუნე.

– რა იყო? – გამომძახა მან.

– თუ იცი, გველს რო ხელი მოკიდო, როგორია?

– ხეშეში, ცივი, რატომ მეკითხები?

– მგონი, ჩემი საწოლის ქვეშ გველია. იქნებ შემოხვიდე და ნახო?

– შენ რა, მაშაყირებ? – ჯემმა კარი გაალო. პიჟამის შარვალი ეცვა. კმაყოფილებით შევნიშნე – ჩემი მუშტების კვალი ჯერ კიდევ ემჩნეოდა სახეზე. როცა დარწმუნდა, არ ვხუმრობდი, მითხრა:

– თუ გგონია, საწოლის ქვეშ შევძვრები და გველს საკბენად სახეს მივუშვერ, ძალიან შემცდარხარ. ერთ წუთს მაცალე.

სამზარეულოში გაიქცა და იატაკს საწმენდი ჯოხი მოარბენინა.

– შენ ჯობია, მაგ საწოლზე აძვრე, – მითხრა მან.

– როგორ ფიქრობ, მართლა გველია? – ვკითხე მე.

აი, მესმის! მეიკომში სახლებს სარდაფები არა აქვს, მათ ქვის [illegible] ჯებზე აგებენ, მიწიდან რამდენიმე ფუტის სიმაღლეზე. ვერ [illegible] ჩვენში გველები საერთოდ არ იცის-მეთქი, მაგრამ დიდი [illegible] მის რეიჩელ ჰეევერფორდი, ყოველ დილით გაუზავებელ ვისკის [illegible] ხავს, თავის გასამართლებლად დღემდე ამას ჰყვება: ერთხელ [illegible] დასაკიდებლად კარადა გამოვაღე და რას ვხედავ – ჩემს [illegible] ჩხრიალა გველი არ ჩახვეულა! რა ვქნა, იმის შიშით დღესაც [illegible] აღარ ვარო...

ჯემმა ჯოხით საგულდაგულოდ მოსინჯა იატაკი სანოლის ქვეშ [illegible] წელში მოვიხარე და ზემოდან ვუთვალთვალებდი: აბა, გველი [illegible] მოძვრება-მეთქი, მაგრამ არაფერი არ გამოჩენილა. ჯემმა [illegible] ღრმად შეყო ჯოხი.

– გველმა ღრუტუნი იცის?

– გველი არაა, აქ ვილაცაა, – მითხრა ჯემმა.

უეცრად სანოლის ქვემოდან გაზინტლული ყავისფერი [illegible] ვარდა. ჯემის მოქნეული ჯოხი კი ბენვზე ასცდა დილს, [illegible] ნოლს ქვემოდან გამოყო თავი.

– ღმერთო დიდებულო! – აღმოხდა ჯემს.

დილი ნანილ-ნანილ გამოდიოდა სანოლს ქვემოდან. [illegible] ყოფილა გაჭედილი. ბოლოს, როგორც იქნა, ფეხზე დადგა, [illegible] შალა, ტერფები აამოძრავა და კისერი მოისრისა. როცა [illegible] გაყინული სისხლი აუმოძრავდა, გვითხრა:

– გამარჯობა!

ჯემმა ისევ ღმერთს მოუხმო. მე კი ენა მუცელში ჩამივარდა.

– ცოტაც და, მოვკვდები, – გვითხრა მან, – რამე [illegible] გაქვთ?

გაბრუებულმა გავწიე სამზარეულოსკენ და ცოტა რძე და [illegible] მორჩენილი მჭადის ნატეხი მივუტანე. დილმა ყველაფერი [illegible] ხამებაში შთანთქა; როგორც საერთოდ სჩვეოდა, წინა კბილებით [illegible]

ბოლოს და ბოლოს, ენა ამოვიდგი და ვკითხე – აქ საიდან [illegible] მეთქი.

თურმე ძალიან რთული გზა გამოევლო. საჭმლით [illegible] ბულმა ყველაფერი გვიამბო: დილის ახალ მამას არ [illegible]

[illegible]. ჩაუმწყვდევია სარდაფში და ხელებზე ბორკილებიც დაუ- [illegible] ბიმბილით სიკვდილს თუ გადაურჩა, ამას ბედნიერ შემთხვევას უნ- [illegible]: გზად მიმავალ ფერმერს ბავშვის ყვირილი გაუგონია – [illegible], და სავენტილაციო არხში მუჭა-მუჭა ჩაუყრია ერთი ტომა- [illegible] ბარდა. ამის შემდეგ დილს გაუწყვეტია ჯაჭვები, რომლითაც [illegible] იყო მიბმული და მერიდიანიდან გამოქცეულა – ბორკილები [illegible] მაჯებზე ეკეთა. გზად მოხეტიალე მსახიობების დასს გადაჰ- [illegible], ისინი გაწვრთნილი ცხოველებით წარმოდგენებს აწყობდნენ და [illegible] ბამბეულ აქლემის დაბანა დაავალეს. ამ დასთან ერთად დილი მი- [illegible] მოგზაურობდა, მერე გუმანით უგრძნია, ებოტის ოლქში ვიმ- [illegible], ასე რომ, მეიკომამდე ერთი მდინარელა მაშორებსო. ჰოდა, [illegible] გადმოულახავს და დანარჩენი გზა ფეხით უვლია.

– [illegible] რიგორ გაჩნდი? – ჩაეკითხა ჯემი.

[illegible] ოქროამისის საფულიდან ცამეტი დოლარი აუწაპნია, მერიდი- [illegible] ცხრასაათიან მატარებელზე დამჯდარა და მეიკომის გზაჯვარე- [illegible] ჩამოსულა. პოლიციელებს რომ არ ჩავარდნოდა ხელში, ჯაგ- [illegible] ამოუტეხია. მერე კი ბამბით დატვირთულ ურიკაზე შესკუპებულა [illegible] მეიკომამდე.

– [illegible] საათი მაინც იქნება, რაც სანოლის ქვეშ გელოდებით, – გა- [illegible] მან, – ჯერ იყო და, სასადილოდან დანა-ჩანგლის ხმაურმა კი- [illegible] ქვეშიდან შემშალა. მერე ხო აღარ დაგადგათ საშველი – არ იქნა, [illegible] ოთახებში აღარ შემოხვედით.

[illegible] ისიც უფიქრია – ჭყიტას ჯემის ცემაში ხომ არ მივეშველო, [illegible] გაიზარდაო. მაგრამ იცოდა, ადრე თუ გვიან ატიკუსი გაგ- [illegible] და იქ დარჩენა არჩია, სადაც იყო.

– [illegible] ნარმოიდგენთ, როგორი დაღლილი და ჭუჭყიანი ვარ, მაგრამ [illegible] იქნა, სახლში მოვედიო, – დაასრულა დილმა თხრობა.

– [illegible], ეტყობა, არ იციან, სადა ხარ, არა? – უთხრა ჯემმა, – [illegible] რომ გეძებდნენ, ჩვენც ხომ გავიგებდით.

– [illegible] ჯერ კიდევ მერიდიანის კინოთეატრებში დამეძებენ, – ჩაე- [illegible].

– [illegible] მეატყობინო დედაშენს, სადა ხარ, – უთხრა ჯემმა, – უნდა [illegible], რომ აქა ხარ...

დილს თვალები აუელვარდა და ისე გახედა, რომ ჯემმა ძირს დაიხედა, მერე კი ადგა და ერთი ხელის მოსმით გაანადგურა ჩვენი ბავშვური მრწამსი – დერეფანში გავიდა და ატიკუსს დაუძახა.

– ატიკუს, სერ, ერთი წუთით აქ ვერ მოხვალ? – შორიდან მოგვესმა ჯემის ხმა.

მიუხედავად იმისა, რომ სახე ოფლსა და ტალახში ჰქონდა ამოსვრილი, დილს მაინც შევატყვე, რომ გაფითრდა. კინაღამ გული შემიღონდა: ატიკუსი კარის ზღურბლს მოადგა.

მამა ოთახის შუაგულში შედგა. ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და უხმოდ დააცქერდა დილს.

გაჭირვებით ვძლიე თავს და ხმა ამოვიღე:

– დილ, ყველაფერი რიგზეა, ნუ გეშინია, მამა სათქმელს პირდაპირ გეტყვის, არ მოგატყუებს.

დილმა შემომხედა.

– მართლა გეუბნები, დილ, ყველაფერი რიგზეა, – ვუთხარი ისევ, – ხო იცი, ატიკუსი არ შეგაწუხებს, ატიკუსის ნუ გეშინია.

– არც მეშინია... – ჩაიბუტბუტა დილმა.

– სანაძლეოს დავდებ, მაგრად გშია, – ატიკუსის ხმა ჩვეულებისამებრ მშვიდად და რბილად ჟღერდა, – მე მგონი, ჭადის ნატეხზე უკეთესსაც ვიპოვით რამეს, ჭყიტა, რას იტყვი? მიდი ერთი, სანამ მოვბრუნდები, ეს ყმაწვილი კარგად დააპურე, მერე კი დანარჩენს მივხედოთ.

– მისტერ ფინჩ, დეიდა რეიჩელს ნურაფერს ნუ ეტყვით, უკან ნუ გამისტუმრებთ, სერ, ძალიან გთხოვთ! სულ ერთია, მაინც გავიქცევი...

– მოიცა, შვილო, დაწყნარდი, – უთხრა ატიკუსმა, – შენს გასტუმრებას აქედან არსადაც არ ვაპირებთ, ერთადერთი – ჯემის ოთახში დასაძინებლად თუ გაგისტუმრებთ სულ ცოტა ხანში. უბრალოდ, წავალ, და ვეტყვი მის რეიჩელს, რომ აქა ხარ. თან ვთხოვ, რომ ნება დაგრთოს, ღამე ჩვენთან გაათიო. შენც ეს არ გინდა? და თუ ღმერთი გწამს, დაუბრუნე ჩვენს ოლქს, რასაც დასესხებიხარ, თორემ ეროზიამ ისედაც მთლად გაგვიპარტახა მიწა.

დილი გაოცებული მიაჩერდა ოთახიდან მიმავალ ატიკუსს.

– გეხუმრა, ბიჭო, უნდოდა, ეთქვა, იბანავეო, – ვუთხარი დილს, – ხედავ? ხო გეუბნებოდი, არ შეგაწუხებს-მეთქი.

ჯემი ოთახის კუთხეში იდგა და ისე იყურებოდა, როგორც მოღალატეს შეეფერება.

– დილ, რომ არ მეთქვა, არ შეიძლებოდა, – უთხრა დილს, – როგორ შეიძლება, სამასი მილი ისე გაიარო, რომ დედამ არაფერი იცოდეს.

მე და დილი უსიტყვოდ გავედით ოთახიდან.

დილი ჭამდა, ჭამდა და ჭამდა... წინა ღამის მერე პირში ლუკმა აღარ ჩაედო. მთელი ფული ბილეთზე დაეხარჯა, მატარებელზე ავიდა (როგორც ადრე არაერთხელ უქნია) და არხეინად გაუბა საუბარი ვაგონის გამყოლს, რომელსაც დილი სახეზე ეცნო. მაგრამ ის კი ვეღარ გაბედა – გამყოლისთვის ფული გამოერთმია. წესით, შორ მანძილზე მოგზაურობისას თუ ბავშვი შემთხვევით ფულს დაკარგავს, შეუძლია, გამყოლს დაესესხოს, მატარებლიდან ჩასვლისას კი მამამისი გაისტუმრებს ვალს.

დილმა ვახშმის ნარჩენები რომ გადასანსლა, ბუფეტიდან კონსერვის გამოღება დააპირა. ამ დროს დერეფნიდან მის რეიჩელის "უი, ღმერთოო!" გაისმა. დილი ბაჭიასავით აცახცახდა.

და მაინც, მედგრად გადაიტანა დეიდამისის "დამაცალე, მობრძანდები სახლში... შენები ლამის ჭკუიდან გადავიდნენ ღელვისგან!", საკმაოდ მშვიდად მოისმინა მის რეიჩელის მომდევნო განცხადება – ეგ სულ მამაშენის სისხლია, ტვინს რომ გირევსო, გაელიმა, როცა გაიგონა – შეგიძლია, ამაღამ აქ დაიძინოო, და ბოლოს, როცა მის რეიჩელმა მაგრად ჩაიკრა გულში, ალერსითვე უპასუხა.

ატიკუსმა სათვალე შუბლზე აიწია და სახე მოისრისა.

– მამათქვენი დაღლილია, – გვითხრა მამიდაჩვენმა. ბოლო რამდენიმე საათის განმავლობაში მან პირველად გაგვცა ხმა. მართალია, ყველაფერი მისი თანდასწრებით მოხდა, მაგრამ მგონი, გაოცებისგან ენა წაერთვა, – ბავშვებო, ახლა დაწექით და დაიძინეთ.

უფროსები სასადილო ოთახში დავტოვეთ. ატიკუსი ისევ თვალებს იფშვნეტდა.

– გაუპატიურება, ჩხუბი, სახლიდან გაქცევა, – მოვკარით ყური, როგორ თქვა და ჩაიცინა ატიკუსმა, – ნეტა მომავალი ორი საათი რაღას გვიქადის!

რაკი ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა, მე და დილმა გადავწყვიტეთ, ჯემს არ გავბუტვოდით. თანაც დილს ხომ ჯემთან ერთად უნდა დაეძინა, ასე რომ, მასთან ლაპარაკი მაინც მოგვიწევდა.

პიჟამა გადავიცვი. ერთხანს წიგნი ვიკითხე, მაგრამ მალე მივხვდი, რომ თვალები მეხუჭებოდა. დილი და ჯემიც მიჩუმებულიყვნენ. მაგიდის ნათურა ჩავაქრე და დავინახე – ჯემის ოთახშიც ბნელოდა: კარის ღრიჭოში სინათლე არ ბჟუტავდა.

ალბათ კარგა ხნის ჩაძინებული ვიყავი, როცა შენჯღრევისგან გამომეღვიძა: ოთახი ჩამავალი მთვარის მკრთალი შუქით იყო განათებული.

– ცოტა ჩაინიე, ჭყიტა.

– დილ, ნუ ბრაზობ ჯემზე, მაგას ეგონა, სწორად იქცეოდა, – ჩავიბურტყუნე მე.

დილი გვერდით მომინვა.

– არ ვბრაზობ, უბრალოდ, შენთან მინდა დაძინება. გღვიძავს?

კი გამეღვიძა, მაგრამ ჯერ ისევ ბურანში ვიყავი.

– ასე რატომ მოიქეცი?

დილმა პასუხი არ გამცა.

– რატომ გამოიქეცი-მეთქი სახლიდან? მამაშენი მართლა ისეთი საზიზღარია, როგორც გვითხარი?

– არაა...

– წერილში რო მწერდი, ნავს ვაკეთებთო, აღარ გააკეთეთ?

– დამპირდა, გავაკეთებო, მაგრამ აღარ გაუკეთებია.

თავით ხელებს დავეყრდენი. ასე დილის პროფილს ვხედავდი.

– ეგ არაა სახლიდან გასაქცევი მიზეზი. უფროსები იმის ნახევარსაც არ ასრულებენ, რასაც დაგპირდებიან ხოლმე.

– მაგიტომ არ გამოვქცეულვარ, იმას... იმათ მე სულ არ ვაინტერესებ...

ასეთი უცნაური მიზეზის გამო ვინმე რომ სახლიდან გაქცეულიყო, ჯერ არ გამიგონია.

– ეგ როგორ, ამიხსენი?

– როგორ და, მთელი დღე სახლში არ არიან, და თუ არიან, მაშინაც სხვა ოთახში გადიან და თავისთვის სხედან, ცალკე.

– მერე, რას აკეთებენ იქ?

– არაფერს. სხედან და კითხულობენ. ოღონდ არ უნდათ, რომ მეც იქ ვიყო.

ბალიში საწოლის თავს მივაყრდენი და წამოვჯექი.

– იცი, რას გეტყვი? ამ საღამოს სახლიდან გაქცევას ვაპირებდი და გითხრა, რატომ? იმიტომ, რომ ყველანი სახლში იყვნენ. სულ რომ სახლში იყვნენ, მაგათ რა გაუძლებდა!

დილმა საცოდავად ამოიხვნეშა.

– ღამე მშვიდობისა... ატიკუსი ხანდახან მთელი დღე წასულია, ზოგჯერ ღამესაც სამსახურში ათევს. რა ვიცი, რა გითხრა კიდევ... სულ რომ გვერდით იყვნენ, მაშინ ხომ საერთოდ ვერაფერს ვერ ვიზამდით...

– არა, მე მაგაზე არ ვამბობ...

დილი შეეცადა აეხსნა ჩემთვის, რას გულისხმობდა, მე კი იმაზე დავიწყე ფიქრი, როგორი ცხოვრება მექნებოდა, ჯემი რომ სხვანაირი იყოს, ისეთი მაინც არ იყოს, როგორიც ბოლო ხანებშია; ან რას ვიზამდი, ატიკუსს ჩემი სიახლოვე, დახმარება და რჩევა რომ არ სჭირდებოდეს? ის ხომ ერთ დღესაც ვერ გაძლებს უჩემოდ... ეგ კი არა, კელპურნიაც ვერ აიტანს უჩემობას: მათ მე ვჭირდები.

– დილ, შენ რაღაცა გეშლება... ისინი უშენოდ ნამდვილად ვერ გაძლებენ, ეტყობა, უბრალოდ, ცუდად გექცევიან. იცი, მაგაზე რას გეტყვი...

დილის ხმა სიბნელეში მტკიცედ აუღერდა:

– არა, ჭყიტა, აი, რა მინდა გითხრა... ისინი უჩემოდ ბევრად უკეთ გრძნობენ თავს, ნამდვილად ვიცი – არაფერში არ ვჭირდები. ცუდად არ მექცევიან, რასაც მინდა, მაშინვე მიყიდიან ხოლმე, მაგრამ მარტო იმისთვის, რომ მერე მითხრან: ხო გიყიდეთ, ახლა მიდი და ითამაშეო... მთელი ოთახი სათამაშოებითა მაქვს გამოტენილი... ხომ მოგიტანე წიგნი, მერე, მიდი და წაიკითხეო, – დილმა აქ ხმის დაბოხება სცადა: "არა, შენ ბიჭი არა ხარ. ბიჭები ეზოში გადიან და თავის ტოლებს ბეისბოლს ეთამაშებიან, შენსავით კი არ ედებიან ფეხებში უფროსებს..."

მერე ისევ თავისი ხმით განაგრძო:

– არა, ცუდად არ მექცევიან. წარამარა მკოცნიან – დილას, საღამოს, გამომშვიდობებისას. მეუბნებიან – ძალიან გვიყვარხართო... ჭყიტა, არ გინდა, ბავშვი ავიყვანოთ?

– საიდან?

დილს თურმე სმენია, რომ არის ერთი კაცი, რომელსაც აქვს ნავი, ნავი კი იმისთვის სჭირდება, რომ ნისლით დაბურულ კუნძულთან მი-

ცურდეს. ბავშვები სწორედ იმ კუნძულიდან მოჰყავთ, შეგიძლია დაუკვეთო, და...

– ტყუილია, მამიდამ მითხრა – ღმერთი ბავშვებს საკვამურიდან უშვებსო. ყოველ შემთხვევაში, მისი ნათქვამიდან ასე გავიგე... ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა მამიდაჩემმა, ცოტა არ იყოს, არადამაჯერებლად გამოთქვა თავისი მოსაზრება...

– არც ეგაა მართალი. ადამიანებს ბავშვები ერთმანეთისგან უჩნდებათ. მაგრამ ის კაციც არსებობს, რომელსაც ბავშვები ჰყავს. მარტო სულის ჩაბერვაა საჭირო და გაიღვიძებენ.

დილი ისევ ოცნებას მიეცა. მის ძილნარევ გონებაში მშვენიერი ხილვები ირეოდა. ჩემთან შედარებით ბევრად მეტი წიგნი ჰქონდა წაკითხული, მაგრამ საკუთარი წარმოსახვის ხიბლი ყველაფერს ერჩივნა. ელვისებური სისწრაფით იყვანდა მაგალითებს გაყოფა-გამრავლებაზე, მაგრამ გული ზღაპრული სამყაროსკენ უფრო მიუწევდა, სამყაროსკენ, სადაც ჩვილი ბავშვები ყვავილებივით მიმობნეულან ნისლით დაბურულ კუნძულზე და ნავიანი კაცის მოსვლას ელიან... ნელ-ნელა, ლაპარაკლაპარაკით დილი ძილის სამყაროს უახლოვდებოდა და მეც თან მივყავდი. მაგრამ ნისლით დაბურული კუნძულის სიჩუმეში თანდათან რუხი, მოჟამული სახლი გამოიკვეთა, თავისი ყავისფერი კარით.

– დილ?

– ჰმმ?

– როგორ ფიქრობ, ბუა რედლი სახლიდან რატომ არ გაიქცა?

დილმა ძალიან ღრმად ამოიოხრა და ჩემკენ ზურგით შებრუნდა.

– იქნებ გასაქცევი ადგილი არ ეგულებოდა...

15

დილის ჩამოსვლას უამრავი სატელეფონო ზარი მოჰყვა – დამნაშავე პატიებას ითხოვდა; ბოლოს დედამისმა გრძელი წერილი გამოუგზავნა, შვილს შეცოდება მიუტევა და გადაწყდა – დილი მეიკომში დარჩებოდა. ერთი კვირა მშვიდობიანად გავატარეთ. მაგრამ სულის მოთქმა ძლივს მოვასწარით, რომ ნამდვილ ხათაბალას გადავეყარეთ.

ყველაფერი ერთ საღამოს ნავახშმევს დაიწყო. დილი ჩვენთან იყო; მამიდა ალექსანდრა, ჩვეულებისამებრ, ოთახის კუთხეში, თავის სავარძელში იჯდა; ატიკუსიც თავის სავარძელში მოკალათებულიყო. მე და ჯემი იატაკზე წამოგორებულები ვკითხულობდით. იმ კვირამ მშვიდობიანად ჩაიარა: მე მამიდაჩემს ვუჯერებდი, ჯემი კი, მართალია, ხის სახლში თამაშის ასაკიდან გამოვიდა, მაინც მოგვეხმარა მე და დილს ბაწრის კიბის გაკეთებაში; ბუა რედლის შინიდან გამოსატყუებლად დილმა ახალი ბრწყინვალე გეგმა დაანყო, ოღონდ ისე, რომ ამჯერად არავითარი საფრთხე არ გველოდა (რედლების სახლის უკანა კიბიდან წინა აივნამდე ლიმონის კანფეტებს დავყრიდით და ბუა, რა თქმა უნდა, ჭიანჭველასავით გამოჰყვებოდა მათ კვალს). ამ დროს ჩვენი სახლის კარზე კაკუნი გაისმა. ჯემი კარის გასაღებად გავიდა და გვითხრა – მისტერ ჰეკ ტეიტი მოვიდაო.

– მერე, სთხოვე, შემოვიდეს, – უთხრა ატიკუსმა.

– უკვე ვთხოვე. იქ, ეზოში, ვიღაც კაცები დგანან და გეძახიან – გარეთ გამოვიდესო.

მეიკომელ მამაკაცებს შუაგულ ეზოში დგომას ორად ორი რამ თუ აიძულებს: ვინმეს გარდაცვალება ან პოლიტიკა. ნეტა ვინ მოკვდა-მეთქი, გავიფიქრე. მე და ჯემი გასასვლელად მოვემზადეთ, მაგრამ ატიკუსმა დაგვიძახა – შინ დარჩითო.

ჯემმა სასტუმრო ოთახში შუქი ჩააქრო და ფანჯრის ბადეს ლამის ცხვირი მიაჭეჭყა. მამიდა ალექსანდრამ დაუშალა, მაგრამ ჯემმა უთხრა – ერთი წამით, მამიდ, მარტო ვნახავ, ვინ არიანო.

მე და დილმა მეორე ფანჯარას მივაშურეთ. ატიკუსი მამაკაცების ჯგუფით იყო გარშემორტყმული. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს ყველა ერთდროულად ლაპარაკობსო.

– ...ხვალ საოლქო ციხეში უნდა გადავიყვანოთ, – გავიგონე მისტერ ტეიტის ხმა, – სულ არ მინდა, ხათაბალას გადავეყაროთ, მაგრამ გარანტიას ვერ მოგცემთ, რომ რამე არ...

– რას სულელობ, ჰეკ, – უთხრა ატიკუსმა, – დაგავიწყდა, სადა ვართ? ეს ხომ მეიკომია.

– რაღაც უსიამოვნო გრძნობა მაქვს...

– ჰეკ, ჩვენ ხომ საქმე სწორედ იმისთვის გადავადებინეთ, რომ უსიამოვნებას არ გადავყროდით. დღეს შაბათია, – თქვა ატიკუსმა, – პროცე-

სი ალბათ ორშაბათს დაინყება. ნუთუ ერთ ღამეს ვერ გაატარებინებ აქ? არა მგონია, მეიკომში ვინმემ კლიენტი დამამადლოს, მით უმეტეს, ასეთი გაჭირვების დროს...

მამაკაცების ჯგუფს გამხიარულება დაეტყო, მაგრამ ყველა ერთბაშად გაჩუმდა, როცა მისტერ ლინკ დიზმა თქვა:

– აქაურები კი არაფერს აპირებენ, მაგრამ იმათ რა ვუყოთ – ძველი სარუმის თავზეხელაღებულ ბინადრებს... არ შეგიძლიათ მოითხოვოთ... ჰეკ, რა ქვია მაგას?

– "საქმის სხვა ოლქში განხილვა", – უკარნახა მისტერ ტეიტმა, – არა, მაგას ახლა აზრი აღარა აქვს, რას იტყვით?

ატიკუსის პასუხი ვერ გავიგონე. ჯემს მივუბრუნდი, მაგრამ მან ხელით მანიშნა – გაჩუმდიო.

– ...ეგეც არ იყოს, განა იმ ბრბომ შეგაშინათ, ჰეკ?

– ...არ გინახავთ, რა დღეში არიან, როცა დალევენ ხოლმე?

– კვირადღეს საერთოდ არ სვამენ, თითქმის მთელ დღეს ეკლესიაში ატარებენ... – მიუგო ატიკუსმა.

– ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს განსაკუთრებული შემთხვევაა... – თქვა ვილაცამ.

მერე საერთო საუბარი გაჩაღდა. ყველანი ერთხმად ჩურჩულებდნენ და მამიდამ ჯემი გააფრთხილა – თუ მისაღებ ოთახში სინათლეს არ აანთებ, ოჯახს შეარცხვენო. ჯემმა ყურიც არ ათხოვა.

– ვერ გამიგია, მაინც რამ მოგაკიდებინა ხელი ამ საქმისთვის, – ამბობდა მისტერ ლინკ დიზი, – ეს ხომ ყველაფრის დაკარგვას უდრის, ატიკუს, ყველაფრის.

– შენ რა, მართლა ასე ფიქრობ?

ეს სიტყვები ატიკუსის პირიდან მუქარად გაისმოდა: "შენ რა, მართლა ფიქრობ მაგ სვლის გაკეთებას?" – მკითხავდა ხოლმე ჭადრაკის თამაშისას და – ჰოპ, ჰოპ, ჰოპ! დაფა ერთი ხელის მოსმით იცლებოდა ჩემი ფიგურებისგან, ანდა: "შენ მართლა ასე ფიქრობ, შვილო? მაშინ აი, ეს ნაიკითხე", – ეტყოდა ხოლმე ჯემს და ისიც მთელი საღამო უნდა მჯდარიყო და ჰენრი უ. გრედის წერილები ეკითხა.

– ლინკ, ის ბიჭი ელექტროსკამს ალბათ მაინც ვერ გადაურჩება, მაგრამ ეს არ მოხდება მანამ, სანამ ყველა არ გაიგებს სიმართლეს, – ატიკუსი აუღელვებლად ლაპარაკობდა, – სიმართლე კი თქვენ კარგად მოგეხსენებათ.

მსმენელები შეჩოჩქოლდნენ. როცა ატიკუსმა უკან დაიხია და კიბის პირველ საფეხურზე ავიდა, მათი ხმები შიშის მომგვრელად აუღერდა სიბნელეში. ყველანი მამაჩვენს მიუახლოვდნენ.

უეცრად ჯემმა დაიწივლა:

– ატიკუს, ტელეფონი რეკავს!

მამაკაცები შეკრთნენ და ოდნავ მიმოიფანტნენ. ამ ხალხს კარგად ვიცნობდით: აქ იყვნენ ვაჭრები, ქალაქელი ფერმერები, ექიმი რეინოლდსი და მისტერ ეიგერი...

– მერე, მიდი, შვილო, უპასუხე, – გამოსძახა ატიკუსმა.

ყველამ ერთხმად გადაიხარხარა და ცოტა ხანში დაიშალნენ კიდეც.

როცა ატიკუსმა სასტუმრო ოთახში ჭაღი აანთო, ჯემი ისევ ფანჯარასთან იდგა: მიტკლისფერი დასდებოდა, თუ არ ჩავთვლით შენითლებულ ლაქას ცხვირზე – ფანჯრის ბადის ანაბეჭდს.

– გამაგებინეთ ერთი, რას აკეთებთ ამ სიბნელეში? – გვკითხა ატიკუსმა.

ჯემმა მამას თვალი გააყოლა: ატიკუსმა გაზეთი აიღო და თავის საავარძელს მიაშურა. ზოგჯერ მგონია, ურთულეს ცხოვრებისეულ საკითხებზე ფიქრს იგი ყველაზე უკეთ გაზეთს ამოფარებული ახერხებდა; იქნებოდა ეს "მობაილ რეჯისტერი", "ბირმინგემ ნიუსი", თუ "მონტგომერი ედვერტაიზერი"...

– შენ მოგაკითხეს, არა? – ჰკითხა ჯემმა და მამას მიუახლოვდა, – უნდოდათ, შენთვის ანგარიში გაესწორებინათ, ხომ?

ატიკუსმა გაზეთი ჩასნია და ჯემს მიაჩერდა.

– მაინც, რა მოგელანდა ასეთი? – ჰკითხა, მერე კი რბილად უთხრა, – არა, შვილო, ესენი ჩვენი მეგობრები არიან.

– როგორ, ეს... ეს ბანდა არ იყო? – ჯემი ცერად გასცქეროდა მამას.

ატიკუსმა ღიმილის შეკავება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა.

– არა. მეიკომში "ბანდები" და ეგეთი სისულელეები არ არსებობს. ვის გაუგია "ბანდა" – მეიკომში?!

– ერთი პირობა "კუ-კლუქს კლანი" ხო დაერია კათოლიკეებს...

– არც მეიკომელ კათოლიკეებზე მსმენია რამე, – უთხრა ატიკუსმა, – ეტყობა, შენ ეგ სხვა რამეში აგერია. კარგა ხნის წინათ, ოციან წლებში,

კლანი მართლაც არსებობდა, ოღონდ ის პოლიტიკური ორგანიზაცია უფრო იყო, ვიდრე სხვა რამე. და უნდა გითხრა, იმათი შეშინებული კაცი არ მინახავს... ერთ ღამეს მისტერ სემ ლივის სახლის წინ მოაწყვეს დემონსტრაცია, მაგრამ ბატონი სემი არხეინად გადმოდგა თავის აივანზე და ხალხს მიმართა – ეტყობა, საქმე ცუდად წაგსვლიათ, რაკი აქ მოსულებს ჩემგან ნაყიდი ტილოს ანაფორები ჩაგიცვამთო; ისეთი სირცხვილი აჭამა, მაშინვე დაიშალნენ.

ლივის ოჯახის წარმომადგენლები ყველა მონაცემით კეთილშობილი ხალხი იყო: თავის ნიჭსა და უნარს უქმად არ ფანტავდნენ, თანაც, მეიკომში მათი გვარის უკვე მეხუთე თაობა სახლობდა ფეხმოუცვლელად.

– "კუ-კლუქს კლანი" წარსულს ჩაბარდა, – უთხრა ატიკუსმა, – და აღარასოდეს აღარ აღდგება.

დილი სახლამდე მივაცილე. უკან რომ მოვბრუნდი, საუბრის ბოლოს მივუსწარი. ატიკუსი მამიდაჩემს მიმართავდა: "... სამხრეთელი ქალების კეთილი სახელი სხვებზე ნაკლებად არც მე მაღელვებს, მაგრამ ვერავის გულის მოსაფონებლად ვერ დავიცავ სიცრუეს ადამიანის სიცოცხლის ფასად." ამ განცხადებამ ეჭვი აღმიძრა, რომ და-ძმამ ისევ იჩხუბეს.

ახლა ჯემის საძებრად გავწიე. თავის ოთახში დამიხვდა. ფიქრებში ნასული საწოლზე იჯდა.

– იჩხუბეს? – ვკითხე მე.

– თითქმის. ამ ტომ რობინსონით ლამისაა, ტვინი ამოულოს. ცოტა უკლია და, ეტყვის – ოჯახს არცხვენო. ჭყიტა... მეშინია.

– რისი?

– ატიკუსის ამბავი მაშინებს. შეიძლება, ვინმემ რამე დაუშავოს... – ჯემმა ამჯობინა, იდუმალებით მოეცვა ეს საკითხი და ყველა მომდევნო კითხვაზე ასეთი პასუხი გამცა – ნადი, თავი გამანებეო.

მეორე დღეს კვირა იყო. საკვირაო სკოლასა და წირვას შორის შესვენების დროს, როცა ხალხი ეკლესიიდან სულის მოსათქმელად ეზოში გავიდა, ატიკუსი შევნიშნე: ისევ მამაკაცების ჯგუფით იყო გარშემორტყმული. მისტერ ჰეკ ტეიტიც იქვე იდგა და გავიფიქრე, ნუთუ მისტერ ჰეკმა ღმერთი იწამა-მეთქი? ეკლესიაში მოსულს პირველად ვხედავდი. თვით მისტერ ანდერვუდიც კი მობრძანებულიყო: იგი ხომ არავითარ ღონისძიებაში არ იღებდა მონაწილეობას, გარდა "მეიკომ ტრიბუნის"

გამოცემისა, რომლის ერთადერთი მფლობელი, რედაქტორი და მბეჭდავიც თვითონ გახლდათ; თავისი დღე და მოსწრება ლინოტიპს უჯდა და წარამარა ხუხავდა ლიქიორს დოქიდან, რომელსაც გვერდიდან არ იცილებდა. ახლა ამბების შესატყობად სიარული თითქმის არ უწევდა – ხალხს თავისი ფეხით მიჰქონდა ცნობები მასთან. ამბობდნენ, "მეიკომ ტრიბუნის" ყოველი ნომერი თავიდან ბოლომდე მისი შეთხზულია და პირდაპირ ლინოტიპზეა აწყობილიო. ამის დაჯერება არაა ძნელი. დღეს, რაკი მისტერ ანდერვუდს თავი შეენუხებინა და გარეთ გამოსულიყო, ეტყობა, რაღაც უჩვეულო ხდებოდა.

ეკლესიის კართან ატიკუსი შემხვდა და მითხრა, ტომ რობინსონი საოლქო ციხეში გადაჰყავთო. აგრეთვე მითხრა (მე მგონი, საკუთარი თავის გასაგონად უფრო ამბობდა ამას) – თავიდანვე ასე რომ მოქცეულიყვნენ, ეს აურზაურიც აღარ ატყდებოდაო. მერე მამა თავისი სკამისკენ გაემართა, მესამე რიგში დაჯდა და გავიგონე კიდეც, როგორ დასჭექა "ვილტვი, უფალო, შენკენ". დაგვიანებით ჩაერთო საერთო გალობაში. ატიკუსი არასოდეს არ ჯდებოდა მამიდაჩემის, ჯემისა და ჩემ გვერდით, ეკლესიაში განმარტოებას ამჯობინებდა.

მამიდა ალექსანდრას ჩამოსვლამ კვირადღეს გამეფებული ყალბი სიმშვიდე კიდევ უფრო აუტანელი გახადა: ნასადილევს ატიკუსი სასწრაფოდ თავის ოთახს მიაშურებდა; როცა არ უნდა შეგვეჭყიტა, თავის მბრუნავ სავარძელში იჯდა და კითხულობდა; მამიდა ალექსანდრა ორსაათიან შუადღის ძილს "გამოაცხადებდა" ხოლმე და იმ დროს ეზოში ხმაურს გვიკრძალავდა – მეზობლებიც ისვენებენო; ჯემი, როგორც მის ასაკს შეეფერება, საფეხბურთო ჟურნალ-გაზეთების გროვას მოიმარჯვებდა და თავის ოთახში იკეტებოდა. ასე რომ, მე და დილს ისღა დაგვრჩენოდა, "ირმის საბალახოზე" გვებორიალა.

კვირა დღეს მიზანში სროლაც გვეკრძალებოდა, ამიტომ მე და დილმა ერთხანს ბურთი ვაგორეთ მდელოზე, მაგრამ მალე მოგვწყინდა. დილმა მკითხა – არ გინდა, ბუა-რედლის შევავლოთ თვალიო? მე კი მივუგე – აბა, რატომ უნდა შევაწუხოთ ტყუილად-მეთქი, და დილს საღამომდე შარშანდელი ზამთრის ამბებს ვუყვებოდი. ამან მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ვახშმობის დრო რომ მოახლოვდა, დავიშალეთ. ნავახშმევს მე და ჯემი, ჩვეულებისამებრ, საკითხავად მოვემზადეთ, შაგრამ ჩვენი ყუ-

რადღება ატიკუსის უცნაურმა საქციელმა მიიპყრო: იგი სასტუმრო ოთახში შემოვიდა, ხელში ელექტროდამაგრძელებელი ეკავა, რომელსაც ცალ კიდეზე ნათურა ჰქონდა მიმაგრებული.

– ცოტა ხნით უნდა დაგტოვოთ, – გვითხრა მან, – ბავშვებო, როცა მოვბრუნდები, ალბათ დაძინებული დამხვდებით, ასე რომ, ღამე მშვიდობისას წინასწარ გისურვებთ.

ატიკუსმა ქუდი დაიხურა და უკანა გასასვლელით გავიდა.

– მანქანა გამოჰყავს! – მითხრა ჯემმა.

მამაჩვენს რამდენიმე უცნაურობა სჭირდა: პირველი – არასოდეს არ შეექცეოდა დესერტს; მეორე კი ის, რომ ფეხით სიარული უყვარდა. რაც თავი მახსოვს, გარაჟში შესანიშნავად შენახული "შევროლე" გვედგა, რომლითაც ატიკუსს მრავალი მილი გაევლო საქმიანი მოგზაურობებისას, მაგრამ სამსახურში უმანქანოდ სიარულს არჩევდა და ყოველდღიურად დაახლოებით ორ მილს გადიოდა ფეხით. ატიკუსი ამბობდა – ჩემი ერთადერთი ვარჯიში სეირნობაა. სხვათა შორის, მეიკომში გაბატონებულია აზრი, ადამიანს, რომელსაც უმიზნოდ შეუძლია სეირნობა, არ შეიძლება ჰქონდეს მიზანი ცხოვრებაში.

მოგვიანებით, როცა მამიდაჩემს და ჯემს ღამე მშვიდობისა ვუსურვე და წიგნის კითხვას შევუდექი, ჯემის ოთახიდან საეჭვო შარიშური მომესმა. ჩემი ძმის ყოველ გაფაჩუნებას კარგად ვცნობდი და მივხვდი – რაღაც უჩვეულო ხდებოდა. კარზე მივუკაკუნე და ვკითხე:

– რატომ არ წვები?

– ცოტა ხნით ქალაქში უნდა ჩავიდე.

ჯემი ახლა შარვალს იცვლიდა.

– რატომ, ჯემ? სადაცაა, ათი საათი გახდება.

ეს უჩემოდაც კარგად იცოდა და მაინც აპირებდა წასვლას.

– მაშინ მეც გამოგყვები. რომც დამიშალო, მაინც წამოვალ, გესმის?

ჯემი მიხვდა – სახლში დარჩენას უჩხუბრად ვერ მაიძულებდა, ჩხუბი კი მამიდა ალექსანდრას გააბრაზებდა, ასე რომ, იძულებული იყო, დამთანხმებოდა.

სწრაფად ჩავიცვი. ვადროვეთ, სანამ მამიდა თავის ოთახში შუქს ჩააქრობდა და უხმაუროდ გავედით უკანა კარით. უმთვარო ღამე იყო.

– დილსაც მოუნდება წამოსვლა, – ჩურჩულით ვუთხარი ჯემს.

– მოუნდება და წამოვა კიდეც, – პირქუშად მომიგო მან.

სამანქანო გზის გასწვრივ ღობეს გადავახტით, მის რეიჩელის გვერდითა ეზო გადავკვეთეთ და დილის ფანჯარას მივადექით. ჯემმა სტვენით მისცა ნიშანი. დილმა გამოიხედა და გაუჩინარდა. ხუთი წუთის შემდეგ ფანჯარა გააღო და გადმოძვრა. როგორც გამოცდილ კაცს შეეფერება, ხმა მანამ არ ამოუღია, სანამ ტროტუარზე არ გავედით.

– რა ხდება?

– ჯემი ხეტიალის გუნებაზეა. კელპურნიამ მითხრა, ეს უბედურება ყველა ბიჭს სჭირს ჯემის ასაკშიო.

– უბრალოდ, ვერ მოვისვენე, რატომღაც ვერ მოვისვენე, – უთხრა ჯემმა.

ახლა მისიზ დუბოუზის სახლს ჩავუარეთ – იდგა დაცლილი, გადარაზული კარ-ფანჯრებით; ეზოში კამელიების გვერდიგვერდ სარეველა ბალახი ამოზრდილიყო. ქუჩის კუთხემდე, სადაც ფოსტის შენობა იდგა, კიდევ რვა სახლთან უნდა ჩაგვევლო.

მოედნის სამხრეთი მხარე უკაცრიელი იყო. ოთხივე კუთხეში ჯაგარა, ტანაყრილი არაუკარიები იდგა, მათ შორის გადებული ფოლადის ჯებირები ღამის შუქზე ელავდნენ. სასამართლო ჩაბნელებული იყო, მხოლოდ საზოგადოებრივ ტუალეტში ენთო შუქი. სასამართლოს კვადრატული შენობა მოედნის უფრო დიდ კვადრატში მოქცეულიყო, რომელსაც მაღაზიებისა და ფარდულების ოთხი მწკრივი წარმოქმნიდა. მაღაზიების სილრმეში მკრთალად ბჟუტავდა სინათლე.

როცა ატიკუსმა ვექილის საქმეს მიჰყო ხელი, თავიდან სასამართლოს შენობაში გამოუყვეს ოთახი, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ მეიკომის უფრო მყუდრო უბანში გადაინაცვლა – ბანკის შენობაში. როცა ქუჩის კუთხეში შევუხვიეთ, მოედანზე ბანკის წინ მდგომი მანქანა დავინახეთ.

– იქ არის, – გვითხრა ჯემმა.

მაგრამ ჯემი მოტყუვდა: ატიკუსის ოთახის კარი ვიწრო დერეფნის ბოლოში გამოდიოდა. მამა რომ იქ ყოფილიყო, პატარა ასოებით გამოყვანილ განათებულ წარწერას დავინახავდით – "ატიკუს ფინჩი, ვექილი", მაგრამ ახლა იქ ბნელოდა.

ჯემმა ხელმეორედ შეიჭყიტა ბანკის შენობის კარში და სახელური გადაატრიალა. კარი არ გაიღო.

– მოდი, ქუჩას აღმა ავუყვეთ, შეიძლება, მისტერ ანდერვუდთან იყოს.

მისტერ ანდერვუდი "მეიკომ ტრიბუნში" არამარტო რედაქტორად მუშაობდა, ცხოვრობდა კიდეც გამომცემლობაში; უფრო სწორად, გამომცემლობის თავზე. იმისთვის, რომ სასამართლოსა და ციხეში მომხდარი ახალი ამბები შეეტყო, საკმარისი იყო, მეორე სართულის ფანჯრიდან გადმოეხედა. მისი რედაქცია მოედნის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში იდგა, იქ მისასვლელად ჯერ ციხესთან უნდა ჩაგვეევლო.

მეიკომის სატუსაღო ქალაქის უძველესი და შიშის მომგვრელი შენობაა. ატიკუსისთვის რომ გეკითხათ, ასეთი შენობის აგება მარტო ჩვენი ნათესავის – ჯოშუა სენტ-კლერისთანა კაცს თუ მოუვიდოდა თავში. სატუსაღო მართლაც კოშმარულ მოლანდებასავითაა გამოჩხერილი სრულიად შეუფერებელ ადგილას – მოედნის კოპნია მაღაზიებსა და დამრეცსახურავიან სახლებს შორის. ეს მინიატურული ნაგებობა, სადაც განში, დიდი-დიდი, ერთი საკანი დაეტიოს, სიმაღლეში კი ორი, ქონგურებითა და კონტრფორსებით დამშვენებული გოთური ხუროთმოძღვრების კომიკურ ასოციაციას ინვევს. არქიტექტორის ნარმოსახვას საზღვარი არ ჰქონია – წითელი აგურის ფასადში ეკლესიის შესაფერი სარკმლები დაუტანია, რომლებზეც სქელი რკინის რიკულებია აჭედებული. მესმის კიდევ, სადმე განცალკევებით აეგოთ; არა, მაინცადამაინც "ტინდალის რკინა-კავეულსა" და "მეიკომ ტრიბუნის" რედაქციას შორისაა ჩაჭედილი. მეიკომის სატუსაღო ქალაქელებისთვის მითქმა-მოთქმის უშრეტი ნყაროა: ცილისმწამებლები გაიძახიან – ვიქტორიანულ საპირფარეშოს ნააგავსო, მისი მომხრენი კი ამტკიცებენ – ქალაქს ღირსებასა და სიდარბაისლეს მატებსო. ვერც ერთი არამეიკომელი ვერ ნარმოიდგენდა, რომ ეს შენობა ზანგებით იყო გამოჭედილი.

ტროტუარს ავუყევით და შორიახლოს ეულად მბჟუტავი ნათურა შევნიშნეთ.

– რა უცნაურია, – თქვა ჯემმა, – გარედან ციხეს განათება რომ არ აქვს?

– კარის თავზე, მგონი, ნათურა კიდია, – უთხრა დილმა.

მეორე სართულის ერთ-ერთი ფანჯრის გისოსებიდან ელექტროდამაგრძელებლის გრძელი მავთული დაბლა ეშვებოდა. ნათურის შუქზე, ციხის კართან ატიკუსი იჯდა. სკამი, როგორც ჩანს, დაწესებულებიდან

გამოეტანა; თავს დახვეულ ღამის პეპლებსა და მწერებს აინუნშიც არ აგდებდა, არხეინად იჯდა და კითხულობდა.

ატიკუსისკენ გასაქცევად რომ გავიწიე, ჯემმა შემაჩერა და მითხრა: ნუ მიხვალ, შეიძლება არ ესიამოვნოს. არაფერი ისეთი არ სჭირს, მოდი, სახლში დავბრუნდეთ. უბრალოდ, მინდოდა მენახა, სად იყო.

მოედანი მოკლეზე გადავჭერით. ამ დროს მერიდიანის შარაგზაზე ოთხი დამტვერილი მანქანა გამოჩნდა: ერთმანეთის მიყოლებით ნელა მიიწევდნენ წინ. მოედანს შემოუარეს, გასცდნენ ბანკის შენობას და სატუსაღოსთან შედგნენ.

მანქანებიდან არავინ გადმოსულა. დავინახეთ, ატიკუსმა გაზეთის ზემოდან როგორ გააპარა მათკენ თვალი; მერე გაზეთი დინჯად დაკეცა, მუხლებზე დაიდო და ქუდი უკან გადაიწია. ეტყობა, მანქანების გამოჩენა სულაც არ გაჰკვირვებია.

– ნავედით, – გვიჩურჩულა ჯემმა. მოედანი ელვის სისნრაფით გადავკვეთეთ და ერთ-ერთი მაღაზიის კარს ამოვეფარეთ. ჯემმა ტროტუარისკენ გაიჭყიტა. უფრო ახლოსაც შეგვიძლია მისვლაო, – გვითხრა. ახლა რკინა-კავეულის ფარდულის შესასვლელისკენ გავიქეცით. აქ ვერავინ დაგვინახავდა, თანაც, უფრო ახლოს ვიყავით.

მანქანებიდან ნელ-ნელა გამოეფინენ მამაკაცები – თითო-თითოდ ან ნყვილ-ნყვილად გამოდიოდნენ. როცა საპყრობილის კარისკენ დაიძრნენ, ჩრდილებმა ხორცი შეისხეს და ბრგე მამაკაცების ჯგუფი გავარჩიეთ. ატიკუსი ადგილიდან არ დაძრულა. მამაკაცები გარს შემოეხვივნენ. ახლა მამას ველარ ვხედავდით.

– მისტერ ფინჩ, ის აქ არის? – ჰკითხა ერთ-ერთმა.

– დიახ, აქ არის და სძინავს, ნუ გააღვიძებთ, – უპასუხა ატიკუსმა.

მამაჩემის ნათქვამს მოჰყვა ის, რაც მოგვიანებით იმ მძიმე ვითარების გულის ამრევად კომიკურ მხარედ აღვიქვი: მამაკაცებმა ჩურჩულით დაიწყეს ლაპარაკი.

– ხომ იცით, რისთვისაც მოვედით, გაეცალეთ კარებს, მისტერ ფინჩ.

– ჯობს, უკან გაბრუნდეთ და სახლში წახვიდეთ, უოლტერ, ჰეკ ტეიტი საღღაც შორიახლოსაა, – ზრდილობიანად მიუგო ატიკუსმა.

– შორიახლოს არა, ჩემი ფეხები! – თქვა მეორე კაცმა, – ჰეკი და მისი ბიჭები ახლა ისე ღრმად არიან ტყეში, იქიდან დილამდე ვერ გამოაღწევენ!

– მართლა? მერედა, რატომ?

– ტახზე სანადიროდ არიან, – გაისმა მოკლე პასუხი, – ამას კი ვერაფრით წარმოიდგენდით, არა, მისტერ ფინჩ?

– როგორ არა, გავიფიქრე, მაგრამ ვერ დავიჯერე. კარგი, მაშ, ვითარება შეცვლილა, არა? – მამა კვლავინდებურად მშვიდად ლაპარაკობდა.

– ნამდვილად, – გაისმა უფრო ბოხი ხმა. ვერ გავარჩიეთ, ვინ ლაპარაკობდა.

– თქვენ მართლა ასე ფიქრობთ?

გუშინდლიდან უკვე მეორედ გავიგონე, როგორ დასვა მამაჩემმა ეს შეკითხვა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ვიღაცა წაგებული დარჩებოდა. ამას ვერაფრით გამოვტოვებდი. მაშინვე მოვწყდი ადგილს და რაც ძალი და ღონე მქონდა, ატიკუსისკენ გავექანე.

ჯემმა წამოიყვირა და ჩემი დაჭერა სცადა, მაგრამ ვერც ერთი ვერ დამეწია – ვერც ჯემი და ვერც დილი, ხელით გავარღვიე ბნელი და მყრალი ბრბო და განათებულ წრეში შევვარდი.

– გამარჯობა, ატიკუს!

მეგონა, მოულოდნელად გავახარებდი, მაგრამ მისმა გამომეტყველებამ ყოველგვარი ხალისი გამიქარწყლა: ატიკუსმა – არც მეტი, არც ნაკლები – შიშნარევი მზერა მომაპყრო, მაგრამ როგორც კი სინათლეში დილი და ჯემი გამოჩნდნენ, შიში გაუქრა.

ირგვლივ ვისკისა და ბოსლის მყრალი სუნი ტრიალებდა და როცა ხალხს თვალი მოვავლე, მივხვდი – ყველანი უცნობები იყვნენ. ეს არ იყო ის ხალხი, ვინც გუშინ ღამით ელაპარაკა მამას. უცებ დამცეცხლა: დიდი ამბით შევიჭერი მამაკაცების წრეში, რომელთაგან არც ერთს არ ვიცნობდი!

ატიკუსი სკამიდან წამოდგა, მაგრამ ამჯერად ნელა მოძრაობდა, როგორც მოხუცი. ძალიან ფრთხილად დადო გაზეთი და დინჯად დაუსვა ხელი ნაკეცებზე – თითები ოდნავ უკანკალებდა.

– ჯემ, წადი სახლში. ჭყიტა და დილიც თან წაიყვანე.

საერთოდ, ატიკუსის მითითებებს უყოყმანოდ ვასრულებდით, რა თქმა უნდა – ხან ხალისით, ხან უხალისოდ, მაგრამ როგორც ვატყობდი, ამჯერად ჯემი ყურსაც არ იბერტყავდა.

– გითხარი თუ არა – სახლში წადით-მეთქი?!

ჯემმა თავი გააქნია. ატიკუსმა დოინჯი შემოირტყა. ჯემმა იგივე გააკეთა და მამას თვალი თვალში გაუყარა. ვუყურებდი ორივეს და ვფიქრობდი: თითქოს სრულებით არ ჰგვანან ერთმანეთს – ჯემს რბილი წაბლისფერი თმა და იმფერივე თვალები აქვს, მოგრძო სახის ოვალითა და კოხტა ყურებით დედაჩვენს ნააგავს; მისი გარეგნობა უცნაურად არ ესადაგება ატიკუსის ჭაღარა თმასა და დაკუთხულ ნაკვთებს; მაგრამ რაღაც მაინცა აქვთ საერთო: შეუპოვრობა.

– შვილო, ხომ გითხარი – წადი მეთქი სახლში.

ჯემმა თავი გააქნია.

– მაგას მე გავისტუმრებ სახლში, – თქვა ერთმა ჯანიანმა მამაკაცმა და ჯემს დაუდევრად ჩაავლო ქეჩოში ხელი. ისე შეაჯანჯღარა, ჯემმა ძლივს შეიმაგრა თავი, რომ არ წაქცეულიყო.

– ხელი არ ახლოთ! – ვიყვირე და იმ კაცს წიხლი ვუთავაზე. ფეხშიშველა ვიყავი და ძალიან გამიკვირდა, როცა ჩემი მსხვერპლი უკან გადაქანდა. აშკარად ძალიან ეტკინა. მინდოდა მუხლში მომერტყა, მაგრამ ცოტა მაღლა მომივიდა...

– კმარა, ჭყიტა, – ატიკუსმა მხარზე დამადო ხელი, -წიხლებს ნუ იქნევ, – მითხრა მან, როცა თავის გამართლება ვცადე.

– არავინ გაბედოს ჯემის წყენინება, – განვაცხადე მე.

– კმარა, მისტერ ფინჩ, დროა, ეგენი აქედან გაისტუმროთ, – მოუთმენლად თქვა ვიღაცამ, – თხუთმეტ წამს გაძლევთ!

ატიკუსი ამ უცნაური თავყრილობის შუაგულში იდგა და ჯემის დაყოლიებას ცდილობდა.

– არსადაც არ წავალ, – მტკიცედ უპასუხა ჯემმა ატიკუსის მუქარას, თხოვნას, და ბოლოს მუდარას – გთხოვ, ჯემ, ესენი მაინც წაიყვანე სახლშიო.

ამან, ცოტა არ იყოს, დამღალა, მაგრამ რადგან ჯემს არ ეშინოდა იმის, რაც სახლში მისვლის მერე ელოდა ატიკუსისგან, მაშასადამე, კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა.

ბრბოს თვალი მოვავლე, მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულის ღამე იყო, ყველას კომბინიზონები და ტილოს პერანგები ეცვა, თანაც, ყველა ღილზე საგულდაგულოდ შეკრული, გავიფიქრე – ალბათ მცივანები არიან-მეთქი, რადგან სახელოებიც კი არ ჰქონდათ აკაპიწებული (პირიქით,

ისინიც ღილებზე შეეკრათ). ზოგიერთს ყურებზეც კი ჩამოეფხატა ქუდი. დაბღვერილები, ისეთი ძილნარევი თვალებით იყურებოდნენ, ეტყობა, ადრე დაძინებას იყვნენ ჩვეული. კიდევ ერთხელ სათითაოდ ყველას შევავლე თვალი – იქნება რომელიმე მაინც ვიცნო-მეთქი და წრიულად მდგომი მამაკაცების შუაგულში მართლაც წავაწყდი ერთ ნაცნობ სახეს.

– გამარჯობა, მისტერ კანინგემ!

ეტყობა, კაცმა ვერ გაიგონა ჩემი სალამი.

– გამარჯობა, მისტერ კანინგემ, ისევ ძველებურად გაწუხებენ ბეგარებით?

მისტერ კანინგემის სამოქალაქო საქმეებში კარგად ვერკვეოდი: ერთხელ ატიკუსმა დაწვრილებით ამიხსნა მისი გაჭირვება. ამ ვეებერთელა კაცმა უცებ თვალები დაახამხამა და ხელის ცერები კომბინიზონის ბრეტელებქვეშ შეიყო.

აშკარად უხერხულად გრძნობდა თავს; ჩაახველა და მერე განზე გაიხედა. მასთან საერთო ენის გამონახვის მცდელობა წყალში ჩამეყარა.

მისტერ კანინგემს ქუდი არ ეხურა, მაგრამ შუბლის ზედა ნაწილი მზით დამწვარ სახესთან შედარებით თეთრი ჰქონდა, ამან მიმახვედრა, რომ საერთოდ, ქუდს ატარებდა. მან ფეხი მოინაცვლა – მძიმე საველე ფეხსაცმელი ეცვა.

– ნუთუ არ გახსოვართ, მისტერ კანინგემ, მე ჯინ ლუიზა ფინჩი ვარ, ერთხელ კაკლით სავსე ტომარა რომ მოგვიტანეთ, აღარ გახსოვთ? – თანდათან ვხვდებოდი, როგორი სიცარიელის გრძნობა ეუფლება ადამიანს, როცა ნაცნობი ვერ ცნობს.

– მე და უოლტერი ერთ კლასში ვსწავლობთ, – დავიწყე ისევ, – ის ხომ თქვენი შვილია? განა თქვენი შვილი არაა, სერ?

მისტერ კანინგემმა თანხმობის ნიშნად ძლივს შესამჩნევად დამიკრა თავი: სულ ერთია, მაინც ვერ მიცნო!

– ჩვენ ერთ კლასში ვართ. კარგად სწავლობს, საერთოდ, უოლტერი კარგი ბიჭია, – დავძინე მე, – მართლა კარგი ბიჭია! სადილად დავპატიჟეთ, იქნებ გიამბობთ კიდეც ჩემზე... ერთხელ გავლახე, მაგრამ სულ არ გადამემტერა, ძალიან კარგი ბიჭია. მოიკითხეთ ჩემგან, კარგი?

ატიკუსმა ერთხელ მითხრა – ზრდილობა მოითხოვს, ადამიანს იმაზე ესაუბრო, რაც მას აინტერესებს, და არა იმაზე, რაც შენ თვითონ გაინ-

ტერესებსო. მისტერ კანინგემი მისი ვაჟიშვილის ამბავმა სრულებით არ დააინტერესა, ამიტომ ისევ მის ბეგარებსა და "ხელმოკლეობას" მოვებღაუჭე და უკანასკნელად ვცადე ბედი მის "მოსაშინაურებლად".

ხელმოკლეობა ძალიან ცუდი რამეა-მეთქი, – დავიწყე და უცებ აღმოვაჩინე – მთელ თავყრილობას მივმართავდი. ყველანი მე მომჩერებოდნენ, ზოგიერთს პირიც კი დაეღო. ატიკუსმა ჯემს თავი გაანება. ჯემი, მამა და დილი გვერდიგვერდ იდგნენ. ისინიც მონუსხულებივით მომჩერებოდნენ – ატიკუსსაც ოდნავ დაღებოდა პირი. ერთხელ მითხრა, ყურადღების ნიშნად პირის დაღება გაუთლელმა ხალხმა იცისო. მამას თვალი გავუსწორე: პირი მაშინვე დამუწა.

– ატიკუს, უბრალოდ, მინდოდა მისტერ კანინგემისთვის მეთქვა, რომ ხელმოკლეობა და ბეგარები ძალიან ცუდი რამეა. მაგრამ შენ ხომ უთხარი – სადარდებელი არაფერი გვაქვსო, ზოგჯერ ამას კარგა ხანი სჭირდებაო... ყველა ერთად უნდა მოვერიოთ გაჭირვებასო... – თანდათანობით ამოვწურე სალაპარაკო თემა და გავიფიქრე – ეს რა სიბრიყვე მომივიდა-მეთქი: ხელმოკლეობა არაა საჯაროდ განსახილველი თემა...

ვიგრძენი – თმის ძირებიც კი გამიოფლიანდა. ყველაფერს ავიტანდი, ოღონდ ჩემზე მოჩერებულ ბრბოს კი ვერა, თითქმის გაუნძრეველად იდგნენ.

– რა მოხდა? – ვკითხე მე.

ატიკუსმა არაფერი არ მიპასუხა. ისევ შევბრუნდი და მისტერ კანინგემს შევხედე, რომელიც ისეთივე უგრძნობი გამომეტყველებით იდგა. მაგრამ უცებ მისტერ კანინგემმა სრულიად მოულოდნელი რამ ჩაიდინა. ჩაიკუზა და ორივე ხელი მხრებში ჩამავლო.

– თქვენს მოკითხვას აუცილებლად გადავცემ უოლტერს, პატარა ლედი, – მითხრა მან.

მერე ტანში გაიმართა, ვეება ხელი აიქნია და დაიძახა:

– აბა, დავიშალოთ, წავედით აქედან, ბიჭებო.

კაცები უკან იმავე წესით გაბრუნდნენ, როგორც მოვიდნენ – თითოთითოდ, ან წყვილ-წყვილად ჩასხდნენ თავ-თავიანთ დანჯღრეულ მანქანებში, კარები გაიჯახუნეს, ძრავები აახმიანეს და წავიდნენ.

მე ატიკუსს მივუბრუნდი, მაგრამ იგი ჩემკენ ზურგით იდგა – საპყრობილის კედლისთვის სახე მიებჯინა; მივედი და სახელოზე მოვ-

ქაჩე. – ახლა შეიძლება სახლში წავიდეთ? მან თავი დამიკრა, ცვირსახოცი ამოიღო, სახე მოინმინდა და ერთი მაგრად მოიხოცა ცხვირი.

– მისტერ ფინჩ! – მოგვესმა სიბნელეში ჩუმი, ხრინწიანი ხმა ზემოდან, – წავიდნენ?

ატიკუსმა უკან დაიხია და ზევით აიხედა.

– წავიდნენ. შეგიძლია დაიძინო, ტომ, მეტს აღარ შეგანუხებენ.

ამჯერად სხვა მხრიდან გაისმა მჭახე ხმა:

– თავს ხომ არ იტყუებ, ატიკუს! მე აქედან თვალს არ გაცილებდი.

მისტერ ანდერვუდი და მისი ორლულიანი თოფი "მეიკომ ტრიბუნის" მეორე სართულის ფანჯრიდან გადმოყუდებულიყვნენ.

ჩემი ძილის დრო კარგა ხნის გადასული იქნებოდა და ძალიან დაღლილი ვიყავი. მისტერ ანდერვუდი და ატიკუსი ალბათ გათენებამდე ასე ილაპარაკებენ-მეთქი, – გავიფიქრე, – ერთი – მეორე სართულის ფანჯრიდან გადმოყუდებული, მეორე კი ტროტუარზე მდგომი. ბოლოს, როგორც იქნა, ატიკუსი დაბრუნდა. საპყრობილის კარზე შუქი ჩააქრო და სკამი წამოიღო.

– შეიძლება, მე წამოვიღო, მისტერ ფინჩ? – სთხოვა დილმა. მთელი ღამის განმავლობაში პირველად ამოიღო ხმა.

– რატომაც არა, გმადლობთ, შვილო.

ატიკუსის სამსახურისკენ გავწიეთ. მე და დილი ატიკუსს და ჯემს უკან მივყვებოდით. დილი სკამით იყო დამძიმებული და ამიტომ ნელა მოჩანჩალებდა. მამამ და ჯემმა კარგა მაგრა გაგვისწრეს და მეგონა, ატიკუსი ჯემს ტუქსავდა, რომ არ დაუჯერა და სახლში არ წავიდა; მაგრამ თურმე ვცდებოდი: როცა განათებულ ადგილზე გაიარეს, დავინახე, როგორ გადაუსვა ატიკუსმა ჯემს თავზე ხელი. მამამ ასეთი მოფერება იცოდა.

16

ჯემმა გაიგონა, რომ ვეძახოდი და ჩემს ოთახში შემოიჭყიტა, მერე ჩემს სანოლთან მოვიდა. ამ დროს ატიკუსის ოთახში სინათლე აინთო. გავიტრუნეთ და დაველოდეთ, როდის ჩაქრებოდა შუქი. გავიგონეთ,

როგორ მოინაცვლა გვერდი მამამ სანოლში. მერე ჩამიჩუმი აღარ გაგვიგონია და ჯემმა თავის ოთახში გამიყვანა. სანოლში გვერდით მიმინეინა და მითხრა:

– შეეცადე დაიძინო, ჭყიტა, ზეგამდე ალბათ ყველაფერი მოთავდება.

მამიდა რომ არ გაგველვიძებინა, შინ ჩუმად დავბრუნდით. ატიკუსმა ძრავა ქუჩაში გამორთო და მანქანა უხმაუროდ შეაგორა გარაჟში. სახლში უკანა კარით შევედით და ფეხაკრეფით მივაშურეთ ჩვენ-ჩვენს ოთახებს. დაღლილობისგან კისერი მწყდებოდა და ის იყო, უნდა ჩამძინებოდა, რომ ატიკუსის სახე დამიდგა თვალწინ. გაზეთს დინჯად კეცავდა, მერე ქუდი კეფაზე გადაიწია; ეს ხილვა უეცრად მეორეში გადაიზარდა: ახლა ატიკუსი უკაცრიელ, მომლოდინე ქუჩაზე იდგა და სათვალეს შუბლზე იწევდა... გასული ღამის საშინელება ანაზდად მთელი სიცხადით შევიგრძენი და ავტირდი. ჯემმა დიდი სულგრძელობა გამოიჩინა: ცხოვრებაში პირველად არ დამაყვედრა – ცხრა წლისა ხარ და ასეთი მოქცევა არ შეგეფერებაო...

მეორე დილით ყველანი უმადოდ ვიყავით, გარდა ჯემისა: მან სულმოუთქმელად შესანსლა სამი კვერცხი. ატიკუსი მოსიყვარულე თვალებით უყურებდა, მამიდა ალექსანდრა კი ყავას წრუპავდა და უკმაყოფილებას ვერ ფარავდა.

– ბავშვები, რომლებიც ღამღამობით შინიდან იპარებიან, ოჯახს არცხვენენ, – განაცხადა მან.

ატიკუსმა უთხრა – ძალიან მიხარია, რომ ამ "შერცხვენამ" დროზე მომისწროო.

– სისულელეა, – მიუგო მამიდამ, – მისტერ ანდერვუდს წამით არ მოუცილებია შენთვის თვალი.

– იცი, ამ ბრექსტონის ვერაფერი გამიგია, – უთხრა ატიკუსმა, – ზანგებს დასანახავად ვერ იტანს, სიახლოვეს არ იკარებს...

მეიკომელები მისტერ ანდერვუდს წყალწაღებულ ურჯულოდ მიიჩნევდნენ: მამამისის საბედისწერო ახირებით ბავშვისთვის ნათლობისას ბრექსტონ ბრეგი დაურქმევიათ, მისტერ ანდერვუდი კი თავისი დღე და მოსწრება ამაოდ იღვწოდა, მისი სახელი როგორმე დავიწყებას მისცემოდა. ატიკუსი ამბობდა – სახელმოხვეჭილ გენერალთა სახელების დარქმევამ ჩვენში არა ერთი და ორი კაცი მიიყვანა ბალოთებამდეო.

კელპურნიამ მამიდა ალექსანდრას კიდევ ერთი ფინჯანი ყავა ჩამოუსხა. მე ისეთი მუდარით აღსავსე მზერა მივაპყარი, მეგონა, ფარხმალს დაყრიდა და მეც დამისხამდა, მაგრამ კელპურნიამ თავი გააქნია და მითხრა:

– შენ ჯერ ძალიან პატარა ხარ. როცა გაიზრდები, უთქმელადაც დაგისხამ.

მე ვუთხარი, მუცელი მტკივა და იქნებ ყავა მომიხდეს-მეთქი.

– კარგიო, – მომიგო კელპურნიამ და კარადიდან ფინჯანი გამოიღო. შიგ ერთი სუფრის კოვზი ყავა ჩაასხა და ფინჯანი რძით აავსო.

მადლობის ნიშნად ენა ავანკლაპუნე, მაგრამ მამიდაჩემის დაბღვერილმა სახემ შემაჩერა. თუმცა თურმე ამჯერად ატიკუსს უბღვერდა: ადროვა, ვიდრე კელპურნია სამზარეულოში გავიდოდა და ატიკუსს უთხრა:

– მაგათი თანდასწრებით ასე არ უნდა ილაპარაკო.

– რა არ უნდა ვილაპარაკო, და ვისთან?

– ასე – კელპურნიას თანდასწრებით. შენ თქვი: ბრექსტონ ანდერვუდი ზანგებს დასანახავად ვერ იტანსო, პირდაპირ კელპურნიას გასაგონად.

– კი მაგრამ, ეჭვი არ მეპარება, კელმა ეგ უჩემოდაც იცის. მეიკომში ეს ყველამ იცის.

ბოლო ხანებში ვატყობდი, ატიკუსი, ცოტა არ იყოს, შეიცვალა, შეიცვალა მამიდას მიმართ: მასთან საუბრისას გაღიზიანებას პირდაპირ კი არ გამოთქვამდა, დინჯად უსაბუთებდა თავის სიმართლეს.

– ყველაფერი, რის თქმაც სუფრასთან დასაშვებია, თავისუფლად შეიძლება ითქვას კელპურნიას თანდასწრებით, – ცოტა არ იყოს, ცივად მიუგო ატიკუსმა.

– არა მგონია, ეს კარგი ჩვევა იყოს, ატიკუს. ამითი ჩვენ მაგათ მხოლოდ ვათამამებთ, კარგად მოგეხსენება, რა გრძელი ენებიცა აქვთ. ყველაფერი, რაც ქალაქში ხდება, დღის ბოლოსთვის მთელმა ზანგების დასახლებამ ზეპირად იცის.

მამაჩემმა დანა მაგიდაზე დადო.

– არ მეგულება ისეთი კანონი, რომელიც ამ ხალხს ლაპარაკს უკრძალავდეს. იქნებ, ამდენ საბაბს რომ არ ვაძლევდეთ, აღარც ელაპარაკათ? ჭყიტა, ყავას რატომ არ სვამ?

ფინჯანში კოვზს ვათამაშებდი.

– მე მეგონა, მისტერ კანინგემი შენი მეგობარი იყო. ერთხელ, დიდი ხნის წინათ, ხო მითხარი – ჩვენი მეგობარიაო...

– არის კიდევაც.

– მაგრამ გუშინ ხომ სამტროდ იყო მოსული.

ატიკუსმა ჩანგალი დანას გვერდით მიუდო და თეფში განზე გასნია.

– მისტერ კანინგემი ბუნებით კარგი კაცია, – გვითხრა მამამ, – უბრალოდ, ისევე როგორც ყველა ჩვენგანს, მცდარი შეხედულებები აქვს ზოგ საკითხზე...

– მაგას არ ქვია "მცდარი შეხედულებები", – უთხრა ჯემმა, – გუშინ რო მოვიდა, მზად იყო, მოეკალი.

– შეიძლება, მისგან მართლაც მომხვედროდა, – დაუთმო ატიკუსმა, – მაგრამ რომ იცოდე, შვილო... გაიზრდები და ხალხს ცოტა უკეთ გაუგებ. რაც არ უნდა იყოს, ყოველი ბრბო ადამიანებისგან შედგება. მისტერ კანინგემი გუშინ იმ ბრბოს ნევრი იყო, მაგრამ ადამიანობა არ ჰქონდა დაკარგული. ნებისმიერი ბრბო ნებისმიერ პატარა სამხრეთულ ქალაქში ასეთივე, ჩვენთვის ნაცნობი ადამიანებისგან შედგება... მგონი, გაიფიქრეთ – მით უარესი მათთვისო, ხომ?

– სწორედ, რომ... – მიუგო ჯემმა.

– საჭირო გახდა რვა წლის ბავშვის გამოჩენა, რომ გონზე მოსულიყვნენ, არა? – განაგრძო ატიკუსმა, – ეს კი რაღაცას ნიშნავს, ნიშნავს იმას, რომ გამხეცებული ადამიანების ბრბოც შეიძლება შეაჩერო, რადგან გულის სიღრმეში მაინც ადამიანებად რჩებიან... ჰმ, იქნება, პოლიცია ბავშვებისგან უნდა შედგებოდეს?.. თქვენ, ბავშვებმა, გუშინ უოლტერ კანინგემი აიძულეთ, ნამით ჩემს ტყავში ჩამძვრალიყო, და ხედავთ – ამან იმოქმედა.

რა ვიცი, ჯემმა იქნებ მართლაც უკეთ გაუგოს ადამიანებს, როცა გაიზრდება, მე კი არაფერი გამომივა-მეთქი, გავიფიქრე.

– უოლტერს სკოლაში მოსვლის პირველივე დღეს სულს გავაფრთხობინებ, – განვაცხადე მე.

– თითსაც არ დააკარებ, – მტკიცედ მითხრა ატიკუსმა, – ძალიან არ მინდა, რომელიმე თქვენგანს ეს ამბავი ხინჯად ჩაგრჩეთ გულში – რაც არ უნდა მოხდეს.

– ახლა ხომ ხედავ, რა შედეგი მოაქვს ასეთ თავნებობას, – უთხრა მამას მამიდა ალექსანდრამ, – არ მითხრა, არ გაგიფრთხილებივარო.

ატიკუსმა მიუგო – მაგას როგორ გეტყვიო, ფეხი გაჰკრა თავის სკამს და წამოდგა.

– წინ ძნელი დღე მაქვს, უნდა მაპატიოთ. ჯემ, დღეს შენ და ჭყიტა ქალაქში არ მჭირდებით.

ატიკუსის წასვლისთანავე სადარბაზოში დილი შემოვარდა.

– მთელ ქალაქს ის აკერია პირზე, როგორ მოვერიეთ ას კაცს უიარაღოდ! – გვამცნო მან.

მამიდა ალექსანდრა დილს ისეთი თვალებით მიაჩერდა, ხმა ჩააკმენდინა.

– იქ არც ასი კაცი ყოფილა და არც არავინ მორევია ვინმეს. უბრალოდ, იმ ნასვამი ავაზაკი კანინგემების ბანდა იყო, – უთხრა მამიდამ.

– აუ, მამიდ, დილმა ეგეთი ლაპარაკი იცის, – უთხრა ჯემმა და თან გვანიშნა, გამომყევითო.

– დღეს ეზოდან ნუ გახვალთ, – გაგვაფრთხილა მამიდამ, როცა წასვლა დავაპირეთ.

შაბათი დღე გეგონებოდათ. ოლქის სამხრეთიდან დინჯად მოედინებოდა ხალხის უწყვეტი ნაკადი; ჩვენი ქუჩის გავლით ქალაქის ცენტრისკენ მიემართებოდნენ.

მისტერ რეიმონდ დოლფუსი, თავის ჯიშიან ულაყზე ამხედრებული, რნევა-რნევით მიუყვებოდა ქუჩას.

– ნეტა, როგორ ჩერდება უნაგირზე? – ჩაიბუტბუტა ჯემმა, – არა, მაინც როგორ ახერხებს ეს კაცი დილის რვა საათამდე გამოთრობას?

ქალებით გაჭედილმა ურიკამ რახრახით ჩაგვიარა. ყველას ტილოს ქუდები და გრძელსახელოებიანი კაბები ეცვა. ურიკას ნაბდისქუდიანი გრძელწვერა კაცი მართავდა.

– აგერ, მენოტები, – უთხრა ჯემმა დილს, – შეხე, უღილებო ტანსაცმელი აცვიათ.

მენოტები ტყის სილრმეში ბინადრობდნენ, მდინარის გაღმა ვაჭრობდნენ და ამიტომ მეიკომის იშვიათი სტუმრები იყვნენ. დილი დაინტერესდა და ჯემმაც განაგრძო: მაგათ ყველას ლურჯი თვალები აქვთ და

ცოლის შერთვის მერე წვერს აღარ იპარსავენ, იმიტო რო ცოლებს სიამოვნებთ, როცა ქმრები წვერებით ულიტინებენ.

მისტერ ექს ბილაპსი ჯორზე ამხედრებული მოდიოდა. მან ხელი დაგვიქნია.

– სასაცილო კაცია, – გვითხრა ჯემმა, – ექსი სახელად ჰქვია, ინიციალი კი არაა. ერთხელ სასამართლოს წინაშე წარდგა და როცა სახელი ჰკითხეს, თქვა – ექს ბილაპსი ვარო. მდივანმა სთხოვა – თქვენი სრული სახელი მითხარითო, და ბილაპსმა მიუგო – ექსიო. მაშინ მდივანმა ხელმეორედ სთხოვა – სრული სახელი მითხარითო, და ბილაპსმა ისევ – ექსიო, უთხრა. ასე გაგრძელდა, სანამ ბილაპსმა ასო X ფურცელზე არ დაწერა და ყველას არ დაანახვა. როცა ჰკითხეს – ეგ სახელი ვინ დაგარქვაო, უპასუხა – როცა დავიბადე, მშობლებმა ეგრე ჩამწერესო.

ოლქის მოსახლეობა ჩვენი სახლის გავლით ქალაქის ცენტრისკენ მიეშურებოდა და ჯემი დილს ხალისიანად აწვდიდა ცნობებს ყველაზე თვალსაჩინო ადამიანების ცხოვრებიდან: მისტერ ტენსოუ ჯონსი მშრალი კანონის მომხრე ყოფილა: მის ემილ დეივისი თურმე ჩუმ-ჩუმად ბურნუთს ყნოსავდა; მისტერ ბაირონ უოლერი ვიოლინოს უკრავდა, მისტერ ჯეიკ სლეიდი მესამე წყება კბილებს იცვლიდა...

უცებ უჩვეულოდ პირქუში გარეგნობის ხალხით გაჭედილი ურიკა დავინახეთ, როცა მის მოდი ეტკინსონის აყვავებულ ეზოს მიუახლოვდნენ, მის მოდი აივანზე გამოვიდა. ძალიან უცნაურია, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ აივანზე მდგომი მის მოდის გამომეტყველებას ამ სიშორიდან ვერ დავინახავდით, საერთო იერით მაინც ვხვდებოდით, როდის რა გუნებაზე იყო ხოლმე. ახლა დოინჯი შემოერტყა, მხრებში ოდნავ მოხრილიყო და თავი გამომწვევად მოეღერებინა: მაშასადამე, სახეზე ზიზღი ეწერა.

მეურმემ აღვირი მოზიდა, ურიკამ სვლა შეანელა და ერთ-ერთმა ქალმა დაიყვირა: "ვინც თავისი დღენი ფუჭად გალია, მარადიული წყვდიადი ელის!"

მის მოდიმ უპასუხა: "ნუ იქნებით მწუხარენი, როგორც თვალთმაქცნი!"

ვფიქრობ, "ფეხიბანიებმა" ჩათვალეს – საღვთო წიგნის სახელით თვით ეშმაკეული ღაღადებსო და მეურმემ მათრახი გადაუჭირა ჯორებს. დღემდე ვერ გამიგია, რას უშავებდა იმ ხალხს მის მოდის ბაღი?

მით უმეტეს, რომ იმ ადამიანის პირობაზე, რომელიც მთელ დროს ეზოში ატარებს, მის მოდიმ ბრწყინვალედ იცოდა მთელი "საღვთო წიგნი".

მერე ქუჩაში გავედით და ჯემმა მის მოდის ჰკითხა – სასამართლოში არ მოდიხართო?

– არა, ამ დილით სასამართლოში არაფერი მესაქმება.

– როგორ, არ გინდათ, ნახოთ? – ჰკითხა დილმა.

– არა. საშინელებაა, უყურო სასიკვდილოდ განწირული ადამიანის საცოდაობას. შეხედეთ ამ ხალხს, რომაული კარნავალი არ გეგონება?

– კი მაგრამ, ხალხის გარეშე ხომ ვერ გაასამართლებენ? არც იქნება მართალი.

– ეგ კარგად ვიცი, – მომიგო მის მოდიმ, – ჰოდა, სწორედ იმიტომ, რომ საჯაროდ განხილვაა, ჩემი წამოსვლაც აღარაა აუცილებელი, მართალი არა ვარ?

ამ დროს მის სტეფანი კროუფორდმა ჩამოიარა. თავზე ქუდი ეხურა და ხელთათმანებიც ეცვა.

– ჰმ, ჰმ, ჰმ, ერთი ამათ დამიხედეთ – კაცი იფიქრებს უილიამ ჯენინგს ბრაიანის გამოსვლას უნდა მოუსმინონო.

– და შენ სადღა მიდიხარ, სტეფანი? – დაეკითხა მის მოდი.

– საყიდლებზე.

მის მოდიმ უთხრა – არასოდეს მინახიხარ, საყიდლებზე ქუდით მიდიოდეო.

– არა, რატომ, სასამართლოშიც შეიძლება შევიარო... ვნახავ ერთი, რას აპირებს ატიკუსი, – უთხრა მის სტეფანიმ.

– გირჩევნია, ფრთხილად იყო, ატიკუსმა სასამართლო უწყება არ მოგაჩეჩოს ხელში.

მის მოდის ვთხოვეთ განემარტა, თუ რას გულისხმობდა და მან გვითხრა – მის სტეფანიმ იმდენი რამ იცის იმ საქმის შესახებ, თავისუფლად შეიძლება, მოწმედაც გამოიძახონო.

სახლში შუადღემდე არ შევსულვართ. სადილობისას ატიკუსი მოვიდა და გვითხრა – მთელი დილა მსაჯულების შერჩევას მოვანდომეთო. ნასადილევს დილს გავუარეთ და ქალაქისკენ გავწიეთ.

ქალაქს სადღესასწაულო ელფერი დასდებოდა. ყოველი ხის ძირას იმდენი ჯორი და ურიკა იდგა, ძალიანაც რომ მოგენდომებინათ, მოაჯირზე ერთი ცხენის მისაბმელ კუნჭულსაც ვერ იპოვიდით, სასამართლოს წინ მოედანი მოპიკნიკეთა ჯგუფებით იყო გაჭედილი – გაზეთებზე მსხდომნი ნამცხვარსა და ბადაგს შეექცეოდნენ, ზედ თბილ რძეს აყოლებდნენ, რომელიც დოქებით მოეტანათ. ზოგიერთი შემწვარი ღორის ხორცსა და ცივი ქათმის ხორცს ციცქნიდა. უფრო შეძლებულები საჭმელს აფთიაქში ნაყიდ კოკა-კოლას აყოლებდნენ, რომელიც ნათურის ფორმის ჭიქებში ესხა. ცხვირპირმოთხუპნილი ბავშვები აქეთ-იქით აწყდებოდნენ, ძუძუმნოვრები დედების მკერდს მიჰკვროდნენ და ისე ნაყრდებოდნენ.

მოედნის მზით განათებულ შორეულ კუთხეში ზანგები ისხდნენ. ისინი სარდინებს, ორცხობილებსა და სურნელოვან ნიპაი-კოლას შეექცეოდნენ. მისტერ დოლფუს რეიმონდიც იქვე იჯდა.

– ჯემ, ხედავ, პარკიდან სვამს! – თქვა დილმა.

მისტერ დოლფუს რეიმონდი, მგონი, მართლაც ასე იქცეოდა: ქაღალდის პარკის სიღრმიდან აფთიაქში ნაყიდი ორი ყვითელი ჩალის საწუწნი ამოჩრილიყო და იმით წრუპავდა.

– ასეთი რამე არასოდეს მინახავს, – ბუტბუტით ჩაილაპარაკა დილმა, – რანაირად აჩერებს მაგ ჩანთაში იმას, რაც შიგა აქვს?

ჯემს ჩაეცინა:

– შიგ ვისკით სავსე კოკა-კოლას ბოთლი უდევს. ეგ იმისთვის, რომ მანდილოსნები არ აღელდნენ. დაინახავ, მთელ დღეს მაგის წრუპვაში გაატარებს, მერე ცოტა ხნით წავა და ისევ სავსე ბოთლით მობრუნდება.

– რატომ ზის ზანგებთან?

– ყოველთვის ასე შვება. მე მგონი, ზანგები ჩვენზე მეტად მოსწონს. ცხოვრობს თავისთვის ზედ ოლქის საზღვართან. ზანგი ცოლი და უამრავი შერეული შვილი ჰყავს. თუ დავინახავ რომელიმეს, გაჩვენებ.

– ნაძირალას არა ჰგავს, – თქვა დილმა.

– არცაა ნაძირალა, მდინარის ქვედა სანაპირო თითქმის სულ მაგის საკუთრებაა, თან მართლა ძველი და კეთილშობილი ოჯახიდანაა.

– მერე, ასე რატომ იქცევა?

– უბრალოდ, ასე უნდა, – თქვა ჯემმა, – ამბობენ, თავისი ქორწინების მერე ჯერაც ვერ მოსულა აზრზეო. თურმე ძალიან დიდი ქორწილი უნდა გადაეხადათ, მაგრამ ჩაეშალა. სწორედ ჯვრისწერის დღეს მისი

საცოლე სახლის მეორე სართულზე ასულა და თავი მოუკლავს, თოფით, თურმე ჩახმახს ფეხის თითი გამოჰკრა.

– მერე, გაიგეს, რისთვის?

– არა, არავის არაფერი არ გაუგია – გარდა მისტერ დოლფუსისა. ამბობენ, მისმა საცოლემ იმ ზანგი ქალის ამბავი გაიგო, მისტერ დოლფუსს ეგონა, ცოლიც მეყოლება და ზანგი საყვარელიცო. იმის მერეა, სულ მთვრალი რო დაიარება, თუმცა იცი, შვილებს ძალიან კარგად ეპყრობა.

– ჯემ, რას ნიშნავს "შერეული ბავშვი"? – ვკითხე მე.

– ნახევრად თეთრი, ნახევრად შავი. შენ გინახავს ეგენი, ჭყიტა. ხომ იცნობ იმ ხუჭუჭთმიან ბიჭს, აფთიაქში რომ მუშაობს? აი, ისაა ნახევრად თეთრკანიანი. მართლა საცოდავები არიან.

– რატო – საცოდავები?

– იმიტომ, რომ არც იქით არიან, არც აქეთ: შავკანიანები არ ღებულობენ, რახან ნახევრად თეთრკანიანები არიან, თეთრკანიანები არ იკარებენ, იმიტომ რომ ნახევრად ზანგები არიან, მოკლედ, სადღაც შუაში არიან გაჩხერილები და ადგილს ვერ პოულობენ, მაგრამ ამბობენ, მისტერ დოლფუსმა თავისი ორი შვილი გემით გაამგზავრა ჩრდილოეთში, ჩრდილოეთში ეგეთ რამეებს ყურადღებას არ აქცევენ, აგერ ერთი იმათგანიც!

პატარა ბიჭი და შავკანიანი ქალი ხელჩაკიდებულები მოემართებოდნენ ჩვენკენ: ნამდვილი ზანგი მეგონა – მუქი შოკოლადისფერი იყო, ნესტოებდაბერილი, ჯანსაღკბილებიანი, დროდადრო მხიარულად შეიკუნტრუშებდა და ზანგის ქალი ხელზე ექაჩებოდა, რომ გაეჩერებინა.

ჯემმა ადროვა, სანამ გაგვშორდებოდნენ და მითხრა:

– ეს მაგისი ერთ-ერთი უმცროსი შვილია.

– შენ როგორ ატყობ? – ჰკითხა დილმა, – მე შავკანიანი მგონია.

– ზოგჯერ ვერც შეატყობ, თუ არ იცი, ვისი შვილია. მაგრამ ეგ კი ნამდვილად ნახევრად რეიმონდია.

– კი მაგრამ, როგორ უნდა მიხვდე? – ვკითხე მე.

– ხო გითხარი, ჭყიტა, უბრალოდ, უნდა იცოდე, ვისი შვილები არიან.

– მაშინ საიდან იცი, რო ჩვენ ზანგები არა ვართ?

– ძია ჯეკ ფინჩი ამბობს – ეგ ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით. თუ ფინჩების წარსულს გადავხედავთ, წესით, არ უნდა ვიყოთო, დაზუსტებით ვერაფერს იტყვი – იქნებ ძველი აღთქმის ხანაში ჩვენი ნინაპრები ეთიოპიაში ცხოვრობდნენო...

– აბა, ეგ თუ ძველი აღთქმის ხანაში იყო, ძალიან დიდი ხანი გასულა და მნიშვნელობაც აღარ აქვს.

– მეც ეგრე ვფიქრობ, – მითხრა ჯემმა, – მაგრამ ხო იცი, ჩვენში შავკანიანის ერთი წვეთი სისხლიც საკმარისია, რო ზანგად გთვლიდნენ. ვაი, შეხედეთ!

თითქოს ვილაცამ ანიშნათო, მოედანზე მსხდომი ხალხი ერთბაშად წამოიშალა: გაზეთების, ცელოფანის პარკებისა და შესაფუთი ქაღალდის ნაკუწები აქეთ-იქით მიმოფანტეს, შვილები დედებს დაუბრუნდნენ, ჩვილი ბავშვები ხელში აიყვანეს, გაოფლილქუდიანი მამაკაცები კი თავთავიანთ ოჯახებს კრებდნენ და ცხვირს ფარასავით მიერეკებოდნენ სასამართლოს შენობის შესასვლელისკენ, მოედნის შორეულ კუთხეში ზანგები და მისტერ რეიმონდ დოლფუსი ერთად წამოიშალნენ; კაცები დამტვერილ შარვლებს იფერთხავდნენ; მათში თითო-ოროლა ქალი და ბავშვი თუ ერია, რაც ამ თავყრილობას სადღესასწაულო იერს უკარგავდა. მოთმინებით იდგნენ კარებთან და უცდიდნენ, როდის შევიდოდნენ თეთრკანიანები.

– წამო, შევიდეთ, – თქვა დილმა.

– არა, ჯობია, მოვიცადოთ, სანამ ყველა არ შევა, თორე შეიძლება, ატიკუსს არ ესიამოვნოს ჩვენი დანახვა.

მეიკომის საოლქო სასამართლო რაღაცით არლინგტონს მოგაგონებდათ. ბეტონის სვეტები, რომლებსაც სამხრეთიდან სახურავი ეყრდნობოდა, ძალიან მძიმე იყო იმ მსუბუქ ტვირთთან შედარებით, რომელსაც იჭერდა. 1856 წლის ხანძრის შემდეგ, როცა ძველი სასამართლოს შენობა დაიწვა, მხოლოდ ეს სვეტები გადარჩენილა და სასამართლოს ახალი შენობა ამ სვეტებისთვის მიუშენებიათ. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით – ამ სვეტების არსებობის მიუხედავად აუგიათ. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის ხედს სამხრეთიდან, მეიკომის საოლქო სასამართლო ადრევიქტორიანულ ნაგებობად უნდა მივიჩნიოთ. ჩრდილოეთიდან მას სავსებით უწყინარი შესახედაობა ჰქონდა; მაგრამ მოპირისპირე მხრიდან სულ სხვაგვარი სურათი იქმნებოდა: მაღალი სვეტები – ძველბერძნული გადმონაშთი – სრულიად არ ესაბამებოდა მასთან

შერწყმულ მეცხრამეტე საუკუნის გუმბათს, რომელზეც მიმაგრებული იყო დაჟანგული და ფრიად არასაიმედო მექანიზმი – საათი. ეს სანახაობა იმ ხალხის ინტერესების გამომხატველი იყო, რომელიც წარსულის ყოველგვარ ნივთიერ გადმონაშთს რელიკვიასავით ინახავს.

სასამართლოს მეორე სართულზე მდებარე დარბაზში შესასვლელად სხვადასხვა დანიშნულების ციდა საკნებთან უნდა ჩაგვევლო: საოლქო ინსპექტორს, გადასახადთა ამკრეფს, მდივანს, იურისკონსულტს, სასამართლოს მოხელეებსა და სამემკვიდრეო უფლებათა მოსამართლეს ამ ცივსა და უჰაერო ბუდრუგანებში უწევდათ მუშაობა. გაცრეცილი საარქივო დავთრების სუნი ნესტიანი კედლებისა და საპირფარეშოს მყრალ სუნში ირეოდა; დღისით აქ სინათლე უნდა აგენთოთ, გაურანდავ ფიცრულ იატაკზე მუდამ მტვრის ფენა იდო, ისე კი, იქაურ თანამშრომლებს იერიც გარემოს შესაფერისი ჰქონდათ: ამ ტანმორჩილი, ფერმილეული კაცუნების შემხედვარე უნებლიეთ გაიფიქრებდით – ნიავსა და მზის სხივს მათთვის არასოდეს არ დაუკრავსო.

ხალხმრავლობა რომ იყო, ვიცოდით, მაგრამ ასეთ ჭედვასაც არ მოველოდით: დერეფანს იმდენი ხალხი მოაწყდა, ჯემსა და დილს დამაშორეს, მაგრამ როგორღაც გავძვერი და კიბის თავზე კედელთან ავიტუზე: ვიცოდი, ადრე თუ გვიან ჯემი მომძებნიდა. აქ თავი "ძველი ბიჭების კლუბის" წევრებში ამოვყავი და კუთხეში მივიყუჟე – არ მინდოდა, ამ ხალხს თვალში მოვხვედროდი. "უსაქმური ძველი ბიჭების კლუბის" წევრები – ხანდაზმული მამაკაცები – თეთრ პერანგებსა და აჭიმებიან ხაკისფერ შარვლებში გამოწყობილიყვნენ. მათ ცხოვრებაში არ უმუშავიათ და სიბერის პირს მიტანებულები მთელ დღეებს მოედნის მუხების ჩრდილში ხის სკამზე ჩამომსხდარნი ატარებდნენ; ყველა სასამართლო პროცესს ესწრებოდნენ და, ატიკუსის ნათქვამს თუ ვირწმუნებთ, უკვე იმდენი წლის გამოცდილება ჰქონდათ, მთავარ მოსამართლეზე უკეთ თუ არა, ნაკლებად არ ერკვეოდნენ მართლმსაჯულებაში. თუ იშვიათ გამონაკლისებს არ ჩავთვლით, სასამართლოს მათ გარდა, მსმენელი არც ჰყავდა და როგორც ჩანს, დღევანდელი ხალხმრავლობა აღიზიანებდათ. საუბრობდნენ საქმეში ჩახედული ხალხის თავდაჯერებული კილოთი. საუბრის თემა მამაჩემი გახლდათ.

– ...ჰგონია, იცის, რასაც აკეთებს, – თქვა ერთმა.

– კარგი ახლა, მაგასაც ნუ იტყვი, – უთხრა მეორემ, – ატიკუს ფინჩი განსწავლული კაცია, თავის საქმეში ღრმად ჩახედული.

– სწავლა რო ეხერხება, ეგ ჩვენც კარგად ვიცით, – გაისმა პასუხად და კლუბის წევრები ახითხითდნენ.

– იცი, რა გითხრა, ბილი, – თქვა მესამემ, – შენც კარგად იცი – ატიკუსი მოსამართლემ დანიშნა იმ ზანგის დამცველად.

– ჰოო, ოღონდ ატიკუსი მართლა აპირებს იმის დაცვას, აი, რა არ მომწონს!

ესეც ახალი ამბავი! ახლა ყველაფერი სხვა თვალით დავინახე: მაშ, ატიკუსი იძულებულია – უნდა თუ არა, არავინ ეკითხება! მაინც, რა უცნაურია, რატომ არ გვითხრა არაფერი ამის შესახებ? რამდენჯერ გამოვიყენებდი ამ საბუთს მამაჩემის და ჩვენს დასაცავად! ამ საქმეს იმიტომ მოჰკიდა ხელი, რომ იძულებული იყო – ამის ცოდნა რამდენ ჩხუბსა და დავიდარაბას ამაცდენდა თავიდან! მაგრამ მაშინ რით აიხსნება მეიკომელების განწყობა? მოსამართლემ ატიკუსი აირჩია დამცველად; ატიკუსი მართლა აპირებს მის დაცვას. აი, რა აღიზიანებს ხალხს. და მაინც, ვერაფერი გამიგია...

როცა თეთრკანიანები კიბეზე ავიდნენ, ზანგებმაც იწყეს შემოსელა. – ეი, ნუ აჩქარდებით, გვადროვეთ, – გასძახა კლუბის ერთ-ერთმა წევრმა და ჯოხი ასწია, – ჯერ ნუ ახვალთ ზემოთ! და კლუბის წევრები, როგორც მათ გახევებულ ფეხებს შეეფერებოდა, ნელი სვლით აუყვნენ კიბეს. კიბეზე დილსა და ჯემს შეეჯახენ – ისინი ჩემ მოსაძებნად ჩამორბოდნენ დაბლა, ძლივს დააღწიეს თავი მოხუცების ჯგუფს და ჯემმა დამიძახა: – ჭყიტა, წამო, ერთი ადგილიც აღარ დარჩა, ფეხზე უნდა ვიდგეთ.

– აბა, უყურე, – მითხრა შეწუხებულმა: კიბეზე უკვე შავკანიანები ადიოდნენ. ნინ მიმავალი მოხუცები ფეხზე დასადგომ ადგილებსაც შეავსებდნენ და ჩვენ განზე დავრჩებოდით.

– ბედი რომ არ გვწყალობს, შენი ბრალია, – მაცნობა ჯემმა.

საცოდავად დავდექით კედელთან.

– რა, ვერ შეხვედით?

ეს მამა საიკსი იყო. შავი ქუდი ხელში ეკავა და ზემოდან დაგვცქეროდა.

– გამარჯობა, მამა საიკს, – უთხრა ჯემმა, – ვერ შევდივართ, სულ ჭყიტას ბრალია...

– აბა, ვნახოთ, რა შეგვიძლია ვიღონოთ.

მამა საიკსი კიბეზე ავიდა და რამდენიმე წამში ისევ ჩვენთან გაჩნდა.

– ქვემოთ ერთი ადგილიც არაა. ზემოთ ხომ არ წამოხვიდოდით ჩემთან ერთად?

– როგორ არა! – შესძახა ჯემმა და მხიარულად ავუყევით კიბეს. დარბაზის კარებს გვერდი ავუარეთ და ახლა ვინრო კიბე ავირბინეთ. იქ მამა საიკსს დაველოდეთ, რომელიც ქოშინ-ქოშინით წამოგვეწია და შავკანიანებით გაჭედილ იარუსზე გზა გაგვიკვლია. პირველი რიგიდან ოთხი ზანგი წამოდგა და ადგილები დაგვითმეს.

შავკანიანების იარუსი დარბაზის სამი კედლის გასწვრივ იყო გამართული და ჩვეულებრივ აივანს ნააგავდა. აქედან ყველაფერს კარგად ვხედავდით.

ჩვენგან ხელმარცხნივ, მაღალ ფანჯრებთან, მსაჯულები ისხდნენ – ყველანი მზემოკიდებულები, ახოვანები და ფერმერებს ჩამოჰგავდნენ. არც გასაკვირია – ქალაქელები მსაჯულებად იშვიათად თუ გამოდიან. მათ ან არ ირჩევენ, ან თავად ისინი ამბობენ უარს, მსაჯულთაგან ორი, მე მგონი, საგანგებოდ გამოწყობილი კანინგემი უნდა ყოფილიყო... ჯერჯერობით ნელში გამართულები ისხდნენ და გაფაციცებით უგდებდნენ ყურს.

ატიკუსი და ტომ რობინსონი, საოლქო გამომძიებელი და ერთი ჩემთვის უცხო კაცი ჩვენგან პირშექცევით უსხდნენ თავ-თავიანთ მაგიდებს. გამომძიებელს მაგიდაზე ყავისფერყდიანი ნიგნი და ყვითელი წიგნაკი ედო, ატიკუსის მაგიდა კი ცარიელი იყო.

მაყურებლებსა და სასამართლოს შორის გადებულ მოაჯირთან, მაღალზურგიან, ტყავგადაკარგულ სკამებზე ჩვენკენ ზურგით მოწმეები ისხდნენ.

იმ დღეს პროცესს მოსამართლე ტეილორი სჯიდა. მოსამართლის სავარძელში ძილმორეული ბებერი ზვიგენივით მისვენებულიყო, ხოლო მისი განუყრელი "თევზი ლოცმანი" პირდაპირ, ოდნავ ქვემოთ უჯდა მერხს და გაცხარებით წერდა რაღაცას. მოსამართლე ტეილორი არაფრით არ გამოირჩეოდა იმ მოსამართლეებისგან, რომლებიც მე ადრე მენახა. ეს კეთილგანწყობილი, თეთრთმიანი, შეფაკლულლოყებიანი კაცი საოცრად თავისუფლად იქცეოდა საქმის საჯარო განხილვების დროს – ხან ფეხებს შეაწყობდა მაგიდაზე, ხანაც ჯაყვით ფრჩხილების ნმენდას მოჰყვებოდა. ზოგჯერ, თუ პროცესი ზომაზე მეტხანს გაჭიანურდებოდა (განსაკუთრებით, შესვენების შემდეგ, ნასადილევს), შეიძლებოდა მოგჩვენებოდათ – მოსამართლე ტეილორი თვლემსო. მაგრამ ეს მოჩვენებითობა საბოლოოდ გააქარწყლა ერთმა შემთხვევამ: ერთმა ვექილმა მოსამართლის გასაღვიძებლად განზრახ გადმოყარა მაგიდიდან წიგნების გროვა. მოსამართლე ტეილორმა თვალიც არ გაახილა, ისე ჩაიბურტყუნა – მისტერ უიტლი, ეს რომ კიდევ ერთხელ განმეორდეს, ასდოლარიან ჯარიმას ვერ გადაურჩებითო.

მისტერ ტეილორი უებროდ იყო სამართალში განსწავლული, ერთი შეხედვით, შეიძლებოდა გგონებოდათ – თავის საქმეს გულგრილად ეკიდებაო, მაგრამ ყველა მის წარმოებულ პროცესს მოსამართლის მტკიცე ხელი ეტყობოდა. საქმის საჯარო განხილვისას იგი მხოლოდ ერთხელ აღმოჩნდა გამოუვალ მდგომარეობაში და ისიც, კანინგემების გადამკიდე: ძველ სარუმში, სადაც კანინგემები ცხოვრობენ, თავდაპირველად ორი სხვადასხვა ოჯახი სახლობდა თავ-თავიანთ მინა-წყალზე. საუბედუროდ, ორივეს თითქმის ერთნაირი გვარი ჰქონდა: გადიოდა დრო, კანინგემები კონინგემებზე იწერდნენ ჯვარს, ბოლოს კი განსხვავება ამ გვარებს შორის საერთოდ წაიშალა – ორივე ერთნაირად, ასე ვთქვათ, აკადემიური ფორმით ჩაიწერა. ყველაფერი კარგად იყო, ვიდრე მავან კანინგემს სამემკვიდრეო უფლებებთან დაკავშირებით თავის მოგვარესთან დავა არ მოუვიდა. საქმე სასამართლომდე მივიდა. ჯიმზ კანინგემი ამტკიცებდა – დედაჩემი საქმიან ქალალდებზე ხელს აწერდა, როგორც კანინგემი, მაშინ, როცა სინამდვილეში, გვარად კონინგემი იყოო. დედაჩემი მართლწერაში სუსტი იყო და არც კითხვა უყვარდა მაინცადამაინცო, – ამბობდა ჯიმზ კანინგემი, – საღამოობით დაჯდებოდა აივანზე და სივრცეს გასცქეროდაო... მოსამართლე ტეილორმა მთელი ცხრა საათის განმავლობაში ითმინა ძველი სარუმის ბინადართა უცნაური აბდაუბდა, მერე კი საქმე დახურა, როცა მიზეზი ჰკითხეს, განაცხადა – საქმე დაიხურა და იმედი მაქვს, მოდავენი კმაყოფილნი დარჩებიან, რაკი თავისი სათქმელი საჯაროდ თქვესო. მართლაც ასე მოხდა: ყველაზე მეტად მოდავეებს სწორედ ეს ეწადათ.

მოსამართლე ტეილორს ერთი საინტერესო ჩვევა ჰქონდა: დარბაზში თამბაქოს მონევის ნებას იძლეოდა, მაგრამ თვითონ მოწევით თავს

არ ინებივრებდა. ზოგჯერ, თუ ბედი გაგიღიმებდათ, შეიძლებოდა დაგენახათ, როგორ იდებდა მოსამართლე გრძელ სიგარას პირში და მის თანდათანობით "შთანთქვას" იწყებდა: სიგარა ნაკუწ-ნაკუწ უჩინარდებოდა მოსამართლის ხახაში, რამდენიმე საათის შემდეგ კი კუჭის წვენში აზელილი თუთუნი გაბრტყელებულ, წებოვან მასად იქცეოდა. ერთხელ ატიკუსს ვკითხე – მაინც, როგორ იტანს მისიზ ტეილორი მაგის კოცნასმეთქი, მაგრამ ატიკუსმა მომიგო – არა მგონია, მაინცადამაინც ხშირად ჰკოცნიდნენ ერთმანეთსო.

როცა ჩვენ მოწმეებისთვის განკუთვნილ შემაღლებაზე ადგილები დავიკავეთ, მოსამართლე ტეილორისგან ხელმარჯვნივ მისტერ ჰეკ ტეიტი იდგა.

17

– ჯემ, აი იქ, ქვემოთ, იუველები სხედან?

– ჩუ! მისტერ ტეიტი ჩვენებას აძლევს, – მომიგო ჯემმა.

მისტერ ტეიტი საგანგებოდ გამოწყობილიყო სამოქალაქო ტანსაცმელში. ახლა ველარაფრით განასხვავებდით რიგითი მოქალაქისგან: სადღა იყო მისი ტყავის წაღები, ქურთუკი და ტყვიებჩატანებული ქამარი! ამ წუთიდან მისტერ ტეიტი აღარ მაფრთხობდა. იჯდა მოწმეებისთვის განკუთვნილ სკამზე ნინ გადახრილი, ერთმანეთზე გადაჭდობილი ხელები მუხლებს შორის მოექცია და ყურადღებით უსმენდა გამომძიებელს.

გამომძიებელს – მისტერ გილმერს – მე და ჯემი კარგად არ ვიცნობდით, ვინაიდან ებოსტვილიდან იყო ჩამოსული. მისთვის სასამართლო სესიების დროს თუ მოგვიკრავს თვალი და ისიც იშვიათად – სესიები მაინცადამაინც არ გვაინტერესებდა. ეს გამელოტებული და პირმრგვალი მამაკაცი ასაკით ასე ორმოციდან სამოცამდე წლის იქნებოდა. ახლა ჩვენკენ ზურგით იჯდა, მაგრამ ვიცოდით, რომ ცალ თვალს ოდნავ აელმებდა. სხვათა შორის, ამ ნაკლს ოსტატურად იყენებდა თავის სასარგებლოდ: თავს მოგაჩვენებდათ, ვითომ სწორედ თქვენ გიყურებთო, სინამდვილეში კი სხვაგან იხედებოდა. მოწმეებისა და მსაჯულებისთვის

მისტერ გილმერი ნამდვილი ღვთის რისხვა გახლდათ: ერთნიც და მეორენიც – აქაოდა, ჩვენ მოგვჩერებიაო, გაფაციცებით უგდებდნენ ყურს.

– ...თქვენი სიტყვებით, მისტერ ტეიტ, – უთხრა მისტერ გილმერმა მოწმეს.

– კარგი, – მიუგო მისტერ ტეიტმა, ხელი სათვალეზე წაივლო და თავჩაქინდრულმა საკუთარ მუხლებს ჩასძახა, – გამომიძახეს, მისტერ...

– მისტერ ტეიტ, იქნებ, მსაჯულებს მიმართოთ? გმადლობთ. მაშ ასე, ვინ გამოგიძახათ?

მისტერ ტეიტმა დაიწყო:

– ბობმა... მისტერ იუველმა ერთ ღამეს შემომიარა და...

– რომელ ღამეს, სერ?

მისტერ ტეიტმა მიუგო:

ოცდაერთი ნოემბრის ღამეს. სწორედ სამსახურიდან გასვლას ვაპირებდი, როცა ბობი... მისტერ იუველი შემოვიდა. ძალიან აღელვებული ჩანდა და მითხრა: ახლავე სახლში უნდა წამომყვე, ერთმა ზანგის ბიჭმა ჩემს ქალიშვილს ნამუსი ახადაო.

– და თქვენ გაჰყევით?

– რა თქმა უნდა. მანქანაში ჩავსხედით და წამში იქ გავჩნდით.

– მერე, რა დაგხვდათ იქ?

– რა და, მაგათ სახლში რო შევედით, მარჯვენა წინა ოთახის შუაგულში ქალიშვილი იატაკზე ეგდო მაგარი ნაცემი. წამოვაყენე. ოთახის კუთხეში წყლიანი ვედრო იდგა, იქიდან პირი დაიბანა და მითხრა, უკეთა ვარო. მე ვკითხე – ეს ვინ გიქნა-მეთქი, და მიპასუხა, ტომ რობინსონმაო.

მოსამართლე ტეილორმა, რომელიც აქამდე გულისყურით ითვალიერებდა ფრჩხილებს, თითქოსდა ვექილის პროტესტს მოელისო, თავი ასწია, მაგრამ ატიკუსს ხმა არ ამოუღია.

– შევეკითხე, ასე იმან გცემა-მეთქი, და მითხრა, დიახო. ვკითხე, ძალა თუ იხმარა-მეთქი შენზე, და მომიგო, დიახო. მაშინ ტომ რობინსონს მივაკითხე სახლში და იუველებთან მივიყვანე, ქალიშვილმა დამიდასტურა – სწორედ ეგ არისო, და მეც დავაპატიმრე. აი, სულ ეგ იყო.

– გმადლობთ, – უთხრა მისტერ გილმერმა.

მოსამართლე ტეილორმა ატიკუსს მიმართა:

– ატიკუს, რამე შეკითხვა ხომ არ გაქვთ?

– დიახ, – მიუგო მამაჩემმა. იგი თავის მაგიდას უჯდა, სკამი გვერდულად მიედგა, ფეხი ფეხზე გადაედო და ცალი მკლავით სკამის საზურგეს ეყრდნობოდა.

– მითხარით, შერიფო, ექიმს თუ გამოუძახეთ? ვინმემ თუ გამოიძახა ექიმი? – მიმართა მისტერ ტეიტს.

– არა, – გაისმა პასუხად.

– მაშ, ექიმს არ გამოუძახეთ?

– არა, – გაიმეორა მისტერ ტეიტმა.

– რატომ? – ოდნავ ხმააწევით ჰკითხა ატიკუსმა.

– გეტყვით, რატომაც. ექიმის გამოძახება არ იყო საჭირო, მისტერ ფინჩ. მაგარი ნაჟეჟი იყო, ეგრევე ეტყობოდა, ნამდვილად რაღაც ეგეთი შეემთხვა.

– მაშ, ექიმს არ გამოუძახეთ? სანამ თქვენ იქ იყავით, ნუთუ არავის არ მოსვლია აზრად, ექიმი მოეყვანა ან თვითონ დაზარალებული წაეყვანა ექიმთან?

– არა, სერ.

აქ მოსამართლე ტეილორი ჩაერია:

– ატიკუს, მაგ კითხვაზე უკვე სამჯერ გაგცათ პასუხი. ექიმი არ გამოუძახიათ.

ატიკუსმა მიუგო – უბრალოდ, მინდოდა საბოლოოდ დამეზუსტებინაო, და მოსამართლეს გაეღიმა.

ჯემმა, რომელიც აქამდე მშვიდად იჯდა, უცებ მაგრად მოუჭირა ხელი აივნის მოაჯირს და სუნთქვაშეკრული მიაშტერდა რაღაცას ქვემოთ. მეც იქით გავიხედე, მაგრამ ღირსშესანიშნავი ვერაფერი შევამჩნიე და გავიფიქრე – ხომ არ მსახიობობს-მეთქი; დილი მშვიდად იყო, მამა საიკსიც – ის ზურგს უკან ედგა და აუღელვებლად უგდებდა ყურს სასამართლოს მსვლელობას.

– რა მოხდა? – ვკითხე ჯემს.

– ჩუ! – მივიღე მოკლე პასუხი.

ატიკუსმა ისევ მიმართა შერიფს:

– მისტერ ტეიტ, თქვენ გვითხარით, რომ გოგონა მაგრად იყო ნაჟეჟი. მაინც როგორ, ხომ არ აგვიწერდით?

– როგორ და...

– უბრალოდ, გვითხარით, რა სახის იარები ჰქონდა.

– სახეზე იყო მაგრად ნაცემი. მკლავებზეც უკვე ემჩნეოდა დალილავებული ადგილები. ეს ამბავი ხომ ნახევარი საათით ადრე შეემთხვა.

– საიდან იცით?

მისტერ ტეიტს გაეღიმა.

– უკაცრავად, ეს იმათ მითხრეს. ასეა თუ ისე, როცა მივედი, კარგა მაგარი დალილავებული დამხვდა, ცალი თვალიც უკვე ულურჯდებოდა.

– რომელი თვალი?

მისტერ ტეიტმა თვალები დაახამხამა და ხელები თმაზე მოისვა.

– ახლავე გავიხსენებ, – თქვა ხმადაბლა და ატიკუსს ისე გახედა, თითქოს ეუბნებოდა, ეს რა ბავშვური შეკითხვა დამისვიო.

– ვერ იხსენებთ? – ჰკითხა ატიკუსმა.

მისტერ ტეიტმა თითი წინ, ვიღაც უხილავისკენ გაიშვირა და თქვა:

– მარცხენა თვალი.

– ერთ წუთს დაფიქრდით, შერიფო, – უთხრა ატიკუსმა, – მარცხენა საიდან: მასთან პირისპირ რომ მდგარიყავით, თუ გვერდიგვერდ?

მისტერ ტეიტმა უთხრა:

– აა, მართალია, გამოდის, მარჯვენა თვალი ყოფილა. მარჯვენა თვალი ჰქონდა დალურჯებული, მისტერ ფინჩ! ახლა კარგად მომაგონდა. სახეზე მარჯვენა მხარეს იყო მაგრად ნაცემი...

მისტერ ტეიტმა ისევ დაახამხამა თვალები, თითქოს უცებ გონება გაუნათდაო. მერე თავი შეატრიალა და ტომ რობინსონს გახედა. ტომ რობინსონმაც, თითქოს გუმანით იგრძნო მისი მზერაო, თავი ასწია.

ატიკუსისთვისაც რაღაცა ნათელი გახდა და იგი ფეხზე ნამოდგა.

– შერიფო, გთხოვთ, კიდევ ერთხელ გაიმეოროთ თქვენი ნათქვამი.

– ვიმეორებ: მარჯვენა თვალი ჰქონდა-მეთქი ჩალურჯებული.

– არა... – ატიკუსი სასამართლოს მდივნის მაგიდასთან მივიდა, დაიხარა და ჩანაწერს ჩახედა. ხელი, რომელიც აქამდე გამალებით წერდა ბლოკნოტში, შეჩერდა, ბლოკნოტი გადაფურცლა და მდივანმა წაიკითხა: "... მისტერ ფინჩ... ახლა კარგად მომაგონდა, რომ სწორედ იქითა მხარეს იყო სახეზე ნაცემი".

ატიკუსმა მისტერ ტეიტს ახედა:

– მაშ, რომელ მხარეს, ჰეკ?

– მარჯვენა მხარეს, მისტერ ფინჩ, მაგრამ სხვაგანაც იყო ნაცემი, გინდათ გიამბოთ?

ატიკუსი ეტყობა, სხვა შეკითხვის დასმას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა და უთხრა:

– დიახ, მაშ, რა იარები ჰქონდა კიდევ? – და სანამ მისტერ ტეიტი პასუხობდა, ტომ რობინსონს გახედა, ჩანდა, არც ერთი არ მოელოდა ამის გაგონებას.

– ...მკლავები სულ დალილავებული ჰქონდა და კისერიც მიჩვენა – ყანყრატოსთან აშკარად ემჩნეოდა თითების ანაბეჭდები.

– მთელი კისრის ირგვლივ? უკანაც?

– მე მგონი, მთლიანად, მისტერ ფინჩ.

– თქვენ ასე გგონიათ?

– დიახ, სერ, გოგონას წვრილი კისერი აქვს და არავის არ გაუძნელდება ცალი...

– შერიფო, გთხოვთ, შეკითხვებზე უბრალოდ "დიახ", ან "არა" მიპასუხოთ, – მკვახედ მოუჭრა ატიკუსმა და მისტერ ტეიტიც დადუმდა.

ატიკუსი თავის სკამზე დაჯდა და პროკურორს თავის მოძრაობით ანიშნა – მოვრჩიო. პროკურორმა მოსამართლეს დაუკრა თავი, იმან კიდევ მისტერ ტეიტს. შერიფი მაშინვე წამოდგა და მონმისთვის განკუთვნილი შემაღლება დატოვა.

ჩვენ ქვემოთ ხალხს გამოცოცხლება დაეტყო – თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ, ჩვილ ბავშვებს მაღლა სნევდნენ; გაისმა ფეხსაცმელების ჭრაჭუნიც და რამდენიმე ბავშვმა სირბილით დატოვა დარბაზი. ჩვენ ზურგს უკან ზანგებიც აჩურჩულდნენ. დილმა მამა საიკს ჰკითხა – ხომ ვერ ამიხსნით, რა მოხდაო, მაგრამ დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღო.

ჯერჯერობით პროცესი მოსაწყენად ვითარდებოდა. არავინ არ ბობოქრობდა, არ იყო აზრთა ჭიდილი, კამათი, დავა. მაყურებლები იმედგაცრუებულებიც კი ჩანდნენ. ატიკუსი ისე თავაზიანად და გულარხეინად უძღვებოდა საქმეს, გეგონებოდათ, სამემკვიდრეო უფლებები აქვს დასამტკიცებელიო. თუმცა, ატიკუსი ვნებათაღელვის დაცხრობის ისეთი დიდოსტატი იყო, სულ არ გამიკვირდებოდა, ახლა ეს პროცესი გაუპატიურების თაობაზე საეკლესიო წირვას რომ დამსგავსებოდა. ერთბაშად გადამავიწყდა, თუკი რამე უსიამოვნება შეგვემთხვა წინა ღამით:

ალარ მეშინოდა. არც ბოსლისა და ვისკის სუნით აყროლებული ძილმორეული მამაკაცებისა და არც იმ ხრინწიანი ხმის, ბოლოს რომ იკითხა: "წავიდნენ, მისტერ ფინჩ?" დღის სინათლემ ღამის უჟმური ზმანება გაფანტა და სასიკეთო მოლოდინით აღგვავსო.

მოსამართლე ტეილორისა არ იყოს, ჩვენ ქვემოთ მსმენელებიც ლაღად გრძნობდნენ თავს. მარტო ჯემი ვერ ისვენებდა: მრავალმნიშვნელოვნად იღიმებოდა, თვალები ბედნიერად უციმციმებდა; რაღაც მოსაზრებაც კი გამოთქვა პირდაპირი და ირიბი მტკიცებულებების თაობაზე. თავისი ცოდნის გამომჟღავნება უნდა და მეტი არაფერი-მეთქი, გავიფიქრე.

– ...რობერტ ლი იუველ! – გაისმა მდივნის მჭექარე ხმა და მაყურებლებს ყოყლოჩინა იერის ტანმორჩილი მამაკაცი გამოეყო. გაფხორილი გაეშურა მონმის ადგილისკენ. თავისი გვარის გაგონებაზე კისერი წამოუნითლდა, ხოლო როცა საზეიმო ფიცის მისაცემად პირი ჩვენკენ იბრუნა, დავინახეთ, რომ სახეც კისერივით ანითლებული ჰქონდა. არც ის გამოგვპარვია, რომ ეს კაცი არაფრით არ ჰგავდა თავის სეხნია გენერალს. ახლად დაბანილი მეჩხერი თმა ყალყზე ედგა, თხელი ნაწვეტებული ცხვირი ულაპლაპებდა. ნიკაპი ჰქონდა-მეთქი, საერთოდ ვერც ვიტყვი, ისე გლუვად შერწყმოდა მისი ყბა სლიკინა კისერს.

– ...უფალი იყოს ჩემი მფარველი, – დაიჩხავლა მისტერ იუველმა.

ყველა მეიკომისხელა ქალაქს ჰყავს თავისი იუველები. ამ ოჯახების სტატუსს ვერანაირი ეკონომიკური ცვლილება ვერ არყევს. იუველებისთანა ხალხი – ოლქის ხარჯზე მცხოვრებნი – ერთნაირი წარმატებით იტანენ სახელმწიფოს აყვავების ხანასაც და უმძიმეს კრიზისსაც. ვერც ერთი სკოლის ინსპექტორი ვერ აიძულებს მათ შვილებს სკოლაში სიარულს; არც ერთ სანიტარულ ინსპექტორს არ შესწევს უნარი, განმინდოს ისინი თანდაყოლილი მანკიერებისგან, ათასნაირი სენისა და პარაზიტებისგან, რაც ბინძური გარემოს განუყრელი თანამგზავრია.

მეიკომელი იუველები ქალაქის სანაგვე წერტს უკან ცხოვრობდნენ ქოხში, რომელიც ადრე ზანგებს ეკუთვნოდა. ქოხის ფიცრული კედლები ალაგ-ალაგ ღარული რკინით "მოეპირკეთებინათ", სახურავი გაბრტყელებული კონსერვის ქილებით დაეფარათ. მხოლოდ საერთო ხედით თუ მიხვდებოდით, როგორი უნდა ყოფილიყო ეს ნაგებობა თავდაპირვე-

ლად: კვადრატული, ოთხი ციცქნა ოთახით, რომლებიც ვიწრო დერეფანში გამოდიოდა. ქოხი კირქვის ოთხ უსწორმანორო ბელტზე შემოედგათ. კედლებში დატოვებული ღიობები ფანჯრების მოვალეობას ასრულებდა. ზაფხულობით მათ გაქონილ დოლბანდის ნაკუწებს ააკრავდნენ ხოლმე მწერებისგან თავდასაცავად, მწერები კი მეიკომის სანაგვეში უხვად მოიძევებოდა.

თუმცა, არც მწერებს ადგათ კარგი დღე: იუველები ნაგავს ყოველდღე საგულდაგულოდ ქექავდნენ და იქ მოპოვებულ ნივთებს (ანუ იმას, რასაც საჭმელად ვერ გამოიყენებდნენ) თავიანთ ეზოში ეზიდებოდნენ. ამ ეზოს შემხედვარე კაცი იფიქრებდა – ეს შეშლილი ბავშვის სათამაშო მოედანიაო: ხის ტოტები, ცოცხისა და ნაირ-ნაირი ხელსაწყოების ტარები ღობის მაგივრობას სწევდნენ; ამათ ზედ ჩამომხობილი ჰქონდა დაჟანგული ჩაქუჩის თავები, ფოცხის დაბრეცილი კბილანები, აქანდაზები, ცულისა თუ თოხის პირები; ყოველივე ეს ეკლიანი მავთულის ნაგლეჯებით გადაებათ ერთმანეთზე. ამ ბარიკადებით შემოზღუდულ ბინძურ ეზოში ეყარა ძველისძველი "ფორდის" ნაშთი (ქვებზე შეყენებული), კბილის ექიმის უვარგისი სავარძელი, ძველთაძველი საყინულე და სხვა, უფრო მცირე ზომის ნივთები: გაცვეთილი ფეხსაცმელები, მწყობრიდან გამოსული რადიომიმღებები, სურათის ჩარჩოები და ქოთნები, რომელთა ქვეშ გაძვალტყავებული წიწილები ამაოდ დაეძებდნენ საკენკს...

მაგრამ მთელი მეიკომი განცვიფრებაში მოჰყავდა ამ ეზოს ერთ კუნჭულს: ღობის გასწვრივ კიდეებშემომტვრეული ოთხი მომინანქრებული ქვაბი ჩაემწკრივებინათ, შიგ კი ხასხასა წითელი ნემსიწვერები ხარობდა, ისეთი მოვლილი, მის მოდის ბაღისა გეგონებოდათ (რა თქმა უნდა, მის მოდის თავის ბაღში ადგილი რომ გაემეტებინა ნემსიწვერებისთვის!). ამბობდნენ – ეს ყვავილები მეიელა იუველისააო.

დანამდვილებით ვერავინ გეტყოდათ, რამდენი ბავშვი ცხოვრობდა ამ ქოხში. ერთნი ამბობდნენ, ექვსიო, მეორენი გაიძახოდნენ, ცხრაო. როცა არ უნდა ჩაგევლოთ იქ, ქოხის ფანჯარასთან აუცილებლად შენიშნავდით რამდენიმე სახემოთხუპნულ ბავშვს. თუმცა, შობადღის გარდა, იმ მიდამოებში არავის უნევდა სიარული. შობადღეს ეკლესია მრევლს საჩუქრებს ურიგებდა და არც იუველებს ივიწყებდა. ხოლო ნაახალწლევს, მეიკომის მერის თხოვნით, მოსახლეობა ქალაქის მენაგვეს შრომას უმსუბუქებდა და თვითონ გაჰქონდა ნაგავი გადასაყრელად.

სწორედ შარშან ნაახალწლევს, როცა ატიკუსი მერის თხოვნის შესასრულებლად გაემგზავრა, ჩვენც თან წაგვიყვანა. გზატკეცილიდან სანაგვე წერტისკენ ვიწრო, ტალახიანი შარა გაეყვანათ, რომელიც ზანგების პატარა დასახლებამდე მიდიოდა. იუველების ეზოდან იმ დასახლებამდე ორმოცდაათიოდე იარდი იქნებოდა. ასე რომ, თუ მანქანით ისევ გზატკეცილზე გაბრუნებას მოისურვებდით, ან უკუსვლით უნდა წასულიყავით, ან მთელი შარა ბოლომდე უნდა ჩაგევლოთ და რომელიმე შავკანიანის ეზოში მოგეტრიალებინათ მანქანა. უკუსვლით თითქმის არავინ არ ბრუნდებოდა. დეკემბრის იმ სუსხიან საღამოს ზანგების ქოხმახები მყუდროდ და კოპწიად გამოიყურებოდა. საკვამურებიდან მოლურჯო კვამლი იფრქვეოდა, გამოღებულ ხის კარებს ქარვისფერი ედო მოგიზგიზე ბუხრების ალზე; ირგვლივ მადის აღმძვრელი სურნელება ტრიალებდა: წიწილები და შებოლილი ხორცი იბრანებოდა. მე და ჯემმა კურდღლის შეჭამანდის სუნიც ვიგრძენით, თუმცა შევცდით – ქალაქგარეთ გაზრდილ ატიკუსს უკეთ შეეძლო შემწვარი ოპოსუმისა და კურდღლის სუნის გარჩევა... მაგრამ როცა უკან მობრუნებულები იუველების კარ-მიდამოს გავუსწორდით, ეს საამო სურნელება გაიფანტა.

ერთადერთი, რითაც მოწმის ადგილზე მდგომი კაცუნა სჯობდა თავის უახლოეს მეზობლებს – ზანგებს – ის იყო, რომ თუ მას საგულდაგულოდ გახეხავდით კუპრიანი საპნითა და ცხელი წყლით, კანი თეთრი ფერის გაუხდებოდა.

– მისტერ რობერტ იუველი? – ჰკითხა ბატონმა გილმერმა.

– სწორედ ეგრე მეძახიან, კაპიტანო, – უთხრა მოწმემ.

მისტერ გილმერი შეცბა და, ცოტა არ იყოს, შემებრალა კიდეც. ალბათ აქ ერთი რამ უნდა განვმარტო: არაერთხელ მსმენია – ვექილების შვილებს გაცხარებულ კამათში ჩართული მშობლის ცქერისას არასწორი წარმოდგენა ექმნებათ და მონინააღმდეგე მხარის ვექილი თავისი მშობლის პირადი მტერი ჰგონიათო. ბავშვები ამას მწვავედ განიცდიან და ძალიან უკვირთ, როცა მოგვიანებით, შესვენებისას, ამ "მოსისხლე მტრებს" ხელკავგაყრილებს და ტკბილად მობაასეთ დაინახავენ. მე და ჯემს მსგავსი არაფერი დაგვმართნია. მამაჩვენის გაშარჯვება თუ და-

მარცხება სულიერ ტრამვას არ გვაყენებდა. ვნუხვარ, რომ ამ მხრივ გულის ამაჩუყებელს ვერაფერს მოგითხრობთ; ასე თუ მოვიქცევი, სიყალბე გამომივა, სამაგიეროდ, მე და ჯემს შეგვეძლო, ზუსტად განგვესაზღვრა, როდის გადაიზრდებოდა ხოლმე პროფესიული კამათი ენამწარობად, თუმცა მამაჩვენისგან ასეთი რამ არ გვახსოვს: ატიკუსის ანეული ხმა არასოდეს გამიგია, გარდა ერთი შემთხვევისა, როცა ყრუ მონმეს მიმართავდა. ისევე, როგორც მამაჩემი, მისტერ გილმერიც ახლა თავის მოვალეობას ასრულებდა. მისტერ იუველი მისი მონმე იყო და გაუგებარია, რად დასჭირდა გამომძიებელთან უხეშობა.

– თქვენა ხართ მეიელა იუველის მამა? – გაისმა შემდეგი კითხვა.

– რა ვიცი, თუ არა ვარ და, ახლა რაღა დროს მაგის კვლევაა: დედამისი მკვდარია, – იყო პასუხი.

მოსამართლე ტეილორი შეკრთა. ნელა შემოტრიალდა თავის მბრუნავ სავარძელზე და მონმეს გულგრილად გახედა.

– თქვენა ხართ მეიელა იუველის მამა? – ჰკითხა მან ისე, რომ სიცილი დარბაზში ერთბაშად შეწყდა.

– დიახ, სერ, – მორჩილად მიუგო მისტერ იუველმა.

მოსამართლე ტეილორმა ახლა უფრო რბილად მიმართა:

– სასამართლოსთან პირველად გაქვთ საქმე? აქ მოსული რაღაც არ მახსოვხართ.

როცა მონმემ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, მოსამართლემ განაგრძო:

– მაშ, ასე, ახლა კარგად დაიხსომეთ: სანამ აქ ვზივარ, არავინ გაბედოს ამ დარბაზში თავისი უხამსი მოსაზრებების ხმამაღლა გამოთქმა, გამიგეთ?

მისტერ იუველმა თავი კი დაუქნია, მაგრამ არა მგონია, რამე გაეგო, მოსამართლე ტეილორმა ამოიხვნეშა და თქვა:

– მაშ, ასე, მისტერ გილმერ!

– გმადლობთ, სერ. მისტერ იუველ, იქნებ თქვენი სიტყვებით გვიამბოთ, რა მოხდა ოცდაერთი ნოემბრის საღამოს? გთხოვთ.

ჯემს გაეღიმა და თმა შუბლიდან უკან გადაიწია. "თქვენი სიტყვებით", – მისტერ გილმერი ამ გაფრთხილების გარეშე წარმოუდგენელი იყო.

ხშირად გვიფიქრია: ნეტა, რისი ეშინია მისტერ გილმერს – თუ არ თავისი, სხვა ვისი სიტყვებით შეიძლება მეტყველებდეს მონმე?

– ჰო, ოცდაერთი ნოემბრის ღამეს ტყიდან ვბრუნდებოდი ფიჩხით დატვირთული და ის იყო, ჩემი სახლის ღობეს მივადექი, სახლიდან მეიელას ხმა გავიგე – დასაკლავი ღორივით ჭყვიროდა.

მოსამართლე ტეილორმა მკაცრად გახედა მონმეს, მაგრამ ეტყობოდა დაასკვნა, რომ იუველის მსჯელობაში ამჯერად არაფერი იყო უხამსი და ისევ მშვიდად მიესვენა სავარძელზე.

– რა დრო იქნებოდა, მისტერ იუველ?

– მზე ახალი ჩასული იყო. ჰოდა, იმას გეუბნებოდით, მეიელას კიევილი ეშმაკს დააფრთხობდა-მეთქი, – მოსამართლემ ისევ მიაპყრო მონმეს მკაცრი მზერა და მისტერ იუველი გაჩუმდა.

– დიახ, მაშ, იგი გაჰკიოდა? – სიტყვა შეაშველა მისტერ გილმერმა.

მისტერ იუველი შეცბა და მოსამართლეს გახედა.

– ჰოდა, მეიელა ისე გაჰკიოდა, რო ტვირთი ხელიდან გავაგდე და რაც ძალი და ღონე მქონდა, გავიქეცი, ღობის მავთულებს წამოვეედე, როცა თავი გავითავისუფლე, ფანჯარას მივვარდი და შევიხედე, შევიხედე და რას ვხედავ! – მისტერ იუველს სახეზე ჭარხლისფერი დაედო. ფეხზე წამოდგა და თითი ტომ რობინსონისკენ გაიშვირა, – ეს მურიანი ჩემს მეიელას აუპატიურებდა!

მისტერ ტეილორის სასამართლოში ისეთი წესრიგი სუფევდა, თითქმის არც ერთხელ არ დასჭირვებია ჩაქუჩის ჩამოკვრა, მაგრამ ამჯერად ჩაქუჩი ხუთი წუთის განმავლობაში არაკუნებდა. ატიკუსი მოსამართლესთან მივიდა, რაღაცა გადაულაპარაკა, მისტერ ჰეკ ტეიტი – როგორც ხელისუფლების უპირველესი წარმომადგენელი მეიკომში – კარებში იდგა და ხალხით გაჭედილ დარბაზს წესრიგისკენ მოუნოდებდა. ჩვენ უკან, შავკანიანების თავყრილობას უკმაყოფილების გმინვამ გადაუარა.

მამა საიკსი ჩვენკენ გადმოიხარა და ჯემს იდაყვში ჩააელო ხელი:

– მისტერ ჯემ, – უთხრა მან, – კარგი იქნება, მის ჯინ ლუიზა სახლში წაგეყვანათ. მისტერ ჯემ, არ გესმით ჩემი?

ჯემმა თავი ჩემკენ მოაბრუნა:

– ჭყიტა, წადი სახლში. დილ, მე მგონი, შენ და ჭყიტა სახლში უნდა წახვიდეთ.

შენ ეგრე გგონია-მეთქი? – ვუთხარი. სწორედ ბედზე მომაგონდა ატიკუსის დალოცვილი გამონათქვამი! ჯემმა მრისხანედ შემომიბღვირა და მერე მამა საიკსს მიმართა:

– მე მგონი, არაფერი დაშავდება, თუ დარჩება, მამაო, მაინც ვერაფერს ვერ გაიგებს.

ასეთი შეურაცხყოფის ატანა კი შეუძლებელი იყო:

– ძალიანაც კარგად გავიგებ, და საერთოდ, შენ რაც გესმის, ის მეც მშვენივრად მესმის!

– ოო, მოკეტე რა! არაფერიც არ ესმის, მამაო, ჯერ ცხრა ნლისაც არაა.

მამა საიკსი შეშფოთებული შავი თვალებით მოგვაჩერდა:

– მისტერ ფინჩმა იცის, რომ აქა ხართ? ამის ყურება არ ღირს გოგონებისთვის, არც თქვენთვის, ბიჭებო.

ჯემმა თავი გააქნია.

– იმ სიშორიდან მაინც ვერ დაგვინახავს. ყველაფერი რიგზეა, მამაო.

ვიცოდი, ბოლოს ჯემი გაიმარჯვებდა, რადგან მჯეროდა – დარბაზის მიტოვებას ახლა ვერა ძალა ვერ აიძულებდა. სანამ ატიკუსს შენიშნული არ ვყავდით, მე და დილს არხეინად შეგვეძლო, პროცესისთვის თვალყური გვედევნებინა.

ვიდრე მოსამართლე ტეილორი ჩაქუჩს არაკუნებდა, მისტერ იუველი მოწმის სკამზე იჯდა და თვითკმაყოფილი სახით ათვალიერებდა აბობოქრებულ ხალხს, მისი ერთი ფრაზა საკმარისი აღმოჩნდა, რომ არხეინი მოპიკნიკეები აღრენილ ბრბოდ გადაქცეულიყვნენ. ჩაქუჩის რაკუნმა ბრბო თანდათან დააშოშმინა, ისე, რომ ბოლოს დარბაზში მხოლოდ დახშული გუგუნილა ისმოდა: დინგ, დინგ, დინგ, – გეგონებოდათ მოსამართლე ფანქარს აკაკუნებს მერხზეო.

როცა მოსამართლე ტეილორი დარწმუნდა, დარბაზში წესრიგიაო, სკამის ზურგს მიეყრდნო. ერთბაშად მოეღვენთა სახე – ასაკმა თავი იჩინა, და მამაჩემის ნათქვამი მომაგონდა – ის და მისიზ ტეილორი არც ისე ხშირად პკოცნიან ერთმანეთსო; მოსამართლე სამოცდაათიოდე ნლისა იქნებოდა.

– შემოვიდა თხოვნა, – განაცხადა მოსამართლე ტეილორმა, – დარბაზი მაყურებლებისგან დაიცალოს, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ბავშვები და ქალები დავითხოვოთ. ეს თხოვნა დროებით უარვყავით. მე მიმაჩნია, რომ ხალხმა უნდა უყუროს იმას, რისი ნახვაც სწადია. ყველას აქვს ნება, თავის შვილსაც აყურებინოს, რასაც უნდა, მაგრამ მერწმუნეთ: ან ყველანი ჩუმად იქნებით და ისე მოისმენთ, ან არა და, ამ დარბაზის დატოვება მოგიწევთ, ოღონდ მანამდე ყოველ თქვენგანს პასუხს ვაგებინებ სასამართლოს შეურაცხყოფისთვის!

– მისტერ იუველ, თუ შესაძლებელია, ქრისტიანულ ინგლისურ ენაზე ილაპარაკეთ. განაგრძეთ, მისტერ გილმერ.

მისტერ იუველი ყრუ-მუნჯს მაგონებდა. დარწმუნებული ვარ, ამ კაცს არასოდეს გაეგონა მსგავსი სიტყვა-პასუხი; უმწეოდ აცმაცუნებდა ტუჩებს. თუმცა შენიშვნის მნიშვნელობა რომ შეიგრძნო, გამომეტყველებაზე დაეტყო: თვითკმაყოფილი იერი ბრიყვული სერიოზულობით შეეცვალა. მაგრამ მოსამართლე ტეილორს ასე იოლად ვერ შეაცდენდა: მას მერე, რაც მისტერ იუველი მოწმის ადგილზე დადგა, მოსამართლეს მისთვის თვალი არ მოუშორებია, თითქოს ემუქრებოდა – აბა, გაბედე და ერთი ყალბი მოძრაობა გააკეთეო!..

მისტერ გილმერმა და ატიკუსმა ერთმანეთს გადახედეს. ატიკუსი ისევ იჯდა, თავი ხელისგულზე ჩამოეყრდნო, ისე, რომ სახე არ უჩანდა; მისტერ გილმერი იმედგაცრუებული ჩანდა, მაგრამ ერთბაშად გამოცოცხლდა, როგორც კი მოსამართლემ კითხვა დაუსვა.

– მისტერ იუველ, დაინახეთ თუ არა, რომ ბრალდებული სქესობრივ კავშირში იმყოფებოდა თქვენს ქალიშვილთან?

– დიახ, დავინახე.

მაყურებლებს ხმა აღარ ამოუღიათ, მხოლოდ ბრალდებულმა ჩაიბურტყუნა თავისთვის. ატიკუსმა ტომ რობინსონს რაღაც ჩასჩურჩულა და ისიც დადუმდა.

– მაშ, თქვენ ამბობთ, რომ ფანჯარასთან იდექით, არა? – პკითხა მისტერ გილმერმა.

– დიახ, სერ.

– რამსიმაღლეზეა თქვენი ფანჯარა მიწიდან?

– სამი ფუტის სიმაღლეზე იქნება.

– იქიდან ოთახი კარგად მოჩანს?

– დიახ, სერ.

– როგორ გამოიყურებოდა ოთახი?

– ყველაფერი მიყრილ-მოყრილი იყო, როგორც ჩხუბის მერე.

– რა ქენით, როცა ბრალდებული დაინახეთ?

– რა და, სახლს შემოვურბინე ოთახში შესასვლელად, მაგრამ სნორედ წინკარში გამასწრო. კარგად კი დავინახე, ვინც ბრძანდებოდა, მაგრამ მეიელას ამბავი ისე მაღელვებდა, მაგას ვეღარ დავედევნებოდი. ოთახში შევვარდი და იატაკზე გაშოტილი დამიხვდა – ეგდო და გმინავდა.

– ამის მერე რა მოიმოქმედეთ?

– როგორ თუ რა, მაშინვე მისტერ ტეიტთან გავვარდი. ამის ჩამდენს ვიცნობდი, ეგ ჩვენგან ქვემოთ, ზანგების ბუნაგში ცხოვრობს და ყოველდღე ჩვენი სახლის წინ დადის. მოსამართლევ, უკვე თხუთმეტი წელია, მთავრობას ვეხვეწები, ის ბუნაგი ზანგებისგან განმინდოს, ხო იცით, საშიშია მაგათთან მეზობლობა, ჩემი ქონებისთვის ზიანი მოაქვთ.

– გმადლობთ, მისტერ იუველ, – ნაჩქარევად უთხრა მისტერ გილმერმა.

მოწმე სნრაფი ნაბიჯით გადმოვიდა ფიცარნაგიდან და პირდაპირ ატიკუსს შეეჯახა, რომელიც მისთვის კითხვის დასასმელად წამომდგარიყო. მოსამართლე ტეილორმა ნება დართო ხალხს, გადაეხარხარა.

– ერთი წუთით, სერ, – მხიარულად შეაგება ატიკუსმა, – შეიძლება, მეც დაგისვათ ერთი-ორი კითხვა?

მისტერ იუველი ისევ დაუბრუნდა მოწმისთვის განკუთვნილ სკამს, დაჯდა და ქედმაღლური, იჭვნეული მზერა მიაპყრო ატიკუსს. მონინააღმდეგის ვექილს ყველა მეიკომელი მოწმე ასეთი თვალით უყურებდა.

– მისტერ იუველ, – დაიწყო ატიკუსმა, – იმ ღამეს ხშირად გიხდებოდათ სირბილი. ჯერ იყო და, როგორც თქვენ ბრძანეთ, ფანჯარასთან მიირბინეთ, მერე სახლში შევარდით, მეიელასთან მიირბინეთ, მერე მისტერ ტეიტთან გაიქეცით... ამ წინ და უკან სირბილის დროს ექიმსაც ხომ არ შეურბინეთ?

– ექიმი რათ მინდოდა? ვერ ვნახე, რაც მოხდა?!

– კი მაგრამ, ერთი რამ არ მესმის, – უთხრა ატიკუსმა, – მეიელას მდგომარეობამ არ შეგაშფოთათ?

– როგორ არა, – უთხრა მისტერ იუველმა, – მე ხო დავინახე, ვინ იყო ამის...

– არა, მე ფიზიკურ მდგომარეობას ვგულისხმობდი. ნუთუ არ გიფიქრიათ, რომ თქვენი ქალიშვილი სასწრაფო სამედიცინო დახმარებას საჭიროებდა?

– რაა?

– ნუთუ არ იფიქრეთ, რომ ექიმის მოყვანაა საჭირო და თანაც, დაუყოვნებლივ?

მოწმემ განაცხადა, რომ აზრადაც არ მოსვლია ასეთი რამ, რომ თავისი ოჯახის არც ერთი ნევრისთვის არასოდეს არ მოუყვანია ექიმი და რომ მოეყვანა, მაშინ ხუთი დოლარი ექნებოდა გადასახდელი.

– მორჩა? – იკითხა ბოლოს მისტერ იუველმა.

– ჯერ მთლად არა, – მშვიდად მიუგო ატიკუსმა, – მისტერ იუველ, მოისმინეთ თუ არა შერიფის ჩვენება?

– ეგ როგორ?

– როცა მისტერ ჰეკ ტეიტი ჩვენებას აძლევდა, თქვენ დარბაზში იყავით, არა? და მოისმინეთ ყველაფერი, რაც მან თქვა, ხომ მართალია?

მისტერ იუველმა კარგა ხანს იფიქრა, ბოლოს ეტყობა, გადაწყვიტა, ამ კითხვაში სახიფათო არაფერიაო, და უპასუხა:

– დიახ.

– სწორად აღწერა თუ არა შერიფმა მეიელას იარები?

– ეგ როგორ?

ატიკუსმა მისტერ გილმერს გახედა და გაელიმა, მისტერ იუველს ეტყობა, გადაწყვეტილი ჰქონდა, არამც და არამც არ გაეხარებინა ბრალდებულის დამცველი.

– მისტერ ტეიტმა განაცხადა, მეიელას ცალი თვალი ჩალურჯებული ჰქონდა და ნაცემი იყოო.

– აა, კი, – თქვა მოწმემ, – ყველაფერში ვეთანხმები ტეიტს.

– ყველაფერში? – შემპარავად დაეკითხა ატიკუსი, – უბრალოდ, მინდოდა ამაში დავრწმუნებულიყავი.

ატიკუსმა მდივნის მაგიდას მიაშურა, რალაც გადაულაპარაკა და მდივანმაც ხმამაღლა წაიკითხა მისტერ ტეიტის ჩვენება, ისე, როგორც საბირჟო მონაცემებს აცხადებენ ხოლმე: "რომელი თვალი – მარცხენა... აა, დიახ, მაშინ მარჯვენა გამოდის, დიახ, მარჯვენა თვალი იყო, მისტერ ფინჩ, ახლა კარგად მომაგონდა, მაქეთ მხარეს იყო ნაცემი"... აქ მდივან-

მა ფურცელი გადაშალა და განაგრძო: "შერიფო, გთხოვთ, გაიმეოროთ – დიახ, როგორც გითხარით, ეს იყო მარჯვენა თვალი..."

– გმადლობთ, ბერტ, – უთხრა მდივანს ატიკუსმა, – მისტერ იუველ, აი, კიდევ ერთხელ მოგასმენინეთ ეს ჩვენება. ხომ არ გსურთ, რაიმე დაუმატოთ? ეთანხმებით თუ არა შერიფს?

– ტეიტი სწორია. თვალი ჩალურჯებული ჰქონდა და მაგრად იყო ნაცემი.

ამ პატარა კაცუნამ, როგორც ჩანს, დაივიწყა, რა სირცხვილი აჭამა თავიდან მოსამართლემ. აშკარა იყო – იგი ატიკუსს სახიფათო მონინააღმდეგედ აღარ თვლიდა. ისევ წამონითლდა, გაიფხორა და პატარა მამლაყინწად გადაიქცა. როცა ატიკუსმა შემდეგი კითხვა დაუსვა, არ მეგონა, თუ პერანგი არ შემოასკდებოდა ტანზე:

– მისტერ იუველ, წერა-კითხვა იცით?

მისტერ გილმერმა შეაწყვეტინა:

– ვაპროტესტებ, – თქვა მან, – არ მესმის, რა ესაქმება მოწმის განათლებას ამ პროცესთან, სრულიად შეუსაბამო და უსაფუძვლო კითხვაა.

ის იყო, მოსამართლე ტეილორმა რაღაცის თქმა დააპირა, რომ ატიკუსმა მიმართა:

– მოსამართლევ, თუ ნებას დამრთავთ, ამ კითხვას კიდევ ერთი მივაყოლო, დაინახავთ, რაც მაინტერესებს.

– კეთილი, ვნახოთ, – მიუგო მოსამართლემ, – მაგრამ შეეცადეთ, მართლა დაგვანახოთ, რა გაინტერესებთ, ატიკუს. პროტესტი გაუქმებულია.

მისტერ გილმერი, ისევე როგორც ყველა ჩვენგანი, ცნობისმოყვარეობით მოელოდა პასუხს კითხვაზე, რა ესაქმება მისტერ იუველის განათლებას ამ პროცესთან?

– ვიმეორებ კითხვას, – თქვა ატიკუსმა, – იცით, თუ არა წერა-კითხვა?

– რასაკვირველია, ვიცი.

– შეგიძლიათ, თქვენი გვარი და სახელი დაგვიწეროთ და გვაჩვენოთ?

– რასაკვირველია, შემიძლია. ნეტა, რა გგონიათ, როგორ ვაწერ ხოლმე ხელს ქაღალდებს?!

მისტერ იუველი, ეტყობა, თავს აწონებდა თავის თანაქალაქელებს. ქვემოთ, ხალხში, ხითხითი და ჩურჩული გაისმა – მაყურებელი გაერთო ამ სანახაობით.

ავღელდი. აშკარაა – ატიკუსმა იცის, რასაც აკეთებს. მაგრამ ვაითუ, თავს იტყუებს?! ჯვარედინი დაკითხვის დროს არამც და არამც არ უნდა დაუსვა მონმეს ისეთი შეკითხვა, რომლის პასუხი დანამდვილებით წინასწარ არ იცი – ეს იყო დოქტრინა, რომელიც სიყრმიდანვე ავითვისე: წინააღმდეგ შემთხვევაში, ხშირად მიიღებ არასასურველ პასუხს, რამაც შეიძლება მთელი საქმე დაღუპოს!

ატიკუსმა ხელი გულის ჯიბეში ჩაიყო და კონვერტი და კალამი ამოაძვრინა. დინჯად მოძრაობდა. ისე დადგა, რომ მსაჯულებს არ გასჭირვებოდათ იმის დანახვა, თუ რას აკეთებდა. კალამს თავი მოხსნა და მაგიდაზე დადო. კალამი შეანჯღრია და კონვერტი და საწერი კალამი მონმეს მიაწოდა.

– ხომ არ დაგვიწერდით თქვენს გვარს და სახელს? – სთხოვა მისტერ იუველს, – ოღონდ გარკვევით, ისე, რომ მსაჯულებმა გაარჩიონ თქვენი ნაწერი.

მისტერ იუველი კონვერტის ცალ მხარეზე წერას შეუდგა და შემდეგ კმაყოფილმა გახედა მოსამართლეს, რომელიც ისეთი გაოგნებული უყურებდა, თითქოს მოწმის ადგილზე კაცი კი არა, უცხო მცენარე ამოსულიყო. მისტერ გილმერი ნახევრად წამომდგარიყო თავისი სკამიდან და ისე აკვირდებოდა; მსაჯულებიც გაფაციცებით უთვალთვალებდნენ, ერთი მათგანი წინ გადმოხრილიყო და მკლავები მოაჯირზე გადაეწყო.

– ასე რამ დაგაინტერესათ? – იკითხა მისტერ იუველმა.

– მისტერ იუველ, თქვენ ცაცია ხართ, – უთხრა მოსამართლე ტეილორმა.

მისტერ იუველმა მოსამართლეს შეუბღვირა და უთხრა:

– მერე, ჩემ ცაციაობას ამ პროცესთან რა ესაქმება?! მე ღვთისმოშიში კაცი ვარ, ატიკუსი კი ამას ბოროტად იყენებს! – ატიკუს ფინჩისნაირი ეშმაკი ვექილები თურმე მთელი ცხოვრების მანძილზე აბრიყვებდნენ მისტერ იუველს...

– ხომ გასაგებად ვთქვი, რაც მოხდა, თანაც, რამდენჯერმე! – მისტერ იუველმა კიდევ ერთხელ გაიმეორა თავისი მონაყოლი, მერე, რაც

მონმემ ხელმეორედ გვიამბო – როგორ შეიხედა ფანჯარაში, როგორ გაექცა ზანგი, როგორ მიაკითხა შერიფს. ატიკუსსაც აღარაფერი უკითხავს და მონმე დაითხოვა.

მისტერ გილმერმა ერთადერთი კითხვაღა დაუსვა:

– რაც შეეხება მარცხენა ხელით წერას, მისტერ იუველ, მაშ, თქვენ ცაცია ხართ?

– რასაკვირველია, არა, მე ორივე ხელს ერთნაირად ვხმარობ. ორივე ხელით ერთნაირად მეხერხება, – დასძინა მან და მრისხანედ გახედა დამცველის მაგიდას.

ჯემი უხმოდ იცინოდა. მოკუმული მუშტი რამდენჯერმე ნელა დაარტყა აივნის მოაჯირს და წაიჩურჩულა – ჩავავლეთო.

მე კი სხვაგვარად ვფიქრობდი. ჩემი აზრით, ატიკუსი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ შესაძლოა, მისტერ იუველმა თვითონ სცემა მეიელას. ამდენს მეც ვხვდებოდი. თუ მეიელას მარჯვენა თვალი ჩალურჯებული ჰქონდა და ძირითადად სახის მარცხენა მხარეს ჰქონდა იარები, მაშინ ეს მიუთითებდა, რომ ცაციას ნაცემი უნდა ყოფილიყო. შერლოკ ჰოლმსი და ჯემ ფინჩი ამაში უსათუოდ დამეთანხმებოდნენ, მაგრამ ვაითუ, ტომ რობინსონიც ცაციაა? მისტერ ჰეკ ტეიტივით წარმოვიდგინე, ვითომ მეიელა პირისპირ მიდგას და უცაბედად გამიელვა გონებაში – ხომ შეიძლება, კაცს მარჯვენა ხელი ჩაევლო მისთვის და მარცხენათი ეცემა? მერე ტომ რობინსონს გავხედე. იგი ჩვენგან ზურგით იჯდა, განიერი მხრები და ბუღასავით მძლავრი კისერი მოუჩანდა; ტომ რობინსონს არ გაუჭირდებოდა ამის გაკეთება. აშკარაა, ჯემი თავს იტყუებდა...

18

ამ დროს ვილაცამ ისევ დასჭექა:

– მეიელა ვაიოლეტ იუველი!

ჩვენების მისაცემად ყმანვილი ქალი გამოვიდა, ფიცის წარმოსათქმელად ხელი აღმართა და განაცხადა: "ვიტყვი სიმართლეს, მხოლოდ სიმართლეს და არაფერს, სიმართლის გარდა, ღმერთი იყოს ჩემი შემნე!" ზურგიდან ის, ცოტა არ იყოს, ნაზი და უმნეო მეჩვენა, მაგრამ როცა

მონმის სკამზე დაჯდა და პირი ჩვენკენ იბრუნა, მისი ნამდვილი სახე დავინახეთ. ეს იყო მძიმე ფიზიკურ შრომას ნაჩვევი უხეში, მსხვილძვალა ქალიშვილი.

მეიკომის ოლქში ძნელი არაა იმის დადგენა, ვინ იბანს ტანს ხშირად და ვინ – წელიწადში ერთხელ. მისტერ იუველს კანი დაფუფქულიეით ჰქონდა – იფიქრებდით, ნინა ღამის ნაბანავებს ჭუჭყის ფენა გასძერა და კანი ზომაზე მეტად მგრძნობიარე გაუხდაო: მეიელა კი უფრო სისუფთავის მოყვარული ჩანდა და ამან ის ნითელი ნემსიწვერები მომაგონა, იუველების ეზოში რომ იზრდებოდა.

მისტერ გილმერმა მეიელას სთხოვა, თავისი სიტყვებით ეამბა სასამართლოსთვის, რა მოხდა გასული წლის ოცდაერთ ნოემბერს.

– თქვენი სიტყვებით, თუ შეიძლება, – გაიმეორა ბოლოს.

მეიელა ხმაამოუღებლად იჯდა.

– სად იყავით იმ საღამოს, მზის ჩასვლისას? – მოთმინებით მიმართა მისტერ გილმერმა.

– აივანზე!

– რომელ აივანზე?

– ერთი აივანი გვაქვს, სახლის წინ.

– მერე, რას აკეთებდით აივანზე?

– არაფერს.

მოსამართლე ტეილორმა უთხრა:

– უბრალოდ, გვიამბეთ, რა მოხდა. განა მოყოლა არ შეგიძლიათ?

მეიელა მოსამართლეს მიაშტერდა და ცრემლები წასკდა. ხელები პირზე აიფარა და აზლუქუნდა. მოსამართლემ ერთხანს ადროვა, მერე კი უთხრა:

– გეყოფათ ახლა, აქ ნურავისი ნუ გეშინიათ, მთავარია, სიმართლე გვითხრათ. ვიცი, ეს ყველაფერი გეუცხოებათ, მაგრამ სირცხვილის და შიშის გრძნობა უნდა დასძლიოთ. რისი გეშინიათ?

სახეზე ხელებაფარებულმა მეიელამ რაღაც ჩაიბურტყუნა.

– რა თქვით? – ჰკითხა მოსამართლემ.

– იმისი! – სლუკუნით თქვა მეიელამ და თითი ატიკუსისკენ გაიშვირა.

– მისტერ ფინჩის?

ქალიშვილმა ღონივრად დააქნია თავი და თქვა:

– არ მინდა, ისე მომექცეს, როგორც მამაჩემს, გინდა თუ არა, ცაცია ხარო, რო ჩაციცვდა...

მოსამართლე ტეილორმა ხშირი თეთრი თმა მოიქექა. აშკარა იყო, ამ სახის პრობლემას დღემდე არ ნასწყდომია.

– რამდენი წლისა ხართ? – ჰკითხა მეიელას.

– ცხრამეტ-ნახევრის.

მოსამართლე ტეილორმა ჩაახველა, ყელი ჩაიწმინდა და უშედეგოდ სცადა ალერსიანი კილოთი მიემართა:

– მისტერ ფინჩს აზრადაც არა აქვს თქვენი შეშინება, – დუდღუნით თქვა მან, – და რომც დააპიროს, მე აქ სწორედ იმისთვის ვარ, რომ ნესრიგისკენ მოვუწოდო. აბა, მეტი რას ვაკეთებ. თქვენ უკვე დიდი გოგო ხართ, თავი ასწიეთ და მოუყევით... მოგვიყევით, რა შეგემთხვათ. მოყოლა არ შეგიძლიათ?

ჯემს გადავუჩურჩულე, ეს გოგო სრულ ჭკუაზეა-მეთქი?

ჯემმა ცერად გახედა მოწმეს და მითხრა, ჯერ ვერ გეტყვი, ყოველ შემთხვევაში, იმდენი ჭკუა კი აქვს, მოსამართლეს თავი რო შეაცოდოს, მაგრამ შეიძლება... ოოო, არ ვიცი...

მეიელა დამშვიდდა, უკანასკნელად გააპარა დამფრთხალი მზერა ატიკუსისკენ და მისტერ გილმერს მიმართა:

– ჰოდა, სერ, აივანზე ვიჯექი და... იმან ჩამოიარა... და იცით, ერთი ძველისძველი ხის შიფანერი გვქონდა, მამამ მოიტანა – შეშად ვიხმაროთო... მამამ დამაბარა, სანამ ტყიდან დავბრუნდები, დაჩეხეო, მაგრამ თავს კარგად ვერ ვგრძნობდი და როცა ის დავინახე...

– ვინ "ის"?

მეიელამ ტომ რობინსონისკენ გაიშვირა თითი.

– უნდა გთხოვოთ, ცოტა უფრო გარკვევით გამოთქვათ სათქმელი, – უთხრა მისტერ გილმერმა, – მდივანს გაუძნელდება ჟესტების ქაღალდზე გადატანა.

– აგე ისა, – უთხრა მეიელამ, – რობინსონი.

– მერე, რა მოხდა?

– მე ვუთხარი, მოდი აქ, ბიჭო, დამიჩეხე ეს შიფანერი და ხუთცენტიანს მოქცემ-მეთქი. მაგას არ გაუჭირდებოდა შიფანერის დაჩეხვა. ჰოდა, შემოვიდა ეზოში, მე კი სახლში შევედი ფულის გამოსატანად, მაგრამ

ვონზე მოსვლაც ვერ მოვასწარი, ისე მომახტა. ეტყობა, უკან მომსდევდა... კისერში ჩამავლო ხელი, მაგინებდა, მლანძღავდა... მე ვეწინააღმდეგებოდი და ვლრიალებდი, მაგრამ ძაან მაგრათ ვეჭირე... მირტყა და მირტყა...

მისტერ გილმერმა მეიელას დამშვიდება აცალა. ქალიშვილს გაოფლილი ხელებით ბაწარივით დაეგრიხა ცხვირსახოცი. როცა გაშალა, ცხვირსახოცი ნაოჭებად იყო ქცეული. მეიელა მისტერ გილმერის მომდევნო კითხვას დაელოდა, მაგრამ პროკურორს აღარაფერი უკითხავს და გოგონამ თვითონ განაგრძო:

– იატაკზე დამაგდო, გამგუდა და ძალა იხმარა.

– კიოდით თუ არა? – ჰკითხა მისტერ გილმერმა, – კიოდით და იბრძოდით თავის დასაცავად?

– რა თქმა უნდა, გავკიოდი, რაც ძალი და ღონე მქონდა, ნიხლებს ვურტყამდი და მთელი ხმით ვკიოდი.

– მერე რა მოხდა?

– გარკვევით აღარც მახსოვს, მაგრამ ცოტა ხანში მამაჩემი დაეინახე. თავზე მადგა და ღრიალებდა – ვინ ქნა ეს, ვინ ქნა ესო... მერე, მგონი, გული წამივიდა და ცოტა ხანში მისტერ ტეიტი დავინახე... იმან ნამომაყენა და წყალთან მიმიყვანა.

მეიელა კმაყოფილი ჩანდა თავისი მონაყოლით, მაგრამ მამამისივით არ იფხორებოდა: ამ ქალიშვილში იყო რაღაცა იდუმალი, იგი კატას წააგავდა, რომელიც უტიფარი თვალებით გიყურებს და თან კუდს აქიცინებს.

– მაშ, თქვენ ამბობთ, რომ რამდენადაც ძალა შეგწევდათ, წინააღმდეგობას უწევდით? თავგამოდებით იბრძოდით?

– აბა, როგორ, – მამამისის ყაიდაზე მიუგო მეიელამ.

– დარწმუნებული ხართ, რომ თქვენზე ბოლომდე იხმარეს ძალა?

მეიელას სახე დაეღრიცა და შემეშინდა, ისევ არ ატირდეს მეთქი, მაგრამ უპასუხა – დიახ, მიაღწია თავისასო.

მისტერ გილმერმა გაოფლილი თავი ხელით შეიწმინდა და, ჩვენც გაგვახსენდა, რომ დარბაზში საშინლად ცხელოდა.

– ჯერჯერობით საკმარისია, – გულთბილად მიმართა მოწმეს, – მაგრამ ჯერ ნუ წახვალთ, ალბათ საშინელ მისტერ ფინჩსაც ექნება თქვენთან რამდენიმე შეკითხვა.

– გამომძიებელს არა აქვს უფლება, მოწმე დამცველის წინააღმდეგ განაწყოს! – მკვახედ უთხრა მოსამართლე ტეილორმა, – ყოველ შემთხვევაში, ასეთ დროს.

ატიკუსი მომღიმარი სახით წამოდგა, მაგრამ მოწმის მიმართულებით არ წასულა. პიჯაკი შეიხსნა, ცერა თითები ჟილეტში შეიყო და ნელი ნაბიჯით გასწია ფანჯრებისკენ. ქუჩაში გაიხედა, მაგრამ მე მგონი, ფიქრებში იყო წასული და ვერაფერს ამჩნევდა. მერე უკან შემობრუნდა და მოწმისკენ გაემართა. ამ საქმეში გამოცდილი გახლდით და ვატყობდი – მამაჩემი რაღაც გადაწყვეტილების მიღებას ცდილობდა.

– მის მეიელა, – ღიმილით დაიწყო ატიკუსმა, – მე ჯერჯერობით სულ არ ვაპირებ თქვენს დაფრთხობას. უბრალოდ, მოდი, გავიცნოთ ერთმანეთი. რამდენი წლისა ბრძანდებით?

– აკი უკვე ვთქვი, ცხრამეტისა-მეთქი, მოსამართლეს ხო ვუთხარი, – მეიელამ ბრაზიანად გაიქნია თავი მოსამართლის სავარძლისკენ.

– მართალია, ქალბატონო, სავსებით მართალია, მაგრამ... მის მეიელა, რას იზამ, ხანში შეეედი და მეხსიერება მღალატობს. ასე რომ, შეიძლება, ხელმეორედ დაგისვათ ხოლმე კითხვა, რომელზეც ადრე უკვე გაეცით პასუხი. მაგრამ მეც უნდა მიჰასუხოთ, შევთანხმდით? მაშ, ძალიან კარგი.

მეიელას სულაც არ ეტყობოდა, რომ ატიკუსთან მშვიდობიან ურთიერთობას აპირებდა, პირიქით, გამძვინვარებული ჩანდა:

– ასე თუ დამცინებთ, ხმასაც არ გაგცემთ! – განაცხადა მან.

– რა ბრძანეთ, მემ? – ჰკითხა გაოგნებულმა ატიკუსმა.

– რა და, სანამ ჩემს გამასხარავებას არ მორჩებით, ხმასაც არ გაგცემთ.

მოსამართლე ტეილორმა უთხრა:

– მისტერ ფინჩი არ გამასხარავებთ, რა გემართებათ?

მეიელამ კოპები შეიკრა და ატიკუსს ახედა. შემდეგ მოსამართლეს უთხრა:

– აბა, რას მეძახის "მეემ" და "მის მეიელა"-ო! აქ მაგის გასამასხარავებელი ვინაა! მაგისთვის კი არ მოვსულვარ აქ!..

ატიკუსმა ისევ გაისეირნა ფანჯრის მიმართულებით და ამ საქმის მოგვარება მოსამართლე ტეილორს მიანდო. მოსამართლე ტეილორი სულაც არ მიეკუთვნებოდა იმ კატეგორიის ადამიანებს, რომლებიც სიბრალულის გრძნობას აღძრავენ ხოლმე, მაგრამ ახლა, როცა ამ გოგონასთვის რაღაცის ახსნას ცდილობდა, მისი საცოდაობით გული დამეწვა.

– მისტერ ფინჩს, უბრალოდ, ასეთი მანერა აქვს, – უთხრა მეიელას, – რამდენი წელია, ერთად ვმუშაობთ და არ მახსოვს, მისტერ ფინჩი ვინმეს უდიერად მოჰპყრობოდეს. თქვენს გამასხარავებას კი არ აპირებს, ცდილობს, თავაზიანად გელაპარაკოთ – მისტერ ფინჩი ყველას ასე მიმართავს.

მოსამართლე სკამის ზურგს მიეყრდნო.

– ატიკუს, მოდი, განაგრძეთ, და დაე, ოქმმა გამოაელინოს, რომ არაფის არ ამასხარავებთ, მიუხედავად იმისა, რომ მოწმე სხვაგვარად ფიქრობს...

მე გავიფიქრე: ნეტა ვინმეს თუ მიუმართავს მეიელასთვის ოდესმე ასე ზრდილობიანად – "მემ", "მის"! – ალბათ არა, და სწორედ იმიტომ აღიქვა შეურაცხყოფად ის, რაც ჩვეულებრივ მიმართვად ითვლება, ნეტა, როგორი ცხოვრება აქვს საერთოდ? სულ მალე ესეც შევიტყვე.

– მაშ, ცხრამეტი წლისა ხართ, – ხელახლა დაიწყო ატიკუსმა, – რამდენი და-ძმა გყავთ?

– შვიდი.

ნეტა, ყველანი იმას თუ ჰგვანან, ვინც მე სასწავლო წლის პირველ დღეს ვნახე-მეთქი, გავიფიქრე.

– უფროსი თქვენა ხართ? წლოვანებით უფროსი?

– დიახ.

– რამდენი ხანია, რაც დედა გარდაგეცვალათ?

– რა ვიცი, დიდი ხანია...

– სკოლაში თუ გივლიათ?

– წერა-კითხვა მამაჩემივით კარგად ვიცი.

ამ პასუხმა ვინმე მისტერ ჯინგლი მომაგონა ერთი წიგნიდან, რომელიც კარგა ხნის წინათ წავიკითხე...

– სკოლაში რამდენ ხანს იარეთ?

– ორი წელი, სამი წელი... რა ვიცი...

თანდათანობით ატიკუსის კითხვების აზრი მკაფიოდ გამოიკვეთა. კითხვები, რომლებიც მისტერ გილმერმაც ვერ გააპროტესტა, ნელ-ნელა უხატავდა მსაჯულებს იუველების ოჯახური ცხოვრების სურათს. გაირკვა, რომ ფულადი დახმარება, რომელსაც სახელმწიფო იუველებს

უხდიდა, ოჯახის გამოსაკვებადაც კი არ იყო საკმარისი. თანაც, როგორც ჩანს, მისტერ იუველი თითქმის მთელ იმ ფულს სასმელზე ხარჯავდა. ის ხანდახან რამდენიმე დღით სადღაც, ჭაობებში გადაიკარგებოდა და შინ დაავადებული ბრუნდებოდა. ჩვენში ცივი ამინდები საერთოდ იშვიათია, მაგრამ თუ აცივდა, გაჭირვებული კაცი ძველი ავტომობილის საბურავიდანაც მოახერხებს მშვენიერი ფეხსაცმელის შეკერვას. ნყალს იუველები ნყაროდან ეზიდებოდნენ, რომელიც სანაგვის გვერდით მოედინება... სახლის გარშემო, ეზოში ნაგავს არ ყრიდნენ... რაც შეეხება სისუფთავეს, ოჯახის ყველა ნევრს თავისი თავისთვის უნდა მოევლო: თუ დაბანა გინდოდა, თვითონ უნდა მოგეზიდა საბანაო ნყალი. უმცროსი ბავშვები გამუდმებით გაციებულები იყვნენ და ყველას მუნი სჭირდა. ასევე გაირკვა, რომ დროდადრო ვიღაცა ქალი შეუვლიდა ხოლმე იუველებს და მეიელას ეკითხებოდა – რატომ არ დადიან ბავშვები სკოლაშიო; მეიელას აზრით კი, სავსებით საკმარისია, ოჯახში ორმა კაცმა იცოდეს ნერა-კითხვა – ანდა რა საჭიროა, ყველამ ისნავლოს... თან მამას ხომ ბავშვები სახლშიც სჭირდებიანო, – განაცხადა მან.

– მის მეიელა, – თითქოს თავისი ნება-სურვილის გარეშე ჰკითხა ატიკუსმა, – ცხრამეტი ნლის გოგონას მეგობრები უნდა გყავდეთ. თქვენ ვისთან მეგობრობთ?

მონმემ გაოცებისგან შუბლი შეიჭმუხნა.

– ვმეგობრობ?!

– დიახ, თქვენი ტოლი, ან უფროსი, ან უმცროსი ნაცნობები არა გყავთ? გოგონები და ბიჭები? მეგობრები?

მეიელა აქამდე უხალისოდ, მაგრამ მაინც იძლეოდა პასუხებს, ახლა კი ისევ განწმატდა:

– ისევ მასხარად მიგდებთ, მისტერ ფინჩ?!

მეიელას საყვედური ატიკუსმა პასუხად ჩათვალა.

– მის მეიელა, გიყვართ მამათქვენი?

– მიყვარს?! რას გულისხმობთ?

– რასა და, კარგად თუ გექცევათ, თუ არ გიჭირთ მასთან ურთიერთობა.

– არა უჭირს რა, ოლონდ, როცა...

– ოლონდ რა?

მეიელამ მამამისს გახედა, რომელიც მოაჯირზე გადმოზნექილი იჯდა. მისტერ იუველი ნელში გამართული ელოდა პასუხს.

– ოლონდ... არაფერი, – თქვა მეიელამ, – ხო გითხარით, არა უშავს-რა-მეთქი...

მისტერ იუველი ისევ სკამის ზურგს მიეყრდნო.

– ოლონდ, როცა დალევს ხოლმე, არა? – უთხრა ატიკუსმა ისე შემპარავად, რომ მეიელამ თავი დაუქნია.

– ოდესმე თქვენც ხომ არ გამოგდგომიათ?

– ეგ როგორ?

– აი, როცა გაბრაზდება ხოლმე, არასოდეს უცემიხართ?

მეიელამ პირი იბრუნა, ჯერ მდივანს, მერე კი მოსამართლეს გახედა.

– უპასუხეთ, მის მეიელა, – უთხრა მოსამართლემ.

– მამაჩემს ჩემთვის ცხოვრებაში თითი არ დაუკარებია, – მტკიცედ განაცხადა მან, – თითი არ დაუკარებია, არასოდეს!

ატიკუსს სათვალე ცხვირზე ჩამოუცურდა და ხელით გაისწორა:

– მის მეიელა, მე მგონი, კარგად ვისაუბრეთ, ახლა კი მოდი, საქმეზე გადავიდეთ. თქვენ გვითხარით – ტომ რობინსონს ვთხოვე დაეჩეხა... როგორ თქვით, რა უნდა დაეჩეხა?

– შიფანერი, ტანსაცმლის ძველი, უჯრებიანი კომოდი.

– ტომ რობინსონს კარგად იცნობდით?

– რას გულისხმობთ?

– რასა და, იცოდით, ვინ იყო, სად ცხოვრობდა?

მეიელამ თავი დაუქნია.

– ვიცნობდი ვინც იყო, ყოველდღე ჩვენი სახლის ნინ უწევდა სიარული.

– ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ეზოში შეიპატიჟეთ?

ამ კითხვამ მეიელა შეაკრთო: ოდნავ შესამჩნევად ადგილზე შეხტა. ატიკუსი ისევ განაგრძობდა თავის მოგზაურობას ფანჯრების მიმართულებით. კითხვას დაუსვამდა, მერე ფანჯარაში გაიხედავდა და ისე ელოდა პასუხს. ასე რომ, მეიელას უნებლიე შეკრთომა არ შეუნიშნავს, მაგრამ მომეჩვენა, თითქოს ისედაც იცოდა, რაც დაემართა. მერე შემოტრიალდა და წარბები აზიდა:

– პირველი შემთხვევა იყო?

– დიახ, პირველი.

– მაშ, ადრე არასოდეს გითხოვიათ, თქვენს ეზოში შემოსულიყო?

ახლა მეიელა უკვე მზად იყო პასუხისთვის:

– არასოდეს, რა თქმა უნდა, არასოდეს.

– ერთი "არასოდეს" სავსებით საკმარისია, – პირქუშად უთხრა ატიკუსმა, – მაშ, ადრე არასოდეს გითხოვიათ, საქმეში მოგხმარებოდათ?

– აბა, სად მეხსომება, იქნებ მითხოვია კიდეც, ირგვლივ იმდენი მურიანი დაიარება...

– ეგებ სხვა შემთხვევაც მოიგონოთ?

– არა.

– კეთილი, მაშ, ახლა რაც მოხდა, იმაზე გადავიდეთ. თქვენ გვითხარით, რომ როცა ოთახში შეხვედით და შემობრუნდით, ტომ რობინსონი ზურგს უკან გედგათ. მართალია?

– მართალია.

ატიკუსს უცებ დაუბრუნდა მეხსიერება და საოცარი სიზუსტით აღადგინა მეიელას მონაყოლი:

– თქვენ თქვით, მან დამიჭირა, ყელში ხელი წამიჭირა, მაგინებდა და ძალა იხმარა ჩემზეო, სწორია?

– სწორეთ რო ეგრე ვთქვი.

– თუ გახსოვთ, სახეშიც გირტყამდათ თუ არა?

მონმე ყოყმანობდა.

– ის კარგად გახსოვთ, რომ გახრჩობდათ, და მთელი იმ დროის განმავლობაში თქვენ წინააღმდეგობას უწევდით, ხომ ასეა? წიხლებს ვურტყამდი და რაც ძალი და ღონე მქონდა გავკიოდიო, გახსოვთ თუ არა, როგორ გირტყამდათ სახეში?

მეიელა დუმდა. ეტყობოდა, გონებაში რაღაცის დაზუსტებას ცდილობდა. მე გავიფიქრე – იქნებ მისტერ ტეიტივით და ჩემსავით ცდილობს, წარმოიდგინოს ადამიანი პირისპირ? – მონმემ მისტერ გილმერს გახედა.

– ეს ძალიან უბრალო შეკითხვაა, მის მეიელა, აბა, კიდევ ერთხელ დამიგდეთ ყური. გახსოვთ თუ არა, როგორ გირტყამდათ სახეში? – ატიკუსს ხმაზე მოუსვენრობა დაეტყო და მშრალი, გულგრილი პროფესიული კილოთი განაგრძო საუბარი, – გახსოვთ თუ არა, როგორ გცემდათ სახეში?

– არა, არ მახსოვს, რომ დაერტყას; თუმცა, კი, მახსოვს, მახსოვს, რომ დამარტყა.

– თქვენი ბოლო წინადადება პასუხად უნდა მივიჩნიოთ?

– პა? დიახ, დამარტყა... წესიერად აღარც მახსოვს, აღარც მახსოეს... ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა.

მოსამართლე ტეილორმა მკაცრად შეხედა მეიელას:

– ნუ ტირით, ქალიშვილო!

– დაე, იტიროს, რამდენიც უნდა, მოსამართლევ, განა დრო ჩვენს ხელთ არაა? დაველოდებით.

მეიელა აღშფოთებული იყო, ბრაზიანად დაიქსუტუნა და ატიკუსს შეხედა.

– მკითხეთ, რაც გინდათ, ყველაფერზე გაგცემთ პასუხს. გამომიჭირა აქ და მასხარად მიგდებს. ვერ უყურებთ ამას?! რაც გინდა, ის მკითხეთ – ყველაფერზე გაგცემთ პასუხს!

– ძალიან კარგი, – უთხრა ატიკუსმა, – სულ რამდენიმე შეკითხვაღა დამრჩა. მის მეიელა, თავი რომ არ შეგაწყინოთ, მოკლედ შეგახსენებთ: მაშ, ბრალდებულმა მუშტები გირტყათ, თან კისერში ჩაგავლოთ ხელი – გახრჩობდათ და თანაც, ძალა იხმარა – გაგაუპატიურათ. გინდა, კიდევ ერთხელ დააზუსტოთ, ვინ ჩაიდინა ეს. მაშ, ვინ გაგაუპატიურათ?

– აგერ იმან, მანდ რო ზის.

ატიკუსი ბრალდებულს მიუბრუნდა:

– ტომ, ადექი, დაე, მის მეიელა ყურადღებით დაგაკვირდეს, მაშ, ეს ის კაცია, მის მეიელა?

ტომ რობინსონმა მძლავრი მხრები შეიშმუშნა. წამოდგა და მარჯვენა ხელით სკამს დაეყრდნო. რაღაც უცნაურად გამოიყურებოდა. თითქოს წონასწორობას ვერ იჭერსო, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მყარად ვერ იდგა ფეხზე – მარცხენა მკლავი სრული თორმეტი დუიმით მოკლე ჰქონდა მარჯვენასთან შედარებით და პატარა, დამჭკნარი მტევანი უსიცოცხლოდ ეკიდა ცალ მხარეს. იმ სიშორიდან კი, საიდანაც მე ვუყურებდი, მივხვდი – ხელი გაფუჭებული ჰქონდა.

– ჭყიტა, – ამოიგმინა ჯემმა, – შეხედე, ჭყიტა! მამაო, ხედავთ, ინვალიდია!

მამა საიკსი წინ გადმოიხარა და ჯემს ჩასჩურჩულპ:

– ხელი ბამბის მანქანაში მოჰყვა, მაშინ პატარა ბიჭი იყო და მისტერ დოლფუს რეიმონდის ბამბის პლანტაციაში მუშაობდა... კინაღამ სისხლისგან დაიცალა... მანქანამ ხორცი სულ აათალა...

ატიკუსმა იკითხა:

– მაშ, ამ კაცმა გაგაუპატიურათ?

– ნამდვილად მაგან.

ატიკუსის მომდევნო კითხვა ერთადერთი სიტყვისგან შედგებოდა:

– როგორ?

მეიელა გაცხარდა:

– არ ვიცი, როგორ, მაგრამ, ვიცი, რომ მაგან გააკეთა. ხომ ვთქვი, ყველაფერი ისე ჩქარა მოხდა, რო...

– მოდი, ახლა ყველაფერი მშვიდად ავწონ-დავწონოთ, – დაიწყო ატიკუსმა, მაგრამ მისტერ გილმერმა შეაწყვეტინა. მან ატიკუსის სიტყვები უადგილოდ ან უსაფუძვლოდ კი არ ჩათვალა, არამედ თქვა, ვექილი მოწმეს აბნევსო.

მოსამართლე ტეილორი თავშეუკავებლად ახარხარდა:

– რას ამბობთ, ჰორაციო, არაფერი მსგავსი არ ხდება! მე მგონი, პირიქით უნდა იყოს, ეს მოწმემ დააბნია ატიკუსი.

მოსამართლე ტეილორის გარდა, დარბაზში არავის გასცინებია. ჩვილი ბავშვები ხმას აღარ იღებდნენ, და უცებ გავიფიქრე, დედების მკერდზე მიხუტებულები ხომ არ გაიგუდნენ-მეთქი?

– მაშ ასე, – განაგრძო ატიკუსმა, – მის მეიელა, თქვენ გვითხარით, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი გახრჩობდათ და გირტყამდათ. თქვენ არ გითქვამთ, რომ იგი ზურგსუკნიდან მოგეპარათ, თავში ჩაგცხოთ და გაგაბრუათ; არა – თქვენ მოტრიალებულხართ და ის ზურგს უკან დაგხვედრიათ... – ატიკუსი ახლა თავის სკამთან იდგა და საკუთარი სიტყვების რიტმში თითებს მაგიდაზე აკაკუნებდა, – ხომ არ ისურვებდით თქვენი ჩვენების შეცვლას?

– რაა? გინდათ, ისეთი რამ მათქმევინოთ, რაც არ მომხდარა?

– არა, მემ, მინდა ის გათქმევინოთ, რაც მოხდა, გთხოვთ, კიდევ ერთხელ გვიამბოთ, რა მოხდა!

– მე უკვე გითხარით, რაც მოხდა.

– მაშ, მოტრიალდით, ზურგს უკან დაგიხვდათ და ყელში ნაგიჭირათ ხელი, არა?

– დიახ.

– შემდეგ ხელი გაგიშვათ და მუშტი დაგარტყათ?

– დიახ, ასე ვთქვი.

– და მარცხენა თვალი მარჯვენა მუშტით ჩაგილურჯათ?

– მე გავიწიე და... და ხელი აუსხლტა, აი, ასე იყო საქმე! – მეიელა ბოლოს მიხვდა, რაც უნდა ეთქვა.

– ეს ფაქტი რაღაც ძალიან ზუსტად მოგაგონდათ, ერთი წუთის წინ კი ძალიან გიჭირდათ მომხდარის გახსენება, ასე არ არის?

– მე ვთქვი, დამარტყა-მეთქი.

– კარგი. მაშ, გახრჩობდათ, დაგარტყათ და მერე გაგაუპატიურათ, ასეა?

– სწორედ ეგრეა.

– თქვენ ლონიერი გოგონა ჩანხართ. რას აკეთებდით მთელი იმ დროის განმავლობაში, გაუნძრევლად იდექით?

– უკვე ვთქვი, ვკიოდი, წიხლებს ვიქნევდი და ვიბრძოდი-მეთქი.

ატიკუსმა ხელი ასწია და სათვალე მოიხსნა, ცალი თვალით გახედა მოწმეს და სეტყვასავით მიაყარა შეკითხვები.

მოსამართლე ტეილორმა უთხრა:

– ატიკუს, ერთ ჯერზე ერთი კითხვა დაუსვით. მიეცით მოწმეს საშუალება, გიპასუხოთ.

– კარგი. რატომ არ გაიქეცით?

– ვეცადე...

– ეცადეთ? მერე, რამ შეგიშალათ ხელი?

– მე... მაგან ძირს დამაგდო, აი, რა ქნა. დამაგდო და ზემოდან დამანება.

– და მთელი ამ დროის განმავლობაში გაჰკიოდით, არა?

– რა თქმა უნდა.

– მერე, ნუთუ თქვენი და-ძმებისგან ვერც ერთმა ვერ გაიგონა კივილი? სად იყვნენ, ნაგავსაყრელთან?

მეიელამ არაფერი უპასუხა.

– სად იყვნენ ბავშვები?

– თქვენს კივილზე რატომ არ გამოიქცნენ? სანაგვე ნერტი ხომ ტყეზე უფრო ახლოსაა?

მოწმეს პასუხი არ გაუცია.

– ანდა იქნებ მხოლოდ მაშინ მოჰყევით კივილს, როცა ფანჯარაში მამათქვენი დაინახეთ? მანამდე არ გიკივლიათ, ხომ?

ისევ დუმილი იყო პასუხი.

– კივილი იმიტომ მორთეთ, რომ მამათქვენი დაინახეთ, და არა იმიტომ, რომ ტომ რობინსონისა შეგეშინდათ, ხომ ასე იყო?

მონმე კვლავ დუმდა.

– ვინ გცემათ? ტომ რობინსონმა თუ მამათქვენმა?

ეს შეკითხვაც უპასუხოდ დარჩა.

– რა დაინახა მამათქვენმა ფანჯარაში: თქვენი გაუპატიურების სცენა თუ ამის საწინააღმდეგო რამ? რატომ არ ამბობ სიმართლეს, შვილო, განა შენ ბობ იუველმა არ გცემა?

როცა ატიკუსმა მეიელას ზურგი შეაქცია, ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, ვიფიქრე, მუცელი ხომ არ სტკივა-მეთქი? მეიელას კი დამფრთხალი და გაავებული სახე ჰქონდა. ატიკუსი მოშვებული მიესვენა თავის სკამზე და ცხვირსახოცით სათვალის წმენდას შეუდგა.

უცებ მეიელამ ენა ამოიდგა:

– მინდა რაღაცა გითხრათ, – განაცხადა მან.

ატიკუსმა თავი ასწია:

– გინდათ გვითხრათ, რა მოხდა სინამდვილეში?

მაგრამ მეიელამ ვერ შენიშნა თანაგრძნობა ატიკუსის ხმაში.

– ახლა რაღაცას ვიტყვი და მერე ხმას ვეღარავინ ამომაღებინებს. მაგ ზანგმა გამაუპატიურა, და თქვენ – კეთილშობილ გამოპრანჭულ ჯენტლმენებს – თუ არ გინდათ ამის გაგება, მაშინ ყველანი ბინძური, მყრალი დედლები ყოფილხართ და მეტი არაფერი... ჰო, მყრალი, ბინძური დედლები! სულ ტყუილია – ეგ თქვენი მის მეიელაო, და ეგ თქვენი მეემო! სულ ტყუილია და არავის სჭირდება, მისტერ ფინჩ...

აი, აქ კი მეიელა მართლა ატირდა. ბრაზმორეული ქვითინებდა და მხრები უთრთოდა. თავისი დაპირება ზუსტად შეასრულა – რამდენიმე კითხვა კიდევ დაუსვეს, მაგრამ ხმა ვეღარ ამოაღებინეს. მისტერ გილმერსაც კი არ გასცა პასუხი. დარწმუნებული ვარ, მეიელა რომ ასეთი ბნელი და საცოდავი არ ყოფილიყო, მოსამართლე ტეილორი უსათუოდ აგებინებდა პასუხს სასამართლოს შეურაცხყოფისთვის და დააპატიმრებდა. არ ვიცი, რით, მაგრამ თავისდაუნებურად, ატიკუსმა რაღაცით

ძალიან დაამცირა. ახლა მამაჩემი თავჩაქინდრული იჯდა. ცხოვრებაში არ მინახავს, ადამიანს ისეთი სიძულვილით შეეხედა ვინმესთვის, როგორც მეიელამ შეხედა ატიკუსს, როცა მის მაგიდას ჩაუარა.

როცა მისტერ გილმერმა მოსამართლეს უთხრა, ჯერჯერობით არაფინა მყავს დასაკითხიო, მოსამართლემ განაცხადა, დროა, ყველამ დაისვენოთ, ათი წუთი სავსებით საკმარისი იქნებაო.

ატიკუსმა და მისტერ გილმერმა მოსამართლის სავარძელთან რაღაც გადაულაპარაკეს ერთმანეთს და ერთად გავიდნენ კარიდან, რომელიც მონმისთვის განკუთვნილი შემაღლების უკან იყო. ახლა ჩვენც შეგვეძლო მუხლის გაშლა. აღმოჩნდა, რომ გრძელი ხის სკამის კიდეში ემჯდარვარ და ფეხები ცოტა არ იყოს, დამბუჟებოდა. ჯემი ადგა, გაიზმორა, მას დილმაც მიბაძა, მამა საიკსმა სახე ქუდით შეინმინდა და – აუტანელი სიცხეაო, გვითხრა.

მისტერ ბრექსტონ ანდერვუდი მშვიდად იჯდა პრესისთვის განკუთვნილ სკამზე და ჩვენებებს უშუალოდ ტვინით ინოვდა – როგორც ღრუბელი წყალს. მან ბრაზიანი მზერა შეავლო შავკანიანების იარუსს, ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა. მისტერ ანდერვუდმა ცხვირი აიბზუა და განზე გაიხედა.

– ჯემ, მისტერ ანდერვუდმა დაგვინახა, – ვუთხარი მე.

– არა უშავს, სულ ერთია, ატიკუსს არაფერს არ ეტყვის, სამაგიეროდ, პირდაპირ მაგის გაზეთში მოვხვდებით.

ჯემი დილს მიუბრუნდა. თუ არ ვცდები, პროცესის საჩოთირო საკითხებს განუმარტავდა. მე კი ვთვლიდი, რომ საინტერესო ჯერ არაფერი მომხდარა. ატიკუსსა და მისტერ გილმერს ჯერ არაფერზე უკამათიათ. ის კი არა, მისტერ გილმერი, მგონი, თვითონაც უხალისოდ ასრულებდა ბრალმდებლის მოვალეობას. იშვიათი გამონაკლისის გარდა მონმეები ზუსტად ისეთ პასუხებს იძლეოდნენ, როგორსაც სასამართლო მოელოდა. ერთხელ ატიკუსმა მითხრა, მოსამართლე ტეილორის ნარმართულ სასამართლოზე თუ ვექილი მონმის პასუხს ბოროტად გამოიყენებს, აუცილებლად მკაცრ მითითებას მიიღებსო. ატიკუსს ამით ამის თქმა უნდოდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლე ტეილორი, ერთი შეხედვით, მოდუნებული და ნახევრად მძინარეც კი შეიძლება მოგჩვენებოდათ, მას იოლად ვერავინ გააცურებდა. ატიკუსის აზრით, მისტერ ტეილორი კარგი მოსამართლე იყო.

მალე მოსამართლე დარბაზში დაბრუნდა და თავის მბრუნავ სავარძელში ჩაჯდა. ჟილეტის ჯიბიდან სიგარა ამოიღო და ყურადღებით შეათვალიერა. დილს ხელი გავკარი. როცა მოსამართლემ სიგარა შეათვალიერა და ბოლო მოაკვნიტა, დილს ავუხსენი, ზოგჯერ მაგის საყურებლად მოვდივართ აქ და ახლა დააკვირდი, მაგ სიგარის ღეჭვას რამდენ საათს მოანდომებს-მეთქი.

რა იცოდა მოსამართლე ტეილორმა, როგორი გულისყურით ვადევნებდით თვალს მის საქმიანობას: მან სიგარის მოკვნეტილი ნაწილი ოსტატურად მოიქცია ტუჩებში და ისეთი ხმაურით გადააფურთხა საფურთხებელში, მისი ტყაპანის ხმა აქაც კი გავიგონეთ.

– თავს დავდებ, ფურთხებაში მაგარი მიზანი ექნება, – ჩაიბურტყუნა დილმა.

საერთოდ, შესვენების დროს მაყურებელი გარეთ გადიოდა, მაგრამ დღეს ხალხს ფეხი არ მოუცვლია ადგილიდან. უსაქმურთა კლუბის წარმომადგენლებიც კი, რომლებმაც ვერაფრით აიძულეს ახალგაზრდები, მათთვის ადგილები დაეთმოთ, ისევ ძველებურად ფეხზე იდგნენ კედლების გასწვრივ. როგორც ვხედები, მისტერ ჰეკ ტეიტმა ბრძანა, სასამართლოს მოხელეების გარდა, დღეს საზოგადოებრივ ტუალეტში არავინ შეეშვათ.

ატიკუსი და მისტერ გილმერიც დაბრუნდნენ და მოსამართლე ტეილორმა მაჯის საათს დახედა.

– მალე ოთხი საათი შესრულდება, – თქვა მან.

საოცარია, მაშასადამე, სასამართლოს შენობაზე საათს უკვე ორჯერ უნდა ჩამოეკრა, მე კი საათის ხმა საერთოდ არ გამიგია!

– როგორ ფიქრობთ, ატიკუს, მოვახერხებთ დღეს ამ საქმის ჩამთავრებას?

– მე მგონი, მოვახერხებთ, – მიუგო ატიკუსმა.

– რამდენი მონმე გყავთ?

– ერთი.

– მაშინ გამოიძახეთ.

19

ჩვენების მისაცემად ტომას რობინსონი გამოვიდა, მარჯვენა ხელი მარცხენა მკლავქვეშ შეიცურა და მარცხენა მკლავი წამოსწია, ბიბლიის მიმართულებით ნაიღო და უსიცოცხლო მტევანი ტყავის ყდას შეახო. როცა მარჯვენა ხელი ასწია, დასახიჩრებული მკლავი ჩამოუცურდა და მდიენის მაგიდაზე დაეცა. როცა ხელახლა სცადა ბიბლიაზე ხელის დადება, მოსამართლე ტეილორმა უთხრა – საკმარისია, ტომ. მაშინ ტომმა ფიცი წარმოთქვა და მონმის სკამს მიაშურა. ატიკუსმა ზედიზედ მიაყარა კითხვები.

ასე შევიტყვეთ, რომ ტომი ოცდახუთი წლისა იყო. ჰყავდა ცოლი და სამი შვილი. ადრე ნასამართლევიც ყოფილა: ერთხელ ოცდაათი დღით დაუპატიმრებიათ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის.

– მაშ, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის, არა? – ჰკითხა ატიკუსმა, – რა დააშავეთ?

– ერთ კაცს ვეჩხუბე, ჩემი დაჭრა უნდოდა.

– მერე, დაგჭრათ?

– დიახ, სერ, უმნიშვნელოდ, არც მტკენია... იცით, სერ, მე ხომ... – ტომმა მარცხენა მხარი შეიშმუშნა.

– გასაგებია, – უთხრა ატიკუსმა, – მერე, განაჩენი ორივეს გამოგიტანეს?

– დიახ, სერ, და მე ჩავჯექი, იმიტომ, რომ ჯარიმა ვერ გადავიხადე. იმ ბიჭმა კი გადაიხადა თავისი ჯარიმა.

დილი ჯემს მიუბრუნდა და ჰკითხა – ატიკუსი რას აკეთებსო, ჯემმა კი უპასუხა – ატიკუსს უნდა, სასამართლოს დაანახოს, რომ ტომს დასამალი არაფერი აქვსო...

– იცნობდით თუ რა მეიელა ვაიოლეტ იუველს? – ჰკითხა ატიკუსმა...

– დიახ, სერ, სამუშაოზე წასასვლელად დილა-საღამოს მის სახლთან მიწევდა ჩავლა.

– სად მუშაობთ?

– მისტერ ლინკ დიზის პლანტაციაში.

– მერე, ნოემბერში ბამბას აგროვებდით?

– არა, სერ, მის ეზოში ვმუშაობ შემოდგომაზე და ზამთარშიც, თითქმის მთელი წლის განმავლობაში ვემსახურები... ეზოში უამრავი კაკლის ხე უდგას, კიდევ ათასი სხვა საქმეცა აქვს გასაკეთებელი...

– მაშ, იუველის კარ-მიდამოსთან დღეში ორჯერ გიწევდათ ჩავლა. სხვა გზით ვერ ივლიდით?

– ვერა, სერ, სხვა გზა არ მეგულება.

– ტომ, მეიელა არასოდეს არ დაგლაპარაკებიათ?

– როგორ არა, სერ, ყოველთვის ქუდს ვუხდიდი და ვესალმებოდი ხოლმე, ერთ დღეს კიდევ მთხოვა, ეზოში შევსულიყავი და შიფანერი დამეჩეხა.

– როდის გთხოვათ იმ მმ... შიფანერის დაჩეხვა?

– მისტერ ფინჩ, ეგ გასულ გაზაფხულს იყო. ასე კარგად იმიტომ მახსოვს, რომ სწორედ მიწის დამუშავების დრო იყო და თოხი თან მქონდა. ჰოდა, ვუთხარი – ამ თოხის გარდა, არაფერი რომ არა მაქვს-მეთქი თან? იმან კი მითხრა – მე მაქვს პატარა ცულიო. ხოდა, ის ცულიც მომცა და შიფანერიც დავუჩეხე. მერე მითხრა – ეხლა ხურდა ფული უნდა მოგცე, არაო? ვუპასუხე – არა, მემ, არ არის-მეთქი აუცილებელი, და სახლში წავედი. მისტერ ფინჩ, ეს გასულ გაზაფხულს იყო, ერთი წლის წინათ.

– იმის მერე იუველების ეზოში აღარ შესულხართ?

– როგორ არა.

– როდის?

– როდის და, ძალიან ბევრჯერ.

მოსამართლე ტეილორმა ინსტინქტურად წაიღო ხელი ჩაქუჩისკენ, მაგრამ დაკაკუნება აღარ დასჭირვებია: ჩოჩქოლი დარბაზში მისი გაფრთხილების გარეშე შეწყდა.

– რა ვითარებაში შესულხართ ეზოში?

– უკაცრავად, სერ, ვერ გავიგე?

– ასე ხშირად რატომ შედიოდით მათ ეზოში?

ტომ რობინსონმა შეჭმუხნული შუბლი გახსნა:

– თვითონ მეძახდა ხოლმე, სერ. როცა კი დამინახავდა, ყოველთვის რაღაც წვრილმან საქმეს მავალებდა – ხან შეშის დაჩეხვას, ხან წყლის მოზიდვას... იმ წითელ ყვავილებს ხომ ყოველდღე უსხამდა წყალს...

– მერე, გასამრჯელოს თუ იღებდით?

– არა, სერ, იმის მერე, რაც პირველად ხუთცენტიანი შემომთავაზა, ფულის ხსენებაც აღარ ყოფილა. სიამოვნებით ვეხმარებოდი, სერ, მისტერ იუველი, რამდენადაც ვიცი, საერთოდ არ ეხმარება. არც დანარჩენი ბავშვები, ფულიც, ვიცოდი, არ ჰქონდა.

– სად იყვნენ ხოლმე დანარჩენი ბავშვები?

– ყოველთვის იქვე ტრიალებდნენ, ეზოში. ზოგიერთები მიყურებდნენ, რას ვაკეთებდი, დანარჩენები ფანჯარასთან ისხდნენ.

– მის მეიელა თუ გელაპარაკებოდათ ხოლმე?

– დიახ, სერ, მელაპარაკებოდა.

ტომ რობინსონის ჩვენებიდან დავასკვენით, რომ მეიელასთანა მარტოხელა ადამიანი დედამიწის ზურგზე არ დაიარებოდა; ბუა რედლიზე უფრო მარტოხელაც კი მეჩვენა, იმ ბუაზე, რომელიც აგერ უკვე ოცდახუთი წელია, სახლიდან აღარ გამოსულა. როცა ატიკუსმა ჰკითხა – მეგობრები გყავს თუ არაო, მეიელა ვერც კი მიხვდა, რას ეკითხებოდნენ და იფიქრა – დამცინიანო. მეიელა ისეთივე საცოდავი ჩანდა, როგორც, ჯემის ნაამბობის მიხედვით, ზანგისა და თეთრკანიანის ნაჯვარი ბავშვები იყვნენ: თეთრკანიანები არ კადრულობდნენ, იმიტომ რომ ღორებთან ერთად ცხოვრობდა, ხოლო ზანგებს არაფერი ჰქონდათ მასთან საერთო, რადგან თეთრკანიანი იყო. მისტერ დოლფუს რეიმონდიეით – ზანგებთან ცხოვრება რომ არჩია – ვერ მოიქცეოდა, რადგან არც საკუთარი სანაპირო ჰქონდა, არც ძველი, კეთილშობილი ოჯახის შთამომავალი იყო და მის ოჯახზეც არავინ იტყოდა – მაგათ ეგ გვარში აქვთო. მეიკომელები იუველებს საშობაო კალათებს ურიგებდნენ, ფულს უგროვებდნენ და ამით კმაყოფილდებოდნენ. ალბათ ტომ რობინსონი ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც ამ გოგონას წესიერად მოექცა, მაგრამ რად გინდა – როცა მოწმის სკამიდან დგებოდა, მეიელამ ისეთი ზიზღით შეხედა ტომს, თითქოს იგი მისი ფეხის მტვერი ყოფილიყოს.

– მითხარით, ოდესმე თუ დაგიდგამთ ფეხი იუველების სამფლობელოზე ისე, რომ რომელიმე ოჯახის წევრს საგანგებოდ არ შეეპატიჟეთ?

– არა, სერ, არასოდეს არ შევსულვარ, მისტერ ფინჩ. ამას როგორ ჩავიდენდი, სერ.

ატიკუსისგან არაერთხელ მსმენია – თუ გინდა დარწმუნდე, მოწმე ტყუილს ამბობს თუ მართალს, კი არ უნდა უყურო, ყური უნდა დაუგდო.

და მეც მის რჩევას მივმართე: ტომმა სამჯერ სულმოუთქმელად იუარა, ოღონდ მშვიდად, აუღელვებლად; ხმა არც კი შესტოკებია და მეც ვიგრძენი – მიუხედავად იმისა, რომ ცოტა არ იყოს, გადააჭარბა და სამჯერ გაიმეორა "არა", მაინც მჯეროდა მისი. ტომი წესიერი ზანგი ჩანდა, წესიერი ზანგი კი თვითნებურად არასოდეს არ შევა თეთრკანიანის ეზოში.

– ტომ, რა შეგემთხვათ გასული წლის ოცდაერთ ნოემბერს?

ჩვენ ქვემოთ მაყურებლებმა სუნთქვა შეიკრეს და მოსასმენად მოემზადნენ. ზურგს უკან ზანგებიც დაიძაბნენ.

ტომს შავი ხავერდოვანი კანი ჰქონდა, პრიალა კი არა, რბილი, ხავერდოვანი შავი ფერისა. შავ სახეზე თვალის კაკლები თეთრად ანათებდნენ, ლაპარაკის დროს კი თეთრი კბილები უელავდა. დასახიჩრებული რომ არ ყოფილიყო, ლამაზი კაცი იქნებოდა.

– მისტერ ფინჩ, – დაიწყო მან, – იმ საღამოს, როგორც ყოველთვის, სახლში ვბრუნდებოდი და როცა იუველების კარ-მიდამოს ჩავუარე, მის მეიელა აივანზე იდგა, როგორც თითონ თქვა. რაღაც უცნაური სიჩუმე იყო. მაშინ ვერც მივხვდი, რატომ. სწორედ იმას ვფიქრობდი – ნეტა, ასეთი სიჩუმე რატომაა-მეთქი, როცა დამიძახა – ერთი წუთით შემოდი და მომეხმარეო, ჰოდა მეც შევედი. მივიხედ-მოვიხედე, ვიფიქრე, რამე ექნება-მეთქი დასაჩეხი, მაგრამ ვერაფერი შევამჩნიე. მაშინ მეუბნება – მანდ არა, სახლში მაქვს რაღაცა გასაკეთებელი და მომეხმარეო – ძველი კარია მონჯღრეული, შემოდგომა კი კარზე მოგვადგაო. მე ვკითხე – სახრახნისი გაქვთ-მეთქი? იმან მიპასუხა – სადღაც უნდა მქონდესო. მაშინ მეც ავედი კიბეზე, შიგ შემიძღვა, წინა ოთახში დავდექი და კარებს შევხედე. ვუთხარი – მის მეიელა, კარებს არაფერი სჭირს-მეთქი. გავაღე, მივხურე, კარი მაგრად იდგა. მერე უცებ ცხვირწინ მომიხურა კარი. მისტერ ფინჩ, მე ვფიქრობდი, ნეტა, რატომაა ასეთი სიჩუმე-მეთქი, და უცებ მივხვდი, რომ არც ერთი ბავშვი არ იყო სახლში, არც ერთი მათგანი! მაშინ ვკითხე – მის მეიელა, ბავშვები სად არიან-მეთქი?

ტომს შავი, ხავერდოვანი კანი აულაპლაპდა და ხელი სახეზე მოისვა.

– სად არიან-მეთქი ბავშვები, ვეკითხები და... – განაგრძო ტომმა, – მეუბნება, სიცილით მეუბნება, ყველანი ქალაქში არიან ნაყინის საჭმელადო. ამბობს, მთელი წელი ვაგროვებდი შვიდ ხუთცენტიანს და როგორც იქნა, შევაგროვეო – ყველანი ქალაქში ნავიდნენო.

ტომი აწრიალდა, მაგრამ სიცხისგან არა.

– მერე, თქვენ რა უთხარით, ტომ? – ჰკითხა ატიკუსმა.

– მე რაღაც ამდაგვარი ვუთხარი – მართლა, მის მეიელა? რა კარგად მოქცეულხართ-მეთქი და მიპასუხა, შენ ასე ფიქრობო? – მე მგონი, ვერ გამიგო, რა ვუთხარი. მე მინდოდა მეთქვა – კარგი გიქნიათ, რომ ბავშვებს ასიამოვნეთ-მეთქი.

– მე მესმის თქვენი, ტომ, განაგრძეთ, – უთხრა ატიკუსმა.

– ჰოო, მერე ვუთხარი – ჯობია, წავიდე-მეთქი, გასაკეთებელი არაფერი გქონიათ-მეთქი, იმან კი – როგორ არა, მაქვსო, მითხრა. მაშინ ვკითხე – რა გავაკეთო-მეთქი, და მითხრა – აი, იმ სკამზე ადი და შიფანერის თავზე ყუთი რო დევს, ჩამომიღეო.

– ეს ის "შიფანერი" ხომ არაა, რომელიც დაუჩეხეთ? – ჰკითხა ატიკუსმა.

მოწმეს გაეღიმა.

– არა სერ, სხვა შიფანერია. ძალიან მაღალია, თითქმის ჭერს სწვდება. მეც გავაკეთე, რაც მთხოვა და ის იყო, უნდა ჩამომეღო, ფეხებზე მომხვია ხელები. ისე მაგრად, ისე ჩამაფრინდა ფეხებში, მისტერ ფინჩ, რომ კინაღამ გული გამისკდა, ადგილზე შევხტი და სკამი გადამიყირავდა... ეს იყო ერთადერთი ნივთი, რომელიც ძირს ეგდო, როცა იქიდან გამოვდიოდი, მისტერ ფინჩ, ღმერთს გეფიცებით.

– რა მოხდა მას მერე, რაც სკამი გადააყირავეთ?

ტომ რობინსონმა პირში წყალი ჩაიგუბა, ჯერ ატიკუსს გახედა, მერე მსაჯულებს, მერე მისტერ ანდერვუდს, რომელიც მის პირდაპირ იჯდა დარბაზში.

– ტომ, შენ ფიცი მიეცი, რომ სიმართლეს იტყოდი. ჩვენ გისმენთ.

ტომმა ნერვიულად მოისვა ტუჩებზე ხელი.

– რა მოხდა მერე?

– უპასუხეთ შეკითხვას, – გაისმა მოსამართლე ტეილორის ხმა. მას უკვე სიგარის ერთი მესამედი გაექრო.

– მისტერ ფინჩ, სკამიდან რო გადმოვედი, შევტრიალდი და ის მომახტასავით...

– მოგახტათ? საცემრად?

– არა, სერ, ჩამეხუტა. ხელები მომხვია წელზე.

ამჯერად მოსამართლე ტეილორს ჩაქუჩის დაკაკუნება მოუხდა. ამ დროს დარბაზში სინათლე აინთო. ჯერ არ ბნელოდა, მაგრამ ნაშუადღევის მზე ფანჯრებს აღარ ადგებოდა. მოსამართლემ უცებ აღადგინა წესრიგი.

– ამის მერე რა გააკეთა?

მოწმემ გაჭირვებით გადაყლაპა ნერწყვი.

– მომიახლოვდა და ლოყაზე მაკოცა. მოზრდილი კაცისთვის არასოდეს არ მიკოცნიაო, მითხრა, ზანგს მაინც ვაკოცებო. მამაჩემი რასაც მიშვება, ის არ ითვლებაო. და მეუბნება – შენც მაკოცე, მურიანოო. მე ვუთხარი – მის მეიელა, გამიშვით აქედან-მეთქი და გაქცევა დავაპირე, მაგრამ ზურგით კარს აეკრა, ისე, რომ ძალით თუ მოვაშორებდი... მე კი სულაც არ მინდოდა, რამე მევნო მისთვის, მისტერ ფინჩ, ჰოდა, ისევ ვეუბნები – გამატარეთ-მეთქი, და სწორედ იმ დროს დავინახე – მისტერ იუველი ფანჯარაში იყურება და რაღაცას ყვირის...

– რა თქვა მისტერ იუველმა?

ტომ რობინსონმა სული მოითქვა, თვალები გაუფართოვდა და თქვა:

– ისეთ რამე თქვა, რომ აქ ვერ გავიმეორებ, ამდენი ხალხია, ბავშვებიც არიან.

– რა თქვა, ტომ? თქვენ უნდა უთხრათ მსაჯულებს, რა თქვა.

ტომ რობინსონმა მაგრად დახუჭა თვალები.

– ასე თქვა – წყეულო ბოზო, მოგკლავო.

– რა მოხდა მერე?

– მისტერ ფინჩ, მერე ისე სწრაფად გავრბოდი, აბა, რა ვიცი, რა მოხდა.

– ტომ, თქვენ გააუპატიურეთ მეიელა იუველი?

– არა, სერ.

– რამე ზიანი მიაყენეთ?

– არა, სერ.

– ეწინააღმდეგებოდით?

– ვცდილობდი, მისტერ ფინჩ. ვცდილობდი, უხეშად არ მოვქცეოდი, მისტერ ფინჩ. სულ არ მინდოდა მეწყენინებინა, ან ძალით მომეშორებინა კარებიდან.

უცებ გავიფიქრე – ტომ რობინსონს ატიკუსივით დახვეწილი მანერები აქვს-მეთქი. მამას რომ არ აეხსნა, რამდენად საჩოთირო მდგომარეობაში აღმოჩნდა მაშინ ტომი, მე თვითონ ამას ვერ მივხვდებოდი: რაც არ უნდა მომხდარიყო, ტომი თეთრ ქალზე ხელს ვერ აღმართავდა – ეს სიკვდილის უდრიდა, ერთადერთი ხსნა გაქცევა იყო; გაქცევა კი დამნაშავეს ახასიათებს.

– ტომ, ისევ მისტერ იუველს დავუბრუნდეთ, – უთხრა ატიკუსმა, – თქვენთვის არაფერი უთქვამს?

– არაფერი, სერ, მაგრამ როცა იქ აღარ ვიყავი, ალბათ, ჩემი მისამართითაც იტყოდა რამეს.

– კმარა, – მკაცრად შეანყვეტინა ატიკუსმა, – ახლა რაც ნახეთ, ის მითხარით, ვის მიმართავდა?

– მის მეიელას მიმართავდა და უყურებდა, მისტერ ფინჩ.

– მერე, თქვენ გაიქეცით?

– რა თქმა უნდა, სერ.

– რატომ გაიქეცით?

– შემეშინდა, სერ.

– რისი შეგეშინდათ, ტომ?

– მისტერ ფინჩ, თქვენ რომ ჩემსავით შავკანიანი იყოთ, თქვენც შეგეშინდებოდათ.

ატიკუსი დაჯდა. ახლა მისტერ გილმერი გაემართა მოწმისკენ, მაგრამ სანამ მიუახლოვდებოდა, მაყურებლებს შორის მჯდარი მისტერ ლინკ დიზი წამოდგა და განაცხადა:

– მინდა ერთი რამ ახლავე გითხრათ. ეგ ბიჭი რვა წელიწადია, მემსახურება და არც ერთხელ არ შემპარვია ეჭვი მის პატიოსნებაში, არც ერთხელ!

– ახლავე დამუნეთ პირი, სერ! – მოსამართლე ტეილორი საბოლოოდ გამოფხიზლდა და აღრიალდა, სახეზე კი წამოწითლდა. საოცარია, პირში სიგარა ედო, მაგრამ სავსებით გარკვევით გამოთქვამდა ყველა ბგერას.

– ლინკ დიზ! – ყვიროდა მოსამართლე, – თუ რამე გაქვთ სათქმელი, როგორც წესი და რიგია, გამოდით, როცა გამოგიძახებენ, ფიცი წარმოთქვით და მერე ილაპარაკეთ, გესმით ჩემი? მანამდე კი გაბრძანდით ამ დარბაზიდან, გესმით ჩემი? გაბრძანდით დარბაზიდან, სერ, გესმით, თუ არა? მეტი არაა ჩემი მტერი, ამ საქმეს კიდევ მოვუსმინო!

მოსამართლე ტეილორმა მრისხანე მზერა მიაპყრო ატიკუსს, თითქოს სალაპარაკოდ იწვევსო, მაგრამ მაგიდასთან მჯდომმა ატიკუსმა თავი მუხლებამდე ჩაქინდრა და უხმოდ ახითხითდა. ამ ამბავმა ატიკუსის ერთი ნაამბობი მომაგონა მოსამართლე ტეილორის *ex cathedra*[1] გამონათქვამების თაობაზე, რაც მოსამართლის უფლებამოსილების გადაჭარბებაა, მაგრამ ვექილები თითქმის არასოდეს არ აქცევენ ამას ყურადღებას. ჯემს გავხედე, მაგრამ ჯემმა თავი გააქნია – აი, მსაჯული რომ ამდგარიყო და ლაპარაკი დაეწყო, ალბათ, მაშინ სხვა იქნებოდა, მაგრამ მისტერ ლინკ დიზმა, ეტყობა, წესრიგი დაარღვიაო, – მითხრა მან.

მოსამართლე ტეილორმა უბრძანა მდივანს, ჩანაწერებიდან ის ადგილი ამოეშალა, სადაც ბრალდებული ამბობდა – ჩემსავით შავკანიანი რომ იყოთ, თქვენც ჩემსავით შეგეშინდებოდათო, და მსაჯულები გააფრთხილა – მხედველობაში ნუ მიიღებთ ლინკ დიზის გამოხტომასო. გაბრაზებულმა გახედა გასასვლელს, ეტყობა, უცდიდა, როდის გაიხურავდა კარს მისტერ ლინკ დიზი და მხოლოდ ამის შემდეგ თქვა: დაიწყეთ, მისტერ გილმერ.

– რობინსონ, ერთხელ ოცდაათი დღე ციხეში გაგიტარებია წესრიგის დარღვევისთვის, ხომ? – ჰკითხა მისტერ გილმერმა.

– დიახ, სერ.

– საინტერესოა, როგორ გამოიყურებოდა ის შავკანიანი შენი მუშტების მერე.

– ეს იმან მცემა, მისტერ გილმერ.

– ჰო, მაგრამ განა პატიმრობა შენ არ მოგისაჯეს?

ატიკუსმა თავი ასნია.

– ეს უმნიშვნელო დარღვევა იყო და ოქმში შეტანილია, მოსამართლევ, – თქვა და მომეჩვენა, რომ დაღლილი ხმა ჰქონდა.

– არაფერია, მონმე გასცემს პასუხს, – მიუგო მოსამართლემ, რომელიც ატიკუსივით დაღლილი ჩანდა.

– დიახ, სერ, ერთი თვე მომისაჯეს.

ვიცოდი, მისტერ გილმერი გულუბრყვილოდ განაცხადებდა, რომ ადამიანს, რომელიც წესრიგის დარღვევისთვის ციხეში იყო ნაჯდომი, თავისუფლად შეეძლო, მეიელა იუველის გაუპატიურებაც ჩაედო გულში. სწორედ ეს მიზანი ჰქონდა მის დაკითხვას. ასეთი დასაბუთება ხშირად ჭრის კიდეც.

– რობინსონ, მაშ, შენ ძალიან გეხერხება "შიფანერების" დაჩეხვა და შეშის დაპობა ცალი ხელით, ხომ?

– დიახ, სერ, მე მგონი.

– იმდენი ლონეც გექნება, ქალი გაგუდო და იატაკზე დააგდო, არა?

– ეგეთი რამ არასოდეს ჩამიდენია, სერ.

– მაგრამ ძალა ხომ შეგწევს?

– ალბათ, სერ.

– იმ გოგოს კარგა ხანია, თვალი დაადგი ხო, ბიჭო?

– არა, სერ, არასოდეს არ ვუყურებდი.

– მაგრამ ისეთი თავაზიანი ხარ, რომ "შიფანერებს" უჩეხავდი და შეშასაც უპობდი, ხო, ბიჭო?

– უბრალოდ, მინდოდა მივშველებოდი, სერ.

– რა კეთილშობილი ყოფილხარ! სამუშაოს მერე სახლშიც ხომ გელოდა საქმე?

– დიახ, სერ.

– მერე, ნაცვლად იმისა, რომ შენი საქმისთვის მიგეხედა, მის იუველს ეხმარებოდი?

– ორივეს ვასწრებდი, სერ.

– ძალიან დაკავებული უნდა ყოფილიყავი. მერედა – რატომ?

– რა რატომ, სერ?

– რატომ იყავი ასე მონდომებული, რომ ამ ქალს დახმარებოდი, ჰა? ტომ რობინსონი შეყოყმანდა, ეტყობა, არ იცოდა, რა ეპასუხა.

– ვატყობდი, მშველელი არავინ ჰყავდა, – ხომ გითხარით...

– მაშინ, როცა მისტერ იუველი და შვიდი ბავშვიც გვერდით ჰყავდა, ბიჭო?

– კი მაგრამ, ხომ გითხარით, არც ერთი არ ეხმარებოდა-მეთქი.

– მაშ, უანგაროდ ეხმარებოდი, მარტო იმიტომ, რომ კეთილი გული გაქვს, არა, ბიჭო?

– მინდოდა მივშველებოდი, სერ, ხომ გითხარით.

მისტერ გილმერმა მრავალმნიშვნელოვნად პირქუშად შესცინა მსაჯულებს:

[1] *ex cathedra* – ამბიონიდან, კათედრიდან (ლათ.).

– შენ ძალიან კარგი ბიჭი ჩანხარ, მაშ, ერთი პენიც კი არ აგიღია გაწეულ შრომაში, ხომ?

– არა, სერ, მეცოდებოდა და იმიტომ, აშკარად ყველაზე მეტს შრომობდა...

– მაშ, შენ გეცოდებოდა ის, შენ – ის, ასეა, ხომ? – მისტერ გილმერს ლამის ჭერისთვის აერტყა თავი.

მონმე მიხვდა თავის შეცდომას და უხერხულად შეიშმუშნა. მაგრამ მოსახდენი მოხდა: ჩვენ ქვემოთ დარბაზში არავის არ ეპიტნავა ტომის პასუხი. მისტერ გილმერმა კარგა ხანს ადროვა, რათა ყველას დაეხსომებინა ტომის სიტყვები.

– მაშ, ასე, გასული წლის ოცდაერთ ნოემბერს, როგორც ყოველთვის, სამსახურიდან ბრუნდებოდი და შიფანერის დასაჩეხად ეზოში შეხვედი, ხომ?

– არა, სერ.

– მაშ, უარყოფ, რომ იუველების სახლთან ჩაიარე?

– არა, სერ, დამიძახა და მითხრა – სახლში მინდა რაღაცა გაგაკეთებინოო.

– მან თქვა, ვთხოვე, "შიფანერი" დაეჩეხაო, მართალი არაა?

– არა, სერ.

– მაშ, შენ ამბობ, რომ ის ტყუის, ბიჭო?

ატიკუსი წამოხტა, მაგრამ ტომ რობინსონს მისი ჩარევა არ დასჭირვებია:

– მე არ ვამბობ, რომ ის ტყუის, მისტერ გილმერ, მე ვამბობ, რომ მას ეშლება.

მისტერ გილმერის მომდევნო ათ შეკითხვაზე, სანამ ბრალმდებელი მის მეიელას ვერსიას აზუსტებდა, მოწმე ერთსა და იმავე პასუხს იძლეოდა – მე ვამბობ, რომ მას ეშლებაო.

– განა მისტერ იუველი არ შეგეჯახა კარებში, ბიჭო?

– არა, სერ, არა მგონია.

– არა გგონია? რას გულისხმობ?

– რასა და, მე მაშინვე გავიქეცი, ასე რომ, ჩემთან შეჯახებას ვერ მოასწრებდა.

– ამას ძალიან გულწრფელად აღიარებ, მაგრამ მაინც რატომ გაიქეცი ასე სწრაფად, ჰაა?

– ხომ გითხარით, შემეშინდა, სერ.

– თუ სინდისი სუფთა გქონდა, რისი შეგეშინდა?

– როგორც უკვე გითხარით, ზანგისთვის ძალიან საშიშია ასეთ... ასეთ ხათაბალაში გახვევა.

– კი მაგრამ, რა ხათაბალაზეა ლაპარაკი, როცა გვითხარი, რომ ნინაალმდეგობა გაუწიე ქალს. ნუთუ ისე შეგეშინდა, რაიმე არ დაეშავებინა შენთვის, რომ გაიქეცი? შენსავით ზორბა კაცს პატარა გოგონასი შეგეშინდა?

– გოგონასი არა, სერ, იმის მეშინოდა, რომ სასამართლოში ამოეყოფდი თავს, რაც მართლაც მოხდა...

– დაპატიმრების შეგეშინდა, შეგეშინდა, რომ პასუხს გაგებინებდნენ იმაზე, რაც ჩაიდინე, ხომ?

– არა სერ, მეშინოდა, რომ პასუხს მაგებინებდნენ იმაზე, რაც არ ჩამიდენია.

– შენ რა, ჩემთან თავხედობას ბედავ, ბიჭო?!

– არა სერ, აზრადაც არ მომსვლია.

მისტერ გილმერის მომდევნო კითხვებს ველარ მოვუსმინე – ჯემმა მთხოვა, დილი გარეთ გამეყვანა. არ ვიცი რატომ, მაგრამ დილი ატირდა და ველარ ჩერდებოდა. თავიდან ჩუმად ტიროდა, მერე კი მისი ზლუქუნი იარუსზე მსხდომმა ხალხმაც გაიგონა. ჯემმა გამაფრთხილა – თუ ნებით არ გაიყვან, ძალით გაგაყვანინებო. მამა საიკსმაც მთხოვა – კარგი იქნება, თუ გახვალთო, და მეც გავედი. იმ დღეს დილს ვერაფერი ისეთი ვერ შევატყვე; თითქოს არაფერი სჭირდა, მაგრამ როგორც ჩანს, სახლიდან გაქცევის მერე კარგად ვერ გრძნობდა თავს.

– ვერა ხარ კარგად? – ვკითხე მას, როცა ვინრო კიბე ჩავიარეთ.

დილი ცდილობდა მოწოლილი გრძნობები მოეთოკა. ქვედა კიბეს რომ ჩავუყევით, მისტერ ლინკ დიზი დავინახეთ. იგი კიბის ზედა საფეხურზე იჯდა.

– რამე ხომ არ შეგემთხვათ, ჭყიტა, – მკითხა მან, როცა გვერდით ჩავუარეთ.

არა-მეთქი, – მივუგე, – დილი, მგონი, ავადაა.

– წამოდი გარეთ, ხეების ჩრდილში წავიდეთ, – ვუთხარი დილს, – ალბათ, დაგსიცხა და მეტი არაფერი.

ყველაზე დიდი მუხა ამოვარჩიეთ და მის ჩრდილს შევაფარეთ თავი.

– იცი, იმ კაცის მოსმენა მეტი აღარ შემეძლო, – მითხრა დილმა.

– რომელი კაცის, ტომის?

– არა, მოხუცი მისტერ გილმერის. რა საზიზღრად ექცეოდა, როგორ ელაპარაკებოდა!

– დილ, ეგ მაგისი სამსახურია, აბა, წარმოიდგინე, რა იქნებოდა, ბრალმდებლები რომ არ არსებობდნენ, მაშინ ხომ დამცველებიც აღარ იქნებოდნენ საჭირო!

დილმა მოთმინებით ამოიხვნეშა:

– ეგ ყველაფერი მეც ვიცი, ჭყიტა. უბრალოდ, ისე ამბობდა ყველაფერს, ისე საზიზღრად, რომ გული ამერია.

– ის ასეც უნდა იქცეოდეს, დილ, მკაცრად...

– როცა სხვებს ეკითხებოდა, მაშინ ხომ სხვანაირად ლაპარაკობდა?..

– დილ, დანარჩენები მისი მონმეები იყვნენ.

– მერე, მისტერ ფინჩიც ხომ ელაპარაკა მეიელას და იმ მოხუც კაცს, იუველს, ხომ დაპკითხა, და ძალიანაც თავაზიანად მიმართავდა. ეს კაცი კი ისე აგდებულად ექცეოდა, სულ "ბიჭო", "ბიჭო"-ს გაიძახოდა და ნარამარა მსაჯულებს უტრიალდებოდა, როცა ზანგი პასუხობდა...

– კარგი, დილ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, რობინსონი ხომ ერთი ჩვეულებრივი ზანგია.

– მაგას ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ასეა თუ ისე, მაინც უსინდისობაა, ნამდვილი უსინდისობაა ეგეთი მოქცევა. არავის არა აქვს უფლება, ასე მოიქცეს... ამის ყურება გულს მირევს...

– მისტერ გილმერმა ყოველთვის ასე იცის, დილ. ყველას ასე მიმართავს. შენ ჯერ კიდევ არ გინახავს ბოლომდე, უარესებიც ხდება ხოლმე. ის კი არა, მისტერ გილმერი დღეს, მე მგონი, მაინცდამაინც მონდომებული არც კი იყო. საერთოდ, ვექილებმა ეგრე იციან, თითქმის ყველა ვექილმა...

– ოღონდ მისტერ ფინჩმა – არასოდეს.

– ატიკუსი სულ სხვაა, დილ, ატიკუსი... – მინდოდა მის მოდი ეტკინსონისეული მოხდენილი ფრაზა გამეხსენებინა და დილს ვუთხარი, – ატიკუსი სასამართლო დარბაზშიც და ქუჩაშიც ერთნაირად იქცევა.

– მე მაგის თქმა კი არ მინდოდა, – მითხრა დილმა.

– მე ვიცი, რისი თქმაც გინდოდა, ბიჭო, – მოგვესმა ზურგსუკნიდან და ვიფიქრეთ, ხემ ხომ არ ამოიდგა ენაო, მაგრამ მალე მივხვდით, რომ მისტერ რეიმონდ დოლფუსი ლაპარაკობდა. მან ხის უკნიდან გამოიჭყიტა.

– შენ ქალაჩუნა კი არა ხარ, უბრალოდ, გული აგირიეს, არა?

20

– მოდი ჩემთან, შვილო, ისეთ რამეს დაგალევინებ, ნამში გაგიყვლის ყველაფერი.

მისტერ რეიმონდ დოლფუსი საეჭვო რეპუტაციით სარგებლობდა. ამიტომ მისი მიპატიჟება უხალისოდ მივიღე, მაგრამ დილს მაინც მივყევი. რატომღაც მეგონა, ატიკუსი არ მომიწონებდა ამ ნაცნობობას, მამიდა ალექსანდრაზე ხომ არაფერს ვამბობ.

– აჰა, გამომართვი, კარგად მოსვი და გეამება, – უთხრა დილს და თავისი ქაღალდის პარკი გაუწოდა, საიდანაც სანუწნი ჩალის ღერები ამოჩრილიყო.

დილმა ერთი მოწრუპა სასინჯად, გაეღიმა და მერე სულმოუთქმელად შეუდგა წრუპვას.

– ჰი-ჰიი, – თქვა მისტერ რეიმონდმა: მას აშკარად სიამოვნებდა მცირეწლოვანის გარყვნა!

– დილ, ჭკუით იყავი, გესმის, – გავაფრთხილე მე.

დილმა წრუპვა შეწყვიტა და შემომცინა:

– ჭყიტა, ეს ხომ ჩვეულებრივი კოკა-კოლაა!

მისტერ რეიმონდი აქამდე ბალახზე იყო წამოწოლილი. ახლა წამოჯდა და ზურგით ხეს მიეყრდნო.

– ოღონდ ძალიან გთხოვთ, პატარებო, არ გამცეთ, თორემ სახელი გამიტყდება.

– თქვენ რა, მართლა კოკა-კოლა გისხიათ მაგ ჩანთაში? კოკა-კოლა და მეტი არაფერი?

– დიახ, მემ, – თავი დამიქნია მისტერ რეიმონდმა. ამ კაცს სასიამოვნო სუნი ასდიოდა: ბამბის თესლის, ტყავისა და ცხენის სუნით იყო გაჟღენთილი. ფეხზე ინგლისური მხედრული წაღები ეცვა. მეიკომში სხვა

არავის ჰქონდა ასეთი ნაღები, – ამის მეტს თითქმის არაფერს არც ვსვამ ხოლმე.

– ესე იგი, მარტო თავს გვაჩვენებთ, ვითომ ნახევრად... უკაცრავად, სერ, – ენას კბილი დავაჭირე, – სულ არ მინდოდა...

მისტერ რეიმონდს ჩაეცინა, სრულებითაც არ სწყენია ჩემი ნათქვამი. შეეცადე, ამჯერად უფრო თავშეკავებული კითხვა დამესვა და ვუთხარი:

– რატომ იქცევით ისე, როგორც იქცევით?

– რატომ, აა, დიახ, ანუ რატომ ვთამაშობ, არა? ეგ ძალიან ადვილი ასახსნელია, – მითხრა მისტერ რეიმონდმა, – ზოგ ადამიანს... არ მოსწონს ჩემი ცხოვრების ნირი. მე ეგ სულ არ მანაღვლებს, მაგრამ არ ვამბობ იმ ხალხზე – ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ-მეთქი, ოდნავადაც არ მანაღვლებს, მოსწონთ თუ არ მოსწონთ, მაგრამ – ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ-მეთქი, მაინც არ ვამბობ. ხედავთ თუ არა განსხვავებას?

– ვერა, სერ, – ვუთხარით მე და დილმა.

– იცით, რა, ვცდილობ, სალაპარაკო საბაბი მივცე. ადამიანებს ძალიან უჭირთ, როცა არ იციან, რას მოეჭიდონ, ამიტომ საბაბს ვაძლევ. საერთოდ, ქალაქში იშვიათად ჩამოვდივარ ხოლმე, და ყოველთვის ცოტ-ცოტას ვბარბაცებ, თანაც, ამ ჩანთიდან ვწრუპავ, ისე, რომ ხალხს შეეძლოს თქვას – რეიმონდ დოლფუსი ვისკის კლანჭებშია მოქცეული და იმიტომაც ვერ იცვლის ცხოვრების ნირსო.

– თქვენ პატიოსნად არ იქცევით, მისტერ რეიმონდ, როცა ცდილობთ, ხალხს იმაზე უარესად მოაჩვენოთ თავი, ვიდრე სინამდვილეში ხართ.

– შეიძლება მთლად პატიოსნად არც ვიქცევი, მაგრამ ვცდილობ, ხალხს დავეხმარო. ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ, მის ფინჩ: მე მსმელი კაცი არ გახლავართ, მაგრამ რა ვქნა, ადამიანებს არაფრით, არაფრით არ უნდათ შეიგნონ ერთი ძალიან უბრალო რამ, რომ მე სწორედ იმიტომ ვცხოვრობ ასე, რომ ასე მინდა ცხოვრება.

ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს სწორად არ ვიქცეოდი, რომ ვიდექი და ყურს ვუგდებდი ამ ცოდვილ კაცს, რომელსაც ნახევრად ზანგი შვილები ჰყავდა და ხალხის აზრი ფეხებზე ეკიდა. მაგრამ, ამავე დროს, მოხიბლულიც გახლდით: არასოდეს შევხვედრივარ ადამიანს,

რომელიც შეგნებულად ცდილობს, საკუთარი თავის მიმართ მტრულად განაწყოს ადამიანები. მაგრამ რატომ გადაწყვიტა, თავისი საიდუმლო მაინცადამაინც ჩვენთვის გაენდო? ჰოდა, ეს კითხვა ხმამაღლა დავუსვი კიდეც.

– იმიტომ, რომ თქვენ ბავშვები ხართ და ამის გაგება არ გაგიჭირდებათ, და კიდევ იმიტომ, რომ ამის ნალაპარაკევს მოვკარი ყური, – მან თავი დილისკენ გაიქნია, – ეს ყმაწვილი ჯერჯერობით ყველაფერს ალღოთი ხვდება. რამდენიმე წლის მერე, როცა ნამოიზრდება, როცა რამე უსამართლობას დაინახავს, შეიძლება აღშფოთდეს, მაგრამ აღარც გული აერევა და აღარც ასე იოლად იტირებს.

– რაზე აღარ ვიტირებ, მისტერ რეიმონდ? – დილში მამაკაცურმა საწყისმა გამოიღვიძა.

– რაზე და იმაზე, თუ როგორ ტანჯავს ერთი კაცი მეორეს სრულიად დაუფიქრებლად. აღარ იტირებ იმის დანახვაზე, თუ როგორ აწვალებენ თეთრკანიანები შავკანიანებს და თან აზრადაც არ მოსდით, რომ შავკანიანებიც მათსავით ადამიანები არიან.

– ატიკუსი ამბობს, შავკანიანის მოტყუება ათჯერ უფრო დიდი დანაშაულია, ვიდრე თეთრკანიანისო, – ჩავიბურტყუნე მე, – ამბობს, ამაზე უარესი საქციელი არ არსებობსო.

მისტერ რეიმონდმა მომიგო:

– არა მგონია, მთლად ეგრე იყოს... მის ჯინ ლუიზა, შენ ჯერ არ იცი, რომ მამაშენისთანა ადამიანები თითზე ჩამოსათვლელები არიან და კიდევ კარგა ხანს ვერ მიხვდები ამას... შენ ჯერ ძალიან ცოტა რამ გინახავს ამქვეყნად... ამ ქალაქსაც არ იცნობ რიგიანად, მაგრამ ახლა ყველაფერს აჯობებს, თუ სასამართლოში დაბრუნდებით.

ამან გამახსენა, რომ მისტერ გილმერი დაკითხვას განაგრძობდა. ცას ავხედე, კარგა ხანია, მზე მოედნის დასავლეთით მდებარე მაღაზიების სახურავებს უკან გადაწვერილიყო. ორ ცეცხლს შუა ვიწვოდი – მისტერ რეიმონდთან საუბარიც მინდოდა და საოლქო სასამართლოს მეხუთე სესიაზე დასწრებაც.

– წამო, დილ, – ვუთხარი ბოლოს, – ახლა ხომ კარგადა ხარ?

– ჰოო, მოხარული ვარ, რომ გაგიცანით, მისტერ რეიმონდ. გმადლობთ სასმელისთვის, ძალიან მომიხდა.

მე და დილმა სასამართლოს შენობისკენ მოვკურცხლეთ, ავირბინეთ ჯერ განიერი, მერე ვიწრო კიბე და იარუსის მოაჯირისკენ გავიკვლიეთ გზა. მამა საიკსს ჩვენთვის ადგილები დაეკავებინა.

დარბაზში სრული სიჩუმე სუფევდა და ისევ გავიფიქრე – ნეტა, ჩვილი ბავშვები სად არიან-მეთქი. მოსამართლე ტეილორს სიგარის ყავისფერი ნატეხი ისევ ტუჩებში ჰქონდა გაჩრილი, მისტერ გილმერი თავის ყვითელ ბლოკნოტში იწერდა რაღაცას. მგონი, მდივანს ეჯიბრებოდა, რომელიც გამალებული ავსებდა ოქმს.

– უუხ, – ჩავიბურტყუნე, – ველარ მოვუსწარით!

ატიკუსი სიტყვით გამოდიოდა. როგორც ჩანს, კარგა ხანია, ლაპარაკობდა. ეტყობა, პორტფელიდან რაღაც ფურცლები ამოეღო, იმიტომ რომ მის მაგიდაზე ახლა ქაღალდები ეწყო. ტომ რობინსონი ხელით აწვალებდა ერთ-ერთ ფურცელს.

-... ყოველგვარი მტკიცებულებების გარშე, ეს კაცი სასამართლოს წინაშე წარდგა და სასჯელის უმაღლესი ზომა ემუქრება.

ჯემს მუჯლუგუნი გავკარი:

– დიდი ხანია, დაიწყო?

– ჯერ მარტო მტკიცებულებებზე ილაპარაკა, – ჩამჩურჩულა ჯემმა, – და ჩვენ გავიმარჯვებთ, ჭყიტა! არ მესმის, როგორ შეიძლება, არ მოვიგოთ... ხუთი წუთი იქნება, რაც ლაპარაკი დაიწყო. ყველაფერი ისე გასაგებად და მარტივად ახსნა, როგორც... აი, როგორც მე აგიხსნიდი შენ. შენც კი არ გაგიჭირდებოდა ამის გაგება!

– მისტერ გილმერმა არაფერი არ...

– ჩუ! ახალი არაფერი მომხდარა, ყველაფერი ძველებურადაა, მოკეტე ახლა.

ისევ ქვემოთ ჩავიხედე. ატიკუსი კვლავ ძალდაუტანებლად და დინჯად ლაპარაკობდა, გეგონებოდათ, მდივანს წერილს კარნახობსო. ნელა სცემდა ბოლთას მსაჯულების წინ და ისინიც, მე მგონი, ყურადღებით უსმენდნენ. თავაწეულები ისხდნენ და თითქოს კმაყოფილებითაც კი ადევნებდნენ თვალს წინ და უკან მოსიარულე ატიკუსს. შესაძლოა, იმიტომ, რომ ყალბად არ ენამჭევრობდა.

უცებ ატიკუსი შედგა და ძალიან უჩვეულო რამ გააკეთა: საათი მოიხსნა, მაგიდაზე დადო და თქვა:

– თუ მოსამართლე ნებას დამრთავს...

მოსამართლემ თავი დაუკრა და ატიკუსმა ახლა ისეთი რამ მოიმოქმედა, რაც არც მანამდე და არც მას მერე ცხოვრებაში არ გვინახავს. ჟილეტზე ღილები შეიხსნა. საყელო მოიღერა, ჰალსტუხი მოუშვა და პიჯაკი გაიხადა! შინ არათუ უპიჯაკოდ, ღილებშეხსნილიც კი არასოდეს მინახავს! ტანსაცმელს მხოლოდ მაშინ იხდიდა, როცა დასაძინებლად წვებოდა. ასე რომ, ჩემთვის და ჯემისთვის უპიჯაკო ატიკუსი იგივე იყო, რაც დედიშობილა. მე და ჯემმა შეშფოთებით გადავხედეთ ერთმანეთს.

ატიკუსმა ხელები ჯიბეში ჩაინყო და პირი მსაჯულებისკენ იბრუნა. ნათურების შუქზე წამით იელვა მისმა ოქროს საკინძმა, კალმისა და ფანქრის ხუფმა.

– ჯენტლმენებო, – თქვა მან და მე და ჯემმა ისევ გადავხედეთ ერთმანეთს: ატიკუსი ასეთივე კილოთი ამბობდა ხოლმე: "ჭყიტა!" მისი ხმა აღარ იყო ადრინდელივით მშრალი, გულგრილი, ახლა ისე ლაპარაკობდა, თითქოს მსაჯულებს კი არა, ქუჩაში შემხვდურ ნაცნობებს ებაასებაო.

– ჯენტლმენებო, თავს არ შეგაწყენთ, – განაგრძობდა ატიკუსი, – მაგრამ მინდა დარჩენილ დროში შეგახსენოთ, რომ ეს საქმე უაღრესად მარტივია და ჩახლართული ფაქტების გულდასმით კვლევას არ საჭიროებს. თქვენ მხოლოდ და მხოლოდ იმის გადაწყვეტა მოგეთხოვებათ, დამნაშავეა თუ არა ბრალდებული, ოღონდ ისე, რომ ეჭვის ნასახიც არ ჩაგრჩეთ გულში.

– დავიწყოთ იქიდან, რომ ამ საქმეს სასამართლომდე საერთოდ არც უნდა მოეღწია; მისი გარჩევა ხომ ისევე იოლია, როგორც თეთრისა და შავის.

გამოძიებამ არ წარმოადგინა არანაირი სამედიცინო საბუთი, რომლის მიხედვით შეიძლებოდა ჩადენილად ჩაგვეთვალა დანაშაული, რომელიც ტომ რობინსონს ედება ბრალად. ნაცვლად ამისა, ბრალმდებელი დაეყრდნო ორი მოწმის ჩვენებას, რომელთა უტყუარობა ჯერ ჯვარედინმა დაკითხვამ გახადა უაღრესად საეჭვო, მერე კი ბრალდებულმა სავსებით უარყო ისინი. დამნაშავე ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი კი არ გახლავთ, არამედ მავანი, ამ დარბაზში მჯდომი.

– მართალია, მთავარმა მოწმემ – ბრალდების მოწმემ – ღრმა სიბრალულის გრძნობა აღმიძრა, მაგრამ განა შეიძლება სიბრალულზე ლაპა-

რაკი მაშინ, როცა საქმე უდანაშაულო ადამიანის სასიკვდილოდ გამეტებას ეხება? ეს კი მთავარმა მონმემ საკუთარი დანაშაულისგან თავის დაღწევის მიზნით ჩაიდინა.

– დანაშაულიო, ვამბობ, ბატონებო, რადგან სხვა სახელს ვერ მოუძებნი ამ საქციელს. მეიელა იუველს არ ჩაუდენია ბოროტმოქმედება, მან მხოლოდ და მხოლოდ ერთი ჟამნაცადი და მტკიცე კანონი დაარღვია ჩვენი საზოგადოებისა, იმდენად უმონყალო კანონი, რომ მისი დამრღვევი ჩვენთან თანაარსებობის უფლებას კარგავს და განიდევნება, როგორც უღირსი. ჩვენ ვიცით, რომ მთავარი მონმე სასტიკი სილატაკისა და უმეცრების მსხვერპლია, მაგრამ მისი შებრალება დაუშვებელია. იგი თეთრკანიანია. მას ბოლომდე ჰქონდა შეგნებული მთელი სიმძიმე და არაბუნებრიობა საქციელისა, რომელსაც სჩადიოდა, მაგრამ რაკი სურვილი ზნეობრივ ზღუდეზე ძლიერი აღმოჩნდა, ზღუდე გადალახულ იქნა. დიახ, მან, ყველაფრის მიუხედავად, გადალახა ზნეობრივი ზღუდე, და რაც ამას მოჰყვა, ალბათ თითოეულ ჩვენგანს ცხოვრებაში ერთხელ მაინც განუცდია: მთავარმა მონმემ სცადა, საკუთარი დანაშაულის კვალი გაექრო. თუმცა, ამ შემთხვევაში ჩვენ არა გვაქვს საქმე ბავშვთან, რომელიც ნაქურდლის დამალვას ცდილობს. მეიელა იუველმა მომაკვდინებელი ლახვარი ჩასცა თავის მსხვერპლს, რამეთუ მისი თავიდან მოშორება დასჭირდა: იგი უნდა გაქრეს, უნდა აღიგავოს პირისგან მიწისა. მან უნდა გაანადგუროს დანაშაულის მამხილებელი ერთადერთი საბუთი.

რა გვევლინება დანაშაულის მამხილებელ საბუთად? – ტომ რობინსონი, სულიერი არსება. ამრიგად, საჭირო გახდა ტომ რობინსონის თავიდან მოშორება. სანამ იარსებებს ტომ რობინსონი, იარსებებს დანაშაულიც, რომელიც მონმემ ჩაიდინა. რა შესცოდა მთავარმა მონმე-ბრალმდებელმა? მან შავკანიანის ცდუნება სცადა.

თეთრკანიანმა ქალიშვილმა სცადა, ეცდუნებინა შავკანიანი – საქციელი ყოვლად მიუტევებელი, წარმოუდგენელიც კი ჩვენს საზოგადოებაში. მან შავკანიან მამაკაცს აკოცა. მოხუც ძია-კაცს კი არა, ჯანსაღ, სიცოცხლით სავსე შავკანიან ჭაბუკს. ვიდრე ამას ჩაიდენდა, ქალიშვილისთვის არ არსებობდა არანაირი დაბრკოლება ან ზნეობრივი ზღუდე, სინამდვილე მას მხოლოდ მოგვიანებით დაატყდა თავს მთელი თავისი სიმძიმით.

ქალიშვილის მამამ ყველაფერი დაინახა და ჩემი დაცვის ქვეშ მყოფმა მოგახსენათ, თუ რა სიტყვები აღმოხდა მას. როგორ მოიქცა მამა? ჩვენ ეს არ ვიცით, მაგრამ მოგვეპოვება ირიბი მტკიცებულება, რომლის შესაბამისად, მეიელა იუველი სცემა ადამიანმა, რომელსაც მარჯვენა ხელი თითქმის საერთოდ არ უხმარია. ჩვენ ნაწილობრივ ისიც ვიცით, როგორ მოიქცა მისტერ იუველი: იგი მოიქცა ისე, როგორც მსგავს ვითარებაში მოიქცეოდა ნებისმიერი ღვთისმოშიში, წესიერი და პატივსაცემი თეთრკანიანი მამაკაცი – მან ხელისუფალნი აიძულა, ციხეში ჩაესვათ ტომ რობინსონი, და ჩვენებას, რაღა თქმა უნდა, მარცხენა ხელით მოაწერა ხელი, ხოლო ტომ რობინსონსმა, როგორც ნახეთ, ფიცის თქმისას ერთადერთი ჯანმრთელი ხელი აღმართა. ერთადერთი ხელი, რომელიც მას აბადია – მარჯვენა ხელი.

ამრიგად, უნყინარი, პატიოსანი და მოკრძალებული ზანგი, რომელმაც მიუტევებელი თავხედობა გამოავლინა და თეთრი ქალი "შეიცოდა", იძულებული გახდა, ორი თეთრკანიანის საწინააღმდეგო ჩვენება მიეცა. მე მგონი, შეუხსენებლადაც ყველას გახსოვთ, თუ რანაირად გამოიყურებოდა და იქცეოდა ჩვენთვის ცნობილი ორი მონმე დაკითხვის დროს – ეს ყველამ თავად დაინახეთ. ბრალმდებელი მხარის მონმეები, მეიკომის ოლქის შერიფს გარდა, ბატონებო, თქვენ წინაშე წარდგნენ თავხედური რწმენით, რომ მათ ჩვენებაში ვერავინ შეიტანდა ეჭვს. და რომ თქვენ ყველანი უსათუოდ გაიზიარებდით მათ მოსაზრებას, მახინჯ მოსაზრებას, თითქოსდა, ყველა ზანგი მატყუარაა, ყველა ზანგი უზნეოა; თითქოსდა, ჩვენს მანდილოსნებს ყოველი შავკანიანი მამაკაცისა უნდა ეშინოდეთ, ასეთი მოსაზრება კი მხოლოდ ხსენებული მონმეების დონის ადამიანმა თუ შეიძლება გაიზიაროს.

ეს კი, ბატონებო, ჩვენ ყველამ ვიცით, რომ თავისთავად სიცრუედ გვევლინება, ტომ რობინსონის კანივით შავბნელ სიცრუედ, რომელიც გამოაშკარავებასაც კი არ საჭიროებს, რადგან ჭეშმარიტება ყველას მშვენივრად მოგვეხსენება. ის, რომ ზოგი ზანგი ცრუობს, ზოგი უზნეოა, ზოგი ზანგი სანდო არაა მანდილოსნებისთვის – არც ზანგი და არც თეთრკანიანი მანდილოსნებისთვის – ჭეშმარიტებაა, რომელიც მთელ კაცობრიობაზე ვრცელდება და არა მხოლოდ რომელიმე ცალკეულ რასაზე. ამ დარბაზში შეუძლებელია, იჯდეს თუნდაც ერთი ისეთი ადამია-

ნი, ვისაც არც ერთხელ არ უთქვამს ტყუილი, არასოდეს მოქცეულა უზნეოდ; და არც ისეთი მამაკაცი მეგულება სადმე, ქალისთვის ვნებიანი მზერა არ მიეპყროს ოდესმე.

ატიკუსმა სულის მოსათქმელად შეისვენა. ამოიღო ცხვირსახოცი, მოიხსნა სათვალე და მინების წმენდას შეუდგა. მაშინ – "პირველად ცხოვრებაში" – კიდევ ერთი რამ შევნიშნეთ: მამაჩვენს, რომელიც იმ მამაკაცთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებისთვისაც უცხოა ოფლიანობა, სახე ბრინჯაოსფრად ულაპლაპებდა ოფლისგან!

– კიდევ ერთ რამესაც მოგახსენებთ, ბატონებო, და დავამთავრებ. ერთხელ ტომას ჯეფერსონმა თქვა, რომ ადამიანები განგებამ თანასწორუფლებიანები გააჩინა. ფრაზა, რომელსაც იანკები და ვაშინგტონელი ხელისუფალნი წარამარა გვაძახებენ. წელს კი, 1935 წელს, გარკვეული კატეგორიის ხალხი სრულიად უმისამართოდ იყენებს ამ აზრს, წარმოიქმნა ტენდენცია – ნებისმიერ ვითარებას მოარგონ ეს გამონათქვამი. ამის ყველაზე საკვირველი გამოვლენა, ჩემი აზრით, ისაა, რაც ჩვენს სკოლებში ხდება: უქნარები და უნიჭოები მოწადინებული და ნიჭიერი ბავშვების გვერდიგვერდ გადაჰყავთ კლასიდან კლასში, რადგანაც თურმე, კლასში ჩარჩენილი ბავშვი "გარიყული რჩება დანარჩენებისგან და დიდ სულიერ ტრავმას განიცდის". თუმცა, ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ ყველა ადამიანი ერთნაირად დაჯილდოებული არ იბადება, როგორც ზოგ-ზოგიერთებს უნდათ ვირწმუნოთ: ერთი – ნიჭიერი იბადება, მეორეს გარემო პირობები უწყობს ხელს ნარმატებაში, მესამეს სხვაზე მეტად ეხერხება ფულის შოვნა; ზოგი მანდილოსანი სხვებზე უკეთ აცხობს ნამცხვრებს; არიან ადამიანებიც, რომლებიც განგებამ დაბადებითვე გამორჩეული ნიჭით დააჯილდოვა.

მაგრამ ჩვენს სახელმწიფოში არსებობს საშუალება ყველა ადამიანის გასათანასწორებლად. ესაა ერთი კაცთმოყვარე სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი, რომელიც მათხოვარს როკფელერს უთანაბრებს, შლის ზღვარს ბრიყვსა და აინშტაინს შორის, უმეცარსა და უნივერსიტეტის რექტორს შორის; ეს ინსტიტუტი, ბატონებო, ჩვენი სასამართლოა. სულ ერთია, იქნება ეს შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლო, ყველაზე უფრო მიყრუებული უბნის სასამართლო თუ ეს პატივცემული სასამართლო, რომელსაც თქვენ ემსახურებით. თუმცა, ჩვენი მართლმსაჯულების სისტემაც არაა დაზღვეული ნაკლოვანებებისგან, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში სასამართლო გვევლინება უდიდეს გამანონასწორებლად – აქ ყველა ადამიანი თანასწორუფლებიანია.

მე იდეალისტი არ გახლავართ და ამიტომ დარწმუნებული არა ვარ, რომ არსებული სასამართლო უნაკლოა. მე მას იდეალურად ვერ მივიჩნევ, ვინაიდან იგი ცოცხალი, მოქმედი სინამდვილეა. ჯენტლმენებო, სასამართლო არ შეიძლება იყოს იმათზე უკეთესი, ვინც მსაჯულთა მოვალეობას ასრულებენ. სასამართლო იმდენადაა სანდო, რამდენადაც სანდოა მსაჯულთა საბჭო; მსაჯულთა საბჭოს სამართლიანობას კი მასში შემავალი ცალკეული პირების სამართლიანობა განაპირობებს. მე ღრმად მწამს, ბატონებო, რომ თქვენ ყოველგვარი მიკერძოებისა და ანგარების გარეშე განსჯით, ანონ-დაწონით მტკიცებულებებს, სწორ დასკვნას გამოიტანთ და უდანაშაულო ადამიანს თავის ოჯახს დაუბრუნებთ. ღვთის გულისთვის, პირნათლად აღასრულეთ თქვენი ვალი!

ატიკუსს აქ ხმა ჩაუწყდა და როცა შემოტრიალდა, კიდევ თქვა რაღაცა, ოღონდ ვერ გავარჩიე – რა. მგონი, თავის თავს უფრო მიმართავდა, ვიდრე მსაჯულებს.

ჯემს მუჯლუგუნი გავკარი:

– რა თქვა?

– თუ ღმერთი გწამთ, დაუჯერეთო, – მგონი, ასე თქვა.

უცებ დილი ჯემისკენ გადაიხარა და შეანჯღრია:

– გაიხედე იქით!

გულის ფანცქალით გავაყოლეთ თვალი დილის თითს. დარბაზის გამყოფ დერეფანში კელპურნია დავინახეთ, ის პირდაპირ ატიკუსისკენ მიემართებოდა.

21

კელპურნია მოკრძალებით შედგა მოაჯირთან და დაელოდა, სანამ მოსამართლე ყურადღებას მიაქცევდა. ქათქათა წინსაფარი ეკეთა და ხელში კონვერტი ეჭირა.

მოსამართლე ტეილორმა შენიშნა იგი და თქვა:

– მგონი, ეს კელპურნია უნდა იყოს, არა?

– დიახ, სერ, – მიუგო კელმა, – სერ, თუ ნებას დამრთავთ, ამ ბარათს მისტერ ფინჩს გადავცემ. ამას არავითარი... არავითარი კავშირი არა აქვს პროცესთან.

მოსამართლე ტეილორმა თავი დაუკრა და ატიკუსმა კელპურნიას წერილი გამოართვა. გაშალა, წაიკითხა და თქვა:

– მოსამართლევ, მე... ეს ბარათი ჩემმა დამ გამომიგზავნა, მწერს – შენი შვილები დაიკარგნენ, შუადღის მერე აღარ გამოჩენილანო... მე... ხომ არ შეგიძლიათ...

– ატიკუს, მე ვიცი, სადაც არიან! – გაისმა მისტერ ანდერვუდის ხმა, – სწორედ შენ ზემოთ სხედან, შავკანიანების იარუსზე... ზუსტად პირველ საათსა და თვრამეტ წუთზე მობრძანდნენ და ახლაც იქ არიან.

ატიკუსი შემოტრიალდა და ამოიხედა.

– ჯემ, ჩამოდი მაქედან, – დაიძახა მან. მერე მოსამართლეს გადაულაპარაკა რაღაც, ოღონდ ისე, რომ ვერ გავიგონეთ. ჩვენ მამა საიკსა და მოაჯირს შორის გავძვერით და კიბისკენ გავიკვლიეთ გზა.

ქვედა სართულზე ატიკუსი და კელპურნია დაგვხვდნენ. კელპურნია გაბრაზებული ჩანდა, ატიკუსი კი გასავათებული იყო.

ჯემი სიხარულისგან ხტოდა – გავიმარჯვეთ! გავიმარჯვეთ, არა?

– წარმოდგენა არა მაქვს, – მოკლედ მოუჭრა ატიკუსმა, – მთელი შუადღე აქ გაატარეთ? გაპყევით ახლა კელპურნიას და ივახშმეთ, მერე კი სახლში დარჩით, გასაგებია?

– ოო, ატიკუსს, გეხვენები, დავბრუნდებით, რაა! – უთხრა ჯემმა, – ძალიან გთხოვთ, განაჩენსაც მოვუსმენთ, რაა!

– მსაჯულები შეიძლება გავიდნენ და ერთ წუთში მობრუნდნენ კიდეც უკან. ჩვენ ხომ არ ვიცით... – შევატყვეთ, რომ ატიკუსი მოლბა, – თუმცა, სადაც აქამდე მოგისმენიათ, ბარემ ბოლომდე ნახეთ. აი, რას გეტყვით: ნებას გრთავთ, ნავახშმევს უკან მობრუნდეთ, ოღონდ ნელა ჭამეთ, მნიშვნელოვანი მაინც არაფერი გამოგრჩებათ... და თუ თქვენი მოსვლისთვის მსაჯულები ჯერ კიდევ გასულები იქნებიან, შეგიძლიათ, ჩვენთან ერთად დაელოდოთ. მაგრამ მე მგონი, თქვენს მოსვლამდე ყველაფერი დამთავრდება.

– შენ გგონია, ასე უცებ გაამართლებენ? – ჰკითხა ჯემმა.

ატიკუსმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა: პირი დამუნა და წავიდა.

გზაში ღმერთს ვევედრებოდი – ნეტა მამა საიკსმა ადგილები შეგვინახოს-მეთქი: მაგრამ ვედრება შევწყვიტე, როცა გამახსენდა, რომ მსაჯულებთან ერთად, მაყურებლებიც ადგებოდნენ და გავიდოდნენ დარბაზიდან. ამაღამ მთელ ქალაქს შემოირბენდნენ, ყველა კაფეს, ყველა სასტუმროს დაივლიდნენ, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ვახშამიც თან არ ჰქონდათ წამოღებული.

კელპურნიამ ჩქარი ნაბიჯით წაგვიყვანა სახლისკენ:

– თქვე სალახანებო თქვენა, როგორ მოგივიდათ თავში ასეთი რამე? როგორ შეიძლება ბავშვებისთვის ასეთი საზიზღრობის მოსმენა?! მისტერ ჯემ, ერთი მითხარით, რამ მოგაფიქრათ იმ პროცესზე თქვენი უმცროსი დის წაყვანა, ჰა? მის ალექსანდრას ნამდვილად ტვინში სისხლი ჩაექცევა, როცა გაიგებს, სადაც ბრძანდებოდით! არა, როგორ შეიძლებოდა ამის მოსმენა ბავშვებისთვის?!

ქუჩებში უკვე დაენთოთ ღამის ლამპიონები და მათ შუქზე დროდადრო კელპურნიას გამძვინვარებული პროფილი გამოიკვეთებოდა ხოლმე.

– მისტერ ჯემ, მე მეგონა, მხრებზე თავი გებათ; არა, მაინც როგორ დაუშვით ეს – ჭყიტა ხომ თქვენზე უმცროსია! როგორ დაუშვით, სერ! მე მგონია, სირცხვილით უნდა ინვოდეთ, სერ, ნუთუ ერთი ბენო ჭკუა არ გაგაჩნიათ?!

ძალიან გავმხიარულდი: ამ ცოტა ხანში იმდენი რამე მოხდა და თანაც ისე სწრაფად, ალბათ წლები დასჭირდება ყველაფრის რიგიანად გააზრებას-მეთქი, გავიფიქრე. ახლა კიდევ კელპურნია გამოგვეცხადა და თავის სათაყვანებელ ჯემს მიწასთან ასწორებდა! ნეტა, კიდევ რა საოცრებას უნდა ველოდეთ ამ საღამოს?

ჯემი ხითხითებდა.

– კელ, შენ რა, არ გინდოდა მოსმენა?

– ხმა ჩაიკმინდეთ, სერ! ნესით, სირცხვილით უნდა იწვოდეთ, თქვენ კი იცინით, ჰმ!. – კელპურნიამ ჯემს მუქარით ზურგზე ბოლი ადინა, მაგრამ ამაოდ დაშვრა: ჩემი ძამიკო სინდისის ქენჯნას სულაც არ განიცდიდა. როცა კელი უკვე ჩვენი სახლის აივნის კიბეზე ადიოდა, თავისი ქადილი ამ სიტყვებით დააგვირგვინა:

– თუ მისტერ ფინჩმა არ გაგლახათ, მე მაინც ვერ გადამირჩებით! შებრძანდით სახლში, სერ!

ჯემი ხითხით-ხითხითით შევიდა სახლში, კელპურნიამ კი თავის დაკვრით შეიპატიჟა დილი სავახშმოდ.

– ოღონდ ახლავე დაურეკეთ მის რეიჩელს და გააგებინეთ, რომ აქა ხართ, – გვითხრა კელპურნიამ, – ლამის ჭკუიდან გადაცდეს ქალი თქვენი ძებნით!.. და ნუ გაგიკვირდებათ, დილ, ხვალ დილაუთენია გემში რომ ჩაგსვან და მერიდიანში გიკრან თავი!

ამასობაში მამიდა ალექსანდრაც გამოვიდა და როცა შეიტყო, სადაც ვიყავით, და ეტყობა, ისიც ძალიან ეწყინა, რომ შეიტყო, ატიკუსმა უკან დაბრუნების ნებაც დაგვრთო, მთელი ვახშმის განმავლობაში წყალი ჩაიგუბა პირში. უხალისოდ ჩაშტერებოდა თავის თეფშს და ჩანგლით საჭმელს ჩიჩქნიდა. კელპურნია კი გააფთრებული გვემსახურებოდა. ბუზლუნ-ბუზლუნით დაგვისხა რძე, გადმოგვიღო სალათა და შებოლილი ხორცი. სირცხვილი თქვენი, სირცხვილი თქვენიო, – გაიძახოდა ნარამარა.

– იცოდეთ, ნელა ჭამეთ, – გვიბრძანა ბოლოს.

მამა საიკსს ჩვენთვის ადგილები შეენახა. ძალიან გაგვიკვირდა, როცა შევიტყვეთ, რომ მთელი ერთი საათის ნასულები ვიყავით. არანაკლებ გაგვიკვირდა ისიც, რომ დარბაზი ზუსტად ისევე სავსე იყო, როგორც ჩვენს წასვლამდე. მხოლოდ ბრალდებული და მსაჯულები არ ისხდნენ თავ-თავიანთ ადგილებზე; მოსამართლე ტეილორიც, ეტყობა, გასული იყო, იმიტომ რომ, როცა ჩვენს ადგილებზე ვსხდებოდით, ისიც მაშინ შემოვიდა დარბაზში.

– მგონი, ყველანი ისევ თავიანთ ადგილებზე სხედან, – თქვა ჯემმა.

– როცა მსაჯულები ადგნენ, ზოგიერთები დარბაზიდან გავიდნენ, – უთხრა მამა საიკსმა, – კაცებმა ქალებს ვახშამი მოუტანეს, დედებმა ბავშვებს აჭამეს.

– რამდენი ხნის გასულები იქნებიან? – ჰკითხა ჯემმა.

– ასე, ოცდაათი წუთის... მისტერ ფინჩმა და მისტერ გილმერმა ცოტ-ცოტა კიდევ ილაპარაკეს და მოსამართლე ტეილორმა მსაჯულები დაითხოვა.

– რა უთხრა წასვლის წინ?

– რაა? ჰო, კარგად ილაპარაკა. მე ძალიან კმაყოფილი ვარ, ყველაფერი სამართლიანად თქვა. რაღაც ამდაგვარი უთხრა მსაჯულებს: თუ ამისი გჯერათ, მაშინ ესა და ეს მუხლი უნდა მიუყენოთ, თუ არა და, ისო. მომეჩვენა, თითქოს ცოტათი ჩვენი მხარე ეჭირა, – მამა საიკსმა თავი მოიქექა.

ჯემს გაელიმა:

– მოსამართლემ არ შეიძლება ვინმეს მხარე დაიჭიროს, მამაო, მაგრამ ფიქრი ნუ გაქვთ, პროცესი მოგებულია, – განაგრძო გამოცდილი კაცივით, – რანაირად შეიძლება, მსაჯულებმა სასიკვდილო განაჩენი გამოიტანონ იმის მერე, რაც აქ მოვისმინეთ?

– ტყუილუბრალოდ ხართ ასე დარწმუნებული, მისტერ ჯემ, მე ჯერ არ მახსოვს სასამართლო, სადაც თეთრისა და შავკანიანის დავა შავკანიანის სასარგებლოდ გადაეწყვიტათ...

ჯემი არ დაეთანხმა და გრძლად შეუდგა იმის მტკიცებას, თუ რა შემთხვევაში ისჯებოდა, მისი აზრით, კაცი გაუპატიურებისთვის: "თუ ქალი თანახმაა, ეს გაუპატიურებად არ ჩაითვლება, ოღონდ ქალიშვილი თვრამეტი წლისა უნდა იყოს – ალაბამას შტატში ასეა; მეიელა კი ცხრამეტი წლისაა; ასეთ შემთხვევაში, საჭიროა, რომ ქალი კიოდეს, იქნევდეს წიხლებს, და თუ ამისდა მიუხედავად, მაინც მოერევიან და ძალას იხმარენ, უფრო უკეთესი – თუ თავში ჩაარტყამენ და გონებას დააკარგვინებენ, – მაშინ შეიძლება კაცი პასუხისგებაში მისცენ. და თუ ქალიშვილი ჯერ არაა თვრამეტი წლის, მაშინ დამნაშავეს უამისოდაც დასჯიან..."

– მისტერ ჯემ, – სიტყვა ჩაურთო მამა საიკსმა, – პატარა მანდილოსნებისთვის უხერხულია ასეთი რამეების მოსმენა...

– ოო, მაგას არც ესმის, რაზე ვლაპარაკობთ, – მიუგო ჯემმა, – ჭკვიტა, შენ ხო ჯერ ძალიან პატარა ხარ ამის გასაგებად?

– სულაც არა. ყველა სიტყვა მშვენივრად გავიგე, – ალბათ, ძალიან დამაჯერებლად ვუპასუხე, იმიტომ რომ ჯემმა ლაპარაკი შეწყვიტა და ამ თემას აღარც დაჰბრუნებია.

– მამაო, რომელი საათია? – ვკითხე მე.

– მალე რვა შესრულდება.

ქვემოთ ჩავიხედე და ატიკუსი დავინახე. ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ბოლთას სცემდა. მივიდა ფანჯარასთან, მერე მსაჯულების სკამებისკენ გასწია; დახედა სკამებს, მერე თავის სავარძელში მჯდომი მოსამართლე

ტეილორი შეათვალიერა და ბოლოს იქ დაბრუნდა, საიდანაც წამოვიდა. ჩვენი თვალები წამით ერთმანეთს შეხვდა და ატიკუსმა თავი დამიქნია, მერე ისევ ბოლთის ცემას მოჰყვა.

მისტერ გილმერი ფანჯარასთან იდგა და მისტერ ანდერვუდს ესაუბრებოდა. ბერტს, სასამართლოს სტენოგრაფისტს, ფეხები მაგიდაზე შეეწყო და სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა.

ჩემი აზრით, მხოლოდ სასამართლოს მოხელეები – ატიკუსი, მისტერ გილმერი, ღრმა ძილში წასული მოსამართლე ტეილორი და ბერტი იქცეოდნენ ნორმალურად; დარბაზი კი არაბუნებრივად გასუსულიყო. მხოლოდ ძილში დამფრთხალი რომელიმე ჩვილი თუ წამოიტირებდა დროდადრო, ან რომელიმე ბავშვი გაიქცეოდა გარეთ, თორემ უფროსებს ისე ეჭირათ თავი, თითქოს ეკლესიაში იმყოფებოდნენ. ჩვენ გარშემო იარუსზე მსხდომი თუ მდგომი ზანგები ბიბლიური მოთმინებით აღჭურვილიყვნენ.

სასამართლოს შენობაზე ძველი საათის ზამბარა ჩვეულებისამებრ დაიჭიმა და რვაჯერ გამაყრუებლად ჩამორეკა.

ხოლო როცა საათმა თერთმეტჯერ დარეკა, გრძნობა კარგა ხანს წართმეული მქონდა. მამა საიკსის მკლავზე და მხარზე მიყრდნობილმა თავს ნება მივეცი, ჩამეთვლიმა. საათის რეკვაზე შევკრთი, გამოვფხიზლდი და შევეცადე აღარ ჩამძინებოდა. ქვემოთ ვიყურებოდი და იქ მყოფთა თავებს ვაკვირდებოდი. თექვსმეტი მელოტი, თოთხმეტი ნითურთმიანი, ორმოცი ნაბლისფერი და შავი თავი დავთვალე და უცებ ჯემის მონაყოლი მომაგონდა. ჯემმა ერთხელ ერთი რამ ამიხსნა – იმ ხანებში ადამიანის ფსიქიკის კვლევით იყო დაინტერესებული – ჰოდა, მითხრა: თუ ბევრი ადამიანი, აი, ვთქვათ მთელი სტადიონი ერთად, დაძაბულად იფიქრებს ერთსა და იმავეზე, მაგალითად, იმაზე, რომ რომელიმე ხეს ცეცხლი მოეკიდოს, იმ ხეს მართლა თავისთავად მოეკიდება ცეცხლიო. მეც ფიქრებში წავედი და ვინატრე – რა იქნება, ყველა ქვემოთ მსხდომს ვთხოვო, ტომ რობინსონის განთავისუფლებაზე იფიქრონ?! ოღონდ, ისინიც თუ ჩემსავით გასავათებულები არიან, მაშინ არაფერი გამოგვივა-მეთქი, გავიფიქრე.

დილს ღრმა ძილით ეძინა: თავი ჯემის მხარზე ჩამოედო, ჯემი კი გაუნძრევლად იჯდა.

– ძალიან დიდი ხანი გავიდა, არა? – ვკითხე მე.

– აბა რა, ჭყიტა, – მომიგო გაბადრულმა.

– რა ვიცი, შენი შემხედვარე კაცი მაგას ვერ იფიქრებს...

ჯემმა წარბები აზიდა. შენ ჯერ ყველაფერი არ გესმისო, – მითხრა, მაგრამ არაქათგამოლეული გახლდით და კამათის თავი აღარ მქონდა.

თუმცა იმ დროისთვის, ეტყობა, საბოლოოდ გამოვფხიზლდი, თორემ ის უცნაური გრძნობა არ დამეუფლებოდა. რატომღაც შარშანდელი ზამთარი გამახსენდა და მიუხედავად იმისა, რომ დარბაზში ცხელოდა, გამაჟრჟოლა. ეს გრძნობა იქამდე გაძლიერდა, სანამ ყველაფერმა ირგვლივ თებერვლის ის სუსხიანი დილა არ მომაგონა, როცა ჯაფარებმა ჭიკჭიკი შეწყვიტეს, მის მოდის სახლის მშენებლობიდანაც აღარ ისმოდა ჩაქუჩების კაკუნი და ირგვლივ ყველა სახლის კარი მაგრად ჩაირაზა: მიტოვებული, უკაცრიელი, მომლოდინე ქუჩა – სასამართლოს დარბაზი კი ხალხით იყო გადაჭედილი... ზაფხულის ეს ჩახუთული ღამე არაფრით არ განსხვავდებოდა იმ სუსხიანი დილისგან. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ მისტერ ტეიტს აღარ ეცვა მაღალყელიანი წაღები და ტყავის ქურთუკი.

ატიკუსი შედგა, ბოლთის ცემა შეწყვიტა და ფეხი სკამის კიდეზე ჩამოდო; ყური მიუგდო მისტერ ტეიტს, რომელიც რაღაცას ამბობდა, მერე კი ზუსტად ისე დაისვა ხელი ბარძაყზე, როგორც მაშინ და გავიფიქრე – ცოტაც და, მისტერ ტეიტი ატიკუსს ეტყვის: "ესროლეთ, მისტერ ფინჩ!"

მაგრამ მისტერ ტეიტმა ისეთი მბრძანებლური კილოთი დასჭექა, აღვადგინოთ წესრიგი დარბაზშიო, რომ მაყურებლები შეკრთნენ. მისტერ ტეიტი გავიდა და ტომ რობინსონი შემოიყვანა. თავის ადგილამდე მიაცილა – ატიკუსის გვერდით – და თვითონაც იქვე დადგა. მოსამართლე ტეილორი ანაზდად გამოცოცხლდა და ახლა ნელში გამართული მისჩერებოდა ნაფიც მსაჯულთა ცარიელ სკამებს.

ის, რაც ამას მოჰყვა, რაღაცით ზმანებას ნააგავდა: როგორც სიზმარში ხდება ხოლმე, თითქოს წყალქვეშ მოძრაობენო, დარბაზში ნელა შემოვიდნენ მსაჯულები, მოსამართლე ტეილორის ხმა ყრუდ გაისმა საიდანღაც. მხოლოდ ვექილის შვილს თუ შეუძლია აღიქვას და დაინახოს ის, რაც მე იმ წამებში დავინახე. თითქოს ისევ თებერვლის ის სუს-

ხიანი დილა იდგა, ატიკუსი ქუჩაში გავიდა, თოფი მხარზე გაიდო და ჩახმახის ფეხს თითი გამოსდო; ოღონდ ამჯერად ვიცოდი: თოფი დატენილი არ იყო.

მსაჯულები არასოდეს არ უყურებენ ბრალდებულს, რომელსაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. ახლაც, ამ მსაჯულებმა ისე მიაშურეს თავ-თავიანთ სკამებს, რომ არც ერთს არ გაუხედავს ტომ რობინსონისკენ. ნაფიც მსაჯულთა თავმჯდომარემ მისტერ ტეიტს ფურცელი მიაწოდა, მისტერ ტეიტმა ფურცელი მდივანს გადასცა, მდივანმა კი მოსამართლეს გადააწოდა...

თვალები დავხუჭე: მოსამართლე ტეილორი განაჩენის კითხვას შეუდგა.

– დამნაშავეა... დამნაშავეა... დამნაშავეა... დამნაშავეა...

ჯემს გავხედე: ხელებით ისე ჩაჰფრენოდა იარუსის მოაჯირს, რომ მთლად გათეთრებული ჰქონდა. ყოველი "დამნაშავეას" გაგონებაზე მხრები უტოკავდა, გეგონებოდათ, ჭვალი უვლისო.

მოსამართლე ტეილორი რაღაცას ამბობდა. ხელში ჩაქუჩი ეკავა, მაგრამ არ აკაკუნებდა. ბურანში დავინახე, როგორ აკრიფა ატიკუსმა ქაღალდები თავისი მაგიდიდან, ჩააწყო პორტფელში, ჩაკეტა და მდივნისკენ გასწია. მდივანს რაღაცა უთხრა, მისტერ გილმერს თავი დაუკრა და ახლა ტომ რობინსონს მიუახლოვდა. მხარზე ხელი დაადო, ყურში რაღაც ჩასჩურჩულა, სკამზე გადაკიდებული პიჯაკი აიღო და მხრებზე მოიგდო. ამის მერე დარბაზიდან გასასვლელად გაეშურა. ოღონდ იმ კარით არა, რომლითაც ჩვეულებრივ გადიოდა ხოლმე; ეტყობა, უნდოდა, სახლში მოკლე გზით მისულიყო და ამიტომ მიაშურა სამხრეთის შუა კარს. ატიკუსის თავს ზემოდან ვადევნებდი თვალს. მამას ჩვენკენ არ ამოუხედავს.

ამ დროს ვილაცამ შემანჯღრია, მაგრამ ისე ვიყავი გართული დარბაზიდან მარტო მიმავალი ატიკუსის ცქერით, ყურიც არ შევიბერტყე.

– მის ჯინ ლუიზა! – გავიგონე და უხალისოდ მივიხედე უკან. შავკანიანები წამოიშალნენ ჩვენ ირგვლივ, უკანაც, კედლის გასწვრივ მსხდომნიც, ყველანი ფეხზე იდგნენ. მამა საიკსის ხმა ისევე შორიდან ჩამესმა, როგორც მოსამართლე ტეილორისა – მის ჯინ ლუიზა, ადექით ფეხზე, მამათქვენი დარბაზიდან გადის!

22

ახლა ჯემის ტირილის ჯერი დადგა: მივიკვლევდით გზას მხიარულ ბრბოში, მას კი სიბრაზისგან ღაპაღუპით სდიოდა ცრემლები. ეს უსამართლობაა, – ბუტბუტებდა მთელი გზა მოედნის კუთხემდე, სადაც ატიკუსი გველოდა. ის ისე არხეინად იდგა განათების ბოძქვეშ, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ჟილეტი შეკრული ჰქონდა, საყელო და ჰალსტუხი კოხტად მოსდგომოდა, ჯიბესთან საათის ძენკვი უციმციმებდა. მოკლედ, ისევე მოწესრიგებული და მშვიდი ჩანდა, როგორც ყოველთვის.

– ატიკუს, ეს უსამართლობაა, – უთხრა ჯემმა.

– მართალი ხარ, შვილო.

ერთად გავწიეთ შინისკენ.

მამიდა ალექსანდრას არ ეძინა – ჩვენს დაბრუნებას ელოდა, ხალათში იყო, მაგრამ თავს დავდებ, ხალათს შიგნითაც კორსეტი ეცვა.

– ძალიან ვწუხვარ, ძმაო, – ხმადაბლა ჩაილაპარაკა. პირველად გავიგონე, რომ ატიკუსს ასე მიმართა და ჯემს გავხედე, მაგრამ ის არ უსმენდა: ხან ატიკუსს ახედავდა, ხან თავს ჩაქინდრავდა. მე გაეიფიქრე – იქნებ ჯემს მიაჩნია, რომ ტომ რობინსონის გასამართლებაში ატიკუსსაც მიუძღვის ბრალი?

– ცუდად ხომ არ არის? – იკითხა მამიდამ ჯემზე.

– მალე გადაუვლის, – მიუგო მამაჩვენმა, – ძალიან იმოქმედა მაგაზე... – ატიკუსმა ამოიოხრა, – წავალ, დავწვები, და თუ დილით ადრე არ გამოვედი, ნუ გამაღვიძებთ.

– საერთოდ, როგორ შეიძლებოდა მაგათი იქ ყოფნა...

– დაო, ესაა მათი მშობლიური სახლი, – მიუგო ატიკუსმა, – სახლი, რომელიც ჩვენ თვითონვე მოვაწყვეთ ასე; დაე, ისწავლონ ამ სახლში ცხოვრება.

– ოღონდ მაგისთვის არაფერი აუცილებელი არაა, დილიდან დაღამებამდე სასამართლოში ყურყუტი...

– სასამართლო მეიკომის ცხოვრებაა, ისევე, როგორც მისიონერთა საზოგადოებების შეკრებები.

– ატიკუს, – მამიდა ალექსანდრამ შეშფოთებული თვალებით შეხედა ძმას, – ვინ-ვინ და, შენ თუ ასე გამწარდებოდი, არაფრით არ მეგონა.

– კი არ გავმნარდი, უბრალოდ, ქანცი გამიწყდა. დასაძინებლად მივდივარ.

– ატიკუს, – თქვა მოლუშულმა ჯემმა.

ატიკუსი კარებთან შედგა და მოხედა:

– რა იყო, შვილო?

– ასეთი რამე როგორ ჩაიდინეს, როგორ?

– არ ვიცი, როგორ, მაგრამ ჩაიდინეს. ასე იქცეოდნენ გუშინ, ასე მოიქცნენ დღეს და ხვალაც ასევე მოიქცევიან... და ერთსაც გეტყვი – არა მგონია, ბავშვებს გარდა, ვინმეს კიდევ შესტკიოდეს გული... ღამე მშვიდობისა.

დილით ყველაფერს შედარებით ნათელ ფერებში ვხედავთ ხოლმე. ატიკუსმა, ჩვეულებისამებრ, მამლის ყივილზე გაიღვიძა და როცა მისაღებ ოთახში შევედით, უკვე თავის სავარძელში იჯდა გაზეთით ხელში. ახალგამოღვიძებულ ჯემს სახეზე შევატყვე, რაღაცის კითხვას აპირებდა და ნამძინარევ ტუჩებს უაზროდ აცმაცუნებდა.

– ჯერ ასაღელვებელი არაფერია, – დაამშვიდა ატიკუსმა. ყველანი სასადილო ოთხში გავედით.

– ეს საქმე ჯერ არ შეიძლება დახურულად ჩაითვალოს. გავასაჩივრებთ და გამორიცხული არაა, რომ განაჩენი შეიცვალოს... ღმერთო დიდებულო, ეს რა არის, კელ? – ატიკუსი გაოგნებული დასცქეროდა თავის თეფშს.

კელპურნიამ უთხრა:

– ეს წიწილა ტომ რობინსონის მამამ გამოგიგზავნათ ამ დილით და მე მოგიმზადეთ.

– გადაეცი, რომ ჩემთვის დიდი პატივია... მე მგონი, დილაობით თეთრ სახლშიაც არ საუზმობენ წიწილებით... ეს რაღაა?

– ფუნთუშებია, – მიუგო კელპურნიამ, – ესთელმა გამოგიგზავნათ, ქვემოთ, სასტუმროში რომ მუშაობს, იმან.

ატიკუსი დაბნეული ჩანდა. კელპურნიამ უთხრა:

– მისტერ ფინჩ, ერთი განახათ, რა ხდება სამზარეულოში!

ახლა სამზარეულოში გავედით.

მაგიდაზე თავზე საყრელად ეწყო ნაირ-ნაირი სურსათ-სანოვაგე: შაშხის მოზრდილი ნაჭრები, პამიდორი, ლობიო და, თქვენ წარმოიდგინეთ, ყურძენიც კი! ხოლო როცა ატიკუსმა ერთი ქილა მუუუუიც დაინახა, ღიმილი ვერ დაფარა.

– როგორ გგონიათ, მამიდათქვენი არ დამიშლის ამის ჭამას სასადილოში?

კელპურნიამ უთხრა:

– ეს ყველაფერი უკანა კიბეზე დამხვდა დახვავებული ამ დილით. იცით, ძალიან, ძალიან მადლიერები არიან თქვენი, მისტერ ფინჩ. ხომ არ... ზედმეტი ხომ არ აიღეს თავის თავზე, მისტერ ფინჩ?

ატიკუსს თვალში ცრემლი ჩაუდგა. ერთ წამს ხმა ვერ ამოიღო. მერე კი უთხრა:

– ჩემგან დიდი მადლობა გადაეცი და უთხარი... უთხარი, რომ აღარასოდეს გაიმეორონ ასეთი რამ... ისეთი დროა, ყველას ძალიან უჭირს.

ატიკუსი სამზარეულოდან სასადილო ოთახში გავიდა, მამიდა ალექსანდრას მოუბოდიშა, ქუდი დაიხურა და ქალაქში წავიდა.

დერეფანში დილის ფეხის ხმა გავიგონეთ და კელპურნიამ ატიკუსის ხელუხლებელი საუზმე მაგიდაზე დატოვა. დილი წინა კბილებით კურდღელივით ციცქნიდა საჭმელს და თანაც დეიდამისზე გვიამბობდა. გუშინ ღამით შინ მიბრუნებული დილისთვის მის რეიჩელს უთქვამს – თუ ატიკუს ფინჩს მაინცდამაინც უნდა, თავით ქვის კედელს შეასკდეს, ეგ მისი ნებააო.

– მე კი ვიცი, რასაც ვეტყოდი, – ქოთქოთებდა დილი და თან ქათმის ბარკალს შეექცეოდა, – მაგრამ ამ დილით არაფრის თქმა არ მაცალა: მთელი საღამო ფეხზე ვიყავი და არ ვიცოდი, რა მეფიქრა, სად მეძებნეო, შერიფის გამოძახება მინდოდა, მაგრამ ისიც სასამართლოში იყოო...

– დილ, რატომ არ აფრთხილებ ხოლმე, სად მიდიხარ? მოთმინებიდან გამოვა, აბა, რა იქნება, – უთხრა ჯემმა.

დილმა ამოიხვნეშა.

– ვუთხარი და ერთხელ? ტვინი გამიწყალდა იმის ძახილით – სასამართლოში მივდივარ-მეთქი... ოღონდ იმას სულ თავისი გველები ელანდება... ნაღდად ვიცი: ყოველ დილით, საუზმის წინ, ორ სავსე ჭიქა მაგარ სასმელს გადაკრავს ხოლმე – ჩემი თვალით მინახავს!

– ასე ნუ ლაპარაკობ, დილ, ბავშვს ეს არ შეშვენის, ეს თავის აგდებაა, – უთხრა მამიდა ალექსანდრამ.

– მე თავს არ ვიგდებ, მის ალექსანდრა, განა სიმართლის თქმა თავის აგდებას ნიშნავს?

– შენ როგორც ამბობ ამას, ისაა თავის აგდება.

ჯემმა მამიდას თვალები დაუბრიალა, მერე დილს მიმართა:

– წავედით, ეგ სასუსნავი შეგიძლია თან წამოიღო.

აივანზე გასულებმა მის სტეფანი კროუფორდი დავინახეთ: გაცხარებული უყვებოდა გასული დღის ამბებს მის მოდი ეტკინსონსა და მისტერ ეივერის. სამივემ გამოგვხედა და საუბარი განაგრძეს. ჯემმა ტყიურივით დასჭყივლა, მე კი ვინატრე – ერთი ახლა იარაღი მომცა-მეთქი.

– ვერ ვიტან, როცა უფროსები მიყურებენ, – გვითხრა დილმა, – სულ მეჩვენება, თითქოს რაღაცა დავაშავე.

მის მოდიმ დაიყვირა:

– ჯემ ფინჩ, აქ მოდი!

ჯემმა ამოიხვნეშა და ზანტად წამოდგა საქანელადან.

– ჩვენც წამოვალთ, – უთხრა დილმა.

მის სტეფანის ცნობისმოყვარეობისგან ცხვირი უთამაშებდა: ერთი სული ჰქონდა შეეტყო, თუ ვინ დაგვრთო სასამართლოში წასვლის ნება – თვითონ ვერ დაგვინახა, მაგრამ ამ დილით მთელ ქალაქს ის ეკერა თურმე პირზე, რომ ჩვენ ზანგების იარუსზე ვისხედით. – ატიკუსმა დაგვსვათ იქ, იმის ნიშნად, რომ... ნუთუ სული არ შეგეხუთათ იქ, იმ..? გაიგო თუ არა ჭყიტამ ყველაფერი ის, რაც ...? ჭკუიდან არ შეიშალეთ, როცა მამათქვენმა ნააგო? – აი, კითხვები, რომლებიც მის სტეფანიმ მოგვაყარა.

– კმარა, სტეფანი! – მომაკვდინებელი ხმით უთხრა მის მოდიმ, – მთელ დილას ამ აივანზე ხომ არ გავატარებ... ჯემ ფინჩ, იმისთვის დაგიძახე, რომ გამეგო, თქვენ და თქვენი კოლეგები ნამცხვრის გასინჯვას ხომ არ ინებებდით? ამის გამოსაცხობად დილის ხუთ საათზე ავდექი, ასე რომ, გირჩევთ, უარი არ მითხრათ. უნდა გვაპატიო, სტეფანი. ნახვამდის, მისტერ ეივერი.

მის მოდის სამზარეულოში, მაგიდაზე ორი პატარა და ერთი დიდი ნამცხვარი იდო. წესით, სამი პატარა უნდა ყოფილიყო: ეს არ ჰგავდა მის მოდის – ნუთუ დილი დაავიწყდა? მე მგონი, გაკვირვება სამივეს გამოგვეხატა სახეზე, მაგრამ ყველაფერს მივხვდით, როცა მის მოდიმ დიდი ნამცხვარი დაჭრა და ერთი ნაჭერი ჯემს გაუწოდა.

გემრიელად შევექეცით ნამცხვარს და თანდათანობით მივხდით – მის მოდი ამგვარად გვაგრძნობინებდა, რომ ჩვენ მიმართ არ შეცვლილა, რომ ისევ გვემეგობრება... მდუმარედ იჯდა სამზარეულოს საკარძელში და გვითვალთვალებდა.

მერე ერთბაშად ალაპარაკდა:

– ეს ცხოვრება არც ისე ცუდადაა მოწყობილი, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს.

როცა მის მოდი შინ ხანგრძლივი საუბრის წამოწყებას აპირებდა, ხელებს მუხლებზე დაიწყობდა და კბილის პროტეზს ენით გაისწორებდა ხოლმე. ახლა სწორედ ეს გააკეთა და ჩვენც მომლოდინედ გავისუსეთ.

– უბრალოდ, მინდა გითხრათ, რომ ამ ქვეყანას მოევლინება ხოლმე თითო-ოროლა ისეთი ადამიანი, რომელიც თავის თავზე იღებს ჩვენთვის ყველაზე უფრო სამძიმო საქმეების მოგვარებას, ერთ-ერთი ასეთი კაცი – მამათქვენია.

– ეჰ, კარგი რა... – ჩაილაპარაკა ჯემმა.

– არ უნდა მაგას "ეჰ, კარგი რა", სერ, – უთხრა მის მოდიმ; მან იგრძნო უიმედობა ჯემის კილოში, – შენ ჯერ იმხელა არა ხარ, რომ ჩემი ნათქვამის მნიშვნელობა გაიგო.

ჯემი თავისი ნამცხვრის ნარჩენს მიაშტერდა და თქვა:

– ისე გამოდის, თითქოს ჭია ვიყავი აბრეშუმის პარკში, თბილად მეძინა სადღაც, მყუდროდ მოკალათებულს... სულ მეგონა, რომ მეიკომელებზე კარგი ხალხი დედამინის ზურგზე არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში, ადრე ასე მეჩვენებოდა...

– ჩვენზე უკეთ მართლაც რომ არავინაა მოწყობილი, – უთხრა მის მოდიმ, – ძალიან იშვიათად გვიწევს ხოლმე იმის დამტკიცება, რომ ჭეშმარიტად ქრისტიანი ხალხი ვართ, მაგრამ როცა კი მოგვიწია, ყოველთვის გამოჩნდა ატიკუსის მსგავსი ადამიანი, რომელმაც ყველა ჩვენგანის ვალი იტვირთა.

ჯემმა ნაღვლიანად გაიღიმა.

– ნეტა, სხვებიც ასე ფიქრობდნენ...

– შენ წარმოდგენა არა გაქვს, რამდენი ფიქრობს კიდეც ასე.

– ვინ? – ჯემმა ხმას აუწია, – დამისახელეთ თუნდაც ერთი ისეთი ადამიანი, ვინც რამე იღონა ტომ რობინსონის გადასარჩენად.

– პირველ რიგში, მისი შავკანიანი მეგობრები და ჩვენნაირი ხალხი. ისეთები, როგორიცაა მოსამართლე ტეილორი. მისტერ ჰეკ ტეიტი... ჯემ, შეწყვიტე ჭამა და ტვინი გაანძრიე. არასოდეს დაფიქრებულხარ იმაზე, თუ რატომ დაასახელა მოსამართლე ტეილორმა ტომ რობინსონის დამცველად სწორედ ატიკუსი და არა ვინმე სხვა? და რომ შესაძლოა, ეს არჩევანი სულაც არ იყო შემთხვევითი?

ამაზე მართლაც ღირდა დაფიქრება. ისეთი საქმეების წარმოებას, სადაც ბრალდებული უსახსრობის გამო ვექილს ვერ იყვანდა, სასამართლო მექსველ გრინს მიანდობდა ხოლმე – დამწყებ მეიკომელ ვექილს, რომელსაც გამოცდილება უნდა შეეძინა. ტომ რობინსონის საქმეც, ნესით, მას უნდა ეწარმოებინა.

– დაფიქრდი ამაზე, – განაგრძო მის მოდიმ, – ეს შემთხვევითობა არ გეგონოს. გუშინ ღამით აივანზე ვიჯექი და გელოდით, ლოდინი დიდხანს მომიწია. სანამ ტროტუარზე მომავალნი არ დაგინახეთ. სახლში ვერ შევედი. ჰოდა, სანამ ვიჯექი და გელოდით, ჩემთვის ვფიქრობდი: ატიკუს ფინჩი ვერ გაიმარჯვებს. შეუძლებელია, გაიმარჯვოს. სამაგიეროდ, ის ერთადერთი კაცია ჩვენს მხარეში, რომელსაც შესწევს უნარი, ამდენ ხანს ამტვრევინოს თავი მსაჯულებს განაჩენის გამოტანაზე ისეთი საქმის წარმოებისას, როგორიც ტომ რობინსონის საქმეა. კიდევ ერთ რამესაც ვფიქრობდი ჩემთვის: ვფიქრობდი, რომ ესაა ნინ გადადგმული ნაბიჯი, აი, ისეთი, როგორსაც ჩვილი ბავშვი გადადგამს ხოლმე, სანამ სიარულს ისწავლიდეს.

– ჩვენ ვლაპარაკობთ და ვლაპარაკობთ, მაგრამ რა გამოდის – ეს ჩვენი ქრისტიანი მოსამართლეები და ვექილები მაინც რომ ვერაფერს ხდებიან ურჯულო მსაჯულებთან? – და ჯემმა ჩაიბურტყუნა, – აი, როცა მე გავიზრდები...

– მაგაზე მამაშენს ეთათბირე, – უთხრა მის მოდიმ.

მის მოდის სახლის ახალ, გრილ კიბეებს ჩავუყევით და მზეში გავედით. მის სტეფანი კროუფორდი და მისტერ ეიკერი მის მოდის სახლის ნინ ტროტუარზე გასულიყვნენ და ისევ იმავე თემაზე ლაპარაკობდნენ. ახლა მათკენ მის რეიჩელი მოდიოდა.

– როცა გავიზრდები, მე მგონი, კლოუნი გამოვალ, – გვითხრა დილმა.

მე და ჯემი ადგილზე გავშეშდით.

– დიახ, სერ, კლოუნი! – განაგრძო მან, – ამ ადამიანებთან არაფერი სხვა არ გამოდის – მარტო სიცილი შემიძლია, ასე რო, წავალ ცირკში და ვიცინებ და ვიცინებ...

– პირიქით, დილ, – უთხრა ჯემმა, – კლოუნი სევდიანია, ეს ხალხი დასცინის კლოუნს.

– ჰოდა, მე ახალი ყაიდის კლოუნი ვიქნები. დავდგები არენის შუაგულში და ვიცინებ და ვიცინებ! აჰა, შეხედეთ! – დილმა თითით გვანიშნა, – კუდიანებს არ ჰგვანან? დააჭერინე ხელში ცოცხი და გაფრინდებიან! აგე, დეიდა რეიჩელი უკვე მოფრინავს!

მის სტეფანი და მის რეიჩელი ისე გამალებით გვიქნევდნენ ხელს, ტომ დილის შედარება სინამდვილეს დაემსგავსა.

– ფუი თქვენს თავს! – ამოიგმინა ჯემმა, – მე მგონი, უხერხული იქნება, რო არ მივიდეთ.

ნამდვილად რაღაცა მოხდა. მისტერ ეიკერის ცემინება აუტყდა და სახეზე საშინლად ნამოწითლდა. ისე აცემინებდა, კინაღამ ტროტუარიდან გადავფრინდით. მის სტეფანი აღგზნებული ცახცახებდა, ხოლო მის რეიჩელმა დილს მხარში ჩაავლო ხელი.

– წადი ჩვენს ეზოში და ფეხი არ მოიცვალო, – უთხრა მან, – გარეთ ყოფნა საშიშია.

– რა მოხდა? – ვიკითხე მე.

– ჯერ არ გაგიგიათ? მთელი ქალაქი იმაზე ლაპარაკობს...

ამ დროს მამიდა ალექსანდრამ გამოიხედა და დაგვიძახა, მაგრამ უკვე გვიან იყო: მის სტეფანიმ ხელიდან არ გაუშვა სიამოვნება, ეცნობებინა ჩვენთვის, რომ იმ დილით ქუჩის კუთხეში, ფოსტის შენობასთან ბობ იუველმა ატიკუსი გააჩერა, სახეში შეაფურთხა და დაემუქრა – მთელი ცხოვრება რომ დამჭირდეს, შენ მაინც გაგისწორდებიო.

23

– ნეტა, ბობ იუველი თამბაქოს არ ღეჭავდეს... – მხოლოდ ეს გვითხრა ატიკუსმა ამ შემთხვევასთან დაკავშირებით.

მის სტეფანის მონაყოლით კი შევიტყვეთ, რომ მისტერ იუველი ფოსტის შენობიდან გამოსულ ატიკუსს დახვედრია, შეუგინებია, შეუფურთხებია და დამუქრებია – მოგკლავო. მის სტეფანიმ (რომელმაც ხელმეორედ მოყოლისას უკვე გადაასხვაფერა და თქვა, ყველაფერი ეს ჩემი თვალით დავინახე, როცა მაღაზიიდან გამოვდიოდიო), გვითხრა – ატიკუსმა თვალიც არ დაახამხამა, მარტო ცხვირსახოცი ამოიღო, სახე მოიწმინდა და ყურიც არ შეუბერტყავს, არხეინად უსმენდა, როგორ აგინებდა უკანასკნელი სიტყვებით მისტერ იუველი. მამა ზეციერმა რომ მთხოვოს, იმ გინებას მაინც ვერ გავიმეორებო, – თქვა მის სტეფანიმ და განაგრძო, – ყველამ იცის, მისტერ იუველი დღის სინათლეზე მოჩხუბარი კაცი არაა და როცა შეატყო, ატიკუს ფინჩი სულ ერთია, ჩხუბს არ აპირებსო, ჰკითხა: "შე ნაბიჭვარო, ჩემთან ჩხუბს არ კადრულობ? შე მურიანების ძმაბიჭო, შენა?" ამაზე ატიკუსმა მიუგო, სამაგისოდ ძალიან დავბერდიო, მერე ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და თავის გზაზე წავიდა... – მის სტეფანიმ თავისი ნაამბობი ამ სიტყვებით დააბოლოვა – რაც მართალია, მართალია, ატიკუს ფინჩმა თუ მოინდომა, ქვეყანა რომ დაიქცეს, მოთმინებიდან ვერ გამოიყვანო.

მე და ჯემს ეს ამბავი სულაც არ გვეპიტნავა.

– მერე რა, – ვთქვი მე, – ატიკუსი ხომ ერთ დროს ტყვიას ტყვიაში აჯენდა! თუ მოინდომებს...

– სულ ერთია, ჭყიტა, თოფს ხელში აღარ აიღებს, და... ხომ იცი, თოფი საერთოდ არა აქვს, – მითხრა ჯემმა, – გახსოვს, იმ ღამეს ციხესთან უიარაღოდ იყო, და იცი, მითხრა კიდეც, რატომ არ წამოიღო: "თოფის ხმარება ხომ თითქმის იგივე გამოწვევაა – მოდი და მესროლეო".

– მაშინ სხვა იყო, ახლა კი აუცილებლად უნდა ვთხოვოთ, თოფი იშოვოს, – ვუთხარი ჯემს.

ასეც მოვიქეცით და ატიკუსისგან პასუხად მივიღეთ – რა სისულელეს ჩმახავთო.

დილმა იფიქრა – იქნებ, თავი რომ შევაცოდოთ, იმან იმოქმედოსო: "უნდა ვუთხრათ ატიკუსს, რა დღეში ჩავვარდებით, ის რომ მისტერ იუველმა მოკლას; ჯერ ერთი შიმშილით ამოგვხდება სული, მეორეც – საბოლოოდ მოვექცევით მამიდა ალექსანდრას კლანჭებში. ის ხომ ატიკუსის დამარხვასაც არ დაუცდის, მაშინვე გააგდებს კელპურნიას"... ჯემმა კი მითხრა:

"ამან მართლაც შეიძლება ატიკუსზე იმოქმედოს, თუ შენ იმ დროს ტირილს მორთავ და იატაკზე გაგორდები – მაინც გოგო ხარ და თან პატარაო..." ყველაფერი შევასრულეთ, მაგრამ არაფერი არ გაგვივიდა...

თუმცა, როცა ატიკუსმა დაინახა, როგორ დავბორიალებდით უხალისოდ სახლის გარშემო უსმელ-უჭმელები და არც არაფრის მიმართ არ ვიჩენდით ინტერესს, მიხვდა, რომ მართლაც გვარიანად ვიყავით დამფრთხალები.

ერთ საღამოს მამამ ჯემის გულის მოგება სცადა და საფეხბურთო ჟურნალი მოუტანა. როცა ჯემმა ჟურნალი უგულოდ გადაათვალიერა და გვერდზე მიაგდო, ატიკუსმა ჰკითხა:

– რა გაწუხებს, შვილო.

ჯემმა მიუკიბ-მოუკიბავად მოუჭრა – მისტერ იუველი.

– რაა, მოხდა რამე?

– არაფერიც არ მომხდარა. ჩვენ შენი ამბავი გვაშინებს და მიგვაჩნია, რომ რამე უნდა იღონო.

ატიკუსმა ცალყბად გაიღიმა.

– მაინც, რა უნდა ვიღონო? იქნებ გინდათ, ზავი მოვთხოვო?

– როცა კაცი პირში გეუბნება, მოგკლავო, ეს ხუმრობას აღარ ჰგავს.

– როცა მითხრა, მაშინ მართლაც არ ხუმრობდა, – მიუგო ატიკუსმა, – ჯემ, აბა, ერთი ნუთით წარმოიდგინე შენი თავი ბობ იუველის ადგილზე: იმ პროცესზე მე იუველი საბოლოოდ ვამხილე, როგორც ადამიანი, რომლის ნდობა არაფერში არ შეიძლება... ისე, არა მგონია, მანამდე ვინმეს სხვანაირად ეფიქრა მასზე... იუველი კი, ბუნებრივია, სამაგიეროს გადახდას მოისურვებდა – ეგეთ ხალხს სხვანაირად არ შეუძლია. მე კი, უნდა გითხრა – მზადა ვარ, უსიტყვოდ ავიტანო ისეთი შეურაცხყოფა, როგორიცაა სახეში შეფურთხება, თუ ეს მეიელა იუველს მორიგი ცემატყეპისგან იხსნის; ცხადია, მისტერ იუველმა ვიღაცაზე უნდა იყაროს ჯავრი. განა არ სჯობს, ის ვიღაცა მე ვიყო და არა იუველების წერილშვილი? ჯემ, გესმის თუ არა ჩემი?

ჯემმა თავი დაუქნია.

მამიდა ალექსანდრა სწორედ მაშინ შემოვიდა ოთახში, როცა ატიკუსი ამბობდა – ...ბობ იუველი საშიში აღარაა. იმ დილით მან საბოლოოდ იყარა ჩემზე ჯავრი.

– რაღაცა არა მგონია, მთლად ეგრე იყოს, ატიკუს, – უთხრა მამიდა-ჩემმა, – ეგეთი ადამიანები ყველაფერზე წავლენ, ოღონდ კი შური იძიონ. განა შენ უკეთ არ მოგეხსენება მაგათი ამბავი?

– მაინც, რა შეიძლება იმ კაცმა დამიშავოს, დაო?

– რამე სისაძაგლე – მუხანათურად... – უთხრა მამიდა ალექსანდრამ, – აი, რას უნდა ელოდე.

– თითქმის წარმოუდგენელია, ეგეთი რამე მეიკომში მოხდეს, – მიუგო ატიკუსმა.

ამის მერე შიში გაგვინელდა. ზაფხული ხელიდან გვეცლებოდა და დარჩენილ დროს ხარბად ვებლაუჭებოდით. ატიკუსმა დაგვარწმუნა – სანამ ამ საქმეს ხელახლა არ განიხილავს უმაღლესი სასამართლო, ტომ რობინსონს ხელს ვერავინ ახლებსო. გამორიცხული არაა, ტომ რობინსონი გაათავისუფლონ, მაგრამ თუ არც ამჯერად გაგვიმართლა, ისევ ახალი პროცესის იმედი უნდა ვიქონიოთო... – ტომი ინფილდის ტუსაღთა ფერმაში გადაეყვანათ, ჩესტერის ოლქში, რომელიც მეიკომიდან ასე სამოცდაათი მილით იყო დაშორებული. მე მამას ვკითხე, ტომის ცოლშვილს თუ აქვს მისი ნახვის უფლება-მეთქი, და მამამ მომიგო – არაო.

– თუ გასაჩივრების უფლება არ მისცეს, მაშინ რაღა ეშველება? – ვკითხე მას ერთ საღამოს.

– მაშინ ელექტროსკამი ემუქრება, – მითხრა ატიკუსმა, – თუ გუბერნატორმა არ შეუმსუბუქა განაჩენი... ჯერ ასაღელვებელი არაფერია, ჭყიტა. შეიძლება ეს საქმე მოვიგოთ კიდეც.

ჯემი ტახტზე ნამონოლილი კითხულობდა "პოპულარულ მექანიკას". მან თავი აიღო და მამას უთხრა:

– ეს უსამართლობაა. თუნდაც დამნაშავე იყოს, მაინც უსამართლობაა. მას არავინ არ მოუკლავს, ადამიანის სიცოცხლე საფრთხეში არ ჩაუგდია.

– შენ ხომ იცი, ალაბამას შტატში გაუპატიურებისთვის სიკვდილით სჯიან.

– დიახ, სერ, მაგრამ მსაჯულებს სიკვდილი არ უნდა მიესაჯათ, თუ მაინცადამაინც, რატომ არ შეიძლებოდა, ოცი წელი მიუსაჯონ.

– მიუსაჯონ კი არა, მიესაჯათ, – გაუსწორა ატიკუსმა, -

– ტომ რობინსონი შავკანიანია, ჯემ. ჩვენს მხარეში ასეთი ბრალდების დროს ვერც ერთი ნაფიც მსაჯულთა საბჭო ვერ იტყვის, ჩვენ მიგვაჩნია, რომ დამნაშავე ხარ, მაგრამ არც იმდენადო... აქ ან საერთოდ უნდა გაემართლებინათ, ან სიკვდილით უნდა დაესაჯათ.

ჯემი თავს აქნევდა:

– ვგრძნობ, რომ სწორი არ არის, ოღონდ ვერ გამომითქვია – რატომ... იქნებ, გაუპატიურებისთვის სიკვდილით დასჯა საერთოდ არც უნდა არსებობდეს...

ატიკუსმა გაზეთი სავარძლის გვერდით მიაგდო და უთხრა:

– მე მაგ მუხლის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, სრულებით არაფერი, მაგრამ ძალიან მაფიქრებს ის შემთხვევები, როცა პირდაპირი მტკიცებულების უქონლობის დროს გამომძიებელი მაინც მოითხოვს სასჯელის უმაღლეს ზომას და მსაჯულებსაც სათანადო განაჩენი გამოაქვთ.

ატიკუსმა ახლა მე გამომხედა, შემატყო, ყურს ვუგდებდი და უფრო გასაგებად განმიმარტა:

– აი, რას ვამბობ: როცა კაცს მკვლელობისთვის სიკვდილით სჯი, აუცილებლად უნდა გყავდეს ერთი ან ორი უშუალო მოწმე, ვიღაცა ისეთი, ვისაც შეუძლია თქვას – დიახ, ჩემი თვალით დავინახე, როგორ გამოჰკრა თითი ჩახმახს და ესროლაო.

– კი მაგრამ, ხომ უამრავი ადამიანი ჩამოახრჩვეს – ჩამოუხრჩვიათ – პირდაპირი მტკიცებულების უქონლობის შემთხვევაშიც! – თქვა ჯემმა.

– ვიცი, და ალბათ უმეტესობა იმსახურებდა კიდეც ასეთ სასჯელს... მაგრამ როცა არ არსებობს უშუალო მოწმე, თვითმხილველი, ყოველთვის გებადება ეჭვი, თუნდაც სულ ერთი ბეწო. კანონი ამას "დასაშვებ ეჭვს" უწოდებს, მაგრამ მე მგონი, აქ ეჭვის ნასახიც კი დაუშვებელია. ასეთ დროს ყოველთვის შეიძლება გაგიელვოს აზრმა, რამდენადაც წარმოუდგენელი არ უნდა გეჩვენოს, რომ ბრალდებული უდანაშაულოა.

– გამოდის, ყველაფერი მსაჯულებზე ყოფილა დამოკიდებული! რაში გვჭირდება ასეთი მსაჯულთა საბჭო? – არ ეპუებოდა ჯემი.

ატიკუსმა თავი შეიკავა და გაელიმა.

– რა მკაცრად გვსჯი, შვილო, მე ვფიქრობ, უკეთესი გამოსავალიც უნდა არსებობდეს: უნდა შეიცვალოს კანონმდებლობა. უნდა შეიცვალოს ისე, რომ მხოლოდ მოსამართლეს ჰქონდეს უფლება, გამოიტანოს სასიკვდილო განაჩენი ასეთი მძიმე ბრალდების შემთხვევაში.

– მერე, წადი მონტგომერიში და შეცვალე კანონი.

– შენ ვერც კი წარმოიდგენ, რამდენად ძნელია მაგის გაკეთება. კანონის შეცვლას მე ველარ მოვესწრები, და შენ თუ მოესწარი, ისიც ღრმა მოხუცებულობაში...

ჯემი ამით ვერ დაკმაყოფილდა.

– არა სერ. მსაჯულები თავიდან უნდა მოიშოროთ. კაცი უდანაშაულოა, ისინი კი გაიძახიან – დამნაშავეაო!

– აი, შენ რომ ყოფილიყავი მსაჯული იმ პროცესზე, შენ, და კიდევ თერთმეტი შენისთანა ბიჭუნა, ტომი დღეს თავისუფალი კაცი იქნებოდა, – უთხრა ატიკუსმა, – ჯერჯერობით შენთვის არაფერს შეუშლია ხელი, საღად და გინივრულად რომ იაზროვნო. ყოველდღიურ ცხოვრებაში ისინიც – ტომის მსაჯულებიც – თითქოს და საღად მოაზროვნე ადამიანები არიან, მაგრამ აკი დაინახე, როგორ გადაუბრუნდათ ტვინი განაჩენის გამოტანისას; იგივე მოხდა იმ ღამითაც, ციხის შენობის წინ, მართალია, ბრბო ბოლოს დაიშალა, მაგრამ განა იმიტომ, რომ გონება გაუნათდათ, არა: მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ დავხვდით იქ. ჩვენს ცხოვრებაში ზოგჯერ ხდება ხოლმე ისეთი რამ, რაც ადამიანებს ჭკუას აკარგვინებს – ამ დროს ძალიანაც რომ ეცადონ, სამართლიანები ვერ იქნებიან. ჩვენს სასამართლო პროცესზე თეთრკანიანისა და შავკანიანის დავა ყოველთვის თეთრკანიანის სასარგებლოდ წყდება. ეს სიმახინჯეა, მაგრამ რას იზამ – ასეთია ცხოვრებისეული სინამდვილე.

– არა, ეგ უსამართლობაა, – ჯიუტად გაიმეორა ჯემმა და მუხლზე მუშტი დაირტყა, – არ შეიძლება, კაცს სიკვდილი მიუსაჯო ასეთი ჩვენების დროს. არ შეიძლება.

– არ შეიძლება, მაგრამ იმათ შეძლეს და მიუსაჯეს კიდეც. გაიზრდები, ჯემ, და უთვალავ მსგავს უსამართლობას გადაეყრები. ერთადერთი ადგილი, სადაც თანასწორად უნდა სჯიდნენ ყველას – კანის ფერის გაბურჩევლად – ესაა სასამართლო. მაგრამ, საუბედუროდ, ადამიანები პირად ღვარძლს და მტრობას მაშინაც ვერ თრგუნავენ, როცა ნაფიც მსაჯულთა მოვალეობას ასრულებენ. გაიზრდები და ყოველდღე მოგიწევს იმის ყურება, როგორ ატყუებს თეთრკანიანი შავკანიანს, მაგრამ ახლა ერთ რამეს გეტყვი და ნურასოდეს ნუ დაივიწყებ: როცა არ უნდა ნახო თეთრკანიანი, რომელიც შავკანიანს აბრიყვებს, ვინც არ უნდა იყოს ის

– მდიდარი თუ მათხოვარი, კეთილშობილი წარმოშობისა თუ მდაბიო, გახსოვდეს: ის თეთრკანიანი არამზადაა.

ატიკუსი ძალიან ხმადაბლა ლაპარაკობდა, მაგრამ ეს ბოლო სიტყვა ჩვენს ყურს უხეშად მოხვდა. მამას ავხედე და მივხვდი – იგი გააფთრებული იყო: არაფერი ისე არ მეჯავრება, როგორც ნაძირალა თეთრკანიანი, რომელიც ზანგის უმეცრებას ბოროტად იყენებს. თავი არ უნდა მოიტყუო – ამას ბოლო მოეღება და სულ მალე ყველაფერზე პასუხს გვაგებინებენ. იმედი მაქვს, თქვენ, ბავშვები, ვერ მოესწრებით იმ დროს.

ჯემი თავს იქექავდა. უცებ თვალები გაუფართოვდა და თქვა: – ატიკუს, რატომ ხდება, რომ ჩვენნაირ, ან მის მოდისნაირ ხალხს მსაჯულებად არასოდეს არ ირჩევენ? მეიკომელს მსაჯულად ვერასდროს ვერ ნახავ – სულ საიდანღაც გადაკარგულიდან მოჰყავთ ხოლმე...

ატიკუსი სარწეველა სკამის ზურგს მიეყრდნო. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ჯემით კმაყოფილი ჩანდა.

– სულ ვფიქრობდი, ნეტა ეს კითხვა როდის დაებადება-მეთქი, – უთხრა ჯემს, – მაგას უამრავი მიზეზი აქვს. პირველყოვლისა, ის, რომ მის მოდი ქალია და ამიტომაც და ამიტომაც ვერ აირჩევენ მსაჯულად.

– შენ გინდა თქვა, რომ ალაბამაში ქალებს არა აქვთ... – აღვშფოთდი მე.

– სწორედაც რომ. რამდენადაც ვხვდები, ამით ჩვენს ნაზ მანდილოსნებს იცავენ ისეთი შემაძრწუნებელი ამბებისგან, როგორიც ტომ რობინსონის საქმეა. ამასაც რომ გავანებოთ თავი, – ატიკუსს აქ გაეღიმა, – მეეჭვება, ქალი-მსაჯულების თანდასწრებით თუნდაც ერთი პროცესის განხილვა მოგვესწრო ბოლომდე – მანდილოსნები ნარამარა შეგვანყვეტინებენ და კითხვებს დაგვისვამდნენ.

მე და ჯემმა გადავიხარხარეთ. რა სანახავი იქნებოდა მის მოდი მსაჯულის სკამზე! უცებ მოხუცი მისიზ დუბოუზი წარმოვიდგინე თავის ბორბლებიან სავარძელში მოკალათებული. "მორჩი კაკუნს, ჯონ ტეილორ, ამ კაცს რაღაცა მინდა ვკითხო!" ჩვენს ნინაპრებს, მგონი, მართლაც არ აკლდათ სიბრძნე...

ატიკუსი განაგრძობდა:

– რაც შეეხება ჩვენნაირ ხალხს, ჩვენც ვაგებთ ყველაფერზე პასუხს. უფრო ხშირად, სწორედ ისეთი მსაჯულთა საბჭოს გვყავს, როგორსაც

ვიმსახურებთ, პირველ რიგში იმიტომ, რომ მეიკომელი დიდკაცები არავითარ ინტერესს არ იჩენენ, მეორე კი ისაა, რომ ეშინიათ, მესამე კი...

– ეშინიათ? რისი? – ჰკითხა ჯემმა.

– რისი? რისი და, აი, ვთქვათ, მის რეიჩელმა მის მოდის დაატაკა მანქანა და მისტერ ლინკ დიზმა უნდა განსაზღვროს, რამოდენა ჯარიმა უნდა გადაუხადოს დაზარალებულს მის რეიჩელმა. ლინკს სულაც არ უნდა, ამ მანდილოსანთაგან რომელიმე მისი მაღაზიის მყიდველთა სიას გამოაკლდეს, ხომ ასეა? ამიტომაც ეუბნება მოსამართლე ტეილორს – მსაჯულად ვერ წამოვალ, აბა, მაღაზიას უჩემოდ ვინ მიხედავსო. ამრიგად, მოსამართლე ტეილორი აპატიებს ხოლმე უარს. ზოგჯერ ძალიან ბრაზობს, მაგრამ მაინც აპატიებს ხოლმე.

– რატომ ფიქრობს, რომ რომელიმე მათგანი აღარ ივლის მაგის მაღაზიაში? – ვკითხე მე.

ჯემმა მითხრა:

– მის რეიჩელი აღარ ივლის, მის მოდი კი ივლის, ჰო, მაგრამ მსაჯულებს ხომ ფარული კენჭისყრით გამოაქვთ განაჩენი?

მამაჩვენს ჩაეცინა:

– ეე, ჯერ რამდენი რამე არ იცი, შვილო. მართალი ხარ – ასე ითვლება, რომ კენჭისყრა ფარულია. მსაჯულის მოვალეობის შესრულება აიძულებს კაცს, ტვინი გაანძრიოს, გადაწყვეტილება მიიღოს და თავისი შეხედულება ხმამაღლა გამოთქვას. ხალხს კი ეს არ სიამოვნებს. ზოგჯერ ეს მართლაც ვერაა სასიამოვნო...

– ეტყობა, ტომის მსაჯულებმა ნაჩქარევად გამოიტანეს განაჩენი, – ჩაიდუდღუნა ჯემმა.

მამამ საათის ამოსაღებად წაიღო ხელი.

– პირიქით, შვილო, – უთხრა ატიკუსმა უფრო თავის თავს, ვიდრე ჩვენ, – და სწორედ მაგან მაფიქრებინა, რომ ვინ იცის, იქნებ, ეს დასაწყისიც კია... მსაჯულებმა რამდენიმე საათს იფიქრეს. ეს სასჯელი ალბათ გარდუვალი იყო, მაგრამ განაჩენის გამოტანაზე ფიქრს მსაჯულები რამდენიმე წუთზე მეტს არ ანდომებენ. ხოლო ამჯერად... – ატიკუსმა სიტყვა გაწყვიტა და შემოგვხედა, – ალბათ, გაგეხარდებათ იმის გაგება, რომ ერთ-ერთ მსაჯულს რის ვაი-ვაგლახით გადაათქმევინეს

თავისი გადაწყვეტილება: თავიდან თურმე ტომ რობინსონის განთავისუფლებას მოითხოვდა.

– ვინ? – ჯემი თავის ყურებს ვერ უჯერებდა.

ატიკუსს თვალები აუციმციმდა.

– წესით, არ უნდა ვამხელდე, მაგრამ ამის მეტს აღარაფერს გეტყვით: ერთ-ერთი თქვენი ნაცნობი ძველი სარუმიდან.

– ერთ-ერთი კანინგემი? – იღრიალა ჯემმა, – ერთ-ერთი... კი მაგრამ, მე რომ ვერც ერთი მსაჯული ვერ ვიცანი... შენ ალბათ ხუმრობ, – ჯემმა ცერად გახედა მამას.

– იმათი ნათესავი იყო, გულმა მიგრძნო და მსაჯულების შერჩევის დროს აცილება არ მივეცი. უბრალოდ, გულმა მიგრძნო. შემეძლო, აცილება მიმეცა, მაგრამ რატომღაც დავტოვე.

– არა, ახლა გავგიჟდები! – ჯემი გაოცებული იყო, – გუმის მოკვლა უნდოდა, დღეს კი ათავისუფლებს! მე ამ ხალხს ვერასოდეს ვერ გავუგებ...

ატიკუსმა გვითხრა, მაგისთვის კანინგემებს უკეთ უნდა იცნობდეთო. რა ხანია, ჩვენს მიწა-წყალზე ცხოვრობენ და არავის არ ახსოვს, კანინგემებს ვინმესთვის რამე წაერთმიათ ან ვინმესგან რამე ესესხათო. მამამ თქვა, თუ ერთხელ კანინგემის პატივისცემას დაიმსახურებ, მერე შენთვის სიცოცხლესაც განირავენო. და ატიკუსმა დასძინა – ისეთი გრძნობა მაქვს, უბრალოდ, ვარაუდზე დაყრდნობით, რომ იმ ღამით, ციხის შენობასთან, კანინგემები ღრმა პატივისცემით განიმსჭვალნენ ფინჩების მიმართ. და ამის მერე კანინგემს რომ თავისი გადაათქმევინო, საჭიროა კანინგემი, რამე სასწაული და კიდევ – მეორე კანინგემი, ასე რომ, იმ მსაჯულთა საბჭოში ორი ასეთი კანინგემი რომ გვყოლოდა, სასიკვდილო განაჩენზე ვერავინ დაიყოლიებდაო.

– ასე რომ, იმ ბრბოდან ერთის ნაცვლად, ჩვენ რომ ორი კანინგემი გვყოლოდა მსაჯულად, განაჩენი ჯერაც არ იქნებოდა გამოტანილი, – თქვა ბოლოს მამამ.

ჯემმა ნელა დაიწყო:

– ესე იგი, შენ შენი ნებით აირჩიე მსაჯულად კაცი, რომელიც ორი დღის წინათ მოკვლას გიპირებდა? როგორ ნახვედი ასეთ რისკზე, ატიკუს, როგორ?

– თუ კარგად დაუფიქრდები, დაინახავ, რომ რისკი აქ თითქმის არც იყო. დამერწმუნები, არავითარი განსხვავება არ არის ორ ადამიანს შორის, რომელთაგან ორივე იცი, რომ ნამდვილად გამამტყუნებელ განაჩენს გამოიტანს, ასე არაა? და იმაზეც დამეთანხმები, რომ არის მცირე, მაგრამ მაინც საგრძნობი განსხვავება იმ ადამიანებს შორის, რომელთაგან ერთი ნამდვილად აპირებს განაჩენის გამოტანას, მეორე კი, ცოტა არ იყოს, ორჭოფობს, დაეჭვებულია. მსაჯულთა სიაში ერთადერთი ასეთი კაცი კანინგემი მეგულებოდა.

– ეგ კანინგემი უოლტერ კანინგემის რამე ნათესავი ხომ არაა? – ვკითხე მამას.

ატიკუსი ადგა, გაიზმორა და დაამთქნარა. ჩვენი ძილის დრო ჯერ არ იყო, მაგრამ მივხვდით, რომ მამას გაზეთის წაკითხვა უნდოდა. გაზეთი ხელში აიღო, დაახვია და მსუბუქად დამკრა თავზე.

– მაგასაც ახლავე დავადგენთ, – ჩაიდუდუნა თავისთვის, – აჰა, მივაკვლიეთ: ორმხრივი ბიძაშვილებიდან პირველია.

– ეგ რანაირად გამოდის?

– ორმა ძმამ ორი და შეირთო ცოლად. მეტს აღარაფერს გეტყვი, დანარჩენი შენ თვითონ გამოიცანი.

კარგა ხანს ვიმტვრიე თავი და ბოლოს ასეთ დასკვნამდე მივედი: მე რომ მივთხოვდე ჯემს, და დილს რომ ჰყავდეს და, რომელსაც ცოლად შეირთავდა, მაშინ ჩვენი შვილები ორმხრივი ბიძაშვილები იქნებიანმეთქი.

– ეგეც შენი "ბიძაშვილები", ჯემ! – ვთქვი მე, როცა ატიკუსი გავიდა, – რა სასაცილო ხალხია! გაიგონეთ, მამიდ?

მამიდა ალექსანდრა თავჩაღუნული ქსოვდა შალის პლედს, მაგრამ თან ყურსაც გვიგდებდა. თავის სავარძელში იჯდა, ხელსაქმის კალათა იქვე დაედო, პლედი კი მუხლებზე დაეფინა. ჩემთვის სრულიად გაუგებარი იყო – რატომ ქსოვენ მანდილოსნები ზაფხულის ჩახუთულ საღამოობით შალის პლედებს.

– გავიგონე, – მომიგო მან.

უცებ ის უბედური შემთხვევა მომაგონდა, როცა სკოლაში უოლტერ კანინგემის დასაცავად გამოვიდე თავი. ახლა კმაყოფილი ვიყავი, რომ გამოვექომაგე.

– მალე სწავლა დაიწყება და და ერთხელ უოლტერ კანინგემს სადილად დავპატიჟებ, – ხმამაღლა დავიწყე გეგმის დაწყობა. სულ გადამეიწყდა, რომ ამ ცოტა ხნის წინათ უოლტერის გალახვას ვაპირებდი, – ზოგჯერ გაკვეთილების მერეც დავტოვოთ ჩვენთან, მერე ატიკუსი ნაიყვანს ხოლმე ძველ სარუმში. იქნებ ხანდახან ღამეც გავათევინოთ აქ, პა? რას იტყვი, ჯემ?

– მაგასაც ვნახავთ. – თქვა მამიდა ალექსანდრამ. მამიდაჩემის ეს განცხადება ყოველთვის მუქარასავით ჟღერდა და არაფრით არ ნააგავდა დაპირებას. გაკვირვებულმა შევხედე და ვუთხარი, – რატომაც არა, მამიდ? კანინგემები ხომ კარგი ხალხია.

მამიდაჩემმა სათვალის ზემოდან ამომხედა:

– ჯინ ლუიზა, მე ფიქრადაც არ მქონია, რომ ისინი ცუდი ხალხია, მაგრამ ჩვენი ყაიდის ხალხი არაა.

ჯემმა მითხრა:

– მამიდა გულისხმობს, რომ გაუთლელები არიან, ჭყიტა.

– რას ნიშნავს "გაუთლელები"?

– აი... ხეპრეები, უყვართ მუსიკა, ცეკვა.

– მერე რა, ეგ ხომ მეც მიყვარს...

– ნუ სულელობ, ჭყიტა, – მითხრა მამიდა ალექსანდრამ, – საქმე ისაა, ეგ უოლტერ კანინგემი დღე და ღამე რომ ხეხო და აპრიალო, ჯემისნაირი მაინც ვერასოდეს ვერ გახდება. ესეც არ იყოს, მთელი მაგათი მოდგმა სმასაა გადაყოლილი. ფინჩის ქალები მაგ ყაიდის ხალხთან საქმეს არ იჭერენ.

– მა-მი-დაა, – უთხრა ჯემმა, – ჭყიტა ჯერ ცხრა წლისაც არაა!

– არაფერია, აქედანვე უნდა იცოდეს.

მამიდა ალექსანდრამ თავისი სათქმელი გვითხრა. ამან ის შემთხვევა მომაგონა, როცა მამიდაჩემმა უკანასკნელად გამოიჩინა ხასიათის სიმტკიცე. ვერც მაშინ მივხვდი, რამ ააღელვა – მინდოდა კელპურნიას სახლში ვნვეოდი. უბრალოდ, მაინტერესებდა, როგორ ცხოვრობდა, მინდოდა მის საზოგადოებაში ამომეყო თავი და მენახა, ვისთან მეგობრობდა... მაგრამ რაღა მთვარის უკანა ნახევარსფეროს ნახვა მოგინდომებია, და რაღა ეს! თუმცა, ამჯერად მამიდას განსხვავებული სამოქმედო გეგმა აერჩია, მიზანი კი ზუსტად იგივე ჰქონდა. ზგონი, სწორედ იმი-

ტომაც გადანყვიტა ჩვენთან ცხოვრება, რომ მეგობრების შერჩევაში დაგვხმარებოდა, მაგრამ მე დანებებას სულაც არ ვაპირებდი.

– თუ ცუდი ხალხი არაა, რატომ უნდა მოვექცე ცუდად უოლტერს?

– მე არ მითქვამს – ცუდად მოექეცი-მეთქი. შენ ზრდილობიანად და გულთბილად უნდა მოექცე, ისევე, როგორც ყველა სხვას, ძვირფასო, ოლონდ სახლში მოპატიჟება კი არაფერი საჭირო არაა.

– ჩვენი ნათესავი რომ იყოს, მაშინ?

– ჯერ ერთი, ჩვენი ნათესავი არ გახლავს, და რომც იყოს – რა ვუყოთ, იმავეს გიპასუხებდი.

– მამიდა, – უთხრა ჯემმა, – ატიკუსი ამბობს, ადამიანმა მეგობრები თავისი გემოვნებით უნდა აირჩიოს, მაგრამ ნათესავს კი ვერ აირჩევ – გინდა, არ გინდა, ნათესავი ნათესავია, ხოლო თუ ამას არ აღიარებ – სულელი ხარო.

– ეგ მამათქვენის მოსაზრებაა, – გვითხრა მამიდა ალექსანდრამ, – მე კი იმავეს გაგიმეორებთ, რაც უკვე გითხარით: ჯინ ლუიზა არ მოინდომებს უოლტერ კანინგემს ამ სახლში. თუნდაც ორმხრივი ბიძაშვილი იყოს, ამ სახლში არ არის მისი ადგილი. ერთადერთი, ატიკუსთან თუ მოვა საქმიანი ვიზიტით. ახლა კი მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს.

მივხვდი, უარი საბოლოო და ურყევი იყო, მაგრამ გავიფიქრე – ამჯერად მაინც ვათქმევინებ, რა მიზეზით მეუბნება უარს-მეთქი და ვკითხე:

– კი მაგრამ, თუ მე უოლტერთან თამაში მინდა, რატომ არ შეიძლება ვეთამაშო?

მამიდამ სათვალე მოიხსნა და მკაცრად შემომხედა.

– გეტყვი, რატომაც, – დაიწყო მან, – იმიტომ, რომ უოლტერ კანინგემი ნა-ძი-რა-ლაა, აი, რატომ არ შეიძლება, რომ შენ მას ეთამაშო. მე ვერ მოგცემ მასთან დაახლოების ნებას – ისლა გაკლია, მისი ჩვევები გადაიღო და კიდევ... ღმერთმა უწყის, რა! მამაშენისთვის ისედაც პრობლემაა შენი აღზრდა.

არც კი ვიცი, რას ჩავიდენდი, ჯემს რომ არ დავეჭირე: მხრებში ჩამაფრინდა და სიმწრისგან აზლუქუნებული თავის ოთახში წამიყვანა. ატიკუსმა გაიგონა ჩვენი ხმა, კარი გამოაღო და დერეფანში გამოიხედა.

– ყველაფერი რიგზეა, სერ, – ბუზღუნით მიუგო ჯემმა, – არაფერი არ მომხდარა.

ატიკუსმა თავი გაგვანება.

– ნახე, რა მოგცე, – მითხრა ჯემმა და ჯიბიდან კევი დააძრო. კარგა ხანი გავიდა, სანამ კევის გემოს ვიგრძნობდი.

ჯემი სარკის წინ მაგიდის ლაგებას შეუდგა. კეფაზე თმა ყალყზე ედგა. შუბლთან კი წინ ჩამოჰყროდა. ნეტა ოდესმე კაცივით თუ დაუდგება თმა-მეთქი, ვფიქრობდი, – იქნებ, რომ გადაიხოტროს, ახლად ამოსული წესიერად გაეზარდოს? ნარბები გაუხშირდა; ამ მოკლე ხანში, ცოტა არ იყოს, გამხდარიყო კიდეც – ჯემი სიმაღლეში მიდიოდა.

ეტყობა, ეგონა, ისევ ტირილს ვაპირებდი, რადგან გამომხედა და მითხრა – თუ არავის არ ეტყვი, რაღაცას გაჩვენებო.

მე ვკითხე – რას-მეთქი?

ჯემმა მორცხვად გამიღიმა და პერანგზე ღილები შეიხსნა.

– რა არი?

– რა "რა არი", ვერ ხედავ?

– რასა? ვერა.

– რასა და თმას.

– აბა, სადა?

– აი, აქ, ზუსტად აქ.

რადგან ჩემს დამშვიდებას ცდილობდა, ვუთხარი – რა ლამაზია-მეთქი, თუმცა, სინამდვილეში, ვერაფერი ვერ დავინახე, – მართლა ძალიან ლამაზია, ჯემ.

– იღლიებშიც ამომივიდა, – მახარა მან, – მომავალ წელს ფეხბურთზე სიარულს დავიწყებ. ჭყიტა, ნუ ბრაზობ მამიდაზე.

გუშინაც ხომ ამას მეუბნებოდა – მამიდაზე ნუ ღიზიანდებიო. ხომ იცი, გოგონებთან საქმე არ ჰქონიაო, ყოველ შემთხვევაში, შენნაირ გოგონებთანო. მამიდას უნდა, რომ ნამდვილი ლედი გახდეო. არ შეგიძლია, კერვა ისწავლო, ან რამე ეგეთიო?

– კერვა არა, ისა... უბრალოდ, არ ვუყვარვარ, და ეგაა, ერთი, სულაც არ მენაღვლება! უოლტერ კანინგემზე "ნაძირალა" რო თქვა, იმან გამაგიჟა, და არა იმან – ატიკუსისთვის პრობლემა ხარო, რო მითხრა. ერთხელ ატიკუსთან გავარკვიე ეგ ამბავი. ვკითხე, მართლა ვარ შენთვის

პრობლემა-მეთქი, და ატიკუსმა მითხრა – არაფერი ისეთი პრობლემა არა ხარ, მშვენივრად გვესმის ერთმანეთის და ტვინს ნუ იჭყლეტ იმაზე ფიქრით, თითქოს მანუხებდეო. არა. იმან გამაბრაზა, რაც უოლტერზე თქვა. უოლტერი ნაძირალა არ არის, ჯემ, იუველებს სულაც არა ჰგავს.

ჯემმა ფეხსაცმელები ნაიძრო და ფეხები საწოლზე შემოაწყო, ბალიშს მიეყრდნო და მაგიდის ნათურა აანთო.

– იცი, რას გეტყვი, ჭყიტა? მე უკვე გავერკვიე მაგაში, ბოლო ხანებში ძალიან ბევრი ვიფიქრე და მივხვდი, ამ ქვეყანაზე ოთხი სახის ხალხი არსებობს. პირველი – ეს ჩვეულებრივი ხალხია. აი, როგორებიც ჩვენი მეზობლები და ჩვენა ვართ; მეორე – კანინგემების ყაიდის ხალხია – ტყის ბინადრები; მესამე – იუველებისნაირები, ნაგავთან რომ ცხოვრობენ; მეოთხე კი ზანგები არიან.

– ჩინელებზე და კანადელებზე რაღას იტყვი, ბოლდუინის ოლქში რომ ცხოვრობენ?

– მე მეიკომის ოლქზე ვამბობ. საქმე ისაა, რომ ჩვენნაირ ხალხს არ მოსწონს კანინგემები, კანინგემებს არ მოსწონთ იუველები, იუველებს კი სძულთ, ეჯავრებათ ზანგები.

მე ჯემს ვუთხარი – თუ ეგრეა, ტომის მსაჯულებმა იუველების ჯიბრზე რატომ არ გაათავისუფლეს ტომი-მეთქი?

ჯემმა ხელი აიქნია – ჩემი კითხვა ძალიან ბავშვურად მიიჩნია.

– იცი, რამდენჯერ შემინიშნავს, როგორ აყოლებს ხოლმე ატიკუსი მუსიკას ფეხს, როცა რადიოს უსმენს, – მითხრა მან, – მიმწვარ ტაფაზე ჩაწობილი პურის ჭამაც ისე უყვარს, როგორც სხვას არავის...

– ჰოდა, გამოდის, ჩვენც კანინგემებს ვგავართ, – შევანყვეტინე მე, – არ მესმის, მამიდას რატომ...

– არა, მაცალე, გითხრა, თითქოს კი ეგრე გამოდის, მაგრამ რაღაცით მაინც განვსხვავდებით. ატიკუსმა ერთხელ მითხრა, მამიდა იმიტომ იწონებს თავს თავისი წარმოშობით, რომ ფინჩებს საამაყო არაფერი დაგვრჩენია – არც სიმდიდრე და არც სხვა რამეო.

– რა ვიცი, ჯემ... მამამ ერთხელ მეც მითხრა – რაც მაგ "ოჯახების სიძველეს" შეეხება, ყველაფერი სისულელეა, იმიტომ, რომ ყველა ოჯახი ერთნაირად ძველიაო... მე ვკითხე – როგორ, ინგლისელებისაც და ზანგებისაც ერთნაირად-მეთქი? და მამამ მითხრა – კიო.

– კარგი წარმოშობა სულაც არ ნიშნავს ოჯახის სიძველეს, – მითხრა ჯემმა, – მე მგონი, ეგ იმაზე უნდა იყოს დამოკიდებული, ერთი ოჯახის რამდენმა თაობამ იცოდა წერა-კითხვა. ჭყიტა, მე ეს ამბები მართლა ძალიან დიდხანს ვიკვლიე და ამიტომ ვფიქრობ ასე. შორეულ წარსულში, როცა ფინჩები ჯერ კიდევ ეგვიპტეში ცხოვრობდნენ, რომელიღაცა მათგანმა ალბათ ერთი ან ორი იეროგლიფი ისწავლა და მერე თავის შვილსაც ასწავლა, – ჯემმა გადაიხარხარა, – წარმოგიდგენია, რითი ამაყობს მამიდა? იმით, რომ მისი დიდი-დიდი-პაპა წერდა და კითხულობდა! მაინც, რა უცნაური რამეებით ამაყობენ ეს ქალები!

– რას ამბობ, კიდევ კარგი, წერა-კითხვა იცოდა, თორემ მაშინ ვინ ასწავლიდა ატიკუსს და დანარჩენებს? ატიკუსმა კითხვა რომ არ იცოდეს, რა გვეშველებოდა მე და შენ? რაღაც არა მგონია, მაგას ნიშნავდეს ოჯახის სიძველე, ჯემ.

– აბა, მაშინ რით აიხსნება, რომ კანინგემები ჩვენგან ასე განსხვავდებიან? მისტერ უოლტერს ხელის მოწერაც კი უჭირს, ერთხელ ვნახე, როგორ აწერდა რაღაც ქაღალდს ხელს. ჩვენებმა მაგაზე ბევრად მეტი ხანია, წერა-კითხვა იციან.

– არაფერიც, ყველამ უნდა ისწავლოს, ნასწავლი არავინაც არ იბადება. უოლტერი ძალიანაც ნიჭიერია, და თუ ჩამორჩება, მარტო იმიტომ, რო ზოგჯერ მამამისს ეხმარება. არაფერიც არ სჭირს ისეთი. არა... ჯემ, მე ვფიქრობ, ყველა ადამიანი ერთნაირია, უბრალოდ, ადამიანები არიან, მორჩა და გათავდა.

ჯემი კედლისკენ შეტრიალდა და ბალიშს მუშტი ჩასცხო. როცა ისევ ჩემკენ მობრუნდა, სახე მოლუშული ჰქონდა. მივხვდი – მორიგი შეტევა ენყებოდა და დავიძაბე. კოპები შეიკრა, ტუჩები თხელ, სწორ ზოლად დააწყო; ერთხანს დუმდა, ბოლოს კი მითხრა:

– როცა შენხელა ვიყავი, მეც ზუსტად შენსავით ვფიქრობდი, მაგრამ თუ ყველა ადამიანი ერთნაირია, მაშინ რატომღა ვერ ეგუებიან ერთმანეთს? თუ ერთმანეთს ჰგვანან ყველანი, მაშინ რა ემართებათ, რატომ გადაეკიდებიან ხოლმე სამკვდრო-სასიცოცხლოდ ერთიმეორეს? ჭყიტა, მე მგონი, რაღაცების მიხვედრას ვიწყებ. მე მგონი, მალე იმასაც გამოვიცნობ, თუ რატომაა ბუა რედლი წლობით სახლში გამოკეტილი. ეგ იმიტომ, რომ შინ ყოფნა ურჩევნია.

24

კელპურნიას საგანგებოდ გახამებული ქათქათა წინსაფარი ეკეთა. ხელში ტკბილეულობით სავსე ლანგარი ეჭირა. კარისკენ უკუსვლით ნავიდა, მსუბუქად მიაწვა და გააღო. ასეთ დროს კელპურნიას აღფრთოვანებული შევცქეროდი: საოცარი სიმარჯვითა და სიმსუბუქით დაატარებდა ათასგვარი სასუსნავით დამძიმებულ ლანგრებს. ეტყობა, ეს მამიდა ალექსანდრასაც მოსწონდა, რაკი დღეს სტუმრების მომსახურება სწორედ კელპურნიას მიანდო.

სექტემბერი კარზეა მომდგარი. დილი ხვალ მერიდიანში მიემგზავრება. დღეს ის და ჯემი ღელეზე ნავიდნენ საცურაოდ. ჯემმა შეიტყო, რომ დილისთვის თურმე ცხოვრებაში არავის უსწავლებია ცურვა და აღშფოთება ვერ დაფარა. ჯემის აზრით, ცურვა ადამიანმა ისევე კარგად უნდა იცოდეს, როგორც სიარული. უკვე ორი დღეა, ღელეზე დადიან, მე კი მითხრეს – ტიტლიკანები ვბანაობთ და შენ თან ვერ წაგიყვანთო. ამრიგად, მარტო დარჩენილი ხან კელპურნიას მივეკედლები, ხანაც – მის მოდის...

დღეს მთელ ჩვენს სახლში მამიდა ალექსანდრა და მისი მისიონერთა წრე პარპაშებენ. სამზარეულოდან ყური მოვკარი მისიზ გრეის მერივეზერის მოხსენებას მრუნას ტომის დუხჭირ ყოფაზე (ყოველ შემთხვევაში, მე ასე გავიგე); იმ ტომში თურმე ქალებს ქოხებიდან გარეთ ყრიან, როცა დრო დაუდგებათ (რა დროზე იყო ლაპარაკი, ვერ გეტყვით); ოჯახის ცნება მათთვის უცხოა (ცხადია, ეს ამბავი მამიდას თავზარს დასცემდა!), ხოლო როგორც კი შვილებს ცამეტი წელი უსრულდებათ, თურმე საშინელ გამოცდას უწყობენ; მთელი ტანი ქეცითა და მუნითა აქვთ დაფარული; ჰქონიათ კიდევ ასეთი ჩვეულება – ქინაქინას ხის ქერქს გაღეჭავენ, ნაღეჭს ერთ საერთო ქვაბში აფურთხებენ და მერე იმით თვრებიან...

ამის მოსმენისთანავე, მანდილოსნებმა შესვენება მოიწყვეს პირის გასასველებლად.

მამიდა ალექსანდრამ დამიბარა, საუზმის დროს შემოგვიერთდიო და ახლა ვერ გადამეწყვიტა – შევსულიყავი თუ არა. შეკრების საქმიან ნაწილს თუ გინდა, ნუ დაესწრებიო, – გამაფრთხილა, – შენთვის ალბათ მოსაწყენი იქნებაო. საგანგებოდ გამოწყობილი გახლდით: მეცვა საკვირაო კაბა, საგარეო ფეხსაცმელები და ქვედა ტანი. ახლა თუ ზედ რამეს გადავისხამდი, კელს სახვალიოდ ჩემი ტანსაცმლის გარეცხვა მოუწევდა, დღეს კი საქმე უჩემოდაც თავზესაყრელად ჰქონდა, ამიტომ გადავწყვიტე, სასადილოში აღარ გავსულიყავი.

კელ, იქნებ მოგეხმარო-მეთქი, – ვუთხარი. ძალიან მინდოდა, რამეში გამოვდგომოდი.

კელპურნია კარის ზღრუბლზე შედგა და მითხრა – დაჯექი ახლა იმ კუთხეში და ნრუწუნასავით გაინაბე. როცა მოვბრუნდები, თუ გინდა, ლანგრებზე ნამცხვრები დამაწყობინეო.

კარის გაღებასთან ერთად მანდილოსნების ფუსფუსი უფრო ხმამაღლა გაისმა: აჰ, ალექსანდრა, რა "შარლოტაა"! ასეთს პირველად ეხედავ... მშვენიერია, მშვენიერი... ასეთი ქერქი მე არასოდეს არ გამომდის, არასოდეს არ... ნეტა ვის მოაფიქრდა ამ პაწაწინა მაყვლის ტარტალეტების გამოცხობა?... კელპურნიას?... აბა, უყურეთ... ვინ არ იცის, რომ ჩვენი მღვდლის ცოლი... ოჰ, რას ამბობთ, დანამდვილებით ასეა, მაგათ მეორე ბავშვს კი ჯერ ფეხიც არ აუდგამს...

როცა სიჩუმე ჩამოვარდა, მივხედი: ყველანი ნამცხვარს შეექცეოდნენ. კელპურნია მობრუნდა და დედაჩემისეული ვერცხლის მძიმე სურა ლანგარზე დადო.

– ეს ყავადანი ნამდვილი იშვიათობაა, – ჩაილაპარაკა თავისთვის, – დღეს ვინღა აკეთებს ასეთ რამეებს...

– შეიძლება, მე შევიტანო?

– კარგი, ოღონდ ფრთხილად იყავი, ხელიდან არ გაგივარდეს, სადაც მის ალექსანდრა ზის, იქ დადგი, მაგიდის კიდეში. ფინჯნებს მოუდგი, მის ალექსანდრა კი ჩამოასხამს.

კელპურნიას მივბაძე და ზურგით მივანექი კარს, მაგრამ არაფერი გამომივიდა. კელპურნიას გაელიმა და კარი გამიღო.

– იცოდე, ფრთხილად იყავი, ძალიან მძიმეა, ნუ დახედავ, ისე წაიღე და არ დაგეღვრება.

ჩემი მოგზაურობა სამზარეულოდან მისაღებ ოთახში მშვიდობიანად დასრულდა. მამიდა ალექსანდრა გაბადრული სახით შემომეგება.

– დარჩი ჩვენთან, ჯინ ლუიზა, – მითხრა მან. მამიდაჩემი თავისას არ იშლიდა – ყველანაირად ცდილობდა, ჩემგან ლედი აღეზარდა.

მეიკომელ მანდილოსნებს წესად ჰქონდათ შემოღებული: მანდილოსანთა წრის ყოველ მეთაურს შუადღის ყავაზე მეზობლები უნდა მოეწვია, განურჩევლად იმისა, ბაპტისტები იქნებოდნენ ისინი, თუ პრესვიტერიანელები. ამით აიხსნება, რომ დღეს მის რეიჩელიც მობრძანდა (მოსამართლესავით ფხიზელი), მის მოდიც და მის სტეფანი კროუფორდიც.

თავს უხერხულად ვგრძნობდი. წავედი და მის მოდის გვერდით მივუჯექი.

ვერ გამიგია, ერთადერთი ქუჩის გადასაკვეთად რა საჭიროა, ქალმა ქუდი დაიხუროს-მეთქი, გავიფიქრე. საერთოდ, მანდილოსანთა თავშეყრის ადგილზე ყოველთვის რაღაც ავი წინათგრძნობა და გაქცევის სურვილი მეუფლებოდა, მამიდა ალექსანდრა კი ამას ცუდი აღზრდის შედეგად მიიჩნევდა.

მანდილოსნებს შილიფად ეცვათ – ღია ფერის, ჰაეროვანი ჩითის კაბები ჭარბობდა. უმეტესობა ზედმეტად დაპუდრულიყო, ოღონდ, ფერუმარილი არავის ესვა, ყველას ერთნაირი – ხორცისფერი პომადით შეეღება ტუჩები, ფრჩხილებზეც იმავე ფერის ლაკი წაესვათ. მხოლოდ რამდენიმე შედარებით ახალგაზრდა ქალს ჰქონდა მუქვარდისფრად შეღებილი ფრჩხილები. ოთახში თავბრუდამხვევი სურნელება ტრიალებდა. გასუსული ვიჯექი და ხელები რომ დამემორჩილებინა, სავარძლის სახელურებს ჩავაფრინდი, ვიჯექი და ველოდი, როდის დამელაპარაკებოდა რომელიმე მათგანი.

ამ დროს მის მოდის "პროთეზმა" გაიელვა.

– რა დიდებულად გაცვია დღეს, მის ჯინ ლუიზა, – მითხრა მან, – შენი ბრიჯები სადღაა?

– კაბის ქვეშ მაცვია, – მივუგე მე.

არ მიხუმრია, მაგრამ ქალებმა გადაიხარხარეს. მივხვდი, შეცდომა დავუშვი და ლოყები შემიხურდა. მხოლოდ მის მოდი დამყურებდა სერიოზულად. მან იცოდა, როდის ვხუმრობდი და როდის არა, ტყუილუბრალოდ კი არასოდეს არ დამცინებდა.

შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა და უცებ მის სტეფანიმ ოთახის მეორე ბოლოდან გამომძახა:

– ჯინ ლუიზა, რა უნდა გამოხვიდე, როცა გაიზრდები, ვექილი?

– არა, მემ, ჯერ მაგაზე არ მიფიქრია, – ვუპასუხე და გული მადლიერების გრძნობით ამევსო, საუბრის თემა რომ შეცვალა. მეც სახელდახელოდ შევუდექი ჩემი მოწოდების ძიებას, – მედდა? მფრინავი? იქნებ...

– როგორ, განა შენ ვექილი არ უნდა გამოხვიდე? რა ვიცი, სასამართლოში სიარული კი დაიწყე უკვე, და...

მანდილოსნები ისევ ახარხარდნენ.

– რა ტიპია ეს სტეფანი.. – თქვა ვილაცამ.

მის სტეფანიც გახალისდა და კიდევ უფრო განავრცო თემა:

– მაშ, არ გინდა, ვექილი რომ გამოხვიდე?

მის მოდიმ ხელზე ხელი დამადო და მეც საკმაოდ რბილად გავეცი პასუხი:

– არა, მინდა, ნამდვილი ლედი გავხდე.

მის სტეფანიმ ჯერ ეჭვის თვალით შემომხედა, მერე ჩათვალა რომ მასხრად არ ვიგდებდი და ესლა მითხრა – ძალიან კარგი, ოღონდ არაფერი გამოგივა, თუ კაბას უფრო ხშირად არ ჩაიცვამო.

მის მოდიმ მაგრად მომიჭირა ხელზე ხელი და მეც აღარაფერი მიპასუხია: ამ ხელის სითბომ გული მომილბო.

ხელმარცხნივ მისიზ გრეის მერივეზერი მეჯდა. ზრდილობა მოითხოვდა, გამოვლაპარაკებოდი. მის მეულლეს, მისტერ მერივეზერს, თავგამოდებულ მეთოდისტს, სრულებით არ ეხამუშებოდა, როცა გალობისას ამ სიტყვებს წარმოთქვამდა: განუზომელია წყალობა ღვთისა, ჩემნაირი უკეთური რომ მოაქციაო; მეიკომში გაბატონებული აზრის მიხედვით, ბატონი მერივეზერი მისმა მეულლემ – გრეისმა იხსნა ლოთობისგან და საზოგადოების ჯანსაღ წევრად აქცია. მისიზ გრეის მერივეზერი ყველაზე ღვთისმოშიშ ქალად ითვლებოდა მეიკომში. შეეცადე, მისთვის საინტერესო თემაზე ჩამომეგდო სიტყვა და ვკითხე:

– დღეს რაზე საუბრობდით?

– ოო, შვილო, საბრალო მრუნას ხალხზე, – მომიგო მან და ამით დაკმაყოფილდა. გავიფიქრე, ორიოდე კითხვა კიდევ უნდა დავუსვა-მეთქი.

ჩაგრულთა და უბედურთა ხვედრზე ფიქრისას, მისიზ მერივეზერს დიდ, ყავისფერ თვალებზე მუდამ ცრემლი ადგებოდა.

– როგორია – ცხოვრობდე იმ საშინელ ჯუნგლებში და გვერდით არავინ გყავდეს გრაიმზ ევერეტის გარდა!... – მითხრა მან, – ამ ღვთის-

ნიერი ადამიანის გარდა, არც ერთი თეთრკანიანი მათ სიახლოვეს არ ეკარება...

მისიზ მერივეზერს ორლანივით ჟღერადი ხმა ჰქონდა და ყოველ სიტყვას საგანგებო გამოთქმით წარმოთქვამდა.

– სილატაკე... უმეცრება... უზნეობა... მაგრამ გრაიმზ ევერეტის გარდა, არავინ უწყის ეს ყოველივე... იცით, როცა ეკლესიამ მასთან ერთხელ მიმავლინა...

– განა აქ იყო, მემ? მე მეგონა...

– შვებულებით იყო ჩამოსული. გრაიმზ ევერეტმა მითხრა, აი, რა მითხრა მან: მისიზ მერივეზერ, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, ვერც კი წარმოიდგენთ, რასთან გვიწევს ბრძოლაო, აი, რა მითხრა გრაიმზ ევერეტმა.

– დიახ, მემ.

– მე ვუთხარი – მისტერ ევერეტ, – ვუთხარი, – ალაბამას შტატის მეიკომის სამხრეთული მეთოდისტური ეკლესია ასი პროცენტით ამოგიდგებათ მხარში. ზუსტად ასე ვუთხარი. და იცით, სწორედ მაშინ, გულში ფიცი დავდე. ჩემს თავს ვუთხარი:

"როცა შინ დაბრუნდები, წაიკითხავ მოხსენებას მრუნას ტომზე, და გააცნობ მეიკომელებს გრაიმზ ევერეტის მოღვაწეობას". აი, სწორედ ამას ვაკეთებ ახლა.

– დიახ, მემ.

მისიზ მერივეზერმა თავი გააქნია და შავი კულულები შეერხა.

– ჯინ ლუიზა, – მითხრა მან, – შენ ბედნიერ ვარსკვლავზე ხარ დაბადებული. ცხოვრობ ქრისტიან ოჯახში, ქრისტიან ხალხში, ქრისტიანულ ქალაქში... იქ კი, გრაიმზ ევერეტის მიწაზე ცოდვა-ბრალი ტრიალებს!

– დიახ, მემ.

– ცოდვა-ბრალი... რა ბრძანეთ, გერტრუდა? – სულ სხვა კილოზე მიმართა მისიზ მერივეზერმა მანდილოსანს, რომელიც გვერდით ეჯდა, – აა, დიახ, მეც სწორედ მაგას ვამბობ, ყოველთვის – მიუტევეთ და დაივიწყეთ, მიუტევეთ და დაივიწყეთ-მეთქი... ეკლესიამ უსათუოდ უნდა მოაგვაროს ეგ საქმე, ხელი უნდა შეუწყოს იმ საბრალო ბავშვებს, რომ ამიერიდან მაინც ქრისტიანულად იცხოვრონ. რომელიმე მამაკაცი უნდა მივიდეს მათ მღვდელთან და უთხრას... როგორმე გაამხნევოს ის ქალი.

– უკაცრავად, მისიზ მერივეზერ, – შევაწყვეტინე მე, – მეიელა იუველზე ხომ არ ლაპარაკობთ?

– მეიე...? არა, შვილო. იმ ზანგის ცოლზე. ტომის ცოლზე. ტომ...

– რობინსონი, მემ.

მისიზ მერივეზერი ისევ თავის მეზობელს მიუბრუნდა:

– ერთი რამ ღრმადა მწამს, გერტრუდა, – განაგრძო მან, – მაგრამ ყველა არ დამეთანხმება ამაში. თუ ერთხელ ვაგრძნობინეთ, რომ მივუტევეთ, რომ დავივიწყეთ, მაშინ ყველაფერი ხელახლა დაიწყება.

– რა დაიწყება ხელახლა, მისიზ მერივეზერ? – ჩავერიე ისევ.

ისიც კვლავ ჩემკენ მოტრიალდა. მისიზ მერივეზერი იმ უშვილო ქალების რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც ბავშვებთან საუბრისას აუცილებლად მიიჩნევენ სალაპარაკო კილოს შეცვლას.

– არაფერი, ჯინ ლუიზა, – მომიგო ღირსეული სიდინჯით, – მზარეულები და საველე მუშახელი უკმაყოფილოები არიან, მაგრამ თანდათან ჭკუაზე მოდიან... იმ პროცესის მეორე დღეს კი ბუზლუნით აგვიკლეს.

მისიზ მერივეზერმა მისიზ ფაროუს გახედა:

– გერტრუდა, უნდა გითხრა, არაფერი ისე არ მაღიზიანებს, როგორც დაბღვერილი მურიანი. გადმოაბრუნებენ დრუნჩს და სანამ რომელიმე მათგანი სამზარეულოში ტრიალებს, მთელი დღე ჩაშხამებული გაქვს. იცი, ამას წინათ რა ვუთხარი ჩემს სოფის, გერტრუდა? ვუთხარი, – სოფი, – ასე ვუთხარი, – შენ დღეს, უბრალოდ, ქრისტიანივით არ იქცევი. იესო ქრისტე არასოდეს არავის არ აწუხებდა თავისი ნუწუნითა და ბუზლუნით. და იცი, ამან კარგად იმოქმედა. თვალები დახარა და მითხრა – არა, მისიზ მერივეზერ, იესო არასოდეს არ წუნუნებდაო... მერწმუნე, გერტრუდა, შემთხვევა არ უნდა გაუშვა ცოდვილის სწორ გზაზე მოსაქცევად.

უცებ ძველთაძველი ორლანი მომაგონდა, ფინჩებისეულ მამულში რომ იდგა. როცა სულ პატარა ვიყავი, თუ მთელი დღე კარგად მოვიქცეოდი, ატიკუსი ნებას მრთავდა, საბერველები ამემუშავებინა, თვითონ კი კლავიშებს თითს დააჭერდა. ბოლო ბგერა იმდენ ხანს ჟღერდა, რამდენ ხანსაც ჰაერი ჰყოფნიდა. ჩემი გამოთვლით, მისიზ მერივეზერს ჰაერი გამოელია და ვიდრე მისიზ ფაროუ სალაპარაკოდ ემზადებოდა, ახალ მარაგს იგროვებდა.

მისიზ ფაროუ დიდებული აღნაგობის ქალი იყო. ღია ფერის თვალები და თხელი ფეხები ჰქონდა. ნაცრისფერი დაკულულებული თმა, როგორც ჩანს, ახლახან დაეხვია საპარიკმახეროში. მისიზ ფაროუს მეიკომში მეორე ადგილი ეკავა ღვთისმოსაობაში. ერთი უცნაური ჩვევა ჰქონდა – თავის სათქმელს სისინა ბგერით უკეთებდა შესავალს.

– სს-სს, გრეის, – დაიწყო მან, – ნინათ მეც თითქმის იგივე ვუთხარი ძმა ჰატსონს: სს-სს-სს... ძმაო ჰატსონ, – ვუთხარი მე, – მგონი, უშედეგოდ ვიბრძვით, უშედეგოდ ვიბრძვით-მეთქი, ვუთხარი, – სს-სს-სს... – მაგათ ეს ოდნავადაც არ აღელვებთ. თავს ვიკლავთ მაგათ გასანათლებლად, სულის ამოხდომამდე ვილვწით, რათა წესიერ ქრისტიანებად აღვზარდოთ, მაგრამ მანდილოსნებს მშვიდი ძილი მაინც არა გვაქვს-მეთქი, და მან მითხრა – მისიზ ფაროუ, არც კი ვიცი, საით მივექანებითო... სს-სს-სს.. მე ვუთხარი – თქვენ ნამდვილად სწორს ბრძანებთ-მეთქი.

მისიზ მერივეზერმა მრავალმნიშვნელოვნად დააქნია თავი. მისი ხმა ისე აჟღერდა, მთლად გადაფარა ყავის ფინჯნების წკარუნი და მოგუდული ღეჭვის ხმა.

– გერტრუდა, – უთხრა მან, – იცი, რას გეტყვი, ამ ქალაქში მეგულება თითო-ოროლა კარგი ადამიანი, რომელიც, სამწუხაროდ, მცდარ აზრს ადგას. დიახ, კარგი ადამიანი, მცდარ აზრს რომ ადგას. ეს ის ხალხია, რომელიც ფიქრობს, თითქოს სწორად იქცევიან. არ გეგონოთ, მათ დასახელებას ვაპირებდე, არა, მაგრამ ზოგ-ზოგებს ამ ქალაქში სულ ცოტა ხნის წინათ ეგონათ, სწორად ვიქცევითო, თუმცა სინამდვილეში აურზაურის მეტი არაფერი გამოუწვევიათ, არაფერი! შეიძლება, მათი საქციელი იმ დროს სწორიც კი მოგჩვენებოდათ, მე, რა თქმა უნდა, დარწმუნებით ვერაფერს ვიტყვი – იმ საქმეში განსწავლული არ გახლავართ, მაგრამ ის დაბლვერილი... უკმაყოფილო... არა, ერთ დღესაც რომ გაგრძელებულიყო ასე, სოფის ნამდვილად დავითხოვდი! მაგის ბრიყვ, ჯაგარა თავში ვერაფრით ვერ შესულა ერთი რამ: კრიზისი და გაჭირვება რომ არა, ერთ დღესაც არ გავაჩერებდი! მაგრამ რა გულით უნდა დაითხოვო, როცა იცი, როგორ სჭირდება ის თავისი დოლარი და ხუთცენტიანი ყოველი თვის ბოლოს...

– მისი ლუკმა გულზე ხომ არ გადგებათ?

ეს მის მოდის ხმა იყო. ტუჩის კიდეებთან ორი მკაცრი ნაოჭი ჩაუდგა. ჩემ გვერდით იჯდა, ყავის ფინჯანი მუხლზე დაედო და მთელი ამ ხნის განმავლობაში ხმას არ იღებდა. მე კი კარგა ხანია, საუბარს ყურს აღარ ვუგდებდი, იმ წუთიდან, როცა სიტყვა ტომ რობინსონის ცოლზე ჩამოაგდეს. მერჩივნა, ფინჩების მამულზე და მდინარეზე მეფიქრა. მამიდა ალექსანდრა შეცდა: შეკრების საქმიანი მხარე გაცილებით უფრო ამაღელვებელი მეჩვენა, ეს მასლაათი კი ძალიან მოსანყენი.

– მოდი, მერწმუნეთ, არ მესმის, რა გაქვთ მხედველობაში, – უთხრა მისიზ მერივეზერმა.

– დარწმუნებული ვარ, მშვენივრად გესმით, – მკვახედ მოუჭრა მის მოდიმ.

მეტი აღარაფერი უთქვამს. მის მოდი გაბრაზებისას საოცრად სიტყვაძუნწი იყო, მაგრამ ისეთი გრძნობა გეუფლებოდათ, თითქოს ციცვი წყალი გადაგასხესო. ახლაც, რაღაცამ მოთმინებიდან გამოიყვანა. ნაცრისფერ თვალებსა და ხმაში სუსხი ჩაუდგა. მისიზ მერივეზერი გაწითლდა, მე გადმომხედა და პირი იბრუნა. მისიზ ფაროუ ვერ დაეინახე.

მამიდა ალექსანდრა წამოდგა და სწრაფად ჩამოატარა ნამცხვრები და გამაგრილებელი სასმელი. სასწრაფოდ ჩააბა საუბარში მისიზ მერივეზერი და მისიზ გეიტსი, ხოლო როცა მათ მისიზ პერკინსიც შეუერთდა, მამიდა დარწმუნდა – ჩემი დახმარება საჭირო აღარ არისო და უკან დაიხია. მერე უჩუმრად ესროლა გულწრფელი მადლიერებით აღსავსე მზერა მის მოდის. ამან გამაოცა: მაინც, რა უცნაური სამყარო აქვთ ქალებს – მის მოდი და მამიდაჩემი ახლობლები არ არიან, მამიდა ალექსანდრა კი უხმოდ უხდის რაღაცისთვის მადლობას! რისთვის – არ ვიცოდი, მაგრამ ჩემთვის იმის შეტყობაც ბევრს ნიშნავდა, რომ გულისტკივილი და მადლიერების გრძნობა მამიდა ალექსანდრასთვისაც არ იყო უცხო.

უკვე ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ სულ მალე ამ სამყაროს წევრი უნდა გავმხდარიყავი, სამყაროსი, სადაც ერთი შეხედვით, ნელი რწევის, მარაოების ფრიალისა და გრილი სასმელების ნრუპვის მეტს ქალები არაფერს აკეთებდნენ.

თუმცა, მე მამაჩემის სამყარო უფრო მიზიდავდა. მისტერ ჰეკ ტეიტისთანა კაცები, ვითომდა უწყინარი შეკითხვებით, მახეს არასოდეს

დაგიგებენ, რათა მერე აბუჩად აგიგდონ. ჯემიც კი არაა მაინცადამაინც კრიტიკული ჩემ მიმართ, თუ განსაკუთრებულ სისულელეს არ დავაბრეხვებ. ამ ქალებს კი, მგონი, ცოტა არ იყოს, ეშინოდათ მამაკაცების, ყოველ შემთხვევაში, მათ საქებარს არაფერს იტყოდნენ. აი, მე კი, ძალიანაც მომწონდნენ კაცები... მათში გუმანით მხიბლავდა რაღაცა, იმისდა მიუხედავად, რომ გინება, სმა, ბანქოს თამაში, თუთუნის ღეჭვა უყვარდათ... ხშირად ძალიან ცუდადაც იქცეოდნენ. მათი სამყარო ინსტინქტურად მიზიდავდა. კაცებისთვის ხომ უცხო იყო...

– თვალთმაქცობა, მისიზ პერკინს, სისხლში აქვთ გამჯდარი თვალთმაქცობა, – ამბობდა მისიზ მერიეზერი, – კიდევ კარგი, ჩვენ ეგ უბედურება მაინც არ გვჭირს! იქ, ბატონო ჩემო, გაათავისუფლეს ეგენი, მაგრამ აბა, ნახეთ, სუფრასთან თუ დაისვამენ! კიდევ კარგი, ჩვენ ეს თვალთმაქცობა მაინც არა გვჭირდება, არავის არ ვეუბნებით, ჩვენ და თქვენ ერთნაირად კარგები ვართ, ოღონდ, თავი გაგვანებეთ-თქო! ჩვენში აი, როგორაა – ვეუბნებით: თქვენ თქვენი ცხოვრება გაქვთ, ჩვენ ჩვენი, ჩემი აზრით, ის ქალი, მისიზ რუზველტი, საღ ჭკუაზე ვერ უნდა იყოს, აბა, ჭკუათამყოფელი ადამიანი ჩაიდენს მაგას? ჩავიდა ბირმინგემში და ზანგებში გარევა მოინდომა! მე რომ ბირმინგემის მერი ვყოფილიყავი...

კიდევ კარგი, ბირმინგემის მერი ჩვენგან არც ერთი არ იყო. ეეხ, ერთი დღით მაინც რომ დავესვი ვინმეს ალაბამას შტატის მმართველად! მისიონერთა საზოგადოება თვალის დახამხამებას ვერ მოასწრებდა, ტომ რობინსონი განთავისუფლებული იქნებოდა... იმ დღეს კელპურნია მის რეიჩელის მზარეულს უყვებოდა, როგორ ჰქონია ტომს ყველაფერზე ხელი ჩაქნეული. სამზარეულოში რომ შევედი, თხრობა არ შეუწყვეტია. კელმა თქვა: "ატიკუსმა ვერაფრით ვერ დაამშვიდა და ბანაკში გადაყვანის წინ ტომმა ასეთი რამ უთხრა: მშვიდობით, მისტერ ფინჩ, ახლა უკვე ველარაფერს შეცვლით და ტყუილად ნუღარც გაირჯებითო. კელპურნიამ განაგრძო: ატიკუსმა მითხრა – რა დღესაც ციხეში ჩასვეს, ტომმა იმ დღიდან იმედი გადაიწურაო. ატიკუსს თურმე უცდია, ტომისთვის აეხსნა, რომ იმედის დაკარგვა ჯერ ადრე იყო, რადგან იგი ყველაფერს ილონებდა მის გასათავისუფლებლად. მის რეიჩელის მზარეულმა კელპურნიას ჰკითხა: "რატომ არ უთხრა ატიკუსმა – კი, ნამდვილად გათავისუფლებენო, განა ასე არ აჯობებდა? ტომიც ალარ დაიტანჯებოდა". კელპურნიამ მიუგო: მაგას იმიტომ ამბობ, რომ კანონს არ იცნობ, როცა ვექილის სახლში ტრიალებ, პირველი დღიდანვე ხვდები ერთ რამეს: გარკვეულ პასუხს ვერაფერზე ვერ გასცემ ნინასწარ. მისტერ ფინჩს არ შეეძლო დანამდვილებით ეთქვა, ასე იქნებაო, როცა დარწმუნებული არ იყო, როგორ დამთავრდებოდა ყველაფერი.

ამ დროს შემოსასვლელი კარი გაჯახუნდა და გავიფიქრე, ნეტა რა დროა-მეთქი. ატიკუსის მოსვლა ნაადრევი მეჩვენა. მისიონერთა საზოგადოების თავშეყრის დღეს ქუდი რომ შემოგეგდოთ, შინ მაინც ვერ შემოიტყუებდით.

ატიკუსმა ოთახის კარი შემოაღო და შედგა. ხელში ქუდი ეკავა, სახეზე მიტკლისფერი ედო.

– მომიტევეთ, ქალბატონებო, – თქვა მან, – ყურადღებას ნუ მომაქცევთ, განაგრძეთ თქვენი საქმიანობა, მე ხელს არ შეგიშლით. ალექსანდრა, თუ შეგიძლია, ერთი წუთით სამზარეულოში გამოდი. დროებით კელპურნია უნდა მოგტაცოთ.

ატიკუსი სასადილო ოთახში არ შემოსულა – დერეფნის უკანა კარით პირდაპირ სამზარეულოში გავიდა. მე და მამიდა ალექსანდრა იქ დავხვდით. სასადილო ოთახის კარი ისევ გაიღო და მის მოდიც შემოგვიერთდა. კელპურნია ნახევრად წამომდგარიყო სკამიდან.

– კელ, ელენ რობინსონთან უნდა გამომყვე, – უთხრა ატიკუსმა.

– რა მოხდა? – ჰკითხა მამიდა ალექსანდრამ, რომელიც ატიკუსის გამომეტყველებამ დააფრთხო.

– ტომი დაიღუპა.

მამიდა ალექსანდრამ ხელები პირზე აიფარა.

– ესროლეს, როცა გარბოდა, – თქვა ატიკუსმა, – შესვენების დროს მომხდარა ყველაფერი. თურმე უცებ გიჟივით მიაწყდა ღობეს და აფოფხება დაიწყო. ყველას თანდასწრებით!

– მერე, არ სცადეს შეჩერება? არ გააფრთხილეს? – აკანკალებული ხმით იკითხა მამიდა ალექსანდრამ.

– როგორ არა, მცველებმა დაუყვირეს – შეჩერდიო. რამდენჯერმე ჰაერშიც უსვრიათ, მერე კი მიზანში ამოიღეს... ზუსტად მაშინ ესროლეს, როცა ღობეზე გადადიოდა. ორივე ხელი მთელი რომ ჰქონოდა,

ნამდვილად გადავიდოდა, ისე სწრაფად მიცოცავდაო, მითხრეს... ჩვიდმეტი ტყვია მოხვედრია... ამდენი არ უნდა ესროლათ... კელ, ელენს უნდა შევატყობინოთ, მინდა გამომყვე და მომეხმარო.

– დიახ, სერ, – ბუტბუტით მიუგო კელპურნიამ და ათრთოლებული ხელებით შეუდგა ნინსაფრის შეხსნას. მის მოდი მივიდა და მიეშველა.

– აივსო მოთმინების ფიალა, ატიკუს, – უთხრა მამიდა ალექსანდრამ.

– გააჩნია, რა თვალსაზრისით მიუდგები, – მიუგო მამამ, – ერთი ზანგით მეტი თუ ნაკლები – იმათთვის სულ ერთი არაა? იქ ორასი ეგეთი ზანგი ჰყავთ, ვინ უყურებს იმას – ტომია თუ სხვა ვინმე...

ატიკუსი მაცივარს მიეყრდნო. სათვალე აიწია და თვალები მოისრისა.

– ისეთი კარგი შანსი გვქონდა, შეიძლებოდა, ეს საქმე მოგვეგო კიდეც, – თქვა მან, – ტომს ვუთხარი, რისი იმედიც მქონდა, მაგრამ იმაზე მეტს ხომ ვერ შევპირდებოდი... ტომისთვის კი თეთრკანიანის "კარგი შანსი", ეტყობა, ბევრს არაფერს ნიშნავდა, დაიქანცა და თავის გზას დაადგა. კელ, მზადა ხარ?

– დიახ, სერ, მისტერ ფინჩ.

– მაშინ წავიდეთ.

მამიდა ალექსანდრა კელპურნიას სკამზე ჩამოჯდა და ხელები სახეზე აიფარა. გაუნძრევლად იჯდა, იმდენად გაუნძრევლად, რომ შემეშინდა, გული არ წასვლოდა. მესმოდა, როგორ აჩქარებით სუნთქავდა მის მოდი – გეგონებოდათ, მაღალი კიბე აიარაო. სასადილოდან კი მანდილოსნების მხიარული ჟრიამული გამოდიოდა.

მეგონა, მამიდა ალექსანდრა ტიროდა, მაგრამ როცა სახიდან ხელები მოიშორა, დავინახე, რომ შევცდი – გადაღლილი ჩანდა და ნირწამხდარი ხმით ალაპარაკდა:

– ვერ ვიტყვი, ყველაფერი მომწონდეს, რასაც ატიკუსი აკეთებს, მოდი, მაგრამ ჩემი ძმაა... მე მარტო ერთი რამ მინდა ვიცოდე: როდის დამთავრდება ეს ყველაფერი... – მამიდამ ხმას აუწია, – ლამისაა, კაცს გული გაუსკდეს. ცდილობს, არ შეიმჩნიოს, მაგრამ ვიცი, საშინლად იტანჯება. მინახავს, როგორ... რაღა უნდათ მეტი, მეტი რაღა უნდათ!..

– ვის რა უნდა, ალექსანდრა? – ჰკითხა მის მოდიმ.

– ამ ქალაქზე ვამბობ. ყველა ძალიან მოწადინებულია, ატიკუსმა გაკეთოს ის, რის გაკეთებაც თვითონ ვერ გაუბედავთ... თურმე ნუ

იტყვით და, ეშინიათ, შემოსავალი არ შეუმცირდეთ. ყველა მოწადინებულია, მაინცადამაინც ამ კაცმა მთელი თავისი ჯანმრთელობა მეგლოს საქმეს, რომლის გაკეთებაც თვითონ ეშინიათ, ეგენი...

– დამშვიდდით, თორემ გაიგონებენ, – უთხრა მის მოდიმ, – ალექსანდრა, და ასეც ხომ შეიძლება შეხედოთ ამას? იცით, რა მინდა გითხრათ, არ ვიცი, მეიკომელებს ესმით ეს, თუ არ ესმით, მაგრამ დამიჯერეთ, იმაზე მეტ პატივს ვერ მიაგებენ ადამიანს, რასაც ჩვენ ჩვენი ნდობით მივაგებთ ატიკუსს. ჩვენ მას ვანდობთ ჭეშმარიტების დაცვას. ესაა და ეს.

– მაინც, ვინ თქვენ? – იკითხა მამიდა ალექსანდრამ. რას იფიქრებდა, თუ თავისი თორმეტი წლის ძმისშვილის კითხვას იმეორებდა!

– ერთი მუჭა ხალხი ამ ქალაქში, რომელსაც მიაჩნია, რომ სამართალი მხოლოდ თეთრებისთვის არაა მოგონილი, ერთი მუჭა ხალხი, რომელიც თვლის, რომ სამართალი ყველასთვის ერთია. ერთი მუჭა ხალხი, რომელსაც იმდენი თავმდაბლობა აბადია, რომ შავკანიანის შეხედვისას გაიფიქროს, მხოლოდ ღვთის განგებითაა, რომ მე მის ადგილზე არა ვარო, – მის მოდის ხმას სიმტკიცე დაუბრუნდა, – ერთი მუჭა ხალხი წესიერი ოჯახებიდან, აი, ვინ არიან ის მეიკომელები.

მე რომ ცოტა უფრო ყურადღებით მეგდო ყური, ჯემისეულ განმარტებას "კარგი ოჯახიშვილობის" შესახებ კიდევ შევმატებდი რაღაცას. მაგრამ უცებ კანკალმა ამიტანა და ველარ გავჩერდი: ინფილდის ტუსაღთა ბანაკი ნანახი მქონდა, ატიკუსმა სასეირნო მოედანიც მაჩვენა, საფეხბურთო სტადიონისხელა იქნებოდა...

– შეწყვიტე კანკალი, – მიბრძანა მის მოდიმ და მეც გავჩერდი, – ადექით, ალექსანდრა, დიდი ხანია, სტუმრები მივატოვეთ.

მამიდა ალექსანდრა წამოდგა და დაჭმუჭნილი კაბა გაისწორა, ქამარში გაჩრილი ცხვირსახოცი ამოიღო, ცხვირი მოიხოცა, თმა შეისწორა და იკითხა:

– მემჩნევა რამე?

– არაფერი, – უთხრა მის მოდიმ, – ჯინ ლუიზა, უკვე მოერიე შენს თავს?

– დიახ, მემ.

– მაშინ მანდილოსნებს შევუერთდეთ, – პირქუშად მითხრა მან.

მოსაუბრეთა ხმები ერთბაშად გაძლიერდა, როცა მის მოდიმ სასადილო ოთახში შესასვლელი კარგი გააღო. მამიდა ალექსანდრა ჩემ წინ მიდიოდა და დავინახე, როგორ მოიღერა თავი ოთახში შესვლისთანავე.

– ოჰ, მისიზ პერკინს, – თქვა მან, – ყავა უნდა დაგისხათ, ახლავე მოგართმევთ!

– კელპურნია ცოტა ხნით საქმეზეა გასული, გრეის, – თქვა მის მოდიმ, – ნება მიბოძეთ, კიდევ ერთი მაყვლის ტარტალეტი გადმოგიღოთ. გაიგეთ, რა უქნია ერთ-ერთ ჩემს ბიძაშვილს ამ დღეებში, იმას, თევზაობა რომ უყვარს?..

და ასე ჩამოუარეს სასადილო ოთახში მსხდომი მხიარული ქალების მწკრივს: ფინჯნებს ყავით უვსებდნენ, უმასპინძლდებოდნენ კანფეტებით. მის მოდისა და მამიდაჩემის შემხედვარე, ვერც წარმოიდგენდით, თუ მათ კელპურნიას ნასვლის მეტი რაიმე ადარდებდათ.

ისევ გაიბა ხმადაბალი დუდუნი: დიახ, ჩემო ბატონო, მისიზ პერკინს, გრაიმზ ევერეტი ნამებული წმინდანია, ის... ქორწინება აუცილებელი გამხდარა, ჰოდა, გაქცეულან... სილამაზის სალონში ყოველ შაბათ დღეს... მზის ჩასვლისთანავე... იცით, ვისთან სძინავს?.. წიწილებით, დაავადებული წიწილებით სავსე გალია... ფრედმა თქვა – ყველაფერი მაგით დაინყოო, ფრედმა მითხრა...

მამიდა ალექსანდრამ გამოიხედა და გამიღიმა. მერე თვალით ნამცხვრიან ლანგარზე მანიშნა და თავიც დამიკრა. ლანგარი ფრთხილად ავნიე და ფეხაკრეფით ნავედი მისიზ მერივეზერისკენ. რამდენადაც შემეძლო, თავაზიანად ვკითხე – ნამცხვარს ხომ არ ინებებთ-მეთქი. ბოლოს და ბოლოს, თუ მამიდაჩემს შეუძლია, ასეთ მძიმე წუთებშიც კი ნამდვილი ლედივით მოიქცეს, ვითომ მე რითი ვარ ნაკლები?

25

– ნუ შვრები მაგას, ჭყიტა, გასვი გარეთ, კიბეზე.

– რას ამბობ, გაგიჟდი, ჯემ?

– გეუბნები – გარეთ გასვი-მეთქი!

ამოვიოხრე, ციცქნა არსება ავიღე, კიბის ზედა საფეხურზე მოვათავსე და ისევ ჩემს გასაშლელ საწოლს მივუბრუნდი. უკვე სექტემბერი იდგა, მაგრამ კვლავინდებურად ცხელოდა და ჩვენც ბადით შემოღობილ ღია აივანზე ვათევდით ღამეს. ციცინათელები, ღამის პეპლები და ხოჭოები, მთელი ზაფხულის განმავლობაში გამალებით რომ აწყდებოდნენ ბადეს, ჯერაც არ გაფრენილიყვნენ იქ, სადაც შემოდგომისას მიფრინავენ ხოლმე.

არ ვიცი, საიდან შემოძვრა მუხლუხო. ეს პაწაწინა ცუღლუტი ალბათ კიბეზე ამოხოხდა და კარის ღრიჭოდან შემოაღწია ბინაში... როცა წიგნის დასადებად დავიხარე, მაშინ შევნიშნე: ასე ორიოდე სანტიმეტრი იქნებოდა სიგრძით; როცა ვეხებოდი – მკვრივ ნაცრისფერ გორგლად ჩაეხვეოდა ხოლმე.

მუცელზე დავწექი, დავიხარე და თითი შევახე: ჩაეხვია. როგორც ჩანს, მალე დამშვიდდა და თანდათანობით გაიშალა. თავისი ასი ფეხით რამდენიმე სანტიმეტრზე ახოხდა და ხელმეორედ მივადე თითი – ისევ ჩაეხვია. ძილი მერეოდა და გადავწყვიტე, საქმეები მომეგვარებინა. ის იყო, მისი გასრესა დავაპირე, რომ ჯემმა დამიძახა.

ჯემი მიბღვერდა. მისი უგუნებობა ალბათ გარდამავალ ასაკთან იყო დაკავშირებული და ვინატრე – ნეტა ჩქარა გადალახოს ეს ასაკი და ამოვისუნთქებ-მეთქი. ისე, ცხოველების მიმართ ლმობიერი რომ იყო, კი ვიცოდი, მაგრამ მწერებს რატომ ელოლიავებოდა, ვერაფრით ვერ გამეგო.

– რატომ არ შეიძლება გავსრისო? – ვკითხე მე.

– იმიტომ, რომ არაფერს არ გიშავებს, – გაისმა სიბნელეში ჯემის პასუხი. მაგიდის ლამპა უკვე ჩაექრო.

– მგონი, შენ ახლა ისეთი ხანა დაგიდგა, ბუზები და კოლოებიც კი გეცოდება, არა? – ვუთხარი მე, – როცა სხვა ჭკუაზე დადგები, იცოდე, შემატყობინე. ოღონდ ერთ რამეს გეტყვი – ჭიანჭველა რო შემომიძვრეს საწოლში, სულ ერთია, გავსრეს.

– ოო, მორჩი რაა, – მომიგო ძილნარევი ხმით.

ახლა მე კი არა, ჯემი ემსგავსებოდა გოგოს დღითი დღე. მყუდროდ მოვკალათდი და დასაძინებლად განვეწყე. მანამდე კი დილზე ვფიქრობდი: პირველ სექტემბერს მერიდიანში გაემგზავრა მტკიცე რწმენით, რომ როგორც კი სასწავლო წელი მორჩებოდა, მაშინვე ჩვენთან ჩამოვიდოდა. მე მგონი, ჩემი მშობლები უკვე მიხვდნენ, რომ ზაფხულის გატა-

რება მეიკომში მიყვარსო, – გვითხრა მან. მის რეიჩელმა "მეიკომის გზაჯვარედინამდე" ყველანი ტაქსით მიგვიყვანა. სანამ მატარებელი თვალს არ მიეფარა, დილი ვაგონიდან ხელს გვიქნევდა. თვალს კი მიეფარა, მაგრამ ჩემს ფიქრებში ისევ ცოცხლად ვხედავდი. დილი ძალიან მაკლდა. წასვლამდე ორი დღით ადრე ჯემმა ცურვა ასწავლა...

ცურვა ასწავლა... ერთბაშად გამოვფიხიზლდი, რადგან ამასთან დაკავშირებით დილის ნაამბობი მომაგონდა.

ბარკერის ღელე ტალახიანი გზის ბოლოში, მერიდიანიდან მომავალი შარაგზის გადაღმა მდებარეობს, ქალაქიდან ერთი მილის სავალზე. დღისით შარაგზაზე მოგზაურობა არ ჭირს – ან ბამბით დატვირთულ ურიკას მოაჯდები, ან მანქანას დაემგზავრები, მერე კი მდინარემდე იოლად მიხვალ, მაგრამ სიბნელეში უკან დაბრუნება დამღლელია და საცურაოდ წასული ხალხი ცდილობს, დროზე დაბრუნდეს უკან.

დილის მონაყოლი მიხედვით, ის და ჯემი შარაგზით ბრუნდებოდნენ შინ, როცა ატიკუსმა ჩაუქროლა. ისეთი სახით მჯდარა, თითქოს ბავშვები ვერც კი შეამჩნიაო. ბიჭებმა ხელი დაუქნიეს. როგორც იქნა, ატიკუსმა სვლა შეანელა. დილი და ჯემი რომ წამოეწივნენ, ატიკუსს უთქვამს – ჯობს სხვა მანქანას დაემგზავროთ, ჩვენ ალბათ კარგა ხანს ვერ მოვბრუნდებით უკანო. უკანა სკამზე კელპურნია მჯდარა.

ჯემი აუტყდა – გინდა თუ არა, გამოგყვებითო, და ატიკუსს უთქვამს – კარგი, თუ მანქანაში დაგველოდებით, ჩასხედითო.

სანამ ტომ რობინსონის სახლს მიადგებოდნენ, ატიკუსმა ბიჭებს შეატყობინა, რაც მოხდა.

გზატკეცილიდან გადაუხვიეს, ნელა ჩაიარეს სანაგვესთან და იუველების კარ-მიდამოს გასცდნენ, მერე კი ვიწრო შარას შეუყვანენ და ზანგების დასახლებაში შევიდნენ. დილმა მითხრა – ტომის სახლის წინ რამდენიმე შავკანიანი ბავშვი კენჭობანას თამაშობდაო. ატიკუსმა მანქანა დააყენა და გადავიდა, კელპურნიაც მიჰყვა და ეზოში შევიდნენ.

დილმა გაიგონა, როგორ ჰკითხა ატიკუსმა ერთ-ერთ ბავშვს – სემ, დედაშენი სად არისო? სემმა მიუგო – ქვემოთაა, მის სტეფანისთან, მისტერ ფინჩ, გავიქცევი, დავუძახებო. ატიკუსი ჯერ შეყოყმანებულა, მერე კი უთქვამს – კარგი, წადიო. სემი ადგილს მოსწყდა და გავარდა. განაგრძეთ თამაში, ბიჭებო, – უთქვამს ბავშვებისთვის ატიკუსს.

პატარა გოგონა ქოხის კარებში გამომდგარა და ატიკუსს მიშტერებოდა. დილმა მითხრა – თავი უამრავი წვრილ-წვრილი ნაწნავით ჰქონდა დაფარული, ყველა ნაწნავის ბოლოზე ჭრელი ბაფთა ეკეთაო. ლამის პირი გახეოდა, ისე ულიმოდა ატიკუსს და ნელა მიდიოდა მისკენო, მაგრამ ისეთი პატარა ყოფილა, ძლივს დაბაჯბაჯებდა. დილმა მითხრა – ატიკუსი მიუახლოვდა, ქუდი მოუხადა და თითი გაუწოდაო. გოგონა თურმე თითში ჩააფრინდა და გაბედულად ჩამოვიდა კიბეზე. მერე ატიკუსმა გოგონა კელპურნიას ჩააბარაო.

მალე ელენიც გამოჩნდა, დედის ზურგს უკან სემი მოკუნტრუშობდა. დილმა მითხრა, ელენი ატიკუსს მიესალმა – სალამო მშვიდობისა, მისტერ ფინჩ, ხომ არ დაბრძანდებითო? მაგრამ მეტი აღარაფერი უთქვამს, არც ატიკუსს გაუღია ხმაო.

– ჭყიტა, – მითხრა დილმა, – ელენი პირდაპირ მიწაზე გაიშხლართა! მიწაზე დაეცა, გეგონებოდა, გოლიათმა დაადგა ფეხიო. უცებ – პოპ! – აქ დილმა მიწას პუტკუნა ფეხი დაჰკრა, – აი, როგორც ჭიანჭველას ვსრისავთ ხოლმე, ისე.

დილმა მითხრა, კელპურნიამ და ატიკუსმა ელენი წამოაყენეს და თითქმის მიათრიეს ქოხამდეო. ქოხში კარგა ხანს დარჩნენ და მერე მარტო ატიკუსი გამოვიდაო. როცა უკან წამოსულან, სანაგვისკენ, იუველების ბავშვები თურმე რაღაცას მოსძახოდნენ, ოღონდ დილს ვერ გაუგია – რას.

ტომის დაღუპვით მეიკომელებმა ორიოდე დღით შეიქციეს თავი. ორი დღე საკმარისი აღმოჩნდა, რათა ეს ამბავი მთელ ჩვენს ოლქს შეეტყო. "გაიგეთ?.. არა?.. ამბობენ, ელვის სისწრაფით გარბოდაო..." მეიკომისთვის ტომის დაღუპვაში უჩვეულო არაფერი იყო. ზანგებისთვის ჩვეულებრივი ამბავია ვიღაცის დაჭრა და გაქცევა. შავკანიანის ფსიქოლოგიისთვის დამახასიათებელია დაუგეგმავი, ნინდაუხედავი მოქმედება – ბრმა გაქცევა პირველივე ხელსაყრელი შემთხვევისას... "სასაცილო არაა, ატიკუს ფინჩს შეიძლება გაეთავისუფლებინა კიდევაც, მაგრამ – ლოდინი?! – ჯანდაბას ლოდინი! ხომ იცით, როგორაა ეგ ხალხი მოწყობილი... შემთხვევით მოსულები შემთხვევითვე მიდიან ამ ქვეყნიდან..." აი, კიდევ ერთი მაგალითიც: "ეგ ტომ რობინსონი, ამბობენ, ოფიციალურად ყოფილა ჯვარდაწერილი, ამბობენ – სუფთად იცვამდა, ეკლესიაშიც დადიოდა და ყველაფერს წესიერად აკეთებდაო, მაგრამ როცა საქ-

მე საქმეზე მიდგა, ნამდვილი სახეც გამოაჩინა... შავკანიანი თავის ბუნებას სად გაექცევა?.."

კიდევ რამდენიმე დეტალი, რომელსაც მთხრობელი თავისი გემოვნებით ამდიდრებდა და ბოლოს სალაპარაკოც აღარაფერი დარჩა, სანამ ხუთშაბათს მორიგი "მეიკომ ტრიბუნი" არ გამოვიდა. შავკანიანების "ახალ ამბებში" მოკლე ნეკროლოგი მოეთავსებინათ, რედაქტორმა ამ საკითხს მოწინავე სტატიაც მიუძღვნა.

მისტერ ანდერვუდი ამ სტატიაში თავშეუკავებლად ენამწარობდა და აშკარად არად დაგიდევდათ, თუ ამით ხელის მომწერთა მნიშვნელოვან ნაწილს დაკარგავდა (მაგრამ მეიკომელები როდი აჰყვნენ მისტერ ანდერვუდს – დაე, მისტერ ანდერვუდმა ხმის ჩაწყვეტამდე იღრიალოს და წეროს, რაც ენაზე მოადგება, რას იზამ – თუ მაინცდამაინც უნდა, საკუთარ გაზეთში თავი გაიმასხარაოს, ესეც მისი ნებაა, ამბობდნენ ისინი).

თავის წერილში მისტერ ანდერვუდი მართლმსაჯულების ნაკლოვანებებს როდი შეეხებოდა. იგი ისეთი ენით წერდა, ბავშვსაც არ გაუძნელდებოდა მისი გაგება. მისტერ ანდრევუდი დამაჯერებლად ასაბუთებდა, რომ ხეიბრის მოკვლა ნებისმიერ ვითარებაში ცოდვაა – იმისდა მიუხედავად, ეს ხეიბარი ზის, დგას, თუ გარბის. ტომის მკვლელობა მან ბავშვებისა და მონადირეების მიერ უწყინარი მგალობელი ფრინველების ხოცვას შეადარა. მეიკომელებმა კი გაიფიქრეს – მისტერ ანდერვუდმა ისეთი პოეტური სტატიის შეთხზვა მოინადინა, რომელსაც უთუოდ სიამოვნებით დაბეჭდავდა "მონტგომერი ედვერტაიზერიცო"...

ვკითხულობდი მისტერ ანდერვუდის სტატიას და ჩემთვის ვფიქრობდი – ნეტა, მაინც როგორ მოხდა-მეთქი ეს ყველაფერი? შემთხვევითი მკვლელობა? კი მაგრამ, სანამ მოკლავდნენ, ტომის საქმე ხომ კანონიერმა სასამართლომ განიხილა? საჯაროდ დაჰკითხეს და თორმეტმა ნესიერმა და პატიოსანმა კაცმა სიკვდილი მიუსაჯა. მამაჩემი ბოლომდე ცდილობდა მის დაცვას... და უცებ, მისტერ ანდერვუდის მოსაზრება ჩემთვის ნათელი გახდა: ატიკუსმა ყველა ხელმისაწვდომ ხერხს მიმართა, რათა მსაჯულებისთვის თვალი აეხილა და ტომის გათავისუფლება გაეიოლებინა; მაგრამ ადამიანთა გულების იდუმალ სასამართლოსთან ატიკუსს ხელი აღარ მიუწვდებოდა... ტომი განწირული კაცი იყო იმ წუთიდან, რა წუთსაც მეიელა იუველმა პირველად გააღო პირი გასაკილად.

იუველის გვარის გახსენებაზე კინაღამ გული ამერია. მეიკომი კი ტყუილად როდი კარგავდა დროს – მთელ ქალაქს ერთბაშად მოედო მისტერ იუველის მოსაზრება ტომის დაღუპვასთან დაკავშირებით. ამ ამბავმა სწრაფად შემოაღწია ბრიტანული ჭორის სრუტეშიც და ჩეენამდე მის სტეფანის პირით მოვიდა. მის სტეფანიმ მამიდა ალექსანდრას ჯემის თანდასწრებით შეატყობინა (კარგი ერთი, ალექსანდრა, უკვე იმხელაა, არაფერი უჭირს, მოუსმინოსო, უთხრა მამიდას ჯემზე) მისტერ იუველის ნათქვამი. მისტერ იუველს უთქვამს – ეს პირველია. ამ ამბავს კიდევ ორი ან მეტი ადამიანი შეეწირებაო. ჯემმა მითხრა – მიში ნუ გაქვს, მისტერ იუველი სულ ტყუილად ბაქიბუქობს, მაგრამ შენ თუ ატიკუსს აგრძნობინებ, ეს რომ იცი, პირადად მე აღარასოდეს ხმას აღარ გაგცემო.

26

სასწავლო წელი დაიწყო და მასთან ერთად რედლების ეზოსთან სიარულიც განვაახლეთ. ჯემი მეშვიდე კლასში გადავიდა და უფროსკლასელთათვის განკუთვნილ ცალკე შენობაში სწავლობდა. მე მესამე კლასში ვიყავი, ასე რომ, ჩვენი გზები გაიყო: სკოლაში მხოლოდ დილაობით მივდიოდით ერთად, დღის განმავლობაში კი მარტო სუფრასთან ეხვდებოდით ერთმანეთს. ჯემი ფეხბურთის ნრეში ჩაეწერა, მაგრამ ჯერ ისეთი გაკნაჭული და პატარა იყო, გუნდისთვის მარტო წყლის მზიდავად ვარგოდა; თუმცა ამასაც დიდი ხალისით აკეთებდა – დაათრევდა ვედროებით წყალს და თითქმის დაღამებამდე აღარ შემოდიოდა შინ.

რედლების კარ-მიდამო შიშის ზარს აღარ მცემდა, მიუხედავად იმისა, რომ ვეება მუხებით დაჩრდილული ეზო კვლავინდებურად მოჯამული, პირქუში და უკაცრიელი ჩანდა. ულრუბლო ამინდში ნათან რედლისაც მოვკრავდით ხოლმე თვალს – ქალაქიდან შინისკენ მიმავალს. ბუა რედლიც, ჩვენი ვარაუდით, ცოცხალი უნდა ყოფილიყო (ისევ იმ ძველი თვალსაზრისის გამო: არავის არ დაუნახავს, ბუა სახლიდან გამოესვენებინოთო).

ზოგჯერ, ამ სახლთან ჩავლისას, სინდისის ქენჯნას განივცდიდი იმის გამო, რომ ოდესღაც არტურ რედლის ნვალებაში მივიღე მონანი-

ლეობა; აბა, წარმოიდგინეთ, რას უნდა განიცდიდეს განდეგილი, როცა ბავშვები ფანჯრებში უჭვრიტინებდნენ, გადასცემენ ანკესის წვერზე წამოცმულ ბარათებს და ღამღამობით მის ბოსტანში დაბორიალებენ!

მაგრამ არც ის დამვიწყებია, როგორ ვიპოვეთ ორი პენიანი ინდიელის თავის გამოსახულებით, კევი, საპნის თოჯინები, დაჟანგული მედალი, გაფუჭებული საათი და ძენკვი. ეს ნივთები ჯემმა ალბათ სადღაც შეინახა... ერთ შუადღეს ფუღუროსთან შევდექი და დავაკვირდი: ცემენტით ამოვსებული ფუღუროს გარშემო ხის ქერქი გამობურცულიყო, თვითონ ფუღუროს კი მოყვითალო ფერი დასდებოდა.

ბუა რედლის ორჯერ თითქმის კი შევავლეთ თვალი – ვინ არ იამაყებს ამით!

თუმცა, არც იმის იმედს ვკარგავდი, რომ ერთხელ მართლაც დავინახავდი თავის აივანზე გამოსულს. აი, როგორ წარმომედგინა ბუასთან შეხვედრა: როცა მის სახლს ჩავუვლი, მისტერ არტური საქანელაზე იჯდება. – სალამი, მისტერ არტურ! – ვეტყვი უბრალოდ, ვითომ მთელი ცხოვრება ასე ვეგებებოდე. – საღამო მშვიდობისა, – მომიგებს ბუა, ვითომ ყოველ ნაშუადღევს ასე მესალმებოდეს, – რა მშვენიერი ამინდი დაგვიდგა, არა? – დიახ, სერ, მართლაც რომ მშვენიერია-მეთქი, – ვეტყვი და ჩავივლი.

მაგრამ ეს ყველაფერი ფუჭი ოცნებაა: ჩვენ მას ვერასოდეს ვერ ვნახავთ. იქნებ, უმთვარო ღამით ის მართლაც გამოდის ხოლმე და მის სტეფანი კროუფორდს უჭვრეტს? ბუას ადგილზე მე სხვა ვინმეს ავირჩევდი სათვალთვალოდ. თუმცა, ბუამ თავისი საქმე უკეთ იცის... აი, ჩვენ კი არასოდეს არ შემოგვხედავს!..

– შენ რა, ხომ არ გინდა, ყველაფერი თავიდან დაიწყო? – მკითხა ერთ საღამოს ატიკუსმა, როცა მოულოდნელად განვუცხადე – ისე როგორ უნდა მოვკვდე, ბუა ერთხელ მაინც რომ არ ვნახო-მეთქი; თუ რამე ეგეთს აპირებ, აი, რას გეტყვი: ახლავე ამოიგდე თავიდან, – მითხრა მამამ, – მე უკვე ბებერი ვარ, და შენ თუ რედლების ეზოში ბორიალი მოგეპრიანება, კუდში ვერა გდევ, გარდა ამისა, ეს, უბრალოდ, სახიფათოა, შეიძლება მოგკლან, შენც კარგად იცი, მისტერ ნათანი თავის ბაღში აჩრდილებსაც კი ესვრის თოფს, ისეთ აჩრდილებსაც, რომლებიც ბოსტანში ოცდაათ ნომერ შიშველი ფეხის ანაბეჭდებს ტოვებენ... შენი ბედი, მაშინ რომ გადაურჩი!

ეს იყო და ეს, ამ თემაზე მეტი კრინტი აღარ დამიძრავს. აი, ატიკუსმა კი მართლაც აღმაფრთოვანა: ცხოვრებაში პირველად გვაგრძნობინა, რამდენად მეტი სცოდნია, ვიდრე ჩვენ გვეგონა, და თანაც, ვინ იცის, რამდენი ნელი გავიდა მას მერე. თუმცა არა, ეს ხომ გასულ ზაფხულს მოხდა? გასულ ზაფხულს, თუ იმის წინა ზაფხულს, როცა... არა, დრო რაღაც უშნო ოინებს მიწყობს... არ დამავიწყდეს, ჯემს უნდა ვკითხო, მაინც, როდის იყო ეს ყველაფერი?!

ბოლო ხანებში იმდენი რამ დაგვატყდა თავს, ბუა რედლი იმასთან არაფრად გვეჩვენებოდა. ატიკუსმა გვითხრა – მეტი რაღა უნდა შეგვემთხვას? დრო გადის, ყველაფერი თავ-თავის ადგილზე ლაგდება, ცოტა ხანში ტომი რობინსონის სახელი აღარავის ემახსოვრება და იმ ამბავსაც სამუდამოდ დაივიწყებენო.

იქნებ ატიკუსი მართალიც იყო, მაგრამ ზაფხულის უსიამოვნო მოგონებები დახშულ ოთახში დაგუბებული კვამლივით აღარ გაიფანტა. მეიკომელი უფროსები მე და ჯემს ამ თემაზე არასოდეს არ გველაპარაკებოდნენ. მაგრამ შვილებს კი, ეტყობა, არაერთხელ ესაუბრნენ და ასეთი დასკვნა გამოიტანეს – რა მაგათი ბრალია, თუ ატიკუსის შვილები არიანო. ასე რომ, ბავშვები, ყველაფრის მიუხედავად, თავაზიანად უნდა მოგვპყრობოდნენ. მშობლების ჩაურევლად, ბავშვები ასეთ გადაწყვეტილებას ვერასგზით ვერ მიიღებდნენ. დარწმუნებული ვარ, უფროსები რომ არა, მე და ჯემს ერთი ორჯერ მსუბუქად შემოგველახებოდა რომელიმე ჩვენი თანაკლასელი და ყველაფერი ამით დამთავრდებოდა. ახლა კი ისღა დაგვრჩენოდა, თავი მაღლა აგვეწია და ისე მოვქცეულიყავით, როგორც ნამდვილ ლედისა და ჯენტლმენს შეეფერებათ. ეს დრო რაღაცით მისიზ ჰენრი-ლაფაეტ დუბოუზის ხანას მაგონებდა.. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად თავს არავინ დაგვჩხაოდა. მაგრამ მოხდა ერთი უცნაური ამბავი, რომლის ახსნის უნარი მე არ შემწევდა. იმისდა მიუხედავად, რომ ატიკუსს, როგორც მშობელს, უამრავ ნაკლს მიაწერდნენ, იმ წელიწადს, ისევე, როგორც ადრე, ყველა ერთსულოვნად იყო მოწადინებული, შტატების საკანონმდებლო ორგანოში სწორედ მამაჩვენი აერჩიათ და არა სხვა ვინმე. მაინც, რა ახირებული ხალხია ეს მეიკომელები-მეთქი, გავიფიქრე და გადავწყვიტე, მათზე აღარ მეფიქრა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მაინც მომიწია ამაზე დაფიქრებამ.

ეს მოხდა სკოლაში.

კვირაში ერთხელ "უკანასკნელი ცნობების" მომზადება გვევალებოდა. ყოველ ბავშვს გაზეთიდან რაიმე ისეთი ცნობა უნდა ამოეჭრა და დაესწავლა, სადაც მსოფლიოში მიმდინარე ამბებზე იქნებოდა საუბარი. დასწავლილი ამბავი ბავშვს მერე კლასში უნდა მოეყოლა. ვარაუდობენ, რომ ამ ხერხის გამოყენება რამდენიმე თვალსაზრისითაა სასარგებლო: კლასის წინაშე გამოსვლისას, ბავშვს თავდაჭერისა და სწორად დგომის ჩვევა უმუშავდება; მოკლე ინფორმაციის გადმოცემა სიტყვის სწორად შერჩევისა და დაკვირვების უნარს უვითარებს; "უკანასკნელი ცნობების" დასწავლა მეხსიერებას ავარჯიშებს; ხოლო მარტოობის გრძნობა, რომელიც ბავშვს თანაკლასელების წინაშე განმარტოებით დგომისას ეუფლება, აუცილებლად წარმოშობს კოლექტივში დაბრუნების ადრინდელზე უფრო მძაფრ სურვილს.

ვერაფერს იტყვი – იდეა დიდებულია, მაგრამ მეიკომში ამან ფეხი ვერ მოიკიდა (ისევე, როგორც ბევრმა სხვა რამემ). ჯერ ერთი, სოფლელი ბავშვებისთვის გაზეთი ხშირად მიუწვდომელი იყო. ამდენად, "უკანასკნელი ცნობების" დასწავლის მთელი სიმძიმე უმთავრესად ქალაქელი ბავშვების კისერზე გადადიოდა. სოფლელი ბავშვების ნაწილს ლიბერალური გაზეთიდან ამოჭრილი სტატიები მოჰქონდა – როგორც ჩანს, მხოლოდ იმ გაზეთის შოვნა შეეძლოთ. მაგრამ ჩვენი მასწავლებლის, მის გეიტსის აზრით, ეს იყო მდარე ინფორმაციის წყარო. ზუსტად ვერ გეტყვით, რატომ იღუშებოდა ხოლმე ჩვენი მასწავლებელი, როცა რომელიმე სოფლელი მოსწავლე ამ გაზეთიდან ჰყვებოდა სტატიას, მაგრამ ჩემი აზრით, ამას რაღაც კავშირი ჰქონდა მსუბუქ მუსიკასთან, არშიყობასთან, ბადაგმოსხმული ნამცხვრებისა და ფუნთუშების ჭამასთან და იმ ყაიდის ხალხთან, რომელსაც საშაირო ჰანგების დამღერება უყვარს; ანუ ყოველივე იმასთან, რისი დაგმობისკენაც მოუწოდებდა და ჯამაგირს უხდიდა მასწავლებლებს მთავრობა.

ასე იყო თუ ისე, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, ბავშვებს არ ესმოდათ "უკანასკნელი ცნობების" აზრი. და აი, ჩემი თანაკლასელი – ნრიპა, რომელმაც თავისი ხუთი თითივით იცოდა საქონლის ასავალ-დასავალი, იდგა ახლა მთელი კლასის წინაშე და ჰყვებოდა რაღაცას ვიღაც "მისტერ ნეტრელზე". უცებ მის გეიტსმა შეანყვეტინა და უთხრა:

– ჩარლზ, ეგ ხომ "უკანასკნელი ცნობა" არაა. ესაა განცხადება.

სამაგიეროდ, სესილ ჯეიკობსი კარგად ერკვეოდა "უკანასკნელი ცნობების" რაობაში და როცა მისი ჯერი მოვიდა, დადგა კლასის წინ და დაიწყო:

– ბებერი ჰიტლერი...

– ადოლფ ჰიტლერი, სესილ, – გაუსწორა მის გეიტსმა, – თხრობას არასოდეს იწყებენ ასე: ბებერი ვილაცაო.

– დიახ, მემ, – მიუგო სესილმა, – ბებერი ადოლფ ჰიტლერი სდევს ებ..

– სდევნის, სესილ...

– არა, მის გეიტს, აქ წერია... თუმცა, სულ ერთია: ბებერი ადოლფ ჰიტლერი ებრაელებს დაერია, ამწყვდევს ციხეში და მთელ ქონებას ართმევს და არ აძლევს ქვეყნიდან წასვლის ნებას და უნდა, რომ ყველა გონებასუსტი განწმინდოს...

– გონებასუსტებისგან განწმინდოს ქვეყანა?

– დიახ, მემ, მის გეიტს, მე მგონი, იმდენი ჭკუა არ პყოფნით, თვითონ განიწმინდონ, აბა, სად შეუძლია იდიოტს, თავისი თავი რო განიწმინდოს? დიახ, და ჰიტლერმა შეიმუშავა პროგრამა ნახევრად ებრაელების თავიდან მოსაშორებლად. უნდა, რომ რეგისტრაცია ჩაატაროს – ეშინია, ვინმემ რამე მახე არ დამიგოსო, და მე ვფიქრობ, რომ ეს ძალიან ცუდი ამბავია. აი, ესაა ჩემი "უკანასკნელი ცნობა".

– ძალიან კარგი, – უთხრა მის გეიტსმა, – სესილი ქმენა-ქმენით გაეშურა თავისი მერხისკენ.

ბოლო რიგიდან ვილაცამ ხელი ასწია.

– ასეთ რამეს როგორ სჩადის?

– ვინ – რას, გენაცვალე? – მოთმინებით ჰკითხა მის გეიტსმა.

– ვინა და, ჰიტლერი, მასწავლებელო, როგორ შეიძლება ამდენი ადამიანის დაპატიმრება? მთავრობა ვერ დაუშლის? – იკითხა ხელის ამწევმა.

– მთავრობა თვითონაა ჰიტლერი, – მიუგო მის გეიტსმა და მაშინვე ისარგებლა შემთხვევით, რათა სწავლების პროცესი დინამიკური გაეხადა: დაფისკენ გაემართა და უშველებელი ასოებით გამოწერა სიტყვა "დემოკრატია".

– "დემოკრატია", – გვითხრა მან, – ვინმემ თუ იცის, რას ნიშნავს "დემოკრატია"?

– ჩვენ, – გაისმა ხმა.

მე ხელი ავწიე, რადგან ერთი ძველი კამპანიის სლოგანი მომაგონდა, ოდესლაც ატიკუსისგან რომ მსმენოდა და ხელი ავწიე.

– აბა, ჯინ ლუიზა, შენი აზრით, რას უნდა ნიშნავდეს "დემოკრატია"?

– "თანასწორუფლებიანობა ყველას, განსაკუთრებული პრივილეგიები – არავის", – ვუთხარი მე.

– ძალიან კარგი, ჯინ ლუიზა, ძალიან კარგი, – მის გეიტსს გაეღიმა. "დემოკრატიის" წინ, დაფაზე მან ბეჭდური ასოებით გამოიყვანა: "ჩვენს ქვეყანაშია"...

– აბა, მთელმა კლასმა ერთად გაიმეორეთ: "ჩვენს ქვეყანაშია დემოკრატია".

ჩვენც გავიმეორეთ. მერე მის გეიტსმა გვითხრა:

– სწორედ ეს განასხვავებს ამერიკას გერმანიისგან, ჩვენს სახელმწიფოში დემოკრატიაა, გერმანიაში კი დიქტატურა. დიქ-ტა-ტუ-რა, – გაიმეორა მან, – აქ, ჩვენში, არავის არ სდევნიან. დევნა ცრუმორწმუნე ხალხმა იცის. ცრუ-მორ-წმუ-ნე, – გარკვევით წარმოთქვა მან, – ებრაელებზე უკეთესი ხალხი არ მეგულება, ამიტომ არ მესმის, რატომ იქცევა ჰიტლერი ასე...

ვიღაცას ცნობისმოყვარეობამ სძლია და ჰკითხა:

– მის გეიტს, როგორ ფიქრობთ, რატომ არ უყვართ ებრაელები?

– არ ვიცი, ჰენრი. სადაც კი უცხოვრიათ, ებრაელებს ყოველთვის თავისი წვლილი შეჰქონდათ საზოგადოების განვითარებაში, თანაც, ისინი ღრმად მორწმუნე ხალხია... ჰიტლერი რელიგიის განადგურებას ცდილობს და შეიძლება ამიტომაც არ უყვარს ებრაელები...

ამჯერად ისევ სესილმა აღიმაღლა ხმა:

– დანამდვილებით არ ვიცი, მაგრამ მგონი, ფულის გამოცვლა, თუ რაღაცა ეგეთი უნდათ, – თქვა მან, – მაგრამ ეგ რა მიზეზია მათი დევნისთვის? ებრაელები ხომ თეთრკანიანები არიან?

მისიზ გეიტსმა მიუგო:

– როცა მაღალ კლასებში გადახვალთ, სესილ, თქვენ ისწავლით, რომ ებრაელებს სამყაროს დასაბამიდან სდევნიდნენ, ჯერ კიდევ მათივე მშობლიური მიწიდან. ესაა კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე შემზარავი ფაქტი.

– ახლა კი არითმეტიკის დრო მოვიდა, ბავშვებო.

არითმეტიკა მაინცადამაინც არასოდეს მაინტერესებდა, ამიტომ ფანჯარაში ყურებით შევიქციე თავი. ატიკუსი ერთადერთხელ ვნახე აღშფოთებული, მაშინ, როცა ელმერ დევისი რადიოთი უკანასკნელ ცნობებს გადმოსცემდა ჰიტლერზე. ატიკუსმა სასწრაფოდ გამორთო რადიო და შესძახა: – ფუი! ერთხელაც ვკითხე, ჰიტლერს ასე რატომ ვერ იტან-მეთქი, და მომიგო – იმიტომ, რომ ჰიტლერი მანიაკიაო.

– არა, ეს არ გამოდის, – ვფიქრობდი ჩემთვის, ვიდრე კლასი მაგალითების გამოყვანით იყო გართული, – მანიაკი ერთია, გერმანელი ადამიანები კი მილიონობით. როგორ აძლევენ ამდენი ხალხის დაპატიმრების ნებას? არ ურჩევნიათ, თვითონ ჰიტლერი ჩასვან ციხეში? მაგრამ ეტყობა, იქ სხვა საკითხებიცაა მოსაგვარებელი... ამას მამას ვკითხავ-მეთქი, გადავწყვიტე.

საღამოს ასეც მოვიქეცი, და მამამ მომიგო – ვერაფერს გეტყვი, იმიტომ რომ მაგ კითხვაზე მეც ვერ გამიცია პასუხიო.

– მაგრამ ჰიტლერი ხომ უნდა გვძულდეს?

– არა, – მითხრა მამამ, – საერთოდ არავინ არ უნდა გვძულდეს.

– ატიკუს, ერთი რამე ვერ გამიგია, – ვუთხარი მე, – მის გეიტსმა გვითხრა, რომ ეს საშინელებაა, რომ ჰიტლერი არ უნდა სჩადიოდეს იმას, რასაც სჩადის, სახეზედაც კი წამოწითლდა, როცა ამას ამბობდა.

– სავსებით ბუნებრივია.

– ჰო, მაგრამ...

– მაგრამ რა?

– არაფერი, სერ, – ვუთხარი და ოთახიდან გავედი. დარწმუნებული არ ვიყავი, შევძლებდი თუ არა ატიკუსისთვის ჩემი ფიქრების ახსნას, იმას, რასაც ბუნდოვნად ვგრძნობდი და ვერ გამოვთქვამდი. იქნებ, ჯემი მომეხმაროს ამის გარკვევაში? სკოლის ამბები ჯემს ატიკუსზე უკეთ ესმის.

ჯემი გასავათებული იყო – მთელი დღე უზიდავდა წყალს ფეხბურთელებს. სანოლთან, იატაკზე, დაცლილი რძის ბოთლის გარშემო, სულ ცოტა, თორმეტი ბანანის ქერქი მაინც ეგდო.

– ეს რა ამბავი დაგიწევია? – ვკითხე მე.

– მნვრთნელმა მითხრა – თუ წლის ბოლოსთვის წონაში ოცდახუთ ფუნტამდე მოიმატებ, თამაში შეგეძლებაო, – მაცნობა ჯემმა, – ეს ხერხი კი ყველაზე შედეგიანი და სწრაფია.

– ოღონდ ნუ დაანაგვიანებ ყველაფერს. ჯემ, რაღაცა მინდა გკითხო, – ვუთხარი მე.

– მიდი, გისმენ, – მითხრა მან, წიგნი ძირს დადო და ფეხები გაშალა.

– მის გეიტსი კარგი ქალია, არა?

– აბა რა, – მომიგო ჯემმა, – ძალიან მომწონდა, როცა მასწავლიდა.

– ჰიტლერი საშინლად სძულს...

– მერე, რა გიკვირს?

– იცი რა, დღეს გვიყვებოდა, რა ცუდად იქცევა ჰიტლერი, ებრაელებს რომ სდევნის... ჯემ, საერთოდ, არავისი დევნა არ არის კარგი, ხომ მართალია? რას ვამბობ, იცი, ფიქრადაც არ უნდა გაივლო ასეთი რამე, ხომ მართალია?

– რა თქმა უნდა, ჭყიტა. თქვი, რა გაწუხებს.

– გეტყვი, იმ ღამით, სასამართლოდან რომ ვბრუნდებოდით, მის გეიტსი... კიბეზე ჩვენ წინ ჩადიოდა, შენ შეიძლება ვერ დაინახე, მის სტეფანი კროუფორდს ელაპარაკებოდა; ჰოდა, გავიგონე, როგორ ეუბნებოდა – დროა, ვინმემ ერთი კარგი გაკვეთილი ჩაუტაროს მაგათ, თორემ ძალიან გაუვიდათ თავს, ცოტაც და, თეთრკანიანი ქალების ცოლად შერთვას მოინდომებენო. ჯემ, განა შეიძლება, ასე გძულდეს ჰიტლერი, მეორე წუთში კი მობრუნდე და ასე საზიზღრად ილაპარაკო აქაურებზე, შენიანებზე...

ჯემმა უცებ იფეთქა: საწოლიდან ისკუპა, საყელოში ჩამაფრინდა და შემანჯღრია.

– მეტი აღარ გავიგონო იმ სასამართლოს ხსენება – აღარასოდეს, აღარასოდეს, გესმის?! გესმის, რას ვამბობ? ცხოვრებაში სიტყვა აღარ მითხრა მაგაზე, გესმის თუ არა? ახლა მომწყდი თავიდან!

ისე გავოგნდი, ტირილი არც კი გამხსენებია. ჯემის ოთახიდან გამოვიძურწე და ჩუმად გავიხურე კარი. მეშინოდა, ხმაურზე ისევ არ ამხტარიყო. ერთბაშად კისერი მომწყდა და ატიკუსი მომენატრა. მამა სასტუმრო ოთახში იჯდა, მივედი და მის კალთაში ჩაჯდომა ვცადე.

ატიკუსს გაეღიმა. უკვე ისე გაიზარდე, მარტო ნანილობრივ თუ ჩაგისვამ კალთაშიო, – მითხრა და ჩამიხუტა. ჭყიტა, – მითხრა ხმადაბლა, – მოუთმინე ჯემს, იცი, ახლა ძალიან ცუდ დღეშია. გავიგონე, როგორ გიღრიალა...

ატიკუსმა მითხრა – ჯემს ძალიან უნდა, როგორმე დაივიწყოს რაღაცა, მაგრამ არ გამოსდის. მარტო დროებით ახერხებს დავიწყებას და სანამ კარგა ხანი არ გავა, თავს ვერ მოერევა. აი, მერე კი შეეძლება მშვიდად ფიქრი და ყველაფერს დინჯად აწონ-დაწონის კიდეც. როცა ამას მოახერხებს, ჯემი ისევ ნამდვილი ჯემი იქნებაო.

27

ატიკუსის თქმისა არ იყოს, ყველაფერი მართლაც თავ-თავის ადგილზე დალაგდა და ცხოვრება ჩვეული დინებით წარიმართა, თუ არ ჩავთვლით ორ უჩვეულო ამბავს, რომელიც ორ მეიკომელს შეემთხვა. თუმცა, ორს კი არა, სამს, და მართალია, არც ერთი უშუალოდ ჩვენ არ გვეხებოდა, მაინც სამივეს ჰქონდა ერთგვარი კავშირი ფინჩებთან.

პირველი ისაა, რომ მისტერ ბობ იუველმა მოიპოვა და სულ რამდენიმე დღეში დაკარგა სამუშაო – გაუგონარი ამბავი ოცდაათიანი წლების ამერიკისთვის! მისტერ იუველი ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც სიზარმაცისთვის დაითხოვეს სამსახურიდან. მოულოდნელად მოხვეჭილმა ხანმოკლე წარმატებამ, როგორც ჩანს, მისტერ იუველში გულმოდგინების კიდევ უფრო ხანმოკლე აფეთქება გამოიწვია, თუმცა, სამუშაოც ისევე მალე დაკარგა, როგორც ქარის მოტანილი საეჭვო წარმატება. ტომ რობინსონისა არ იყოს, მისტერ იუველიც აღარავის ახსოვდა. ამიერიდან იგი განაახლებს ყოველკვირეული სახელმწიფო დახმარების მიღებას და საქველმოქმედო საზოგადოების სალაროსთან მდგომი, მადლობის ნაცვლად, წყევლა-კრულვას შეუთვლის "ყაჩაღებს, რომლებიც მართავენ ამ ქალაქს და წესიერ ხალხს პატიოსანი შრომის საშუალებას არ აძლევენ". სამსახურის დაკარგვას მისტერ იუველი თურმე საჯაროდ აბრალებდა ატიკუს ფინჩს. ამან იმდენად შეაშფოთა რუთ ჯოუნსი, მანდილოსანი, რომელსაც სახელმწიფო დახმარების გაცემა ევა-

ლებოდა, რომ იგი თავისი ფეხით ეახლა ატიკუსს სამსახურში და შეშფოთება გაუზიარა. ატიკუსმა მის რუთი დაამშვიდა და უთხრა – თუ მისტერ იუველს სურვილი აქვს, მესაუბროს "სამუშაოს ნართმევის" თაობაზე, მან მშვენივრად იცის, სადაც უნდა მიპოვოსო.

მეორე უჩვეულო ამბავი მოსამართლე ტეილორს შეემთხვა. მოსამართლე ტეილორი, თავისი მეუღლისგან განსხვავებით, კვირა საღამოს ეკლესიაში არ დაიარებოდა. მას ერჩივნა, ეს დრო მარტოს გაეტარებინა თავის უზარმაზარ სახლში. შეიყუჟებოდა კაბინეტში და მყუდროდ მოკალათებული კითხულობდა ბობ ტეილორის ჩანაწერებს (რომელიც, სამწუხაროდ, ნათესავად არ ერგებოდა, თორემ სიამოვნებით მოიწონებდა ამით თავს). ერთ ასეთ კვირა საღამოს მაღალფარდოვანი გამოთქმებითა და მეტაფორებით გატაცებულ მოსამართლეს გამაღიზიანებელი ფხაკუნი მოესმა. მან კითხვას თავი მიანება და ენ ტეილორს – გაურკვეველი ჯიშის ძაღლს – სიჩუმისკენ მოუწოდა. თუმცა, მალე მიხვდა, რომ ხმაური სახლის სიღრმიდან მოდიოდა. მოსამართლე ტეილორი წამოდგა, რათა ენი ეზოში გაეშვა და ამ დროს შენიშნა, რომ აივნის კარი გაღებული იყო. სახლის კუთხეში ვიღაცის ლანდსაც შეავლო თვალი, მაგრამ ვინ იყო, ვერ გაარჩია. ეკლესიიდან შინ მობრუნებულ მისიზ ტეილორს ქმარი კაბინეტში დახვდა. ბობ ტეილორის ჩანაწერებით გართული მოსამართლე სავარძელში იჯდა და მუხლებზე თოფი ედო.

მესამე შემთხვევა ელენ რობინსონს უკავშირდება. თუ მისტერ იუველი ხალხმა ისევე მიივიწყა, როგორც ტომ რობინსონი, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ტომ რობინსონი ისევე დაივიწყეს, როგორც ბუა რედლი. არ დავიწყებოდა ტომი მხოლოდ მისტერ ლინკ დიზს, რომელთანაც იგი ადრე მუშაობდა. მისტერ ლინკ დიზმა სამუშაო გამოუნახა ელენს. მართალია, ელენი მაინცდამაინც არაფერში სჭირდებოდა, მაგრამ როგორც თვითონ ამბობდა, გულზე ლოდივით აწვა ის ამბავი... მე არ ვიცი, ვინ უვლიდა ელენის ბავშვებს, სანამ იგი სახლში არ იყო. კელპურნიამ მითხრა – ელენს ძალიან უჭირს, იუველების სახლს რომ გვერდი აუაროს. ყოველ დილით ერთი მილით მეტს გადის სამსახურამდეო. თურმე, როცა ელენმა პირველად შარაგზით დააპირა მისტერ ლინკთან მისვლა, იუველებმა ქვები დაუშინეს. ბოლოს და ბოლოს, მისტერ ლინკ

დიზი მიხვედრილა, რომ ელენი დილაობით იქიდან არ მოდის, საიდანაც, ნესით, უნდა მოდიოდეს და ძალით ათქმევინა მიზეზი.

– მისტერ ლინკ, ძალიან გთხოვთ, სერ, დარჩეს ისე, როგორც არის, – შეევედრა თურმე ელენი.

– რას ჰქვია "დარჩეს ასე!" – აღშფოთებულა მისტერ ლინკი და ელენისთვის უბრძანებია, სამუშაოს მერე ჩემთან შემოიარეო. ელენი ასეც მოქცეულა.

მისტერ ლინკმა მაღაზია დაკეტა, ქუდი ჩამოიფხატა და ელენი სახლამდე მიაცილა – მიაცილა მოკლე გზით, იუველების გაელით. უკან მობრუნებული მისტერ ლინკი თურმე იუველების მონჯღრეულ ჭიშკართან შედგა და დაიყვირა – იუველ! იუველ-მეთქი!

ფანჯრებში, საიდანაც ყოველთვის უამრავი ბავშვი იჭყიტებოდა ხოლმე, ამჯერად ადამიანი არ ჭაჭანებდა.

– ვიცი, ყველანი მანდა ხართ, იატაკზე გაშოტილები! ბობ იუველ, აბა, კარგად მიგდე ყური! ერთხელ კიდევ დაგიშლია ელენისთვის ამ გზით სიარული და იმნამსვე ციხეში ამოყოფ თავს! – მისტერ ლინკმა აქ თურმე მიწას დააფურთხა და შინისკენ გასწია.

მეორე დილით ელენი უკვე შარაგზას დაადგა. კენჭებს აღარავინ უშენდა, მაგრამ როცა იუველების სახლს გასცდა, უკან მიუხედავს და მისტერ იუველი შეუნიშნავს, რომელიც თურმე კვალდაკვალ მიჰყვებოდა. ელენი შებრუნებულა და გზა გაუგრძელებია. მისტერ იუველიც მიჰყოლია. ასე უვლიათ, სანამ მისტერ ლინკ დიზის სახლს არ მიადგნენ. მისტერ იუველი თურმე მთელი გზის მანძილზე ჩუმ-ჩუმად იგინებოდა. ელენს უზომოდ შეშინებია და მისტერ ლინკისთვის მაღაზიაში დაურეკავს. მაღაზია სახლის მახლობლად იდგა.

როცა მისტერ ლინკი მოსულა, მისტერ იუველი ღობეზე მიყუდებული დახვედრია.

– რას მიყურებ, ლინკ დიზ, ისე, გეგონება, ჭუჭყი ვიყო? – უთქვამს მისტერ იუველს, – არ გეგონოს...

– პირველ რიგში, იუველ, შენი ამყრალებული ზურგი ჩემს ქონებას მოაშორე. რას მიჰყუდებიხარ, ხომ არა გგონია, ნარამარა შემიძლია მაგის შელებვა? მერე კი, იცი, რა უნდა ქნა? თავი უნდა გაანებო ჩემს მზარეულს, თორე ძალადობისთვის ციხეში ამოგაყოფინებ თავს.

– თითიც არ დამიკარებია, ლინკ დიზ, მე მურიანებთან საქმეს არ ვიჭერ!

– თითის დაკარება არცაა საჭირო, საკმარისია, ერთი შეაშინო. ეგონია, მაგისთვის არ ჩაგსვამენ? მაშინ იცოდე – მანდილოსნის შეურაცხყოფისთვის ნამდვილად გიკრავენ ციხეში თავს, ასე რომ, გამეცალე აქედან! ერთი კიდევ შეგიწუხებია ეგ გოგო და მერე ნახავ, რაც მოგივა!

ეტყობა, მისტერ იუველმა დაიჯერა, რომ არ ეხუმრებოდნენ, ყოველ შემთხვევაში, იმ დღიდან ელენს აღარ დაუჩივლია.

– არ მომწონს ეგ ამბავი, ატიკუს, ძალიან არ მომწონს, – თქვა ამ შემთხვევასთან დაკავშირებით მამიდა ალექსანდრამ, – ის კაცი, ეტყობა, მტრად გადაეკიდა ყველას, ვინც იმ პროცესში მონაწილეობა მიიღო. განა არ იცი, მაგ ყაიდის ხალხმა როგორი სამაგიეროს გადახდა იცის? მაგრამ მაინც ვერ გამიგია, რაღა აწუხებს – განაჩენი ხომ ისეთი გამოიტანეს, როგორიც მას უნდოდა?

– მე კი, მგონი, მესმის, რაც უნდა აწუხებდეს, – მიუგო ატიკუსმა, – ეგ იმის ბრალი უნდა იყოს, რომ იუველმა იცის: მისი და მეიელას მონაჩმახი თითო-ოროლა კაცის მეტს არავის დაუჯერებია. ეგონა – გმირად იქცეოდა, სინამდვილეში კი ამაოდ გაისარჯა. "კი, ბატონო", – უთხრეს მას, – "მაგ ზანგს განაჩენს გამოვუტანთ, ოღონდ შენ ისევ შენს ნაგავში მიბრძანდი". მე მგონი, უკვე ყველას შეეტაკა, ვისი ჯინიც სჭირდა და, წესით, დაკმაყოფილებულიც უნდა იყოს. თუ არა და, გავა დრო და დაწყნარდება.

– კი მაგრამ, ჯონ ტეილორის სახლს რაღას ერჩოდა? ალბათ არ იცოდა, რომ ტომი სახლში იყო, თორემ ამდენს ვერ გაბედავდა. კვირა საღამოს ჯონს მარტო თავის კაბინეტში და შემოსასვლელთან უნთია შუქი და ალბათ...

– არავინ არ იცის, მართლა იუველმა გააღო თუ არა ტეილორების სახლის უკანა კარი, დანამდვილებით არ შეიძლება იუველის დადანაშაულება, – უთხრა ატიკუსმა, – მაგრამ ჩემი აზრით, ასეა: თუ მე ის დავამტკიცე, რომ იუველი მატყუარაა, ჯონმა სულ მთლად ბრიყვად შერაცხა. სანამ იუველი ჩვენებას იძლეოდა, ტეილორისკენ გახედვისაც კი მეშინოდა – სიცილი არ წამსკდეს-მეთქი. ჯონი ისეთი გამომეტყველებით

მისჩერებოდა, გეგონებოდა, სამფეხა ქათამი ან კვადრატული კვერცხი უდგას წინო! ნურავინ იტყვის, რომ მოსამართლეები არ ცდილობენ მსაჯულების მიმხრობას, – ჩაეცინა ატიკუსს.

ოქტომბრის ბოლოსთვის ჩვენი ცხოვრება უკვე ჩვეული დინებით მიდიოდა: სკოლა, თამაში, მეცადინეობა... ჯემმაც თითქოს მართლა ამოიგდო თავიდან ის, რის დავიწყებასაც ასე ცდილობდა და ჩვენმა თანაკლასელებმაც მოწყალება მოიღეს და აღარ გვახსენებდნენ მამაჩვენის "უცნაურობებს". ერთხელ სესილ ჯეიკობსმა მკითხა – მამაშენი რადიკალი ხომ არ არისო. როცა ამის შესახებ ატიკუსს ვკითხე, მამა ისე გამხიარულდა, თავი უხერხულად ვიგრძენი. მაგრამ ატიკუსმა ამიხსნა, შენ არ დაგცინიო, და დამაბარა – სესილ ჯეიკობსს უთხარი, რომ მე ისეთივე რადიკალი ვარ, როგორც ნებისმიერი სოფლელი ტეტია.

მამიდა ალექსანდრას აყვავების ხანა დაუდგა. როგორც ჩანს, მის მოდიმ ერთხელ და სამუდამოდ ჩააკმენდინა ხმა მთელ მისიონერთა საზოგადოებას, იმიტომ რომ მეთაურობა ისევ მამიდაჩემს დარჩა. მასპინძლობა კიდევ უფრო მაღალ დონეზე წარიმართა. საბრალო მრუნას ხალხის სოციალურ მდგომარეობაზე მისიზ მერივეზერისგან ბევრად მეტი შევიტყვე. ოჯახის გაგება მათ საერთოდ არ გააჩნიათ, მთელი ტომი ერთ დიდ ოჯახს შეადგენს. ბავშვს იმდენი მამა ჰყავს, რამდენი მამაკაცია ტომში და იმდენი დედა – რამდენიც ქალი. გრაიმზ ევერეტი არაფერს არ იშურებდა მდგომარეობის გამოსასწორებლად და იმედებს ჩვენს ლოცვა-კურთხევაზე ამყარებდა...

მეიკომი ისევ ძველ მეიკომად იქცა, ზუსტად ისეთად, როგორიც ერთი და ორი წლის წინათ იყო, ორი უმნიშვნელო ცვლილებით: ხალხმა მაღაზიებისა და ავტომანქანების მინებიდან ჩამოხსნა განცხადებები, რომლებიც ნაციონალური აღმავლობის თაობაზე დადგენილებას ეხმაურებოდა. ამ პლაკატებზე ეწერა: "ჩვენც შეგვაქვს წვლილი". ატიკუსს ვკითხე, რატომ ჩამოხსნეს-მეთქი ეს პლაკატები, და მამამ მიპასუხა – დადგენილებას ნაციონალური აღმავლობის შესახებ ბოლო მოეღოო. მე ვკითხე, ვინ მოუღო-მეთქი ბოლო, მან კი მომიგო – ცხრა მოხუცმა კაცმაო.

მეორე ცვლილებას მეიკომში ადგილობრივი ხასიათი ჰქონდა. იქამდე ყველანმინდის დღე – ჰელოუინი – სრულიად არაორგანიზებულად ტარ-

დებოდა: ბავშვებს შეეძლოთ გაეკეთებინათ ყველაფერი, რაც თავში მოუვიდოდათ; თუ რომელიმეს მოეპრიანებოდა რაღაცის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილება – ვთქვათ, მსუბუქი ორთვალა ეტლის ქალაქის საჯინიბოს სახურავზე ათრევა, დახმარების ძებნა დიდხანს არ მოუნევდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც მის ტუტისა და მის ფრუტის სიმშვიდე დაერღვათ, მშობლებმა ჩათვალეს – ბავშვებმა ძალიან შორს შეტოპესო.

მის ტუტი და ფრუტი ბარბერები – შინაბერა დები – ერთად ცხოვრობდნენ მეიკომის ერთადერთ სარდაფიან სახლში. ბარბერის ქალებზე ამბობდნენ, რესპუბლიკელები არიანო, მეიკომში კი კლენტონიდან (ალაბამას შტატი) 1911 წელს გადმოსახლებულიყვნენ. მათი ცხოვრების ნირი ჩვენთვის უცხო იყო და არავინ უწყის, რაში სჭირდებოდათ სარდაფი. ასეა თუ ისე, სარდაფი გაითხარა და ამ მანდილოსნებს ცხოვრების ბოლომდე უხდებოდათ მეიკომელი ბავშვების სხვადასხვა თაობების ამ სარდაფიდან გაყრა.

მისიზ ტუტი და ფრუტი (მათი ნამდვილი სახელებია სარა და ფრენსისი) იანკები იყვნენ და ორივეს ყურს აკლდა. მის ტუტი ამას არაფრით არ აღიარებდა და სრულ სიჩუმეში ცხოვრობდა, მაგრამ მის ფრუტის არ სურდა რაიმეს გამოჰკლებოდა და იმოდენა სასმენი მილი შეიძინა, რომ ჯემმა მითხრა – ეგ ნამდვილად ძველი გრამოფონის ხმის გამაძლიერებელი უნდა იყოსო.

ეს ამბავი ყველა ბავშვს კარგად მოეხსენებოდა. ჰელოუინის წინა საღამოს რამდენიმე აბეზარი ბავშვი ბარბერის ქალებს ჩაუსაფრდა. როცა მათ სინათლე ჩააქრეს, ბავშვები სახლში შეიპარნენ (მეიკომში, რედლების გარდა, ღამით არავინ რაზავდა კარს), სასტუმრო ოთახიდან ჩუმად გამოზიდეს მთელი ავეჯი და სარდაფში დამალეს. აქვე მინდა გითხრათ, რომ ამაში ჩემი ხელი არ ერია.

– მე გავიგონე! – ამ შეძახილმა გამოაღვიძა დილაუთენია მისიზ ბარბერის მეზობლები, – გავიგონე, როგორ მოადგა სატვირთო მანქანა ჩვენი სახლის კარს! ცხენებივით დაბაკუნებდნენ. აქამდე უკვე ახალ ორლეანში ჩავიდოდნენ!

მის ტუტი დარწმუნებული გახლდათ, რომ მათი ავეჯი მეიკომში ჩამოსულმა ბენვით მოვაჭრეებმა გაიტაცეს. სულ შავ-შავები იყვნენ, – განაცხადა მან, – სირიელები!

მოიწვიეს მისტერ ჰეკ ტეიტი. შერიფმა იქაურობა შეათვალიერა და დაასკვნა – ეს ადგილობრივი ხალხის ნამოქმედარი უნდა იყოსო. მის ფრუტიმ უთხრა – ლაპარაკზე შევატყობდი, მეიკომელები რომ ყოფილიყვნენ, იმ ღამით სასტუმრო ოთახიდან უცხო ხმები გამოდიოდა. სხვანაირად გამოთქვამდნენ ბგერა "რ"-ს, როცა ჩვენს ბინაში ტრიალებდნენო. მის ტუტიმ დაიჟინა – მხოლოდ მეძებარი ძაღლები თუ უშველის ამ საქმესო. ასე რომ, მისტერ ტეიტი იძულებული გახდა, ათი მილი გაევლო, საოლქო მეძებარი ძაღლები მოეყვანა და კვალზე დაეყენებინა.

მისტერ ტეიტმა ძაღლები თავიდან ბარბერების სახლის წინა კიბეზე დააყენა, მაგრამ ისინი ერთბაშად მოსწყდნენ ადგილს და სარდაფის კარს მისცვივდნენ. მისტერ ტეიტმა სამჯერ ზედიზედ მიიყვანა ძაღლები სახლის კართან, მაგრამ სამჯერვე იგივე განმეორდა. მაშინ შერიფი ყველაფერს მიხვდა... იმ დღის ნაშუადღევს მეიკომში ვერც ერთ ფეხშიშველა ბავშვს ვერ შეხვდებოდით. ბავშვებს ფეხსაცმელები მანამ არ გაუხდიათ, სანამ ძაღლები უკან არ დააბრუნეს...

ყოველივე ამის გამო მეიკომელმა მანდილოსნებმა განაცხადეს, წელს საეკლესიო დღესასწაულს სულ სხვანაირად აღვნიშნავთო. გადაწყდა – უფროსკლასელთა სასკოლო დარბაზი გაეხსნათ და მოზრდილებისთვის ცოცხალი სურათები წარმოედგინათ, ხოლო პატარებისთვის სხვადასხვაგვარი თავშესაქცევი მოეწყოთ. სხვათა შორის, დაინიშნა ჯილდო საუკეთესო კოსტიუმისთვის – ოცდახუთი ცენტი.

ეს რომ შევიტყვეთ, მე და ჯემს უკმაყოფილო შეძახილი აღმოგვხდა. არ გეგონოთ, რამე საეჭვოს ჩადენას ვაპირებდით, არა, უბრალოდ, ეს პრინციპის საქმე იყო. ჯემმა ბრძანა – რა ხანია, ჰელოუინის ასაკიდან გამოვედი, იმ დღეს სკოლის ეზოს სიახლოვესაც არ გავეკარებიო... არა უშავს, – გავიფიქრე ჩემთვის, – მე ატიკუსი წამიყვანს...

მალე შევიტყვე, რომ იმ საღამოს სცენაზე უნდა გამოვსულიყავი: მისიზ გრეის მერივეზერს თვითონ შეეთხზა ორიგინალური "ცოცხალი სურათები" საერთო სათაურით: "მეიკომის ოლქი: „Ad Astra Per Aspera"[2], სადაც მე შაშხის როლი უნდა შემესრულებინა. მისიზ მერივეზერის აზრით, შესანიშნავი იქნებოდა, თუ რამდენიმე ბავშვი საოლქო მეურნეობის პროდუქციის გამომხატველ კოსტიუმებში გამონყობილი გამოვი-

[2] Ad Astra Per Aspera – ტანჯვიდან ვარსკვლავებამდე (ლათ.).

დოდა. სესილ ჯეიკობსი ისე უნდა გამოეწყოთ, რომ ძროხას დამსგავსებოდა, აგნეს ბუნი მომხიბვლელი ლობიო უნდა ყოფილიყო, დანარჩენი ბავშვები მინის თხილსა და სხვა ხილეულს წარმოადგენდნენ – რასაც კი ბავშვების რაოდენობა და მისიზ მერივეზერის ფანტაზია გასწვდებოდა.

რამდენადაც ორი რეპეტიციით მივხვდი, ჩვენს ერთადერთ მოვალეობას შეადგენდა, მისიზ მერივეზერის გამოძახებისთანავე (მისიზ მერივეზერი არა მარტო ავტორი, არამედ მთხრობელიც თვითონ გახლდათ!) გავსულიყავით სცენაზე მარცხენა მხრიდან.

როცა დაიძახებდა "შაშხი", ესე იგი, ჩემი გასვლის ჯერი იყო. მერე კი ყველანი ერთად შევასრულებდით სიმღერას "მეიკომის ოლქო, მეიკომის ოლქო, მუდამ შენი ერთგული ვიქნებით". ეს იყო საზეიმო ფინალი, რომლის დროსაც მისიზ მერივეზერი სახელმწიფო დროშით ხელში გამობრძანდებოდა სცენაზე.

ჩემი კოსტიუმი არც ისე ძნელი შესაკერი გამოდგა. მისიზ კრენშოუ, ადგილობრივი თერძი, მისიზ მერივეზერზე ნაკლები გამომგონებლობით როდი გამოირჩეოდა: მან მავთულის ბადე გაღუნა, დაშაშხული ბარკლის ფორმა მისცა, ყავისფერი ქსოვილით შეფუთა და შესაბამისად მოხატა. კოსტიუმის ჩასაცმელად ამ მონყობილობაში თავი უნდა შემეყო და მერე ვინმე უნდა დამხმარებოდა, რომ ზედ ჩამომეცვა. თითქმის მუხლამდე მწვდებოდა. მისიზ კრენშოუმ წინდახედულად გამომიჭრა შიგნიდან ორი ხვრელი თვალებისთვის. ყველაფერი მშვენივრად გამოვიდა. ჯემმა მითხრა – ნამდვილი შაშხი ხარ, ოლონდ ფეხებიანიო. თუმცა, ამ გამოგონებას ნაკლოვანი მხარეებიც ჰქონდა: შიგ ძალიან მცხელოდა და გაჭედილი ვიყავი. ცხვირი რომ მომქავებოდა ვერაფრით ვერ მოვიფხანდი. გარდა ამისა, კოსტიუმს სხვის დაუხმარებლად ვერ გავიხდიდი.

ბოლოს დღესასწაულის დილაც გათენდა. მეგონა, წარმოდგენას მთელი ოჯახი დაესწრებოდა, მაგრამ იმედი გამიცრუვდა: ატიკუსმა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ტაქტიანად ამიხსნა, რომ იმ საღამოს ალბათ ვერ შეძლებდა ცოცხალ სურათებზე დასწრებას, რადგან ძალიან დაღლილი იყო: მთელი კვირა მონტგომერიში გაატარა და მხოლოდ ნაშუადღევს ჩამოვიდა მეიკომში. მან მითხრა, თუ სთხოვ, დარწმუნებული ვარ, ჯემი სიამოვნებით გაგაცილებსო.

მამიდა ალექსანდრამ კი მითხრა: ადრე უნდა დაეიძინო, მთელი დილა სცენას ვაფორმებდი და გავსავათდი... ასე რომ... – აქ უცებ სიტყვა გაუწყდა და პირი მოკუმა, მერე რაღაცის სათქმელად ისევ გააღო პირი, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო.

– მამიდ, რა მოგვიდა? – ვკითხე მე.

– არა, არაფერი, არაფერი... რაღაც მომელანდა... – თქვა და თავიდან მოიშორა ის უცნაური წინათგრძნობა, რომელმაც წამით შეაშფოთა. მამიდამ გამოთქვა აზრი, ოჯახის ნევრებისთვის სასტუმრო ოთახში წარმომედგინა ჩემი კოსტიუმი.

მართლაც, ჯემმა კოსტიუმში ჩამტენა, მერე სასტუმრო ოთახის გამოღებულ კარში ჩადგა და დაიყვირა: "შაა-შხიი!" – ზუსტად ისე, როგორც ამას მისიზ მერივეზერი აკეთებდა. ამის შემდეგ მეც შევედი. ატიკუსი და მამიდა ალექსანდრა აღტაცებულები იყვნენ.

მერე ეს ყველაფერი კელპურნიასთვისაც გავიმეორე სამზარეულოში და მანაც მითხრა, შესანიშნავიაო. ახლა მის მოდისთან გადასვლაც მომინდა, მაგრამ ჯემმა მითხრა – მის მოდი ალბათ საღამოს წარმოდგენას დაესწრებაო, და მეც გადავიფიქრე.

ყოველივე ამის მერე ჩემთვის სულ ერთი იყო, წამოვიდოდნენ თუ არა ატიკუსი და მამიდაჩემი. ჯემმა მითხრა – მე წაგიყვანო. აი, ასე შევუდექით მე და ჯემი ჩვენს ყველაზე ხანგრძლივ მოგზაურობას.

28

ოქტომბრის უკანასკნელი დღისთვის უჩვეულოდ თბილოდა, ისე რომ, ქურთუკების ჩაცმაც კი არ დაგვჭირვებია. თუმცა, ქარი ამოვარდა და ჯემმა მითხრა – სანამ სახლში მივბრუნდებით, ალბათ გაწვიმდებაო.

უმთვარო ღამე იდგა.

ქუჩის კუთხეში ფარანი ენთო და რედლების სახლი ბნელ ჩრდილებში ჩაძირულიყო, ჯემმა ჩაიქირქილა – დღეს ბუას ნამდვილად არავინ არ შეაწუხებსო. რის ვაივაგლახით მოათრევდა ჩემს შაშხის კოსტიუმს – ძალიან მოუხერხებელი სატარებელი იყო. მაინც, რა თავაზიანი ბიჭია-მეთქი ჩემი ძამიკო, გავიფიქრე.

– ისე, რა საშიში ადგილია სასიარულოდ, არა? – ვუთხარი ჯემს, – ვიცი, ბუა არავის არაფერს ავნებს, მაგრამ მაინც კარგია, რომ შენ გამომყევი.

– შენ რა, გგონია, ატიკუსი მარტოს გაგიშვებდა? – მკითხა ჯემმა.

– რატომაც არა, სულ ახლოსაა, მოსახვევს გასცდები და ეზოს გადაჭრი.

– ის ეზო კარგა გრძელია და შენისთანა პატარა გოგოები ღამღამობით იქ მარტო არ უნდა დადიოდნენ, – ნიშნის მოგებით მომიგო ჯემმა, – შენ რა, მაჯლაჯუნების არ გეშინია?

ორივეს გაგვეცინა: მოჩვენებები, მაჯლაჯუნები, ჯადოები და საიდუმლო ნიშნები ისე გაიფანტა დროთა განმავლობაში, როგორც ბურუსი გამთენიისას.

– როგორ იყო... ისა... "ანგელოზო უფლისავ, სახიერო, პირმნათეო, შემინყალე, ნუ გამწირავ – ბნელ ღამეში მინათეო"

– მორჩი ახლა, – ვუთხარი, რადგან რედლების ეზოს გავუსწორდით.

ჯემმა მითხრა – ბუა სახლში არ უნდა იყოს. აბა, ყური მიუგდე.

მაღლა, ხეებში ეულად გალობდა ჯაფარა. ბედნიერმა არ უნყოდა, ვის ხეზე იჯდა. ხან წვრილ ხმაზე დაუსტვენდა სკვინჩასავით, ხან ჩხიკვივით მოუსვენრად დასჩხავლებდა, ხანაც შესაბრალის მოთქმას გააბამდა... მოსახვევს ჩავუყევით. გზაზე ამობურცულ ხის ფესვს ფეხი წამოვკარი და წავიბორძიკე. ჯემმა მოშველება დააპირა, მაგრამ არ გამოუვიდა, დახმარების მაგივრად, კოსტიუმი მიწაზე დაუვარდა. თუმცა მე არ დავცემულვარ და მალე ისევ გზას ვადექით.

ახლა სკოლის ეზოში შევუხვიეთ. ისე ბნელოდა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი.

– ჯემ, როგორ ხვდები, საით მივდივართ? – ვკითხე მე, როცა ცოტა გავიარეთ.

– აქ გრილა, ესე იგი, დიდი მუხის ქვეშა ვართ. იცოდე, ფრთხილად იყავი, აღარ წაიფორხილო.

ძალიან ნელა, ფრთხილად მივაბიჯებდით და ხელის ფათურით მივიკვლევდით გზას, ხეს რომ არ შევჯახებოდით, ხე კი იმ მიდამოებში ერთადერთი გვეგულებოდა – ასწლოვანი მუხა. ორი ბავშვი ერთად ვერ შემოაჭდობდა ხელს მის მსხვილ ტანს. ეს მუხა მასწავლებლების, ენის

მიმტანებისა და მეზობლებისგან მოწყვეტით იდგა რედლების კარ-მიდამოს მახლობლად, რედლებს კი ცნობისმოყვარეობას ვერ დასწამებდით. ხის დაბურულ ტოტებქვეშ ბავშვები მალულად ჩხუბობდნენ, თამაშობდნენ ფულზე და მიწა აქ განსაკუთრებით მაგრად იყო დატკეპნილი.

შორიდან სასკოლო დარბაზის გაჩახჩახებულმა ფანჯრებმა თვალი მოგვჭრა და სიარული კიდევ უფრო გაგვიძნელდა.

– წინ ნუ იყურები, ჭყიტა, – მითხრა ჯემმა, – ძირს იყურე და არ დაეცემი.

– ფარანი უნდა წამოგელო, ჯემ. – ვუთხარი მე.

– რას ვიფიქრებდი, ასეთი სიბნელე თუ იქნებოდა. ამ ცოტა ხნის წინათ ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ასე მალე დაღამდებოდა. მოღრუბლულია და იმიტომ. არა უშავს, ცოტა ხანში ქარი ღრუბლებს გადაყრის.

უცებ სიბნელიდან ვიღაც მოგვახტა.

– ვაიმე, ღმერთო! – შეჰყვირა ჯემმა.

სახეში შუქი მოგვანათეს. ფარნის შუქზე სესილ ჯეიკობსი დავინახეთ: აღტაცებისგან ადგილზე ხტოდა.

– აჰა, ხომ ჩაგავლეთ! – გაჰკიოდა ის, – ვიფიქრე, ალბათ ამ გზით წამოვლენ-მეთქი!

– შენ რაღას აკეთებ აქ, ბიჭო, რედლი-ბუასი არ გეშინია?

სესილი მშობლების თანხლებით მშვიდობიანად მისულა დარბაზამდე, ჩვენ რომ არ დავხვედრივართ იქ, ასე შორს წამოსვლა გაუბედავს. კარგად იცოდა, ამ გზით რომ მოვიდოდით, თუმცა, ჰგონებია, ატიკუსიც ჩვენთან ერთად იქნებოდა.

– იტყვი, რაღა! კუთხეს ჩამოუყვები და ორი ნაბიჯილაა, – უთხრა ჯემმა, – მოსახვევში სიარულის ვის ეშინია? მაგრამ ისე, არაფერი გვეთქმოდა – სესილს ჩაეთვალა: კარგა მაგრად დაგვიხეთქა გულები და თამამად შეეძლო, ვისთანაც სურდა, დაეტრაბახა. ეს უკვე მისი ნება იყო.

– შენ, რა, აღარა ხარ ამალამ ძროხა? – ვკითხე მე, – შენი კოსტიუმი რა უყავი?

– სცენის უკან დავდე, – მითხრა სესილმა, – მისიზ მერიეზერმა თქვა – ცოცხალი სურათების დადგმა ცოტა ხნით გადაიდოო. შეგიძლია, შენიც იქვე დადო, ჭყიტა, და დანარჩენებთან ერთად წავიდეთ.

– ბრწყინვალე აზრია, – გვითხრა ჯემმა, – შენ და სესილი ერთად იქნებით! – ახლა ჯემსაც შეეძლო თანატოლებში გარეულიყო...

დარბაზს მივუახლოვდით და დავინახეთ, რომ მთელ ქალაქს აქ მოეყარა თავი; მხოლოდ ატიკუსი და სცენის მორთვით დაქანცული ქალებიღა აკლდნენ. დერეფანში სოფლიდან ჩამოსული გაპრანჭული ხალხის ტევა არ იყო; სკოლის შენობის პირველ სართულს ფართო დერეფანი ჰქონდა. ხალხი ბუზებივით ირეოდა ორმხრივად ჩამწკრივებულ თავშესაქცევებთან. როცა ეს დავინახე, შეშფოთებულმა წამოვიძახე:

– ვაი, ჯემ, ფულის წამოღება დამავიწყდა!

– სამაგიეროდ, ატიკუსს არ დაავიწყდა, – მომიგო ჯემმა, – აჰა, ოცდაათი ცენტი – ექვს რამეზე გეყოფა. აბა, ჯერჯერობით.

– კარგი, – ვუთხარი მე. ოცდაათი ცენტი და სესილი სავსებით მაკმაყოფილებდა. მე და სესილი დარბაზისკენ გავეშურეთ და გვერდითა კარით კულისებში შევედით. ჩემი შაშხის კოსტიუმი თავიდან მოვიშორე, დავაბინავე და სასწრაფოდ გამოვედი, მისიზ მერივეზერს რომ არ დავენახე. იგი პირველ რიგში იჯდა და აღელვებული იწერდა უკანასკნელ შენიშვნებს საკუთარ სცენარში.

– შენ რამდენი გაქვს ფული? – ვკითხე სესილს. ჩემი არ იყოს, სესილსაც ოცდაათი ცენტი აღმოაჩნდა. ხუთ-ხუთი ცენტი მაშინვე მივაფშვნიტეთ "საშინელებების ოთახს",-სადაც, სხვათა შორის, ოდნავადაც არ შეგვშინებია. ეს იყო მეშვიდეკლასელების ჩაბნელებული საკლასო ოთახი. აქ ადგილობრივმა გამყოლმა, რომელიც დროებით მოჩვენების მოვალეობას ასრულებდა, "საფრთხობელებთან" ჩამოგვატარა და ხელი მიგვადებინა რამდენიმე საგანზე, რომლებსაც ადამიანის სხეულის ნაწილებად ასაღებდნენ. აი, მისი თვალები, – გვითხრა და ლამბაქზე დაწყობილ კანგაცლილ ყურძნის მარცვლებზე მოგვაკიდებინა ხელი. აი, გული, – გვითხრა "მოჩვენებამ" და უმი ღვიძლისმაგვარი რაღაც დაგვაკავა. ეს კი შიგნეულობაა, – და ხელები გაციებულ მაკარონში ვაფათურეთ...

მე და სესილმა რამდენიმე ჯიხური დავიარეთ. ორივემ ვიყიდეთ მისიზ ტეილორის "ღვთაებრივი" შინაური ნამცხვარი. მე მინდოდა "ვინ დაიჭერს ვაშლს" მეთამაშა, მაგრამ სესილმა არ ქნა – არაპიგიენურიაო... დედამისს გაუფრთხილებია – შეიძლება რამე გადაგედოს, ვინ იცის, შენამდე რამდენმა ბავშვმა სცადა იმ ჭურჭლიდან მოტივტივე ვაშლის ჩავლებაო. მე შევედავე – ახლა რომ ქალაქში არაფერი გადამდები არ არის-მეთქი გავრცელებული? მაგრამ სესილი არ მნებდებოდა. სხვისი ნაჭამი პირში არასოდეს არ უნდა ჩაიდოო, – მითხრა. მოგვიანებით მამიდა ალექსანდრას ვკითხე, რა აზრისა იყო ამის თაობაზე და მამიდამ მომიგო – ეგრე პატივმოყვარე ხალხი მსჯელობსო...

ის იყო, კანფეტების ყიდვა დავაპირეთ, რომ მისიზ მერივეზერის შიკრიკი გვეახლა და მოგვახსენა – სასწრაფოდ კულისებში ადით, უკვე დროა, მოემზადოთო.

დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. სცენის ქვეშ მეიკომის სკოლის უფროსკლასელთაგან შემდგარი ორკესტრი განლაგებულიყო. რამპის ჩირაღდნები გაეჩაღებინათ და სცენის სილრმეში ნარმოქმნილი აურზაურისგან წითელი ხავერდის ფარდა ხან ამოიფუყებოდა, ხანაც ჩაიჩუტებოდა.

მე და სესილმა სცენის უკან, ხალხით გაჭედილ ვიწრო დერეფანში ამოვყავით თავი. იქ იდგნენ უფროსები თვითნაკეთ სამკუთხა ქუდებში, კონფედერატების არმიელთა ქუდებში, ესპანეთ-ამერიკის ომისა და მსოფლიო ომის დროინდელ ჩაჩქნებში. ხოლო სოფლის მეურნეობის ნაირ-ნაირ ნაწარმად გარდაქმნილი ბავშვები პატარა სარკმელთან შეჯგუფებულიყვნენ.

– ვილაცამ კოსტიუმი გამისრისა! – წამოვიკნავლე შეშფოთებულმა. მისიზ მერივეზერი მაშინვე გამოქანდა, მავთულის ბადე შეასწორა და კოსტიუმი თავზე ჩამომაფხატა.

– ჭყიტა, მაგაში კარგად ხარ? – მკითხა სესილმა, – შენი ხმა ისე შორიდან მესმის, გეგონება, ცხრა მთას იქით იყო.

– არც შენი ხმა მესმის უფრო ახლოდან, – მივუგე მე.

ორკესტრმა ეროვნული ჰიმნი დაუკრა და გავიგონეთ, როგორ წამოიშალნენ ფეხზე მაყურებლები. შემდეგ დაფდაფები ააგუგუნეს. მისიზ მერივეზერმა, რომელიც ორკესტრის გვერდით, კათედრასთან იდგა, დაიძახა: მეიკომის ოლქი: "Ad Astra Per Aspera" – და ისევ აახმიანეს დაფდაფები. "ეს ნიშნავს", – განმარტა მისიზ მერივეზერმა სოფლელი ტეტიებისთვის – "ტალახიდან – ვარსკვლავებამდე" და დასძინა: "ცოცხალი სურათები!", რაც, ჩემი აზრით, სრულიად ზედმეტი იყო.

– ნეტა, ეს რომ არ ეთქვა, ისე ვერ მიხვდებოდნენ? – ჩურჩულით მითხრა სესილმა, მაგრამ მაშინვე მოუწოდეს, გაჩუმებულიყო.

– მთელმა ქალაქმა ისედაც იცის, – ქშენით გადავულაპარაკე სესილს.

– ჰო, მაგრამ, სოფლელი ხალხიც ხო ჩამოვიდა, – მომიგო მან.

– გაჩუმდით მანდ, უკან, – გაისმა ვიღაც კაცის ბრძანება და ჩვენც ხმა აღარ ამოგვიღია.

მისიზ მერივეზერის ყოველ ნინადადებას დაფდაფების გრიალი აგვირგვინებდა. ის მოტირალი ხმით მოუთხრობდა საზოგადოებას მეიკომის ისტორიას. ჩვენი ოლქი თავად შტატებზე ადრე შეიქმნა, იგი მისისიპისა და ალაბამას ტერიტორიის ნაწილია, პირველი თეთრკანიანი, რომელმაც ამ ხელთუქმნელ ტყეებში შემოდგა ფეხი, ჩვენი მოსამართლის დიდი პაპის დიდი პაპა იყო, თუმცა, იგი უგზოუკვლოდ დაიკარგა... შემდეგ კი ჩამოვიდა გულადი პოლკოვნიკი მეიკომი, ვისი სახელიც დაერქვა ჩვენს ქალაქს.

პოლკოვნიკ მეიკომს ენდრიუ ჯეკსონმა ძალაუფლება უბოძა, მაგრამ პოლკოვნიკის თვითდაჯერებულობამ და სუსტი ორიენტაციის უნარმა ინდიელებთან ომში მისი მხედრობა დაღუპვის პირამდე მიიყვანა. პოლკოვნიკ მეიკომს სურდა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ეს მინაწყალი უსაფრთხო დემოკრატიის კერად ექცია, მაგრამ ლაშქრობა მისთვის პირველი და უკანასკნელი გამოდგა. მშვიდობიანად განწყობილი ინდიელების შიკრიკის პირით მას გადასცეს ბრძანება, წასულიყო სამხრეთით. პოლკოვნიკმა ყურიც არ ათხოვა ქვეშევრდომთა რჩევას, რომლებიც ისე გათავხედდნენ, რომ საკუთარი აზრის გამოთქმასაც კი უბედავდნენ და გადაწყვიტა, ლიქენის ფოთლებზე დაკვირვებით განესაზღვრა, საით იყო სამხრეთი და ასე წაასხა ჯარი მტრის დასალაშქრად. მისმა შერჩეულმა მარშრუტმა კი ისე ღრმად შეიყვანა მხედრობა ჩრდილო-დასავლეთის ხელთუქმნელ ტყეებში, რომ უსათუოდ ერთიანად ამოიხოცებოდნენ, შემთხვევით ახალმოსახლეებს რომ არ გადაერჩინათ, რომელთაც გეზი ქვეყნის შუაგულისკენ ეჭირათ.

მისიზ მერივეზერმა პოლკოვნიკ მეიკომის გმირობათა აღნერას ოცდაათი წუთი მოანდომა. ამასობაში მე ერთი აღმოჩენა გავაკეთე: მუხლებს თუ მოვკეცავდი, შემეძლო ფეხები კოსტიუმის ქვეშ მომექცია და ამგვარად ჩამოვმჯდარიყავი. ასეც მოვიქეცი და მისიზ გრეის მერივეზერის ღულუნსა და დაფდაფების გრიალში მალე ღრმად ჩამეძინა კიდეც.

მოგვიანებით მითხრეს – მისიზ მერივეზერმა გრანდიოზული ფინალის მოახლოებისას ჯერ მშვიდად წაიმღერა – შაა-შხიი! – დარწმუნებულმა, რომ ნაძვის ხეებისა და ლობიოს მსგავსად, მეც დაუყოვნებლივ

სცენაზე აღმოვჩნდებოდი, მერე კი რამდენიმე წამი დააყოვნა და ისევ დაიძახა: – შაა-შხიი... – ხოლო როცა არც ამან გამოიღო არანაირი შედეგი, მთელი ხმით დასჭექა – შაშხი!

ეტყობა, მისი ხმა ძილში ჩამესმა, ანდა ორკესტრმა თუ გამოიღვიძა, ყოველ შემთხვევაში, როცა სცენაზე გასვლა გადავწყვიტე, მისიზ მერივეზერი უკვე საზეიმოდ აფრიალებდა შტატების სახელმნიფო დროშას. სცენაზე გასვლა გადავწყვიტე-მეთქი, მთლად ზუსტად ვერ ასახავს რეალობას. უბრალოდ, ვიფიქრე, უკეთესი იქნება, თუ სხვებს არ ჩამოვრჩები-მეთქი.

მოგვიანებით მიამბეს – მოსამართლე ტეილორი დარბაზის უკან გავიდა და იმდენი იცინა, სიმნრისგან მუხლებზე მუშტებს იცემდაო. მისიზ ტეილორი იძულებული გამხდარა, მისთვის ერთი ჭიქა წყალი და რაღაც წამალი მიეტანა დასამშვიდებლად.

მაყურებლები ისე გამხიარულდნენ, მისიზ მერივეზერი, ნესით, კმაყოფილიც კი უნდა ყოფილიყო, თუმცა, სპექტაკლის შემდეგ კულისებში ჩამავლო და მითხრა – მთელი წარმოდგენა გამიფუჭეო. ამან საშინელ გუნებაზე დამაყენა. კიდევ კარგი, მალე ჯემი მოვიდა და მანუგეშა. მან მითხრა – ისეთ ადგილზე ვიჯექი, შენი კოსტიუმი წესიერად ვერც გავარჩიეო. არ ვიცი, რაზე შემატყო, ცუდად რომ ვიყავი, მე ხომ თავზე კოსტიუმი მქონდა ჩამოფხატული. ასეა თუ ისე, დამამშვიდა და – ყველაფერი კარგად გამოგივიდაო, – მითხრა, – მარტო ოდნავ დაგაგვიანდა, ეგ იყო და ეგო. ჯემი დღითი დღე ატიკუსს ემსგავსებოდა – უკვე თითქმის მამასავით ეხერხებოდა დამშვიდება, როცა საქმე ცუდად მიდიოდა. "თითქმის" იმიტომ, რომ იმდენი ველარ მოახერხა, დავეყოლიე-ბინე, მაყურებლებთან ერთად გავსულიყავით. აქეთ დავიყოლიე და ერთად დაველოდეთ დარბაზის დაცლას.

– გინდა, კოსტიუმი მოგაშორო? – მკითხა ჯემმა.

– არა, მეკეთოს, – მივუგე მე. ასე უკეთ დავმალავდი სირცხვილს...

– წამოხვალთ მანქანით? – გვკითხა ვილაცამ.

– არა, გმადლობთ, სერ, – გავიგონე ჯემის პასუხი, – ფეხით სულ ახლოსაა.

– ერიდეთ მოჩვენებებს, – გვითხრა იმავე ხმამ, – თუმცა, უკეთესია, მოჩვენებები გააფრთხილოთ, ჭყიტას ერიდონ!

– უკვე თითქმის აღარავინ დარჩა, მოდი, წავიდეთ, – მითხრა ჯემმა.

დარბაზი გადავკვეთეთ და დერეფანში გავედით. მერე კიბეს ჩავუყევით. ისევ უკუნი სიბნელე იყო. დარჩენილი მანქანები შენობის მეორე მხარეს იდგნენ და მათი შუქი დიდად ვერ გვინათებდა სავალს.

– ვინმე თუ ჩვენი გზით ნამოვიდა, უკეთ დავინახავთ, – თქვა ჯემმა, – მოდი, მაგ შენს შაშხს ხელს ჩავავლებ, წონასწორობა არ დაკარგო.

– ძალიან კარგად ვხედავ.

– კი მაგრამ, შეიძლება, წონასწორობა დაკარგო, – თავზე დაწოლა ვიგრძენი და მივხვდი: ჯემმა "შაშხის" ცალ კიდეში ჩამავლო ხელი.

– ჰა, დამიჭირე?

– ჰო-ო.

სკოლის ჩაბნელებულ ეზოს შევუყევით და სულ ფეხქვეშ ვიხედებოდით, თუმცა ვერაფერს ვარჩევდით.

– ჯემ, ფეხსაცმელები დამრჩა, – ვუთხარი მე, – კულისებშია, სცენის უკან!

– კარგი, ნამო, წამოვიღოთ – მაგრამ როცა შევბრუნდით, დარბაზის ფანჯრებში სინათლე ჩაქრა.

– ხვალაც შეგიძლია ნამოიღო, – მითხრა ჯემმა.

– ხვალ რო კვირაა, – შევედავე, როცა შევატყვე, რომ ჯემი ისევ სახლისკენ წასასვლელად შებრუნდა.

– დარაჯს ვთხოვ და შეგიშვებს... ჭყიტა?

– ჰა?

– არაფერი.

ჯემმა კარგა ხანს აღარ გამცა ხმა. – ნეტა მაინც რისი თქმა უნდა-მეთქი, გავიფიქრე, – თუმცა, მოუნდება და მეტყვის, ალბათ როცა სახლში მივალთ, მაშინ...

მომეჩვენა, თითქოს უფრო მაგრად ნაუჭირა ხელი ჩემს კოსტიუმს და თავი გავაქნიე:

– ჯემ, ფრთხილად, არ...

– ერთ წუთს გაჩუმდი, ჭყიტა, – მითხრა და უფრო მაგრად ჩამავლო ხელი.

უხმოდ განვაგრძეთ გზა.

– ერთი წუთი უკვე გავიდა, რაზე ფიქრობ, ჯემ? – ვკითხე მე და მისკენ მივტრიალდი, თუმცა, ისე ბნელოდა, ვერაფერი დავინახე.

– რაღაც ხმა მომესმა, – მომიგო მან, – ერთ წუთს გაჩერდი!

გავჩერდით.

– გესმის რამე? – მკითხა ჯემმა.

– არა.

ხუთიოდე ნაბიჯი გვექნებოდა გადადგმული, როცა ისევ შემაჩერა.

– ჯემ, შენ რა, ჩემი შეშინება გინდა? ხო იცი, უკვე დიდი ვარ!

– გაჩუმდი! – მითხრა ჯემმა და ვიგრძენი, არ მეხუმრებოდა.

ჩამიჩუმი არ ისმოდა. ჩემამდე მხოლოდ ჯემის სუნთქვის ხმა აღწევდა. შიგადაშიგ ფეხებში გრილი ნიავი დამიბერავდა, ნუთუ სულ ეგაა, აკი ქარიან ღამეს გვპირდებოდნენ-მეთქი, გავიფიქრე! ეს იყო სიჩუმე ქარიშხლის წინ. ყურთასმენა დავძაბეთ.

– ეგ იმ ბებერი ძაღლის ხმა არ იყო? – ვთქვი მე.

– მაგაზე არ გეუბნები, როცა მივდივართ, მარტო მაშინ მესმის რაღაცა ხმა, როცა ვჩერდებით, ჩამიჩუმი აღარ ისმის, – მითხრა ჯემმა.

– შენ ჩემი კოსტიუმის შარიშური გესმის. აა, ეგ ხომ სულ "ყველაწმინდის დღის" ამბებია, – ვთქვი უფრო საკუთარი თავის დასამშვიდებლად, ვიდრე ჯემისა, რადგან მართლაც, როგორც კი ნაბიჯი გადავდგით, მშვენივრად გავიგონე ხმა, რომელზეც ჯემი მელაპარაკებოდა. ეს არ იყო ჩემი კოსტიუმის შარიშური.

– ისევ სესილი იქნება, – მითხრა ჯემმა ცოტა ხანში, – ოღონდ ახლა უკვე ველარ გაგვაცურებს. მოდი, ნუ ავჩქარდებით, არ ეგონოს, რომ ისევ დაგვაშინა.

კუს ნაბიჯებით გავუყევით გზას. ჯემს ვკითხე – ამ სიბნელეში სესილი როგორ მოგვყვება, ხომ შეიძლება, უკნიდან დაგვეჯახოს-მეთქი.

– მე შენ კარგად გხედავ, ჭყიტა, – მითხრა ჯემმა.

– როგორ! მე რომ ვერ გხედავ შენ?

– ქონის ზოლები გემჩნევა, – მისიზ კრენშოუმ რაღაც ბრჭყვიალა საღებავით გააფერადა ქონი ჩემი შაშხის კოსტიუმზე, რამპის ჩირაღდნებზე ლამაზად რომ გამოჩენილიყო. – მე ძალიან კარგად გხედავ და ალბათ არც სესილს გაუჭირდება შენი დანახვა. ეცდება, არ დაგვეჯახოს, – მითხრა ჯემმა.

გადავწყვიტე, სესილს ვაგრძნობინებ -კარგად ვიცით, რომ მოგვდევ და შენი სულაც არ გვეშინია-თქო.

– სესილ ჯეიკობსი მსუქანი განუნული ქა-თა-მი-აა! – ვიღრიალე მოულოდნელად და უკან მივიხედე.

შევდექით. პასუხი არავინ გაგვცა, მხოლოდ სკოლის კედელმა აირეკლა ექოსავით ჩემი სიტყვები.

– ახლა კი ჩავავლებ, – მითხრა ჯემმა და დაიძახა, – ჰე-ი!

– ჰეი... ჰე... ი... ჰე... ი... – გაიმეორა სკოლის კედელმა.

ეს არ ჰგავდა სესილის საქციელს, ის ნამდვილად ვერ შეიკავებდა ამდენ ხანს თავს; რახან ერთხელ შეგვაშინა, ახლაც იმავეს ხომ არ გაიმეორებდა? ჰოდა, თუ რამეს აპირებს, აქამდე დაგვეტაკებოდა-მეთქი, გავიფიქრე.

ჯემმა ისევ მანიშნა, გაჩერდიო, და ჩუმად მკითხა:

– ჭყიტა, შეგიძლია, შენი კოსტიუმი მოიძრო?

– ალბათ კი, ოღონდ შიგნიდან თითქმის არაფერი არ მაცვია...

– შენი კაბა აქა მაქვს.

– სიბნელეში ვერ ჩავიცვამ.

– კარგი, მაშინ არა უშავს, – მითხრა მან.

– ჯემ, გეშინია?

– არა. მე მგონი, უკვე ახლოსა ვართ ხესთან. იქიდან გზამდე რამდენიმე ნაბიჯილა დაგვრჩება, იქ კი ქუჩის ნათურას დავინახავთ...

ჯემი ძალიან ნელა, აუღელვებლად და ხმადაბლა ლაპარაკობდა. ნეტა სესილზე ზღაპრების მოყოლას როდის მორჩება-მეთქი, – გავიფიქრე.

– ჯემ, იქნებ გვემღერა, ჰა?

– არა. ახლა ისევ მართლა აღარ ამოიღო ხმა, ჭყიტა.

კვლავინდებურად ნელა მივაბიჯებდით. ჩემი არ იყოს, ჯემმაც კარგად იცოდა, რამდენი სიძნელე ახლდა სწრაფად სიარულს. შეიძლება, ფეხი ქვისთვის წამოგვეკრა, თითები გადაგვეყვლიფა, მით უფრო, რომ ფეხშიშველა ვიყავი. იქნებ ეს ხმა ქარში აშრიალებული ფოთლების ხმაურია-მეთქი, გამიელვა, მაგრამ არც ქარი უბერავდა და არც ხეები მეგულებოდა ირგვლივ, იმ ბებერი მუხის გარდა...

ჩვენი თანამგზავრი შარიშურით მოგვყვებოდა კვალდაკვალ. ფეხებს ისე მოათრევდა, თითქოს მძიმე ფეხსაცმელები აცვიაო. არ ვიცი, ვინ იყო, მაგრამ უხეში ტილოს შარვალი რომ ეცვა – ცხადია. ის ხმა,

ადრე ფოთლების შრიალს რომ მივამსგავსე, ტილოს ქსოვილზე გახახუნებული ტილოს ხმა იყო. ჰუიქ, ჰუიქ, – ისმოდა ყოველი ფეხის გადადგმაზე.

ფეხქვეშ მინა გაგრილდა და მივხვდი – მუხასთან მივედით. ჯემი ხელით თავზე დამანვა, შევდექით და ყური მივუგდეთ.

შარიშური ამჯერად აღარ შემწყდარა. შარვალი შრიალით მოიწევდა ჩვენკენ. მერე შეჩერდა. უცებ გამოიქცა, გამოექანა მძიმე ნაბიჯებით, ისე, როგორც მხოლოდ მოზრდილი კაცები დარბიან.

– გაიქეცი, ჭყიტა, გაიქეცი! – იკივლა ჯემმა.

ერთი დიდი ნაბიჯი გადავდგი, მაგრამ თავბრუ დამეხვა. ხელები გაკავებული მქონდა და სიბნელეში წონასწორობას ვერ ვინარჩუნებდი.

– ჯემ, ჯემ, მიშველე, ჯემ!

თავში რაღაცა ჩამცხეს და რკინის ბადე ჩაიჭყლიტა. რკინამ რკინა გასერა, ნავიქეცი და შევეცადე, რაც შეიძლება, შორს გადავგორებულიყავი. თან ვცდილობდი, მავთულის საპყრობილისთვის თავი დამეღწია. შორიახლოს ჩხუბისა და წიხლების ხმა მესმოდა. მერე ჩხუბი მინაზე გადავიდა – ტანითა და ფეხებით ხის ფესვებს და მიწას თელავდნენ. ვილაცა ჩემკენ გადმოგორდა და ჯემი ვიცანი. ელვის სისწრაფით ნამოხტა და თან გამიყოლა – მიმათრევდა. მართალია, თავი და მხრები გავითავისუფლე, მაგრამ ხელფეხშებორკილი ვიყავი და შორს ნასვლა ვერ მოვახერხეთ.

უკვე თითქმის გზის პირას გავედით, როცა ჯემმა ხელი გამიშვა. ვიგრძენი, ვილაცამ ძირს დაანარცხა. ისევ გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა, მერე კი რაღაცამ დაიხრჭიალა და ჯემმა შეჰკივლა.

მე იმ მიმართულებით გავიქეცი, საიდანაც კივილი მომესმა. იქ ვილაცის რბილ მუცელს შევეტაკე. უუხ! – აღმოხდა მას და სცადა, ჩემთვის მკლავში ჩაევლო ხელი. მაგრამ ხელები კოსტიუმში მქონდა ჩაჭედილი. რამდენადაც მუცელი რბილი ჰქონდა, ხელები რკინასავით მაგარი აღმოაჩნდა, ყელში ნამიჭირა და გაგუდვა დამიწყო. ადგილიდან ვერ ვიძროდი. უცებ ვილაცა დაეტაკა და უკან გადააგდო. კინაღამ მეც თან გადამიყოლა. გავიფიქრე – ალბათ ჯემი წამოხტა-მეთქი.

ზოგჯერ ადამიანის ტვინი უზომოდ ნელა მუშაობს. ვიდექი თავზარდაცემული, დამუნჯებული. ჩხუბის ხმა თანდათან მინელდა, ვილაცამ

დაიხროტინა და ისევ სიჩუმემ დაისადგურა, სიჩუმემ, თუ ვილაცის ქოშინს, ქშენას და ბორძიკის ხმას არ ჩავთვლით. ვიფიქრე – ეტყობა, ხესთან მივიდა და ზურგით მიეყუდა-მეთქი. მერე ხმამაღლა ჩაახველა, გეგონებოდათ, მთელი გულ-ღვიძლი ამოაყოლაო ხველებას...

– ჯემ?

პასუხი არავის გაუცია, მხოლოდ იმ კაცის ქოშინი მესმოდა.

– ჯემ?

ჯემმა პასუხი არ გამცა.

კაცი აქეთ-იქით მიაწყდა, თითქოს ვილაცას დაეძებსო. უცებ დაიგმინა და რალაცა მძიმე მიწაზე გაახოხიალა. თანდათან მივხვდი, რომ ხის ქვეშ ოთხნი უნდა ვყოფილიყავით...

– ატიკუს?..

კაცი მძიმე ბარბაცით ნავიდა ქუჩისკენ.

ახლა იქით გავწიე, სადაც ცოტა ხნის წინათ ის იდგა. შეშლილივით შევუდექი ფეხებით მიწის მოსინჯვას. უცებ ვილაცას ნამოვედე.

– ჯემ?

ფეხის თითებით შარვალი მოვსინჯე... ქამრის ბალთა. კიდევ რალაც გაურკვეველი საგანი... საყვლო, სახე... ჯაგარა ნვერმა დამსუსხა და მივხვდი: ეს ჯემი არ იყო! ვისკის მძაფრი სუნი მეცა.

ახლა იმ მიმართულებით წავედი, რომელსაც, ჩემი აზრით, ქუჩაში უნდა გავეყვანე. უკვე იმდენჯერ მომიხდა ნინ და უკან შეტრიალება, რომ დარწმუნებული არც ვიყავი, სწორ გზას ვადექი თუ არა. ბოლოს მაინც გავედი შარაზე და ქუჩის ნათურას გავხედე. მის შუქზე, ქვემოთ, მამაკაცი მიაბიჯებდა. ბარბაცით მოდიოდა, რადგან ხელში მძიმე ტვირთი ეჭირა. კუთხეში შეუხვია და დავინახე – ჯემი მიჰყავდა. ჯემს ცალი მკლავი ჩამოჰკონნიალებოდა და მოწყვეტილივით უცნაურად ქანქარებდა ჰაერში.

როცა მოსახვევამდე ჩავედი, იმ მამაკაცმა ჩვენი ეზო გადაიარა. სახლის განათებულ კარებში ნამით ატიკუსის სახე დავლანდე. მამამ კიბეზე ჩამოირბინა და ორივემ ერთად – უცხო მამაკაცმა და ატიკუსმა ჯემი სახლში შეიყვანეს.

როცა სახლის კარს მივადექი, მათ უკვე დერეფანში შეუხვიეს. ჩემ შესაგებებლად მამიდა ალექსანდრა გამოექანა.

– ექიმი რეინოლდსი გამოიძახე! – გაისმა ჯემის ოთახიდან ატიკუსის მჭექარე ხმა, – ჭყიტა სადაა?

– აქ არის! – ყვირილით გასძახა მამიდამ და ტელეფონისკენ გამიყოლა. აფორიაქებული მიფათურებდა ხელებს.

– კარგადა ვარ, მამიდ, – ვუთხარი მე, – ჯობს, დარეკო.

მამიდაჩემმა საკიდიდან ყურმილი ჩამოხსნა და ჩასძახა:

– იულა მეი, ექიმი რეინოლდსის ბინას დამაკავშირეთ, სასწრაფოდ!

– აგნეს, მამათქვენი შინაა?.. ვაი, ღმერთო, სადაა?.. გთხოვთ, უთხრათ, როგორც კი შინ მოვა, ჩვენთან გამოქანდეს, გთხოვთ, ძალიან სასწრაფოა!

მამიდა ალექსანდრას თავისი ვინაობის თქმა არც დასჭირვებია – მეიკომში უთქმელადაც ყველანი ცნობდნენ ხმაზე ერთმანეთს.

ატიკუსი ჯემის ოთახიდან გამოვიდა. ის იყო, მამიდას ყურმილი უნდა დაეკიდებინა, რომ ატიკუსმა გამოართვა, სახელური ააჟღრიალა და ჩასძახა:

– იულა მეი, თუ შეიძლება, შერიფს დამაკავშირეთ.

– ჰეკ? ატიკუს ფინჩი ვარ. ჩემს ბავშვებს ვილაცა დაესხა თავს... ჯემი დაშავებულია... სახლსა და სკოლის შენობას შორის... ჩემს ბიჭს ვერ მივატოვებ. ძალიან გთხოვ, ჩემ მაგივრად ჩაირბინე და ნახე... იქნებ ახლომახლო გადაანყდე. მეეჭვება, ახლა სადმე შეგხვდეს, მაგრამ თუ ნახო, იცოდე – მასთან შეხვედრა მინდა. ახლა უნდა ნავიდე, გმადლობთ, ჰეკ!

– ატიკუს, ჯემი მოკვდა?

– არა, ჭყიტა, მიხედე მაგას, დაო, – გამოსძახა მამიდაჩემს, თვითონ კი დერეფანში გაუჩინარდა.

მამიდა ალექსანდრა ათრთოლებული თითებით შეუდგა დაჭეჭყილი მავთულის ბადის შეხსნას.

– რამე ხომ არ გჭირს, საყვარელო? – მეკითხებოდა ნარამარა, სანამ კოსტიუმს მომაშორებდა.

როგორც იქნა, შემხსნა და თავისუფლად ამოვისუნთქე. მკლავები დაბუჟებული მქონდა, ზედ ბადის ნვრილი ანაბეჭდები მემჩნეოდა – მოწითალო ექვსკუთხედები. მოვისრისე და ცოტა დამიამდა.

– მამიდა, ჯემი მოკვდა?

– არა, არა, საყვარელო! გული ნაუვიდა. სანამ ექიმი რეინოლდსი არ ნახავს, ვერ გავიგებთ, რამდენად მძიმედაა დაშავებული. ჯინ ლუიზა, რა მოხდა?

– არ ვიცი.

კითხვებით აღარ შევუწუხებივარ. გავიდა და ტანსაცმელი მომიტანა. მაშინვე რომ მომესაზრებინა, მამიდაჩემს მოსვენებას აღარ მივცემდი, დაბნეულობისგან ჩემი ბრიჯები მომიტანა! – ჩაიცვი საყვარელოო, – მითხრა და მომაწოდა ის ტანსაცმელი, რომელიც ყველაზე მეტად ეჯავრებოდა.

მერე ჯემის ოთახში გავარდა, მალე ისევ ჰოლში გამოვიდა, დაბნეულად მეფერებოდა, მერე ისევ ჯემის ოთახში შებრუნდა.

სახლის წინ მანქანა გაჩერდა. ექიმ რეინოლდსის ფეხის ხმას ისევე კარგად ვცნობდი, როგორც მამაჩემისას. მე და ჯემი მისი ხელით მოვევლინეთ ამ ქვეყანას და იქიდან მოყოლებული, რაც რამ სახადი და ავადმყოფობა შეგვეყრებოდა, ის გვმკურნალობდა ხოლმე. როცა ჯემი ხის სახლიდან ჩამოვარდა, მაშინაც ექიმმა რეინოლდსმა მოარჩინა. ჩვენი ნდობა და სიყვარული ამ კაცს არასოდეს დაუკარგავს.

იგი კარის ზღურბლზე შედგა და შესძახა:

– ღმერთო ჩემო! – მერე მომიახლოვდა და მითხრა – მაშ, ჩვენ ფეხზე ვართ, – და ახლა სხვა მიმართულებით წავიდა. ჩვენი ბინის განლაგება კარგად იცოდა. ისიც კარგად მოეხსენებოდა, რომ თუ მე ცუდად გამოვიყურებოდი, მაშასადამე, ჯემიც ვერ იყო კარგად.

არ ვიცი, რამდენჯერ გავიფიქრე – ნუთუ აღარასოდეს აღარ გამოვა ჯემი ოთახიდან-მეთქი, რომ ექიმი რეინოლდსიც გამოჩნდა.

– ჯემი მოკვდა? – ვკითხე მე.

– სულაც არა, – მომიგო მან და ჩაიცუცქა, – შენი არ იყოს, თავზე კოპი აზის, და კიდევ მკლავი აქვს გადატეხილი... ჭყიტა, აბა, იქით გაიხედე... არა, თავს ნუ შეაბრუნებ, მარტო თვალები დაატრიალე. ახლა აქეთ გამოიხედე... მძიმე მოტეხილობა აქვს. მე ვფიქრობ, იდაყვთან უნდა იყოს. თითქოს ვილაცა ცდილობდა, მკლავი მოეგრიხა და მოეგლიჯა. აბა, შემომხედე...

– მაშ, არ მომკვდარა?

– აა-რაა! – ექიმი რეინოლდსი ფეხზე წამოხტა. ამაღამ ბევრს ვერაფერს ვუშველით, – მითხრა მან, – ერთადერთი, შეგვიძლია, ტკივილი

შევუმსუბუქოთ. ხვალ კი მკლავი უნდა გავუშუქოთ, რენტგენის სურათი გადავულოთ. მე მგონი, ცოტა ხანს ჩამოკიდებული უნდა იტაროს, თაბაშირში ჩაუსვამენ... ოღონდ ნუ იდარდებ, ისე შეუხორცდება, ვერაფერსაც ვერ შეატყობ! მაგის ასაკში ბიჭებს წამში უხორცდებათ...

ექიმი რეინოლდსი თან მელაპარაკებოდა და თან ყურადღებით მათვალიერებდა. თითებით ფრთხილად მომისინჯა კოპი შუბლზე და მკითხა:

– შენც ხომ არა გაქვს რამე მოტეხილობა, ჰა?

ექიმის ხუმრობაზე გამელიმა.

– მაშ, მართლა არ გგონიათ, რომ მოკვდა, მართლა?

– რა თქმა უნდა, შეიძლება, ვცდები კიდეც, მაგრამ ჩემი აზრით, ძალიან ცოცხალია. ყველაფერი ამაზე მეტყველებს. ნადი და ერთი თვალი შეავლე. და როცა მობრუნდები, ერთად დავსხდეთ და საბოლოოდ გადავწყვიტოთ, როგორაა საქმე.

ექიმმა რეინოლდსმა მკვირცხლი, ყმაწვილური სიარული იცის, მისტერ ტეიტმა კი არა. აივანზე ახლა შერიფის მძიმე წალების ბრაგუნი გაისმა და კარი მოუხეშავად გააღო. მაგრამ თქმით კი ზუსტად იგივე თქვა, რაც ექიმმა რეინოლდსმა:

– ჭყიტა, შენ კარგადა ხარ?

– დიახ, სერ, ჯემის სანახავად მივდივარ. ატიკუსიც იქაა, დანარჩენებიც...

– მეც გამოგყვები, – მითხრა მისტერ ტეიტმა.

მამიდა ალექსანდრას ჯემის მაგიდის ლამპა პირსახოცით დაეჩრდილა და ოთახში სანახევროდ ბნელოდა. ჯემი ზურგზე იწვა. სახეზე ცალ მხარეს იარა დაუყვებოდა. მარცხენა მკლავი ტანისგან განზე ეგდო. იდაყვში ოდნავ მოხრილი იყო, ოღონდ ბუნებრივი მიმართულებით კი არა, მის საწინააღმდეგოდ. ჯემს კოპები ჰქონდა შეკრული.

– ჯემ?..

ატიკუსმა მითხრა:

– ვერ გააგებინებ, ჭყიტა, გაითიშა, სინათლესავით. გამოფხიზლება დააპირა, მაგრამ ექიმმა რეინოლდსმა ისევ გათიშა.

– დიახ, სერ, – მე უკან დავიხიე. ჯემის ოთახი დიდი და კვადრატული იყო. მამიდა ალექსანდრა ბუხრის პირას მიმჯდარიყო სარწეველა სა-

ვარძელში. კაცი, რომელმაც ჯემი მოიყვანა, კუთხეში იდგა კედელს მიყრდნობილი. ეტყობა, სოფლელია და იმიტომ არ ვიცნობ-მეთქი, – გავიფიქრე, – ალბათ ზეიმზე თუ ჩამოვიდა, კივილი გაიგონა და ჩემკენ გამოიქცა...

ატიკუსი ჯემის სანოლთან იდგა.

მისტერ ჰეკ ტეიტი კარებში გაჩერდა. ქუდი ხელში ეკავა, ჯიბიდან ფარანი ამოსჩროდა, სამუშაო ტანსაცმელი ეცვა.

– შემოდი, ჰეკ, – უთხრა ატიკუსმა, – მიაგენი რამეს? ვერ ვიჯერებ, რომ არსებობს იმდენად ზნედაცემული ადამიანი, ასეთი სისაძაგლის ჩადენა რომ შეუძლია... მაგრამ იმედი მაქვს, იპოვიდი.

მისტერ ტეიტმა გაურკვეველი ბგერა გამოსცა ცხვირით. დაძაბული მზერა ესროლა კუთხეში ატუზულ მამაკაცს, თავი დაუკრა და ოთახს თვალი შეავლო. გახედა ჯემს, მამიდა ალექსანდრას და ბოლოს ატიკუსს.

– დაბრძანდით, მისტერ ფინჩ, – თავაზიანად უთხრა ატიკუსს.

მამამ მიუგო:

– მოდი, ყველანი დავსხდეთ. აიღეთ ეს სკამი, ჰეკ, სასტუმრო ოთახიდან კიდევ მოვიტან ერთს.

მისტერ ტეიტი ჯემის საწვრი მაგიდის სკამზე ჩამოჯდა და ატიკუსს დაელოდა. ატიკუსი შემობრუნდა და დაჯდა. გამიკვირდა, მამამ კუთხეში მდგომ მამაკაცს სკამი რომ არ მიუტანა. ისე, ატიკუსს ჩემზე უკეთ მოეხსენება სოფლელი ხალხის ჩვევები, ზოგი მისი გარეუბნელი კლიენტი გრძელყურა ჯორს ეზოში, ჭადარზე მიაბამს ხოლმე და მამაც არცთუ იშვიათად კიბის თავზე აწარმოებს მოლაპარაკებებს. ალბათ ამ კაცსაც იქ ერჩივნა ყოფნა, სადაც იდგა.

– მისტერ ფინჩ, – დაიწყო მისტერ ტეიტმა, – გითხრათ, რა ვიპოვე? პატარა გოგონას კაბა, მანქანაში მაქვს. შენი კაბაა, ჭყიტა?

– დიახ, სერ, თუ ვარდისფერია და მაქმანებიანი.

მისტერ ტეიტი ისე იქცეოდა, იფიქრებდით ჩვენებას იძლევა სასამართლოშიო. მას თავისებური თხრობის მანერა ჰქონდა, ყოველთვის ცდილობდა, ბრალმდებლისა და დამცველის გავლენისთვის დაეღწია თავი, ამას კი ზოგჯერ კარგა ხანი სჭირდებოდა.

– რაღაც უცნაური ნაჭრის ნაკუნებიც ვიპოვე ტალახში ამოსვრილი.

– ჩემი კოსტიუმი იქნება, მისტერ ტეიტ.

შერიფმა ხელები ბარძაყზე დაისვა, მერე მარცხენა მკლავი მოისრისა; ჯემის ბუხარს დააკვირდა და ინტერესით შეხედა ცეცხლს. ბოლოს გრძელ ცხვირზე ნაივლო თითები.

– რა მოხდა, ჰეკ? – ჰკითხა ატიკუსმა.

მისტერ ტეიტმა ხელი კისერზე მოისვა და მოისრისა.

– ქვემოთ, დიდი მუხის ძირას, ბობ იუველი გდია. ნეკნებქვეშ სამზარეულოს დანა აქვს გაყრილი. მკვდარია, მისტერ ფინჩ.

29

მამიდა ალექსანდრა წამოდგა და ღუმლის თაროს მოეჭიდა. მისტერ ტეიტი მისაშველებლად წამოხტა, მაგრამ მამიდამ იუარა. ატიკუსს ცხოვრებაში პირველად უმტყუნა თავაზიანობამ: იგი არც განძრეულა.

– მე კი სულ ბობ იუველის მუქარა მიტრიალებდა თავში: მთელი ცხოვრება რომ დამჭირდეს, ატიკუსს მაინც გავუსწორდებიო... – მისტერ იუველი თითქმის გაუსწორდა კიდეც ატიკუსს, და ეს იყო უკანასკნელი, რაც მან ჩაიდინა.

– დარწმუნებული ხარ? – ჰკითხა კოპებშეკრულმა ატიკუსმა.

– ნამდვილად მკვდარია, – მიუგო მისტერ ტეიტმა, – ველარაფერი მოაბრუნებს და ამ ბავშვებსაც ველარაფერს დაუშავებს.

– მაგაზე არ ვამბობ... – თითქოს ძილში ჩაილაპარაკა ატიკუსმა. შინაგანი მღელვარების დროს ერთბაშად დაეტყობოდა ხოლმე ასაკი. ახლაც – ნიკაპის მკაცრი მოხაზულობა მოელვენთა, სახეზე ნაოჭები ჩაულრმავდა, კუპრივით შავი თმის ნაცვლად, თვალში შევერცხლილი საფეთქლები გეცემოდათ...

– ხომ არ აჯობებს, სასტუმრო ოთახში გავსულიყავით? – თქვა ბოლოს მამიდა ალექსანდრამ.

– თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ... რა თქმა უნდა, ჯემს თუ არ ვავნებთ – აქ დარჩენა მირჩევნია, მის ჭრილობებსაც მინდა დავხედო, ამასობაში კი ჭყიტა... მოგვიყვება, რა მოხდა.

– რა იქნება, მე რომ დაგტოვოთ? – იკითხა მამიდამ, აქ უჩემოდაც ბევრნი ხართ, ატიკუს, თუ დაგჭირდე, ჩემს ოთახში ვიქნები, –

მამიდა ალექსანდრა კარისკენ წავიდა, მაგრამ გზაში შედგა და შემოტრიალდა.

– ატიკუს, მთელი საღამო გული მიგრძნობდა... მე... ეს ჩემი ბრალია, – დაიწყო მან, – მე უნდა...

მისტერ ტეიტმა ხელი ასწია.

– მიბრძანდით, მის ალექსანდრა, ვიცი, ახლა თავზარდაცემული ხართ, მიბრძანდით და ნურაფერზე ნულარ იჯავრებთ. ყველანი რომ ჩვენ-ჩვენს გრძნობებს ავყვეთ, საკუთარ კუდს დადევნებულ კატებს დავემსგავსებით. მის ჭყიტა, თუ შეგიძლია, ამ ცხელ გულზე გვიამბე, რა მოხდა. როგორ გგონია, მოახერხებ?

ატიკუსთან მივედი. მამამ მკლავები შემომხვია და მეც მის კალთაში ჩავრგე თავი.

– სახლში ნამოვედით, მე ვუთხარი, ჯემ, ფეხსაცმელები დამრჩამეთქი. უკან ნასვლა დავაპირეთ, მაგრამ ამ დროს სინათლეები ჩააქრეს. ჯემმა მითხრა, ხვალ წამოიღებო...

– ჭყიტა, ასწიე თავი და მიტერ ტეიტსაც გააგონე, რას ლაპარაკობ, – მითხრა ატიკუსმა. მაშინ მამას კალთაში ჩავუჯექი.

– მერე ჯემმა მითხრა, ერთ წუთს მოკეტეო. მე მეგონა, ფიქრი უნდამეთქი, ხშირად მაჩუმებს ასე, ფიქრში რომ არ შევუშალო ხელი... მერე მეუბნება – რაღაცა გავიგონეო. გვეგონა, სესილი იქნებოდა.

– სესილი?

– სესილ ჯეიკობსი. ამ ღამით უკვე ერთხელ შეგვაშინა სიბნელეში და ვიფიქრეთ, ისევ ის იქნება-თქო. სესილსაც კოსტიუმი ეცვა... საუკეთესო კოსტიუმში ოცდახუთცენტიანს იძლეოდნენ. არც კი ვიცი, ვინ მიიღო.

– იმ დროს სად იყავით, როცა გეგონათ, სესილი იქნებაო?

– სკოლის შენობიდან რამდენიმე ნაბიჯი გვქონდა გამოვლილი, რაღაცა დავუყვირე...

– რა დაუყვირე?

– "სესილ ჯეიკობსი – დიდი სქელი ვარიაა"-მეთქი, მგონი... პასუხი არ გაგვიგია და მაშინ ჯემმა ისე ილრიალა – ჰეიო, თუ რაღაცა ეგეთი, მკვდარსაც კი გააღვიძებდა.

– ერთი წუთით, ჭყიტა, – მითხრა მისტერ ტეიტმა, – მისტერ ფინჩ, მათი ყვირილი არ გაგიგიათ?

ატიკუსმა მიუგო, არაო – მას თურმე რადიო ჰქონია ჩართული. მამიდა ალექსანდრაც თავის ოთახში უსმენდა მიმღებს. ატიკუსს ეს კარგად ახსოვდა, რადგან მამიდა ალექსანდრას მისთვის უთხოვია – შენს რადიოს ცოტათი ხმა ჩაუწიე, თორემ მე ჩემსას ვეღარ ვუსმენო. ატიკუსს გაეღიმა:

– ყოველთვის ძალიან ხმამაღლა ვრთავ რადიოს.

– ნეტა მეზობლებს არაფერი გაუგიათ?.. – თქვა მისტერ ტეიტმა.

– ეჭვი მეპარება, ჰეკ, უმეტესობა მაგ დროს მიმღებს უსმენს, ან ქათმებთან ერთად იძინებს... შეიძლება, მოდი ეტკინსონს ეღვიძა, თუმცა, არა მგონია...

– განაგრძე, ჭყიტა.

– ჰოდა, ჯემმა იყვირა და გზა განვაგრძეთ. მისტერ ტეიტ, კოსტიუმში ვიყავი ჩაჭედილი, მაგრამ იქიდანაც კი გავიგონე, ფეხის ხმაზე გეუბნებით... ნავიდოდით, ისიც ნამოვიდოდა, გავჩერდებოდით, ისიც გაჩერდებოდა... ჯემმა მითხრა, ამ სიბნელეშიც გხედავო. მისიზ კრენშოუმ რაღაცნაირი ბრჭყვიალა საღებავით გამიფერადა კოსტიუმი – შაშხი ვიყავი.

– ეგ როგორ? – იკითხა დაბნეულმა მისტერ ტეიტმა.

ატიკუსმა აუხსნა მისტერ ტეიტს, თუ რა როლი მქონდა წარმოდგენაში და ჩემი კოსტიუმიც აუწერა.

– ერთი გენახა, რა დღეში იყო, აქ რომ მოვიდა, მთელი კოსტიუმი დაჩეხილ-დაჭეჭყილი ჰქონდა!

მისტერ ტეიტმა ნიკაპი მოისრისა.

– მეც არ ვფიქრობდი, რისი ანაბეჭდები აქვს-მეთქი?.. სახელოები სულ წვრილ-წვრილად დაჩვრეტილი... ხელებზეც ერთი თუ ორი ისეთივე ნაჩვრეტი ჰქონდა... იმ კოსტიუმის ნახვა თუ შეიძლება, სერ?

ატიკუსმა ჩემი კოსტიუმის ნაშთი შემოიტანა. მისტერ ტეიტმა კოსტიუმი გადმოაბრუნა და სცადა წარმოედგინა, როგორი იქნებოდა თავიდან.

– როგორც ჩანს, ჭყიტა ამან გადაარჩინა, – გვითხრა მან, – შეხედეთ!

მისტერ ტეიტმა საჩვენებელი თითით გვიჩვენა: უფერული მავთულის ბადეს ერთგან ალაპლაპებული ზოლი დაუყვებოდა.

– ბობ იუველი არ ხუმრობდა... – ჩაიბუტბუტა მან.

– ჭკუიდან გადამცდარა, – შესძახა ატიკუსმა.

– არ მიყვარს თქვენთან დავა, მისტერ ფინჩ... ჭკუიდან კი არ გადამცდარა, უბრალოდ, გამხეცებული იყო, გაბოროტებული. დამპალი ნაძირალა! გამოთვრა, თავში აუვარდა და ბავშვებს დაერია! აბა, თქვენთან პირისპირ შეხვედრას კი ვერ გაბედავდა.

ატიკუსმა თავი გააქნია:

– ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება, ადამიანმა ასეთი რამ...

– მისტერ ფინჩ, არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც დაუფიქრებლად შეგიძლია ტყვია მიახალო შუბლში, ის კი არა, ტყვიაც დაგენანება ეგეთებისთვის, იუველიც ერთი იმათგანია.

ატიკუსმა უთხრა:

– მეგონა, იმ დღეს რომ დამემუქრა, გული იჯერა. ასე რომც არ ყოფილიყო, ვფიქრობდი – ანგარიშს მე გამისწორებდა.

– საცოდავი ზანგის ქალის დაშინებას რა უნდოდა, ანდა მოსამართლე ტეილორის სახლში შესვლას, როცა ფიქრობდა, სახლი ცარიელიაო... მაგრამ რამ გაფიქრებინათ, რომ დღისით, მზისით, თქვენთან პირისპირ შეხვედრას გაბედავდა? – მისტერ ტეიტმა ამოიოხრა, – ჯობია, განვაგრძოთ. ჭყიტა, მაშ, გაიგონე მისი ფეხის ხმა...

– დიახ, სერ. როცა მუხასთან მივედით...

– რა იცოდი, რომ ხესთან მიხვედით? კაცი თვალთან თითს ვერ მიიტანდა იმ სიბნელეში.

– ფეხშიშველა ვიყავი, ჯემი კი ამბობს – ხის ქვეშ მიწა ყოველთვის უფრო გრილიაო.

– სხვა გზა არაა, შერიფის თანაშემწედ უნდა დავნიშნოთ... განაგრძე, ჭყიტა.

– მერე, სრულიად მოულოდნელად, ვილაცა ჩამაფრინდა და კოსტიუმი დამიჭეჭყა... მგონი, მიწაზე დავეცი და დავუსხლტი... მერე ჩხუბის ხმა მესმოდა, მგონი... თითქოს ხეს დაეჯახნენ და ერახუნებოდნენ... მერე ჯემმა მიპოვა და ქუჩისკენ მექაჩებოდა... ვილაცამ... ალბათ, მისტერ იუველმა, მიწაზე დააგდო, მგონი... კიდევ ცოტა იჭიდავეს და მერე ის უცნაური ხრჭიალი გავიგონე... ჯემმა დაიღრიალა... – აქ გავჩუმდი. ეს ხომ ჯემის მკლავი იყო!

– ჰოდა, ჯემმა იღრიალა და მეტი მისი ხმა აღარ გამიგია. ამის მერე მისტერ იუველი ცდილობდა გავეგუდე, მგონი... მერე ვილაცამ ძირს დაადგო მისტერ იუველი. ეტყობა, ჯემი ნამოდგა... მეტი არაფერი არ ვიცი.

– მერე? – მისტერ ტეიტი დაძაბული მიყურებდა.

– ვილაცა იქვე ბარბაცებდა და ხვნეშოდა, თან ისე ახველებდა, გეგონებოდათ, გულ-ღვიძლი ამოაქვსო. თავიდან ჯემი მეგონა, მაგრამ ხმით ვერ ვიცანი. ამიტომ მიწაზე ვეძებდი ჯემს. ვიფიქრე, ატიკუსი მოვიდა ჩვენ გადასარჩენად და ძალიან დაიღალა-მეთქი...

– მერე, ვინ ყოფილა?

– როგორ, თუ ვინ, აი, ისიც, მისტერ ტეიტ, თვითონ გეტყვით თავის სახელს, – ვუთხარი და თითი კუთხეში მდგომი მამაკაცისკენ გავიშვირე, მაგრამ მაშინვე ჩავწიე ხელი: შემეშინდა, ატიკუსს არ ესაყვედურებინა – თითის გაშვერა ხომ უზრდელობაა!

სტუმარი ისევ კედელთან ატუზული იდგა. ოთახში რაც შემოვედი, აღარ განძრეულა. როცა მისკენ მივიხედე, მკლავები ჩამოიღო და ხელისგულები კედელს მიადო. ხელები თეთრი ჰქონდა, ავადმყოფურად თეთრი, ისეთი, არასოდეს რომ ამ მოხვედრიათ მზის სხივი, ჯემის ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში, გახუნებული კრემისფერი კედლის ფონზე, ეს ხელები თეთრად ანათებდნენ.

ახლა ამ კაცის მტვერში ამოგანგლულ ხაკისფერ შარვალზე გადავიტანე მზერა. შევათვალიერე: პერანგი შემოფხრეწილი ჰქონდა, სახე ისეთივე თეთრი, როგორც ხელები, მხოლოდ გამოზნექილი ნიკაპი ჰქონდა ოდნავ უფრო მუქი ფერისა; ლოყები – შევარდნილი, პირი – განიერი, საფეთქლებთან ძლივს შესამჩნევი წვრილი ნაოჭები გასდევდა; მისი უფერული, მონაცრისფრო თვალები რომ დავინახე, ვიფიქრე – ბრმა ხომ არ არის-მეთქი. თხელი, უსიცოცხლო თმა ბუმბულივით ეყარა კინკრიხოზე.

როცა მისკენ მივუთითე, ხელები ჩამოუცურდა და კედელს ოფლის ლაქები დააჩნდა. ცერები ქამარში ჩაიწყო. უცებ უცნაურმა ჟრუანტელმა დაუარა – თითქოს ფრჩხილით ყავრის გაკაწვრის ხმა მოესმაო. მაგრამ თანდათანობით, ჩემი გაოცებული მზერის ქვეშ მოქცეულს სახიდან დაძაბულობა გადაეყარა; სუსტმა ღიმილმა ბაგე გაუპო და მოულოდნელად ცრემლები წამსკდა.

ჩვენ მეზობლის სახეს დაბინდული თვალებით ავხედე და ვუთხარი:

– გამარჯობა, ბუა!

30

– მისტერ არტური, გენაცვალე, – ალერსიანად შემისწორა მამამ, – ჯინ ლუიზა, ეს მისტერ არტურ რედლია. დარწმუნებული ვარ, მისტერ არტური გიცნობს შენ.

აბა, ატიკუსი რის ატიკუსი იქნებოდა, თუ ასეთ ვითარებაში თავაზიანობა უმტყუნებდა და როგორც წესი და რიგია, ისე არ გამაცნობდა ბუა რედლის!

ბუამ შეამჩნია, რომ ჯემის საწოლთან ინსტინქტურად მივირბინე და ისევ ისე – მორცხვად გამიღიმა. უხერხულობისგან არ ვიცოდი, სად ნავსულიყავი და ჯემისთვის საბნის გადაფარება დავაპირე.

– აჰ-აჰ! ხელი არ ახლო! – მითხრა ატიკუსმა.

მისტერ ჰეკ ტეიტი იჯდა და რქისჩარჩოიანი სათვალით დაძაბულად მისჩერებოდა ბუას. ის იყო, ხმის ამოღება დააპირა, რომ კარებში ექიმი რეინოლდსი გამოჩნდა.

– ყველანი აქ ყოფილხართ, – გვითხრა მან, როცა ოთახში შემოვიდა, – საღამო მშვიდობისა, არტურ, პირველად რომ შემოვედი, ვერ შეგნიშნეთ.

სიარულისა არ იყოს, ექიმმა რეინოლდსმა ლაპარაკიც ხალისიანი და მკვირცხლი იცოდა. ახლაც ისე მიმართა ბუას, გეგონებოდათ, ყოველდღე ასე ებაასებაო. ამ ამბავმა უფრო მეტად გამაოცა, ვიდრე იმან, რომ ბუა და მე ერთ ოთახში ვიმყოფებოდით. რა თქმა უნდა, ბუაც შეიძლება ზოგჯერ ავად გახდეს-მეთქი, გავიფიქრე, თუმცა ამაში დარწმუნებული არ გახლდით.

ექიმ რეინოლდსს რაღაცა დიდი, გაზეთში შეხვეული ეკავა ხელში. ჯემის მაგიდაზე დადო და პალტო გაიხადა.

– ახლა ხომ გჯერა, რომ ცოცხალია? გინდა, გითხრა, საიდან მივხვდი? გასინჯვა რომ დავუპირე, წიხლი მომარტყა. იძულებული გავხდი, კარგა მაგრად მიმეძინებინა, თორემ ვერ გავსინჯავდი, ახლა კი მოუსვი აქედან.

– მმმ... – დაიწყო ატიკუსმა და ბუას გახედა, – ჰეკ, მოდი აივანზე გავიდეთ. იქ უამრავი სკამია და საკმაოდ თბილა კიდეც.

გამიკვირდა, რატომ მისაღებ ოთახში არ გვეპატიჟებოდა, მაგრამ მაშინვე მივხვდი: მისაღებ ოთახში ძალიან ჭახჭახა სინათლე ენთო.

ყველანი გავედით. ატიკუსმა ჯერ მისტერ ტეიტი გაატარა წინ, ერთ წამს შეყოვნდა კართან და მერე თვითონაც მისტერ ტეიტს მიჰყვა.

ადამიანები ჩვეულებებს ყველაზე უფრო მოულოდნელ ვითარებაშიც კი არ ღალატობენ – არც მე გახლავართ გამონაკლისი:

– წამობრძანდით, მისტერ არტურ, – უნებლიეთ წამომცდა, – მე გაგიძღვებით, თქვენ ხომ კარგად არ იცნობთ ჩვენი ბინის განლაგებას. აივანზე გავიდეთ, სერ.

ბუამ შემომხედა და თავი დამიკრა.

დერეფანს გავუყევით და მისაღებ ოთახს გავცდით.

– ხომ არ დაბრძანდებით, მისტერ არტურ? ეს სარწეველა სკამი ძალიან მოსახერხებელია.

ჩემმა ოცნებამ თითქოს ხორცი შეისხა: "იჯდება აივანზე... – რა მშვენიერი ამინდია, არა, მისტერ არტურ. – დიახ, მართლაც რომ მშვენიერი ამინდია, – მომიგებს ბუა"...

თავი სიზმარში მეგონა. წინ წავედი და ბუას ატიკუსისა და მისტერ ტეიტისგან განცალკევებით, აივნის ჩაბნელებულ კუთხეში მივუჩინე ადგილი: აქ იგი მყუდროდ იგრძნობდა თავს.

ატიკუსი საქანელაზე იჯდა, მისტერ ტეიტი კი მის გვერდით, სავარძელში. მისაღები ოთახიდან გამომავალი შუქი ორივეს სახეზე სცემდა. მე ბუას გვერდით მოვკალათდი.

– მაშ ასე, ჰეკ, – დაიწყო ატიკუსმა, – მე მგონი, ახლა... აი, როგორ უნდა მოვიქცეთ... ღმერთო დიდებულო... აზრი მებნევა... – ატიკუსმა სათვალე შუბლზე აიწია და თვალები მოისრისა, – ჯემი ჯერ ცამეტის არ შესრულებულა... თუმცა კი, უკვე ცამეტისაა. ვერ ვიხსენებ... ასეა, თუ ისე, საოლქო სასამართლო გარდაუვალია.

– რომელ სასამართლოზე ლაპარაკობთ, მისტერ ფინჩ? – ჰკითხა მისტერ ტეიტმა, ფეხი ფეხიდან ჩამოიღო და წინ გადმოიხარა.

– რა თქმა უნდა, ნათელია, რომ ეს თავდაცვის მიზნით მოხდა და სხვა არაფერი, მაგრამ მაინც მომიწევს სამსახურში შევლა და დაზუსტება...

– მისტერ ფინჩ, ნუთუ გგონიათ, რომ ბობ იუველი ჯემმა მოკლა? ნუთუ ამას ფიქრობთ?

– ხომ გაიგეთ, რა თქვა ჭყიტამ, აქ ორი აზრი არაა: ჭყიტამ თქვა: ჯემი ნამოხტა და იუველი ძირს დააგდო. როგორც ჩანს, ჯემმა სიბ-

ნელეში იუველის დანა ჩაიგდო ხელში... ხვალ ყველაფერს გამოვარკვევთ.

– მის-ტერ ფინჩ, რას ამბობთ! – უთხრა მისტერ ტეიტმა, – ბობ იუველი ჯემს არ მოუკლავს!

ატიკუსი წამით დადუმდა. მისტერ ტეიტს გახედა, თითქოს მისი ნათქვამი შეაფასაო, მერე კი თავი გააქნია.

– ჰეკ, ძალიან მადლიერი ვარ შენი, ვიცი, კეთილი გულით აკეთებ მაგას, მაგრამ მოდი, ეგეთ რამეებს ნუ დავინყებთ...

მისტერ ტეიტი წამოდგა და აივნის მოაჯირთან მივიდა. ბუჩქებში გადააფურთხა, მერე ხელები ჯიბეებში ჩაიყო და ატიკუსს მიუტრიალდა:

– როგორ "ეგეთ რამეებს"? – ჰკითხა მამას.

– მაპატიე, თუ უხეშად მომივიდა, ჰეკ, – უბრალოდ უთხრა ატიკუსმა, – ოღონდ ამ ამბის მიჩქმალვას სულაც არ ვაპირებ, ეს არაა ჩემი ცხოვრების ნესი.

– არავინ არ აპირებს არაფრის მიჩქმალვას, მისტერ ფინჩ.

მისტერ ტეიტი მშვიდად ლაპარაკობდა, ოღონდ ისე დარჭობილიყო ადგილზე, გეგონებოდათ, წაღებით იატაკის ფიცრებს შეზრდიაო. მამაჩემსა და შერიფს შორის გაიმართა მეტად უცნარი დავა, რომლის აზრი ჩემთვის გაუგებარი დარჩა.

ახლა ატიკუსი ნამოდგა და აივნის მოაჯირთან მივიდა. "ხა-ფთუ", – ატიკუსტმა ეზოში გადააფურთხა. ხელები ჯიბეებში ჩაინყო და მისტერ ტეიტს სახეში შეხედა.

– ჰეკ, შენ არაფერი გითქვამს, მაგრამ მე ვიცი, რასაც ფიქრობ. მადლობელი ვარ მაგისთვის. ჯინ ლუიზა, – მამა ახლა ჩემკენ შემობრუნდა, – შენ გვითხარი, რომ როცა მისტერ იუველი გახრჩობდა, ჯემი დაეტაკა და უკან გადააგდოო, ხომ?

– დიახ, სერ, მე ასე ვიფიქრე... მე...

– ხედავ, ჰეკ? მთელი გულით გიხდი მადლობას, მაგრამ არ მინდა, ჩემმა ბიჭმა ასეთი ტვირთით გულდამძიმებულმა დაიწყოს ცხოვრება. ამისთვის კი აუცილებელია, სასამართლომ საჯაროდ განიხილოს საქმე. დაე, მოლაგდეს მთელი ოლქის მოსახლეობა სენდვიჩებით ხელში... არ მინდა, ჩემი შვილი ისე გაიზარდოს, მთელი ცხოვრება მითქმა-მოთქმა ესმოდეს ზურგს უკან, არ მინდა, ვინმემ თქვას მასზე: ჯემ ფინჩი... მამამისმა ბლომად ფული ჩაყარა მაგის გამოსახსნელადო. რაც უფრო მალე მოვიშორებთ ამას თავიდან, მით უკეთესი იქნება ყველასთვის...

– მისტერ ფინჩ, – აუღელვებლად მიუგო მისტერ ჰეკმა, – ბობ იუველი საკუთარ დანაზე დაესო. გამოდის, მან უნებლიეთ თავი მოიკლა.

ატიკუსი აივნის კუთხემდე მივიდა. გლიციინის შტოს მიაჩერდა. ორივე თავისებურად ჯიუტობს, მაგრამ არც ერთი დათმობაზე არ მიდის-მეთქი, – გავიფიქრე, – საინტერესოა, რომელი დანებდება პირველი? ატიკუსის სიჯიუტე შენიღბული და შემპარავია, ერთი შეხედვით ვერც კი შეამჩნევ, თუმცა, კანინგემებზე არანაკლებ უტეხია. მისტერ ტეიტი უფრო დაუხვეწავი და მოუხეშავია, მაგრამ სიჯიუტეში მამას არ ჩამოუვარდება.

– ჰეკ, – ატიკუსი ახლა ნახევრად შემობრუნდა, – ეს ამბავი თუ მიიჩქმალა, გამოვა, რომ მე ხაზი გადავუსვი ყველაფერს, რაც ჯემისთვის მსურდა ჩამენერგა. ზოგჯერ ვფიქრობ, მამად არ ვვარგივარ-მეთქი, მაგრამ ჩემ მეტი, აბა, ვინა ჰყავთ... სანამ სხვისგან დააპირებდეს მაგალითის აღებას, ჯემი ჯერ მე მიყურებს და მეც ვცდილობ ისე ვიცხოვრო, რომ მისთვის თვალის გასწორება არ მიჭირდეს... თუ ახლა ამ ამბავს მიჩქმალავ, მერე რა გულით შევხედო თვალებში? ხოლო რა ნამსაც ეს მოხდება, ვიცი, იმწამსვე სამუდამოდ დავკარგავ ჯემს, ჭყიტასაც, მე კი არც ერთის დაკარგვა არ მინდა, რადგან მათ გარდა ამქვეყნად არავინა მყავს.

– მისტერ ფინჩ, – მისტერ ტეიტი ისევ დარჭობილივით იდგა ერთ ადგილზე, – ბობ იუველი საკუთარ დანას დაასკდა. მე დაგიმტკიცებთ ამას.

ატიკუსი ერთბაშად შემოტრიალდა. ხელები ისევ ჯიბეებში ჰქონდა ჩაყოფილი.

– ჰეკ, ნუთუ არ შეგიძლია, ერთი ნუთით ჩემს მდგომარეობაში შეხვიდე? შვილები შენცა გყავს, ოღონდ შენ ჩემზე ახალგაზრდა ხარ. როცა ჩემები დაიზრდებიან, მე მოხუცი კაცი ვიქნები, თუ საერთოდ ვიქენი ცოცხალი... მაგრამ ახლა მე... თუ ჩემი რწმენა არ ექნათ, საერთოდ არავისი რწმენა აღარ ექნებათ. ჯემმა და ჭყიტამ იციან, რაც მოხდა. ხოლო თუ უცებ შეიტყობენ, რომ ქალაქში სხვანაირად ვყვები ამ ამბავს... ჰეკ, მე მათ სამუდამოდ დავკარგავ, მე არ შემიძლია, შინ სხვანაირად ვიცხოვრო, გარეთ კი სხვანაირად.

მისტერ ტეიტი ქუსლებზე შედგა, ოდნავ შეირხა და აუღელვებლად მიუგო:

– იუველმა ჯემი დააგდო, ხის ფესვს ფეხი გამოსდო და... აი, ნახეთ, გაჩვენებთ...

მისტერ ტეიტმა გვერდითა ჯიბიდან გრძელი ჯაყვა ამოიღო. ამ დროს ექიმი რეინოლდსი შემოვიდა.

– ის ოხრისშვი... მიცვალებული დიდი ხის ქვეშაა, ექიმო, სკოლის ეზოში, ფარანი გაქვთ? გირჩევთ, ჩემი წაიღოთ.

– ხომ შეიძლება, მანქანა ეზოში შევაგორო? მანქანის ფარების შუქზე უკეთ დავინახავ, – მიუგო ექიმმა რეინოლდსმა, თუმცა მისტერ ტეიტს მაინც გამოართვა ფარანი, – ჯემს ამალამ არაფერი უჭირს, არა მგონია, გამოეღვიძოს, ასე რომ, ნუ იღელვებთ. ჰეკ, ეგ ის დანაა, რომლითაც მოკლეს?

– არა, სერ, ის დანა არ ამოგვიღია. ტარით სამზარეულოს დანას ნაგავს. კენი ალბათ უკვე იქ იქნება თავისი ფარნით. ღამე მშვიდობისა, ექიმო.

მისტერ ტეიტმა ჯაყვა გახსნა.

– აი, როგორ მოხდა ეს, – განაგრძო მან, დანა აიღო და ბორძიკით გაიარა. წინ გადაიხარა და მარცხენა მკლავი ზუსტად ნეკნებქვეშ მოექცა. – ხედავთ? აი, აქ შეესო, ნეკნებშუა, რბილ ადგილში, მერე მთელი სხეულის სიმძიმე დაანვა და ბოლომდე შეიტანა, – მისტერ ტეიტმა ჯაყვა დაკეცა და უკან ჩაიკვეხა ჯიბეში.

– ჭყიტა რვა წლისაა, – თქვა მან, – ის იმდენად შეშინებული იყო, ვერც გაერკვეოდა, რა მოხდა სანამდვილეში.

– კარგად არ გცნობიათ, – პირქუშად მიუგო ატიკუსმა.

– იმას კი არ ვამბობ, რომ მოეჩვენა და შეთხზა, უბრალოდ იმდენად დამფრთხალი იყო, შეუძლებელია, ზუსტად გაერკვია, რა მოხდა. დღეს იქ ნამდვილი წყვდიადი იყო... სარწმუნო მოწმედ მარტო ისეთი ადამიანი შეიძლება ჩაითვალოს, ვისაც თვალი კარგად უჭრის სიბნელეში.

– მე მაგას ვერ მივიღებ, – ხმადაბლა ჩაილაპარაკა ატიკუსმა.

– *ეშმაკმა დალახვროს! მე ჯემზე არ გელაპარაკებით!*

მისტერ ტეიტმა ისეთი გრუხუნით დაჰკრა ფიცრულ იატაკს ფეხი, რომ ქუჩის გადაღმა, მის მოდის საწოლ ოთახში სინათლე აინთო.

მის სტეფანის სახლშიც აინთო შუქი. ატიკუსმა და მისტერ ტეიტმა იქით გაიხედეს, მერე ერთმანეთს გაუსწორეს თვალი, ერთხანს ხმა არ ამოუღიათ.

ამის შემდეგ მისტერ ტეიტი ძლივს გასაგონად ალაპარაკდა: – მისტერ ფინჩ, ძალიან არ მიყვარს თქვენთან დავა, მით უმეტეს, როცა ასე გაჯიუტდებით ხოლმე. ამ ღამით ისეთი საშინელება გადაიტანეთ, ყველას აშოროს ღმერთმა... არ ვიცი, კიდევ როგორ დგახართ ფეხზე, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ცხოვრებაში პირველად ვერ არჩევთ თეთრსა და შავს. ჩვენ კი სწორედ ამალამვე უნდა მოვაგვაროთ ეს საქმე, თორემ ხვალ უკვე გვიან იქნება: ბობ იუველი სამზარეულოს დანას დაასკდა.

მისტერ ჰეკმა დასძინა:

– შეუძლებელია, ვინმემ დაამტკიცოს, თითქოს ჯემის აღნაგობის ბიჭუნას, თანაც მოტეხილი მკლავით, ძალუძს ძირს დასცეს და მოკლას მოზრდილი მამაკაცი უკუნ ღამეში!

– ჰეკ, – მოულოდნელად შეაწყვეტინა ატიკუსმა, – ახლახან რომ ჯაყვა გეკავა, საიდანა გაქვს?

– ერთ მთვრალ კაცს ნავართვი, – ცივად მიუგო მისტერ ტეიტმა.

შეეცადე, უკეთ აღმედგინა მეხსიერებაში – მისტერ იუველი დამეტაკა... მერე დაგორდა... ალბათ ჯემი თუ წამოდგა, ყოველ შემთხვევაში, მე მგონი...

– ჰეკ?

– ხომ გითხარით, ღამით ერთ მთვრალ კაცს ავართვი ქალაქში. ბობ იუველმა კი ის სამზარეულოს დანა, ეტყობა, სადღაც ნაგავში ამოქექა, გალესა და ხელსაყრელ დროს დაელოდა. სწორედაც რომ, ხელსაყრელ შემთხვევას დაელოდა.

ატიკუსი საქანელასთან მივიდა და დაჯდა. ხელები უსიცოცხლოდ ჩამოეკიდა მუხლებს შორის, იატაკს ჩაშტერებოდა. ისე შენელებულად მოძრაობდა, როგორც იმ ღამეს, ციხის წინ, როცა მომეჩვენა – გაზეთის დაკეცვას და სკამზე დადებას საუკუნე მოანდომა-მეთქი...

მისტერ ტეიტი ნელა სცემდა ბოლთას აივანზე.

– გადაწყვეტილება თქვენ კი არა, მე უნდა მივიღო, მხოლოდ მე. გადაწყვეტილების მიღებაც და მთელი პასუხისმგებლობაც მე მაწევს. მგონი, ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა არ გჯერათ ჩემი, მაგრამ

თუნდაც ასე იყოს, მაინც ვერაფერს გააწყობთ. და თუ მაინც შეეცდებით შემეწინააღმდეგოთ, პირში გეტყვით, რომ ტყუილს ამბობთ: თქვენს ბიჭს ბობ იუველისთვის დანა არ ჩაურტყამს, – თქვა მან ნელა, – აზრადაც არ გაუვლია ასეთი რამის ჩადენა, და თუ ეს აქამდე არ იცოდით, ახლა უკვე იცით. ჯემი მარტო იმაზე ფიქრობდა, როგორ მივიდეთ მე და ჩემი და შინ მშვიდობითო.

მისტერ ტეიტი შედგა. ატიკუსის წინ შეჩერდა, ზურგით ჩვენკენ.

– იქნებ არც ისეთი კარგი კაცი ვარ, სერ, მაგრამ მე მეიკომის ოლქის შერიფი გახლავართ. მთელი ცხოვრება ამ ქალაქში გავატარე, მალე ორმოცდასამი წელი შემისრულდება, და რაც აქ მომხდარა, ჩემს დაბადებამდეც კი, მშვენივრად ვიცი. ამას წინათ სრულიად უმიზეზოდ დაიღუპა შავკანიანი ბიჭი, ახლა კი ის კაციც მიჰყვა, ვის კისერზეც იყო იმ ბიჭის დაღუპვა. მოდი, ამჯერად ვაცალოთ მკვდრებს თავიანთი მკვდრების დამარხვა, მისტერ ფინჩ, მკვდრებს მივანდოთ თავიანთი მკვდრების დამარხვა.

მისტერ ტეიტი საქანელასკენ გაემართა და ქუდი აიღო, მისი ქუდი ატიკუსს გვერდით ედო. მისტერ ტეიტმა თმა უკან გადაიყარა და ქუდი დაიხურა.

– ჯერ არავისგან გამიგია, რომ დანაშაულად ითვლება, თუკი მოქალაქე ყველა ღონეს იხმარს ბოროტმოქმედების თავიდან ასაცილებლად, მან კი სნორედ ეს ქნა და სხვა არაფერი. იქნებ ახლა თქვენ მითხრათ, რომ ჩემი მოვალეობაა, ეს ამბავი მთელ ქალაქს ვამცნო და არ მივჩქმალო? იცით, ამას რა მოჰყვება? მთელი ჩვენი მეიკომელი მანდილოსნები – ჩემი მეუღლის ჩათვლით – იმ კაცის კარს მიაწყდებიან და მოსვენებას აღარ მისცემენ თავიანთი "ღვთაებრივი" ნამცხვრებით. თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ ამის თაობაზე, მისტერ ფინჩ, გეტყვით, რომ დიდ ცოდვას დავიდებ კისერზე, თუ იმ თავმდაბალ, მორიდებულ კაცს, რომელმაც მთელ ჩვენს ქალაქს ფასდაუდებელი სამსახური გაუწია – უცებ საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოვაქცევ. ჩემი აზრით, ეს ცოდვა იქნება, და მე არ ვაპირებ ასეთი ცოდვის ჩადენას. იმ კაცის ადგილზე სხვა რომ ყოფილიყო, ნებისმიერი სხვა ადამიანი, მაშინ საქმე სულ სხვანაირად იქნებოდა და მეც სხვაგვარად მოვიქცეოდი, მაგრამ ეს კაცი გამონაკლისია, მისტერ ფინჩ.

მთელი ამ ხნის განმავლობაში მისტერ ტეიტი ცდილობდა, იატაკი ჩექმის წვერით გაეხვრიტა. მერე ცხვირზე წაიჭირა ხელი და მარცხენა მკლავი მოისრისა.

– იქნება დიდი ვინმე არცა ვარ, მაგრამ მეიკომის ოლქის შერიფობა ჯერჯერობით მე მაბარია, ასე რომ, დაიხსომეთ – ბობ იუველი საკუთარ დანას დაესო. ღამე მშვიდობისა, სერ.

მისტერ ტეიტი აივნიდან ძირს ჩავიდა და დიდი ნაბიჯებით გადაიარა ჩვენი ეზო. მანქანის კარი გაიჯახუნა და მალე წავიდა კიდეც.

ატიკუსი კარგა ხანს იჯდა იატაკს ჩაშტერებული. ბოლოს თავი აიღო.

– ჭყიტა, – მითხრა მან, – მისტერ იუველი საკუთარ დანას დაესო. შეგიძლია ამის გაგება?

ატიკუსს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, ვიგრძენი, გამხნევება სჭირდებოდა, მამასთან მივირბინე, ხელები მოვხვიე და რაც ძალი და ღონე მქონდა, ვაკოცე.

– დიახ, სერ, მესმის, – დავარწმუნე მე, – მისტერ ტეიტმა მართალი თქვა.

ატიკუსმა თავი გაითავისუფლა ჩემი მკლავებისგან და შემომხედა.

– მაგით რისი თქმა გინდა?

– ასე თუ არ მოვიქცევით, ჯაფარას მოკვლა გამოგვივა, ხომ მართალია?

ატიკუსმა სახე თმაზე გამიხახუნა. ადგა და ისე გაიარა, როგორც საერთოდ სჩვეოდა – ახალგაზრდული ნაბიჯით. სანამ ოთახში გავიდოდა, რედლი-ბუას წინ შედგა და უთხრა:

– მადლობას გიხდით ჩემი შვილებისთვის, არტურ....

31

როცა რედლი ბუა ძლივძლივობით ფეხზე წამოდგა, სასტუმრო ოთახიდან გამომავალი შუქი შუბლზე დაეცა. ისე გაუბედავად მოძრაობდა, თითქოს ეშინია, ფეხი ან ხელი უადგილო ადგილას არ მომიხვდესო. უცებ ისევ ის საშინელი, ხრინწიანი ხველა აუტყდა. მთელი ტანით აცახ-

ცახდა და იძულებული გახდა ჩამომჯდარიყო. შარვლის ჯიბე მოიძია, ცხვირსახოცი ამოიღო, შიგ ჩაახველა და მერე შუბლი მოიწმინდა.

ბუას სიახლოვე იმდენად წარმოუდგენლად მიმაჩნდა, ვერაფრით ვერ ვიჯერებდი, რომ ახლა ჩემ გვერდით იჯდა. მთელი იმ დროის განმავლობაში მას ხმა არ ამოუღია. ცოტა ხანში ხელახლა წამოდგა, ჩემკენ მობრუნდა და თავით გასასვლელი კარისკენ მანიშნა.

– ალბათ ჯერ გინდათ, ჯემს დაემშვიდობოთ, არა, მისტერ არტურ? აქეთ მობრძანდით.

დერეფნისკენ გავუძეხი.

ჯემს სასთუმალთან მამიდა ალექსანდრა ეჯდა.

– მობრძანდით, არტურ, – უთხრა მამიდამ, – ისევ სძინავს. ექიმმა რეინოლდსმა ძლიერი ძილის წამალი მისცა. ჯენ ლუიზა, მამაშენი მისაღებ ოთახშია?

– დიახ, მემ, იქ უნდა იყოს.

– ერთი წუთით გავალ, რაღაც მინდა ვუთხრა, ექიმმა რეინოლდსმა დატოვა რაღაც... – მისი ხმა მალე მინყდა.

ბუა ოთახის კუთხისკენ წავიდა, თავი ასწია და ჯემს შორიდან შეხედა. მე ხელი ჩავკიდე. საოცარია, ეს მიტკლისფერი ხელი რა თბილი აღმოჩნდა! ოდნავ მოვწიე და ისიც არ გამიძალიანდა – ჯემის საწოლთან მიმყვა.

ექიმ რეინოლდსს ჯემის ნატკენი მკლავის ირგვლივ რაღაც ჩარდახისმაგვარი მოეწყო, ეტყობა, იმისთვის, რომ საბანი არ შეხებოდა. ბუა დაიხარა და დააკვირდა. ისეთი დაბნეული ცნობისმოყვარეობით დასცქეროდა, თითქოს პატარა ბიჭი ცხოვრებაში არ ჰყავდა ნანახი. პირი ოდნავ დაღებოდა და ჯემს თავით ფეხამდე ათვალიერებდა. ერთხელ ხელიც ასწია, მაგრამ მერე დაუშვა.

– შეგიძლიათ მიეფეროთ, მისტერ არტურ, სძინავს, რომ ელვიძოს, მაშინ კი არ მოგაფერებინებდათ... – დავუწყე ახსნა, – მიდით, მიეფერეთ.

ბუამ გაუბედავად შემართა ხელი და ჰაერში გაუშეშდა.

– ნუ გეშინიათ, სერ, სულ ერთია, სძინავს!

მაშინ ბუამ ჯემს თმაზე ნაზად დაუსვა ხელი.

უკვე უსიტყვოდ ვხვდებოდი, რა სურდა, ხელი მაგრად მომიჭირა და მანიშნა – წასვლა მინდაო.

აივნისკენ გავუძეხი. კიბის თავზე შედგა, ხელს არ მიშვებდა და ვატყობდი – არც აპირებდა გაშვებას.

– მიმიყვან სახლამდე? – თითქმის ჩურჩულით მკითხა ბუამ სიბნელისგან დამფრთხალი ბავშვის ხმით.

კიბის თავზე გავედი და ბუას დაველოდე. ჩვენს ბინაში ნინ მივუძღვებოდი, მაგრამ ქუჩაში ამას არასდიდებით არ გავაკეთებდი.

– მისტერ არტურ, თუ შეიძლება, მკლავი აი, ასე მოხარეთ, გმადლობთ, სერ.

ხელკავი გავუყარე.

მართალია, მე რომ მივწვდომოდი, ბუა იძულებული გახდა, ოდნავ ტანში მოხრილიყო, სამაგიეროდ, თუ მის სტეფანი გამოიხედავს თავის ფანჯარში, დაინახავს, რომ არტურ რედლი ჭეშმარიტი ჯენტლმენივით მიდგას მხარში!

ქუჩა კუთხემდე ჩავიარეთ და გავიფიქრე: ვინ იცის, დილი რამდენჯერ მდგარა აქ, მოხვევდა ხოლმე ხელებს განათების მსხვილ ბოძს და უთვალთვალებდა... ელოდა... იმედს არ კარგავდა... ვინ იცის, რამდენჯერ ჩაგვივლია აქ მე და ჯემსაც, მაგრამ რედლების ეზოს რაც შეეხება, ცხოვრებაში მეორედ მინევდა შიგ ფეხის შედგმა. მე და ბუამ ერთად ავიარეთ სახლის კიბე. ბუამ კარის სახელური მოიძია, ფრთხილად მოიშორა ჩემი ხელი, კარი გააღო, სახლში შევიდა და კარი მიიხურა. მას მერე იგი აღარასოდეს მინახავს.

როცა ოჯახში ვიღაცა კვდება, მეზობლებს საჭმელი მოაქვთ, როცა ვინმე ავად ხდება – ყვავილები ან ნვრილმანი საჩუქრები. ბუა ჩვენი მეზობელი იყო, მან ორი საპნის თოჯინა, ძენკვზე დაკიდებული მნყობრიდან გამოსული საათი, ორი ჯადოსნური პენიანი და... სიცოცხლე გვაჩუქა. ოლონდ მეზობლები საჩუქარს საჩუქრით უპასუხებენ ხოლმე, ჩვენ კი სანაცვლოდ არაფერი ჩაგვიდია ფუღუროში. ბუასთვის სიკეთე არ გადაგვიხდია და გული ნაღველით ამევსო...

შინ წასასვლელად შემოვტრიალდი. მოციმციმე ნათურები ქუჩას ქალაქის ცენტრამდე მიუყვებოდნენ. ჩვენი უბანი იქიდან არასოდეს დამენახა, სადაც ახლა ვიდექი: აგერ – მის მოდის, მის სტეფანისა და ჩვენი სახლები, ჩვენს აივანზე საქანელაც კი დავინახე; მის რეიჩელის სახლიც კარგად მოჩანს, აგერ, მისიზ დუბოუზის სახლიც...

ახლა უკან მივიხედე. ყავისფერი კარების მარცხნივ მაღალი, გადარაზული ფანჯარაა, მივუახლოვდი, მის წინ დავდექი და პირი ქუჩისკენ ვიბრუნე. დღისით აქედან ალბათ ფოსტის კუთხესაც დაინახავს-მეთქი კაცი, გავიფიქრე...

დღისით... უცებ ჩემს ნარმოსახვაში სიბნელე გაიფანტა და ჩვენი ქუჩა დღის სინათლეზე დამიდგა თვალწინ. შუადღეა და მეზობლები ფუსფუსებენ. მის სტეფანი კროუფორდი ქუჩას კვეთს, რათა მის რეიჩელს ცხელ-ცხელი ჭორები ამცნოს, ხოლო მის მოდი თავის იელებს დასტრიალებს თავს... ზაფხულია და ბიჭი და გოგო კუნტრუშ-კუნტრუშით მიიჩქარიან მამაკაცისკენ, რომელიც შორს, ქუჩის კუთხეში მოჩანს. კაცი ხელს დაუქნევს, ბავშვები ადგილს მოსწყდებიან და მისკენ მიქრიან, ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ მიასწრებს პირველი...

ზაფხულია. ბავშვები ახლა უფრო ახლოს მოდიან. ბიჭი ლასლასით მოუყვება ქუჩას. გრძელ ანკესს მოათრევს, რომელსაც ბოლო მინაზე დასთრევს. შორიახლოს მამაკაცი დგას – ხელები ჯიბეებში ჩაუყვია და ბავშვებს ელოდება... ზაფხულია და, მისი ბავშვები თავიანთ ეზოში მეგობარ ბიჭუნასთან ერთად უცნაურ პატარა დრამას დგამენ, რომელიც თავად შეუთხზავთ.

შემოდგომაა და, მისი ბავშვები მისიზ დუბოუზის სახლის წინ ტროტუარზე ჩხუბობენ, ბიჭი გოგონას წამოდგომაში მიეშველება და სახლისკენ ერთად გასწევენ...

შემოდგომაა. მისი ბავშვები დღეში ორჯერ ცუნცულით ჩაირბენენ და ამოირბენენ ქუჩის მოსახვევს – სახეზე იმდღევანდელი გულისტკივილი თუ სიხარული აღბეჭდვიათ... მუხის ხესთან ჩერდებიან აღტაცებულები, გაოცებულები, დაძაბული მოლოდინით აღსავსენი...

ზამთარია და, მისი ბავშვები, სიცივისგან აკანკალებულები დგანან სახლის წინა ჭიშკართან და ალმოდებულ სახლს შესცქერიან. ზამთარია და, მამაკაცი უკაცრიელ ქუჩაზე გამოდის, სათვალე დაუვარდება, თოფს მოიმარჯვებს და ძაღლს ერთი გასროლით კლავს.

ზამთარია და, მამა ხედავს, როგორ უტყდებათ გული მის შვილებს.

ისევ შემდგომა დგება და ბუას ბავშვებს ბუას შველა დასჭირდათ.

ატიკუსი მართალია. ერთხელ გვითხრა, კაცს ვერასოდეს ბოლომდე ვერ გაიცნობ, თუ დროებით მის ტყავში არ ჩაძვრები და ისე არ გაივლი

და გამოივლიო. სულ ცოტა ხნით შევდექი რედლების აივანზე და უკვე ყველაფერი სხვა თვალით დავინახე...

წამოწვიმა. წვიმის წვრილმა შხეფებმა მანდილივით შებურეს ქუჩის ნათურები. მე შინისკენ გზას დავადექი და თავი უცებ დაბერებულად ვიგრძენი. ამ დროს ცხვირზე დავიხედე, ზედ ცვარივით წვრილი წვიმის წვეთების ასხმა ამიბრჭყვიალდა, თვალებდაელმებული დავაკვირდი, ძაებრუ დამეხვა და თვალი დავახამხამე. მივუყვებოდი გზას შინისკენ და თან იმაზე ვფიქრობდი, თუ რა უნდა ვუთხრა ჯემს, როცა ხვალ დილით გამოელვიძება? ისე გაცოფდება, მთელ ამ ამბავს რომ გამოაკლდა, შეიძლება რამდენიმე დღე ხმაც არ გამცეს... მივდიოდი ჩვენი სახლისკენ და ვფიქრობდი – რა თქმა უნდა, მე და ჯემი კიდევ გავიზრდებით, მაგრამ სნავლით ნეტა რაღა დაგვრჩა-მეთქი სასნავლი? იქნებ, მარტო ალგებრა?

კიბე ავირბინე და სახლში შევედი. მამიდა ალექსანდა წამონოლილი დამხვდა. მამაჩემის ოთახში ბნელოდა.

– იქნებ ჯემმა გაიღვიძა? – გავიფიქრე, – ნავალ, დავხედავ...

ატიკუსი ჯემის ოთახში სანოლთან იჯდა და წიგნს კითხულობდა.

– ჯერ არ გაუღვიძია?

– მშვიდად სძინავს. ხვალ დილამდე აღარც გამოელვიძება.

– ჰოო! შენ რა, აპირებ, აქ ღამე გაუთიო?

– ერთ-ორ საათს ვიჯდები აქ. შენ ნადი და დაიძინე, ჭყიტა. დღეს ძალიან მძიმე დღე გქონდა.

– ჰო, მაგრამ მირჩევნია, ცოტა ხანს შენთან ერთად დავრჩე, კარგი?

– როგორც გენებოს, – მომიგო მამამ. შუაღამე გადასული იყო და გამიკვირდა, ასე იოლად რომ დამთანხმდა, თუმცა ატიკუსი ჩემზე შორსმჭვრეტელი გახლდათ: როგორც კი დავჯექი, იმწამსვე ძილი მომერია.

– რას კითხულობ? – ვკითხე მამას.

ატიკუსმა წიგნის ყდას დახედა.

– ჯემის წიგნებიდან ავიღე. "რუხი აჩრდილი" ჰქვია.

ერთბაშად გამოვფხიზლდი.

– რაღა მაინცადამაინც ეგ აირჩია?

– რა ვიცი, გენაცვალე, უბრალოდ, რაც ხელში მომხვდა, ის ავიღე. ერთი იმ იშვიათ ნიგნთაგანია, მე რომ არ წამიკითხავს, – მრავალმნიშვნელოვნად მითხრა მამამ.

– ხმამაღლა წაიკითხე, რაა, ატიკუს! იცი, რა გულის გასახეთქი რამეები წერია...

– არა, გულის გასახეთქი დღეისთვის საკმარისზე მეტი მოგვიდა, – მითხრა მამამ, – მეტი აღარ გვინდა...

– ატიკუს, მე არ შემშინებია.

მამამ წარბები აზიდა და მეც ავუხსენი:

– ყოველ შემთხვევაში, იმ წუთამდე არ შემშინებია, სანამ მისტერ ტეიტს არ მოვუყევი, რაც მოხდა, მანამდე მართლა არ შემშინებია. ჯემსაც არ ეშინოდა. ვკითხე და მითხრა – არ მეშინიაო. და ისედაც, მართლა საშიში ამბები მარტო წიგნებში ხდება.

ატიკუსმა ჯერ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა. ცერა თითი წიგნის შუაგულიდან ამოიღო და პირველ გვერდზე გადაიტანა. მე მამას უფრო ახლოს მივუჩოჩდი და თავი მუხლზე ჩამოვადე.

– ჰ-მმ, – დაიწყო მამამ, – მაშ ასე, სეკატერი ჰოკინზი, "რუხი აჩრდილი", თავი პირველი...

თავს ძალას ვატანდი, რომ არ ჩამძინებოდა, მაგრამ ისე ნაზად წვიმდა და ოთახში ისე სასიამოვნოდ თბილოდა და მამას ბოხი ხმა ისე ბუბუნებდა და მის მუხლზე ისე მყუდროდ მედო თავი, რომ უმალ ჩამეძინა.

ასე მეგონა, სულ რამდენიმე წამი გავიდა-მეთქი, როცა ვიგრძენი, როგორ წამკრა ატიკუსმა ხელი ნეკნებში, ფეხზე წამომაყენა და ჩემს ოთახში გამიყვანა.

არც ერთი სიტყვა არ გამომრჩენია-მეთქი, ჩავიბურტყუნე, – საერთოდ არ მძინებია... ეგ წიგნი რაღაც გემზე და სამთითა ფრედზე და იმ სტოუნერის შვილზეა...

ატიკუსმა შარვალი შემიხსნა, ტანზე მიმიყუდა და ისე გამხადა. მერე ცალი ხელით დამიჭირა, რომ არ წავქცეულიყავი, მეორე ხელით კი პიჟამას დასწვდა.

– ჰოდა, ყველას ეგონა, ჩვენს კლუბში ეგ სტოუნერის ბიჭი ურევს ყველაფერსო – მელანსაც ეგ ღვრის და ყველაფერსო და...

ატიკუსმა საწოლთან მიმიყვანა და დამსვა. ფეხები ამაწევინა და საბანი გადამახურა.

– ჰოდა, მერე ისინი დასდევდნენ, მაგრამ ვერაფრით ვერ დაიჭირეს, იმიტომ, რომ სახეზე არავინ არ იცნობდა, და ატიკუს, როცა ბოლოს,

როგორც იქნა, იპოვეს, აღმოჩნდა, რომ თურმე საერთოდ არაფერიც არ დაუშავებია... იცი, ატიკუს, სინამდვილეში ისეთი კარგი ვინმე ყოფილა...

ატიკუსმა საბანი ნიკაპამდე ამინია და კარგად ჩამფუთნა, საბნის კიდეებიც შემომიკეცა.

– ადამიანების უმრავლესობა ასეთივე კარგია, როცა ახლოს გაიცნობ, ჭყიტა.

ატიკუსმა სინათლე ჩააქრო და ჯემის ოთახში გავიდა. მთელ ღამეს იქ გაატარებს და დილით, როცა ჯემი გამოიღვიძებს, მამა ოთახში დახვდება.

FB.COM/GROUPS/ELLIB